კვლევის პროცესში, მიმდინარეობს თითოეული მასალის ნახვა. შემდეგ ეტაპზე, ხდება მიღებული ინფორმაციის დახარისხება თემატიკის მიხედვით. შემდეგ კი, შინაარსობრივი ანალიზი.

გარდა კონტენტ ანალიზისა, კვლევის მიზნებიდან და ამოცანებიდან გამომდინარე, ლატენტური თუ ღია პრობლემების უკეთესად წარმოჩინებისთვის გამოვიყენე ექსპერტთა გამოკითხვა- სიღრმისეული ინტერვიუების დახმარებით. ექსპერტი არის გამოცდილი, კომპეტენტური პირი, რომელსაც კვლევის ობიექტთან დაკავშირებულ სფეროში ცოდნა და გამოცდილება აქვს. იგი მონაწილეობს სოციალურ გამოკვლევაში როგორც სოციალური ინფორმაციის წყარო ან კომუნიკატორი. იგი შეიძლება ასრულებდეს კვლევისათვის უცნობი ინფორმაციის წყაროს ფუნქციას.

ექსპერტთა გამოკითხვა – თვისებრივი სოციოლოგიური კვლევის ერთ-ერთი მეთოდია. ამ მეთოდს იყენებენ კვლევის სხვადასხვა ეტაპზე: კვლევის მიზნებისა და ამოცანების განსაზღვრისას, ჰიპოთეზების ჩამოყალიბების, შემოწმებისა და კორექტირებისას, ასევე დასკვნების დასაბუთებულობისა და რეკომენდაციების შემუშავების დროს. როგორც წესი, კვლევის სტრატეგიულ პრობლემებთან დაკავშირებით და კვლევის ობიექტის შესახებ ექსპერტებს გააჩნიათ ფართო და დანვრილებითი ინფორმაცია, ვიდრე მკვლევარს. ამდენად, მათგან მიღებული ინფორმაცია ეხმარება მკვლევარს კვლევის საერთო მიმართულების განსაზღვრაში.

გამოვიყენე თოვლის გუნდის მეთოდი. თოვლის გუნდა რიცხობრივად მცირე ჯგუფებიდან შერჩევითი ერთობლიობის განსაზღვრის მეთოდია, მისი გამოყენება მიზანშეწონილია მაშინ, როცა არ არსებობს ადეკვატური სია, რომელიც შერჩევის ჩარჩოდ გამოდგება. შერჩევის ეს მეთოდი ხშირად გამოიყენება ადამიანებს შორის ურთიერთობათა ქსელის საკვლევადაც, ანუ ის სოციომეტრული კვლევის ინსტრუმენტსაც წარმოადგენს. ჩვენ შემთხვევაში ერთი ექსპერტი გვაკავშირებდა მეორესთან.

2. თეორიული ჩარჩო - ფრეიმინგის თეორია

რადგანაც ჩემი კვლევა მოიცავს ეფექტის კვლევას, რომელიც გავლენას ახდენს სოციალური როლების ჩამოყალიბებაზე, ამიტომ ფრეიმინგი კვლევის ერთ-ერთ მეთოდად ავირჩიე. გამსონმა აღნიშნა, რომ ფრეიმინგის ანალიზი მოიცავს მათი შექმნის პროცესის შესწავლასაც. როგორ წარმოიქმნება კონკრეტული ფრეიმი გვაძლევს წარმოდგენას იმის შესახებ, თუ რომელ ძალას სურს ამ შინაარსზე ზეგავლენის მოხდენა. მან დაამატა, რომ ფრეიმინგის შექმნის პროცესი ბევრ დათარულ ინფორმაციას მოიცავს, რომელთა შესწავლაც აუცილებელია.

შინაარსის მომწოდებლები ცდილობენ რომ მასმედიას აიძულონ საკუთარი ინფორმაციის გაშვება და ისეთი ფრეიმინგის გამოყენება, რომლებიც მათთვის სასიკეთოა. რთული არ არის იმის მიხვედრა, რატომ ცდილობენ ისინი ამ ყველაფერს - იმიტომ, რომ ზეგავლენა მოახდინონ საზოგადოებაზე, პოლიტიკაზე, გაყიდვაზე, და სხვა ქცევებზე.

მიუხედავად იმისა, რომ ერთი მედიასაშუალებების მიერ გაშუქებულ რაიმე ამბავს მხოლოდ ერთი ფრეიმი შეიძლება ჰქონდეს, ისეთ პირობებში, სადაც არსებობს მრავალი მედია არხი, ეს პრობლემა არ არსებობს. ამ მედიასაშუალებებს შეუძლიათ სხვადასხვა სახის ფრეიმინგის გამოყენება. თუ ყველა მედია ერთნაირ ფრეიმინგს არ იყენებს, მაშინ ერთი ამბავი მრავალი კუთხით გაშუქდება და მათი მოძიების პასუხისმგებლობა აუდიტორიას დაეკისრება. რისი (2001) ფრეიმინგს განმარტავდა როგორც მაორგანიზებელ პრინციპს, რომელიც სოციალურად გაზიარებულია, დროში გამძლეა და სიმბოლური მნიშვნელობით გვანვდის სოციალური სამყაროს გაგებას.

ფრეიმინგი შეიძლება განვმარტოთ როგორც გადანწყვეტილების მიღება იმის შესახებ, თუ რას უწოდებს მასმედიის ორგანიზაცია მნიშვნელოვანს. ამ გადანწყვეტილების მიმღები შეიძლება ინდივიდუალური რეპორტიორიც გახლდეთ. იქიდან გამომდინარე, რომ ჟურნალისტები თითოეულ ორგანიზაციაში ბევრნი არიან, ფრეიმინგის სახეებიც ბევრი იქნება.

ფრეიმები არ არის თანასწორი რამდენიმე მიზეზის გამო. ენტმანი (1993) ამბობდა, რომ ფრეიმებს აქვთ მინიმუმ ოთხი ადგილი კომუნიკაციის პროცესში. 1) კომუნიკატორი, 2) ტექსტი, 3) მიმღები და 4) კულტურა. ფრეიმები ასევე არ არის თანასწორი იმის გამო, რომ აუდიტორიას აქვს საკუთარი მოთხოვნები. აუდიტორია მოელის, რომ ზოგიერთი ფრეიმი იქნება მედიის გაშუქების ნაწილი. ხანდახან რეპორტიურისთვის რთულია, რომ გაშუქებაში არ ჩართოს ზოგიერთი ფრეიმი. ზოგიერთი ფრეიმი აუდიტორიისათვის მიუღებელია. მედიის ფრეიმების აღქმისას აუდიტორია თვითონ იყალიბებს საკუთარ ფრეიმებს, რომელთაც ინტერპრეტაციული ხასიათი აქვთ.

აუდიტორიის ფრეიმები ეხმარება ხალხს შინაარსის აღქმაში. სვენსონის აზრით, აუდიტორიის წევრებს აქვთ რესურსები იმისა რომ შექმნან და გამოიყენონ ინტერპრეტაციული ფრეიმების ბევრი სახე და ერთი მესიჯი მრავალგვარად აღიქვან. საერთო ჯამში ფრეიმების გავლენა იზრდება თუ ის ემთხვევა საზოგადოების რწმენებს.

კომუნიკაციაში ფრეიმები „ყოველდღიურ ცხოვრებას ორგანიზებას უკეთებს“³⁹ და სხვადასხვა პოლიტიკურ საკითხს აქტუალურს ხდის და ამახვილებს ყურადღებას (Shah 2002). ზოგიერთი მეცნიერის მიხედვით, ფრეიმინგი, როგორც პროცესი ორი ნაწილისგან შედგება: ჩარჩოს „აგება“ და ჩარჩოს „შედგენა“, რომელშიც იგულისხმება თუ როგორ ურთიერთქმედებენ ერთმანეთთან მედიის მიერ შექმნილი ფრეიმები და საზოგადოების წარმოდგენები⁴⁰. ჩონგი (2007) ფრეიმის ოთხ ფაქტორს გამოყოფს: „ფრეიმის აგება“,

³⁹Tuchman (1978) Media theories.

⁴⁰ Claes H, Vreese, 2005. Pp 51

„ფრეიმის შედგენა“, „ფრეიმინგი–ინდივიდუალურ დონეზე“, „ჟურნალისტები, როგორც აუდიტორია“. აქედან გამომდინარე, ჩანს, რომ საზოგადოებას აქვს თავისი როლი, მას შესასრულებელი აქვს თავისი ფუნქცია.

ენტმენი (1993) მიიჩნევს, რომ ჩარჩოს აქვს რამდენიმე მიმართულება-ინფორმაციის გამცემი, მიმღები, ტექსტი, კულტურა. მისი აზრით, ყველა ეს კომპონენტი მოიცავს ფრეიმინგის პროცესის რამდენიმე საფეხურს. ჩარჩოს შედგენა, ჩარჩოში ჩასმა, სოციალური და ინდივიდუალური შედეგები.

ქლაესისა და ვრისის (2005) მიხედვით, ფრეიმინგის პროცესი რამდენიმე ფაზისგან შედგება: ფრეიმინგი ნიუსრუმში, რომელზეც შიდა ფაქტორები (სარედაქციო პოლიტიკა, ახალი ამბების გაშუქებისას არსებული ღირებულებები, ასევე გარე ფაქტორები, შემდეგ - ფრეიმები თვითონ ახალ ამბებში - ზოგადი და სპეციფიკური ფრეიმები, დასკვნითი საფეხურია ფრეიმინგის ეფექტი - ინფორმაციის ეფექტები, დამოკიდებულებისა და ქცევითი ეფექტები.

ენტმანის (Entman,1991) განმარტებით, ფრეიმის ორი დონე არსებობს. პირველია გონებაში გამჭადარი პრინციპები და მეორე - ახალი ამბების ტექსტის პარამეტრები. ფრეიმინგი არის მეთოდი, რომლის საშუალებითაც ჟურნალისტები არჩევენ და განსაკუთრებული ხაზგასმით გამოყოფენ კონკრეტულ მოვლენებს ინფორმაციის მომზადებისა და მისი საზოგადოებისათვის მიწოდების პროცესში. ფრეიმინგი მიუთითებს იმაზე, თუ როგორ არის სტრუქტურირებული საკითხები და მოვლენები და რა შინაარსობრივი დატვირთვა ენიჭება მათ. ფრეიმის გამოყენება გულისხმობს რეალობის აღქმის ზოგიერთი ასპექტის შერჩევას და მათ გამოკვეთას ტექსტის კომუნიკაციის პროცესში, იმისთვის, რომ მოხდეს კონკრეტული პრობლემის განსაზღვრა, მიზეზ - შედეგობრივი ინტერპრეტაცია, მორალური შეფასება და/ან რეკომენდაციის განწვევა აღწერილი საკითხისადმი მიდგომის შესახებ (გვ. 52). ახალი ამბების ფრეიმები შედგება და ხორციელდება ძირითადი სიტყვების, მეტაფორების, კონცეფციების, სიმბოლოებისა და ვიზუალური

გამოსახულებების მეშვეობით, რომელიც გამოკვეთილად წარმოჩენილია ახალი ამბების თხრობისას (Entman, 1991). გოფმანი ამტკიცებდა, რომ ნებისმიერი მოვლენის აღწერა შესაძლებელია მასზე ფოკუსირების გზით, რომელიც მოიცავს ფართო ან ვიწრო გაგების მნიშვნელობას. ფრეიმი ნიშნავს ადამიანის ინდივიდუალური გამოცდილების ორგანიზებას. თაჩმანი (1978) აღნიშნავდა, რომ ფრეიმინგი ინფორმაციას ხდის საზოგადოებისთვის შესამჩნევს, აღქმადს და გასაგებს. ედელმანი (Edelman, 1993) განმარტავს, რომ საზოგადოების მიერ სოციალური სამყაროს ბუნების შეცნობა დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ ხდება სამყაროს შესახებ მონოღებული მინიშნების წარმოდგენა და ინტერპრეტირება: „ეს მინიშნებები ძალზედ დამახინჯებული იქნებოდა, ჩვენს გონებას მათთვის კონკრეტული შინაარსი რომ არ მიენიჭებინა, რაც ხორციელდებოდა მცირე რაოდენობაზე ყურადღების კონცენტრირებითა და უმრავლესობის იგნორირებით, ასევე, ყურადღების ქვეშ მოქცეული მინიშნებების სპეციალურ კატეგორიაში განთავსებით“. ფრეიმისა და ფრაიმინგის ეფექტის შესწავლისას გამოყოფენ ფრეიმის ხუთ სახეს: (1) პასუხისმგებლობის დაკისრება; (2) კონფლიქტი; (3) ადამიანის ინტერესები; (4) ეკონომიკური შედეგები; (5) ეთიკა. ფრეიმინგის ეფექტის შესწავლისას ედემ (Aday, 2006) გადაამოწმა ორი ტიპის ფრეიმი: ლობირებისა და ობიექტურობის. ედემ ლობირების ფრეიმი განმარტა, როგორც ცალმხრივი, გადანწყვეტილება ზეორიენტირებული და/ან დამაფიქრებელი კონსენსუსი. ლობირების ფრეიმი უფრო მეტად ჩნდება საგარეო პოლიტიკის, სოციალური მოძრაობებისა და სამოქალაქო კამპანიის საკითხების გაშუქებისას. ობიექტურობის ფრეიმი წარმოადგენს ორივე მხარის ნარატივს და/ან დგება დამოუკიდებელი მედიასაშუალების პოზიციაზე. ისინი ყველაზე ხშირად გამოიყენება ჩვეულებრივ, ეპიზოდურ ახალ ამბებში.

იმის მიუხედავად, რომ მასმედიის ეფექტები კითხვის ნიშნის ქვეშ დგას, ნებისმიერი ორგანიზაციის ხელმძღვანელი მაინც ცდილობს საკუთარ აუდიტორიაზე ზეგავლენის მოხდენას. ასეთი შედეგები მიიღწევა სელექციისა და ფრეიმინგის გამოყენებით. ბოლ-როკიჩი და ცანტორი (1986) ამბობდნენ, რომ ყველგან, სადაც მასმედია არსებობს, მისი

ძალაუფლება რამდენიმე ადამიანის ხელშია, რომლებიც აკონტროლებენ მედიის შინაარსს. ამ მექანიზმების (ფრეიმინგი და სელექცია) გაგების გარეშე შეუძლებელია გავიგოთ იმ მესიჯების ფარული შინაარსი, რომელსაც მედია აწვდის საზოგადოებას.

შინაარსის შესახებ გადანწყვეტილებები ორ მთავარ კრიტერიუმს ეყრდნობა 1) სელექცია - აქვს ამ საკითხს შანსი რომ აუდიტორიამდე მივიდეს? და 2) ფრეიმინგი - როგორ უნდა წარმოვადგინოთ კონკრეტული საკითხი.

ამ შემთხვევაში, საკვლევ თემას განვიხილავთ ფრეიმინგის თეორიულ ჩარჩოში. მნიშვნელოვანია არამხოლოდ აუდიტორიამდე მიღწეული მასალა, არამედ ის, თუ როგორაა კონკრეტული ინფორმაცია წარმოჩენილი. ამის შესახებაც გადანწყვეტილებებს მედიასაშუალების მუშაკები იღებენ. გარდა ამისა, ფრეიმინგის პროცესზე გავლენას ახდენს დროითი და სივრცის შეზღუდვები. მედიასაშუალებებს არ აქვთ შესაძლებლობა რომ ყველა ინფორმაცია ერთნაირი სტანდარტით გააშუქონ. ზოგიერთი ამბავი უფრო მეტად და ნათლადაა გაშუქებული, ვიდრე სხვები.

„ფრეიმი წარმოადგენს ცენტრალურად ორგანიზებულ იდეას ან ისტორიას, რომელიც საზოგადოების ყურადღებას მიმართავს ერთი ვიწრო საკითხისადმი, ფრეიმი აუდიტორიას ამბის მთავარ საკითხზე ფოკუსირებას სთავაზობს“⁴¹ „ფრეიმინგი ნიშნავს რეალობის ცალკეული ასპექტების წინ წამოწევას, რაც, თავის მხრივ, რიგი პრობლემების გამოკვეთას, დეფინიციას, მიზნ-შედეგობრივ ინტერპრეტაციას, შეფასებასა და რეკო-მენდაციას გულისხმობს“⁴²

მედიისთვის ფრეიმინგი არის მეთოდი, რითიც მედია რეალობის სოციალურ კონსტრუქციას ქმნის, ფრეიმინგის დროს ჩარჩოში ხვდება ამბის მხოლოდ გარკვეული ნაწილი, ის ნაწილი რასაც მედია, სხვადასხვა მიზეზის გათვალისწინებით, მნიშვნელოვნად მიიჩნევს, ამბის დანარჩენი ნაწილი კი, ამ ჩარჩოს გარეთ, ანუ პრესის ფურცლებსა და ტელე-ეთერის მიღმა რჩება (ჯეიმსონი და ვალდმენი, 2003) „ფრეიმინგი

⁴¹ჯეიმსონი და მოდილიანი (1987) გვ.143

⁴²ენტმანი 1993, გვ.52

ესაა, შეარჩიო ამბის გარკვეული ასპექტები და გახადო ის უფრო მნიშვნელოვანი საკომუნიკაციო ტექსტი “

ფრეიმინგის თეორია იდეალურად ერგება აღნიშნულ კვლევას. მისი გამოყენებით შესაძლებელია დაჯგუფებული რეკლამების მიხედვით წარმოვაჩინოთ ისიც, თუ როგორი ჩარჩოა შექმნილი მედიასაშუალებებში, როგორი ფრეიმები არსებობს ქართულ რეკლამებში და რას ექცევა ყურადღება იმისთვის რომ საზოგადოება, როგორც მიმღები, მარტივად აიყოლიოს ნანახმა თუ მოსმენილმა.

3. კანონმდებლობა

საქართველოში რეკლამა 1998 წლიდან რეგულირდება საქართველოს მარეგულირებელი კანონის მიხედვით. კანონმდებლობიდან წარმოდგენილი მაქვს ის მუხლები, რომელიც უშუალოდ უკავშირდება კვლევაში გამოყენებულ რეკლამებს, რათა უფრო თვალსაჩინო იყოს ქართული მასკულინური რეკლამების არალეგიტიმურობა.

საქართველოს კანონმდებლობა რეკლამის შესახებ შედგება საქართველოს კონსტიტუციის, საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და შეთანხმების, ამ კანონისა და საქართველოს სხვა საკანონმდებლო და ნორმატიული აქტებისაგან.⁴³

მუხლი 4(6) აკრძალულია არასათანადო რეკლამის განთავსება და გავრცელება. იგი ჩადენილი ქმედების, საზოგადოებრივი საშიშროების ხარისხისა და ხასიათის შესაბამისად იწვევს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ პასუხისმგებლობას.

მუხლი 4 (9) რეკლამა არ უნდა უბიძგებდეს მოქალაქეებს ძალადობის, აგრესიისა და ქაოსისაკენ, არ უნდა მოუწოდებდეს მათ საშიში ქმედებისაკენ რომელსაც შეუძლია ზიანი მიაყენოს ადამიანის ჯანმრთელობას, ან დაემუქროს მის უსაფრთხოებას.

მუხლი 14. არასრულწლოვანთა დაცვა რეკლამის წარმოების, განთავსებისა და გავრცელების დროს რეკლამის წარმოების, განთავსებისა და გავრცელების დროს

⁴³საქართველოს კანონი რეკლამის შესახებ-მიღებულია 1998 წლის 18 თებერვალს. (www.matsne.gov.ge)

არასრულწლოვანთა გულუბრყვილობისა და გამოუცდელობის ბოროტად გამოყენებისგან მათი დაცვის მიზნით აკრძალულია: ა) არასრულწლოვანთათვის შთაგონება- დაარწმუნონ მშობლები ან სხვა პირები რეკლამირებადი საქონლის შეძენაში. ბ) არასრულწლოვანთან ყურადღების მიპყრობა იმაზე, რომ რეკლამირებადი საქონლის ფლობა უპირატესობას ანიჭებს მათ სხვა არასრულწლოვანთა მიმართ, ხოლო მისი უქონლობა იწვევს საწინააღმდეგო ეფექტს.

დანერილი და შექმნილი კანონების გარდა, საქართველოში არსებობს და ფუნქციონირებს საქართველოს სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახური, რომელსაც აქვს უფლება გამოითხოვოს ყველანაირი ინფორმაცია რეკლამის შემქმნელებისაგან და რეაგირება მოახდინოს რეკლამის დარღვევის დროს ყველა შესაბამისი უწყების დახმარებით. აქვს უფლება დააკისროს ადმინისტრაციული სახდელი.

საქართველოს სახელმწიფო მონოპოლიურმა სამსახურმა 2014 წლიდან აღადგინა მუშაობა, თუმცა გამოქვეყნებული ანგარიშების და განთავსებული ინფორმაციების მიხედვით მასკულინურ რეკლამასთან დაკავშირებულ დარღვევებზე აქცენტი არ არის გაკეთებული.

4. კვლევის დიზაინი

4.1 კვლევის მიზანი და ამოცანები.

კვლევის მიზანია გავხადოთ თვალსაჩინო მასკულინური რეკლამების ეფექტები და გამოვარკვიოთ თუ რა გავლენას ახდენენ სოციალური როლები ჩამოყალიბებაში.

დასახული მიზნის შესაბამისად დასმულია შემდეგი ძირითადი ამოცანები:

- 1) მოძიებული რეკლამების სისტემატიზაცია და კონტენტ ანალიზით- მასკულინური რეკლამების გამოყოფა, პერიოდის, თემატიკის, სპეციფიკის, განვითარების ეტაპების მიხედვით.

- 2) გამოვიკვლიოთ პროფესიონალების შეხედულებები მასკულინური რეკლამების გავლენის შესახებ, სადაც გენდერული თვალაზრისით იქნება განხილული (დარღვევების მიხედვით)
- 3) ვიკვლიოთ არის თუ არა დარღვევების შემთხვევაში საჩივრები დანერგილი და რა რეაქციები მოყვა აღნიშნულს, როგორც უფლებადამცველების მხრიდან, ასევე პასუხისმგებელი კომპანიების- პიროვნებების მხრიდან.

4.2 კვლევის ჰიპოთეზები

ჩემი ვარაუდით, მიუხედავად იმისა, რომ ქალთა მოძრაობა საკმაოდ აქტიურია საქართველოში და დიდ გავლენას ახდენს საზოგადოებაზე, აქტიურად აწვდის ინფორმაციას გენდერული თანასწორობის შესახებ, სხვადასხვა კომპანიები მაინც ქმნიან პროდუქტს - რეკლამას, რომელიც აცდენილია თანასწორობის იდეას.

საკვლევი ამოცანების შესაბამისად შემუშავებულია შემდეგი ჰიპოთეზები.

- 1) ქართული მასკულინური რეკლამები უხეშად არღვევენ გენდერული თანასწორობის იდეას. მამაკაცი წარმოდგენილია ქალთან შედარებით სოლიდური და საქმიანი ვიზუალით, ძლიერი და პროდუქტიული.
- 2) მასკულინური რეკლამები გავლენას ახდენენ სტერეოტიპების გამყარება-ჩამოყალიბებაში. „ქალი ვიცი კუხნაში“, „ქალს საჭესთან რა უნდა“, „კაცი ოჯახში შემომტანია“, ოჯახში კაცია მთავარი“.
- 3) ქართული მასკულინური რეკლამები დიდ როლს თამაშობენ სოციალური როლების გადანაწილება-ჩამოყალიბებაში. მედია გვევლინება როგორც ცხოვრების დღის წესრიგის მაჩვენებელი და გვაჩვენებს „ჭეშმარიტ“ გზას, თუ რა არის „სწორი“, რა „არასწორი“.

4.3 შერჩევა

კვლევა ჩატარდა 2016 წლის იანვრიდან, 2017 წლის მარტამდე.

რეკლამების სრული რაოდენობა 88, აქედან მასკულინური რეკლამის რაოდენობა 46. წარმოდგენილი რაოდენობიდან შერჩეულია ის 20 რეკლამა, რომელიც ყველაზე ყურებადია და მაღალი სიხშირით დათვარა ტელეკომპანია „იმედის“, „მაესტროს“, „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ და „რუსთავი 2“- ის ეთერი.

რეკლამები დამუშავდა ფრეიმინგის თეორიაში არსებული 4 ეტაპის მიხედვით. 1) კომუნიკატორი, 2) ტექსტი, 3) მიმღები, 4) კულტურა. თითოეული ეტაპი, თავისთავად,

შედგება ინდიკატორებისაგან, რომელიც საბოლოო ჯამში გვაძლევს ერთ მთლიან სურათს.

სიღრმისეული ინტერვიუები ჩატარებულია 6 ექსპერტთან - მათგან 3 უფლებადამცველია, რომელიც აქტიურად მუშაობს გენდერულ საკითხებზე, 1 ქალთა მოძრაობის წევრი და 2 მოქმედი მარკეტერი, რომელიც გენდერული თემატიკის სარეკლამო კამპანიაზე მუშაობენ.

სიღრმისეული ინტერვიუების კითხვები დაყოფილია კატეგორიებად პროფესიული გამოცდილებიდან გამომდინარე, თუმცა ძირითადი ბლოკებია:

1. სექსისტური რეკლამების პრობლემები, კერძოდ მასკულინური რეკლამების პრობლემები.
2. სტერეოტიპები და სოციალური როლები
3. ქართული მასკულინური რეკლამების პრობლემატიკა, გამოწვევები.
4. რეკლამის მომავალი და რეკომენდაციები.
5. საჩივარი და რეაგირება

5. კვლევის ძირითადი შედეგები:

5.1. რეკლამების კონტენტანალიზი

დღეს, ქართულ მედიასივრცეში, 1 საათიან გადაცემაში 4 ჭრა გვაქვს 5-10 წუთის ქრონომეტრაჟით, რაც ინფორმაციის მიღების თვალსაზრისით საკმაოდ დიდ დროს წარმოადგენს. ნაჩვენები გამოსახულება ხდება მიმბაძველი საზოგადოებისთვის და ის რასაც თვალი აღიქვამს, შემდგომ უკვე ცხოვრებაშია გადატანილი. ამას მონშობს გამოთქმები „რეკლამაში ორია“, ბავშვების მიერ აკვირებული გაუაზრებელი მელოდიები სხვადასხვა რეკლამებიდან და სხვ.

ჩემი კვლევის სირთულე ის იყო, რომ თითქმის 1 წლიანი არქივი ონლაინ სივრცეში სარეკლამო ჭრებით არ მოიპოვება, ტელევიზიებმა კი უარი განაცხადეს არქივთან წვდომაზე, რადგან ეთერში გასული რეკლამების სიხშირე და მათი სხვადასხვა ტელევიზიებში განთავსება დამოკიდებულია უშუალოდ დამკვეთზე, რომელიც ხელშეკრულების პირობებს საჯაროს არ ხდის. რეკლამების მოსაძიებლად მივმართე marketer.ge-ს რომელიც, თითქმის ყოველთვის, პირველი ანთავსებს რეკლამას საკუთარ საიტზე და საკმაოდ დიდი ბაზა აქვს შექმნილი.

რეკლამის კვლევა შინაარსობრივ ასპექტებზე ამახვილებს ყურადღებას და მეორეხარისხოვანია მისი რაოდენობრივი მხარე. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ მხოლოდ რეკლამის გადაღება არ არის საკმარისი, ის უნდა გავიდეს ეთერში და რაც უფრო ხშირია საინფორმაციო ბადეში კონკრეტული რეკლამის განთავსება, უფრო ჯდება მესხიერებაში. რაოდენობრივი დატვირთვა პირდაპირპროპორციულად აისახება ადამიანის ქვეცნობიერში დაბინადრებასთან. დამკვეთებს სურთ საკუთარი კომპანიის რეკლამა იყოს რეიტინგულ ტელევიზიებში, შესაბამისად, თითოეულ მათგანს ვხვდებით ისეთ ტელევიზიებში როგორცაა “რუსთავი2”, “იმედი”, “მაესტრო”, “საზოგადოებრივი მაუწყებელი”. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ რამდენიმე ტელეარხზეც კი თავსდება ერთიდაიგივე კომპანიის რეკლამა, რათა საზოგადოებისათვის უფრო დასამახსოვრებელი გახდეს. შერჩეული რეკლამები აღნიშნულ ტელევიზიაში გასულია არანაკლები 140-ისა თვეში, რაც იმის თქმის შესაძლებლობას გვაძლევს რომ რაოდენობრივად საკმარისია რეკლამა, რომ მივიღეს საზოგადოების გარკვეულ ნაწილამდე.

კვლევაში მოხსენიებული რეკლამები დავყავი ჯგუფებად: სასმელი და საკვები პროდუქტები, ფინანსები, სპორტი, გართობა, მშენებლობა, საზოგადოება.

სასმლის და საკვები პროდუქტების ჯგუფში გაერთიანდა ლუდის რეკლამები შემდეგი კომპანიებიდან: „ნატახტარი“, „ზედაზენი“ და „სვიანი“.

კომპანია „ნატახტარის“ რეკლამები, რომელიც აქტიურად იყო ჩაშვებული „იმედის“ და „რუსთავი 2“-ის ეთერში, რეკლამის შინაარსიდან და შექმნილი კადრებიდან გამომდინარე მასკულინურია. მთავარი მოქმედი პირები მამაკაცები არიან, რომლებიც სპორტის დიდი გულშემმატკივრობით გამოირჩევიან. რეკლამების მთავარი არსი ის არის, რომ ლუდის მოყვარული საზოგადოებაა შეკრებილი, მხოლოდ მამაკაცები ქალების გარეშე. ლატენტურ მესიჯად შესაძლოა ჩაითვალოს ის, რომ იქ სადაც ლუდით მხიარულობენ ქალის ადგილი არ არის, რომ ლუდი ვერ იქნება ქალთა საზოგადოებისთვის. „ნატახტარის“ ერთ რეკლამაში გვევლინებიან მამაკაცები, რომლებიც დასაქმებულები არიან და ჩართული საზოგადოებრივ საქმიანობაში, ხოლო მეორე რეკლამაში, ქალი ასრულებს მიმტანის როლს. მიმტანი შეიძლება იყოს ყოფილიც მამაკაცი. თუმცა ქალის სხეული ამ რეკლამაში გამოყენებულია მხოლოდ დაქვემდებარებულ პიროვნებად, რომელსაც საზოგადოებაში აქტიურად მოღვაწე მამაკაცის/მამაკაცების მომსახურება ეკისრება. კვლევაში გამოყენებული ორივე რეკლამა, გარდა იმისა, რომ პროდუქტის ბრენდის პოპულარიზაციას ემსახურება, ასევე ნათლად არის კადრებით წარმოდგენილი ისიც, რომ ქალის როლია მამაკაცის კომფორტის შექმნაზე იყოს ორიენტირებული. ხოლო მამაკაცი წარმოჩენილია ისე, თითქოს მან ეს კომფორტი და ლუდი დაიმსახურა სამსახურეობრივი მოვალეობის კარგად შესრულების გამო. რეკლამებში გამოყენებული ეფექტებია მამაკაცების კარგი განწყობის ამსახველი კადრები, ფეხბურთელების სხეული, რომელიც ჯანსაღი ცხოვრების წესით მაცხოვრებელთათვის იდეალურ სხეულად აღიქმება. ხმა- რეკლამის შემადგენელი კომპონენტი, რომელიც რეკლამის მთავარ მესიჯებს უსვამს ხაზს.

ლუდი „სვიანი“-ს სარეკლამო კამპანია მოკლემეტრაჟიან სერიალს გავს. რეკლამა მოხვდა ტელეკომპანია მაესტროს ეთერშიც. რეკლამათა ერთობლიობაში აღწერილია მთავარი მოქმედი გმირის - ლევანის ცხოვრების კადრები, თითოეულ სერიაში მისი ახალი დღეა ნაჩვენები, და მეგობრები, რომლებიც საბოლოოდ ერთად იკრიბებიან. აღსანიშნავია, რომ ქალის როლი რეკლამაში ნაჩვენებია ახალი სასიყვარულო

თავგადასავლისთვის, თუმცა მთავარ პერსონაჟს- ლევანს საკმაოდ დამღლევი, კარიერულად მზარდი სამსახური აქვს, ის სამსახურში იმდენად იღლება, რომ სახლში მისულს მხოლოდ ლუდის და ფეხბურთის ყურება შეუძლია. სასიყვარულო თავგადასავალსაც კი ურჩევნია ლუდი. ერთ-ერთი მესიჯი შესაძლოა ჩაითვალოს ისიც, რომ ქალს „მამაკაცებისთვის“ შექმნილი პროდუქტი ჯობს. ლევანის დამოკიდებულება სამსახურთან მიმართებაში კი ასე ჩანს: მუშაობს იმიტომ, რომ განტვირთვა მეგობრებთან ერთად კომფორტულ გარემოში მოიწყოს, რომელიც მისი სამეგობროსთვისაც იდეალურია. სერიებად შეკრული ლუდის რეკლამა ლევანის მეგობრების ისტორიებსაც აერთიანებს. მათი საქმიანობა ხელოვნებას და არქიტექტურას უკავშირდება. რეკლამის მიხედვით, მეგობრებისთვის უმთავრესი ფული, ლუდი, ერთად ყოფნა და ფეხბურთის ყურებაა. რეკლამებში მასკულინური ეფექტები მრავლადაა გამოყენებული, პირველ რიგში მამაკაცების სამსახურს ექცევა დიდი ყურადღება და სამოსს, რომელიც მათ საქმიანობას - კარიერულ სფეროს ნათლად წარმოაჩენს. სხეულის და ვიზუალის გარდა დიდ ეფექტს ახდენს ხმა- ტექსტი, რომელიც კადრებს პარალელურად მიყვება. ყვება ისტორიას, რომელიც კიდევ უფრო განმამტკიცებელია მთავარი როლის შემსრულებლებისთვის თუ რამდენად მნიშვნელოვანია სამსახური და კარიერა.

სასმლის და საკვები პროდუქციის ჯგუფში მოხვედრილ მასკულინურ რეკლამებს არც კომპანია „ზედაზენი“ ჩამოუვარდება. რეკლამა წარმოდგენილი იყო ტელეკომპანია „მაესტროს“ ეთერში. სცენარში მთავარი როლის შემსრულებლები მამაკაცები არიან. პირველ შემთხვევაში ახლადგამოლვიძებული მამაკაცი ცდილობს ლუდი იპოვოს, ძებნაში ჩართულია ცოლი, რომელსაც ბავშვი ყავს ხელში აყვანილი. ქალის როლი - როგორც დიასახლისი და მზრუნველი. ცდილობს ყურადღება მიაქციოს შვილსაც და მეუღლესაც დაეხმაროს, მაგრამ მამაკაცი მხოლოდ ლუდზეა ორიენტირებული და სხვა დანარჩენი მისთვის მეორეხარისხოვანი ხდება. მისი ვიზუალი და ქალის როლი რეკლამაში აჩვენებს იმ სოციალურ როლებს, რომელიც ოჯახშია გადანაწილებული. სცენარის მიხედვით წარმოდგენილი კადრები, პერსონაჟთა ქცევა და ურთიერთობები პირდაპირ აისახება

ტელეეკრანებთან მჭიდროდ ოჯახებზე, რომლებიც ლუდის ძიების პროცესში მსგავსად გადაინანილებენ მოვალეობებს. „სარკის ეფექტი“ ამ შემთხვევაში გამართლებული ვიზუალური ეფექტია შექმნილი.

შემდეგ სცენარში კი ახალგაზრდები ორიენტირებული არიან გართობაზე. მამაკაცი, რომელიც ლუდით ხელში შედის სპორტის ქომაგთა გარემოცვაში ეუბნებიან რომ ფეხბურთი დასრულდა, მაგრამ მთავარი ის არის რომ კარგი ლუდი აქვს. რეკლამაში მთავარი ის არის, რომ მაყურებელმა ნახოს მამაკაცის ცხოვრებაში, თუნდაც მან ვერ მოახერხოს თამაშის ყურება, მთავარია ჰქონდეს ლუდი და სხვა არაფერი. რეკლამაში ეფექტები გამოყენებულია ძირითადად სხეულის იმიჯით. მთავარი მესიჯი კადრში ნაჩვენებია სხეულით არის ის, თუ როგორ უნდა გამოიყურებოდეს ადამიანი, რომელმაც ყველაზე მნიშვნელოვანი რამ გამოტოვა, მაგრამ შეუძლია ბედნიერი იყოს. აღსანიშნავია ის, რომ სპორტის ქომაგებშიც კი არ არის ქალის როლი წარმოდგენილი. ლუდის და ფეხბურთის შექმნილია მამაკაცების კომფორტისა და გართობისათვის.

მესამე ეტაპის სცენარის მთავარი როლის შემსრულებელი თავისთავად, მამაკაცია, რომლისთვისაც გართობა ცხოვრების წესია. რეკლამაში მთავარი აქცენტი ლუდზეა, რომელიც ყველა სიტუაციას უხდება. რეკლამა სტერეოტიპულ მიდგომაზეა აგებული. ქალის როლი ჩანს მხოლოდ სამზარეულოში საჭმლის კეთების პროცესში, ხოლო მამაკაცი მთელი დღის განმავლობაში მხოლოდ გართობაზეა ორიენტირებული. რეკლამა, რომელშიც მამაკაცი დამოუკიდებელ პიროვნებად არის წარმოდგენილი სტერეოტიპებს ამყარებს იმასთან დაკავშირებით, რომ ქალი მას უნდა კვებავდეს, შესაბამისად სამზარეულოში უნდა ფუსფუსებდეს. რეკლამაში წარმოდგენილი კადრების მიხედვით, შიძლება დანამდვილებით ითქვას რომ, მამაკაცისთვის მნიშვნელოვანია დასვენება, რადგან უფრო პროდუქტიული იყოს სამუშაო გარემოში, ამიტომ ქალმა უნდა შეუქმნას იდეალური გარემო სახლშიც, სადაც დღის გარკვეულ ნაწილს ატარებს.

ფინანსების ჯგუფში შედის საბანკო-საფინანსო, მიკროსაფინანსო ორგანიზაციების რეკლამები. მასკულინურ რეკლამებში მოხვდნენ როგორც ბანკები, ასევე მიკროსაფინანსო ორგანიზაციებიც. „ტერაბანკი“ გამოირჩევა რეკლამით, რომელიც სტერეოტიპებით გაჯერებული სცენარის მიხედვით არის გადაღებული. რეკლამაში ნაჩვენებია ქალი სხვადასხვა ამპლუაში, თუმცა ყველა მათგანი სახლშია წარმოდგენილი. ბინის კედლების გარეთ არ გადის, დიასახლისობს. მამაკაცი ბრუნდება სამსახურიდან ქალი კი ვახშამს ახვედრებს. მასკულინური რეკლამის ეფექტი რეკლამაში არის როგორც სახლში სამსახურიდან დაბრუნებული მამაკაცის ვიზუალი, სხეული, სტატუსმორგებული იმიჯი, ასევე ხმა, რომელიც რეკლამას ყველა კადრზე მიყვება და ხსნის, ბანკის როლს ოჯახურ იდილიაში. 1) მამაკაცი სახლში ბრუნდება, ქალი ოჯახში ხვდება. 2) ქალი საჭმელს ამზადებს, ხოლო სამსახურიდან მოსული, დაღლილი მამაკაცი საჭმელს მაგიდასთან ელოდება. 3) წვიმა იწყება და ქალი აივანზე სარეცხს ხსნის. სტერეოტიპული მიდგომაა ის, რომ ოჯახური იდილია, იდეალური ოჯახი არის ქალი სამზარეულოში, ხოლო მამაკაცი, წარმატებული, დასაქმებული, ვიზუალურად წარმოსადეგი პიროვნება, რომელსაც „ოჯახში შემომტანის“ სტატუსი აქვს მინიჭებული.

რეკლამებში სტერეოტიპული მიდგომებით არც მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „ამიკა“ ჩამორჩება. რეკლამა ასახავს ქართული ქორწილის ხარჯებთან დაკავშირებულ მდგომარეობას. ორი მეგობარი, რომელიც საკუთარ წარმატებაზე საუბრობს, ქორწილში მთავარი როლის შემსრულებელს მეჯვარეობას სთხოვს, თუმცა მას ახსენდება, რომ ქორწილში მეჯვარედ ყოფნა დიდ ხარჯებთანაა დაკავშირებული. რეკლამაში წარმოდგენილი ეფექტები რომელიც უკავშირდება მასკულინობას არის ის, რომ ვიზუალურად წარმოჩენას და თავის მოვლას დიდი დრო და თანხა სჭირდება. მთავარი აქცენტი გადატანილია სამოსზე, რომელმაც იდეალური იმიჯი უნდა შეუქმნას ქორწილში მისულ პერსონაჟს. რეკლამა გვთავაზობს იმ სტანდარტებს, რომლითაც ქორწილში ყოფნისას არის გასათვალისწინებელი. მაგალითად, პიჯაკი და პერანგი. რეკლამაში ნაჩვენებია ისიც, რომ ქორწილი დიდ თანხებთან არის დაკავშირებული, რაც მორგებულია

ქართულ რეალობას და იმ გარემოს, რომელსაც ქართულ ქორწილებში ვხვდებით. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ქალის როლი არც რეკლამაშია წარმოდგენილი და არც ქორწილის დაგეგმვის დროს. ჩანს ის, რომ მამაკაცია ფინანსურად პასუხისმგებელი ყველანაირ ხარჯებში. წარმოდგენილი რეკლამა იდეალურად გადმოსცემს ფრაზას - „კაცს მეტი მოეთხოვება“.

„რაგბი ჩვენი თამაშია“- სპორტული რეკლამა, რომელიც თითქმის ყველა მედია საშუალებაში აქტიურად ტრიალებდა. მთავარი მოქმედი გმირები არიან მამაკაცები, რომლებიც ვიზუალურად წარმოაჩენენ სხეულს. მთავარი ეფექტი ნავარჯიშები, დაკუნთული სხეულია. რეკლამა დაფუძნებულია ემოციებზე, თუმცა შედგება წვრილი ელემენტებისგან. მინი სცენები, სადაც მამაკაცები სხვადასხვა სამსახურეობრივ მოვალეობებს ასრულებენ, რაგბის თამაშის ქომაგობისთვის ემზადებიან. შესაძლოა ერთი შხედვით რეკლამის ნახვის დროს სტერეოტიპული მიდგომა ვერ შეინიშნოს, მაგრამ მინი სცენა, რომელიც სამზარეულოშია გადაღებული, ქალის ხელი ჩანს, რომელიც სამზარეულოში მოთავსებული პატარა ტელევიზორის წინ მზარეულობს, საჭმელს აკეთებს. ქალის როლის გადამეტებულად შემცირების და მამაკაცების სხეულის ჩვენების გამო, რეკლამა განიხილება როგორც მასკულინური და სტერეოტიპულ მოტივებზე აწყობილი, რომელსაც შეუძლია დიდი გავლენა იქონიოს ემოციური ფონის გამძაფრების საფუძველზე სოციალური როლების გადანაწილებაში. რეკლამის მესიჯად შეიძლება მივიღოთ ის, რომ სტადიონზე ქომაგობა შეუძლიათ მამაკაცებს, ხოლო რადგანაც ქალის ადგილი სამზარეულოშია, პატარა ტელევიზორით მიეცეთ საშუალება მათაც უგულშემეტკივრონ მატჩს.

გართობის ჯგუფში თავი მოიყარეს კაზინოებისა და ბავშვთა გასართობი ცენტრის რეკლამებმა. მასკულინური და სტერეოტიპული რეკლამების ლიდერად „აჭარაბეთის“ რეკლამების დასახელება შეიძლება. მთავარი როლი მამაკაცს უკავია, ქალი მისთვის მხოლოდ გართობის საშუალებაა და როგორც საჩუქარი ისეა წარმოდგენილი. სახლში მყოფი მამაკაცი აღებს კარებს, სადაც ხვდება ხალხი, რომლებიც ზრუნავენ მის

კომფორტზე. რაც მთავრდება სასიამოვნო სიურპრიზით-ტორტიდან ამოდის ქალი მერლინ მონროს ფორმაში გამოწყობილი. ამით ნაჩვენებია მამაკაცის კომფორტი, სადაც ქალის როლი მხოლოდ ის არის, რომ მამაკაცის საჩუქარია. „აჭარაბეთის“ კიდევ ერთი რეკლამა აგებულია მამაკაცის ისტორიაზე, რომელიც გასაუბრებაზე მეორე შანსს გამოიყენებს. მასკულიური რეკლამის ეფექტების დანახვა აღნიშნულ რეკლამებში მის ვიზუალში და ქცევაშია, რომელიც გარკვეულწილად აზარტული საზოგადოებისათვის შესაძლოა გახდეს გზა, რომელსაც მარტივად გამოიყენებს რეალურ ცხოვრებაშიც. საზოგადოება მოითხოვს მივიდეს იმ სტანდარტებამდე, რომელიც რეკლამაშია ნაჩვენები. მონერიგებული ვიზუალის მამაკაცი, რომელსაც გაუმართლა ცხოვრებაში, მისი წარმატების ფორმულა ის არის, რომ ფიზიკურად კარგად გამოიყურება და მისი მთავარი ნიშაც სწორედ ესაა. თავისთავად, დიდ როლს ასრულებს ტექსტი, რომელიც თან ერთვის რეკლამებს და მაყურებელს უბიძგებს მეორე შანსის გამოყენებაზე, რომელიც საკმაოდ აზარტულ თამაშად აქცევს ცხოვრებას.

მასკულიური რეკლამის ტიპს არ ჩამოუვარდება მთაწმინდის პარკის რეკლამა დევიზით „ისუნთქე სუფთა ჰაერი“, რომლის მთავარი მიზანია საზოგადოებას მოუწოდოს ქალაქგარეთ ბუნებაში გასვლისაკენ. რეკლამაში კი მთავარი როლის შემსრულებელი პიროვნება არის მამაკაცი, რომელიც გამოდის რუტინული სამუშაოდან. აცვია პერანგი, უკეთია ჰალსტუხი - ეს ვიზუალი კი უქმნის იმიჯს, რომ მას სოლიდური სამსახური აქვს. მამაკაცი სამსახურიდან გადაღლილი კარის მიჯახუნებით გამოდის, დაღლისგან და რუტინისგან გამწარებული ჰალსტუხს იხსნის, შემდეგ დასასვენებლად მიეშურება. მიუხედავად იმისა, რომ მთაწმინდის პარკში განთავსებულია ატრაქციონები და ბავშვებისთვის სხვადასხვა გასართობი კუთხეა მოწყობილი, რეკლამაში ქალის და ბავშვების როლი საერთოდ არ არის. რაც იმის თქმის საშუალებას გვაძლევს, რომ მამაკაცები, რომლებიც ძალიან იღლებიან სამსახურში, რათა წინსვლას მიაღწიონ ცხოვრებაში დასვენება სჭირდებათ. დასვენება სჭირდებათ მხოლოდ მათ, რადგან რუტინას გაეცნენ და უფრო პროდუქტიულები გახდნენ.

რაც შეეხება ბავშვთა გასართობი ცენტრის- „ჯინო ჯუნიორის“ რეკლამებს თითოეული რეკლამა წარმოდგენილია ოჯახური სიტუაციებიდან. რეკლამები აგებულია პატარა სერიების სახით. მთავარი აქტორები არიან ბავშვები, რომლებიც ოჯახის საქმეებში ეხმარებიან უფროსებს. დედას სახლის დალაგებაში, ბაბუას გაზეთების კითხვაში, ხოლო მამას ფეხბურთის ყურების დროს თასის ჩიტვებით შევსებაში. ბავშვების ქცევა გამოწვეულია იმით, რომ სურთ დაბადების დღის ცენტრში გადახდა და ამიტომ კარგად იქცევიან, ანუ იქცევიან ისე, როგორც უფროსებს სურთ. რეკლამებში ახალგაზრდა მამაკაცები წარმოდგენილი არიან როგორც სპორტის გულშემმატკივრები, რომლებიც თავისუფალ დროს ტელევიზორთან ატარებენ ფეხბურთის ყურებაში. ბავშვებიდან გოგოს მამისთვის და მისი ძმაკაცისთვის სხვა ოთახიდან შეაქვს ჩიტვებით სავსე თასი. აღნიშნულ რეკლამაში მდებარეობითი სქესი, ასაკის მიუხედავად, ასრულებს მამაკაცებისთვის კომფორტის შექმნის ფუნქციას. მას სხვა დატვირთვა არ გააჩნია. დედის როლი საერთოდ არ არის გამოყენებული აღნიშნულ რეკლამაში.

„ჯინო ჯუნიორის“ შემდეგ რეკლამაში ბავშვების ქცევა გამოხატულია კვლავ ერთი მიზნის გამო. ოჯახის უფროსს უკითხავენ გაზეთებს. სცენარი კი შემდეგნაირად ვითარდება: პირველი კადრი იწყება ქალის როლიდან, რომელიც სახლს ალაგებს, ხოლო მამაკაცი და ბავშვები მაგიდის გარშემო სხედან. ქალის როლი აღნიშნულ რეკლამაში კვლავ ოჯახშია, მისი მოვალეობა სისუფთავის, იდილიის შექმნაა. მამაკაცი, რომელიც რეკლამაში გვევლინება, აცვია სოლიდურად, იმ ეფექტით, რომ სამსახურიდან ახალი მოსული და დაღლილია, იმდენად დაღლილი, ურჩევნია ბავშვებმა წაუკითხონ გაზეთები. მიუხედავად იმისა, რომ რეკლამა ემსახურება ბავშვების გართობა- დასვენებაზე ინფორმაციის გავრცელებას, მასში გამოყენებული კადრები და ნაჩვენები გარემო სტერეოტიპულად არის მიწოდებული საზოგადოებისათვის, რაც თავისთავად გავლენას მოახდენს როგორც ბავშვებზე, ასევე მოზარდებზე. პირდაპირ არის ნაჩვენები როგორ უნდა მოიქცე უფროსი ოჯახის წევრების მოსაწონად, რომ მიიღოს დაბადების დღის საჩუქარი.

მთლიანად მამაკაცის ხოვრებაზეა მორგებული სამშენებლო კომპანიები „ემ კვადრეტი“ და „დირსი“. „ემ კვადრეტის“ რეკლამაში მთავარი როლის შემსრულებელი მამაკაცია, რომელსაც სოლიდურად აცვია, დარწმუნებულია საკუთარ თავში, რომ სახლის გასაღები რომელიც მიიღო, დამსახურებულად ეკუთვნის, რადგან თავდაუზოგავად შრომობდა მაშინ როდესაც სხვებს ეძინათ, მუშაობდა მაშინაც როდესაც სხვები ერთობოდნენ, მუშაობდა მაშინაც როდესაც სხვები ისვენებდნენ. კარიერული წინსვლის და დაუღალავი შრომის შემდეგ მან მშვიდად ცხოვრება დაიწყო. მისი ქცევა, მოძრაობა, სამოსი, ყველაფერი ეს არის ის ეფექტი, რომელიც გვაჩვენებს, თუ როგორი სტანდარტი უნდა გვექონდეს დაწესებული როდესაც სამსახურებრივ წარმატებას მივალწევთ. აღნიშნულ რეკლამაში ქალის დატვირთვა მხოლოდ ის არის, რომ ყვება ინფორმაციას, საუბრობს ბევრს, თუმცა ქალის სხეულიდან მხოლოდო ტუჩებია გამოყენებული. ეს იმას ნიშნავს, რომ ქალს მხოლოდ საუბარი შეუძლია, და მისი გამოჩენა სხვა დატვირთვით საჭირო არ არის. ქალი ვერ იქნებოდა ისეთი წარმატებული როგორც ეს მამაკაცი, რადგან მას ეძინა, როდესაც მთავარი პერსონაჟი მუშაობდა. მასკულიზაცია მთავარი როლის შემსრულებელს ყველა მინი კადრში მიყვება, რაც არამხოლოდ მისი ვიზუალის და ქცევებიდან გამომდინარეობს, არამედ ტექსტი გამოყენებული მესიჯებით კიდევ უფრო უმყარებს საფუძველს გამოჩნდეს, როგორც იდეალური პიროვნება.

სამშენებლო კომპანია „დირსი“-ს რეკლამა გვიყვება წყვილის ისტორიას იმ დღიდან როდესაც მშობლემბა ქალიშვილი გაათხოვეს და ქმართან საცხოვრებლად გაუშვეს. რეკლამა სრულიად სტერეოტიპულ მიდგომას ეფუძნება: გოგოს ათხოვებ, ქალებს უხარიათ გათხოვება, მხოლოდ ქალები ტირიან სიხარულის ცრემლებით. მამაკაცები კი ნაჩვენები არიან პიროვნებებად, რომლებსაც შეუძლიათ დამოუკიდებლად შეიძინონ ბინა და შემდგომ ცოლიც შეირთონ, რადგან ისინი დასაქმებულები არიან ისეთ სამსახურებში, რომელიც დიდ გამოცდილებას და წარმატებას მოუტანთ. რეკლამაში მთავარ როლს ასრულებს მთხრობელი, რომელიც ახლადშექმნილ ოჯახს თან დაყვება, როგორც დამხმარე და კომფორტის შემქმნელი. მისი ტექსტი, ქცევები, ხმა, არის საზოგადოებისთვის

იმის მაჩვენებელი, რომ დარწმუნებულია საკუთარ თავში და კომფორტზე ორიენტირებული, მამაკაცი ჩანს როგორც ყოვლის შემძლე, რომელმაც დაზუსტებით იცის, როდის რა გჭირდება. მის ძლიერ მხარედ სწორედ ეს დარწმუნებული საუბარი და ჯელტმენური ქცევები გვევლინება. ხაზს უსვამს საკუთარ გამოცდილებას და ქვეით, ქმედებით მის შეურყეველ ხასიათზე მიანიშნებს.

ბოლოს, „26 მაისი, ეს დღე ჩვენია“- რეკლამა შექმნილია საზოგადოებისათვის. კადრში ნაჩვენებია ძლიერი ადამიანები, რომლებმაც წარმატებას წლების განმავლობაში საკუთარ თავზე მუშაობით მიაღწიეს. კადრში ნაჩვენებია ყოველი პიროვნება გვევლინება გმირად. აღსანიშნავია ის, რომ სოციალურ რეკლამაში მამაკაცები ჭარბობენ. მაშინ როდესაც საქართველოში საკმაოდ ბევრი სამხედრო ქალია, შეიძლებაოდა რეკლამაში მათი გამოყენება ისე, რომ წარმატებულ მამაკაცთა რიგებს მეტი ქალი შემატებოდა. მაშინ როდესაც გვყავს პარაოლიმპიადელი ოქროს მედალოსანი, მსოფლიო ჩემპიონი ქალი, შესაძლებელი იყო წარგვედგინა საზოგადოებისთვის როგორც წარმატებული ქალი - გმირი, რომელმაც არაერთი ტრამვის მიუხედავად ძალიან დიდ წარმატებას მიაღწია. რეკლამაში მამაკაცების როლები სწორედ მასკულინური ეფექტებითაა წარმოდგენილი: ხმა, ქცევა, ქმედება, საქმიანობა. შესაძლოა ითქვას ის, რომ პროფესიებში, რომელსაც მამაკაცები აღწერენ რეკლამაში გამოენებული უკანა ფონის მიხედვით, წარმატებას მხოლოდ მამაკაცები აღწევენ. სფერო რომელშიც ისინი მონაწილეობენ, მამაკაცებისთვისაა შექმნილი. რეკლამა „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ და „იმედის“ ეთერში 26 მაისამდე საკმაოდ ხშირად გადიოდა. ყოველ დღე, თითქმის ერთი საათის 2 სარეკლამო ჭრაში.

განხილული რეკლამების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, შეგვიძლია გამოკვეთილად დავინახოთ სხვადასხვა კომპანიების მიერ შექმნილ პროდუქტში, თითქმის ყოველი მეორე რეკლამა მასკულინური და სტერეოტიპებზე აწყობილი სცენარებია. გენდერული რეკლამის შექმნა შესაძლოა არ ეფუძნებოდეს მოთხოვნას საზოგადოებაში, რადგან თუ არ არის მიწოდება, ვერ იქნება მოთხოვნა. თავისთავად, არ არის გასაკვირი ქართული

მასკულინური რეკლამების არსებობა და ამ რაოდენობით წარმოდგენა, რადგან ჯერ კიდევ პატრიარქალურ საზოგადოებაში, სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფებში, ოჯახებში, ვხვდებით გადანაწილებულ როლებს, რომელიც შესაძლოა ჰგავდეს ტელევიზიით ნანახს.

განსაკუთრებულ გავლენას საბავშვო კონტენტზე გათვლილი რეკლამები ახდენენ, რადგან ასაკის მიხედვით მათი გონება, სწორედ ამ დროს ისრუტავს ყველა იმ ინფორმაციას, რასაც გარკვეული დოზით იღებს. ბავშვები, რომლებიც რეკლამებს გასართობად აღიქვამენ, იმასოვრებენ არა მხოლოდ ტექსტს, მუსიკას, არამედ იმ ქცევას, რომელსაც მედიასაშუალება „მოკლემეტრაჟიან ფილმად“ სთავაზობს. პირდაპირ ცხოვრებაში გადააქვთ ის, რასაც ხედავენ. მაგალითად „ჯინო ჯუნიორის“ რეკლამა, ზუსტად არის მანიშნებელი იმის, თუ როგორ უნდა მოიქცე, როდესაც გინდა დაბადების დღე გადაგიხადონ, ან გაერთო. დედას მიეხმარო სახლის დალაგებაში, მამას და ბაბუას მოემსახურო და შენიშვნა არ დაიმსახურო. ქცევა, რომელიც რეკლამით არის ნაჩვენები პირდაპირპროპორციულად აისახება ბავშვების ქცევაზე.

მოზარდები, რომლებიც აღნიშნულ რეკლამებს უყურებენ სწავლობენ თუ როგორ უნდა გამოიყურებოდნენ ცხოვრებაში, თუ სურთ, რომ წარმატებულები იყვნენ. სხეული, სამოსი, მიმიკა, ყველაფერი სწავლებადია და მოაქვს გამოცდილებას, გარემოებებს, სადაც ხარ. რეკლამაში გამოყენებული სცენარები გარკვეული ასაკობრივი ჯგუფებისთვის ხშირად ერთგვარ „სასწავლო მასალადაც“ გვევლინება. შედეგად კი ვიღებთ თაობას, რომელიც უყურებს ყოველივეს და იმეორებს. უყურებს და არამხოლოდ ცხოვრებაში იმეორებს, არამედ თვითონაც მსგავსი შინაარსის პროდუქტის შექმნას ცდილობს.

5.2 თვისებრივი კვლევის ანგარიში - გენდერული თანასწორობის საკითხებში

ექსპერტებისა და მარკეტერების შეფასებების ანალიზი:

როდესაც კვლევაში სიღრმისეული ინტერვიუებისთვის ექსპერტთა გამოკითხვა დავინწყე, მათთან საუბრისას და კითხვაზე, თუ როგორ შეიძლება პრობლემის მოგვარება, რათა აღარ დაგვხვდეს ტელევიზორის ჩართვისას სექსისტური მესიჯები, უფლებადამცველებმა

აღნიშნეს მარკეტერების როლი. შესაბამისად, კვლევაში გამოკითხულია ის მარკეტერები, რომლებიც აქტიურად მუშაობენ რეკლამის შექმნაში და ასევე ჩართული არიან სხვადასხვა პროექტებში, რომელიც იქმნება გენდერული თანასწორობისთვის.

აუცილებლად უნდა გავუსვათ ხაზი იმას, რომ გარკვეულ დისკრიმინაციულ მოქმედებებს წინ ყოველთვის უძღვის გარკვეული სიტყვიერი, სტერეოტიპული შესავალი. შესაძლოა ეს ვილაცას გამოხატვის თავისუფლებად და განსხვავებულ შეხედულებად მიაჩნდეს, მაგრამ სწორედ ამ სტერეოტიპებიდან იწყება დისკრიმინაციისაკენ მიმავალი ძალიან რთული გზა. ამ სტერეოტიპების კვლავწარმოება დაკავშირებულია არამხოლოდ რეკლამებთან, არამედ გარკვეულ ტელეგადაცემებთან, საიდანაც ხდება სწორედ ამ სტერეოტიპების აღდგენა და მიწოდება საზოგადოებისთვის. ძალიან ხშირად ყოფილა მედია დამაზიანებელი საზოგადოების გარკვეული ჯგუფებისთვის, თუ პიროვნებებისთვის, რომელიც სტერეოტიპების და დისკრიმინაციის მსხვერპლი იყო და კიდევ უფრო ხელი შეუწყო ამ ჯგუფების დისკრიმინირებას. განსაკუთრებით, ეს ეხება ქალთა უფლებებს და ქალთა უფლებების გაუმჯობესებას. დღეს, საქართველოში გავლივართ იმ ეტაპს, რომელიც დასავლეთმა და ამერიკამ გაიარა დაახლოებით ერთი საუკუნის წინ. ამ ეტაპის გავლის გარეშე თითქმის შეუძლებელია შეიცვალოს დამოკიდებულებები და ის ღირებულებები დამკვიდრდეს ჩვენში, რომელიც მისაბაძი ქვეყნებიდან მოდის.

უფლებადამცველი ანა აბაშიძის თქმით, ქართული მედია სივრცე დღეს გამოირჩევა არაეთიკური და სტერეოტიპული ქვეტექსტებისგან შექმნილი პროდუქტისგან. *„ხანდახან მედიაში ნაჩვენებია არის ქვეტექსტი, ხან კი პირდაპირ მიწოდებული ტექსტები, რომელიც დაუფარავად შიკავენ დისკრიმინაციულ შეხედულებებს და დაუფარავად აწვდიან საზოგადოებას ამ სახის ინფორმაციას.“*

„ჩვენი პასუხი ამ ყველაფერზე არის ის, რაც ჩვენ შეგვიძლია. სიტყვისა და თავისუფლების გამოხატვის ნაწილში ვერ ავუკრძალავთ სტერეოტიპული შეხედულებების გავრცელებას, როდესაც ისინი პიროვნებები არიან, მაგრამ როდესაც მედიის მხრიდან ხდება ამგვარი

გადაცემების დაგეგმვა, ხშირ შემთხვევაში სტერეოტიპული შეხედულებების გავრცელება, ჩვენ მივმართავთ ეთიკის ქარტიას, რადგან გვაქვს, საბედნიეროდ, ქვეყანაში ეთიკის მარეგულირებელი კანონები. არსებობდა რამდენიმე რეკლამა, რომელიც სახალხო დამცველის აპარატში განიხილეს, სწორედ ქალების როლთან დაკავშირებით და ომბუდსმენმა დაადასტურა რომ ნამდვილად შეიცავდა სტერეოტიპების გამავრცელებელ ელემენტებს და გამოყენებული იყო ქალთა მიმართ დამაკნინებელი მესიჯები“.

ანა აბაშიძემ აღნიშნა ისიც, რომ ადრე რეაგირება არ ხდებოდა სტერეოტიპული შეხედულებების კვლავნარმოებაზე, თუმცა დღეს საზოგადოების მგრძობელობა არის გაცილებით მაღალი, არცერთი ინფორმაცია არ რჩება რეაგირების გარეშე, თუ საზოგადოება თვლის, რომ არ არის გენდერულად სამართლიანი.

ხშირად ამბობენ, რომ საზოგადოებაში მოთხოვნაა ნახოს ისეთი რეკლამა რომელიც სტერეოტიპებზეა დაფუძნებული, ქალი ტრადიციულად სამზარეულოში, მამაკაცი სამსახურში. ამ მოსაზრების მცდარობას ის უსვამს ხაზს, რომ რეაგირების გარეშე არ რჩება გენდერული რეკლამების კვლავნარმოება. საზოგადოება მზად არის იბრძოლოს ქალის როლის ამაღლებასა და მისი თავისუფლებისთვის. „ყოფილა შემთხვევა, როდესაც კომპანიამ მასკულინური რეკლამის შეთავაზება სცადა საზოგადოებისთვის, თუმცა უკუკავშირი და პროტესტი მიიღო საზოგადოებისგან. საზოგადოებას ჰქონდა სრულიად ჯანსაღი შეხედულება, სწორი მიდგომა და რეაგირებაც შესაბამისი იყო. თუ ბოლომდე არა, ძალიან არის დაძრული ყინული საზოგადოებაში თანასწორობისკენ, ამიტომ ვურჩევდი კომპანიებს, გადახედონ მარკეტინგულ პოლიტიკას და შეწყვიტონ დისკრიმინაციით და სტერეოტიპებით გაჯერებული პროდუქტის მიწოდება.“

უფლებადამცველი ბაია ჰატარაიას თქმით, საჩივარი დაინერა საქართველოს ბანკის „ქმარკომატის“- რეკლამაზე, რომელიც განიხილა ომბუდსმენმა. რეკლამა გრაფიკულადაა გამოსახული და იმ სტერეოტიპს ეფუძნება, რის მიხედვითაც ქალებს თავად ფულის შოვნა არ შეუძლიათ და კაცებზე არიან დამოკიდებულნი.

რეკლამა დღეს ხელმისაწვდომია საზოგადოების ყველა წევრისთვის, მათ შორის პატარებისთვის. მეორადი მესიჯები, რომელიც რეკლამებში სწორედ სტერეოტიპულ თუ დისკრიმინაციულ ელემენტებს ეფუძნება ილექება გონებაში და სხვადასხვა სახით თუ ქცევით ვლინდება სხენარის მსგავს გარემოში. მყარდება სტერეოტიპები ქალის როლზე, ქალის ხასიათზე, შესაბამისად კაცის როლსა და კაცის ხასიათზე.

„როდესაც პატრიარქალური საზოგადოება რეკლამაში ნაჩვენებია, ყოველთვის არის მამაკაცი წარმოჩენილი როგორც ყველაფრის ბატონ-პატრონი, ძლიერი, ჭკვიანი, შემოქმედი, წარმატებული. ხოლო ქალი წარმოდგენილია ან პირდაპირ როგორც ნივთი, მაგალითად „ელიტ-ელექტრონიკის“ რეკლამიდან, მანქანაში ჩატენილი ქალი, საახალწლო საჩუქრებიდან, ან ჰქონდეს ისეთი როლი რომ იყოს დიასახლისი და ასევე ხდება ყველაზე უარესი - სტერეოტიპების გამყარება და ქალი ასევე გამოყვანილია როგორც ძალიან ცუდი მძღოლი, რომელიც საჭესთან მანქანის მართვის გარდა ისვამს ტუჩსაცხს. ასეთი სახის რეკლამები არის დამანგრეველიც კი, იმ თაობისთვის, რომელიც ჩამოყალიბების პროცესშია.“

ბაია პატარაია აღნიშნავს იმასაც, რომ ტყუილია მოსაზრება თითქოს საზოგადოებას აქვს მოთხოვნა ამ სახის შინაარსის ინფორმაცია მიიღოს. მისი თქმით, არ არსებობს კვლევები, რომლის მიხედვითაც გამოვლინდებოდა საზოგადოებას როგორი, რა შინაარსის რეკლამა სურს. თვლის, რომ რეკლამა დამოკიდებულია შემკვეთზე, რადგან მას ჰგონია, რომ ეს არის სასაცილო და გასართობი, რითიც უფრო მეტად მიმზიდველი და პოპულარული გახდება საზოგადოებისათვის.

კერძო სექტორის გარდა, სადაც დამკვეთს და კომპანიას სრული უფლება აქვს მოიქცეს ისე, როგორც მას სურს და გადაიღოს ისეთი რეკლამა, როგორც სურს, საჯარო უწყებები მასკულინური ხასიათის რეკლამებით არ ჩამოუვარდებიან. ხშირია შემთხვევა, როდესაც ქალი გამოყვანილია როგორც სუსტი არსება, დიასახლისი, მეოჯახე, მზრუნველი დედა და ცოლი, რომლის ფუნქცია და მოვალეობა სახლში ყოფნა - დაუთოვება, რეცხვა და

საჭმლის კეთებაა. ბაია პატარაიას თქმით, რეკომენდაციებს და რჩევებს რეკლამის შექმნის დროს არაავინ ითხოვს. „როდესაც ომბუდსმენმა გამოსცა ბრძანება, რომლის მიხედვითაც ვალდებული ვახდენ კომპანიები ტრენინგები გაეწეოთ გენდერულ საკითხებში, რათა გაეღრმავებინათ ცონდა და თავიდან აეცილებინათ დისკრიმინაციული მესიჯების გავრცელება, ყველამ უყურადღებოდ დატოვა ეს ბრძანება. ერთადერთი რასაც ვამჩნევ არის ის, რომ საზოგადოება თავისი პატარა ჯგუფებით უფრო აქტიურადაა ჩართული პროტესტში.“

იურისტი, უფლებადამაცველი ირინა ჟვანია - რომელიც ძირითადად გენდერული თანასწორობის საკითხებზე მუშაობს, მასკულინური რეკლამების პრობლემებზე საუბრობს. „სოციალური როლები გარკვეული სტერეოტიპებით არის განპირობებული, ის როლები რაც საზოგადოებაში ქალს და მამაკაცს აქვს, სწორედ ამ მიდგომებით არის დამკვიდრებული. რეკლამები, რომელშიც კარგად არის შეფუთული როლები, თავისთავად ხელს უწყობს საზოგადოებაში არსებული სოციალური როლების გამყარებას. ასაკობრივი ზღვარის მიხედვით ხდება იმის განსაზღვრა გენდერული სტერეოტიპები ყალიბდება თუ მყარდება. მაგალითად, ბავშვების შემთხვევაში - გონებაში ილექება და ეს როლები ყალიბდება, მოზარდების და ზრდასრულების შემთხვევაში კიმყარდება. თავისთავად, ეს არ არის მხოლოდ რეკლამის ბრალი, ეს არის იმ საზოგადოების და გარემოს გავლენაც სადაც უწევს ცხოვრება. საუბარი არ არის მხოლოდ როლების გადანაწილებაზე და ქალის როლის დაკნინებაზე, აქ საუბარია იმაზეც, თუ რა ზეგავლენა შეიძლება ჰქონდეს მასკულინურ რეკლამებში ნაჩვენები სხეულის გაიდეალურებას ახალგაზრდა ბიჭებზე, რომლებიც აუცილებლად ეცდებიან მიბაძონ ნანახს და სასურველები გახდნენ ქალებისთვის. კვლევები აჩვენებს რომ ბავშვები რომლებიც მიჯაჭვული არიან ტელევიზორს უფრო სტერეოტიპულად აზროვნებენ, ვიდრე ის ბავშვები რომლებიც ამისგან თავისუფალნი არიან. ეს გამომდინარეობს იქედან, რომ მათ უკვე რაღაცები გამზადებული მიენოდებათ.“

არავინ დავობს იმაზე, რომ ქალები და მამაკაცები განსხვავებულები არიან, თუმცა რამდენად უნდა იყვნენ განსხვავებულები უფლებრივი თვალსაზრისის, საქმიანობის, თვითრეალიზების თვალსაზრისით - საკითხი ამას ეხება. უპირატესობის ჩვენება კიდევ უფრო მეტად გვაჩვენებს იმას, რომ ქალი მეტად დაქვემდებარებულია, სარგებლობს ნაკლები უფლებებით, უფრო მეტად შეიძლება საზოგადოებაში იყოს დისკრიმინირებული, ვიდრე მამაკაცი.

„არქიტექტურულ სტანდარტულ რეკლამებს აღარ ვაკეთებთ, თითქოს უფრო გვაქვს პრეტენზია ვიყოთ ცოტა უკეთესები და დავენიოთ ისეთ ქვეყნებს, რომლებიც საკმაოდ წინ არიან რეკლამებში სოციალური როლების თანაბრად წარმოჩენაში. ამერიკული და აზიური მასკულიზაცია ჩვენთან, ქართულ რეალობასთან ორივე ახლოსაა, ამიტომ შეიძლება ითქვას, რომ ჩვენ სადღაც შუაში ვართ. არსებობს არქიტექტურები, რომლებიც საზოგადოებაში არსებობს და შემდეგ არის გადატანილი რეკლამებში, და ასე ტრიალებს რეკლამიდან ცხოვრებაში და ცხოვრებიდან რეკლამაში.“ - მოსაზრებას გამოთქვამს ანა ნიკოლაძე, რომელიც გენდერული თანასწორობის თემაზე მუშაობს.

რა როლი აქვს რეკლამას? უბრალოდ ასახავს რეალობას თუ სტერეოტიპებს და თავსმოხვეულ, დისკრიმინაციულ სცენარებს წარმოაჩენს? მთავარი პრობლემა არის ის, რომ მხოლოდ ჩვენება არ გამოდის რეკლამაში, უნდა იგრძნობოდეს პასუხისმგებლობა მედიის მხრიდან. ხელს უწყობენ სტერეოტიპს, რომელიც აქამდე მოვიდა, გაგრძელდეს.

ანა ნიკოლაძე თვლის რომ პრობლემა იქნება მანამ, სანამ არ მოვრჩებით პროდუქციის და საქმიანობის ქალების და კაცებისთვის მიკუთვნებას. მაგალითად: ქალის საქმე, კაცის საქმე, ქალის საჭმელი, კაცის საჭმელი და ა.შ. *„არის ისეთი ასპექტებიც, როდესაც პროდუქტია ნაჩვენები, მაგალითად სარეცხის ფხვნილის შემთხვევაში. არ არის ნაჩვენები, რომ ქალი რეცხავს, თუმცა ნაჩვენებია, რომ ქალი ყიდულობს სარეცხ საშუალებებს, რაც იმას ნიშნავს, რომ ქალის საქმე და მოვალეობაა მისი გამოყენებაც. ოჯახში სოციალური როლების გადანაწილებაზე შესაძლოა არ ჰქონდეს გავლენა, მაგრამ არ უშლის ხელს*

საზოგადოებაში ეს სტერეოტიპები გაამყაროს. მასკულინური რეკლამები მეტწილად ახალგაზრდა მამაკაცებზე ახდენენ გავლენას, თუნდაც არქიტექტურის არსებობის შემთხვევაში, ჰყავთ საკუთარი კუმირი, და ეს კუმირი არის მისთვის იდეალური, მისაბაძი პიროვნება. რეკლამა გაძლევს თითქოს ფორმულას, თუ როგორი უნდა იყო, განვდის მზა გეგმას, რომელსაც შეგიძლია მიყვე.“

აღსანიშნავია ის, რომ სარეკლამო ინდუსტრია საკმაოდ განვითარებულია საქართველოში, რაც იმის შესაძლებლობას იძლევა რომ შექმნა რაღაც კრეატიული, ახალი და ეს იყოს ფორმულა საზოგადოებისთვის.

ექსპერტები აღნიშნავენ მარკეტერების როლს რეკლამის შექმნაში და თვლიან, რომ მანამ სანამ სექსისტები არ ჩამოშორდებიან ტოპ მარკეტინგის სფეროს, მანამდე არაფერი შეიცვლება. *„მარკეტინგში მუშაობენ ადამიანები, რომლებიც თავად არიან სტერეოტიპების ქვეშ მოქცეულები. მასკულინური რეკლამების წარმოება კი მანამ არ შეწყდება, სანამ ისინი არ გათავისუფლდებიან ამ შეხედულებებისგან.“ (ბაია პატარაია)*

რადგანაც ექსპერტთა ინტერვიუებიდან გამოიკვეთა მარკეტერების როლი, ამიტომ საინტერესო იქნება მათი მოსაზრებები, იმის შესახებ თუ რატომ იქმნება სტერეოტიპულად სავსე პროდუქტი საზოგადოებისთვის.

თამარ ბასილაია, რომელიც TWT WEST TRADING -ის მარკეტინგის დირექტორია და საკმაოდ დიდი გამოცდილება აქვს სარეკლამო კომპანიებში მუშაობის. ასევე აქტიურად იყო ჩართული გაეროს პროგრამაში, რომელიც მიზნად ისახავდა გენდერული თანასწორობის შესახებ ინფორმაციის გავრცელებას საზოგადოებაში, საკუთარი გამოცდილებიდან გამომდინარე გვიზიარებს და გვანვდის იმ ინფორმაციას, რაც პრობლემის საწყის ეტაპამდე მიგვიყვანს.

„როდესაც ვნახე კვლევა, რომელიც სამეგრელოში და კახეთშია ჩატარებული, არ მეგონა თუ ასეთი მდგომარეობა იქნებოდა. მაგალითად, როდესაც შვილები, ბიჭი და გოგო ჰყავს,

საქმე მიდგება მათ განათლებაზე და გადანყვეტილებაზე, თუ რომელი მათგანი გაავრძელებს სწავლას უმაღლესში, უმეტესობა ირჩევს ბიჭს და თვლის, რომ ქალის როლი გამრავლებაში მონაწილეობა და სახლში ყოფნაა შეილებთან, ხოლო ბიჭი მიიღებს განათლებას, იშოვის სამსახურს და არჩენს ოჯახს. ვერ წარმომედგინა, რომ ასეთი მდგომარეობა იქნებოდა საქართველოში. ჩვენი პროექტი ემსახურებოდა სტერეოტიპების დამსხვრევას, ამიტომ გავვლით ქუჩაში და დავინყეთ ყველაზე გამაღიზიანებელი სტერეოტიპების სტენსილების კეთება. ხალხში გამოიწვია გაღიზიანება, თვითონვე წითელი საღებავით ღებავდნენ და შეეწინააღმდეგნენ ამ სტერეოტიპებს. საკმაოდ ჯანსაღი რეაქცია მოყვა. ადამიანს უვითარებ გემოვნებას შენი რეკლამით და კომუნიკაციით, ამიტომ ძალიან მნიშვნელოვანია, თუ როგორ დავგვმაგ საზოგადოებასთან „სასაუბრო“ თემატიკას.“

თამარა ბასიალიას თქმით, მოსაზრება, რომ საზოგადოებაში არსებობს მოთხოვნა მიიღოს სტერეოტიპული ინფორმაცია, არის ტყუილი. მთავარი არის ის, თუ ვინ აჩვენებს და რამდენჯერ რეალობას. აუცილებელია საზოგადოებას მიეწოდოს ის ინფორმაცია, რომ ქალი ფქვილიანი ხელებით არ დაბადებულა. მთავარი არის ის, თუ ვინ არის მარკეტგში დამკვეთი. პროფესიულადაც არსებობს ისეთი მიდგომა, რომ მარკეტგში სულ გოგო თანამშრომლები აჰყავთ, თუმცა გადანყვეტილების მიმღებებად არიან ის ბიძები, რომლებიც საკუთარი კომპლექსებიდან გამომდინარე უკვეთავენ ისეთი პროდუქტის შექმნას, რომელიც მათ მოწონთ.

კაზინო „აჭარას“ მარკეტინგის დირექტორი, **გიორგი გვენეტაძე** დამკვეთის როლს და მის მოთხოვნას უსვამს ხაზს. მასკულინური რეკლამები ძირითადად გათვლილია სეგმენტზე, რომლებიც რეკლამის დამკვეთს მიაჩნია ტიპიურ მასკულინურ მომხმარებლად და სხვაგვარად ვერ წარმოუდგენია მათთან კომუნიკაცია.

„ხშირად მიდის ხოლმე პირდაპირი დაკვეთა სარეკლამო სააგენტოებში, სადაც სთხოვენ „აი ერთი შენი ჭირიმე, ისეთი რეკლამა მინდა აი, ელიავაზზე რომ მუშა დგას, მუშა, ეგ რომ

ნახავს და იტყვის, „ვაახ ჩემი კაი, ნავედი, უნდა ვიყიდლო“. შესაბამისად, მატერიალურ სამყაროში რეკლამის შემქმნელიც ხშირ შემთხვევაში ხუჭავს თვალს ყველანაირ ღირებულებასა თუ სექსიზმზე და ასრულებს დაკვეთას. სამწუხარო ისაა, რომ ხშირ შემთხვევაში, სწორედაც რომ მხოლოდ ამ სტილის კომუნიკაციით ბრენდი თავისი მასკულინური სეგმენტის ყურადღებას იქცევს, რაც შემდგომ გაყიდვებზეც აისახება და მარკეტინგის მენეჯერიც ერთი 200 ლარ პრემიას იღებს, რადგან ღირეფტორი კმაყოფილია. “(გიორგი გვენეტაძე)

„ჩემთვის რომ ეკითხათ, შევცვლიდი სლოგანს „ლუდი ნამღვილი მამაკაცებისთვის“, რატომ უნდა გაუსვა საერთოდ გენდერს ხაზი, აქციე ლუდი პროფესიისთვის, ნამღვილი კრეატორებისთვის, შემოქმედებისთვის, თუ მაინცდამაინც გინდა აჩვენო ის, რომ კონტიგენტი გყავს განსაზღვრული.“ (თამარ ბასილაია)

ქართული რეკლამის მომავალზე საუბრისას გამოიკვეთა ის, რომ საზოგადოებაში უნდა იყოს ცვლილებები, რომელიც შეიძლება ითქვას, რომ დაწყებულია. აღარავის სურს დაკნინებულად იგრძნოს თავი. მამაკაცები დამკვეთები, თუ რეკლამის შემქმნელები უნდა მოერიონ საკუთარ თავს, დაძლიონ კომპლექსები და გენდერული ნიშნების გარეშე წარმოაჩინონ საკუთარი კომპანიის პროდუქტები.

ოჯახში ძალიან მნიშვნელოვანია სოციალური როლების სწორად გადანაწილება, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც პატარა ბავშვები უყურებენ მშობლებს. აუცილებელია ამ პასუხისმგებლობის სწორად გადანაწილება, რომ არ მოხდეს გადაცდენა არცერთ უკიდურესობაში და ბავშვმა დაინახოს, რომ არ არსებობს ოჯახში ფიქსირებული ჭურჭლის მრეცხავი, ონკანის შემკეთებელი თუ დამძინებელი. შესაბამისად, არც რეკლამიდან და თანაც მაღალი სიხშირით, არ უნდა ნახულობდეს იმას, თუ როგორ არის გადანაწილებული სოციალური როლები. ბიჭი ისეთი ჩამოყალიბდება როგორი ცხოვრების სტილიც აქვს სარეკლამო სახეს. გოგო კი - როგორი რუტინაც აქვს რეკლამაში ნანახ ქალს.

დასკვნა

TSUKAYAMA, H. (2016.05.21). INTERNET ADDICTION IS COSTING YOUNG PEOPLE THEIR JOBS AND SOCIAL LIVES. Washington Post. (ბოლო ნახვა 10.05.2017)

Yin, R. (1994). Case Study Research: Design and Methods. Beverly Hills,. California: Sage .

Yin, R. K. (2003). Case study research: Design and methods (3rd ed.). CA.: Sage.

ზიმბარდო, ფ. (2009). ფსიქოლოგია და ცხოვრება,. თბილისი: სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი, თსუ-ს გამომცემლობა.

ზურაბიშვილი, თ. (2006). თვისებრივი მეთოდები სოციალურ კვლევაში. 16-24.

უზნაზე დიმიტრი. (2006). ზოგადი ფსიქოლოგია. თბილისი: საქართველოს მაცნე.

ქაფიანიძე, ე. (2014). მოქმედებს თუ არა კომპიუტერული თამაშები მოზარდის ემოციურ მდგომარეობაზე. 5-34.

ხეჩუაშვილი, ლ. (2003). პიროვნება: შესავალი პიროვნების ფსიქოლოგიაში. თბილისი.

დანართი # 1

ფიგურა 1 - რა დროს უთმობენ თამაშებს კვლევაში მონაწილე გეიმერები	37
ფიგურა 2 - ვინ უფრო მეტ დროს უთმობს თამაშს გოგონები თუ ბიჭები, კვლევაში მონაწილეთა აზრით.....	38
ფიგურა 3 - უთამაშიათ თუ არა მთელი ღამის განმავლობაში	38
ფიგურა 4 - გადაგიდიათ თუ არა მნიშვნელოვანი საქმე თამაშის გამო	39
ფიგურა 5- ჰქონია ემოციების კონტროლის პრობლემა თამაშში დროს ან მერე.....	39
ფიგურა 6 - გადმოუტანიათ ვირტუალურ თამაშში ნანახი რეალურ ცხოვრებაში.....	40
ფიგურა 7- შემთხვევათა ანალიზის მონაწილის დღის წესრიგი.....	44
ფიგურა 8 - შემთხვევათა ანალიზის მონაწილის შაბათ-კვირის დღის წესრიგი	45
ფიგურა 9- რაოდენობრივ კვლევაში მონაწილეთა ასაკი	50
ფიგურა 10 - რა დროს უთმობენ მოთამაშეები დღეში ვიდეოთამაშებს?	51
ფიგურა 11 - რა ტიპის თამაშებს ანიჭებენ უპირატესობას გოგონები/ბიჭები.....	52
ფიგურა 12 - ბიჭებზე უფრო მოქმედებს ვიდეოთამაშები თუ გოგონებზე	54

Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Social and Political Faculty

Ia Asatiani

The Influence of Online Video Games Effects in Adolescents

Mass Communication and Media Studies

The Thesis Submitted in partial fulfillment of the requirements for the degree of
Master of Mass Communication and Media Study

Supervisor: TSU Professor, Dali Osepashvili

Co-Supervisor: Katherine Basilaia

TBILISI

2017

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი

თათია კაკიაშვილი

ქალი პოლიტიკოსების იმიჯი ქართულ ტელემედიაში

მასობრივი კომუნიკაციის და მედიის კვლევის მიმართულება

ნაშრომი შესრულებულია აკადემიური ხარისხის - მასობრივი კომუნიკაციის
მაგისტრი მედიის კვლევებში - მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: პროფესორი მარიამ გერსამია

თბილისი, 2017წ.

ანოტაცია

თემის მიზანია დადგინდეს, თუ როგორ შუქდება ქართულ სატელევიზიო მედიასაშუალებებში ქალი პოლიტიკოსების საქმიანობა და როგორია ქალი პოლიტიკოსების პოზიციონირება ქართულ სატელევიზიო მედიაში და როგორია მათი იმიჯი. თემა აქტუალურია ბევრი გარემოებიდან გამომდინარე. მაგალითად, სულ უფრო ხშირად ვაწყდებით გარკვეულ სტერეოტიპებს მედიაში ქალთა საკითხების გაშუქებისას. ცხადია, თავის მხრივ, მედიაც ნაწილობრივ, ხელს უწყობს სტერეოტიპების ჩამოყალიბებას. ნაშრომში მიმოხილულია, თუ როგორია მედიის როლი გენდერული სტერეოტიპების ჩამოყალიბების პროცესში; რამდენად იყენებენ სატელევიზიო მედიასაშუალებები გენდერული ხასიათის სტერეოტიპებს ქალ პოლიტიკოსთა საკითხების გაშუქებისას და, აგრეთვე, აღნიშნული საკითხის გაშუქებისას სთავაზობს თუ არა მედია მაყურებელს გენდერულად დაბალანსებული რესპონდენტების მოსაზრებებს.

კვლევის მიზანს არ წარმოადგენს ქალი პოლიტიკოსების და მათი პოლიტიკური მიღწევების შედარება მამაკაც პოლიტიკოსებთან. იმის გასაანალიზებლად, თუ როგორ შუქდება ქალ პოლიტიკოსთა საკითხები ქართულ სატელევიზიო მედიაში, გამოყენებულია ფრეიმინგის თეორია, რომელიც საშუალებას იძლევა, დავაკვირდეთ იმ კონკრეტულ ფრეიმებს, რომლებიც მედიამ ქალ პოლიტიკოსთა საკითხების გაშუქებისას გამოიყენა. ნაშრომში კვლევის მეთოდოლოგიად შეირჩა კონტენტანალიზი. საერთო სურათის შესაქმნელად და იმისთვის, რომ შედარების საშუალება ყოფილიყო, საკვლევად შეირჩა რამდენიმე სატელევიზიო არხი: სამაუწყებლო კომპანია „რუსთავი 2“, ტელეკომპანია „იმედი“, საზოგადოებრივი მაუწყებელი - პირველი არხი და სტუდია „მაესტრო“. აღნიშნული მედიასაშუალებები შეირჩა მათი მაღალი რეიტინგის გამო, ეს რეიტინგი კი 2016 წლის ივნისის NDI-ის კვლევით დასტურდება.¹ წინამდებარე კვლევა საშუალებას იძლევა, დავინახოთ, როგორ გააშუქა მედიამ ქალ პოლიტიკოსთა საკითხები; რა

1 NDI, საზოგადოების განწყობა საქართველოში, 2016 წლის ივნისის კვლევის შედეგები ჩატარებული NDI-ის დაკვეთით CRRC-ს საქართველოს მიერ; მუდმივი ლინკი:

https://www.ndi.org/sites/default/files/NDI_June_2016%20poll_Public%20Issues_GEO_VFF%20%282%29.pdf გვ.72

ბოლო ნახვა: 08/07/2017

ფრეიმებით გაშუქდა კონკრეტული შემთხვევები; რამდენად ხშირად გაჟღერდა გენდერული ხასიათის სტერეოტიპები მედიასაშუალებებში საკვლევი საკითხების გაშუქებისას.

კვლევის შედეგები დახმარებას გაუწევს როგორც ჟურნალისტებს, ასევე საზოგადოებრივ ინსტიტუტებსა და სამოქალაქო სექტორის წევრებს.

Annotation

The aim of the topic is to determine how the work of women politicians is covered in Georgian TV media; what is the position of female politicians in Georgian TV media and what their images are. This theme is actual due to many circumstances.

Nowadays, we are increasingly finding some stereotypes in coverage of women's issues in the media. Obviously, the media also supports partial stereotypes. This work reviews what the role of media in the process of gender stereotypes is; how much do TV media use gender stereotypes in covering women policy issues and, as well as, covering the above issue, does the media offer suggestions for the gender-balanced respondents.

The aim of the research is not to compare women politicians and their political achievements with male politicians. To analyze how women's politicians are covered in Georgian media, the theory of framing is used, which allows us to observe those particular frames, which the media had used to cover women politicians. In this work, content analyze was selected as a research methodology. To create a common picture and to be able to compare, several TV channels have been selected: broadcasting company “Rustavi 2”, TV company “Imedi”, Public Broadcaster – Pirveli Arkhi and studio “Maestro”. These media outlets were chosen because of their high rating. This rating is confirmed by the NDI survey of June 2016. The following research allows us to see, how did media cover issues of women politicians; by which frames were covered the specific cases and how frequently gender stereotypes were reported while covering research issues in media outlets.

The results of the survey will help journalists, as well as public institutions and civil society members.

სარჩევი

თემის აქტუალობა.....	6
ლიტერატურის მიმოხილვა.....	8
ტერმინთა განმარტება.....	13
კვლევის მეთოდოლოგია.....	17
კვლევა.....	20
1. თინა ხიდაშელის თავდაცვის მინისტრად დანიშვნა.....	21
2. იუსტიციის სამინისტროს ოთხი წლის მუშაობის შეჯამება.....	28
3. ელენე ხოშტარას და თეა წულუკიანის დაპირისპირება.....	31
4. ქეთევან ციხელაშვილის ანგარიში პარლამენტს.....	44
5. თამარ კორძაიას „რესპუბლიკური პარტიის“ პოლიტიკურ მდივნად დანიშვნა.....	49
6. ნინო ბურჯანაძის საარჩევნო შეფასებები.....	55
დასკვნა.....	59
გამოყენებული ლიტერატურა.....	63
დანართი.....	67

თემის აქტუალობა

თემა აქტუალურია ბევრი გარემოებიდან გამომდინარე, მათ შორის საგულისხმოა ის ფაქტი, რომ XX-XXI საუკუნეებში ბევრ ქვეყანაში და, ზოგადად, მსოფლიო პოლიტიკურ ცხოვრებაში მეტად გამოიკვეთა ქალის როლი პოლიტიკასა თუ ბიზნესში, რაც ქალების შემდგომი „ემანსიპაციის“ დადასტურებაც არის.

საქართველოში ქალებმა საარჩევნო უფლება ჯერ კიდევ 1918 წელს მოიპოვეს. როგორც ანა კლდიაშვილის ნაშრომიდან („აღმოსავლეთის ქალები პოლიტიკაში“, 2016) ვკითხულობთ, „მე-20 საუკუნის ბოლოსთვის ქვეყნების 95%-ში ქალებს მოპოვებული ჰქონდათ საარჩევნო უფლებები, მაგრამ, მიუხედავად ამისა, 1998 წლისთვის მსოფლიო მასშტაბით პარტიების მხოლოდ 11%-ს ჰყავდა ქალი ლიდერი“.²

თავდაპირველად, თემის გავრცობამდე, საჭიროა, აღინიშნოს, საქართველოში როგორია ქალთა რიცხვი პოლიტიკაში. ამის შესახებ ცნობები „საპარლამენტათშორისო კავშირის“ (Inter-Parliamentary Union) ვებგვერდზე³ მოიპოვება. საპარლამენტათშორისო კავშირი პარლამენტების საერთაშორისო ორგანიზაციაა, რომელიც 1889 წელს დაარსდა. ორგანიზაციის მთავარი მიზანი ხალხთა შორის მშვიდობის და თანამშრომლობის, აგრეთვე, წარმომადგენლობითი დემოკრატიის მყარი დამკვიდრებაა. ამ მიზნით ორგანიზაცია ყველა ქვეყნის პარლამენტსა და პარლამენტარებს შორის კონტაქტის არსებობას, კოორდინაციას და გამოცდილების გაცვლას უწყობს ხელს. ასევე, მისი მთავარი მიზანია საპარლამენტო დემოკრატიისა და განვითარების მნიშვნელოვანი ფაქტორი - ადამიანის უფლებების დაცვა. საპარლამენტათშორისო კავშირი გაერთიანებული ერების ორგანიზაციასთან თანამშრომლობს და მის მიზნებს იზიარებს. კავშირი, ასევე, თანამშრომლობს ზემოთ აღნიშნული საერთო იდეის მქონე რეგიონულ საპარლამენტო ორგანიზაციებთან, ასევე საერთაშორისო სამთავრობათაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციებთან.

2 ანა კლდიაშვილი, „აღმოსავლეთის ქალები პოლიტიკაში“, 2016, გვ.20. მუდმივი ლინკი http://gtu.ge/bef/pdf/Doqtorantura/avtoreferatebi_2016/Soc-mecn_05.07.16/a.kldiaSvili.pdf ბოლო ნახვა 25/06/2017.

3 საპარლამენტათშორისო კავშირის ვებგვერდი, მუდმივი ლინკი - <http://www.ipu.org>, ბოლო ნახვა 25/06/2017.

საპარლამენტაშორისო კავშირის მიერ გამოქვეყნებულ მსოფლიო რეიტინგში⁴, რომელიც 2015 წლის 1 იანვრის მონაცემებს გვიჩვენებს, მხოლოდ 11.3%-ია ქალთა რიცხვი საქართველოს პარლამენტში და ამ მონაცემებით რეიტინგში 190 ქვეყანას შორის 106-ე ადგილს იკავებს. ცხრილში მოცემულია 7 ქვეყანა თავისი შესაბამისი მონაცემებით იმის შესახებ, თუ რამდენი ადგილია თითოეული ქვეყნის პარლამენტში; რამდენი ქალი პარლამენტარი ჰყავთ და ეს უკანასკნელნი პარლამენტში საერთო რაოდენობის რა პროცენტს შეადგენენ. ამ ცხრილის მიხედვით ირკვევა, რომ შვედეთის პარლამენტში 345 ადგილია; აქედან ქალ პარლამენტართა რაოდენობა 152-ია, რაც პროცენტულად 43.6%-ს შეადგენს. ფინეთის პარლამენტი 200-ადგილიანია; მასში 83 ქალი პარლამენტარია და პროცენტულად ეს 41.5%-ს უდრის. გერმანიის პარლამენტში 613 ადგილია, აქედან ქალები 230 ადგილს იკავებენ, რაც პროცენტულად 36.5%-ია. ინგლისის პარლამენტი 650-ადგილიანია, აქედან ქალ პარლამენტარებს 191 ადგილი უკავიათ, რაც 29.4%-ს უტოლდება. საფრანგეთის პარლამენტში 577 ადგილია, აქედან ქალებს 151 ადგილი უკავიათ და ეს პროცენტულად 26.2%-ის ტოლია. აშშ-ის პარლამენტი 433-ადგილიანია, აქედან 84 ადგილი ქალების უკავიათ, რაც პროცენტულად 19.4%-ს უტოლდება. რაც შეეხება საქართველოს, ჩვენი ქვეყნის პარლამენტი 150-ადგილიანია, მხოლოდ 20 ქალი პარლამენტარი გვყავს, რაც საერთო რაოდენობის 11.3%-ს შეადგენს.⁵

საქართველოს მთავრობის ვებგვერდიდან⁶ ირკვევა, რომ 17 სამინისტროდან მინისტრის პოზიციას იკავებს მხოლოდ ორი ქალი: თეა წულუკიანი (იუსტიციის სამინისტრო) და ქეთევან ციხელაშვილი (შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატი).

4 საპარლამენტაშორისო კავშირის ვებგვერდი, მუდმივი ლინკი - <http://www.ipu.org/english/whatipu.htm> , ბოლო ნახვა 25/06/2017.

5 საპარლამენტაშორისო კავშირი, ქალები ეროვნულ პარლამენტებში, მუდმივი ლინკი - <http://www.ipu.org/wmn-e/classif.htm> , ბოლო ნახვა 08/07/2017.

6 ცხრილი მომზადებულია საქართველოს მთავრობის ვებგვერდზე <http://gov.ge> -ზე დაყრდნობით.

საქართველოს პარლამენტის ვებგვერდზე⁷ ვკითხულობთ, რომ საქართველოს 150-ადგილიანი პარლამენტიდან ქალებს მხოლოდ 20 ადგილი უკავიათ.

გვერდს ვერ ავუვლით მედიის როლს გენდერული სტერეოტიპების ჩამოყალიბების საკითხში. აქტივისტებს და განმანათლებლებს შორის, დიდი ხანია, არსებობს ინტერესი მედიის მიერ გენდერული როლების თაობაზე უარყოფითი სტერეოტიპების დანერგვის შესახებ. მათი აზრით, მიუხედავად პოლიტიკური ცვლილებებისა, ტელევიზიაში გენდერული როლები ძველმოდურადაა ნაჩვენები. ეს საკითხი ორ კითხვას წარმოშობს: როგორ არიან წარმოდგენილნი კაცები და ქალები დღეს მედიის სივრცეში და რა გავლენა შეიძლება ჰქონდეს ამ საკითხს აუდიტორიაზე.⁸

ლიტერატურის მიმოხილვა

კვლევის მიზანია გაანალიზოს, როგორ აშუქებს ქართული სატელევიზიო მედია ქალ პოლიტიკოსთა საკითხებს; აგრეთვე, ნაშრომი იკვლევს, თუ როგორია ქალ პოლიტიკოსთა პოზიციონირება. ზოგადად, გენდერული საკითხების გაშუქებისას ამგვარი დაკვირვებისთვის ფრეიმინგის თეორიის გამოყენება ყველაზე რელევანტურია. როგორ და რა განსხვავებით გაშუქდა ქალ პოლიტიკოსთა საკითხები ქართულ სატელევიზიო მედიაში, ამის საუკეთესო ახსნას სწორედ ფრეიმინგის თეორია გვთავაზობს.

მედიასაშუალებებს არ აქვთ ფუფუნება, რომ ყველა ინფორმაცია ერთნაირი სტანდარტით გააშუქონ. ენტმანი და როჯესკი (Entman & Rojecki, 1993)⁹ ხსნიდნენ: **“ფრეიმინგის პროცესი მოიცავს რეალობის რომელიმე ასპექტის არჩევას და მისი ტექსტური გზით გადაცემას ისე, რომ ჩანდეს პრობლემა, კაუზალური ინტერპრეტაცია, მორალური**

7 ცხრილი მომზადებულია საქართველოს პარლამენტის ვებგვერდზე <http://www.parliament.ge> -ზე დაყრდნობით

8 ჯენინგს ბრაიანტი და მერი ბეტ ოლივერი, „მედიაეფექტები“, 2009. თავი წიგნიდან “გენდერული სტერეოტიპები“, გვ. 304. მუდმივი ლინკი - <https://www.scribd.com/doc/248068767/Jennings-Bryant-Mary-Beth-Oliver-Media-Effects-Advances-in-Theory-and-Research-2009> ბოლო ნახვა 25/06/2017

9 ბრაიან ბარესჩი, შიპ ჰსიენ ჰსუ, სტეფან რიზი, „ფრეიმინგის ძალა“, 2010. გვ. 639, მუდმივი ლინკი <https://journalism1.utexas.edu/sites/default/files/sites/journalism.utexas.edu/files/attachments/reese/baresch-hsu-reese-chapter.pdf> ბოლო ნახვა 25/06/2017

შეფასება და რეკომენდაცია”. იგი ასევე ამბობდა, რომ ფრეიმები ყურადღებას მიმართავენ რეალობის კონკრეტულ ასპექტებზე და ფარავენ სხვა ასპექტებს. ჯემისონი და ვალდმენი (Jamieson&Waldman, 2003)¹⁰ ამბობდნენ, რომ ფრეიმის (ჩარჩოს) ეპითეტი სწორედ ამიტომაც გამოყენებული. ის მოიცავს რაღაც ნაწილს და ჩარჩოს გარეთ ტოვებს სხვა დეტალებს.

სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ქართული სატელევიზიო მედიის რეალობიდან გამომდინარე, ფრეიმი არის ის იარაღი, რომლის მეშვეობითაც მედიასაშუალება ცდილობს, კომპლექსური საკითხი ერთ კონკრეტულ ჭრილში განიხილოს და შეზღუდულ საეთერო დროში გაუშვას. მედიის მიერ გავრცელებულ ინფორმაციას კი აუდიტორია უფრო მარტივად აღიქვამს. ეს აზრი გაიზიარა ტაჩმენმა - მისი თქმით, ახალ ამბებში ფრეიმინგი გამოყენებულია იმისთვის, რომ ახსნას მოვლენები მარტივად და გასაგებად. ის წერს, რომ ჩვეულებრივი ამბები ტრანსფორმირდა მოვლენებში და მოვლენები ტრანსფორმირდა ახალ ამბებში (Tuchman, 1978).¹¹ რეალურად ახალი ამბავი არის მხოლოდ ჩვეულებრივი მოვლენა, რომელსაც აუდიტორიის კარნახით რაღაც მნიშვნელობები მიენიჭება.

ენტმანის (Entman, 1991)¹² განმარტებით, ფრეიმის ორი დონე არსებობს. პირველია გონებაში გამჯდარი ფრეიმები; ხოლო მეორე - ახალი ამბების ტექსტის პარამეტრები. ჟურნალისტები გაუცნობიერებლად ქმნიან ფრეიმებს ამბების გადმოცემისა და ამ ამბების საზოგადოების მიერ განსახილველ მოვლენად გარდაქმნის დროს (Tuchman, 1978).¹³

10 ჯემისონი და ვალდმენი, „პრესის ეფექტები“, 2003, მუდმივი ლინკი

<https://global.oup.com/academic/product/the-press-effect-9780195173291?cc=ge&lang=en&#> ბოლო ნახვა 25/06/2017

11 დიეტრამ შოფელე, „ფრეიმინგი, როგორც მედიაეფექტი“, 1999, გვ. 105, მუდმივი ლინკი [http://www.phil-fak.uni-duesseldorf.de/fileadmin/Redaktion/Institute/Sozialwissenschaften/Kommunikations-und Medienwissenschaft/Vowe/Forschergruppe/Scheufele Framing theory media effects.pdf](http://www.phil-fak.uni-duesseldorf.de/fileadmin/Redaktion/Institute/Sozialwissenschaften/Kommunikations-und_Medienwissenschaft/Vowe/Forschergruppe/Scheufele_Framing_theory_media_effects.pdf) ბოლო ნახვა 25/06/2017

12 ენტმანი, „ფრეიმინგი: გახლეჩილი პარადიგმების დაზუსტდება“ (framing: toward clarification of a fractured paradigm), 1991, გვ.51, მუდმივი ლინკი: <https://www.unc.edu/~fbaum/teaching/articles/J-Communication-1993-Entman.pdf>, ბოლო ნახვა: 09/07/2017.

13 დიეტრამ შოფელე, „ფრეიმინგი, როგორც მედიაეფექტი“, 1999, გვ. 107, მუდმივი ლინკი [http://www.phil-fak.uni-duesseldorf.de/fileadmin/Redaktion/Institute/Sozialwissenschaften/Kommunikations-und Medienwissenschaft/Vowe/Forschergruppe/Scheufele Framing theory media effects.pdf](http://www.phil-fak.uni-duesseldorf.de/fileadmin/Redaktion/Institute/Sozialwissenschaften/Kommunikations-und_Medienwissenschaft/Vowe/Forschergruppe/Scheufele_Framing_theory_media_effects.pdf) ბოლო ნახვა 09/07/2017

ფრეიმინგი ნამდვილად მედიის ძალაუფლების ერთერთი წყაროა. ის გავლენას ახდენს ადამიანის აზრებზე, წარმოაჩენს კონკრეტულ ფაქტებსა და ღირებულებებს და უკუაგდებს სხვებს. ჯემისონი და ვალდმენი (2003) წერენ: **“ფრეიმები გვეუბნებიან, რა არის მნიშვნელოვანი, რაზე უნდა ვისაუბროთ და ვიკამათოთ. ჟურნალისტები ფრეიმების სახით ფორმირებას უწევენ ადამიანების აზრებს”**. ფრეიმები, ასევე, იმაზეც ახდენენ ზეგავლენას, თუ როგორ ინტერპრეტირებას მიანიჭებენ ადამიანები სხვადასხვა ინფორმაციას.

ჯენინგს ბრაიანტის და მერი ბეტ ოლივერის (2009) განსაზღვრებით, ფრეიმინგის ერთერთი სახეობა - აღწერითი ფრეიმინგია, რომელსაც შესაძლოა “ლომის წილიც” მივანიჭოთ. სწორედ აღწერითი ფრეიმინგი მოიაზრებს ისეთ მნიშვნელოვან დეტალებს, როგორებიცაა: როგორ შუქდება ამბავი; რა ინფორმაციაა მოწოდებული ფაქტის შესახებ; რა ფაქტებია გაანალიზებული და რა - გამოტოვებული. ასევე, ზოგადად და განსაკუთრებით ამ შემთხვევაში, საგულისხმოა ისეთი უმნიშვნელოვანესი საკითხები, როგორებიცაა: რომელი სურათები უნდა გადაიცეს ამბის გაშუქებისას, რა კადრები მოხვდება ეთერში. **„სურათები და გამოყენებული ენა შეიძლება უმნიშვნელოვანესი იყოს იმისთვის, რომ აუდიტორიამ მესიჯი სწორად გაშიფროს. ადამიანებისთვის ინფორმაციის ერთადერთი გზა სწორედ ის მედიასაშუალებაა, რომელსაც მიმართავენ“**. (გვ. 304)

განემი (Ghanem, 1997)¹⁴ წერდა, რომ ფოტოები, ციტატები, ჰედლაინები - ყველა ფრეიმინგის მექანიზმია. ეს არის ის საშუალებები, რომლებითაც ფრეიმები ხდება გამოყოფილი. განემის აზრით, ყველაზე ძლიერი ფრეიმინგის მექანიზმი თემის ხშირად გაჟღერებაა. ედელმანი (Edelman, 1993)¹⁵ განმარტავდა, რომ საზოგადოების მიერ სოციალური სამყაროს ბუნების შეცნობა დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ ხდება

14 დევიდ ვივერი, „დღის წესრიგის თეორია, ფრეიმინგი, პრაიმინგი“, 2006, გვ. 142, მუდმივი ლინკი <https://www.unc.edu/~fbaum/teaching/articles/J-Communication-2007-8.pdf>

15 სტეფან რიზი, ოსკარ გენდი, ავგუსტ გრანტი, „ფრეიმინგი საჯარო ცხოვრებაში“, 2001, გვ.124, მუდმივი ლინკი: [https://books.google.ge/books?id=LhaQAqAAQBAJ&pg=PA124&lpg=PA124&dq=edelman+\(1993\)+framing&source=bl&ots=91W0XxVD2O&sig=uQ94cA5-mG5mmFAFtsf0eGdZvOI&hl=ka&sa=X&ved=0ahUKEwjLnZaOnv3UAhWrB8AKHRGhDSAQ6AEIPjAE#v=onepage&q=edelman%20\(1993\)%20framing&f=false](https://books.google.ge/books?id=LhaQAqAAQBAJ&pg=PA124&lpg=PA124&dq=edelman+(1993)+framing&source=bl&ots=91W0XxVD2O&sig=uQ94cA5-mG5mmFAFtsf0eGdZvOI&hl=ka&sa=X&ved=0ahUKEwjLnZaOnv3UAhWrB8AKHRGhDSAQ6AEIPjAE#v=onepage&q=edelman%20(1993)%20framing&f=false) ბოლო ნახვა: 09/07/2017.

სამყაროს შესახებ მოწოდებული მინიშნების წარმოდგენა და ინტერპრეტირება: „ეს მინიშნებები ძალზე დამაბნეველი იქნებოდა, ჩვენს გონებას მათთვის კონკრეტული შინაარსი რომ არ მიენიჭებინა, რაც ხორციელდებოდა მცირე რაოდენობაზე ყურადღების კონცენტრირებითა და უმრავლესობის იგნორირებით. ასევე, ყურადღების ქვეშ მოქცეული მინიშნებების სპეციალურ კატეგორიაში განთავსებით“ (გვ. 124)

ქლონგი და დრაქმანი (Chong and Druckma, 2007)¹⁶ წერენ, რომ ფრეიმის სიძლიერე მდგომარეობს მათ უნარში, განსაზღვრონ კონკრეტული დებატის პირობები ისე, რომ აუდიტორია ვერც კი მიხვდეს ამის შესახებ. კომუნიკაციის სფეროში ფრეიმებს დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგან ისინი ზეგავლენას ახდენენ მათი აუდიტორიის პოზიციასა და ქცევაზე. ფრეიმები ასევე მნიშვნელოვანია პოლიტიკური კომუნიკაციის დროსაც, რადგან პოლიტიკოსები ხშირად ირჩევენ სხვა პოლიტიკოსების, მასმედიისა და მოქალაქეების მიერ გამოყენებულ კომუნიკაციურ ფრეიმებს.

ფრეიმი უნდა განვიხილოთ, როგორც რაციონალური რამ, რომელიც შეიცავს ობიექტის შესახებ გარკვეულ ინფორმაციას, ხოლო მეორე განზომილება - ტონი არის აფექტური მახასიათებელი და აჩვენებს ამ ობიექტთან ასოცირებულ გარკვეულ ემოციებს. ამიტომ ფრეიმები უნდა იყოს გამოკვლეული იმ ტონთან ერთად, რაც მის გამოყენებას ახლდა თან. განსაკუთრებით საფრთხილოა მედიის მიერ გარკვეული (შესაძლოა აფექტურად აღქმული) ტონის გამოყენება ტელევიზიის შემთხვევაში.

რიზი (Reese, 2007)¹⁷ აღნიშნავდა, რომ ფრეიმინგის ანალიზი მკვლევრებს საშუალებას აძლევს, განიხილონ მედიის როლი სოციალური და პოლიტიკური საკითხების განვითარების პროცესში. ფრეიმინგი არის მეთოდი, რომლის საშუალებითაც ჟურნალისტები არჩევენ და განსაკუთრებული ხაზგასმით გამოყოფენ კონკრეტულ მოვლენებს

16ქლონგი და დრაქმანი, „ფრეიმინგის თეორია და საზოგადოებრივი აზრის ფორმირება“, 2007, გვ. 101, მუდმივი ლინკი: <https://www.unc.edu/~fbaum/teaching/articles/J-Communication-2007-6.pdf> ბოლო ნახვა: 09/07/2017.

17 ჯენინგს ბრაიანტი და მერი ბეტ ოლივერი, „მედიაეფექტები“, 2009. თავი წიგნიდან თავი - „ფრეიმინგი“. გვ. 28; მუდმივი ლინკი - <https://www.scribd.com/doc/248068767/Jennings-Bryant-Mary-Beth-Oliver-Media-Effects-Advances-in-Theory-and-Research-2009> ბოლო ნახვა 25/06/2017

ინფორმაციის მომზადებისა და მისი საზოგადოებისათვის მიწოდების პროცესში. ფრეიმინგი მიუთითებს იმაზე, თუ როგორ არის სტრუქტურირებული საკითხები და მოვლენები და რა შინაარსობრივი დატვირთვა ენიჭება მათ (Reese, 2007).¹⁸

როდესაც ისეთი სენსიტიური საკითხები შემოდის, როგორცაა ქალ პოლიტიკოსთა საკითხების ტელემედიაში გაშუქება, მეინსტრიმ ახალი ამბების მედია იქცევა სოციალური კონტროლის მექანიზმად და იყენებს ისეთ ფრეიმებს, რომ გამოიწვიოს მარგინალიზაცია ან ისეთი მოძრაობა, რაც იქნება მეინტრიმ საზოგადოების გამოწვევა. მეორე მხრივ და როგორც უკვე კვლევა გვიჩვენებს, ალტერნატიული მედია ცდილობს, ისე იმოქმედოს, როგორც ერთადერთმა მედიასაშუალებამ იმ თემების გასაშუქებლად, რაც მეინსტრიმ მედიის მიერ იგნორირებული ან მარგინალიზებულია (ისეთი დეტალების წინ წამოწევა, რომელიც შესაძლოა არაა ყურადსაღები, მაგრამ ამ დეტალებს საზოგადოება დაიტაცებს და მნიშვნელობას შესძენს; აგრეთვე, მოხდება ფაქტების ინტერპრეტირება).

საკითხის უკეთ განმარტებისთვის, გოფმანმა (Goffman, 1974)¹⁹ შემოიტანა ტერმინი „ზოლი“ (strip), რაც აღნიშნავს მოქმედების ნებისმიერ ელემენტს, მათ შორის ისეთ წარმოსახვით შემთხვევებს, რომლებიც აღნიშნულ პროცესში ჩართული ადამიანების გადმოსახედიდანაა დანახული. მისივე განმარტებით: **„დამკვირვებლები აქტიურად ახდენენ საკუთარი შეხედულებების კრიტერიუმების პროექტირებას უშუალოდ მათ ირგვლივ არსებულ სამყაროზე“.** (გვ. 75)

ფრეიმი არის ის, რაც აუდიტორიას გადაეცემა. მაყურებელი ვერ ხედავს ალტერნატიულ ფრეიმებს, რომლითაც შეიძლება ინფორმაცია ყოფილიყო გაშუქებული. მაყურებელმა შესაძლოა სხვა მედიასაშუალებას მიაკითხოს, რომ ამ ინფორმაციაზე განსხვავებული ხედვა გაიგოს.

18 ჯენინგს ბრაიანტი და მერი ბეტ ოლივერი, „მედიაეფექტები“, 2009. თავი წიგნიდან თავი - „ფრეიმინგი“. გვ. 32; მუდმივი ლინკი - <https://www.scribd.com/doc/248068767/Jennings-Bryant-Mary-Beth-Oliver-Media-Effects-Advances-in-Theory-and-Research-2009> ბოლო ნახვა 09/07/2017

19 ერვინ გოფმანი, „ფრეიმის ანალიზი“, 1974, გვ. 75. მუდმივი ლინკი - <https://is.muni.cz/el/1423/podzim2013/SOC571E/um/E.Goffman-FrameAnalysis.pdf> ბოლო ნახვა: 09/07/2017.

ტერმინთა განმარტება

იქიდან გამომდინარე, რომ საკვლევი თემა ეხება ქალ პოლიტიკოსთა საკითხების გაშუქებას ქართულ სატელევიზიო მედიაში, გვერდს ვერ ავუვლით გენდერული ხასიათის სტერეოტიპებს და ამ მხრივ დამკვიდრებულ შეხედულებებს. განვსაზღვროთ, ზოგადად, რას ნიშნავს გენდერული სტერეოტიპები. გენდერულ ტერმინთა მოკლე ლექსიკონი²⁰ გვთავაზობს შემდეგი სახის განმარტებას:

“გენდერული სტერეოტიპები არის წარმოდგენები, შეხედულებები, ცრურწმენები ქალისა და მამაკაცის სოციალური როლის, ფუნქციის, დანიშნულების, შესაძლებლობების, სტატუსის შესახებ, რომელიც თაობიდან თაობას გადაეცემა. გენდერული სტერეოტიპების შექმნაში, ბუნებრივია, უდიდესი როლი ენიჭება ოჯახსა და საზოგადოებაში არსებულ ტრადიციებს, ასევე კულტურულ, რელიგიურ, სამართლებრივ, ეკონომიკურ, პოლიტიკურ წარმოდგენებსა და ტექსტებს.“ (გვ. 112)

მიუხედავად იმისა, რომ დროთა განმავლობაში ქალისა და მამაკაცის ხასიათის, თვისებების და საქმიანობის შესახებ შეხედულებები იცვლება, საზოგადოების ნაწილში გაბატონებულია აზრი, რომ ქალი უნდა იყოს ლამაზი, ჩუმი, ნაზი, დამთმობი, პასიური, არაავტორიტარული, არარაციონალური, ემოციურ-სპონტანური, ინტუიციური, კონსერვატიულად მოაზროვნე არსება, ხოლო მამაკაცი - ძლიერი, აქტიური, პრინციპული, რაციონალური, ლოგიკური, ბრძენი, წარმატებაზე ორიენტირებული, განზოგადების კარგი უნარის მქონე. ბიოლოგიური დანიშნულებიდან გამომდინარე, ქალს ევალება ოჯახის, ბავშვების მოვლა, ხოლო მამაკაცი კონცენტრირებულია უფრო არასაოჯახო ეკონომიკასა და პოლიტიკურ საქმიანობაზე. როლების ამგვარი სტერეოტიპიზაცია მამაკაცს საშუალებას აძლევს, მიაღწიოს დომინირებულ მდგომარეობას საზოგადოებაში, სამაგიეროდ, იგი ნაკლებად მონაწილეობს საკუთარი შვილის აღზრდაში.

გენდერულ ტერმინთა მოკლე ლექსიკონი განმარტავს, რომ გენდერული უთანასწორობა და გენდერული სტერეოტიპები უშუალოდაა ერთმანეთთან

20 გენდერულ ტერმინთა მოკლე ლექსიკონი, მერკვილაძე ია; 2003, გვ. 112. ლინკი: <http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=6&t=3420>

დაკავშირებული. გენდერული სტერეოტიპები სექსიზმის ერთგვარი მეთოდოლოგიაა და საფუძვლად უდევს შრომის არათანაბარ დაყოფას:

„არსებობს წარმოდგენა, რომ პოლიტიკა, ეკონომიკა, ბიზნესი, ტექნიკა, მაღალი ტექნოლოგიები ხელეწიფება მამაკაცურ გონებას, ხოლო სამზარეულო, სახლი, ოჯახი, საეიშო საქმე, პედაგოგიკა - ქალური პროფესიებია. თუმცა თანამედროვე რეალობა გვიჩვენებს, რომ ამგვარ სტერეოტიპებს არაფერი აქვს საერთო ცხოვრებისეულ სინამდვილესთან. მიუხედავად ამისა, გენდერული სტერეოტიპები კვლავ სიცოცხლისუნარიანია. ქალი - ცოლი, დედა, ბებია, საყვარელი, სექსუალური ობიექტი, „მორე სქესი“, მამაკაცის სატელიტი, დამოკიდებული არსება; მამაკაცი - ოჯახის უფროსი, მარჩენალი, მთავარი გადაწყვეტილების მიმღები“.²¹(გვ. 112)

ჯენინგს ბრაიანტი და მერი ბეტ ოლივერი (2009) საუბრობენ მედიის როლზე გენდერული სტერეოტიპების დამკვიდრებაში.²² ავტორები აღნიშნავენ, რომ მედიაში გენდერული თანასწორობა არარსებელია. სმიტი (Smith, 2013)²³ თავის ნაშრომში - „გენდერული უთანასწორობა 500 პოპულარულ ფილმში“, აღიშნავს, რომ ქალები უფრო ტრადიციული გენდერული როლით გვხვდებიან და, ძირითადად, მამაკაცებზე ახალგაზრდები არიან. ამავე (Smith, 2013) ნაშრომში კვლევით დადგინდა, რომ ქალების როლი ფილმში, ძირითადად, მათი სილამაზეა, რათა თვალი დაატკბონ.

რაც შეეხება გენდერს და სოციალურ აქტივობებს, ამ მხრივ, საინტერესო ჰიპოთეზას გვთავაზობს ელიზაბეტა კოსტა. სტატიაში²⁴ ავტორი მიმოიხილავს პოლიტიკური ძალის სიმძლავრეს გენდერს, კლასებს, ეთნიკურ და კულტურულ ჯგუფებს შორის. ავტორი

21 გენდერულ ტერმინთა მოკლე ლექსიკონი, მერკვილაძე ია; 2003, გვ. 112. მუდმივი ლინკი: <http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=6&t=3420> ბოლო ნახვა: 25/06/2017

22 ჯენინგს ბრაიანტი და მერი ბეტ ოლივერი, „მედიაეფექტები“, 2009. თავი წიგნიდან „სქესის ეფექტები მედიაში“; გვ. 304 მუდმივი ლინკი - <https://www.scribd.com/doc/248068767/Jennings-Bryant-Mary-Beth-Oliver-Media-Effects-Advances-in-Theory-and-Research-2009>

23 სმიტი, „გენდერული უთანასწორობა 500 პოპულარულ ფილმში“, 2013, გვ. 1; მუდმივი ლინკი: http://annenbergl.usc.edu/pages/~media/MDSCI/Gender_Inequality_in_500_Popular_Films_-_Smith_2013.ashx ბოლო ნახვა 25/06/2017

24 ელიზაბეტა კოსტა, „The wider world: politics, the visible and the invisible“, UCL Press. (2016), pp. 128-162; მუდმივი ლინკი <http://www.jstor.org/stable/pdf/j.ctt1g69z14.10.pdf> ; ბოლო ნახვა 25/06/2017

აღნიშნავს, რომ, მაგალითად, მარდინში (თურქეთში) ხალხი თავს არიდებს პოლიტიკაზე საუბარს საჯარო სივრცეებში, რადგან ამ საკითხმა შესაძლოა დაარღვიოს მათი თანაცხოვრება სხვადასხვა ეთნიკური, სოციალური და ეკონომიკური ფენის წარმომადგენლებთან, რომელთაც განსხვავებული როლები აქვთ საერთო სოციალურ სივრცეში.

ელიზაბეტა კოსტა, დენიელ მილერი, ტომ მაკდონალდსი სტატიაში - „როგორ შეცვალა სოციალურმა მედიამ მსოფლიო“²⁵, გვაცნობენ, რომ სოციალური მედია ფლობს ისეთ ახალ ინსტრუმენტებს, რომლითაც თვითპრეზენტაცია და გენდერული იდენტობის მართვა უფრო მეტადაა შესაძლებელი, ვიდრე აქამდე ხდებოდა. ავტორთა თქმით, სამხრეთ თურქეთში მამაკაცებს აქვთ ტენდენცია, წარმოაჩინონ საკუთარი თავი, როგორც წარმატებული პროფესიონალები, ხოლო ამასობაში ქალები ხაზს უსვამენ თავიანთ ესთეტიკურ ღირებულებებს, უფრო სწორად, თავიანთ ერთგულებას მუსლიმური ღირებულებებისადმი - მოკრძალებულ ცხოვრებას და სიწმინდეს. კოსტა, მილერი და მაკდონალდსი განმარტავენ:²⁶

„კარიერული კუთხით განვითარება განიხილება, როგორც მხოლოდ მამაკაცებისთვის შესაძლებელი რამ, რადგან დაქორწინებულ ქალებს, განსაკუთრებით დედად გახდომის შემდეგ, ეკრძალებათ ნებისმიერი სოციალური აქტივობა, მათ შორის სოციალური ქსელით აქტიურად სარგებლობა, არათუ საჯარო მოხელეებად ან პოლიტიკოსებად მუშაობა. სამხრეთ თურქეთში ქალის როლი განსაზღვრულია, ძირითადად, ოჯახში დიასახლისობითა და შვილების აღზრდით.“ (გვ. 117)

შეიძლება ითქვას, რომ გენდერული სტერეოტიპები დიდ გავლენას ახდენს საზოგადოების აზრების ფორმირებაზე. საზოგადოების ინფორმირებულობის ერთერთი

25 ელიზაბეტა კოსტა, დენიელ მილერი, ტომ მაკდონალდსი, თავი Gender, წიგნიდან - How the World Changed Social Media, UCL Press. (2016), გვ. 116; მუდმივი ლინკი - <http://www.jstor.org/stable/pdf/j.ctt1g69z35.15.pdf> ; ბოლო ნახვა 25/06/2017

26 ელიზაბეტა კოსტა, დენიელ მილერი, ტომ მაკდონალდსი, თავი Gender, წიგნიდან - How the World Changed Social Media, UCL Press. (2016), გვ. 117; მუდმივი ლინკი - <http://www.jstor.org/stable/pdf/j.ctt1g69z35.15.pdf> ; ბოლო ნახვა 25/06/2017

წყარო - მედიაა, მედიამ კი თავად უნდა განსაზღვროს, რამდენად იქნება გენდერული ხასიათის სტერეოტიპების გამავრცელებელი როგორც რესპონდენტთა, ასევე ჟურნალისტთა მხრიდან.

ნაშრომის სათაურშივე იკვეთება ტერმინი - იმიჯი, რომელიც კვლევის დროს საკვლევი ობიექტის - ქალი პოლიტიკოსის ერთერთი უმნიშვნელოვანესი დეტალია. იქიდან გამომდინარე, რომ იმიჯის ცნება მრავალგვარია, საჭიროა, განიმარტოს, რა სახითაა გამოყენებული ეს სიტყვა აღნიშნულ ნაშრომში.

იმიჯი ყველა პროფესიის ადამიანის და განსაკუთრებით პოლიტიკოსის განუყრელი ნაწილია. საზოგადოება, ცხადია, კონკრეტულ პოლიტიკოსებს არ იცნობს, თუმცა მის იმიჯურ წარმოდგენას ეყრდნობა. იმიჯის შექმნით პოლიტიკოსები უფრო ადვილად წყვეტენ საკუთარ ამოცანებს. პოლიტიკური იმიჯის განსაზღვრებას გვთავაზობენ ლ. კაპანაძე და ე. ხახუტაშვილი:

„იმიჯი მასობრივ შეგნებასთან ურთიერთობის ინსტრუმენტია, ამიტომ ის უტირებულად პოლიტიკოსის სახეა, რომელიც კარნახობს მასობრივ შეგნებას, მიმართულია იმ წერტილებში, რომელიც ყველაზე მნიშვნელოვანია მისთვის.“²⁷ (გვ. 22-23)

ცხადია, პოლიტიკოსს უნდა შეეძლოს ხალხთან ურთიერთობა, საერთო გადაწყვეტილებების მიღება, დისკუსიებში თავისი აზრის გატარება - ამ ყველაფრისთვის კი პოლიტიკოსი უნდა იყოს დარწმუნებული საკუთარ თავში, უნდა ფლობდეს მეტყველების კულტურას. პოლიტიკოსის იმიჯი ამ ნიუანსების გათვალისწინებით მორგებული უნდა იყოს რეალურად მის მახასიათებლებზე. რაც შეეხება პოლიტიკოსთა სატელევიზიო იმიჯს, წიგნის - „იმიჯოლოგია, საზოგადოებასთან ურთიერთობის“ ავტორები გვაცნობენ, რომ:

27 ლ. კაპანაძე, ე. ხახუტაშვილი, „იმიჯოლოგია, საზოგადოებასთან ურთიერთობა“, 2004, გვ. 22-23; მუდმივი ლინკი: http://digitallibrary.tsu.ge/book/kapanadze_imijologia/#/22 ბოლო ნახვა: 25/06/2017

„სატელევიზიო არხი თავის მოთხოვნებს უყენებს პოლიტიკოსებს. დასავლეთის პოლიტიკოსს ასწავლიან, რომ არ მოახდინონ თავიანთი გულისწყრომის და დაბნეულობის დემონსტრირება ან უპასუხონ კითხვებზე მაქსიმალურად მოკლედ.“²⁸ (გვ. 38-39)

თუ რა სახის იმიჯს ატარებენ საკვლევად შერჩეული ქალი პოლიტიკოსები საკვლევი თემების გაშუქებისას, დეტალურად კვლევაშია წარმოჩენილი განხილული.

კვლევის მეთოდოლოგია

საკვლევი მასალა მზადდება კონტენტ ანალიზის მეთოდოლოგიის მიხედვით. დევიდ მიქელსონის და ტონი ლ. გრიფინის (David Michaelson, Tony L. Griffin, 2005) მიხედვით, კონტენტ ანალიზი რვა მოდელად იყოფა. ნაშრომში გამოიყენება ამ მოდელებიდან მარტივი კონტენტ ანალიზი, ტონალობის ანალიზი, მნიშვნელობის ანალიზი და გაშუქების ხარისხი.

მარტივი კონტენტანალიზის გათვალისწინებით, შერჩეულია ექვსი საკვლევი თემა ოთხ საკვლევ მედიასაშუალებაში. საკვლევი თემები ამოღებულია მედიასაშუალებების ვებგვერდების არქივიდან. ვინაიდან საკვლევად შერჩეულია სატელევიზიო მედია, სიუჟეტების აუდიოჩანაწერები გაშიფრულია და ტრანსკრიპტები გადმოტანილია ტექსტის სახით.

როგორც ზემოთ ითქვა, საკვლევად შერჩეულია ექვსი თემა (ე.წ. ქეისი) შესაბამისად, ნაშრომში იხილავთ რამდენიმე შემთხვევის ანალიზს:

1. თინა ხიდაშელის თავდაცვის მინისტრად დანიშვნა - 2015 წლის მაისი;
2. იუსტიციის სამინისტროს ოთხი წლის მუშაობის შეჯამება - 2016 წლის დეკემბერი;
3. ელენე ხომტარიას და თეა წულუკიანის დაპირისპირება - 2016 წლის ნოემბერი;
4. ქეთევან ციხელაშვილის ანგარიში პარლამენტს - 2017 წლის აპრილი;

28 ლ. კაპანაძე, ე. ხახუტაშვილი, „იმიჯოლოგია, საზოგადოებასთან ურთიერთობა“, 2004, გვ. 38-39; მუდმივი ლინკი: http://digitallibrary.tsu.ge/book/kapanadze_imijologia/#/22 ბოლო ნახვა: 25/06/2017

5. თამარ კორძაიას „რესპუბლიკური პარტიის“ პოლიტიკურ მდივნად დანიშვნა - 2017 წლის იანვარი;
6. ნინო ბურჯანაძის მიერ 2016 წლის ოქტომბრის საარჩევნო შეფასებები - 2016 წლის ოქტომბერი.

მედიასაშუალებებიდან საკვლევად შერჩეულია: სამაუწყებლო კომპანია „რუსთავი 2“, ტელეკომპანია „იმედი“, საზოგადოებრივი მაუწყებელი - პირველი არხი და სტუდია „მესტრო“. 2016 წლის ივნისის NDI-ის კვლევით, აღნიშნული მედიასაშუალებები ყველაზე რეიტინგულად დასახელდა. თითოეულ საკვლევ თემაზე მოძიებულია ოთხ-ოთხი მედიაპროდუქტი, მთლიანობაში ოცდაოთხი. მედიაპროდუქტებიდან, ძირითადად, საკვლევად შერჩეულია ახალი ამბები და სიუჟეტები. კვლევის საწყის ეტაპზე შეირჩა თემები; შემდეგ მომზადდა საკვლევ თემების ტრანსკრიპტები (იხილეთ დანართი გვ.63-დან).

აღნიშნული ექვსი საკვლევ თემიდან სამის კვლევისას (თინა ხიდაშელის თავდაცვის მინისტრად დანიშვნა; ელენე ხოშტარას და თეა წულუკიანის დაპირისპირება; თამარ კორძაიას „რესპუბლიკური პარტიის“ პოლიტიკურ მდივნად დანიშვნა) გამოიკვეთა გენდერულად მგრძობიარე რეპლიკები, სტერეოტიპული გამონათქვამები და საჭირო გახდა მედიაექსპერტებთან სიღრმისეული ინტერვიუების ჩაწერა. მედიაექსპერტები რესპონდენტებად შეირჩნენ „თოვლის გუნდის“ პრინციპით. მათი შერჩევისას მთავარი მოთხოვნა იყო, რომ ჰქონოდათ პრაქტიკული გამოცდილება ქალ პოლიტიკოსთა საკითხების გაშუქებისას. ნაშრომში ჩართული მედიაექსპერტები არიან: მამუკა გაჩეჩილაძე („ქალთა საინფორმაციო ცენტრი“); ელენე რუსეცკაია („ქალთა საინფორმაციო ცენტრი“); ეკა იმერლიშვილი („ფემინისტების დამოუკიდებელი ჯგუფი“); ანა არგანაშვილი („პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის“) და თამარ ხორბალაძე („მედიის განვითარების ფონდი“). მედიაექსპერტებთან ჩატარდა სიღრმისეული ინტერვიუები და ნაშრომში გამოყენებულია მათი შეფასებები.

როგორც ავტორებს, დევიდ მიქელსონსა და ტონი ლ. გრიფინს აქვთ განმარტებული, მარტივი ანუ საბაზისო კონტენტ ანალიზი ახარისხებს საკვლევად განკუთვნილ მასალას. რაც შეეხება ანალიზის ფორმებს, ამავე ავტორების მიხედვით, ტონალობა არის ანალიზის ის ფორმა, რომელიც იყენებს სუბიექტურ შეფასებას იმის დასადგენად, არის თუ არა სტატიის შინაარსში გამოხატული კეთილგანწყობა ან არაკეთილგანწყობა პერსონის, კომპანიის, ორგანიზაციის ან პროდუქტის მიმართ. ნაშრომში გამოყენებული ტონალობის ანალიზის ერთერთი ყველაზე გავრცელებული გზა - მარტივი კლასიფიკაციაა: „პოზიტიური“, „ნეიტრალური“ და „ნეგატიური“. ამ ტიპის ანალიზის დროს სკალა შეიძლება იყოს „0-დან 100-მდე“, სადაც „ნული“ არის სრულიად ნეგატიური და „100“ არის სრულიად პოზიტიური. არსებობს სკალის სხვა ვარიანტებიც, რომელიც ზომავს ტონალობას. მაგალითად, ასეთი შეიძლება იყოს სკალა „-50“-დან „+50“-მდე. ამ შემთხვევაში, „-50“ ნიშნავს სრულიად ნეგატიურს და „+50“ ნიშნავს სრულიად პოზიტიურს. ასეთ დროს, სკალაზე ნეიტრალური ტონი იქნება „ნული“.

მნიშვნელობის ანალიზი ითვალისწინებს ექვს ფაქტორს: სად გამოქვეყნდა პუბლიკაცია, გამოქვეყნების თარიღი, სტატიის მთლიანი მოცულობა, გამოცემის რომელ ადგილს იკავებს პუბლიკაცია, ფოტოსურათის ან სხვა ნამუშევრის არსებობა, სათაურის ზომა. ტიპურ მნიშვნელობის ანალიზში, ყოველ ელემენტს ენიჭება წონა, რომელიც წარმოდგენილია მთლიან დაანგარიშებაში. დაჯამებული ქულა კი აჩვენებს მასალის მნიშვნელობას.

გაშუქების ხარისხს რაც შეეხება, ცალკეული თემის, მოვლენის, ბრენდის ან კომპანიის ანალიზთან ერთად, კონტენტ ანალიზი ასევე შეიძლება ჩატარდეს იმისთვის, რომ შევადაროთ ერთმანეთს კომპანიების, ბრენდების, თემების ან მოვლენების მედიაგაშუქება.²⁹

ნაშრომის მომზადებისა და კვლევის ამ ეტაპზე არ იკვეთება საკვლევ კიპოთეზა. რაც შეეხება საკვლევ კითხვებს, ისინი შესაძლებელია ფორმულირდეს შემდეგი სახით:

29 დევიდ მიქელსონის და ტონი ლ. გრიფინის „კონტენტ ანალიზის ახალი მოდელი“. გამოქვეყნებულია საზოგადოებასთან ურთიერთობის ინსტიტუტის მიერ, აშშ, 2005.

1. როგორ აშუქებს ქალ პოლიტიკოსთა საკითხებს ქართული სატელევიზიო მედია?
2. როგორია ქალი პოლიტიკოსების პოზიციონირება ქართულ სატელევიზიო მედიაში?
3. როგორია საზოგადოების აღქმა ქალ პოლიტიკოსთა იმიჯზე?

კვლევა

კვლევის მიზანია დაადგინოს თუ როგორია ქალი პოლიტიკოსების პოზიციონირება ქართულ სატელევიზიო მედიაში. ნაშრომის მიზანია გამოიკვლიოს, ამ საკითხზე მუშაობისას, რამდენად ხშირად გამოიყენება გენდერული ხასიათის სტერეოტიპები. იმის გასაანალიზებლად, თუ როგორ შუქდება ქალ პოლიტიკოსთა საკითხები ქართულ სატელევიზიო მედიაში, გამოყენებულია ფრეიმინგის თეორია, რომელიც საშუალებას იძლევა, დავაკვირდეთ იმ კონკრეტულ ფრეიმებს, რომლებიც მედიამ ქალ პოლიტიკოსთა საკითხების გაშუქებისას გამოიყენა. საერთო სურათის შესაქმნელად და იმისთვის, რომ შედარების საშუალება ყოფილიყო, შეირჩა რამდენიმე სატელევიზიო არხი: სამაუწყებლო კომპანია „რუსთავი 2“, ტელეკომპანია „იმედი“, სტუდია „მაესტრო“ და საზოგადოებრივი მაუწყებელი. აღნიშნული მედიასაშუალებები საკვლევად შეირჩა მაღალი რეიტინგის გამო.

წინამდებარე კვლევა საშუალებას იძლევა, დავინახოთ, რა როლი ითამაშა მედიამ ქალ პოლიტიკოსთა საკითხების გაშუქებისას, რა ფრეიმებით გაშუქდა კონკრეტული ქეისები და ჰქონდა თუ არა მედიას გავლენა შემდგომ განვითარებულ მოვლენებზე.

საკვლევად შერჩეული თემები მოძიებულია საკვლევ მიდიასაშუალებების ვებგვერდებზე; მათი ტრანსკრიპტები მომზადებულია ნაშრომის ავტორის მიერ.

ნაშრომი იკვლევს იმ მედიასიუჟეტებს, რომლებიც მომზადდა სამაუწყებლო კომპანია „რუსთავი 2-ის“, ტელეკომპანია „იმედის“, საზოგადოებრივი მაუწყებლისა და სტუდია „მაესტროს“ მიერ ზემოთ ჩამოთვლილ თემებზე.

1. თინა ხიდაშელის თავდაცვის მინისტრად დანიშვნა

აღნიშნული თემა საკვლევად შეირჩა შემდეგი მიზეზით: საქართველოს ქალი თავდაცვის მინისტრის ყოლის პრეცედენტი არ ჰქონია. თინა ხიდაშელი საქართველოს თავდაცვის მინისტრად 2015 წლის 1 მაისს დაინიშნა. აღნიშნულ ფაქტს მედიის მხრიდან დაეთმო როგორც მთავარი საინფორმაციო გამოშვებები, აგრეთვე ახალი ამბები და სიუჟეტები. საკვლევად საინტერესო იყო, როგორ გააშუქებდა აღნიშნულ საკითხს ქართული სატელევიზიო მედია - რა ფრეიმს გამოიყენებდა და გაჟღერდებოდა თუ არა გენდერული ხასიათის სტერეოტიპები მედიასაშუალებებში. საკვლევი თემის სატელევიზიო ტრანსკრიპტები იხილეთ დანართ #1-ში (გვ.67-74).

თინა ხიდაშელის მიერ თავდაცვის მინისტრობის პოსტის დაკავების თაობაზე ტელეკომპანია „მაესტრო“ ერთერთ ყველაზე ინფორმაციულ ამბავს სთავაზობს მაყურებელს. მედიასაშუალების სათაური - „თავდაცვის პირველი ქალი მინისტრი“ გარკვეულწილად საკამათოა. აქ ხაზი პირდაპირ იმას ესმება, რომ უწყებას სათავეში ქალი ჩაუდგა და ეს ფაქტი ქვეყნის ისტორიაში პირველია. გენდერული ნიშნით ქალი გამოყოფილია, სათაური მყვირალაა და მავანთათვის შესაძლოა გარკვეული სტერეოტიპების წამახალისებელიც იყოს.

გადაცემა სიუჟეტიანად თითქმის 19 წუთს გრძელდება. შესავალ ტექსტში წამყვანი ერთხელ კიდევ უსვამს ხაზს, რომ „საქართველოს ისტორიაში პირველად ქვეყნის შეიარაღებულ ძალებს ქალი უხელმძღვანელებს“. ამის შემდეგ მოდის ინფორმაციური ტექსტი რიტორიკული შეკითხვებით („ვინ შესთავაზა პრემიერს ხიდაშელის კანდიდატურა და რა გეგმები აქვს თავდაცვის ახალ მინისტრს?“). ტელეკომპანია „მაესტრო“ მაყურებელს სხვა ქვეყნების გამოცდილებასაც აცნობს და ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში თავდაცვის მინისტრი ქალების შესახებ აწვდის გარკვეულ ცნობებს. წამყვანის ფაქტობრივ ინფორმაციას მოსდევს რეპორტაჟი, რომლის შესავალ ტექსტში ჟურნალისტი მაყურებელს კიდევ ერთხელ ახსენებს, რომ თინა ხიდაშელი პირველი ქალი თავდაცვის მინისტრია. ხიდაშელის სინქრონის შემდეგ ჟურნალისტი მინისტრის პირად ცხოვრებასაც ეხება. იგი აჟღერებს ინფორმაციას, რომ უცნობია, თინა ხიდაშელმა შეათანხმა თუ არა ახალი ტაქტიკა მეუღლესთან და უკვე ყოფილ უფროსთან (იგულისხმება დავით

უსუფაშვილი). აქ საგულისხმოა ერთი ფაქტორი: ნებისმიერი სხვა მამაკაცი მინისტრის (ან მინისტრობის კანდიდატის) მსგავს პოზიციაზე დანიშვნისას რამდენად ინტერესდება მედიასაშუალება მათი მეუღლეების პოზიციებით? არის თუ არა ეს ერთგვარი სტერეოტიპი, რომ თინა ხიდაშელს გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით შესაძლოა აზრი ეკითხა დავით უსუფაშვილისთვის, როგორც მეუღლისთვის თუ როგორც საქმიანი პარტნიორისთვის? ხაზგასასმელია ის ფაქტიც, რომ ამ რიტორიკას თან დავით უსუფაშვილის სინქრონი სდევს, სადაც პარლამენტის თავმჯდომარე მეუღლეს მოუწოდებს, ან დაწყნარდეს, ან დატოვოს ოთახი. აქვე, ჟურნალისტი იმასაც აუწყებს მაყურებელს, რომ თინა ხიდაშელმა სწორედ მეუღლის მიზეზით უარი განაცხადა უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეობაზე.

მხოლოდ ამ ყველაფრის შემდეგ დგება დღის წესრიგში, მედიასაშუალებამ მაყურებელს მინისტრობის კანდიდატის განათლების შესახებ მიაწოდოს ცნობები. თუმცა გენდერულ სტერეოტიპს მომდევნო წინადადებაშივე ისევ ვაწყდებით და ვისმენთ: „თავდაცვის ქალ მინისტრს რჩევა მხოლოდ ყოფილმა თანაგუნდელმა და ყოფილმა მინისტრმა მისცა“. ყველა სხვა რესპონდენტი, ამ მხრივ, აბსოლუტურად ბუნებრივად აძლევს რეკომენდაციას თუ რჩევებს თინა ხიდაშელს და არცერთ სინქრონიზში ხაზი არ ესმება იმას, რომ ხიდაშელი ქალია. ამ ფაქტორს მხოლოდ მედიასაშუალება გამოყოფს.

სიუჟეტი აგებულია სწორედ თინა ხიდაშელის სქესსა და მის ახალ საქმიანობაზე შეთავსებასთან. ამჯერად სტუდია „მაესტროს“ ჟურნალისტი მსოფლიო გამოცდილებას მეტად უღრმავდება, მაყურებელს აცნობს, რომ „საქართველო ევროპულ ქვეყნებს შორის მერვე იქნება, რომელმაც ეს პორტფელი ქალს ანდო“. ამის შემდეგ კი თინა ხიდაშელი გადაცემის „მაესტროს ცხრიანი“ სტუმარია და გადაცემა ჩვეულ ფორმატში მიმდინარეობს.

საკვლევი თემის გამუქებისას საზოგადოებრივი მაუწყებლის ფრეიმი განსხვავებულია. მედიასაშუალების სათაური არაა მყვირალა, ფაქტობრივი და ზუსტია. ინფორმაცია ლაკონიური და კონკრეტულია, რასაც მისი ქრონომეტრაჟიც გულისხმობს (1 წუთი და 47 წამი). ახალი ამბავი ინფორმაციულად იწყება, თუმცა შესავალ ტექსტში წამყვანი მაინც უსვამს ხაზს იმ ფაქტს, რომ მინისტრის წინამორბედმა - მინდია ჯანელიძემ „თავდაცვის

პირველ ქალ მინისტრს პოსტი გადააბარა“. თავდაცვის ახალი მინისტრი სამომავლო გეგმებზე საუბრობს და მისი სქესი აქ მაყურებლისთვის არ იქნებოდა მანიშნებელი, რომ არა ჟურნალისტის და მედიასაშუალების მხრიდან ფაქტის ხაზგასმა.

რესპონდენტების გაშუქების კუთხით საზოგადოებელი მაუწყებელი დაბალანსებულია: ახალ ამბავში, ქრონომეტრაჟიდან გამომდინარე, მედიასაშუალება გვთავაზობს როგორც მამაკაც, ისე ქალ რესპონდენტებს მინდია ჯანელიძისა და თინა ხიდაშელის სახით. ინფორმაცია სტანდარტულად ახალი ამბის ფორმატში ზის და გარდა გენდერული ნიშნის ხაზგასმისა, სხვა ყურადსაღები გარემოება არ იკვეთება.

სამაუწყებლო კომპანია „რუსთავი 2-ის“ სათაური ინფორმაციულია და ლაკონიური. სიუჟეტი 1 წუთსა და 53 წამს გრძელდება. მედიასაშუალება პირდაპირ ჟურნალისტის ჩართვას გვთავაზობს, რომელიც ხაზს უსვამს, რომ თავდაცვის ახლადდანიშნული მინისტრი უწყებაში დაცვის გარეშე მივიდა და მედიასთან ითანამშრომლა. ჟურნალისტი მაყურებელს მხოლოდ თავდაცვის ახლადდანიშნული მინისტრის - თინა ხიდაშელის სინქრონს სთავაზობს, თუმცა ტექსტში აღნიშნავს, რომ ხიდაშელს უწყების ყოფილი მინისტრი - მინდია ჯანელიძე დახვდა.

ტელეკომპანია „იმედს“ სათაურად თინა ხიდაშელის ციტატა აქვს გამოტანილი. სიუჟეტის ქრონომეტრაჟი 3 წუთი და 9 წამია. გადაცემის წამყვანი ინფორმაციულია და ძირითად ამბავს აცნობს მაყურებელს. ხიდაშელის სქესი, როგორც ჩანს, ტელეკომპანია „იმედისთვის“ მთავარი ამბის გადმოსაცემად უმნიშვნელოა. წამყვანის ტექსტს ჟურნალისტის ჩართვა მოსდევს. ჟურნალისტი მინისტრის მიერ დაანონსებულ საკადრო ცვლილებებზე საუბრობს და ხაზს უსვამს, რომ ხიდაშელი უწყებაში დაცვის გარეშე მივიდა და მედიასთან ითანამშრომლა. ცალკე საკითხია, რამდენად საჭირო იყო გაშუქებისას ისეთი დეტალის გამოყოფა, როგორცაა მინისტრის სამინისტროში დაცვის გარეშე მისვლა? აშუქებს თუ არა მედია მსგავს დეტალებს მამაკაცი მინისტრების (ან, ზოგადად, პოლიტიკოსების) შემთხვევაში და არის თუ არა ამ დეტალის გახმაურება პოზიტიური დისკრიმინაციის მაგალითი?

ჩართვაში ჟურნალისტი თინა ხიდაშელის, მისი წინამორბედის - მინდია ჯანელიძისა და სამხედრო საკითხებში ექსპერტის - გიორგი თავდგირიძის სინქრონებს გვთავაზობს. სინქრონები, ძირითადად, ინფორმაციულია, სამომავლო გეგმებს შეეხება და მათში გენდერული სტერეოტიპების ნიშნები არ იკვეთება არც რესპონდენტების და არც ჟურნალისტის მხრიდან. თუმცა, თავდგირიძე აქლერებს ორაზროვან ციტატას: „ასეთი ცვლილებები საქართველოს ისტორიაში ჯერ არ მომხდარა“, რითაც, სავარაუდოდ, ექსპერტი ხაზს უსვამს იმას, რომ საქართველოს თავდაცვის ქალი მინისტრი ამ დრომდე არ ჰყოლია.

შეჯამების სახით, შეიძლება ითქვას, რომ ქართული სატელევიზიო მედია თინა ხიდაშელის თავდაცვის მინისტრად დანიშვნას არაერთგვაროვნად აშუქებდა. ძირითადად, ორი ტიპის ფრეიმი შეგხვდა: ხიდაშელი, როგორც საქმიანი პოლიტიკოსი და როგორც პირველი ქალი თავდაცვის მინისტრი.

გაშუქებისას საინტერესო დეტალები გამოიკვეთა: „მაესტროს“ სიუჟეტი უშუალოდ თინა ხიდაშელის, როგორც ქალის, მეუღლის და მხოლოდ ამის შემდეგ - როგორც პოლიტიკოსის ჭრილში ჰქონდა აგებული. თინა ხიდაშელის, როგორც ქართველი პოლიტიკოსი ქალის პოზიციონირება ჯერ მისი გენდერით, ხოლო შემდეგ - საქმიანობით ხდება. ტელეკომპანია „მაესტრო“, დანარჩენი სამი სატელევიზიო მედიისგან განსხვავებით, მსოფლიო გამოცდილებას მეტად უღრმავდება, მაყურებელს აცნობს, რომ „საქართველო ევროპულ ქვეყნებს შორის მერვე იქნება, რომელმაც ეს პორტფელი ქალს ანდო“. ეს მიდგომა განასხვავებს „მაესტროს“ სტანდარტული გაშუქებისგან.

თინა ხიდაშელის იმიჯს ოდნავ სხვაგვარად წარმოგვიდგენს საზოგადოებრივი მაუწყებელი. მედიასაშუალება მეტად უსვამს ხაზს პოლიტიკოსის განათლებას, გამოცდილებას, პროფესიონალიზმს. თუმცა ერთი-ორ ადგილას საზოგადოებრივ მაუწყებელშიც ჩნდება ფრეიმი, რომ ხიდაშელი ქალია; რომ იგი პირველი ქალი თავდაცვის მინისტრია და ა.შ..

ეს საკითხი ექსპერტებში აზრთა სხვადასხვაობას იწვევს. მაგალითად, „ქალთა საინფორმაციო ცენტრის“ წარმომადგენელი და მედიამკვლევარი მამუკა გაჩეჩილაძე ფიქრობს, რომ რეპლიკა - „პირველი ქალი მინისტრი“ - სტერეოტიპული არ არის, თუმცა, ექსპერტის შეფასებით, როგორც კი ქალი გადაწყვეტილების მიმღებ პოზიციაზე ჩნდება, ამას საზოგადოება, მათ შორის, პოლიტიკოსები, უყურებენ როგორც მოვლენას:

- *„აქ ხაზგასმა სწორედ სქესზე ხდება. მინისტრი ქალია და, ერთი მხრივ, ეს არის იშვიათობა და, მეორე მხრივ, როცა ქალი პოლიტიკოსები საერთაშორისო დონეზე გადიან და დისკუსიები იმართება, იქ უკვე სიამყაით საუბრობენ, რომ, მაგალითად, ჩვენ თავდაცვის მინისტრი ქალი გვყავს. გარკვეულწილად, ამას სტერეოტიპს ვერ დავარქმევ, ეს უფრო ისაა, რომ უჩვეულო მოვლენად აღიქმება ქალის გადაწყვეტილების მიმღებ პოზიციაზე დანიშვნას იმიტომ, რომ არ ვართ ამით განებივრებული.“*

მედიაექსპერტ ელენე რუსეცკაიას აზრით, ქალზე ხაზგასმა არ არის გენდერული სტერეოტიპი. სტერეოტიპია, რაც ამ ამბავს მოჰყვა, თუმცა, მისივე შეფასებით, ამ მოვლენას სწორედ რომ სტერეოტიპული გამონათქვამები მოჰყვა:

- *„სწორედ ამის შემდგომ დამკვიდრდა სტერეოტიპული გამონათქვამები, რომ რას გააკეთებს ეს მინისტრი, რომ ქალია? კაცმა რა გააკეთა? და ა.შ. ეს არ არის სტერეოტიპი იმ თვალსაზრისით, რომ ხაზია გასმული - პრობლემაა ქალი პოლიტიკოსი, ქალი თანამდებობის პირი და ამიტომ გამოყოფილია. პირიქით, ამ შემთხვევაში პოპულარიზაციაც არის. საზოგადოებამ შეიძლება არ იცოდეს, რომ თავდაცვის მინისტრი არ გვყავდა ქალი; პრემიერმინისტრი არ გვყოლია ქალი. როგორც პოზიტიური დისკრიმინაცია არ არის დისკრიმინაცია, ასე მივიჩნევ, რომ ამ შემთხვევაში ეს არის ნორმალური.“*

ფემინისტთა დამოუკიდებელი ჯგუფის წარმომადგენელი და მედიამკვლევარი ეკა იმერლიშვილიც ამავე მოსაზრებას იზიარებს:

- *„არ მიმაჩნია, რომ ეს სტერეოტიპია. ამ შემთხვევაში, რადგან ქვეყანაში ქალი თავდაცვის მინისტრი არ ყოფილა თინა ხიდაშელის დანიშვნამდე, მისი დანიშვნის*

ასეთი კუთხით მედიაგაშუქება ამ პირველი შემთხვევის ხაზგაზმაა ვიდრე სტერეოტიპი, თუ, რა თქმა უნდა, მედია შემდეგ წინადადებებში მისი, როგორც ქალის ამ პოზიციაზე დანიშვნის ნაკლოვანებებზე არ საუბრობს და მის დისკრედიტაციას ამ კუთხით არ ახდენს.“

ანა არგანაშვილიც, მედიამკვლევარი, წარმომადგენელი ორგანიზაციისა „პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის“, მედიის მიერ ქალი პოლიტიკოსის შეფასების სტილს აკრიტიკებს. მისი თქმით, აღნიშნულ პოსტზე კაცი რომ დაენიშნათ, იგი სულ სხვა კრიტერიუმებით შეფასდებოდა; ქალი იმავე კრიტერიუმებით არ შეფასდა და, როგორც არგანაშვილი აფასებს, რეაქცია იყო განსხვავებული - სქესზე ჩაციკლული“

- „თინა ხიდაშელამდე ძალოვანი მინისტრი არ გვყოლია. პრინციპში ეს ფაქტიც არის. შეფასების სტილი იყო ისეთი, რომ, მაგალითად, მედია ყურადღებას არ აქცევდა არაფერს სხვას, გარდა იმისა, რომ ახალი მინისტრი ქალი იყო. ამ მხრივ, ვიტყვი, რომ რეაქცია იყო სტერეოტიპული (არა რეაქციის შინაარსი, არამედ - რეაქცია). თავისთავად, განმეორების ხარისხი, ის, რომ არავინ აქცევდა ყურადღებას კრიტერიუმებს. თუნდაც ის, რომ არ გააკრიტიკეს პროფესიონალიზმის კუთხით. კი, იყო სტერეოტიპული არა იმიტომ, რომ ეს რეალობას არ შეესაბამებოდა, არამედ იმიტომ, რომ მედიამ ჩაციკლა სქესის ნიშანზე.“

მედიის განვითარების ფონდის წარმომადგენელი და მედიამკვლევარი თამარ ხორბალაძე კი გამოყოფს დისკრიმინაციის ან პოზიტიური დისკრიმინაციის ნიშნებს:

- „ზოგადად, ქალზე ხაზგასმა არის ხოლმე პრობლემა, თუ ეს დამაკნინებელ კონტექსტში ან თუნდაც - პოზიტიური დისკრიმინაციის კონტექსტში ხდება. ამ შემთხვევაში, ვფიქრობ, შეიძლება ეს არ იყოს დისკრიმინაცია, რადგან ფაქტის კონსტატაციაა და რადგან თავდაცვის სამინისტროსა და მთავრობაში ქალები ცოტაა, ამის ხაზგასმა, თუ იმის საჩვენებლად იყო, რომ ამ აქამდე დახურულ სფეროს ქალი მინისტრი ჰყავს და ა.შ. არადისკრიმინაციულია; მაგალითად,

სიუჟეტის გაკეთება იმაზე, რომ პარლამენტში სულ 20 ქალია, არ არის დისკრიმინაცია.”

რესპონდენტების გაშუქების თვალსაზრისით, საზოგადოებრივი მაუწყებელი ერთერთია საკვლევ მიდისაშუალებებისგან, რომელიც აღნიშნულ საკითხზე რესპონდენტებს დაბალანსებულად უჩვენებს მაყურებელს.

ტელეკომპანიები - „რუსთავი 2“ და „იმედი“ უფრო საქმიანი ფრეიმებით გამოირჩევიან. მედიასაშუალებების ჟურნალისტები მაინცდამაინც იმას უსვამენ ხაზს, რომ ახლადდანიშნული მინისტრი უწყებაში პირველ სამუშაო დღეს დაცვის გარეშე ეწვია. ამ დეტალის გაშუქება კითხვას ბადებს: თინა ხიდაშელის ნაცვლად დაცვის გარეშე რომ სხვა ნებისმიერი მამაკაცი მინისტრი მისულიყო უწყებაში, იქნებოდა ეს ისეთივე ყურადსაღები, როგორც ხიდაშელის შემთხვევაში მოხდა?

რესპონდენტების გაშუქების დაბალანსებულობის მხრივ, უნდა აღინიშნოს, რომ განსხვავებული მდგომარეობაა როგორც „რუსთავი 2-ში“, ასევე „იმედში“. „რუსთავი 2“ ჩართვაში მხოლოდ თინა ხიდაშელის სინქრონს გვთავაზობს, ჟურნალისტი ერთ წინადადებაში იხსენიებს ხიდაშელის წინამორბედს - მინდია ჯანელიძეს. რაც შეეხება ტელეკომპანია „იმედს“, ჟურნალისტი სამ სინქრონს უჩვენებს მაყურებელს: თინა ხიდაშელისას, მინდია ჯანელიძისას და გიორგი თავდგირიძისას. უნდა აღინიშნოს, რომ საკვლევ მიდისაშუალებებიდან მხოლოდ ტელეკომპანია „იმედს“ ჰყავდა ჩაწერილი ექსპერტი სამხედრო საკითხებში - გიორგი თავდგირიძე. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ გენდერული სტერეოტიპები სიუჟეტში არსად ჩანდა, სანამ თავდგირიძემ ორაზროვანი ციტატა გააჟღერა: „ასეთი ცვლილებები საქართველოს ისტორიაში ჯერ არ მომხდარა“, რითაც ექსპერტმა, სავარაუდოდ, ხაზი გაუსვა იმას, რომ საქართველოს თავდაცვის ქალი მინისტრი ამ დრომდე არ ჰყოლია.

დასკვნის სახით, შეიძლება ითქვას, რომ ქალი პოლიტიკოსების მიერ მინისტრობის პოსტის დაკავებისას სატელევიზიო მედია გვერდს ვერ უვლის მათი გენდერის ხაზგაუსმელობას: ზოგ შემთხვევაში ეს ტენდენცია მეტად იკვეთება, ზოგან - ნაკლებად.

2. იუსტიციის სამინისტროს ოთხი წლის მუშაობის შეჯამება

საქართველოს იუსტიციის მინისტრმა თეა წულუკიანმა უწყების ოთხწლიანი მუშაობის ანგარიში 2016 წლის 27 დეკემბერს წარადგინა. თემას სატელევიზიო მედიასაშუალებების მხრიდან დაეთმო როგორც მთავარი გამოშვებები, ასევე ახალი ამბები და სიუჟეტები. აღნიშნული თემა საკვლევად შეირჩა იქიდან გამომდინარე, რომ საინტერესოა, როგორ აშუქებს ქართული სატელევიზიო მედია უწყების შემაჯამებელ საქმიანობას, რომელსაც სათავეში ქალი მინისტრი უდგას. გვხვდება თუ არა გენდერული ნიშნის სტერეოტიპები?! საკვლევი თემის სატელევიზიო ტრანსკრიპტები იხილეთ დანართ #2-ში (გვ. 74-79).

ტელეკომპანია „მანეტრო“ კონკრეტული და მოკლე სათაურით შემოიფარგლება. სიუჟეტის მოცულობაც შესაბამისია - 1 წუთი და 43 წამი. იუსტიციის მინისტრი კონკრეტულ აქცენტებს სვამს, საქმიანი იმიჯი აქვს და გაწეული სამუშაოს შეფასებისას რიცხვებს ხშირად იშველიებს.

რესპონდენტების გაშუქების მხრივ, მედიასაშუალება მაყურებელს სთავაზობს თავად მინისტრის - თეა წულუკიანის, მთავარი პროკურორის - ირაკლი შოთაძისა და ვიცეპრემიერის - კახა კალაძის სინქრონებს. სიუჟეტი მოკლე, ინფორმაციული და ლაკონიურია.

აღნიშნულ თემაზე საზოგადოებრივი მაუწყებელი მაყურებელს ზოგად სათაურს სთავაზობს. სიუჟეტის ხანგრძლივობა 1 წუთი და 38 წამია. სიუჟეტი ინფორმაციულია და ამ კუთხით წამყვანის ტექსტი განსხვავებულ (დამატებით) ინფორმაციას აწვდის მაყურებელს: იგი არ იმეორებს რესპონდენტების ციტატებს. რესპონდენტთა გაშუქების მხრივ, ისევე როგორც ტელეკომპანია „მანეტროს“ შემთხვევაში, საზოგადოებრივი მაუწყებელიც მაყურებელს სამ სინქრონს სთავაზობს იუსტიციის მინისტრის, ვიცეპრემიერისა და მთავარი პროკურორის სახით.

რეკომენდაციის სახით, სასურველი იქნებოდა, საზოგადოებრივ მაუწყებელს მაყურებლისთვის ექსპერტის მოსაზრებაც გაეცნო. თუკი ექსპერტი ქალი იქნებოდა, მაშინ

მედიასაშუალება მაყურებელს რაოდენობრივად გენდერულად დაბალანსებულ რესპონდენტებს შესთავაზებდა.

საკვლევ თემაზე სამაუწყებლო კომპანია „რუსთავი 2-ს“ სათაურად იუსტიციის მინისტრის - თეა წულუკიანის ციტატა აქვს გამოტანილი. სიუჟეტის ქრონომეტრაჟი 1 წუთსა და 38 წამს შეადგენს. მედიასაშუალება პირდაპირ ჟურნალისტის ჩართვას გვთავაზობს, რომელიც მეტად ინფორმაციულია, საუბრობს მინისტრის მიერ შეფასებულ იუსტიციის სამინისტროს 4 წლის საქმიანობაზე, რაც მაყურებელს, სხვა მედიასაშუალებებთან შედარებით, განსხვავებულ ინფორმაციას სთავაზობს.

„რუსთავი 2-ის“ მიერ მომზადებულ სიუჟეტში მაყურებელი მხოლოდ თეა წულუკიანის სინქრონს ეცნობა. როგორც ზემოთ აღინიშნა, სინქრონი სხვა მედიასაშუალებებში გავრცელებულისგან განსხვავებული და მეტად ინფორმაციულია.

აღნიშნულ თემაზე ტელეკომპანია „იმედი“ ინფორმაციული სათაური აქვს. მედიასაშუალების სიუჟეტის ხანგრძლივობა 3 წუთი და 21 წამია. ამ ხნის განმავლობაში საკვლევ მედიასაშუალებათა შორის „იმედი“ მაყურებელს ყველაზე ინფორმაციულ მედიაპროდუქტს სთავაზობს: ჟურნალისტი ცდილობს, სინქრონების ეთერში გაშვებამდე რამდენიმე სიტყვით გადმოსცეს ძირითადი შინაარსი და ამ გზით ახსნას რესპონდენტთა ჩართულობა. მიუხედავად იმისა, რომ ტელეკომპანია „იმედი“ მაყურებელს კვლავ სამი რესპონდენტის - თეა წულუკიანის, ირაკლი შოთაძისა და კახა კალაძის სინქრონებს სთავაზობს, თითოეული მათგანის პოზიციის დაფიქსირების მნიშვნელოვნებას ჟურნალისტის ჩართვა ანიჭებს.

თეა წულუკიანი, როგორც იუსტიციის მინისტრი, სიუჟეტში წარმოჩენილია, როგორც საქმიანი პოლიტიკოსი. მისი იმიჯიც საქმიანია და მედიასაშუალებაში არანაირ გენდერული ნიშნით სტერეოტიპს არ ვაწყდებით.

აღნიშნული თემის გაშუქებიდან გამომდინარე, შეგვიძლია შევაჯამოთ, რომ ქართული სატელევიზიო მედია თეა წულუკიანს, როგორც იუსტიციის მინისტრს, ერთგვარად, მსგავსად აშუქებდა. წულუკიანის იმიჯი საქმიანია, მის შესახებ ცნობები - ინფორმაციული.

ამ კონკრეტული თემის გაშუქებისას საკვლევ მედიასაშუალებებში არ დაფიქსირებულა გენდერული ნიშნით სტერეოტიპები არც ჟურნალისტთა და არც რესპონდენტთა მხრიდან.

აღნიშნული თემის სათაურები საკვლევ სატელევიზიო მედიასაშუალებებში ინფორმაციულია, ტელეკომპანია „მაესტროს“ შემთხვევაში - მოკლე და ლაკონიური, საზოგადოებრივი მაუწყებლის შემთხვევაში - ზოგადი, „რუსთავი 2-ის“ შემთხვევაში მაყურებელი პირდაპირ წულუკიანის ციტატას ეცნობა; ხოლო „იმედის“ შემთხვევაში კი - კვლავ ინფორმაციულ სათაურს ვხვდებით. ჩამოთვლილთაგან სამ („მაესტრო“, საზოგადოებრივი მაუწყებელი, „იმედი“) მედიასაშუალებას რესპონდენტად სამი ერთი და იგივე პიროვნება ჰყავს: თეა წულუკიანი, კახა კალაძე და ირაკლი შოთაძე. „რუსთავი 2“ კი მხოლოდ წულუკიანის სინქრონით შემოიფარგლება. აქედან გამომდინარე, ამ კუთხით რესპონდენტთა გაშუქება გენდერულად დაბალანსებული არ არის: რეკომენდაციის სახით, შეიძლება ითქვას, რომ საზოგადოებრივი მაუწყებლის მხრიდან სასურველი იქნებოდა მაყურებელს მოესმინა ექსპერტის შეფასება, ხოლო თუ რესპონდენტთა გენდერული ნიშნით გაშუქების დაბალანსებულობას გავითვალისწინებთ, სასურველია, ექსპერტი ქალი ყოფილიყო.

იუსტიციის მინისტრის - თეა წულუკიანის მიერ უწყების 4 წლის საქმიანობის შეჯამება საკვლევ მედიასაშუალებების მხრიდან, ძირითადად, 2 წუთამდე საეთერო დროში მოთავსდა (მხოლოდ ტელეკომპანია „იმედს“ ჰქონდა რამდენიმე წუთით ხანგრძლივი სიუჟეტი). საბოლოოდ, თემა ინფორმაციულად, ლაკონიურად და ყოველგვარი ეთიკის ნორმების დაურღვევლად გაშუქდა. თემის გაშუქებისას საკვლევ მედიასაშუალებათაგან მეტად ინფორმატიული, როგორც ზემოთ აღინიშნა, ტელეკომპანია „იმედი“ იყო.

3. ელენე ხოშტარიას და თეა წულუკიანის დაპირისპირება

2016 წლის 24 ნოემბერს პარლამენტში კომიტეტის სხდომა გაიმართა, სადაც ძალოვანი უწყებების ხელმძღვანელობის კანდიდატებმა სამოქმედო გეგმები წარადგინეს, შემდეგ კი უმცირესობისა და უმრავლესობის დეპუტატების შეკითხვებსაც უპასუხეს. სხდომა საკმაოდ ხმაურიანი იყო, ამის ერთერთი მიზეზი კი თეა წულუკიანის და ელენე ხოშტარიას

დაპირისპირება გახდა. აღნიშნულმა საკითხმა მედიაში დიდი რეზონანსი გამოიწვია, თემას დაეთმო სატელევიზიო მთავარი გამოშვებები, აგრეთვე, იგი გაშუქდა ახალი ამბების ფორმატშიც და მომზადდა არაერთი სიუჟეტი. როგორც აღინიშნა, საკვლევად შერჩეული თემა ერთერთი ყველაზე რეზონანსული იყო. სწორედ ამ მიზეზით, საინტერესოა, რა ფრეიმებში გაშუქდა ელენე ხომტარიას და თეა წულუკიანის დაპირისპირება საკვლევად შერჩეულ მედიასაშუალებებში. საკვლევი თემის სატელევიზიო ტრანსკრიპტები იხილეთ დანართ #3-ში (გვ.79-92).

ტელეკომპანია „მაესტროს“ საკვლევ თემაზე ძალიან ზოგადი სათაური აქვს. სინამდვილეში თემის მნიშვნელოვნებას და დეტალებს ხაზი კარგად ესმება როგორც წამყვანის, ასევე ჟურნალისტის მხრიდან. ორივე მათგანს ცალ-ცალკე ეძლევათ შესაძლებლობა, მაყურებელი ტექსტობრივად ერთმანეთისგან განსხვავებულ და ინფორმაციულ ამბავს გააცნონ. წამყვანის ტექსტი, ძირითადად, ინფორმაციულია. მასში ძალიან მცირედაა ნახსენები დებატები და მაყურებელს წამყვანის ტექსტშივე ეძლევა ინფორმაცია, გაიგოს, კონკრეტულად რომელ პოლიტიკოსებს შორის გაიმართა „მწვავე დებატები“, რომელიც ამ ტერმინოლოგიით უკვე ჟურნალისტმა გააჟღერა.

ჟურნალისტი ეთიკური და ინფორმაციულია. პირველ ჩართვაში ის კონკრეტული პოლიტიკოსების სახელებსა და გვარებს არ ასახელებს, ზოგადად, პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლებზე საუბრობს და მათ სქესს არ უსვამს ხაზს.

ტელეკომპანია „მაესტრო“ სიუჟეტის განმავლობაში რვა სინქრონს გვთავაზობს: ოთარ კახიძის, თეა წულუკიანის, ელენე ხომტარიასი, ირმა ინაშვილის, ზურა ჭიაბერაშვილის, დიმიტრი ქუმსიშვილის, გიგა ბოკერიას და ეკა ბესელიასი. როგორც ხედავთ, რესპონდენტების სქესიდან 4 მამაკაცია და 4 ქალი, ანუ შეგვიძლია თამამად აღვნიშნოთ, რომ გაშუქებისას გენდერული ბალანსი დაცულია. თუმცა იმასაც უნდა გაესვას ხაზი, რომ ჩამოთვლილი სინქრონებიდან მედიასაშუალება თეა წულუკიანის სინქრონს 3-ჯერ აშუქებს, ირმა ინაშვილისას - 2-ჯერ და, მთლიანობაში, ქალ რესპონდენტთა სინქრონი მამაკაცებისაზე მეტია.

რაც შეეხება იმიჯს, თეა წულუკიანი რიტორიკული კითხვებით, ირონიული ტექსტით და ჟარგონული ენით საუბრობს: იგი დამაკნინებელ კონტექსტში იყენებს ფრაზებს: „ძველბიჭობა“, „ხულიგნობა“ და ა.შ.. მედიასაშუალებას წულუკიანის სინქრონები, ცხადია, დაჭრილი აქვს, თუმცა ყველა შემთხვევაში ოპონენტების დროსთან მიმართებით გაცილებით ხანგრძლივად ჟღერს წულუკიანის ტექსტები. ნაწილობრივ, ეს პარლამენტის კითხვა-პასუხის რეჟიმითაც იხსნება, სადაც წულუკიანს, ძირითადად, პასუხების გაცემა უწევს.

მედიასაშუალება ელენე ხოშტარიას ერთ ფრაზას უთმობს ეთერს (ელენე ხოშტარია მიმართავს თეა წულუკიანის: „**ნამდვილად არ მახსოვხართ!**“) ფრაზა არაინფორმაციული და, ფაქტობრივად, უმნიშვნელოა. კადრში ხოშტარია მეტ-ნაკლებად ჩანს, თუმცა ტექსტის გარეშე.

ირმა ინაშვილი, ძირითადად, კითხვებით შემოიფარგლება, თუმცა მისი მეორე სინქრონის დასასრულს ინაშვილი შეფასებასაც აკეთებს. მისი პოზიციონირება კითხვა-პასუხის რეჟიმში ხდება, მისი იმიჯი კი - ინფორმაციულია.

რაც შეეხება ეკა ბესელიას, მაყურებელს მისი მხოლოდ ერთი სინქრონის ნახვისა და მოსმენის შესაძლებლობა ეძლევა, სადაც ბესელია საქართველოს მთავრობის მეთაურს აფასებს და ზოგად განმარტებას აკეთებს.

საბოლოოდ, ტელეკომპანია „მანეტროს“ აღნიშნული საკვლევი სიუჟეტი ინფორმაციულია, მასში ყველა საკვლევ კითხვას პასუხი ეცემა და კვლევის კუთხით, საკმაოდ საინტერესოა. თვალშისაცემია რესპონდენტთა რაოდენობრივად დაბალანსებული, მაგრამ გაშუქების მხრივ ქალ პოლიტიკოსებზე აქცენტდასმული მდგომარეობა. მედიასაშუალების ორივე წარმომადგენელი - ჟურნალისტიც და წამყვანიც ეთიკურები არიან და გენდერული სტერეოტიპების გავრცელებას ადგილი არ აქვს.

საზოგადოებრივი მაუწყებელი საკვლევი სიუჟეტის სათაურშივე სვამს ძირითად აქცენტს, სათაურშივე დომინირებს ორი პოლიტიკოსი - ელენე ხოშტარია და თეა წულუკიანი. სიუჟეტი საკმაოდ ხანგრძლივია, იგი 6 წუთსა და 28 წამს გასტანს. მაყურებელს ინფორმაციას აწვდის როგორც წამყვანი, ასევე ჟურნალისტი თავისი

ჩართვით. წამყვანი ინფორმაციას ერთი კონკრეტული ფრეიმით აჟღერებს - „მწვავე რეპლიკები კომიტეტის სხდომაზე“, რაც მაყურებელში განწყობასა და ამინდს უკვე ქმნის და დასახელებული პოლიტიკოსები, რომელთა შორისაც დაანონსებული დებატები გაიმართა, საზოგადოების ინტერესს სიუჟეტის თავშივე იწვევს. სხვა მხრივ, წამყვანის ტექსტი ინფორმაციულია. იგი მაყურებელს ძირითად ინფორმაციას აწვდის, შეფასებებისგან თავს იკავებს. ასეთივეა ჟურნალისტის ჩართვაც სიუჟეტიტურთ. მალევე ჟურნალისტი ხაზს უსვამს მთავარ თემას, რომ კითხვა-პასუხის რეჟიმმა მწვავედ და ხმაურიანად ჩაიარა, თუმცა ვის შორის გაიმართა დებატები, არ აკონკრეტებს - უფრო ზუსტად, არ ასახელებს პოლიტიკოსებს და მხოლოდ მათ პოლიტიკურ პარტიებზე საუბრობს.

საზოგადოებრივი მაუწყებელი მაყურებელს რვა პოლიტიკოსის სინქრონს სთავაზობს: თეა წულუკიანის, ელენე ხომტარიასი, ეკა ბესელიასი, ოთარ კახიძის, გიგა ბოკერიასი, გიორგი მღებრიშვილის, ირმა ინაშვილის და მიხეილ ჯანელიძის. როგორც ხედავთ, რესპონდენტთაგან 4 ქალი და 4 მამაკაცია, ანუ გაშუქების მხრივ გენდერული ბალანსი დაცულია, თუმცა რიგ გარემოებებიდან გამომდინარე, ქალ პოლიტიკოსთა სინქრონები ხანგრძლივობის მხრივ აჭარბებს მამაკაც პოლიტიკოსთა სინქრონებს, კერძოდ: საზოგადოებრივი მაუწყებელი მაყურებელს აჩვენებს თეა წულუკიანისა და ელენე ხომტარიას დაძაბულ დიალოგს (რომელიც კითხვა-პასუხის რეჟიმმა გამოიწვია); ასევე, ხშირად ეთმობა საეთერო დრო თეა წულუკიანის შეფასებებს, ელენე ხომტარიას და ეკა ბესელიას რეპლიკებს.

ელენე ხომტარია, ძირითადად, შეკითხვებს სვამს. მისი კითხვები უარყოფითად შეფასებითი და ირონიულია, იგი ხშირად ერთვება თეა წულუკიანის საუბრისას, რაც კამათს იწვევს. ხომტარიას კითხვები მხოლოდ წულუკიანის მისამართით არაა გამოთქმული, იგი შეკითხვით თავდაცვის მინისტრობის იმჟამინდელ კანდიდატს - ლევან იზორიასაც რიტორიკულად მიმართავს, თუმცა პასუხს იმჟამინდელი საგარეო საქმეთა მინისტრობის კანდიდატისგან - მიხეილ ჯანელიძისგან იღებს.

თეა წულუკიანი უმეტესწილად ირონიული პასუხებითა და რეპლიკებით გამოირჩევა. სიუჟეტის დასაწყისში ის ელენე ხომტარიასთან დიალოგშია ჩაბმული და ცინიკური ფრაზებით პასუხობს მას. ასევე ცინიკურად და ჟარგონულ ენაზე საუბრობს ელენე ხომტარიაზე ეკა ბესელიასთან. წულუკიანი კრიტიკულია ოთარ კახიძის მიმართაც: მას კონკრეტული ციფრებით და ზუსტი, დეტალური არგუმენტებით ესაუბრება, თუმცა არც კახიძის მიმართ იშურებს ცინიზმსა და სარკაზმს.

მაყურებელი ეკა ბესელიას აღნიშნულ სიუჟეტში მხოლოდ ერთხელ ხედავს, სადაც ბესელია ელენე ხომტარიას სიმშვიდისკენ მოუწოდებს და წინააღმდეგ შემთხვევაში სხდომის დატოვებით ემუქრება.

რაც შეეხება ირმა ინაშვილს, იგი „ქართულ ოცნებას“ აკრიტიკებს და მათ წარმომადგენლებს უარყოფითი რეპლიკებით ავსებს. „ნაციონალურ მოძრაობას“ კი რიტორიკული შეკითხვებით მიმართავს. ინაშვილი კონკრეტული, ემოციული და საქმიანია.

მთლიანობაში სიუჟეტში თითქმის სრულადაა გადმოცემული პარლამენტში მომხდარი კითხვა-პასუხის რეჟიმის სხდომა. საზოგადოებრივი მაუწყებელი მაყურებელს ამბავს ორი ფრეიმის გამოყენებით - საინფორმაციო და სკანდალურით - აცნობს. მედიასაშუალების წარმომადგენელთა მხრიდან ეთიკური ნორმები დაცულია, ხოლო მათი მხრიდან სიუჟეტში გენდერული ნიშნით სტერეოტიპები არ ვრცელდება, რასაც ვერ ვიტყვით რესპონდენტებზე. თეა წულუკიანი რამდენჯერმე ახსენებს სიტყვებს: „ძველბიჭობა“, „ხულიგნობა“ ელენე ხომტარიას მისამართით. ქართული მენტალიტეტისთვის ორივე სიტყვა მამაკაცთან ასოცირებულია, შესაბამისად, ამ კონოტაციების ელენე ხომტარიას მიმართ გამოყენებით იქმნება სტერეოტიპი, რომ ხომტარიაც შესაძლოა „ძველი ბიჭი“, „ხულიგანი“ ყოფილიყო, რომელიც მაშინ, როდესაც თეა წულუკიანი წიგნს კითხულობდა, ხომტარია ფეხბურთის თამაშით ირთობდა თავს.

ამ ტერმინებთან დაკავშირებით ექსპერტებს განსხვავებული ხედვა აქვთ. მაგალითად, მამუკა გაჩეჩილაძე, „ქალთა საინფორმაციო ცენტრის“ წარმომადგენელი ფიქრობს, რომ

„ძველბიჭობა“ არის ქცევა, რომელიც შეიძლება დამახასიათებელი იყოს ქალისთვისაც და კაცისთვისაც:

- *„ნაკლებად სტერეოტიპულია, ქალს ვუწოდოთ „ძველბიჭური“. ისევე, როგორც გადაწყვეტილების მიმღებ პოზიციაზე გვყავს ცოტა ქალი, ასევე გვყავს ცოტა „ძველი ბიჭი“ ქალი. ნებისმიერი ადამიანის ასეთი ეპითეტებით შემკობა ცუდია როგორც ქალთან, ასევე მამაკაცთან მიმართებაში. ეს ეპითეტი გამოყენებულია ადამიანის დაკნინებისთვის იმიტომ, რომ „ძველბიჭობა“ არც კაცისთვის და არც ქალისთვის არაა კარგი. ფრაზა დამაკნინებელია, თუმცა სტერეოტიპული ზუსტად ქალთან მიმართებაში არ არის. სტერეოტიპულია, რომ კაცები არიან „ძველი ბიჭები“ და არა ქალები.“*

ელენე რუსეცკაია, „ქალთა საინფორმაციო ცენტრიდან“, ფიქრობს, რომ ეს რეპლიკა უფრო შეურაცხყოფელია, ვიდრე მადისკრიმინირებელი. რუსეცკაიასთვის ქალთა სოლიდარობის არქონა იწვევს დისკომფორტს:

- *„მიუხედავად პოლიტიკური პარტიის, იდეოლოგიის და მსოფლმხედველობისა, მტკივნეულია, რომ ქალებსაც შეუძლიათ ერთმანეთს მიაყენონ შეურაცხყოფა. პოლიტიკური იდეოლოგიის გამო ქალების დაპირისპირება ხდება, რა სიტყვას უწოდებს ან არ უწოდებს, ჩემთვის მეორეხარისხოვანია, მაგრამ ამაზე უფრო მეტად მაღელვებს ის ფაქტი, რომ პოლიტიკოსებს შორის იდეოლოგიური განსხვავება არ უნდა გადადიოდეს ისეთ ფორმაში, რომელიც შეიძლება დისკრიმინაციას შეიცავდეს. ფრაზას „ძველბიჭობა“ არაკორექტული შემოდია ვუწოდო.“*

ეკა იმერლიშვილი, „ფემინისტების დამოუკიდებელი ჯგუფიდან“, ფიქრობს, რომ ეს რეპლიკა გენდერულად დისკრიმინაციულია. მისივე შეფასებით, ის, აგრეთვე, დისკრიმინაციულია კაცისთვის, თუმცა აქ ნაკლები გენდერული კონოტაციით - უფრო სოციალური, ეთიკური და მორალური მოსაზრებებით:

- *„ბველიბიჭი“ მადისკრიმინერებელი ფრაზა შეიძლება იყოს კაცისთვისაც და ქალისთვისაც, თუმცა ქალის შემთხვევაში, მას უფრო მადისკრიმინირებელი კონოტაცია აქვს, რადგან კაცისთვის უფრო დასაშვებია ბველიბიჭობა (გენდერული განწყობა), ვიდრე ქალისთვის, რომელიც არც ბიჭური უნდა იყოს და, მით უმეტეს, ბველიბიჭური - ესენი უფრო მამაკაცური „ეპიტეტებია“.*

„პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის“ წარმომადგენელი ანა არგანაშვილი, ძირითადად, საზოგადოების მიერ ქალ პოლიტიკოსთა შეფასებებისას ძალიან დიდი ზეწოლა ქალებზე. მისი თქმით, როგორც უნდა მოიქცეს ქალი პოლიტიკოსი, საზოგადოება იტყვის, რომ ან ზედმეტად სუსტია, ან ზედმეტად ძლიერია, ან კაცივით იქცევა, ან - ქალივით:

- *„ეს შეფასება იყო სტერეოტიპების წამახალისებელი, ამ ქალთან მიმართებაში წახალისებდა გარკვეულ დისკურსს, რაც, რა თქმა უნდა, არ იქნებოდა სასარგებლო და თანასწორობაზე ორიენტირებული. ქალი პოლიტიკოსების შემთხვევაში არ უყურებენ მათ გადაწყვეტილებებს, უყურებენ, როგორ იქცევა და როგორ გამოიყურება, რაც იმთავითვე არასწორია. უფრო საინტერესო იქნებოდა, ვინმეს შეეფასებინა, ქალი პოლიტიკოსი იმ წუთში რასაც საუბრობდა, იყო თუ არა ადეკვატური და არა ის, რა ხმის ტონით საუბრობდა, ან რა ინტონაცია იყო ან რა ეცვა.“*

თამარ ხორბალაძე, მედიის განვითარების ფონდის წარმომადგენელი, ფიქრობს, რომ მნიშვნელოვანია, თუ რა კუთხით იქნა ეს ფრაზა გამოყენებული:

- *„თეა წულუკიანის ამ მიმართებაში არა მხოლოდ „ბველიბიჭობა“, როგორც დამამცირებელი ტერმინი, იქნა გამოყენებული, არამედ ამასთანავე ხაზი გაესვა, რომ ელენე ხომტარია „ბველიბიჭობდა“ მაშინ, როცა თავად წიგნებს კითხულობდა. თავად კონტექსტი, რომელშიც „ბველიბიჭობა“ იქნა გამოყენებული, იყო დამამცირებელი და, შესაბამისად, დისკრიმინაციულიც, რადგან ამკვიდრებდა სტერეოტიპს, თითქოს ბიჭებთან ერთად თამაში და ბველიბიჭობა დასაგმობია და გამორიცხავს წიგნის კითხვას.“*

საბოლოოდ, საკვლევად სიუჟეტი საკმაოდ ინფორმაციული და საინტერესოა მასში არსებული ნიუანსებისა და დეტალების გამო.

ტელეკომპანია „რუსთავი 2“ საკვლევი სიუჟეტის სათაურად თეა წულუკიანის მიერ ელენე ხომტარიას მიმართ გამოთქმულ ციტატას იყენებს, რაც სათაურშივე ორივე პოლიტიკოსს აქცევს ყურადღების ცენტრში. აღნიშნული საკვლევი სიუჟეტი პირდაპირ ჟურნალისტის ჩართვით იწყება, რომელიც პირველივე წინადადებაში თეა წულუკიანს უსვამს ხაზს და მხოლოდ შემდეგ ახსენებს პარლამენტის სხდომაზე გაჟღერებულ თემებს. ტელეკომპანია „რუსთავი 2“, დანარჩენი საკვლევი მედიასაშუალებებისგან განსხვავებით, მოსამართლე ურთმელიძის საქმეს „რუსთავი 2-ის“ კონტექსტში გაჟღერებულად აფასებს. ჟურნალისტი აჟღერებს შემდეგ ფრაზასაც: „თეა წულუკიანი ჩვეულ ფორმაში იყო“. რას ნიშნავს „ჩვეულ ფორმაში ყოფნა“ და არის თუ არა ეს დეტალი მაყურებლისთვის ამინდის შემქმნელი?! გარდა ამისა, ჟურნალისტი არასწორად ციტირებს თეა წულუკიანის ფრაზას - „მაშინ, როდესაც ისინი ძველბიჭობდნენ, ის (თეა წულუკიანი, ავტ.) კარგი გოგო იყო და წიგნებს კითხულობდა,“ - მაშინ, როდესაც „კარგი გოგო“ საერთოდ არ იყო არცერთი პოლიტიკოსის მიერ გაჟღერებული და ეს ყველაფერი ჟურნალისტის ინტერპრეტაციის ნაწილია.

ტელეკომპანია „რუსთავი 2“ მაყურებელს 4 სინქრონს სთავაზობს: ელენე ხომტარიასი, თეა წულუკიანის, ეკა ბესელიასი და ოთარ კახიძის. როგორც რაოდენობრივად, ისე გამუქების სიხშირის მხრივ, სინქრონები არადაბალანსებულია. სიუჟეტის დიდი ნაწილი, როგორც სათაურიდანვე ივარაუდება, თეა წულუკიანსა და ელენე ხომტარიას შორის გამართულ დიალოგს ეძღვნება. სხვა საკვლევი მედიასაშუალებებისგან განსხვავებით, ტელეკომპანია „რუსთავი 2“ ელენე ხომტარიას სინქრონებს უფრო ვრცლად გვთავაზობს, საიდანაც მაყურებელს აზრის გამოტანა მეტად შეუძლიათ. ხომტარიას იმიჯი „რუსთავი 2-ში“ მეტად ინფორმაციულია, ამ შემთხვევაში იგი უმნიშვნელო რეპლიკებით აღარ ჩნდება. ხომტარია საკმაოდ მკაცრი და კრიტიკულია. მისი შეკითხვები, ძირითადად, მიმართულია თეა წულუკიანის მისამართით.

თეა წულუკიანის სინქრონებიც, სხვა საკვლევე მედიასაშუალებებისგან განსხვავებით, მეტად ვრცელია და მისი აზრი უფრო მეტად თანმიმდევრული და ლოგიკური ჩანს მაყურებლისთვის. ისევე, როგორც სხვა საკვლევე მედიასაშუალებებში, წულუკიანის იმიჯი „რუსთავი 2-ში“ გაშუქებისას ასევე კრიტიკული, რიტორიკული და სარკასტულია. „რუსთავი 2-საც“ გამოყენებული აქვს წულუკიანის ირონიული ფრაზები და ჟარგონული სიტყვები, რაც, თავის მხრივ, სტერეოტიპულ შინაარსს ატარებს (ეს საკითხი წინა მედიასაშუალების - საზოგადოებრივი მაუწყებლის - ანალიზში განხილულია).

ეკა ბესელია „რუსთავი 2-ის“ შემთხვევაშიც მხოლოდ ერთი ფრაზით ჩნდება მაყურებლის წინაშე და მკაცრი იმიჯი აქვს, იქიდან გამომდინარე, რომ იგი ელენე ხოშტარიას დამშვიდებისკენ მოუწოდებს, წინააღმდეგ შემთხვევაში კი მას სხდომის დატოვებით ემუქრება.

ტელეკომპანია „რუსთავი 2“ საეთერო დროს საერთოდ არ უთმობს სხდომის სხვა ქალ პოლიტიკოსებს, კონკრეტულად, ირმა ინაშვილს. მედიასაშუალების წარმომადგენელი - ჟურნალისტი ინტერპრეტაციას მიმართავს, აქედან გამომდინარე, ვერ ვიტყვით, რომ მედიასაშუალება ობიექტურია საკითხის გაშუქებისას. რაც შეეხება გენდერულ სტერეოტიპებს, როგორც წინა მედიასაშუალების - საზოგადოებრივი მაუწყებლის - ანალიზისას აღინიშნა, გარკვეულწილად რესპონდენტ თეა წულუკიანის ფრაზები: „ძველბიჭობა“, „ხულიგნობა“ და „ფეხბურთის თამაში“ შესაძლოა, მივიჩნიოთ გენდერულ სტერეოტიპებად.

ტელეკომპანია „იმედის“ სათაური, აღნიშნულ საკვლევე თემაზე, საკმაოდ ზოგადია, თუმცა ფრაზა - „ძალღვანი მინისტრობის კანდიდატები“ - შესაძლოა აკონკრეტებდეს პოლიტიკოსთა ვინაობას. სიუჟეტი ხანგრძლივი და ინფორმაციულია. იგი წამყვანის ტექსტით იწყება, საიდანაც მაყურებელი გაცილებით მეტ ინფორმაციას იღებს, ვიდრე სხვა საკვლევე მედიასაშუალებების ანალოგიური საკვლევე სიუჟეტებისგან: აქ მკვეთრად ეცემა ჟურნალისტურ 5 შეკითხვას პასუხი - სად მოხდა მოვლენა? როდის? რა მოხდა? რატომ მოხდა და ვინ მონაწილეობდა?

წამყვანის ტექსტს თეა წულუკიანის სინქრონი მოსდევს, სადაც წულუკიანი ელენე ხომტარიას საკმაოდ კრიტიკულად და ირონიულად მიმართავს უკვე კარგად ნაცნობი გენდერულად სტერეოტიპული ჟარგონული ფრაზებით. წულუკიანის ტექსტს ჟურნალისტის ჩართვა ახლავს. იგი განმარტავს იუსტიციის მინისტრობის კანდიდატისა და „ნაციონალური მოძრაობის“ წევრის კამათის მიზეზს, რასაც თან ერთვის ელენე ხომტარიას საპასუხო რეაქცია თეა წულუკიანის მიმართ.

ტელეკომპანია „იმედი“ მაყურებელს 6 სინქრონს სთავაზობს: თეა წულუკიანისას, ელენე ხომტარიასი, გიგა ბოკერიასი, გიორგი მღებრიშვილის, ლევან იზორიასი და ირმა ინაშვილის. აქედან ჩანს, რომ მედიასაშუალება რაოდენობრივად დაბალანსებულად 3-3 რესპონდენტს აშუქებს, თუმცა გაშუქების სიხშირის მიხედვით აშკარად მეტი საეთერო დრო ქალ პოლიტიკოსებს ეთმობათ.

სხვა მედიასაშუალებებისგან განსხვავებით, ტელეკომპანია „იმედი“ ირმა ინაშვილს მეტ საეთერო დროს უთმობს. ტელეკომპანია „იმედის“ ეთერში რიტორიკული შეკითხვებისა და უარყოფითად შეფასებული პოლიტიკური ძალების გარდა, ინაშვილი ახალ საკითხს გამოყოფს - საქართველოს საზღვრების დაცვის საკითხს და ამ თემასთან არსებულ ინაშვილის შეკითხვას შსს-ს მინისტრი - გიორგი მღებრიშვილი პასუხობს. ამ გარემოებიდან გამომდინარე, ირმა ინაშვილის იმიჯი საქმიანი და ინფორმაციულია.

საბოლოოდ, ტელეკომპანია „იმედი“ არსებული გენდერული ნიშნით სტერეოტიპული ფრაზის გარდა (თეა წულუკიანის შეფასება: „ძველბიჭობა“ და ა.შ., ავტ.) სხვა სტერეოტიპების გამავრცელებელი არ არის. მედიასაშუალებაში, განსხვავებით სხვა საკვლევი მედიასაშუალებებისგან, არაა გაშუქებული ეკა ბესელია.

შეჯამების სახით, შეიძლება ითქვას, რომ საკვლევ მედიასაშუალებებში - „მაესტრო“, „რუსთავი 2“, „იმედი“ და საზოგადოებრივი მაუწყებელი - ელენე ხომტარიას და თეა წულუკიანის დაპირისპირება სხვადასხვაგვარად შუქდება, თუმცა რამდენიმე ძირითად ფრეიმში.

სათაურების მხრივ განსხვავებული მდგომარეობა გვაქვს: ტელეკომპანიები - „მაესტრო“ და „იმედი“ საკვლევ თემაზე ზოგად სათაურს გვთავაზობენ, თუმცა „იმედის“ შემთხვევაში

ფრაზა - „მალოვანი მინისტრობის კანდიდატები“ - შესაძლოა აკონკრეტებდეს პოლიტიკოსთა ვინაობას; საზოგადოებრივი მაუწყებელი საკვლევი სიუჟეტის სათაურშივე სვამს ძირითად აქცენტს და სიუჟეტის ორ ძირითად ფიგურას - თეა წულუკიანსა და ელენე ხოშტარიას - სათაურშივე გამოყოფს; დაახლოებით მსგავს სტრატეგიას მიმართავს მედიასაშუალება „რუსთავი 2“ და საკვლევი სიუჟეტის სათაურად თეა წულუკიანის მიერ ელენე ხოშტარიას მიმართ გამოთქმულ ციტატას იყენებს. რაც შეეხება სიუჟეტის ხანგრძლივობას, საეთერო დროს თითქმის თანაბრად ანაწილებს ოთხივე საკვლევი მედიასაშუალება ეთერში საკვლევი თემის გაშუქებას.

განსხვავებული ვითარებაა რესპონდენტთა რაოდენობის და გაშუქების სიმრავლის კუთხით: ტელეკომპანია „მაესტრო“ სიუჟეტის განმავლობაში რვა სინქრონს გვთავაზობს, გაშუქებისას გენდერული ბალანსი დაცულია. თუმცა იმასაც უნდა გაეხვას ხაზი, რომ მთლიანობაში, ქალ რესპონდენტებს მეტი საეთერო დრო ეთმობათ, ვიდრე მამაკაცებს. ასევე, გენდერის კუთხით რაოდენობრივად დაბალანსებული რესპონდენტები ჰყავს საზოგადოებრივ მაუწყებელს, თუმცა რიგი გარემოებებიდან გამომდინარე, ქალ პოლიტიკოსთა სინქრონები აჭარბებს მამაკაც პოლიტიკოსთა სინქრონებს, კერძოდ: საზოგადოებრივი მაუწყებელი მაყურებელს აჩვენებს თეა წულუკიანისა და ელენე ხოშტარიას დამაბულ დიალოგს. განსხვავებული მდგომარეობაა ტელეკომპანია „რუსთავი 2-ში“: „რუსთავი 2“ მაყურებელს 4 სინქრონს სთავაზობს, როგორც რაოდენობრივად, ისე გაშუქების სიხშირის მხრივ, სინქრონები არადაბალანსებულია. რაც შეეხება ტელეკომპანია „იმედს“, ამ შემთხვევაში მაყურებელი 6 რესპონდენტის სინქრონს ეცნობა, მედიასაშუალება რაოდენობრივად დაბალანსებულად 3-3 რესპონდენტს აშუქებს, თუმცა გაშუქების სიხშირის მიხედვით აშკარად მეტი საეთერო დრო ქალ პოლიტიკოსებს ეთმობათ. ოთხივე მედიასაშუალება საკვლევ თემაზე ქალ პოლიტიკოსებს მეტ საეთერო დროს უთმობს.

განვიხილოთ, რა მდგომარეობაა მედიასაშუალებების წარმომადგენელთა მხრიდან საკვლევი თემის გაშუქებისას. ტელეკომპანია „მაესტროს“ წამყვანს და ჟურნალისტს ცალ-ცალკე ეძლევათ შესაძლებლობა, მაყურებელი ტექსტობრივად ერთმანეთისგან განსხვავებულ და ინფორმაციულ ამბავს გააცნონ. მათი ტექსტი, ძირითადად,

ინფორმაციულია და არაა შეფასებითი ტონის. საზოგადოებრივი მაუწყებლის წამყვანი ინფორმაციას ერთი კონკრეტული ფრეიმით, რაც მაყურებელში კონკრეტულ განწყობას ქმნის, თუმცა როგორც წამყვანი, ასევე ჟურნალისტი ეთიკურია და არცერთი მათგანი არ ავრცელებს გენდერული ნიშნით სტერეოტიპებს. ტელეკომპანია „რუსთავი 2-ის“ ჟურნალისტი პირველივე წინადადებაში თეა წულუკიანის პერსონას უსვამს ხაზს და მხოლოდ შემდეგ ახსენებს სიუჟეტის სხვა ძირითად თემებს. ჟურნალისტი არასწორად ციტირებს თეა წულუკიანის ფრაზას, რაც მის ინტერპრეტაციაზე მეტყველებს. დაბოლოს, ტელეკომპანია „იმედის“ ჟურნალისტიც და წამყვანიც ეთიკურია და არცერთი მათგანი არ ავრცელებს გენდერული ნიშნით სტერეოტიპებს. ჩამოთვლილ საკვლევ მედიასაშუალებათაგან საკვლევ თემაზე ყველაზე ინფორმაციული სწორედ „იმედია“, რადგან საკვლევ სიუჟეტში ყველა ძირითად შეკითხვაზე პასუხი გაცემულია.

რაც შეეხება ქალ პოლიტიკოსთა იმიჯს და პოზიციონირებას საკვლევ მედიასაშუალებებში, ტელეკომპანია „მესტროს“ შემთხვევაში თეა წულუკიანი რიტორიკული კითხვებით, ირონიული ტექსტით და ჟარგონული ენით საუბრობს. მისი ცინიზმი ძალიან თვალშისაცემია. ასეთივე იმიჯი ექმნება თეა წულუკიანს საზოგადოებრივი მაუწყებლის შემთხვევაშიც, სიუჟეტის დასაწყისში ის ელენე ხომტარიასთან დიალოგშია ჩაბმული და ცინიკური ფრაზებით პასუხობს მას. ასევე ცინიკურად და ჟარგონულ ენაზე საუბრობს ელენე ხომტარიაზე ეკა ბესელიასთან. წულუკიანი კრიტიკულია ოთარ კახიძის მიმართაც: მას კონკრეტული ციფრებით და ზუსტი, დეტალური არგუმენტებით ესაუბრება, თუმცა არც კახიძის მიმართ იშურებს ცინიზმსა და სარკაზმს. ტელეკომპანია „რუსთავი 2-ში“ გაშუქებისას თეა წულუკიანის სინქრონები, სხვა საკვლევ მედიასაშუალებებისგან განსხვავებით, მეტად ვრცელია და მისი აზრი უფრო მეტად თანმიმდევრული და ლოგიკური ჩანს მაყურებლისთვის. ისევე, როგორც სხვა საკვლევ მედიასაშუალებებში, წულუკიანის იმიჯი „რუსთავი 2-ში“ გაშუქებისას ასევე კრიტიკული, რიტორიკული და სარკასტულია. „რუსთავი 2-საც“ გამოყენებული აქვს წულუკიანის ირონიული ფრაზები და ჟარგონული სიტყვები, რაც, თავის მხრივ, სტერეოტიპულ შინაარსს ატარებს. მთლიანობაში, შეიძლება ითქვას, რომ თეა

წულუკიანი ნაწილობრივ შეიძლება იყოს გენდერული ნიშნით სტერეოტიპების გამავრცელებელი. მის მიერ ნათქვამი რეპლიკები: „ძველბიჭობა“, „ხულიგნობა“ - ქართული მენტალიტეტისთვის მამაკაცთან ასოცირებულია და შეურაცხმყოფელ კონტექსტშია გამოყენებული.

ტელეკომპანია „მაესტრო“ საკვლევი თემის გაშუქებისას ელენე ხომტარიას ერთ ფრაზას უთმობს ეთერს. ფრაზა არაინფორმაციული და, ფაქტობრივად, უმნიშვნელოა. მისი იმიჯი დიდად არ იკვეთება. საზოგადოებრივი მაუწყებლის შემთხვევაში, ხომტარია, ძირითადად, შეკითხვებს სვამს. მისი კითხვები უარყოფითად შეფასებითი და ირონიულია, იგი ხშირად ერთვება თეა წულუკიანს საუბრისას, რაც კამათს იწვევს. სხვა საკვლევი მედიასაშუალებებისგან განსხვავებით, ტელეკომპანია „რუსთავი 2“ ელენე ხომტარიას სინქრონებს უფრო ვრცლად გვთავაზობს, საიდანაც მაყურებელს აზრის გამოტანა მეტად შეუძლიათ. ხომტარიას იმიჯი „რუსთავი 2-ში“ მეტად ინფორმაციულია, ამ შემთხვევაში იგი უმნიშვნელო რეპლიკებით აღარ ჩნდება. ხომტარია საკმაოდ მკაცრი, კრიტიკული და რიტორიკულია. მისი შეკითხვები, ძირითადად, მიმართულია თეა წულუკიანის მისამართით. რაც შეეხება ტელეკომპანია „იმედს“, აქ ელენე ხომტარიას პოზიციონირება საერთოდ არ ხდება.

ირმა ინაშვილის გაშუქება განსხვავებულად ხდება: ტელეკომპანია „მაესტრო“ მაყურებელს ასეთ სურათს სთავაზობს: ინაშვილის პოზიციონირება კითხვა-პასუხის რეჟიმში ხდება, მისი იმიჯი კი - ინფორმაციულია. საზოგადოებრივი მაუწყებლის ეთერში ირმა ინაშვილი „ქართულ ოცნებას“ აკრიტიკებს და მათ წარმომადგენლებს უარყოფითი რეპლიკებით ავსებს. „ნაციონალურ მოძრაობას“ კი რიტორიკული შეკითხვებით მიმართავს. ინაშვილი კონკრეტული, ემოციული და საქმიანია. ტელეკომპანია „რუსთავი 2“ საეთერო დროს საერთოდ არ უთმობს ირმა ინაშვილს. რაც შეეხება „იმედს“, სხვა მედიასაშუალებებისგან განსხვავებით, ტელეკომპანია „იმედი“ ირმა ინაშვილს მეტ საეთერო დროს უთმობს - რიტორიკული შეკითხვებისა და უარყოფითად შეფასებული პოლიტიკური ძალების გარდა, ინაშვილი ახალ თემას ეხება და პოლემიკაში შსს-ს მინისტრობის კანდიდატს იწვევა. ირმა ინაშვილის იმიჯი საქმიანი და ინფორმაციულია.

რაც შეეხება ეკა ბესელიას, „მაესტროში“ მაცურებელს მისი მხოლოდ ერთი სინქრონის ნახვისა და მოსმენის შესაძლებლობა ეძლევა, სადაც ბესელია საქართველოს მთავრობის მეთაურს აფასებს და ზოგად განმარტებას აკეთებს. ბესელიას იმიჯი ინფორმაციული და საქმიანია. საზოგადოებრივი მაუწყებლის ეთერში მაცურებელი ბესელიას საკვლევ სიუჟეტში მხოლოდ ერთხელ ხედავს, სადაც ბესელია ელენე ხომტარიას სიმშვიდისკენ მოუწოდებს და წინააღმდეგ შემთხვევაში სხდომის დატოვებით ემუქრება. ეკა ბესელია „რუსთავი 2-ის“ შემთხვევაშიც მხოლოდ ერთი ფრაზით ჩნდება მაცურებლის წინაშე და მკაცრი იმიჯი აქვს. ტელეკომპანია „იმედში“, განსხვავებით სხვა საკვლევ მედიასაშუალებებისგან, არაა გამუქებული ეკა ბესელია.

4. ქეთევან ციხელაშვილის ანგარიში პარლამენტს

2017 წლის 25 აპრილს პარლამენტში, კომიტეტების გაერთიანებულ სხდომაზე შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის - ქეთევან ციხელაშვილის ანგარიშს მოუსმინეს. ამ უწყებას კი პოლიტიკოსთა ერთი ნაწილი არასაჭიროდ მიიჩნევს უფრო მეტიც, მაგალითად, რომან გოცირიძის თქმით, სამინისტროს იგივე ფუნქციები აქვს, რაც მეხუთე ბორბალს ავტომობილისთვის. ანგარიშის წარდგენამ საკმაოდ ხმაურიანად ჩაიარა. მიუხედავად იმისა, რომ თემა რეზონანსული იყო, სატელევიზიო მედიასაშუალებებში იგი, ძირითადად, ახალი ამბების ფორმატში გამოუქდა და მასზე რამდენიმე სიუჟეტი მომზადდა. თემა საკვლევ მედიასაშუალებების მთავარ გამოშვებებში ვერ მოხვდა. საკვლევ თემის სატელევიზიო ტრანსკრიპტები იხილეთ დანართ #4-ში (გვ.92-99).

ტელეკომპანია „მაესტრო“ საკვლევ თემაზე ნიუსს ამზადებს. მედიასაშუალება აღნიშნულ თემას საკმაოდ მოკლე და ნაკლებინფორმაციულ სათაურს უმზადებს. ნიუსის სტანდარტის შესაბამისად, მედიაპროდუქტის ხანგრძლივობა საკმაოდ მცირე - 1 წუთი და რამდენიმე წამია.

ტელეკომპანია „მაესტრო“ აღნიშნულ ინფორმაციას მხოლოდ წამყვანის მეშეობით გვამცნობს. წამყვანი, ძირითადად, ფაქტობრივ ინფორმაციას აწვდის. მედიასაშუალება კი მხოლოდ ერთ - ქეთევან ციხელაშვილის სინქრონს გვთავაზობს. ჩართვაში რესპონდენტი არა მხოლოდ შეხვედრის თაობაზე ფაქტობრივ ინფორმაციას აცნობს მაყურებელს, არამედ საკითხის შესახებ სხვა დეტალებსაც აწვდის. მისი იმიჯი საქმიანია. არც მედიასაშუალების და არც რესპონდენტის მხრიდან რაიმე სახის გენდერული ნიშნით სტერეოტიპების გავრცელებას ადგილი არ აქვს.

საზოგადოებრივი მაუწყებელი აღნიშნულ თემაზე ვრცელ მედიაპროდუქტს გვთავაზობს. სიუჟეტის ხანგრძლივობა თითქმის 5 წუთია, სათაური კონკრეტული და ფაქტობრივია. სიუჟეტში შესავალ სიტყვას მედიასაშუალების წამყვანი ამბობს, ხოლო ძირითადი ხაზი - ჟურნალისტს მიჰყავს. წამყვანი და ჟურნალისტი ერთმანეთისგან დამოუკიდებელ, განსხვავებულ ინფორმაციას აწვდიან მაყურებელს, თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ჟურნალისტის ჩართვები სიუჟეტისთვის ცოტა ხანგრძლივია: იგი ხშირად აწვდის იმ ინფორმაციას, რომელსაც მაყურებელი რესპონდენტის სინქრონშიც ისმენს.

საზოგადოებრივი მაუწყებელი აღნიშნულ საკვლევ თემაზე სამი რესპონდენტის მოსაზრებას აცნობს მაყურებელს. აქედან ორი მამაკაცია (ლევან გოგიჩაიშვილი, რომან გოცირიძე), ხოლო ერთი - ქალი (ქეთევან ციხელაშვილი).

საკვლევ ობიექტის - ქეთევან ციხელაშვილის იმიჯი საქმიანი და ფაქტობრივია. გარდა იმ თემისა, რის წარდგენასაც აპირებს მინისტრი პარლამენტისთვის, იგი სხვა გარემოებებზე არ საუბრობს.

სიუჟეტის მსვლელობისას გენდერული ნიშნით სტერეოტიპების გავრცელებას არც მედიასაშუალების და არც რესპონდენტების მხრიდან ადგილი არ ჰქონია.

საკვლევ თემაზე ტელეკომპანია „რუსთავი 2“, სხვა საკვლევ მედიასაშუალებებისგან განსხვავებით, ერთერთ მეტად ინფორმაციულ მედიაპროდუქტს ამზადებს. „რუსთავი 2-ის“ მიერ მომზადებული აღნიშნული თემის სათაური ინფორმაციული და გასაგებია, სიუჟეტის ხანგრძლივობა დამაკმაყოფილებელია იქიდან გამომდინარე, რომ 2 წუთში მედიასაშუალება ახერხებს და მაყურებელს აწვდის როგორც ფაქტობრივ ინფორმაციას, ასევე რესპონდენტების მოსაზრებებს.

მაყურებელი საკვლევ თემაზე ცნობებს მედიასაშუალების წამყვანის მიერ იღებს. მისი ტექსტი ლაკონიური და ინფორმაციული. ტელეკომპანია „რუსთავი 2“ საკვლევ თემის შესახებ 4 რესპონდენტის სინქრონებს გვთავაზობს, აქედან 1 ქალია (ქეთევან ციხელაშვილი), ხოლო 3 - მამაკაცი (გია ვოლსკი, სერგი კაპანაძე, რომან გოცირიძე). როგორც ვხედავთ, რესპონდენტების გაშუქების კუთხით, არადაბალანსებული სიტუაციაა.

საკვლევი ობიექტის - ქეთევან ციხელაშვილის სინქრონი ინფორმაციულია. მასში არ ჩანს ციხელაშვილის პირადი დამოკიდებულებები, მხოლოდ ზუსტი, ფაქტობრივი და ინფორმაციული ტექსტი ჟღერს რესპონდენტის მხრიდან. შესაბამისად, ამ სიუჟეტში ქეთევან ციხელაშვილის იმიჯი საქმიანია.

მედიასაშუალებაში არსად, არც ტელეკომპანია „რუსთავი 2-ის“ წამყვანის და არც რესპონდენტების მხრიდან, ადგილი არ აქვს გენდერული ნიშნით სტერეოტიპების გავრცელებას.

ტელეკომპანია „იმედი“ საკვლევ თემას განსხვავებული კუთხით და, შესაბამისად, ფრეიმით აცნობს საზოგადოებას. მედიასაშუალების სათაური აღნიშნულ თემაზე კონკრეტული და ინფორმაციულია, მომზადებული მედიაპროდუქტი კი - შემაჯამებელ ხასიათს ატარებს. სიუჟეტის ხანგრძლივობა 3 წუთია, რა დროშიც აღნიშნულ თემაზე მაყურებელს სრულად ინფორმირების შესაძლებლობა აქვს.

მედიასაშუალების მხრიდან ინფორმაციას როგორც წამყვანი, ასევე ჟურნალისტი ავრცელებს. წამყვანის ტექსტი ინფორმაციულთან ერთად, შემაჯამებელიცაა, თემის გაშლა კი სწორედ ჟურნალისტის მეშვეობით ხდება. სწორედ ეს უკანასკნელი ქმნის იმ ფრეიმს, რაც ტელეკომპანია „იმედის“ მიერ მომზადებულ სიუჟეტს სხვა მედიასაშუალებების

სიუჟეტებისგან განასხვავებს. მაყურებელი აქ უკვე მხოლოდ ინფორმაციას და რესპონდენტების მოსაზრებებს არ ეცნობა; „იმედი“ საზოგადოებას აცნობს საკვლევი თემის გარშემო ერთი კონკრეტული პოზიციის მატარებელ პოლიტიკოსებს და მათ შეხედულებებს. ფრეიმი გამოკვეთილია - მინისტრ ციხელაშვილის ხედვას პარლამენტში, უმეტესწილად, უარყოფითი შეფასებები მოჰყვება.

ტელეკომპანია „იმედი“ საკვლევ თემაზე მაყურებელს 4 რესპონდენტის მოსაზრებას აცნობს, რომელთაგანაც 2 ქალია (ქეთევან ციხელაშვილი, ადა მარშანია), ხოლო 2 - კაცი (აფხაზთა კრების წარმომადგენელი და რომან გოცირიძე). შეიძლება ითქვას, რომ ტელეკომპანია „იმედი“ თემაზე რესპონდენტებს დაბალანსებულად აშუქებს.

აღნიშნულ სიუჟეტში ორი ქალი პოლიტიკოსია: ადა მარშანია და ქეთევან ციხელაშვილი. მარშანია მაყურებლის წინაშე მკაცრი იმიჯითაა წარმოჩენილი: იგი კოლეგებს სხდომის დახურვას სთავაზობს და ამის მიზეზად საკუთარ არგუმენტსაც აჟღერებს. მისი მისამართით აფხაზთა კრების წარმომადგენელი არა სტერეოტიპულ, მაგრამ უარყოფითი კონოტაციის რეპლიკას აჟღერებს - ადა მარშანიას „ვეჩნ“ დეპუტატს“ უწოდებს. რაც შეეხება ქეთევან ციხელაშვილს, იგი „იმედის“ სიუჟეტშიც საქმიანი იმიჯითაა წარმოდგენილი. მას პირადი პოზიციის დაცვა უწევს და რომან გოცირიძის შეხედულებას საკუთარი არგუმენტებით უმკლავდება.

მედიასაშუალებაში გენდერული ნიშნით სტერეოტიპების გავრცელება არც ტელეკომპანია „იმედის“ წარმომადგენლების და არც რესპონდენტების მხრიდან არ ხდება.

საბოლოოდ, შეჯამების სახით, შეიძლება ითქვას, რომ საკვლევად შერჩეულ მედიასაშუალებებში საკვლევი თემა გაშუქების მხრივ არაერთგვაროვანია. შერჩეული მედიასაშუალებები აღნიშნულ თემაზე სხვადასხვა სახის მედიაპროდუქტს (ნიუსი, სიუჟეტი, ჩართვა) გვთავაზობენ. ტელეკომპანია „მაესტრო“ საკითხს ახალი ამბების ფორმატში აშუქებს, საზოგადოებრივი მაუწყებელი ვრცელ მედიანაწარმს გვთავაზობს; ტელეკომპანია „რუსთავი 2“ - ერთერთი ინფორმაციულ სიუჟეტს ამზადებს, ასევე, შუქდება საკვლევი საკითხი ტელეკომპანია „იმედში“. შერჩეულ მედიასაშუალებებში განსხვავებული მდგომარეობაა იმის მიხედვით, თუ რომელმა მედიასაშუალებამ რა დრო

დაუთმო თემის გაშუქებას. ქრონომეტრაჟის მიხედვით, მაყურებელს ყველაზე ხანგრძლივ მასალას საზოგადოებრივი მაუწყებელი სთავაზობს და თემას 5 წუთამდე საეთერო დროს უთმობს; შემდეგ მოდის ტელეკომპანია „იმედი“ – 3 წუთით; შემდეგ - „რუსთავი 2“ – 2 წუთით და ბოლოს - ტელეკომპანია „მაესტრო“ – 1 წუთით.

ოთხივე მედიასაშუალების შემთხვევაში საკვლევი თემის სათაური ინფორმაციული. სათაურის მიხედვით, მედიასაშუალებებს მცირედი განსხვავებები აქვთ: „მაესტრო“ აღნიშნულ თემას მოკლე და ნაკლებინფორმაციულ სათაურს არგებს; საზოგადოებრივი მაუწყებელი - კონკრეტულ და ფაქტობრივ სათაურს იყენებს; „რუსთავი 2“ - ინფორმაციულ სათაურს, სადაც მთავარი მოვლენა გამოყოფილია; რაც შეეხება „იმედს“, მედიასაშუალების მიერ მომზადებული სათაური აღნიშნულ თემაზე კონკრეტული და ინფორმაციულია, მომზადებული მედიაპროდუქტი კი - შემაჯამებელ ხასიათს ატარებს.

განვიხილოთ, შერჩეული მედიასაშუალებები საკვლევ თემაზე რესპონდენტების გაშუქებისას რამდენად იცავენ ბალანსს. ტელეკომპანია „მაესტროს“ მხოლოდ ერთი - ქალის სინქრონი აქვს გამოყენებული; საზოგადოებრივ მაუწყებელს - სამი რესპონდენტი ჰყავს: ორი მამაკაცი, ერთი ქალი; ტელეკომპანია „რუსთავი 2“ საკვლევ თემაზე 4 რესპონდენტის მოსაზრებას გვთავაზობს: ერთი ქალი, სამი მამაკაცი; ტელეკომპანია „იმედიც“ 4 რესპონდენტს აშუქებს - ორ ქალს და ორ მამაკაცს. აქედან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მთლიანობაში თემის გაშუქებისას რესპონდენტთა გაშუქების ბალანსი რაოდენობრივად დაცული არაა, ამ ბალანსის შენარჩუნებას მხოლოდ ტელეკომპანია „იმედი“ ახერხებს.

განვიხილოთ, როგორი იმიჯით წარმოადგენენ მედიასაშუალებები საკვლევ ობიექტებს: ტელეკომპანია „მაესტროს“ და საზოგადოებრივი მაუწყებლის შემთხვევაში საკვლევი ობიექტი მხოლოდ ერთია - ქეთევან ციხელაშვილი, რომლის იმიჯიც მკაცრად საქმიანი და ფაქტობრივია. ასევეა „რუსთავი 2-ის“ შემთხვევაშიც: საკვლევი ობიექტის - ქეთევან ციხელაშვილის სინქრონი ინფორმაციულია. მასში არ ჩანს ციხელაშვილის პირადი დამოკიდებულებები, მხოლოდ ზუსტი, ფაქტობრივი და ინფორმაციული ტექსტი ჟღერს რესპონდენტის მხრიდან. შესაბამისად, ამ სიუჟეტში ქეთევან ციხელაშვილის იმიჯი

საქმიანია. ტელეკომპანია „იმედის“ მიერ მომზადებულ მედიაპროდუქტში ორი ქალი პოლიტიკოსია: ადა მარშანია და ქეთევან ციხელაშვილი. მარშანია მაყურებლის წინაშე მკაცრი იმიჯითაა წარმოჩენილი: იგი კოლეგებს სხდომის დახურვას სთავაზობს და ამის მიზეზად საკუთარ არგუმენტსაც აჟღერებს. მისი მისამართით აფხაზთა კრების წარმომადგენელი არა სტერეოტიპულ, მაგრამ უარყოფითი კონოტაციის რეპლიკას აჟღერებს - ადა მარშანიას „ვეჩნ“ დეპუტატს“ უწოდებს. რაც შეეხება ქეთევან ციხელაშვილს, იგი „იმედის“ სიუჟეტშიც საქმიანი იმიჯითაა წარმოდგენილი.

არცერთ საკვლევ მედიასაშუალებაში - არც ტელეკომპანია „მანესტროში“, არც საზოგადოებრივ მაუწყებელში, არც ტელეკომპანია „რუსთავი 2-ში“ ან „იმედში“ გენდერული ნიშნით სტერეოტიპების გავრცელებას არც მედიასაშუალების და არც რესპონდენტების მხრიდან ადგილი არ ჰქონია.

დასკვნის სახით, შეიძლება ითქვას, რომ აღნიშნული საკითხი საკვლევ მედიასაშუალებებში, ძირითადად, ინფორმაციული ფრეიმით შუქდება. გამონაკლისია ტელეკომპანია „იმედი“ - მის მიერ მომზადებული სიუჟეტი სხვა მედიასაშუალებების სიუჟეტებისგან განსხვავებულია. მაყურებელი აქ უკვე მხოლოდ ინფორმაციას და რესპონდენტების მოსაზრებებს არ უყურებს; „იმედი“ საზოგადოებას აცნობს საკვლევით თემის გარშემო ერთი კონკრეტული პოზიციის მატარებელ პოლიტიკოსებს და მათ შეხედულებებს. ფრეიმი გამოკვეთილია - მინისტრ ციხელაშვილის ხედვის გაცნობას პარლამენტში უმეტესწილად უარყოფითი შეფასებები მოჰყვა.

5. თამარ კორძაიას „რესპუბლიკური პარტიის“ პოლიტიკურ მდივნად დანიშვნა

2017 წლის 22 იანვარს თამარ კორძაია „რესპუბლიკური პარტიის“ პოლიტიკურ მდივნად დაინიშნა. აღნიშნული თემა საკვლევად შეირჩა ერთი მთავარი მიზეზის გამო: „რესპუბლიკური პარტიის“ პოლიტიკური მდივნის პოზიციას თამარ კორძაიამდე დავით ბერძენიშვილი იკავებდა. საკვლევად საინტერესოა, როგორ გააშუქებს მედია აღნიშნულ

ამბავს - მოცემულ ფრეიმში თუ გვერდს აუვლის ამ ფაქტს? საკვლევი თემის სატელევიზიო ტრანსკრიპტები იხილეთ დანართ #5-ში (გვ.99-103).

ტელეკომპანია „მაესტრო“ საკვლევ თემაზე მცირე ხანგრძლივობის - 1-წუთიან ნიუსს ამზადებს. სათაური ზოგადია - მასში არ ჩანს, კონკრეტულად ვინ არის ახალი პოლიტიკური მდივანი. მედიასაშუალება საზოგადოების ინფორმირებას გამოშვების წამყვანის მეშვეობით ახდენს, რომლის ტექსტიც ინფორმაციული და ფაქტობრივია. წამყვანის ტექსტშივეა აღნიშნული, რომ ქალი პოლიტიკოსის ადგილს იმდრომდე მამაკაცი იკავებდა. აქ ჩნდება შეკითხვა - გასაგებია, რომ საზოგადოება უნდა იყოს ინფორმირებული, ვინ იკავებდა აღნიშნულ პოზიციას ადრე, თუმცა შეკითხვის არსი მდგომარეობს იმაში, რომ თუკი თამარ კორძაიას ნაცვლად ნებისმიერი მამაკაცი პოლიტიკოსი დაიკავებდა „რესპუბლიკური პარტიის“ პოლიტიკური მდივნის პოზიციას, გააჟღერებდა თუ არა მედიასაშუალება მსგავს დეტალს? თუ პასუხი არის „არა“, საქმე გენდერული ნიშნით სტერეოტიპების გავრცელებასთან გვაქვს. შეიძლება ვივარაუდოთ, თითქოს ჟურნალისტი კონკრეტულ ფრეიმს ქმნის ამ სახით - ადრე აღნიშნულ პოზიციას იკავებდა მამაკაცი, ახლა - ქალი, რა შედეგებზე გავალთ?

ტელეკომპანია „მაესტრო“ საკვლევ თემაზე მხოლოდ ერთი რესპონდენტის - თავად საკვლევი ობიექტის - თამარ კორძაიას სინქრონს გვთავაზობს. კორძაიას იმიჯი მკვეთრად საქმიანია და მასში სხვა დეტალები არ იკვეთება.

საზოგადოებრივი მაუწყებელი საკვლევ თემაზე საკმაოდ მცირე ხანგრძლივობის მედიანაწარმს გვთავაზობს. საზოგადოებრივი მაუწყებლის მიერ მომზადებული ახალი ამბის ქრონომეტრაჟი ნახევარი წუთიც არაა. მედიასაშუალება აღნიშნული თემის შესახებ მაყურებელს გამოშვების წამყვანის მეშვეობით აწვდის ინფორმაციას. ტექსტი მხოლოდ ინფორმაციული და ფაქტობრივია, თუმცა საზოგადოებრივი მაუწყებელიც ხაზს უსვამს იმ ფაქტს, რომ „რესპუბლიკური პარტიის“ პოლიტიკური მდივნის პოსტს თამარ კორძაიამდე დავით ბერძენიშვილი იკავებდა. ამ დეტალის გაჟღერებას ზუსტად ისეთივე დატვირთვა და ვარაუდი შეიძლება მოჰყვეს, როგორც წინა საკვლევი მედიასაშუალების (ტელეკომპანია „მაესტროს“) შემთხვევაში.

მედიაპროდუქტის ხანგრძლივობიდან გამომდინარე, საზოგადოებრივი მაუწყებელი მაყურებელს აღნიშნულ თემაზე რესპონდენტების მოსაზრებებს არ აცნობს, არც ტექსტობრივად და პერიფრაზირება-ციტირებით, არც სინქრონების სახით, თუმცა კადრში თამარ კორძაიას ბრიფინგი კარგად ჩანს. ამ გარემოებიდან გამომდინარე, რთულია, მედიასაშუალების მიერ გაშუქებული კორძაიას იმიჯის შესახებ საუბარი, მაგრამ გამოშვების წამყვანი საკვლევ ობიექტს მეტ-ნაკლებად საქმიან იმიჯს უქმნის.

გარდა აღნიშნული ვარაუდისა (ბერძენიშვილი - კორძაია), მედიასაშუალების მხრიდან გენდერული ნიშნით სტერეოტიპების გავრცელებას ადგილი არ ჰქონია.

შედარებით ინფორმაციულია ტელეკომპანია „რუსთავი 2-ის“ მიერ საკვლევ თემაზე მომზადებული მედიაპროდუქტი. მედიასაშუალების სიუჟეტი 1-წუთიანია, თუმცა ამ დროში მაყურებელს საშუალება ეძლევა, უფრო დეტალურად გაეცნოს ამბავს. „რუსთავი 2-ის“ მიერ მომზადებული სათაური ინფორმაციულთან ერთად კონკრეტულია და მხოლოდ ფაქტობრივ მასალას არ გვაცნობს. აქ ხაზი ესმება ფაქტს, რომ კორძაიამ ბერძენიშვილი ჩაანაცვლა, ამ თეზისთან დაკავშირებით ვარაუდი კი იდენტურია წინა ორი მედიასაშუალების შემთხვევაში დასმული ვარაუდისა.

„რუსთავი 2-ის“ გამოშვების წამყვანი მაყურებელს ბევრ ისეთი ნიუანსს აცნობს, რომელიც აქამდე არცერთ საკვლევ მედიასაშუალებაში არ გაჟღერებულა. „რუსთავი 2“ თამარ კორძაიას სატელეფონო ჩართვასაც გვთავაზობს, სადაც კორძაია აღნიშნულ პოზიციაზე დანიშვნის შესახებ საუბრობს. ის, ასევე, განმარტავს ბერძენიშვილის მიერ დაკავებული ახალი თანამდებობის რაობას, სავარაუდოდ, იქიდან გამომდინარე, რომ „რუსთავი 2“ ახალ ამბავს სწორედ ამ ფრეიმით აშუქებს, რაც სათაურშივე ნათელია.

გარდა აღნიშნული ვარაუდისა (ბერძენიშვილი - კორძაია), მედიასაშუალების მხრიდან გენდერული ნიშნით სტერეოტიპების გავრცელებას ადგილი არ ჰქონია.

სხვა საკვლევ მედიასაშუალებებისგან განხვავებით, საკვლევ თემა ყველაზე ინფორმაციულად ტელეკომპანია „იმედმა“ გააშუქა. მედიასაშუალებამ თემას 2 წუთი დაუთმო, რა დროშიც მაყურებლის მეტ-ნაკლებად ინფორმირება შეძლო.

ტელეკომპანია „იმედის“ მიერ მომზადებული სათაური ინფორმაციული და ზოგადია, რადგან მასში ის კონკრეტული ცვლილებები არ ჩანს, რაზეც სიუჟეტია აგებული. მედიასაშუალება საზოგადოებას ინფორმაციას გამოშვების წამყვანისა და ჟურნალისტის მეშვეობით აწვდის. ნაწილობრივ, წამყვანის და ჟურნალისტის ტექსტები ერთმანეთს ემთხვევა, თუმცა თემას სრულად სწორედ ჟურნალისტი შლის. ეს უკანასკნელი კონკრეტული საკადრო ცვლილებების გარდა მაყურებელს თემის სხვა მნიშვნელოვან დეტალებსაც აწვდის.

ტელეკომპანია „იმედი“ საკვლევ თემასთან დაკავშირებით ორი რესპონდენტის მოსაზრებას გვთავაზობს. ორივე ქალია - თამარ კორძაია და ინგა მალრაძე. რესპონდენტთა გენდერის მიხედვით სიუჟეტი არადაბალანსებულია.

თამარ კორძაია მაყურებლის წინაშე საქმიანი იმიჯითაა წარმოჩენილი, რაც შეეხება ინგა მალრაძეს, მისი სინქრონიდან შეიმჩნევა ნერვიულობა და დაძაბულობა.

ტელეკომპანია „იმედიც“ ეხება ბერძენიშვილი - კორძაიას საკითხს, თუმცა, თუ ამ, აქამდე გამოკვეთილ ვარაუდს უგულებელვყოფთ, მედიასაშუალებაში არც რესპონდენტთა და არც მედიასაშუალების წარმომადგენელთა მხრიდან გენდერული ნიშნით სტერეოტიპების გავრცელებას ადგილი არ აქვს.

შეჯამების სახით, შეიძლება ითქვას, რომ საკვლევ თემაზე - თამარ კორძაიას მიერ „რესპუბლიკური პარტიის“ პოლიტიკური მდივნის თანამდებობაზე დანიშვნას საკვლევ მედიასაშუალებები მცირე საეთერო დროს უთმობენ: საზოგადოებრივი მაუწყებელი ამბის გადმოცემას - 24 წამში ახერხებს; ტელეკომპანიები „მაესტრო“ და „რუსთავი 2“ - 1 წუთში; ხოლო ყველაზე ხანგრძლივად თემას ტელეკომპანია „იმედი“ აშუქებს - 2 წუთსა და რამდენიმე წამში.

სათაურების მხრივ, საკვლევ მედიასაშუალებებში განსხვავებული ვითარებაა: ტელეკომპანია „მაესტროს“ შემთხვევაში სათაური ზოგადია - მასში არ ჩანს, კონკრეტულად ვინ არის ახალი პოლიტიკური მდივანი; საზოგადოებრივი მაუწყებლის შემთხვევაში - სათაური კონკრეტული და ინფორმაციულია; „რუსთავი 2-ის“ მიერ მომზადებული სათაური ინფორმაციულთან ერთად კონკრეტულია და მხოლოდ ფაქტობრივ მასალას არ

გვაცნობს. აქ ხაზი ესმება ფაქტს, რომ კორძიამ ბერძენიშვილი ჩაანაცვლა. რაც შეეხება ტელეკომპანია „იმედის“ მიერ მომზადებულ სათაურს, იგი ინფორმაციული და ზოგადია, რადგან მასში ის კონკრეტული ცვლილებები არ ჩანს, რაზეც სიუჟეტია აგებული.

ოთხივე მედიასაშუალება თემას ორ ძირითად ფრეიმში აშუქებს: 1. ინფორმაციული; 2. კორძიამ ბერძენიშვილი ჩაანაცვლა. განსხვავებული მდგომარეობა გვაქვს ტელეკომპანია „იმედის“ შემთხვევაში - მედიასაშუალება კონკრეტული საკადრო ცვლილებების გარდა მაყურებელს თემის ბევრ სხვა მნიშვნელოვან დეტალს აწვდის. უმეტესწილად, საკვლევ მედიასაშუალებებში ხაზი ესმებოდა, რომ კორძიას წინამორბედი დავით ბერძენიშვილი იყო. ამ ფაქტის ხშირი გაჟღერებით გაჩნდა შეკითხვა - რატომ უსვამს მედია ხაზს, რომ დავით ბერძენიშვილი თამარ კორძიამ ჩაანაცვლა? პასუხებს ექსპერტები გვცემენ:

მამუკა გაჩეჩილაძე, მედიაექსპერტი, „ქალთა საინფორმაციო ცენტრიდან“ ფიქრობს, რომ თუ მედია დაწერს, რომ ქალი დაინიშნა კაცის ნაცვლად, სხვა საკითხია:

- *„თამარ კორძიამ ჩაანაცვლა დავით ბერძენიშვილი“ - აქ ვერ ვხედავ ვერანაირად სტერეოტიპულ მიდგომას იმიტომ, რომ ხაზგასმული სქესი არ არის. ერთმა ჩაანაცვლა მეორე და ამით ალბათ შედარებაა ორი ადამიანის პოლიტიკური წონის და გამოცდილების. რომ ყოფილიყო, ქალმა კაცი ჩაანაცვლა, ეს უკვე ფაქტობრივად ხაზგასმა იქნებოდა სქესზე და ამ ყველაფრის დანახვა უკვე სხვანაირად შეგვეძლო.“*

ელენე რუსეცკაია, მედიაექსპერტი, „ქალთა საინფორმაციო ცენტრიდან“ პოზიტიური დისკრიმინაციის ნიშნებს უსვამს ხაზს. მისი აზრით, იმდენად ცოტაა ქალი პოლიტიკოსი, რომ ქალთა უფლებადამცველებისათვის ძალიან მომხიბვლელი იყო, რომ თამარ კორძიამ კაცი ჩაანაცვლა:

- *„იმიტომ, რომ პოლიტიკაში ერთი ქალით მეტი მოხვდა და ჩვენ, ფაქტობრივად, თითო ქალისთვის და თითო პროცენტზე ვიზრდებით. თამარ კორძია იმ პერიოდში დიდი რეიტინგით არ სარგებლობდა და საზოგადოებისთვის ისეთი ცნობილი სახე არ იყო, როგორც ბერძენიშვილი, ამიტომ ამგვარი გამუქება შეიძლება მისთვის პიარი ყოფილიყო და მისი პოპულარიზაციისთვის შეეწყო ხელი. როდესაც ქალ*

პოლიტიკოსებზეა საუბარი, პირიქით, ეს ჯერჯერობით ხაზგასასმელი ფაქტია, სანამ არ იქნება ბალანსი.“

რუსეცკიას შეფასებით, თუ ამ საკითხის გაშუქება მედიაში არ ხდება ნეგატიურ ჭრილში, მაგალითად, ქალმა ჩაანაცვლა კაცი და რას გააკეთებს? მაშინ ეს საზოგადოებისთვის სტერეოტიპების დარღვევისთვის ძალიან კარგი იქნება.

მედიაშეფასებელი ეკა იმერლიშვილი, „ფემინისტების დამოუკიდებელი ჯგუფიდან“ ამ ფაქტს დისკრიმინაციად არ მიიჩნევს:

- *„ვფიქრობ, რომ ეს არ არის დისკრიმინაცია, თუ არ ხდება თამარ კორძაიას, როგორც ქალი სპიკერის შესაძლებლობების, გამოცდილებებისა და ცოდნის დისკრედიტაცია მხოლოდ და მხოლოდ მისი ქალობის გამო.“*

ანა არგანაშვილი, მედიაშეფასებელი, „პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის“ ფიქრობს, რომ როდესაც ქალი იკავებს თანამდებობას, ეს არ არის ქართული საზოგადოებისთვის მისაღები და გასაგები ხშირ შემთხვევაში:

- *„ვინც უნდა დანიშნულიყო, ალბათ, ყოველთვის ადარებენ მის წინამორბედს. ანალოგიურად, უმრავლესობაშიც ასეა. ასეთ შეკითხვას ყველა ახალს ალბათ დაუსვამდნენ, ანუ ჩვენ თითოეული შემთხვევა უნდა შევაფასოთ ასე - მაგალითად, ელენე ხოშტარია რომ ყოფილიყო კაცი, ვინმეს აინტერესებს, რა ხმის ტონით საუბრობს? ან პარლამენტში ცოტა გვინახავს არასწორი ხმის ტონით მოსაუბრე და მაგიდიდან მაგიდაზე გადამხტარი კაცები?! ვნახეთ ეს ყველაფერი, მაგრამ ამაზე არავინ საუბრობს. თამარ კორძაიას შემთხვევაში, მე ვერაფერს ვხედავ სტერეოტიპულს.“*

თამარ ხორბალაძე, მედიაშეფასებელი, „მედიის განვითარების ფონდიდან“ კი ფაქტს ასე ეხმაურება:

- *„ამ შემთხვევაში, ვფიქრობ, რომ ეს არაა დისკრიმინაცია, ან ქალი პოლიტიკოსის უკანა პლანზე გადაწევა, რადგან ფაქტის კონსტატაციაა და ამგვარი გაშუქება პირიქით - თამარ კორძაიას ცნობადობის გასაზრდელად მომგებიანია!“*

შერჩეულ საკვლევ თემაზე საკვლევ მედიასაშუალებები უმეტეს შემთხვევაში მხოლოდ და მხოლოდ ერთი რესპონდენტის - თავად თამარ კორძაიას სინქრონს გვთავაზობენ; საზოგადოებრივი მაუწყებელი მაყურებელს აღნიშნულ თემაზე რესპონდენტების მოსაზრებებს არ აცნობს, არც ტექსტობრივად და პერიფრაზირება-ციტირებით, არც სინქრონების სახით. მხოლოდ ტელეკომპანია „იმედი“ აცნობს მაყურებელს მეორე რესპონდენტის - ინგა მაღრაძის მოსაზრებას. ამ კუთხით, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ თემის გაშუქებისას აღნიშნულ მედიასაშუალებებში რესპონდენტების გენდერისა და გაშუქების ხანგრძლივობის კუთხით, მდგომარეობა არადაბალანსებელია.

თამარ კორძაიას სატელევიზიო იმიჯი ოთხივე შემთხვევაში საქმიანი, ინფორმაციული და მკაცრია. ამის საფუძველს კი ის იძლევა, რომ კორძაია მხოლოდ თემის ირგვლის საუბრობს და მხოლოდ ფაქტობრივ ცნობებს აჟღერებს.

თუკი ბერძენიშვილი - კორძაიას ვარაუდს უგულებელვყოფთ, არცერთ საკვლევ მედიასაშუალებაში არც რესპონდენტთა და არც მედიასაშუალების წარმომადგენელთა მხრიდან გენდერული ნიშნით სტერეოტიპების გავრცელებას ადგილი არ ჰქონია.

6. ნინო ბურჯანაძის საარჩევნო შეფასებები

2016 წლის ერთერთი უმნიშვნელოვანესი მოვლენა საპარლამენტო არჩევნები იყო. ცხადია, საკვლევადა საინტერესოა, არჩევნების შესახებ ქალ პოლიტიკოსთა დამოკიდებულებები. ამ მიზნით, საკვლევადა შეირჩა ნინო ბურჯანაძის საარჩევნო შეფასებები - კვლევა ეყრდნობა იმას, თუ რომელ სატელევიზიო მედიაში რა ფრეიმით და რა იმიჯით გაშუქდა აღნიშნული საკითხი. საკვლევ თემის სატელევიზიო ტრანსკრიპტები იხილეთ დანართ #6-ში (გვ.103-107).

ტელეკომპანია „მაესტრო“ საკვლევ თემას მოკლედ აშუქებს. მედიასაშუალებას თემისთვის ზოგადი და მოკლე სათაური აქვს შერჩეული. „მაესტრო“ შერჩეული თემის გაშუქებას 1 წუთსა და რამდენიმე წამს უთმობს. საკვლევ საკითხზე საზოგადოების ინფორმირებას წამყვანი ცდილობს. მისი ტექსტი, თემის კონტექსტიდან გამომდინარე,

მკვეთრად უარყოფითია, თუმცა არსად შეიმჩნევა გენდერული ნიშნით სტერეოტიპების გამავრცელებელი ნიშნები. მედიასაშუალება, ძირითადად, ინფორმაციული ხასიათის სიუჟეტს ამზადებს, რომელშიც ფაქტობრივ მონაცემებთან ერთად ხშირია რესპონდენტის პერიფრაზირებაც.

რაც შეეხება რესპონდენტს, ტელეკომპანია „მაესტრო“ მაყურებელს მხოლოდ ერთი რესპონდენტის - ნინო ბურჯანაძის მოსაზრებას აცნობს. ამ უკანასკნელის იმიჯი მკაცრი და საქმიანია.

საზოგადოებრივი მაუწყებელი აღნიშნულ საკითხს კონკრეტული - უარყოფითი და საქმიანი ფრეიმით აშუქებს. საკვლევი მედიასაშუალება საკვლევ თემას 1 წუთამდე დროს უთმობს. მედიასაშუალება აქცენტს ბოიკოტირების თემაზე სვამს. წამყვანის ტექსტში ხშირია უარყოფითი კონოტაციის მქონე ფრაზები: „ბოიკოტირება“, „დაუკმაყოფილებლობა“, „უსამართლო“... აქედან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ საზოგადოებრივი მაუწყებელი თემის შინაარსიდან გამომდინარე გაშუქებისას უარყოფით ფრეიმს იყენებს.

მედიასაშუალება საკვლევ თემაზე მაყურებელს მხოლოდ ერთი რესპონდენტის - ნინო ბურჯანაძის მოსაზრებას სთავაზობს როგორც სინქრონის, ასევე ციტირების სახით. თავად ბურჯანაძე კონკრეტული სიტყვების ხშირი გამეორებით მკვეთრ აქცენტს სვამს საქართველოში სამართლიანობისა და არჩევნების უნდობლობის საკითხზე („ქვეყანაში სასამართლო აღარ არსებობს“; „ქვეყანაში არ არსებობს სამართლიანობის პოვნის არანაირი გარანტია“, „ქვეყანაში არჩევნები კარგავს აზრს“...) მისი იმიჯი საკმაოდ მკაცრი, რადიკალისტური („მხოლოდ ორი გზა: ან ავტოკრატია, ან რევოლუცია“) და საქმიანია.

საკვლევი თემის გაშუქებისას საკვლევ მედიასაშუალებაში არც წამყვანის და არც რესპონდენტის მხრიდან გენდერული ნიშნით სტერეოტიპების გავრცელებას ადგილი არ აქვს.

ტელეკომპანია „რუსთავი 2“ საკვლევად შერჩეულ თემას სხვა მედიასაშუალებებისგან განსხვავებული კუთხით აშუქებს. მედიასაშუალება, ტრადიციულად, ინფორმაციული

ფრეიმით ამცნობს მაყურებელს სიახლეს და აღნიშნულ თემაზე ნიუსს ამზადებს, რომლის ხანგრძლივობაც თითქმის 1 წუთია.

ტელეკომპანია „რუსთავი 2-ის“ მიერ საკვლევ თემაზე მომზადებული სათაური კონკრეტულია: მედიასაშუალებამ სათაურად რესპონდენტის ციტატა გამოიტანა, სადაც ხაზი არჩევნების ლეგიტიმაციის საკითხს გაუსვა, შესაბამისად, ფრეიმი სათაურშივე გამოიკვეთა.

მედიასაშუალების გამოშვების წამყვანის ტექსტი ლაკონიური, ინფორმაციული და მოკლეა. „რუსთავი 2“ მაყურებელს მხოლოდ ნინო ბურჯანაძის პოზიციას აცნობს. ბურჯანაძის ტექსტი ნეგატიური და საქმიანი, რაც მედიასაშუალების მიერ ასახულ მის იმიჯზე მეტყველებს: ნინო ბურჯანაძე ტელეკომპანია „რუსთავი 2-ის“ ეთერშიც მკაცრ, საქმიან იმიჯს ირგებს.

საკვლევი თემის გაშუქებისას საკვლევ მედიასაშუალებაში არც წამყვანის და არც რესპონდენტის მხრიდან გენდერული ნიშნით სტერეოტიპების გავრცელებას ადგილი არ აქვს.

შერჩეული ოთხი მედიასაშუალებისგან საკვლევ თემაზე ყველაზე ვრცელი და ინფორმაციული მედიაპროდუქტი ტელეკომპანია „იმედი“ მოამზადა. მედიასაშუალების სათაური ზოგადი, მაგრამ ინფორმაციული. სათაურშივე შეიმჩნევა უარყოფითი ფრეიმი („... უნდობლობას უცხადებს“). სიუჟეტის ხანგრძლივობის მხრივაც, „იმედი“ განსხვავებულია: საკვლევ თემას 2 წუთამდე დრო ეთმობა.

მაყურებელს ინფორმაციას ტელეკომპანია „იმედის“ ჟურნალისტი აწვდის, რომელსაც თან სამი რესპონდენტის მოსაზრება მოსდევს. სამივე რესპონდენტი ქალია: ნინო ბურჯანაძე, ნინო ჭეიშვილი, თეონა ჯაფარიძე. აქედან, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ გენდერის მიხედვით რესპონდენტთა გაშუქებისას ბალანსი დაცული არაა.

ნინო ბურჯანაძე სიუჟეტში ძალიან კონკრეტულია - ის კონკრეტული მაგალითებით და მონაცემებით საუბრობს. მისი იმიჯი მკაცრი, ინფორმაციული და საქმიანია.

საკვლევი თემის გაშუქებისას საკვლევ მედიასაშუალებაში არც წამყვანის და არც რესპონდენტის მხრიდან გენდერული ნიშნით სტერეოტიპების გავრცელებას ადგილი არ აქვს.

შეჯამების სახით, შეიძლება ითქვას, რომ საკვლევად შერჩეულ ოთხ მედიასაშუალებაზე დაკვირვების შედეგად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მედიასაშუალებებში ნინო ბურჯანაძის მიერ საარჩევნო შეფასებებს დიდი საეთერო დრო არ ეთმობა. კერძოდ, ტელეკომპანიები - „მაესტრო“, „რუსთავი 2“ და საზოგადოებრივი მაუწყებელი - აღნიშნულ თემას 1 წუთამდე საეთერო დროს უთმობენ და საკვლევ საკითხზე ნიუსებს ამზადებენ. რაც შეეხება ტელეკომპანია „იმედს“, მედიასაშუალება 2 წუთამდე დროში აცნობს მაყურებელ თემის დეტალებს მომზადებული სიუჟეტის მეშვეობით.

სათაურების მხრივ, საკვლევ მედიასაშუალებებში თითქმის ერთი და იგივე მდგომარეობაა: აღნიშნულ თემაზე მომზადებული სათაურები „მაესტროს“, საზოგადოებრივი მაუწყებლის და „იმედის“ შემთხვევაში - მოკლე, ინფორმაციული და ზუსტია; „რუსთავი 2“ კი სათაურად რესპონდენტის - ნინო ბურჯანაძის ციტატას იყენებს.

რაც შეეხება ფრეიმებს, მედიასაშუალებები თემის გაშუქებისას უმეტესწილად ერთსა და იმავე - ინფორმაციულ ფრეიმს იყენებენ, თუმცა, ამ მხრივ, კონკრეტულ შემთხვევებში გვაქვს საინტერესო ნიუანსები, კერძოდ: საზოგადოებრივი მაუწყებელი აღნიშნულ საკითხს კონკრეტული - უარყოფითი და საქმიანი ფრეიმით აშუქებს. მედიასაშუალება აქცენტს ბოიკოტირების თემაზე სვამს. ხშირად ჟღერს უარყოფითი კონოტაციის მქონე ფრაზები: „ბოიკოტირება“, „დაუკმაყოფილებლობა“, „უსამართლო“... აქედან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ საზოგადოებრივი მაუწყებელი თემის შინაარსიდან გამომდინარე გაშუქებისას უარყოფით ფრეიმს იყენებს.

განვიხილოთ შერჩეული მედიასაშუალებების მიერ გაშუქებული რესპონდენტების სქესი და გაშუქების სიხშირე. ამ მხრივ, სრულიად დაუბალანსებელი სიტუაციაა: 4-დან 3 მედიასაშუალება („მაესტრო“, საზოგადოებრივი მაუწყებელი და „რუსთავი 2“) მხოლოდ

ერთ ქალ რესპონდენტს - ნინო ბურჯანაძეს აშუქებს; „იმედს“ 3 რესპონდენტი ჰყავს და სამივე ქალია.

შერჩეული თემის გაშუქებისას საკვლევად მხოლოდ ერთი ობიექტი - ნინო ბურჯანაძე გამოიკვეთა. მისი იმიჯი ოთხივე მედიასაშუალებაში საქმიანი, ინფორმაციული და მკაცრია. ასევე, უნდა აღინიშნოს, რომ საკვლევ თემის გაშუქებისას საკვლევ მედიასაშუალებაში არც წამყვანის და არც რესპონდენტის მხრიდან გენდერული ნიშნით სტერეოტიპების გავრცელებას ადგილი არ ჰქონია.

დასკვნა

დასკვნის სახით, შეიძლება ითქვას, რომ პასუხი გაეცა პირველ საკვლევ კითხვას - თუ როგორია ქალი პოლიტიკოსების პოზიციონირება ქართულ სატელევიზიო მედიაში.

შერჩეული თემების მიხედვით, თინა ხიდაშელის, როგორც ქართველი პოლიტიკოსი ქალის, პოზიციონირება ჯერ მისი გენდერით, ხოლო შემდეგ - საქმიანობით ხდება. ხიდაშელის იმიჯს ოდნავ სხვაგვარად წარმოგვიდგენს საზოგადოებრივი მაუწყებელი. მედიასაშუალება მეტად უსვამს ხაზს პოლიტიკოსის განათლებას, გამოცდილებას, პროფესიონალიზმს. ტელეკომპანიები - „რუსთავი 2“ და „იმედი“ უფრო საქმიანი ფრეიმებით აშუქებენ საკითხს. ხაზგასასმელია, რომ ტელეკომპანია „იმედის“ შემთხვევაში გენდერული სტერეოტიპები სიუჟეტში არსად ჩანდა, სანამ ერთერთმა რესპონდენტმა ორაზროვანი ციტატა გააჟღერა, რითაც, სავარაუდოდ, ხაზი გაუსვა იმას, რომ საქართველოს თავდაცვის ქალი მინისტრი ამ დრომდე არ ჰყოლია.

თეა წულუკიანის მიერ იუსტიციის სამინისტროს 4-წლიანი ანგარიშის წარდგენა ინფორმაციულად, ლაკონიურად და ყოველგვარი ეთიკის ნორმების დაურღვევლად გაშუქდა. თემის გაშუქებისას საკვლევ მედიასაშუალებათაგან მეტად ინფორმაციული ტელეკომპანია „იმედი“ იყო.

ელენე ხომტარიას და თეა წულუკიანის დაპირისპირების გაშუქებისას ქალ პოლიტიკოსთა პოზიციონირება საკვლევ მედიასაშუალებებში სხვადასხვაგვარად ხდება: ტელეკომპანია „მაესტროს“ შემთხვევაში თეა წულუკიანი რიტორიკული კითხვებით, ირონიული ტექსტით და ჟარგონული ენით საუბრობს. ასეთივე იმიჯი ექმნება თეა წულუკიანს საზოგადოებრივი მაუწყებლის შემთხვევაშიც. წულუკიანის იმიჯი „რუსთავი 2-ში“ გაშუქებისას ასევე კრიტიკული, რიტორიკული და სარკასტულია. „რუსთავი 2-საც“ გამოყენებული აქვს წულუკიანის ირონიული ფრაზები და ჟარგონული სიტყვები, რაც, თავის მხრივ, სტერეოტიპულ შინაარსს ატარებს. ელენე ხომტარია საკმაოდ მკაცრი, კრიტიკული და რიტორიკულია. იგივე შეიძლება ითქვას ეკა ბესელიაზეც, რომელიც საკვლევით თემის გაშუქებისას მხოლოდ ერთი ფრაზით ჩნდება ეთერში, სადაც მისი იმიჯი დიდად არ იკვეთება.

ქეთევან ციხელაშვილის ანგარიში საკვლევ მედიასაშუალებებში, ძირითადად, ინფორმაციული ფრეიმით შუქდება. გამონაკლისია ტელეკომპანია „იმედი“, სადაც უარყოფითი ფრეიმი გამოკვეთილია - მინისტრ ციხელაშვილის ხედვის გაცნობას პარლამენტში უმეტესწილად უარყოფითი შეფასებები მოჰყვა.

რაც შეეხება ნინო ბურჯანაძეს, მისი პოზიციონირება საქმიანი და მკაცრი იმიჯით ხდება.

პასუხი გაეცა მეორე საკვლევ კითხვასაც - თემის გაშუქებისას გამოყენებულია თუ არა გენდერული სტერეოტიპები? თუ არის, რა სახით? - თემის გაშუქებისას მედიასაშუალებაში გენდერული სახის სტერეოტიპებსაც ვაწყდებით, რაც დეტალურადაა აღწერილი და აღიშნულ საკითხზე ნაშრომში გამოყენებულია მედიაექსპერტთა მოსაზრებებიც.

თინა ხიდაშელის თავდაცვის მინისტრად დანიშვნა მედიამ, ძირითადად, ორი ტიპის ფრეიმში გააშუქა: ხიდაშელი, როგორც საქმიანი პოლიტიკოსი და როგორც პირველი ქალი თავდაცვის მინისტრი. თემის გაშუქებისას გენდერული ხასიათის სტერეოტიპები იკვეთებოდა: „მაესტროს“ სიუჟეტი უშუალოდ თინა ხიდაშელის, როგორც ქალის, მეუღლის და მხოლოდ ამის შემდეგ - როგორც პოლიტიკოსის ჭრილში ჰქონდა აგებული.

თეა წულუკიანის მიერ იუსტიციის სამინისტროს ოთხი წლის მუშაობის შეჯამებას ქართული სატელევიზიო მედია ერთგვარად, მსგავსად აშუქებდა. წულუკიანის იმიჯი საქმიანია, მის შესახებ ცნობები - ინფორმაციული. ამ კონკრეტული თემის გაშუქებისას საკვლევ მედიასაშუალებებში არ დაფიქსირებულა გენდერული ნიშნით სტერეოტიპები არც ჟურნალისტთა და არც რესპონდენტთა მხრიდან.

პასუხი გაეცა მესამე საკვლევ კითხვას - რა ფრეიმი გამოიყენა მედიამ ქალ პოლიტიკოსთა საკითხების გაშუქებისას? აღნიშნულმა კვლევამ აჩვენა, რომ საკვლევ თემათა გაშუქებისას ქალი პოლიტიკოსების საკითხებს და ქალ პოლიტიკოსთა იმიჯს საკვლევ მედიასაშუალებები, უმეტესწილად, განსხვავებული ფრეიმებით გვაჩვენებენ.

ელენე ხოშტარიას და თეა წულუკიანის დაპირისპირების გაშუქებამ ძალიან საინტერესო შედეგები მოგვცა თავისი არაერთგვაროვნებიდან გამომდინარე. თემის გაშუქებისას „მაესტრო“ ინფორმაციულ და არა შემაჯამებელ-შემფასებელ ფრეიმს იყენებს. საზოგადოებრივი მაუწყებელი ინფორმაციას ერთი კონკრეტული ფრეიმით ავრცელებს - დამაინტრიგებელ განწყობას ქმნის, თუმცა მედიასაშუალება არ ავრცელებს გენდერული ნიშნის სტერეოტიპებს. ტელეკომპანია „რუსთავი 2“ უმეტესად თეა წულუკიანს უსვამს ხაზს და მხოლოდ შემდეგ ახსენებს სიუჟეტის სხვა ძირითად თემებს. ჟურნალისტი არასწორად ციტირებს თეა წულუკიანის ფრაზას, რაც მის ინტერპრეტაციაზე მეტყველებს. დაბოლოს, ტელეკომპანია „იმედიც“ ეთიკურია და არ ავრცელებს გენდერული ნიშნით სტერეოტიპებს. ჩამოთვლილ საკვლევ მედიასაშუალებათაგან საკვლევ თემაზე ყველაზე ინფორმაციული სწორედ „იმედია“, რადგან საკვლევ სიუჟეტში ყველა ძირითად შეკითხვაზე პასუხი გაცემულია. მთლიანობაში, შეიძლება ითქვას, რომ თეა წულუკიანი ნაწილობრივ შეიძლება იყოს გენდერული ნიშნით სტერეოტიპების გამავრცელებელი. მის მიერ ნათქვამი რეპლიკები: „ძველბიჭობა“, „ხულიგნობა“ - ქართული მენტალიტეტისთვის მამაკაცთან ასოცირებულია და შეურაცხმყოფელ კონტექსტშია გამოყენებული. რაც შეეხება ელენე ხოშტარიას იმიჯს, იგი დიდად არ ჩანს ეკრანზე, ძირითადად, შეკითხვებს სვამს და მისი იმიჯი მკვეთრად არ მჟღავნდება. ხოშტარიას იმიჯი „რუსთავი 2-ში“ მეტად ინფორმაციულია, ამ შემთხვევაში იგი უმნიშვნელო რეპლიკებით აღარ ჩნდება. ბესელია

აღნიშნულ თემაში შუქდება, როგორც მკაცრი იმიჯის მქონე პოლიტიკოსი ქალი. ირმა ინაშვილის პოზიციონირება კითხვა-პასუხის რეჟიმში ხდება, მისი იმიჯი კი - ინფორმაციულია. იგი კონკრეტული, ემოციული და საქმიანია.

ქეთევან ციხელაშვილის მიერ პარლამენტში ანგარიშით წარდგენა გაშუქების მხრივ არაერთგვაროვანია. შერჩეულ მედიასაშუალებებში განსხვავებული მდგომარეობაა იმის მიხედვით, თუ რომელმა მედიასაშუალებამ რა დრო დაუთმო თემის გაშუქებას. მაყურებელს ყველაზე ხანგრძლივ მასალას საზოგადოებრივი მაუწყებელი სთავაზობს და თემას 5 წუთამდე საეთერო დროს უთმობს; შემდეგ მოდის ტელეკომპანია „იმედი“ – 3 წუთით; შემდეგ - „რუსთავი 2“ – 2 წუთით და ბოლოს - ტელეკომპანია „მაესტრო“ – 1 წუთით. თემის გაშუქებისას ქეთევან ციხელაშვილის იმიჯი მკაცრი, საქმიანი და ფაქტობრივია. ადა მარშანია, რომელსაც მხოლოდ „იმედი“ აშუქებს, მაყურებლის წინაშე მკაცრი იმიჯითაა წარმოჩენილი. არცერთ საკვლევ მედიასაშუალებაში - არც ტელეკომპანია „მაესტროში“, არც საზოგადოებრივ მაუწყებელში, არც ტელეკომპანია „რუსთავი 2-ში“ ან „იმედში“ გენდერული ნიშნით სტერეოტიპების გავრცელებას არც მედიასაშუალების და არც რესპონდენტების მხრიდან ადგილი არ ჰქონია.

თამარ კორძაიას მიერ „რესპუბლიკური პარტიის“ პოლიტიკური მდივნის თანამდებობაზე დანიშვნას საკვლევ მედიასაშუალებები მცირე საეთერო დროს უთმობენ. ოთხივე მედიასაშუალება თემას ორ ძირითად ფრეიმში აშუქებს: 1. ინფორმაციული; 2. კორძაიამ ბერძენიშვილი ჩაანაცვლა. ხაზი ესმება ფაქტს, რომ „რესპუბლიკური პარტიის“ პოლიტიკური მდივნის პოსტს თამარ კორძაიამდე დავით ბერძენიშვილი იკავებდა. თამარ კორძაიას სატელევიზიო იმიჯი ოთხივე შემთხვევაში საქმიანი, ინფორმაციული და მკაცრია. თემის გაშუქებისას ჩნდება კორძაია-ბერძენიშვილის შედარების მომენტიც და ამ პოლიტიკოსების სქესზე ხაზგასმა, რაც გენდერული ნიშნის სტერეოტიპად შეიძლება ჩაითვალოს.

ასევე, მცირე საეთერო დრო ეთმობა ნინო ბურჯანაძის საარჩევნო შეფასებების გაშუქებას. მედიასაშუალებები თემის გაშუქებისას უმეტესწილად ერთსა და იმავე - ინფორმაციულ ფრეიმს იყენებენ, თუმცა, ამ მხრივ, კონკრეტულ შემთხვევებში გვაქვს

საინტერესო ნიუანსები, კერძოდ: საზოგადოებრივი მაუწყებელი აღნიშნულ საკითხს კონკრეტული - უარყოფითი და საქმიანი ფრეიმით აშუქებს. ბურჯანაძის იმიჯი ოთხივე მედიასამუშაოებაში საქმიანი, ინფორმაციული და მკაცრია. ასევე, უნდა აღინიშნოს, რომ საკვლევი თემის გაშუქებისას საკვლევ მედიასამუშაოებაში არც წამყვანის და არც რესპონდენტის მხრიდან გენდერული ნიშნით სტერეოტიპების გავრცელებას ადგილი არ ჰქონია.

გამოყენებული ლიტერატურა

NDI, საზოგადოების განწყობა საქართველოში, 2016 წლის ივნისის კვლევის შედეგები ჩატარებული NDI-ის დაკვეთით CRRC-ს საქართველოს მიერ; მუდმივი ლინკი: https://www.ndi.org/sites/default/files/NDI_June_2016%20poll_Public%20Issues_GEO_VFF%20%282%29.pdf

ანა კლდიაშვილი, „აღმოსავლეთის ქალები პოლიტიკაში“, 2016, გვ.20. მუდმივი ლინკი http://gtu.ge/bef/pdf/Doqtorantura/avtoreferatebi_2016/Soc-mecn_05.07.16/a.kldiaSvili.pdf

საპარლამენტათმორისო კავშირის ვებგვერდი, მუდმივი ლინკი - <http://www.ipu.org/>

საპარლამენტათმორისო კავშირი, „ქალები ეროვნულ პარლამენტებში“, მუდმივი ლინკი - <http://www.ipu.org/wmn-e/classif.htm>

საქართველოს მთავრობის ვებგვერდი <http://gov.ge>

საქართველოს პარლამენტის ვებგვერდი <http://www.parliament.ge>

დევიდ მიქელსონის და ტონი ლ. გრიფინის „კონტენტ ანალიზის ახალი მოდელი“.

გამოქვეყნებულია საზოგადოებასთან ურთიერთობის ინსტიტუტის მიერ, აშშ, 2005

ჯენინგს ბრაიანტი და მერი ბეტ ოლივერი, 2009, „მედიაეფექტები“.თავი წიგნიდან -

„ფრეიმინგი“. გვ. 28; თავი წიგნიდან “გენდერული სტერეოტიპები“, გვ.32; თავი წიგნიდან

„სქესის ეფექტები მედიაში“; გვ. 304; მუდმივი ლინკი -

<https://www.scribd.com/doc/248068767/Jennings-Bryant-Mary-Beth-Oliver-Media-Effects-Advances-in-Theory-and-Research-2009>

ბრაიან ბარესჩი, შიპ ჰსიენ ჰსუ, სტეფან რიზი, „ფრეიმინგის ძალა“, 2010. გვ. 639, მუდმივი ლინკი

<https://journalism.utexas.edu/sites/default/files/sites/journalism.utexas.edu/files/attachments/reese/baresch-hsu-reese-chapter.pdf>

ჯემისონი და ვალდმენი, „პრესის ეფექტები“, 2003, მუდმივი ლინკი

<https://global.oup.com/academic/product/the-press-effect-9780195173291?cc=ge&lang=en&#>

დიეტრამ შოფელე, „ფრეიმინგი, როგორც მედიაეფექტი“, 1999, გვ. 105; გვ. 107. მუდმივი ლინკი <http://www.phil-fak.uni->

[duesseldorf.de/fileadmin/Redaktion/Institute/Sozialwissenschaften/Kommunikations-und Medienwissenschaft/Vowe/Forscherguppe/Scheufele Framing theory media effects.pdf](http://www.phil-fak.uni-duesseldorf.de/fileadmin/Redaktion/Institute/Sozialwissenschaften/Kommunikations-und_Medienwissenschaft/Vowe/Forscherguppe/Scheufele_Framing_theory_media_effects.pdf)

გენდერულ ტერმინთა მოკლე ლექსიკონი, მერკვილაძე ია; 2003, გვ. 112. ლინკი:

<http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=6&t=3420>

სმიტი, „გენდერული უთანასწორობა 500 პოპულარულ ფილმში“, 2013, გვ. 1; მუდმივი ლინკი:

http://annenbergl.usc.edu/pages/~media/MDSCI/Gender_Inequality_in_500_Popular_Films_-_Smith_2013.ashx

ელიზაბეტა კოსტა, „The wider world: politics, the visible and the invisible“, UCL Press. (2016), pp. 128-162; მუდმივი ლინკი <http://www.jstor.org/stable/pdf/j.ctt1g69z14.10.pdf>

ელიზაბეტა კოსტა, დენიელ მილერი, ტომ მაკდონალდსი, თავი Gender, წიგნიდან - How the World Changed Social Media, UCL Press. (2016), გვ. 116; მუდმივი ლინკი -

<http://www.jstor.org/stable/pdf/j.ctt1g69z35.15.pdf>

ელიზაბეტა კოსტა, დენიელ მილერი, ტომ მაკდონალდსი, თავი Gender, წიგნიდან - How the World Changed Social Media, UCL Press. (2016), გვ. 117; მუდმივი ლინკი -

<http://www.jstor.org/stable/pdf/j.ctt1g69z35.15.pdf>

ლ. კაპანაძე, ე. ხახუტაშვილი, „იმიჯოლოგია, საზოგადოებასთან ურთიერთობა“, 2004, გვ. 22-23; გვ. 38-39; მუდმივი ლინკი: http://digitallibrary.tsu.ge/book/kapanadze_imijologia/#/22

ენტმანი, „ფრეიმინგი: გახლეჩილი პარადიგმების დაზუსტდება“ (framing: toward clarification of a fractured paradigm), 1991, გვ.51, მუდმივი ლინკი:

<https://www.unc.edu/~fbaum/teaching/articles/J-Communication-1993-Entman.pdf>

დევიდ ვივერი, „დღის წესრიგის თეორია, ფრეიმინგი, პრაიმინგი“, 2006, გვ. 142, მუდმივი ლინკი <https://www.unc.edu/~fbaum/teaching/articles/J-Communication-2007-8.pdf>

სტეფან რიზი, ოსკარ გენდი, ავგუსტ გრანტი, „ფრეიმინგი საჯარო ცხოვრებაში“, 2001, გვ.124, მუდმივი ლინკი: [https://books.google.ge/books?id=LhaQAgAAQBAJ&pg=PA124&lpg=PA124&dq=edelman+\(1993\)+framing&source=bl&ots=91W0XxVD2O&sig=uQ94cA5-](https://books.google.ge/books?id=LhaQAgAAQBAJ&pg=PA124&lpg=PA124&dq=edelman+(1993)+framing&source=bl&ots=91W0XxVD2O&sig=uQ94cA5-mG5mmFAFtsf0eGdZvOI&hl=ka&sa=X&ved=0ahUKEwjLnZaOnv3UAhWrB8AKHRGhDSAQ6AEIPjAE#v=onepage&q=edelman%20(1993)%20framing&f=false)

[mG5mmFAFtsf0eGdZvOI&hl=ka&sa=X&ved=0ahUKEwjLnZaOnv3UAhWrB8AKHRGhDSAQ6AEIPjAE#v=onepage&q=edelman%20\(1993\)%20framing&f=false](https://books.google.ge/books?id=LhaQAgAAQBAJ&pg=PA124&lpg=PA124&dq=edelman+(1993)+framing&source=bl&ots=91W0XxVD2O&sig=uQ94cA5-mG5mmFAFtsf0eGdZvOI&hl=ka&sa=X&ved=0ahUKEwjLnZaOnv3UAhWrB8AKHRGhDSAQ6AEIPjAE#v=onepage&q=edelman%20(1993)%20framing&f=false)

ქლონგი და დრაქმანი, „ფრეიმინგის თეორია და საზოგადოებრივი აზრის ფორმირება“, 2007, გვ. 101, მუდმივი ლინკი: <https://www.unc.edu/~fbaum/teaching/articles/J-Communication-2007-6.pdf>

ერვინ გოფმანი, „ფრეიმის ანალიზი“, 1974, გვ. 75. მუდმივი ლინკი -

<https://is.muni.cz/el/1423/podzim2013/SOC571E/um/E.Goffman-FrameAnalysis.pdf>

სტუდია „მაესტრო“ - <https://www.youtube.com/watch?v=pzzcEzL09A4>

<https://www.youtube.com/watch?v=gyHIjwUckZ4>

<http://www.maestro.ge/kontakti/siakhleebi/article/43885-shekhvedra-ministrobis-kandidatebthan>

<http://www.maestro.ge/kontakti/siakhleebi/article/48959-parlamentshi-gethevan-cikhelashvils-mousmenen>

<https://www.youtube.com/watch?v=pqUnLmPezSE> 3:30წმ-დან 4:50-მდე

<http://www.maestro.ge/kontakti/siakhleebi/article/42831-burjanadzis-ganckhadaba>

საზოგადოებრივი მაუწყებელი - <http://1tv.ge/ge/news/view/title/94568.html>

<https://www.youtube.com/watch?v=2ZBVZJGKShA> 50:13-დან 51:51-

მდე

<https://www.youtube.com/watch?v=QOSFEqR9l-4>

https://www.youtube.com/watch?v=3rgY_9UcDNo

<http://1tv.ge/ge/news/view/title/148042.html>

<http://1tv.ge/ge/news/view/title/138622.html>

სამაუწყებლო კომპანია „რუსთავი 2“ - <http://rustavi2.ge/ka/news/15414>

<http://rustavi2.ge/ka/news/64364>

<http://rustavi2.ge/ka/news/62016>

<http://rustavi2.ge/ka/news/73973>

<http://rustavi2.ge/ka/news/66063>

<http://rustavi2.ge/ka/news/59041>

ტელეკომპანია „იმედი“ - <http://www.imeri.ge/index.php?pg=nws&id=48923&l=1>

<https://www.youtube.com/watch?v=yedt1uRKIm0>

<http://www.imeri.ge/index.php?pg=nws&id=80366&l=1>

http://www.imeri.ge/index.php?pg=shs&id_pr=12307&id=20

<http://www.imeri.ge/index.php?pg=nws&id=83444&l=1>

<http://www.imeri.ge/index.php?pg=nws&id=78024&l=1>

დანართი

დანართში მოცემულია საკვლევი მედიასიუჟეტების ტრანსკრიპტები, მათი სათაურები და ქრონომეტრაჟი. ტრანსკრიპტები მომზადებულია ავტორის (თათია კაკიაშვილის) მიერ.

დანართი #1

თინა ხიდაშელი თავდაცვის მინისტრად დანიშვნა

თავდაცვის პირველი ქალი მინისტრი - თინა ხიდაშელი³⁰

მაესტრო

თარიღი: 2015 წლის 1 მაისი

ქრონომეტრაჟი: 18წთ 58წმ

წამყვანი: „საქართველოს ისტორიაში პირველად ქვეყნის შეიარაღებულ ძალებს ქალი უხელმძღვანელებს. დეპუტატმა მინისტრის რანგში პირველი შეხვედრა გენერალური შტაბის უფროსთან გამართა. კაპანაძე ხიდაშელს ქუთაისში ესტუმრა. ვინ შესთავაზა პრემიერს ხიდაშელის კანდიდატურა და რა გეგმები აქვს თავდაცვის ახალ მინისტრს? ჩვენ, ასევე, მოგიყვებით მინისტრის კოლეგების შესახებაც, რომელთა რაოდენობაც ევროპაში, როგორც ირკვევა, შვიდია. იტალია, ნორვეგია, გერმანია, ჰოლანდია, შვედეთი, ბოსნია-ჰერცეგოვინა, ალბანეთი და ახლა უკვე საქართველო - თინა ხიდაშელს დღეს ჩვენ სტუდიაში ვუმასპინძლებთ.“

რეპორტაჟი:

თინა ხიდაშელის სინქრონი: „მე თავდაცვის მინისტრი ვარ უკვე, როგორ გეკადრებათ, მე უკვე დანიშნული ვარ, როგორც თავდაცვის მინისტრი“.

30 ტელეკომპანია „მაესტრო“, მუდმივი ლინკი: <https://www.youtube.com/watch?v=pzzcEZL09A4> ; ბოლო ნახვა: 09/07/2017

პირველად „მაესტროს“ გაუმხილა. ახლა უკვე არა მხოლოდ თავდაცვის მინისტრია, არამედ პირველი ქალი თავდაცვის მინისტრი საქართველოს ისტორიაში. სტატუსის შეცვლიდან რამდენიმე წუთში შეხვდა მთავარ მოკავშირეს, გენერალური შტაბის ხელმძღვანელს.

თინა ხიდაშელის სინქრონი: „**მე და დათო შეთანხმებული ვართ ყველაზე მთავარზე: ზუსტად ვიცით, რა გვინდა, ზუსტად ვიცით, სად მივდივართ, საით მივდივართ, რისთვის ვცხოვრობთ, მაგრამ ვერასოდეს ვერ ვთანხმდებით თითქმის ტაქტიკაზე.**“

უცნობია, შეათანხმა თუ არა ახალი ტაქტიკა მეუღლესთან და უკვე ყოფილ უფროსთან.

დავით უსუფაშვილის სინქრონი: „**ქალბატონო თინა, ან დაწყნარდით, ან დატოვეთ ოთახი!**“ პარლამენტის თავმჯდომარე, რომელთანაც მე-19 წელია, ოჯახი აქვს, ერთერთი მიზეზი იყო, რის გამოც ცოტა ხნის წინ უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეობაზე უარი თქვა.

თინა ხიდაშელის სინქრონი: „**იმ ასაკში, რომელშიც მე ვარ, იმ ტიპის ქვეყანაში, რომელშიც ვცხოვრობთ და იმ საქმიანობისთვის, რასაც ვაკეთებ, ჩემი როლი, ჩემი პროდუქტიულობა გაცილებით უფრო მნიშვნელოვანი არის იქ, სადაც ვარ. ყოველ შემთხვევაში მე ასე ვხედავ საკუთარ თავს. რაც შეეხება იმას, რომ პარლამენტის თავმჯდომარე ჩემი მეუღლეა, კი, ამაზე მე დღეს ვიხუმრე კიდევაც, რომ უფროს შვილს პოლიტიკა არ აინტერესებს და უმცროსი შვილი ძალიან დაინტერესებულია, იქნებ პრეზიდენტად აგვერჩია-მეთქი და ერთი ოჯახი ვიქნებოდით მერე ხელისუფლების სამივე შტო.**“

ახლა მოუწევს, შეცვალოს სამუშაო ოთახი და სივრცე. პოლიტიკურ მეცნიერებათა და საერთაშორისო ურთიერთობების მაგისტრი დასავლური განათლებით, არასამთავრობო სექტორისა და კანონმდებლის გამოცდილებით მისთვის ახალი დავალება ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის გაზრდა და უსაფრთხოებაა. წინამორბედი - მინდია ჯანელიძე ჯერ კამერებთან არ გამოჩენილა. თავდაცვის ქალ მინისტრს რჩევა მხოლოდ ყოფილმა თანაგუნდელმა და ყოფილმა მინისტრმა მისცა:

ირაკლი ალასანიას სინქრონი: „**გააგრძელოს ის გზა, რომელიც ჩვენ ავირჩიეთ ჩვენი ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის განმტკიცებისთვის, საჭაერო თავდაცვის და სხვა სისტემების შეძენისთვის.**“

თინა ხიდაშელის სინქრონი: „რაც თავი მახსოვს, სულ რაღაცისთვის ვიბრძვი. სულ ვიღაცას ვებრძვი და სულ რაღაც ერთ ტალღაზე ვარ აწყობილი.“

საქართველო ევროპულ ქვეყნებს შორის მერვე იქნება, რომელმაც ეს პორტფელი ქალს ანდო. ევროპაში ქალი თავდაცვის მინისტრები შედარებით გვიან გამოჩნდნენ. პიონერი, ამ მხრივ, ფინეთი იყო, სადაც თავდაცვის სამინისტრო 1990 წელს ელიზაბეტ რენმა ჩაიბარა. უახლეს ისტორიაში ყველაზე დასამახსოვრებელი თავდაცვის ქალი მინისტრი კი ესპანელი სოციალისტი - კარმე ჩაკონი იყო, რომელიც უწყებას 2008-დან 2011 წლამდე მეთაურობდა. დანიშვნიდან 2 კვირაში 7 თვის ორსული ავღანეთში, ცხელ წერტილში ჩავიდა.

„თინა ხიდაშელი თავდაცვის მინისტრის მოვალეობის შესრულებას შეუდგა“³¹

საზოგადოებრივი მაუწყებელი

თარიღი: 2015 წლის 4 მაისი

ქრონომეტრაჟი: 1წთ 47წმ

წამყვანი: - თავდაცვის მინისტრის პოსტზე დღეს თინა ხიდაშელს პირველი სამუშაო დღე აქვს. ხიდაშელი უწყებაში დილის 10:00 საათზე მივიდა და თანამშრომლებს შეხვდა.

მას ადგილზე დახვდა მინდია ჯანელიძეც, რომელმაც თავდაცვის პირველ ქალ მინისტრს პოსტი გადააბარა.

ახალი მინისტრი აცხადებს, რომ მთავარი მიზანი ქვეყნის უსაფრთხოება და საერთაშორისო ორგანიზაციებთან ურთიერთობები იქნება, დაახლოება ნატო-ს სტანდარტებთან და თავდაცვის უწყების სამოქალაქო და სამხედრო ნაწილის გამიჯვნა.

მინდია ჯანელიძის სინქრონი: - „ჩვენ დღეს ახალ მინისტრთან ერთად შევხვდით ხელმძღვანელობას. მოხდა გაცნობითი შეხვედრა, შესაბამისად, ქალბატონ თინასთან მე მანამდეც მქონდა შეხვედრა, რომელზეც ჩვენი მოსაზრებები გავცვალეთ, სადაც იმ

31 საზოგადოებრივი მაუწყებელი, მუდმივი ლინკი: <http://1tv.ge/ge/news/view/title/94568.html>; ბოლო ნახვა: 09/07/2017

ძირითადი მიმდინარე პროცესების შესახებ ვისაუბრეთ, ჩვენი ხედვების შესახებ ვისაუბრეთ, რომელიც თავდაცვის სამინისტროში ხორციელდება. მე დარწმუნებული ვარ, რომ ყველა ის პროექტი და ყველა ის გეგმა გაგრძელდება და მივა ბოლომდე, რაც გააძლიერებს ჩვენს შეიარაღებულ ძალებს და ჩვენი ჯარის შესაძლებლობებს.“

თინა ხიდაშელის სინქრონი: - „ჩემი ერთერთი ამოცანა არის ის, რომ ის ძალიან მნიშვნელოვანი პროცესი, რომელიც საქართველოში რამდენიმე ხნის წინ დაიწყო, თავდაცვის უწყების და გენერალური შტაბის, ანუ სამხედრო და სამოქალაქო ნაწილის გაყოფის, ბოლომდე მივიყვანოთ. დღემდე პრობლემები აქვს თავდაცვის კანონს. იცით თქვენ, პარლამენტში და მე ვფიქრობ, ეს არის პრინციპულად მნიშვნელოვანი იმისათვის, რომ გადავიდეთ რეალურად იმ სტანდარტზე, რასაც ნატო და საერთაშორისო თანამეგობრობა - ჩვენი წევრობა ითხოვს. ამიტომ, რა თქმა უნდა, იქნება შემთხვევები, როდესაც მე შეიძლება მნახოთ სამხედრო ფორმაში, მაგრამ ეს არ არის თავდაცვის მინისტრის მთავარი საქმე. თავდაცვის მინისტრმა უნდა მოახერხოს, რომ ემსახუროს ჯარს აქედან, სამოქალაქო სექტორიდან და არ უნდა გახდეს ჯარისკაცი იმიტომ, რომ ეს არის სწორედ 21-ე საუკუნის ის მოთხოვნა, რომლის წინაშეც ჩვენ ვდგავართ.“

„თინა ხიდაშელი თავდაცვის სამინისტროში მივიდა“³²

„რუსთავი 2“

თარიღი: 2015 წლის 4 მაისი

ქრონომეტრაჟი: 1წთ 53წმ

დავით კაკულია: - თავდაცვის ახალმა მინისტრმა - თინა ხიდაშელმა გააკეთა კომენტარი, ის თავდაცვის სამინისტროში მოვიდა დაცვის გარეშე. ის არც შესულა მანქანით, როგორც კი დაინახა ჟურნალისტები, გადმოვიდა მანქანიდან და ჩვენთან გააკეთა პირველი

32 რუსთავი 2, მუდმივი ლინკი: <http://rustavi2.ge/ka/news/15414> ; ბოლო ნახვა: 09/07/2017

კომენტარი. თინა ხიდაშელის განმარტებით, ის არის მზად, ჩაიბაროს ეს საპასუხისმგებლო პოსტი და ყველაფერს გააკეთებს იმისთვის, რომ გააძლიეროს ქვეყნის თავდაცვისუნარიანობა. ასევე, თინა ხიდაშელის განმარტებით, ის საკმაოდ კარგად იცნობს თავდაცვის სამინისტროს სტრუქტურას და იცნობს ძალიან ბევრ ადამიანს თავდაცვის უწყებაში. რაც შეეხება ცვლილებებს, ჯერჯერობით ახალ თავდაცვის მინისტრს განცხადება არ გაუკეთებია.

თინა ხიდაშელის სინქრონი: - „ეს ერთერთი ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი და კაშკაშა მაგალითია ჩვენი ხელისუფლების დამოკიდებულების, დემოკრატიულობის, იმისა, რომ „ქართული ოცნების“ ხელისუფლებისთვის არ არსებობს ხელოვნურად შექმნილი ბარიერები. მე მაქვს მოლოდინი, რომ ეს იქნება ძალიან წარმატებული მინისტრობის პერიოდი, პირველ რიგში, ქართული ჯარისთვის და ბუნებრივია, თავდაცვის სამინისტროსთვის. ჩემთვის ძალიან დიდი პატივია, რომ როგორც თავდაცვის მინისტრმა, შევძლო, ვემსახურო, ერთი მხრივ, ქართველ ჯარისკაცებს და, მეორე მხრივ, საქართველოს ყველაზე უფრო მთავარ და მნიშვნელოვან ინტერესებს.“

დავით კაკულია: - თინა ხიდაშელი ამ კომენტარის გაკეთების შემდეგ უკვე შევიდა თავდაცვის სამინისტროში. მას კიბეებზევე დახვდა ყოფილი თავდაცვის მინისტრი მინდია ჯანელიძე და შეუძღვა თავდაცვის უწყებაში. მინდია ჯანელიძე გადააბარებს მას თავდაცვის მინისტრის პოსტს, გააცნობს ყველა თანამშრომელს, ასევე, გენ. შტაბის წარმომადგენლებს, რომლებიც უკვე შეკრებილები არიან თავდაცვის სამინისტროში და ამის შემდეგ უკვე დაიწყება თინა ხიდაშელის პირველი სამუშაო დღე თავდაცვის სამინისტროში.

„თინა ხიდაშელი: თავდაცვის მინისტრმა უნდა მოახერხოს, რომ ემსახუროს ჯარს“³³

„იმედი“

თარიღი: 2015 წლის 4 მაისი

ქრონომეტრაჟი: 3წთ 9წმ

33 „იმედი“, მუდმივი ლინკი: <http://www.imedi.ge/index.php?pg=news&id=48923&l=1> ; ბოლო ნახვა: 09/07/2017

წამყვანი: - პირველი დღე თავდაცვის სამინისტროში. უწყების ყოფილმა ხელმძღვანელმა მის შემცვლელს პოსტი უკვე ოფიციალურად გადააბარა. თინა ხიდაშელი თავდაცვის სამინისტროს თანამშრომლებს შეხვდა, რის შემდეგაც ყოფილმა და უკვე მოქმედმა მინისტრებმა ერთობლივი განცხადებები გააკეთეს. ნათია ორველაშვილი განაგრძობს თემას პირდაპირ ეთერში. ნათია, გეგმავს თუ არა საკადრო ცვლილებებს ხიდაშელი და როგორია მისი სამოქმედო გეგმა მინისტრის რანგში?

ჟურნალისტი: - საკადრო ცვლილებებზე საუბარი ჯერ ნაადრევია, ასე ამბობს თავდაცვის ახალი მინისტრი. თინა ხიდაშელი თავდაცვის სამინისტროში პირადი დაცვის გარეშე მივიდა, თუმცა სამინისტროს შენობაში შესვლამდე მან გადაწყვიტა, რომ მედიაში გაეკეთებინა კომენტარი, რის შემდეგაც თავდაცვის სამინისტროში მას უკვე ყოფილმა მინისტრმა უმასპინძლა. ყოფილმა და მოქმედმა მინისტრებმა გაცნობითი შეხვედრა გამართეს თავდაცვის სამინისტროს ხელმძღვანელობასთან, რის შემდეგაც უკვე ერთობლივი განცხადება გაკეთდა. მინდია ჯანელიძემ მადლობა გადაუხადა გენ. შტაბის პირად შემადგენლობას და ყველა თანამშრომელს თანამშრომლობისთვის, ხოლო თინა ხიდაშელმა უკვე სამომავლო გეგმებზე ისაუბრა.

მინდია ჯანელიძის სინქრონი: - „ჩვენ დღეს ახალ მინისტრთან ერთად შევხვდით ხელმძღვანელობას. მოხდა გაცნობითი შეხვედრა, შესაბამისად, ქალბატონ თინასთან მე მანამდეც მქონდა შეხვედრა, რომელზეც ჩვენი მოსაზრებები გავცვალეთ, სადაც იმ ძირითადი მიმდინარე პროცესების შესახებ ვისაუბრეთ, ჩვენი ხედვების შესახებ ვისაუბრეთ, რომელიც თავდაცვის სამინისტროში ხორციელდება. მე დარწმუნებული ვარ, რომ ყველა ის პროექტი და ყველა ის გეგმა გაგრძელდება და მივა ბოლომდე.“

თინა ხიდაშელის სინქრონი: - „ჩემი ერთერთი ამოცანა არის ის, რომ ის ძალიან მნიშვნელოვანი პროცესი, რომელიც საქართველოში რამდენიმე ხნის წინ დაიწყო, თავდაცვის უწყების და გენერალური შტაბის, ანუ სამხედრო და სამოქალაქო ნაწილის გაყოფის, ბოლომდე მივიყვანოთ. დღემდე პრობლემები აქვს თავდაცვის კანონს, იცით თქვენ, პარლამენტში და მე ვფიქრობ, ეს არის პრინციპულად მნიშვნელოვანი იმისათვის, რომ გადავიდეთ რეალურად იმ სტანდარტზე, რასაც ნატო და საერთაშორისო

თანამეგობრობა - ჩვენი წევრობა ითხოვს. ამიტომ, რა თქმა უნდა, იქნება შემთხვევები, როდესაც მე შეიძლება მნახოთ სამხედრო ფორმაში, მაგრამ ეს არ არის თავდაცვის მინისტრის მთავარი საქმე. თავდაცვის მინისტრმა უნდა მოახერხოს, რომ ემსახუროს ჯარს აქედან, სამოქალაქო სექტორიდან.“

ჟურნალისტი: - თავდაცვის მინისტრის კანდიდატურა შეაფასა ექსპერტმა სამხედრო საკითხებში - გიორგი თავდგირიძემაც, რომელიც ამჟამად თავდაცვის სამინისტროში კონსულტანტის პოზიციას იკავებს. ის ამ ცვლილებას უმნიშვნელოვანესს უწოდებს და დარწმუნებულია, რომ თინა ხიდაშელი შეძლებს, გაუმკლავდეს ყველა იმ გამოწვევას, რომელიც დღეს შეიარაღებული ძალების და თავდაცვის უწყების წინაშე დგას.

გიორგი თავდგირიძის სინქრონი: - „რა თქმა უნდა, ახალი პოლიტიკა როდესაც იცვლება ის კარდინალურად, თავისთავად იწვევს მნიშვნელოვან ცვლილებებს, შესაბამისად, ვნახოთ გადაწყვეტილებები და შევაფასებთ ყველა ერთად. მეც მაინტერესებს. ფაქტობრივად, ასეთი ცვლილებები საქართველოს ისტორიაში ჯერ არ მომხდარა, ანუ კარდინალურად იცვლება დამოკიდებულება თავდაცვის პოლიტიკის მიმართ.“

დანართი #2

იუსტიციის სამინისტროს ოთხი წლის მუშაობის შეჯამება

„იუსტიციის სამინისტროს ანგარიში“³⁴

„მაესტრო“

თარიღი: 2016 წლის 27 დეკემბერი

ქრონომეტრაჟი: 1წთ 43წმ

წამყვანი: - იუსტიციის მინისტრმა დღეს სამინისტროს საქმიანობის ოთხი წელი შეაჯამა. ღონისძიებას პრემიერმინისტრი და მთავრობის წევრები დაესწრნენ. წულუკიანმა

34 მაესტრო, მუდმივი ლინკი: <https://www.youtube.com/watch?v=gyHljwUckZ4> ; ბოლო ნახვა: 09/07/2017

სამინისტროს საქმიანობის მთავარ მიმართულებებზე ისაუბრა, განსაკუთრებით კი აღნიშნა ევროკავშირთან გაფორმებული ასოცირების შესახებ ხელშეკრულების იმპლემენტაციის პროცესი და ვიზალიბერალიზაციის მიმართულებით იუსტიციის სამინისტროს მიერ გადადგმული ნაბიჯები. ყურადღება მინისტრმა, ასევე, სამინისტროს როლსა და საკანონმდებლო რეფორმის კუთხით უწყების მიერ შესრულებულ საქმიანობაზეც გაამახვილა.

თეა წულუკიანის სინქრონი: „ჩვენ 4 წლის თავზე შეგვიძლია თამამად ვთქვათ, რომ იუსტიციის სამინისტრო ძალიან დიდი მონაწილეობა მიიღო ჩვენს ქვეყანაში დემოკრატიული ინსტიტუტების მშენებლობის საქმეში. მომზადდა 80 რეფორმა, რომელიც არის 80 კანონპროექტი და თანმდევი 240-მდე კანონპროექტი, რამაც ძალიან დიდი შრომა მოითხოვა. ჩვენ, ასევე, ძალიან დიდი მონაწილეობა მივიღეთ მშენებლობის პროცესში, რასაც ჰქვია ინფრასტრუქტურული განვითარება. 32 სოფელში ავაშენეთ და გავხსენით საზოგადოებრივი ცენტრი.“

ირაკლი შოთაძის სინქრონი: - „ეს სამუშაო, რომელიც იუსტიციის სამინისტროში გატარდა, მართლაც ძალიან შთამბეჭდავია ჩემთვის პირადად. მით უმეტეს, შიგნიდან ვხედავ სისტემას და ამის კიდევ ერთი დიდი მაჩვენებელი არის ის რეფორმები, რომლებიც იუსტიციის სამინისტროს ხელმძღვანელობით ჩატარდა საქართველოს პროკურატურაში.“

კახა კალაძის სინქრონი: - „ძალიან შთამბეჭდავია ყველა განხორციელებული პროექტი. მე მინდა მათ წარმატებები ვუსურვო, ყველა თანამშრომელს, ვინც ჩართული იყო და ჩართული იქნება სამომავლოდ პროექტების განხორციელებაში. დარწმუნებული ვარ, ეს ყველაფერი კეთდება ჩვენი ქვეყნის მოქალაქეების საკეთილდღეოდ.“

„წულუკიანის ანგარიში“³⁵

საზოგადოებრივი მაუწყებელი

თარიღი: 2016 წლის 27 დეკემბერი

ქრონომეტრაჟი: 1წთ 38წმ

35 საზოგადოებრივი მაუწყებელი, მუდმივი ლინკი: <https://www.youtube.com/watch?v=2ZBVZJGKShA> 50:13-დან 51:51-მდე; ბოლო ნახვა: 09/07/2017.

წამყვანი: - იუსტიციის მინისტრმა უწყების 4-წლიანი მუშაობის ანგარიში წარადგინა. თეა წულუკიანმა განხორციელებულ საკანონმდებლო რეფორმებსა და ქვეყნის დემოკრატიული ინსტიტუტების მშენებლობის კუთხით სამინისტროს როლზე გაამახვილა ყურადღება. მინისტრმა ხაზი გაუსვა მიწის რეგისტრაციის და არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების რეფორმებს, ასევე, ელექტრონული სერვისების დანერგვას. ღონისძიებას მინისტრთა კაბინეტის წევრები და დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

თეა წულუკიანის სინქრონი: - „მომზადდა 80 რეფორმა, რომელიც არის 80 კანონპროექტი. 32 სოფელში ავაშენეთ და გავხსენით საზოგადოებრივი ცენტრი. ასევე, ჩვენ ელ. მმართველობის დარგშიც ძალიან მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადავდგით წინ. ეს რეფორმები გაგრძელდება: საკანონმდებლო ცვლილებების დარგში მომავალში იგეგმება მართლმსაჯულების სფეროში კომერციული პალატების, რაც ძალიან მნიშვნელოვანია, ასევე, მედიაციის შემოტანა, რომ მოსამართლეებს დავეხმაროთ, არ იყვნენ გადატვირთულნი პატარა საქმეებით.“

ირაკლი შოთაძის სინქრონი: - „ეს სამუშაო, რომელიც იუსტიციის სამინისტროში გატარდა, მართლაც ძალიან შთამბეჭდავია ჩემთვის პირადად. მით უმეტეს, შიგნიდან ვხედავ სისტემას და ამის კიდევ ერთი დიდი მაჩვენებელი არის ის რეფორმები, რომლებიც იუსტიციის სამინისტროს ხელმძღვანელობით ჩატარდა საქართველოს პროკურატურაში და დღესდღეობით საქართველოს პროკურატურა არის იუსტიციის სამინისტროსგან დამოუკიდებელი.“

კახა კალაძის სინქრონი: - „ძალიან შთამბეჭდავია ყველა განხორციელებული პროექტი. მე მინდა მათ წარმატებები ვუსურვო, ყველა თანამშრომელს, ვინც ჩართული იყო და ჩართული იქნება სამომავლოდ პროექტების განხორციელებაში. დარწმუნებული ვარ, ეს ყველაფერი კეთდება ჩვენი ქვეყნის მოქალაქეების საკეთილდღეოდ.“

„ძალიან ბევრი ვიმუშავეთ, რომ ადამიანის უფლებები ყოფილიყო კანონით უფრო მეტად დაცული“- თეა წულუკიანი ³⁶

36 „რუსთავი 2“, მუდმივი ლინკი: <http://rustavi2.ge/ka/news/64364> ; ბოლო ნახვა: 09/07/2017.

„რუსთავი 2“

თარიღი: 2016 წლის 27 დეკემბერი

ქრონომეტრაჟი: 1წთ 38წმ

ჟურნალისტის ჩართვა: - იუსტიციის მინისტრი უწყების 4-წლიან მუშაობას აჯამებს. პრეზენტაციას, ეროვნული არქივის პავილიონში, მთავრობის წევრები, დიპლომატიური კორპუსის და არასამთავრობო ორგანიზაციები ესწრებიან.

მინისტრმა განსაკუთრებული აქცენტი გააკეთა რეფორმებზე, რომელიც ამ ხნის განმავლობაში სამინისტრომ განახორციელა. კერძოდ, თეა წულუკიანმა ისაუბრა მართლმსაჯულების რეფორმასა და ვიზალიბერალიზაციის რეფორმაზე, რომელიც, მისი განცადებით, არა მარტო იუსტიციის სამინისტროს, არამედ სხვა უწყებების დამსახურებით ქვეყანამ დაკისრებული ვალდებულებები სათანადოდ შეასრულა ვიზალიბერალიზაციის კუთხით. თეა წულუკიანი ასევე აფასებს იმ სსიპ-ების საქმიანობას, რომლებიც ამ საქმიანობაში იყვნენ ჩართულნი.

თეა წულუკიანის სინქრონი: „ძალიან ბევრი ვიმუშავეთ იმაზე, რომ ადამიანის უფლებები ყოფილიყო კანონით უფრო მეტად დაცული. რომ მართლმსაჯულება ყოფილიყო დეპოლიტიზირებული, რომ პროკურატურა ყოფილიყო უფრო ღირსეული უწყება, ვიდრე ჩვენ დაგვხვდა, როდესაც მოვედით ხელისუფლებაში და არ ყოფილიყო ხელწამოსაკრავი ვინმეს მიერ. ვფიქრობ, რომ ის კანონები, რაც შევიმუშავეთ, მიანიშნებს იმაზე, რომ ჩვენ ამ ინსტიტუტების მხრივ, ვინც მონაწილეობს მართლმსაჯულების ქმნაში, ვდგავართ განვითარების სწორ გზაზე.“

„იუსტიციის მინისტრმა უწყების მუშაობის 4-წლიანი ანგარიში წარადგინა“³⁷

„იმედი“

თარიღი: 2016 წლის 29 დეკემბერი

ქრონომეტრაჟი: 3წთ 21წმ

37 „იმედი“, მუდმივი ლინკი: <https://www.youtube.com/watch?v=yedt1uRKIm0> ; ბოლო ნახვა: 09/07/2017.

წამყვანი: - იუსტიციის მინისტრმა უწყების 4-წლიანი საქმიანობა შეაჯამა. ღონისძიება ეროვნული არქივის საგამოფენო პავილიონში გაიმართა. მას აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლების წარმომადგენლები დაესწრნენ.

ჟურნალისტის ჩართვა: - თეა წულუკიანმა სამინისტროს საქმიანობის ძირითად მიმართულებებზე ისაუბრა. განსაკუთრებით აღინიშნა უწყების როლი საქართველოს ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების გაფორმებასა და, ასევე, ვიზალიბერალიზაციის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებაში თეა წულუკიანმა საქართველოს დემოკრატიული ინსტიტუტების მშენებლობაში უწყების როლზე გაამახვილა ყურადღება. მინისტრმა, ასევე, სამინისტროს კონკრეტულ სერვისებზე ისაუბრა. მან გამოყო აღსრულების ეროვნული ბიუროს რეფორმა. მინისტრი ფიქრობს, რომ ამ რეფორმით აღნიშნული ბიურო გახდა მოქალაქის პარტნიორი და მათ უფრო მარტივად შეუძლიათ გარკვეული სერვისების მიღება. ასევე, მინისტრმა ყურადღება გაამახვილა ელექტრონული სერვისების შემოღებასა და ახალი ტექნოლოგიების დანერგვის მნიშვნელობაზეც ისაუბრა. ყურადღება გამახვილდა ბავშვთა მართლმსაჯულების რეფორმაზე. მინისტრის განცხადებით, ეს არის რეფორმა, რომელიც სანიმუშოა სხვა ქვეყნებისთვის და ისინი სწორედ ამ მოდელის გადაღებას ცდილობენ.

თეა წულუკიანის სინქრონი: - „ჩვენ 4 წლის თავზე შეგვიძლია თამამად ვთქვათ, რომ იუსტიციის სამინისტრო ძალიან დიდი მონაწილეობა მიიღო ჩვენს ქვეყანაში დემოკრატიული ინსტიტუტების მშენებლობის საქმეში. მომზადდა 80 რეფორმა, რომელიც არის 80 კანონპროექტი და თანმდევი 240-მდე კანონპროექტი, რამაც ძალიან დიდი შრომა მოითხოვა. ჩვენ, ასევე, ძალიან დიდი მონაწილეობა მივიღეთ მშენებლობის პროცესში, რასაც ჰქვია ინფრასტრუქტურული განვითარება. 32 სოფელში ავაშენეთ და გავხსენით საზოგადოებრივი ცენტრი, რომელიც თითოეული ამ სოფლისთვის და შემოგარენი სოფლებისთვის არის უნიკალური და ყველაზე პოპულარული ინფრასტრუქტურა.“

ჟურნალისტის ჩართვა: - იუსტიციის სამინისტროს ანგარიშის პრეზენტაციას საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლები ესწრებოდნენ. ისინი მნიშვნელოვნად აფასებენ სამინისტროს მიერ განხორციელებულ რეფორმებს. რაც

შეეხება მთავარ პროკურორს, მისი განცხადებით, სწორედ სამინისტროს მიერ განხორციელებული რეფორმები გახდა საფუძველი იმისა, რომ პროკურატურაშიც განხორციელდა რეფორმები. პროკურორის განცხადებით, ეს რეფორმები სწორედ წელსაც გაგრძელდება.

კახა კალაძის სინქონი: - „ძალიან შთამბეჭდავია ყველა განხორციელებული პროექტი. მე მინდა მათ წარმატებები ვუსურვო, ყველა თანამშრომელს, ვინც ჩართული იყო და ჩართული იქნება სამომავლოდ პროექტების განხორციელებაში. დარწმუნებული ვარ, ეს ყველაფერი კეთდება ჩვენი ქვეყნის მოქალაქეების საკეთილდღეოდ.“

ირაკლი შოთაძის სინქონი: „სამუშაო, რომელიც იუსტიციის სამინისტროში გატარდა, არის ძალიან შთამბეჭდავი ჩემთვის პირადად. მით უმეტეს, შიგნიდან ვხედავ სისტემას და ამის კიდევ ერთი დიდი მაჩვენებელი არის ის რეფორმები, რომლებიც იუსტიციის სამინისტროს ხელმძღვანელობით ჩატარდა საქართველოს პროკურატურაში და დღესდღეობით საქართველოს პროკურატურა არის იუსტიციის სამინისტროსგან დამოუკიდებელი.“

ჟურნალისტის - ანუკი გუმბერიძის ჩართვა: - ეს იყო იუსტიციის სამინისტროს 4-წლიანი საქმიანობის ანგარიშის პრეზენტაცია. თეა წულუკიანის განცხადებით, 2017 წლიდან ასევე არაერთი რეფორმის განხორციელება იგეგმება.

დანართი #3.

ელენე ხოშტარას და თეა წულუკიანის დაპირისპირება

„შეხვედრა მინისტრობის კანდიდატებთან“³⁸

„მაესტრო“

თარიღი: 2016 წლის 24 ნოემბერი

ქრონომეტრაჟი: 3წთ 48წმ

წამყვანი: საკომიტეტო განხილვა თბილისში დასრულებულია. ფინალური დებატი ხვალ ქუთაისში შედგება. მთავრობის განახლებული გუნდი მეცხრე მოწვევის პარლამენტში

38 „მაესტრო“, მუდმივი ლინკი: <http://www.maestro.ge/kontakti/siakhleebi/article/43885-shekhvedra-ministrobis-kandidatebthan> ; ბოლო ნახვა: 09/07/2017.

სრული შემადგენლობით დღეს პირველად გამოცხადდა. კითხვა-პასუხის რეჟიმი საკმაოდ მწვავე აღმოჩნდა, განსაკუთრებით იუსტიციის მინისტრობის კანდიდატთან. თეა წულუკიანისა და ელენე ხოშტარიას კამათი - და სხვა საინტერესო დეტალები დღევანდელი საპარლამენტო ცხოვრებიდან.

ჟურნალისტის ჩართვა: - მინისტრობის კანდიდატებთან შეხვედრა კითხვა-პასუხის რეჟიმიდან მწვავე დებატების ფორმატში რამდენჯერმე გადავიდა. ყველაზე მეტი შეკითხვა მინისტრობის იმ კანდიდატების მიმართ დაისვა, რომელიც ამ პოსტს არჩევნებამდეც იკავებდა. ყოფილ მაღალჩინოსანთა ექსტრადირების საკითხი „ნაციონალური მოძრაობისა“ და „პატრიოტთა ალიანსისთვის“ ერთნაირად საინტერესო აღმოჩნდა.

ოთარ კახიძის სინქრონი: - „რა არის იმის მიზეზი, რომ არცერთმა ქვეყანამ არ დაგიკმაყოფილათ ექსტრადირების მოთხოვნა და საფრანგეთის და ინგლისის სასამართლოებმა მიუთითა პოლიტიკური მოტივაცია?“

თეა წულუკიანის სინქრონი: - „ძალიან მიჭირს, სერიოზულად ვუპასუხო თქვენს კითხვებს, მაგრამ ასეთია ჩემი პასუხისმგებლობა და გიპასუხებთ. ქალბატონო ელენე, ნუ შემაწყვეტინებთ, მე არც ბავშვობაში ძველბიჭობაში არ გეჯიბრებოდით, გახსოვთ ეს, მე წიგნს ვკითხულობდი...“

ელენე ხოშტარიას სინქრონი: - „ნამდვილად არ მახსოვხართ.“

თეა წულუკიანის სინქრონი: - „მე როცა წიგნს ვკითხულობდი, თქვენ ძველბიჭობდით პლენაროვზე. ეს არ არის ჩემი სტილი. მე, ასევე, გისამძიმრებთ იმას, რომ სანდრო გირგვლიანის მეგობარი ზიხართ იქ, სადაც ზიხართ, ოთო კახიძის გვერდით.“

ირმა ინაშვილის სინქრონი: - „როგორ მოხდა და რატომ ვერ იმუშავეს სათანადო სტრუქტურებმა, რომ ინტერპოლს არ მოეხსნა ძებნილის სტატუსი ადგიშვილისთვის? დამნაშავეა და უნდა ჩამოაბრძანოთ აქ და აქ გაასამართლოთ!“

თეა წულუკიანის სინქრონი: - „ინტერპოლს მოეჩვენა და მე ისინი მაშინაც გავაკრიტიკე, რომ თურმე ზურა ადგიშვილი, ჰოი საოცრებავ, პოლიტიკური ნიშნით შეიძლება იყოს საქართველოდან დევნილი.“

ჟურნალისტის ჩართვა: - ოპოზიციის მცდელობის მიუხედავად, ისევ უცნობი დარჩა, გაზრდის თუ არა ახალი ფინანსთა მინისტრი პენსიას. დიმიტრი ქუმსიშვილმა საპენსიო რეფორმა და ლარის კურსის დასტაბილურებისთვის ეროვნულ ბანკთან ერთობლივი განცხადება დააანონსა.

ზურა ჭიაბერაშვილის სინქრონი: - „იმ რიხიან პრეზენტაციებს, რაც აქ მოვისმინეთ, დღეს სავალუტო ფონდმა გადაასხა ცივი წყალი იმის გამო, რომ წლევანდელი ეკონომიკური ზრდა დაიყვანა 3.4%-დან 2.7%-მდე და ასევე შეამცირა პროგნოზი მომავალი წლისთვის: 5-ის ნაცვლად 4% იქნება ზრდა.“

დიმიტრი ქუმსიშვილის სინქრონი: - „ეს არის ალბათ სამომხმარებლო და იპოთეკური სესხის მქონე ადამიანები. ნაკლებად იყვნენ დამოკიდებული სავალუტო სესხებზე, რაზეც შემდგომში ალბათ უკვე ეროვნულ ბანკთან ერთად ჩვენ გავაკეთებთ შესაბამის განცხადებებს, რაც გრძელვადიანად, უკვე ლარიზაციის პირობებში მოგვცემს იმის შესაძლებლობას, რომ რაც შეიძლება მეტი და მეტი სესხი იყოს გაცემული ეროვნულ ვალუტაში.“

ჟურნალისტის ჩართვა: - მმართველი უმრავლესობისგან განსხვავებით, ოპოზიციის ნდობის მანდატი მთავრობამ ვერც საკომიტეტო მოსმენების შემდეგ დაიმსახურა.

ირმა ინაშვილის სინქრონი: - „შეიძლება, რომ მხარი დაუჭიროს პატიოსანმა დეპუტატმა, რომელმაც ხელი მოაწერა ფიცს, ასეთი ტიპის დეპუტატებს? მე ვერ დავუჭერ მხარს.“

გიგა ბოკერიას სინქრონი: - „ეს ხალხი თავის სამყაროში ცხოვრობს და შთაბეჭდილება იქმნება, რომ საერთოდ არიან იზოლირებულნი რეალობისგან და, რა თქმა უნდა, ამის გამო არც ჩვენი, არც, დარწმუნებული ვარ, საზოგადოების უდიდესი ნაწილის მხარდაჭერა ამ გუნდს არ გააჩნია.“

ეკა ბესელიას სინქრონი: - „მე დარწმუნებული ვარ, გიორგი კვირიკაშვილის ლიდერობით მთავრობა იქნება ძალიან ეფექტური.“

ჟურნალისტის ჩართვა: - საკომიტეტო მოსმენები კვირიკაშვილის მინისტრთა კაბინეტისთვის ნდობის ამოქმედებით დასრულდა, თუმცა ამავე საკითხებზე მსჯელობა

ხვალ უკვე ფრაქციებით საპარლამენტო უმრავლესობისა და უმცირესობის ფორმატში განახლდება.

„ელენე ხოშტარიას განცხადებას თეა წულუკიანი კრიტიკულად პასუხობს“³⁹

საზოგადოებრივი მაუწყებელი

თარიღი: 2016 წლის 24 ნოემბერი

ქრონომეტრაჟი: 6წთ 28წმ

წამყვანი: მწვავე რეპლიკები კომიტეტის სხდომაზე - ელენე ხოშტარიას განცხადება და თეა წულუკიანის კრიტიკული პასუხი. ძალოვანი უწყებების ხელმძღვანელების კანდიდატებმა სამოქმედო გეგმის წარდგენის შემდეგ უმცირესობის და უმრავლესობის დეპუტატების შეკითხვებს უპასუხეს. მინისტრობის კანდიდატების გამოსვლა გაერთიანებულ ფორმატში ამ დრომდე გრძელდება. ამ წუთებში დეპუტატები საგარეო უწყების ხელმძღვანელობის კანდიდატს უსმენენ.

ჟურნალისტის ჩართვა: მთელი დღის განმავლობაში პარლამენტის სხვადასხვა კომიტეტში უსმენენ მინისტრობის კანდიდატებს. კანონმდებლები ეცნობიან მათ გეგმებს და მსჯელობენ, გამოუცხადონ თუ არა ნდობა წარმოდგენილ გუნდს. კომიტეტების ნაწილმა მთავრობის წარმოდგენილ გუნდს მხარი უკვე დაუჭირა. გაერთიანებული კომიტეტების სხდომაზე მოუსმინეს ძალოვანი მინისტრობის კანდიდატებს, ასევე, ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრობის კანდიდატს. ამ კანდიდატებმა მიიღეს გაერთიანებული კომიტეტის სხდომაში შემავალი ოთხივე კომიტეტის მხარდაჭერა, თუმცა კითხვა-პასუხის რეჟიმი წარიმართა საკმაოდ ხმაურიანად, განსაკუთრებით მწვავე კითხვები ოპოზიციონერ დეპუტატებს ძალოვანი მინისტრობის კანდიდატების მიმართ ჰქონდათ.

39 საზოგადოებრივი მაუწყებელი; მუდმივი ლინკი: <https://www.youtube.com/watch?v=QOSFEqR9I-4> ; ბოლო ნახვა: 09/07/2017.

ელენე ხომტარიას სინქრონი: - „ერთერთ ყველაზე სამარცხვინო ეპიზოდში, როდესაც ურთმელიძემ მიიღო გადაწყვეტილება, თქვენ ეს გადაწყვეტილება შეაფასეთ, როგორც ნოვატორული და ურთმელიძეს მოუწონეთ ტესტის ჩაბარება. ნამდვილად ჩააბარა ურთმელიძემ ტესტი, ოღონდ თქვენ ალბათ გეშლებათ, რომ ტესტებს მოსამართლეები უნდა აბარებდნენ საზოგადოების და კანონის წინაშე და არა ბიძინა ივანიშვილის ან თქვენ წინაშე. ამიტომ, მე მაინტერესებს, განმარტოთ, რას გულისხმობთ მის ნოვატორულ გადაწყვეტილებაში?“

თეა წულუკიანის სინქრონი: - „ქალბატონო ელენე, ნუ შემაწყვეტინებთ, მე არც ბავშვობაში ძველბიჭობაში არ გეჯიბრებოდით, გახსოვთ ეს, მე წიგნს ვკითხულობდი...“

ელენე ხომტარიას სინქრონი: - „ნამდვილად არ მახსოვხართ.“

თეა წულუკიანის სინქრონი: - „მე მახსოვხართ. არც ფეხბურთის თამაშში გეჯიბრებოდით. მე როცა წიგნს ვკითხულობდი, თქვენ ძველბიჭობდით პლენანოვზე. ეს არ არის ჩემი სტილი. მე, ასევე, გისამძიმრებთ იმას, რომ სანდრო გირგვლიანის მეგობარი ზიხართ იქ, სადაც ზიხართ, ოთო კახიძის გვერდით, გისამძიმრებთ ამ მორალურ, დროებითს, იმედია, კრახს. კაცი, რომელიც ვანოს იცავს დღეს, იმის გვერდში ზიხართ დღეს. „რუსთავი 2-ის“ ბედი არ მაინტერესებს, არც მისი მოწინააღმდეგე მხარის ბედი მაინტერესებს. თქვენ გწყინთ ის, რომ ვეღარ აკონტროლებთ საერთო სასამართლოების სისტემას, ეს ძალიან დიდი ტკივილია თქვენთვის...“

ელენე ხომტარიას სინქრონი: - „თქვენზეა საუბარი.“

ეკა ბესელიას სინქრონი: - „ქალბატონო ელენე, გაძლევთ შენიშვნას და თუ კიდევ გააგრძელებთ ასე, მოგიწევთ სხდომის დატოვება.“

თეა წულუკიანის სინქრონი: - „უნდა მიეჩვიოთ, ქალბატონო ეკა, ეს ხულიგნობის მხოლოდ დასაწყისია...“

ოთარ კახიძის სინქრონი: - „რა არის მიზეზი, რომ წააგეთ საქმე? რვავე მოსამართლემ დაადგინა მე-18 მუხლის დარღვევა ვანო მერაბიშვილის საქმეში.“

თეა წულუკიანის სინქრონი: - „ეს გადაწყვეტილება, რომელსაც თქვენ გამარჯვებად ასაღებთ, დღეს არ არსებობს იმიტომ, რომ ის გასაჩივრდა რიგ პალატაში, თქვენ ამ საქმეზე,

როგორც ადვოკატს, მოთხოვნილი გქონდათ (ან პატიმარს რაში თხოვთ ამ ფულს?!) 39 390 დოლარი და სტრასბურგმა მოგანიჭათ 4000 ევრო. ესეც არ შევიდა ძალაში და ეს ფული თუ გადარდებთ, მოგიწევთ, მოიცადოთ და თუ ისევ გაიმარჯვებთ, მოგანიჭებთ ფულს სასამართლო, მიიღებთ ამ თანხას. მე არ ვიცი, სხვა რა გადარდებთ.“

გიგა ბოკერიას სინქრონი: - „შსს-ის მინისტრთან მაქვს კითხვა: გისმენდით და თქვენ არცერთი სიტყვით არ გიხსენებიათ, როგორც გამოწვევა, არც კრიმინალის ზრდა, არც ტერორიზმი, არც პოლიტიკურად ან სიძულვილით მოტივირებული დანაშაული და, რაც მთავარია, არც საოკუპაციო ხაზის გადმოწევა, არც ჩვენი მოქალაქეების მოტაცება და საზარელი მკვლელობა ოთხოზორიასი, გადაღებული ფირზე. რატომ, ბატონო მინისტრო? ეს რა, პრობლემად არ მიგაჩნიათ? თუ არ ახსენებთ, ეს პრობლემა არ იქნება?“

გიორგი მღებრიშვილის სინქრონი: - „ეს ყველაფერი მტრობას გავს. დავიღალეთ რა, კითხვა იყო თუ ბრალდებები, უკვე ვეღარ ვარკვევ. მე თავის მართლებას არ ვაპირებ, პირდაპირ გეუბნებით, რომ საქართველოში კრიმინალი გაზრდილი არ არის. რაც შეეხება ოთხოზორიას მკვლელობას, მალე წითელი ცირკულარით იქნება ძებნა გამოცხადებული...“

ირმა ინაშვილის სინქრონი: - „ქართული ოცნება“ იმსახურებს იმას, რაც ახლა დარბაზში ხდება და იმსახურებს იმ შეკითხვებს, რაც იმ ადამიანების მხრიდან მოდის, რომლებიც თვლიან, რომ თითქოს პოლიტიკური ტერორი არ იყო ამ ქვეყანაში. ერთი, ძალიან მაინტერესებს, ჟვანია ვინ მოკლა?! და იყო თუ არა ეს პოლიტიკური ტერორი? ძალიან მაინტერესებს, გურამ შარაძე როგორ მოკლეს? და იყო თუ არა ეს პოლიტიკური ტერორი? და კიდევ, არაერთი პოლიტიკური ტერორის მაგალითი გინდათ, შეგახსენოთ, მარცხენა ფლანგზე, ბატონებს და ქალბატონებს? მაგრამ იმსახურებთ ამას, თქვენ, „ქართული ოცნება“ იმიტომ, რომ თქვენ გააცოცხლეთ ეს ხალხი!

ჟურნალისტის ჩართვა: ამ დროისთვის საკუთარ ხედვას და სამომავლო გეგმებს წარადგენენ საგარეო საქმეთა და ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრობის კანდიდატები. დეპუტატებს შეკითხვები აქვთ მთელი რიგი მიმართულებით, თუ როგორი იქნება არსებული გუნდის მიერ თანამდებობის დაკავების შემთხვევაში ურთიერთობა მეზობელ ქვეყნებთან, მათ შორის

რუსეთთან. ასევე, ევროპის ქვეყნებთან და აშშ-სთან. რა გეგმები და ხედვა აქვთ მათ ნატო-სთან და ევროკავშირთან ურთიერთობის თვალსაზრისით და, ასევე, რა გეგმები და მოლოდინები აქვს წარმოდგენილ გუნდს უვიზო მიმოსვლის მიღების თვალსაზრისით. ამ წუთებში კანონმდებლების კითხვებს საგარეო საქმეთა მინისტრობის კანდიდატი პასუხობს.

ელენე ხოშტარიას სინქრონი: - „როგორც მინისტრს ვკითხეთ, რამდენიმე თვის განმავლობაში, რაც ის დანიშნულია საგარეო საქმეთა მინისტრად, მას არ განუხორციელებია არცერთი ვიზიტი ბრიუსელში, ნატო-ს შტაბ-ბინაში კონკრეტულად. თქვენ იცით, ალბათ, თქვენი გამოცდილებით, თუ რამხელა პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს სამუშაო ვიზიტს ბრიუსელში, თუ ჩვენი პრიორიტეტი ნატოა...“

მიხეილ ჯანელიძის სინქრონი: - „ვიზიტი იგეგმება პრემიერმინისტრის, ახალი მთავრობის... პირველი ვიზიტი იგეგმება ბრიუსელში, სადაც დაიფარება ყველა მიმართულება, როგორც ევროპული ინტეგრაციის კუთხით და საპარლამენტო თანამშრომლობის და ურთიერთობის კუთხით, ასევე ევროპულ სტრუქტურებთან ორმხრივი ურთიერთობის კუთხით.“

ჟურნალისტის ჩართვა: სამთავრობო გუნდის წევრობის კანდიდატებს ხვალ უკვე ქუთაისში ელოდებიან. მინისტრობის კანდიდატები უნდა წარდგინდნენ ამჯერად უკვე ფრაქციების წინაშე და მათ კითხვებს უპასუხონ.

"თქვენ როცა პლენარულზე ძველბიჭობდით, მე წიგნს ვკითხულობდი" - წულუკიანი ხოშტარიას მიმართავს⁴⁰

„რუსთავი 2“

თარიღი: 2016 წლის 24 ნოემბერი

ქრონომეტრაჟი: 5წთ 46წმ

ჟურნალისტის ჩართვა: ძირითადად, შეკითხვები დაისვა თუა წულუკიანის მისამართით. ოპოზიციონერებს აინტერესებდათ სასამართლო რეფორმა. ასევე, დაისვა შეკითხვები „რუსთავი 2-ის“ საქმესთან დაკავშირებით ურთმელიძის კონტექსტში. დეპუტატებს

40 „რუსთავი 2“, მუდმივი ლინკი: <http://rustavi2.ge/ka/news/62016> ; ბოლო ნახვა: 09/07/2017.

აინტერესებდათ სტრასბურგში მიმდინარე სასამართლო პროცესები ვანო მერაბიშვილთან მიმართებაში. თეა წულუკიანი ჩვეულ ფორმაში იყო. ის საკმაოდ კრიტიკულად პასუხობდა კრიტიკულ შეკითხვებს, მან შეახსენა ოპოზიციონერებს, ასევე, წარსული. ვციტირებ: მან განუცხადა ოპოზიციონერებს, რომ „მაშინ, როდესაც ისინი ძველბიჭობდნენ, ის კარგი გოგო იყო და წიგნებს კითხულობდა.“

ელენე ხომტარიას სინქრონი: - „ჩვენ ილუზია არ გვქონია, რომ აქ რეალურ პრობლემებზე მოვისმენდით განცხადებებს ან გამოწვევებზე მოვისმენდით საუბარს, თუმცა, ცხადია, ჩვენ თავს ვაღიარებდით ვთვლით, რომ სწორად დაგანახოთ ის რეალობა, რომელიც არის ამ კედლებს გარეთ. პირველ რიგში, ქალბატონ თეასთან მაქვს შეკითხვა: ქალბატონო თეა, თქვენ გამოირჩეოდით ენთუზიაზმით „რუსთავი2-ის“ წინააღმდეგ გამართულ რამდენიმეწლიან ბრძოლაში. ერთერთ ყველაზე სამარცხვინო ეპიზოდში, როდესაც ურთმელიძემ მიიღო გადაწყვეტილება და რომელიც შეფასდა ჩვენი პარტნიორების - ამერიკის და ევროკავშირის ერთმხრივ განცხადებაში, ვციტირებ, როგორც მართლმსაჯულების დამოუკიდებლობის და მედიის თავისუფლების სერიოზული კითხვები როდესაც დაისვა, თქვენ ეს გადაწყვეტილება შეაფასეთ, როგორც ნოვატორული და ურთმელიძეს მოუწონეთ ტესტის ჩაბარება. ნამდვილად ჩააბარა ურთმელიძემ ტესტი, ოღონდ თქვენ ალბათ გეშლებათ, რომ ტესტებს მოსამართლეები უნდა აბარებდნენ საზოგადოების და კანონის წინაშე და არა ბიძინა ივანიშვილის ან თქვენ წინაშე. ამიტომ, მე მაინტერესებს, განმარტოთ, რას გულისხმობთ?“

თეა წულუკიანის სინქრონი: - „მე, პირველ რიგში, მივესალმები „ნაციონალური მოძრაობის“ აქ წარმოდგენილი წევრების გადაწყვეტილებას, შემოსულიყვენ საქართველოს პარლამენტში. ეს არ იყო ის, რაც მოვისმინე არჩევნების ღამეს ცესკო-სთან გამართულ ომანხიან მიტინგზე. გილოცავთ ამ გადაწყვეტილებას და გილოცავთ, რომ გაემიჯნეთ მავანს, რომელიც აპირებდა, ასე ვთქვათ, გვირახის მეშვეობით საქართველოსთან კავშირის დამყარებას. მილოცვის შემდეგ დგება კითხვები. მე ძალიან მიჭირს, სერიოზულად ვუპასუხო თქვენს კითხვებს, მაგრამ ასეთია ჩემი პასუხისმგებლობა და გიპასუხებთ.

ქალბატონო ელენე, ნუ შემაწყვეტინებთ, მე არც ბავშვობაში ძველბიჭობაში არ გეჯიბრებოდით, გახსოვთ ეს, მე წიგნს ვკითხულობდი...”

ელენე ხოშტარიას სინქრონი: - „ნამდვილად არ მახსოვხართ.“

თეა წულუკიანის სინქრონი: - „მე როცა წიგნს ვკითხულობდი, თქვენ ძველბიჭობდით პლენხანოვზე. ეს არ არის ჩემი სტილი. მე, ასევე, გისამძიმრებთ იმას, რომ სანდრო გირგვლიანის მეგობარი ზიხართ იქ, სადაც ზიხართ, ოთო კახიძის გვერდით. გისამძიმრებთ ამ მორალურ, დროებითს, იმედია, კრახს. კაცი, რომელიც ვანოს იცავს დღეს, იმის გვერდში ზიხართ დღეს. ახლა რაც შეეხება თქვენს კითხვას, მე მაქვს გამოხატვის თავისუფლება, რომელსაც ვერ წამართმევს ვერავინ, მათ შორის მორალური კრახის პირობებში მჯდარი ქალბატონი დეპუტატი, რომელმაც უღალატა ირინა ენუქიძის ხსოვნას და მოკალათდა ოთო კახიძის გვერდით. ურთმელიძის გადაწყვეტილებას რაც შეეხება, მე ვფიქრობ და ვიმეორებ იმას, რაც ვთქვი და მართლ „რუსთავი 2-ს“ არ მოუსმენთ და სხვა არხებსაც მოუსმენთ, ეგებ უკეთ გაიგოთ, რომელმა მინისტრმა რა თქვა; რომ ის გადაწყვეტილება, ასე ვთქვათ, დახუნძლული მომეჩვენა, რომ იყო ზედმეტი ქეის სვოთი სტრასბურგის და მაინცდამაინც კარგად არ გამოიყურებოდა. ბოდიშიც მოვიხადე, რომ ვაფასებ-მეთქი სასამართლო გადაწყვეტილებას და, აქედან გამომდინარე, არ ვიცი, რა გიპასუხოთ. „რუსთავი 2-ის“ ბედი არ მაინტერესებს, არც მისი მოწინააღმდეგე მხარის ბედი მაინტერესებს. თქვენ გწყინთ ის, რომ ვედარ აკონტროლებთ საერთო სასამართლოების სისტემას, ეს ძალიან დიდი ტკივილია თქვენთვის...”

ელენე ხოშტარიას სინქრონი: - „თქვენზეა საუბარი.“

ეკა ბესელიას სინქრონი: - „ქალბატონო ელენე, გაძლევთ შენიშვნას და თუ კიდევ გააგრძელებთ ასე, მოგიწევთ სხდომის დატოვება.“

თეა წულუკიანის სინქრონი: - „უნდა მიეჩვიოთ, ქალბატონო ეკა, ეს ხულიგნობის მხოლოდ დასაწყისია... რაც შეეხება საკონსტიტუციო სასამართლოს, ასევე ვიზიარებ მე თქვენს მწუხარებას, რომ ვერ ათამაშეთ ბოლომდე ბათუმში საკონსტიტუციო სასამართლო თქვენს ჭკუაზე და ის გეგმა ვერ განახორციელეთ, რომ არჩევნების შედეგებით საერთო და

საკონსტიტუციო სასამართლოს მეშვეობით აგეყირავებინათ ქვეყანაში სიტუაცია. მე მესმის...”

ოთარ კახიძის სინქრონი: - „რა არის მიზეზი, რომ წააგეთ საქმე? რვავე მოსამართლემ დაადგინა მე-18 მუხლის დარღვევა ვანო მერაბიშვილის საქმეში. რა არის მიზეზი იმისა, რომ ინტერპოლმა უარი გითხრათ ძებნილად გამოცხადებაზე მიხეილ სააკაშვილის იმ მოტივით, რომ პოლიტიკურად მოტივირებული დევნის ალბათობა არსებობს?“

თეა წულუკიანის სინქრონი: - „მე ძალიან კარგად მესმის, რომ თქვენ ამ საქმეზე, როგორც ადვოკატს, მოთხოვნილი გქონდათ (ან პატიმარს რაში თხოვთ ამ ფულს?!) 39 390 დოლარი და სტრასბურგმა მოგანიჭათ 4000 ევრო. ესეც არ შევიდა ძალაში და ეს ფული თუ გადარდებთ, მოგიწევთ, მოიცადოთ და თუ ისევ გაიმარჯვებთ, მოგანიჭებთ ფულს სასამართლო, მიიღებთ ამ თანხას. მე არ ვიცი, სხვა რა გადარდებთ იმიტომ, რომ ეს არის წმინდა სამართლებრივი პროცესი და ამ 4000 ევრო დღეს მიიღებთ თუ ხვალ, ნუ იდარდებთ. ყოველ შემთხვევაში, ვანოს საქმეზე ის, რაც ითქვა, ითქვა: სტრასბურგის სასამართლომ თქვა, რომ ეს კაცი წინასწარ პატიმრობაში იყო კანონიერად. მესმის, რომ ეს თქვენ გწყინთ. რაც შეეხება მიშას, ზურა ადეიშვილს, რომლის მოადგილე ბრძანდებოდით, ბატონო ოთარ და მაშინ ალბათ კომფორტში იყავით და მესმის, რომ მე თქვენ არ მოგწონვართ და ეს ჩემთვის დიდი კომპლიმენტია.“

„ძალოვანი მინისტრობის კანდიდატები პარლამენტში“⁴¹

„იმედი“

თარიღი: 2016 წლის 24 ნოემბერი

ქრონომეტრაჟი: 5წთ 3წმ

წამყვანი: პარლამენტის რიგგარეშე სხდომა დანიშნულია. ახალ მთავრობას ნდობას 26 ნოემბერს გამოუცხადებენ. დღეს კი გიორგი კვირიკაშვილის კაბინეტს საპარლამენტო კომიტეტებმა მხარი უკვე დაუჭირეს. მთელი დღის განმავლობაში კანდიდატებს

41 „იმედი“, მუდმივი ლინკი: <http://www.imesdi.ge/index.php?pg=nws&id=80366&l=1> ; ბოლო ნახვა: 09/07/2017.

გაერთიანებულ სხდომაზე უსმენდნენ. ყველაზე ხმაურიანი ძალოვანი უწყებების მომავალ ხელმძღვანელებთან შეხვედრა აღმოჩნდა.

თეა წულუკიანის სინქრონი: - „მე როცა წიგნს ვკითხულობდი, თქვენ ძველბიჭობდით პლენანოვზე. ეს არ არის ჩემი სტილი. გისამძიმრებთ იმას, რომ სანდრო გირგვლიანის მეგობარი ზიხართ იქ, სადაც ზიხართ, ოთო კახიძის გვერდით. გისამძიმრებთ ამ მორალურ, დროებითს, იმედია, კრახს. ქალბატონი დეპუტატი, რომელმაც უღალატა ირინა ენუქიძის ხსოვნას და მოკალათდა ოთო კახიძის გვერდით.“

ჟურნალისტი: იუსტიციის მინისტრობის კანდიდატი საპარლამენტო უმცირესობის მიერ დასმულ შეკითხვას ამ რეპლიკით გამოეხმაურა. კამათი საკომიტეტოელენე ხოშტარიას შეკითხვას მოჰყვა. „ნაციონალური მოძრაობის“ წევრმა წულუკიანს მოსამართლე ლევან ურთმელიძესთან და „რუსთავი 2-თან“ დაკავშირებით წარსულში გაკეთებულ განცხადებებზე განმარტებები მოსთხოვა.

ელენე ხოშტარიას სინქრონი: - „გამოირჩეოდით ენთუზიაზმით „რუსთავი2-ის“ წინააღმდეგ გამართულ რამდენიმეწლიან ბრძოლაში. ერთერთ ყველაზე სამარცხვინო ეპიზოდში, როდესაც ურთმელიძემ მიიღო გადაწყვეტილება, რომელიც შეფასდა ჩვენი პარტნიორების - ამერიკის და ევროკავშირის ერთმხრივ განცხადებაში, ვცტირებ, როგორც მართლმსაჯულების დამოუკიდებლობის და მედიის თავისუფლების სერიოზული კითხვები როდესაც დაისვა, თქვენ ეს გადაწყვეტილება შეაფასეთ, როგორც ნოვატორული. მე მაინტერესებს, განმარტოთ, რას გულისხმობთ მის ე.წ. ნოვატორულ გადაწყვეტილებაში?“

თეა წულუკიანის სინქრონი: „ის გადაწყვეტილება, ასე ვთქვათ, დახუნძლული მომეჩვენა, რომ იყო ზედმეტი ქეის სვოთი სტრასბურგის და მაინცდამაინც კარგად არ გამოიყურებოდა. ისიც ვთქვი, რომ მე რომ ვყოფილიყავი მოსამართლე, უკეთეს გადაწყვეტილებას დავწერდი-მეთქი, ვიმეორებ ამას იმიტომ, რომ რა, რა და სასამართლო გადაწყვეტილებების წერა ვიცი კარგად.“

ჟურნალისტი: ძალოვანი მინისტრობის კანდიდატების მოსმენაზე „ნაციონალური მოძრაობა“ განსაკუთრებით აქტიურობდა. ოპოზიცია დაინტერესდა, რატომ ხუჭავს ხელისუფლება თვალს ქვეყანაში გაზრდილ კრიმინალზე; რატომ არ იძებნება

ინტერპოლით ზაფხულში მოკლული ოთხოზორიას მკვლეელი და რა ბედი ეწია გივი თარგამაძის მანქანის აფეთქებაში ბრალდებულს? „ნაციონალური მოძრაობის“ შეკითხვებს შსს-ის მინისტრობის კანდიდატმა - გიორგი მღებრიშვილმა უპასუხა.

გიგა ბოკერიას სინქრონი: - „საზარელი მკვლელობა ოთხოზორიასი, გადაღებული ფირზე. მის მკვლელობაში ბრალდებული რატომ არ არის ინტერპოლით ძებნილთა სიაში? 5 ოქტომბერს იყო ტერაქტის მცდელობა გივი თარგამაძეზე. აქაც თქვენ გამოგვიცხადეთ, რომ გახსნილია საქმე, თუმცა არ გითქვამთ, რა მოტივია. ის ადამიანი, რომელიც მიმალული არის, ასევე არ არის ინტერპოლით ძებნილთა სიაში. რატომ?“

გიორგი მღებრიშვილის სინქრონი: - „რაც შეეხება თარგამაძის მანქანის აფეთქებას, ერთი მათგანი არის დაკავებული, ერთზე გამოცხადებულია ძებნა. მას არ უფიქსირდება საზღვრის კვეთა, შესაბამისად, მიმდინარეობს პროცედურები. რაც შეეხება ოთხოზორიას მკვლელობას, ეს ტერიტორია რომ უკონტროლოა, ახალი არ არის, მემგონი, თქვენთვის. ამ მიმართულებითაც მიმდინარეობს პროცედურები.“

ჟურნალისტი: - კიდევ ერთი კამათი საკომიტეტო მოსმენაზე ისევ ელენე ხოშტარიას შეკითხვას მოჰყვა, რომელიც დაინტერესდა, რატომ არ ესწრებოდა ლევან იზორია ნატო-ს მინისტერიალს? თავდაცვის მინისტრობის კანდიდატმა ბრიუსელში არყოფნის მიზეზი განმარტა, თუმცა არგუმენტები „ნაციონალური მოძრაობისთვის“ მიუღებელი აღმოჩნდა.

ელენე ხოშტარიას სინქრონი: - „ნუ ეცდებით, პასუხი გამცეთ, რომ აქ საქართველოს საკითხი არ განიხილებოდა იმიტომ, რომ სწორედ საქართველოს უსაფრთხოებასთან დაკავშირებული საკითხი იყო. იმასაც ნუ ეცდებით, გვითხრათ, რომ მოწვეულები არ იყავით იმიტომ, რომ ძალიან კარგადაც ვიცით, როგორ ხდება იქ შეხვედრებზე მოხვედრა.“

ლევან იზორიას სინქრონი: - „ზუსტად ერთი თვით ადრე ჩვენ შესაძლებლობა გვქონდა ორმხრივი მოლაპარაკებების ფორმატში აქ, თბილისში, შეხვედროდით ნატო-ს გენერალურ მდივანს. მე პირადად შევხვდი მას. ჩვენი პოლიტიკა ძალიან თანამიმდევრული იყო. კერძოდ, ჩვენ ვისაუბრეთ იმიტომ, რომ საკვლელოდ და მეტიჩრობისთვის მე ვერ წავიდოდი...“

ჟურნალისტი: - ძალოვანი მინისტრობის კანდიდატებისთვის კითხვების დასმის საშუალება პირველად მიეცა „პატრიოტთა ალიანსს“, თუმცა მანამდე ირმა ინაშვილმა „ნაციონალური მოძრაობის“ ხმამაღალი განცხადებების გამო ისევ მმართველი გუნდი დაადანაშაულა. დეპუტატი დაინტერესდა, რა მდგომარეობაა ქვეყანაში საზღვრის დაცვის მხრივ.

ირმა ინაშვილის სინქრონი: - „ძალიან მაინტერესებს, ჟვანია ვინ მოკლა?! და იყო თუ არა ეს პოლიტიკური ტერორი? ძალიან მაინტერესებს, გურამ შარაძე როგორ მოკლეს? და იყო თუ არა ეს პოლიტიკური ტერორი? მაგრამ იმსახურებთ ამას, თქვენ, „ქართული ოცნება“ იმიტომ, რომ თქვენ გააცოცხლეთ ეს ხალხი! ისმის არაერთი ინფორმაცია, რომ ქართული მიწები ჰექტარ-ჰექტარ გადადის ხან სომხეთის მხარეს, ხან აზერბაიჯანი იღებს რამდენიმე ჰექტარს, ხან თურქეთმა აიღო 6 ჰექტარი. არის თუ არა მონიტორინგი?“

გიორგი მღებრიშვილის სინქრონი: - „არის მონაკვეთები საზღვარზე, რომელიც დასაზუსტებელია სომხეთთან და აზერბაიჯანთან. ამ მიმართულებითაც არსებობს აქტიური მუშაობა.“

ჟურნალისტი: - ხმაურიანი სხდომის შემდეგ მინისტრობის კანდიდატებს მხარი დეპუტატების უმრავლესობამ დაუჭირა. ძალოვანი მინისტრები ფრაქციების წარმომადგენლებს უკვე ხვალ შეხვდებიან.

დანართი #4.

ქეთევან ციხელაშვილის ანგარიში პარლამენტს

პარლამენტში ქეთევან ციხელაშვილს მოუსმენენ⁴²

„მაესტრო“

თარიღი: 2017 წლის 25 აპრილი

ქრონომეტრაჟი: 1წთ 7წმ

42 “მაესტრო“, მუდმივი ლინკი: <http://www.maestro.ge/kontakti/siakhleebi/article/48959-parlamentshi-qethevan-cikhelashvils-mousmenen> ; ბოლო ნახვა: 09/07/2017.

წამყვანი: ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საკითხთა დროებით საპარლამენტო კომისიისა და დიასპორისა და კავკასიის საკითხთა კომიტეტის გაერთიანებული სხდომაზე შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრს მოუსმენენ. ქეთევან ციხელაშვილი ოკუპირებულ ტერიტორიებთან მიმართებაში მიმდინარე სამუშაოების შესახებ ისაუბრებს. პარლამენტის კომისიისა და კომიტეტის გაერთიანებული სხდომა 15 საათზე გაიმართება.

ქეთევან ციხელაშვილის სინქრონი: „გამოვაქვეყნე ჩვენი რვა პრიორიტეტი სამშვიდობო პროცესის. რაც, ძირითადად, გულისხმობს იმას, რომ, ერთი მხრივ, საქართველო აგრძელებს რუსეთთან მიმართებაში დეოკუპაციის პოლიტიკას და, მეორე მხრივ, დიალოგის, შერიგების და ნდობის მშენებლობის პოლიტიკას აფხაზურ და ოსურ საზოგადოებებთან. ბევრი ჩვენი აქტივობა და მომავალში დაგეგმილი საქმიანობა მიმართულია სწორედ იმისაკენ, რომ გაფართოვდეს ორივე რეგიონში მცხოვრებთათვის წვდომა სახელმწიფო სერვისებზე, ასევე, გაფართოვდეს მათი წვდომა იმ სარგებელზე, რომელიც ჩვენი მოქალაქეებისათვის თანდათან ხელმისაწვდომი იქნება პარტნიორებთან თანამშრომლობის ფორმატში.

„ქეთევან ციხელაშვილი დეპუტატებს უწყების ანგარიშსა და სამოქმედო გეგმას აცნობს“⁴³

საზოგადოებრივი მაუწყებელი

თარიღი: 2017 წლის 25 აპრილი

ქრონომეტრაჟი: 4წთ 58წმ

წამყვანი: - უკვე ერთი საათია, ქეთევან ციხელაშვილს პარლამენტში უსმენენ. შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრი დეპუტატებს უწყების ანგარიშსა და სამოქმედო გეგმას აცნობს. ციხელაშვილს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საკითხთა დროებითი კომისიის და დიასპორისა და კავკასიის საკითხთა კომიტეტის გაერთიანებულ სხდომაზე უსმენენ.

43 საზოგადოებრივი მაუწყებელი, მუდმივი ლინკი: https://www.youtube.com/watch?v=3rgY_9UcDNo ; ბოლო ნახვა: 09/07/2017.

ჟურნალისტის ჩართვა: - სახელმწიფო მინისტრი საუბრობს უწყების მიერ განხორციელებულ სამოქმედო გეგმაზე და, ასევე, მან უნდა ისაუბროს კანონმდებლების წინაშე იმ გეგმებზე, რომლებიც აქვს მისი ხელმძღვანელობის ქვეშ არსებულ აპარატს. მან საკუთარი საქმიანობის შესახებ ანგარიშის წარდგენის დასაწყისში ისაუბრა ამ უწყების მნიშვნელობაზე. აგრეთვე, განაცხადა, რომ დღეს სახელმწიფოსათვის პრიორიტეტული არის ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრებლების უფლებები, მათზე ზრუნვა; ქეთევან ციხელაშვილმა განაცხადა, რომ რუსეთთან დეოკუპაცია - ეს არის ერთერთი ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხი. მან, ასევე, ყურადღება გაამახვილა, მისი თქმით, სტრატეგიულად მნიშვნელოვან პროექტებზე, რომლებითაც სარგებლობენ ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრებლები. ანგარიშის წარდგენას დღეს, ასევე, ესწრებიან ოპოზიციის წარმომადგენლები, რომლებმაც განაცხადეს, რომ სახელმწიფო აპარატის მნიშვნელობას, მათი თქმით, აზრი არ აქვს. ის ფუნქციები და მოვალეობები, რომლებსაც დღეს ეს აპარატი ახორციელებს, შესაძლოა, რომ განახორციელოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ.

ქეთევან ციხელაშვილის სინქრონი: - „მე წარვადგენ სამინისტროს საქმიანობის ანგარიშს. ძირითად მიმართულებებს, მიმდინარე საქმიანობას გავაცნობ პარლამენტის წევრებს და შეკრებილ აუდიტორიას და, ასევე, რა თქმა უნდა, ჩვენ ვისაუბრებთ სამომავლო პრიორიტეტებზე, რაც დაგეგმილი გვაქვს. ძირითადად, ეს მოიცავს შერიგების, ნდობის მშენებლობის, დიალოგის წახალისებას.“

ლევან გოგიჩაიშვილის სინქრონი: - „თავი არ უნდა მოვიტყუოთ. არის ძალიან მძიმე მდგომარეობა. არის შექმნილი ეს პოლიტიკური რეალობა. არის ანექსირებული ტერიტორიები. ოკუპანტი ქვეყნის მიერ აღიარებული ტერიტორიები და ეს რეალობა დააყენეს ზუსტად იმ ადამიანებმა, რომლებმაც თავის დროზე კოდორს ზემო აფხაზეთი უწოდეს და ახალგორს - სამხრეთ ოსეთი. ჩვენ მივიღეთ ძალიან მძიმე მდგომარეობა 2008 წლის შემდეგ. ეს იყო უგუნური პოლიტიკის შედეგი. დღეს გვაქვს ჩვენ ეს მდგომარეობა: ადამიანები, რომლებიც ცხოვრობენ ამ ტერიტორიაზე, არიან უმძიმეს მდგომარეობაში.“

რომან გოცირიძის სინქრონი: - „ამ სამინისტროს ისეთივე როლი აქვს ჩვენს სახელისუფლებო სტრუქტურაში, როგორც მეხუთე ბორბალს შეიძლება დაეკისროს

მანქანაში. ეს არის აბსოლუტურად უსარგებლო, მას არავითარი რეალური დატვირთვა არ აქვს, იგი ვერავითარ გავლენას ვერ ახდენს პროცესებზე და მხოლოდ შემოიფარგლება იშვიათი კომენტარებით.“

ჟურნალისტის ჩართვა: - გარდა კანონმდებლებისა, სახელმწიფო მინისტრის ანგარიშის წარდგენას, აგრეთვე, ესწრებიან მოძრაობა „აფხაზთა კრების“ წარმომადგენლები. ასევე, საკანონმდებლო ორგანოში იმყოფება აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი. მათ დღეს ანგარიშის წარდგენის დაწყებამდე განაცხადეს, რომ ეს არის ერთერთი ყველაზე მწვავე პრობლემა. მათ ასევე აღნიშნეს, რომ სახელმწიფო მინისტრი საკმაოდ იშვიათად ხვდება ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილ მოსახლეობას და ერთერთი ყველაზე მწვავე პრობლემა მათთვის კვლავ რჩება ოკუპირებულ ტერიტორიებზე საქართველოს იურისდიქციის აღდგენის საკითხი.

შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრი პარლამენტში ანგარიშით წარდგება⁴⁴

„რუსთავი 2“

თარიღი: 2017 წლის 25 აპრილი

ქრონომეტრაჟი: 2წთ 7წმ

წამყვანი: შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი ოკუპირებულ ტერიტორიებთან მიმართებაში ანგარიშს კანონმდებლებს დღეს ქეთევან ციხელაშვილი წარმოუდგენს. სახელმწიფო მინისტრს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საკითხთა დროებითი საპარლამენტო კომისიისა და დიასპორისა და კავკასიის საკითხთა კომიტეტის გაერთიანებულ სხდომაზე ელოდებიან. მინისტრი ყურადღებას სამომავლო გეგმებზე გაამახვილებს, ქეთევან ციხელაშვილთან კონკრეტული კითხვები ექნება ოპოზიციას.

⁴⁴ „რუსთავი 2“, მუდმივი ლინკი: <http://rustavi2.ge/ka/news/73973> ; ბოლო ნახვა: 09/07/2017.

ქეთევან ციხელაშვილის სინქრონი: „მიმოვიხილავთ იმ ძირითად პრიორიტეტებს, რომელსაც ეფუძნება საქართველოს სამშვიდობო პოლიტიკა, რომელიც, ერთი მხრივ, გულისხმობს დეოკუპაციის პოლიტიკის გაგრძელებას რუსეთთან მიმართებაში, მაგრამ ამავედროულად ეს არის დიალოგი შერიგების, ნდობის მშენებლობის პოლიტიკა, აფხაზურ და ოსურ საზოგადოებასთან. რა თქმა უნდა, განსაკუთრებით მნიშვნელოვანი გახლავთ კონტაქტების წახალისება, ომით გაყოფილ მოსახლეობას შორის, მით უმეტეს იმ პირობებში, როდესაც მუდმივად ხდება ხელოვნური დაბრკოლებების აღმართვა საოკუპაციო რეჟიმის მხრიდან“.

გია ვოლსკის სინქრონი: „გარკვეული შეხედულებები ჩვენც გვაქვს, ჟენევის ფორმატი მიმდინარეობს ამდენი ხანია, საჭიროა, აუცილებელია, მაგრამ შედეგები არ ჩანს. მეტი ინიციატივებია საჭირო, მეტი ჯანსაღი განცხადებები და არა რაღაც ჰაერიდან მოტანილი სურვილები.“

სერგი კაპანაძის სინქრონი: „ჩვენ გვაქვს კონკრეტული კითხვები კონკრეტულ ჩავარდნებთან დაკავშირებით, რომელიც ეხება, მათ შორის, ოთხოზორიას საქმეს. საოკუპაციო რეჟიმის მიერ გადასასვლელების გადაკეტვას, მავთულხლართების გადმოწევას და ა.შ. ჩვენ ამ კითხვებს გავაჟღერებთ, თუმცა მოვისმენთ, თუ რა კონკრეტული ინიციატივები იგეგმება ხელისუფლების მხრიდან.“

რომან გოცირიძის სინქრონი: - „არ ვიცი, საერთოდ, ღირს მოსმენა ამ სამინისტროს მუშაობისა, არ ღირს... იმიტომ, რომ მე ვერ ვხედავ ვერავითარ არსს მისი არსებობისა. არ გააჩნია არც რეალური ფუნქციები, არც გადაწყვეტილების მიღების რაიმე ბერკეტები. ამიტომ, ყველაზე მთავარი არის, რომ დაასაბუთოს, აქვს თუ არა რაიმე აზრი მის მუშაობას.“

ქეთევან ციხელაშვილის მოხსენება პარლამენტში⁴⁵

„იმედი“

45 „იმედი“, მუდმივი ლინკი: http://www.imedi.ge/index.php?pg=shs&id_pr=12307&id=20 ; ბოლო ნახვა: 09/07/2017.

თარიღი: 2017 წლის 25 აპრილი

ქრონომეტრაჟი: 3წთ 9წმ

წამყვანი: პარლამენტის საკომიტეტო მოსმენაზე დეპუტატები დღეს ქეთევან ციხელაშვილს უსმენდნენ. შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრმა ოკუპირებულ ტერიტორიებთან დაკავშირებით უწყების სამოქმედო გეგმა წარადგინა. დაპირისპირება კი მას შემდეგ დაიწყო, რაც ერთერთმა დეპუტატმა სხდომის დახურვა მოითხოვა.

ჟურნალისტის ჩართვა: - ხმაური და სიტყვიერი დაპირისპირებს დეპუტატებს შორის მას შემდეგ დაიწყო, რაც „პატრიოტთა ალიანსის“ წევრმა - ადა მარშანიამ ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებული ვითარების შესახებ მეტი ინფორმაციის მიღების მიზნით, სხდომის დახურვა მოინდომა. „აფხაზთა კრებამ“ დეპუტატის წინადადება გააპროტესტა.

ადა მარშანიას სინქრონი: „მე გთავაზობთ თქვენ, რომ მართლაც რომ სასიცოცხლო და ძირფესვიანი შეკითხვები დავუსვათ ქალბატონ მინისტრს, დავხუროთ სხდომა. მე, მაგალითად, ვერ ვუსვამ ქალბატონ მინისტრს ჩემს შეკითხვებს.“

„აფხაზთა კრების“ წარმომადგენლის სინქრონი: - „ჩვენ საქმიანად ვიყავით მოსული, როგორც დევნილი საზოგადოება, გვაწუხებს ბევრი საკითხი და ზუსტად ამ საკითხების, ასე ვთქვათ, გასაგებად მოვედით, მაგრამ ბოლომდე ვერ მოისვენა ქალბატონმა ადა მარშანიამ, რომელიც არის „ვეჩნი“ დეპუტატი. დეპუტატობა და ე.წ. აფხაზობა მან პროფესიად გაიხადა.“

შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის 8-პუნქტიანი ანგარიშის მოსმენისას კითხვა-პასუხის რეჟიმის დროს „ნაციონალური მოძრაობის“ წევრმა - რომან გოცირიძემ სახელმწიფო მინისტრის აპარატის გაუქმების წინადადება დააყენა.

რომან გოცირიძის სინქრონი: „ეს, ფაქტობრივად, არის აღწერა, რა კეთდება ამ მიმართულებით, მაგრამ ეს რამდენად არის თქვენი უწყების კომპეტენცია? აქ საუბარია ინფრასტრუქტურულ პროექტებზე, გაზგაყვანილობაზე... ეს ფუნქციები, როგორც თქვენ ამბობთ, ნაწილი რომ იყოს საგარეო საქმეთა სამინისტროში და თქვენ რომ იყოთ

დეპარტამენტის ფუნქციით საგარეო საქმეთა სამინისტროში, გაცილებით დიდი პოლიტიკური წონა და რეზონანსი ექნებოდა.“

ჟურნალისტის ჩართვა: ქეთევან ციხელაშვილისთვის რომან გოცირიძის განცხადება მიუღებელი აღმოჩნდა. შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრს საკუთარი უწყების რელევანტურობის შესახებ განმარტებების გაკეთება მოუხდა.

ქეთევან ციხელაშვილის სინქრონი: „სიმათლე გითხრათ, ამ ფორმით ვისაუბრო თუ ჩვენი დებულება გამოგიგზავნოთ, სახელმწიფო მინისტრის აპარატი რატომ არსებობს და რა არის მისი დანიშნულება, რომ გაეცნოთ, არ ვიცი, რომელი უფრო მიზანშეწონილია იმიტომ, რომ სახელმწიფო მინისტრის აპარატს პოლიტიკის კოორდინაციის და ჩვენი ქვეყნისთვის ძალიან მნიშვნელოვანი მიმართულებები, ფუნქციები აქვს და საგარეო საქმეთა სამინისტროს ნაწილი ვერ გახდება, ბატონო რომან! აქ პოლიტიკური მომენტებია: ჩვენ შერიგებასა და ჩართულობაზე ვართ პასუხისმგებელი აფხაზურ და ოსურ საზოგადოებებთან.“

ჟურნალისტის ჩართვა: ანგარიშის მოსმენა ორ საათს გაგრძელდა. სახელმწიფო მინისტრმა გიგა ოთხოზორიას მკვლელის დასჯის მიზნით უწყების მიერ დაწყებულ მოლაპარაკებებზე ისაუბრა. ოკუპირებულ ტერიტორიებთან დაკავშირებით, უწყების ხედვებზე, სამომავლო პროექტებსა და დეოკუპაციის პოლიტიკის გაგრძელებაზე გაამახვილა ყურადღება. მოხსენების მეორე ნაწილი დაიხურა.

დანართი #5.

თამარ კორძაიას „რესპუბლიკური პარტიის“ პოლიტიკურ მდივნად დანიშვნა
„რესპუბლიკელების“ ახალი პოლიტიკური მდივანი⁴⁶
„მაესტრო“

თარიღი: 2017 წლის 22 იანვარი

46 „მაესტრო“, მუდმივი ლინკი: <https://www.youtube.com/watch?v=pqUnLmPezSE> 3:30წმ-დან 4:50-მდე; ბოლო ნახვა: 09/07/2017.

ქრონომეტრაჟი: 1წთ 20წმ

წამყვანი: თამარ კორძაია „რესპუბლიკური პარტიის“ პოლიტიკური მდივნის პოსტს ჩაიბარებს. გადაწყვეტილება პარტიის ეროვნულმა კომიტეტმა მიიღო. დღემდე ამ თანამდებობას დავით ბერძენიშვილი იკავებდა. აღმასრულებელ სამდივნოში ცვლილებებს ეროვნული კომიტეტის წევრებმა კენჭი უყარეს. „რესპუბლიკური პარტიის“ წესდების მიხედვით, პოლიტიკური მდივანი თავმჯდომარის შემდეგ პარტიაში რიგით მეორე თანამდებობის პირია.

თამარ კორძაიას სატელეფონო ჩართვა: - „გარდა იმისა, რომ პოლიტიკური მდივნის პოსტი დავიკავე მე, ჩვენ მივიღეთ ძალიან მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები იმ თემატიკასთან დაკავშირებით, რაზეც პარტიამ უნდა იმუშავოს მომავალში. იმიტომ, რომ ჩვენ, როგორც პასუხისმგებლიანი ოპოზიციური პარტია, ვთვლით, რომ უნდა დასრულდეს მუდმივი საუბარი იმაზე, თუ რა ხდება ოპოზიციურ პარტიებში, ვინ სად წავიდა და ვინ სად წამოვიდა და ჩვენ უნდა დავიწყოთ თემატიკებით ამომრჩეველთან დიალოგი. ამიტომაც ჩვენ დღეს საქართველოს მოსახლეობას შევთავაზებთ ორდონიან თვითმმართველობას, რაც უზრუნველყოფს იმას, რომ ცენტრალური ხელისუფლების როლი შესუსტდება თვითმმართველობის გადაწყვეტილებების მიღებაში და გაცილებით უფრო ძლიერი იქნება ადგილობრივი საკითხების გადაწყვეტაში იქ მცხოვრები ადგილობრივი მოსახლის შესაძლებლობები და გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილეობის მიღების გაცილებით მეტი სამართლებრივი საშუალება ექნება.“

თამარ კორძაია „რესპუბლიკური პარტიის“ პოლიტიკური მდივნის პოსტს ჩაიბარებს ⁴⁷

საზოგადოებრივი მაუწყებელი

თარიღი: 2017 წლის 22 იანვარი

ქრონომეტრაჟი: 24წმ

47 საზოგადოებრივი მაუწყებელი, მუდმივი ლინკი: <http://1tv.ge/ge/news/view/title/148042.html> ; ბოლო ნახვა: 09/07/2017.

წამყვანი: თამარ კორძაია „რესპუბლიკური პარტიის“ პოლიტიკური მდივნის პოსტს ჩაიბარებს, - ასეთია პარტიის ეროვნული კომიტეტის გადაწყვეტილება.

დღემდე ამ თანამდებობას დავით ბერძენიშვილი იკავებდა. აღმასრულებელ სამდივნოში ცვლილებებს ეროვნული კომიტეტის წევრებმა კენჭი გუშინ უყარეს.

„რესპუბლიკური პარტიის“ წესდების მიხედვით, პოლიტიკური მდივანი თავმჯდომარის შემდეგ პარტიაში მეორე თანამდებობის პირია.

რესპუბლიკური პარტიის პოლიტიკური მდივნის თანამდებობაზე დავით ბერძენიშვილი თამარ კორძაიამ ჩაანაცვლა⁴⁸

რუსთავი 2

თარიღი: 2017 წლის 22 იანვარი

ქრონომეტრაჟი: 1წთ 7წმ

წამყვანი: „საქართველოს რესპუბლიკურ პარტიას“ ახალი პოლიტიკური მდივანი ჰყავს. პარტიის ეროვნულმა კომიტეტმა ამ პოსტზე თამარ კორძაია აირჩია. დღემდე ამ თანამდებობას დავით ბერძენიშვილი იკავებდა. აღმასრულებელ სამდივნოში ცვლილებებს ეროვნული კომიტეტის წევრებმა 21 იანვარს უყარეს კენჭი.

რესპუბლიკური პარტიის წესდების მიხედვით, პოლიტიკური მდივანი თავმჯდომარის შემდეგ პარტიაში მეორე თანამდებობის პირია. ცვლილებების შესახებ გადაწყვეტილება პარტიის ეროვნულმა კომიტეტმა ბორჯომში დასკვნით სხდომაზე მიიღო. „რესპუბლიკელები“ ეროვნული ფორმატით მუშაობას დღესაც განაგრძობენ.

თამარ კორძაიას სატელეფონო სინქრონი: - „ეროვნულმა კომიტეტმა გადაწყვიტა, რომ საჭირო იყო მნიშვნელოვანი გადახალისებები პარტიაში. იმისათვის, რომ პარტია უფრო მეტად გახსნილი იყოს, ეროვნულმა კომიტეტმა პოლიტიკურ მდივნად ამირჩია მე და

48 „რუსთავი 2“, მუდმივი ლინკი: <http://rustavi2.ge/ka/news/66063>; ბოლო ნახვა: 09/07/2017.

პარტიის პოლიტიკური ხედვების გამხმომავანებელი ვიქნები მე. რაც შეეხება დავით ბერძენიშვილს, პარტიას, ასევე, აქვს ოპერატიული მართვის ორგანო სამდივნოს სახით, დავით ბერძენიშვილი იქნება ამ სამდივნოს წევრი. ეს ცვლილებები ზუსტად მიზნად ისახავს იმას, რომ პარტია აპირებს სერიოზული განაცხადის გაკეთებას.“

"რესპუბლიკური პარტია" - ცვლილებები აღმასრულებელ სამდივნოში⁴⁹

იმედი

თარიღი: 2017 წლის 22 იანვარი

ქრონომეტრაჟი: 2 წთ

წამყვანი: „რესპუბლიკური პარტიის“ პოლიტიკური მდივანი თამარ კორძაია გახდა. გადაწყვეტილება ეროვნულმა კომიტეტმა მიიღო. დღეს, ასევე, იმსჯელეს პარტიის სამომავლო გეგმებზეც. გეგმისა და საკადრო ცვლილებების დეტალებს ქეთი ფარცხალაძე გაგვაცნობს.

ჟურნალისტის - ქეთი ფარცხალაძის ჩართვა: „რესპუბლიკურ პარტიაში“ ცვლილებებია. პარტიის პოლიტიკური მდივანი თამარ კორძაია გახდა. ეს პოზიცია აქამდე ეჭირა დავით ბერძენიშვილს, რომელიც გახდა საარჩევნო და პოლიტიკური ანალიზის მდივანი. სამდივნოში ახალი წევრიც დაემატა, ეს გახლავთ ინგა მალრაძე, რომელიც იმუშავებს თვითმმართველობისა და რეგიონული განვითარების მიმართულებით. დღევანდელ შეხვედრაზე, ასევე, იმსჯელეს პარტიის სამომავლო გეგმებზე. მიიღეს გადაწყვეტილება, რომ ორ საკითხთან მიმართებაში, რაც არის საკონსტიტუციო ცვლილებები და თვითმმართველობის რეფორმა, პარტია უახლოს დღეებში კონკრეტულ გეგმებს წარადგენს. თამარ კორძაიას სინქრონი: - „საზოგადოებას შევთავაზებ ადგილობრივი თვითმმართველობის რეფორმას, რომელიც ითვალისწინებს ორდონიან თვითმმართველობას და რომელიც ხელს შეუწყობს, საბოლოო ჯამში, თითოეული მოქალაქის მონაწილეობას ადგილობრივი თვითმმართველობის საკითხების გადაწყვეტაში.“

49 „იმედი“, მუდმივი ლინკი: <http://www.imesdi.ge/index.php?pg=news&id=83444&l=1> ; ბოლო ნახვა: 09/07/2017.

ნებისმიერი ტიპის საკონსტიტუციო რეფორმა ამ პირობებში ვერ უზრუნველყოფს ხელისუფლების შტოებს შორის დამოუკიდებლობას და მათ მიერ ბალანსის განხორციელებას. სწორედ ერთადერთი პირი, რომელიც რჩება დაბალანსების შანსის მქონედ, ეს არის საქართველოს პრეზიდენტი, პერსონალურად და ინსტიტუციურად, ამიტომ ამ ინსტიტუტისათვის ამ პირობებში ხელის ხლება იქნება საქართველოს სახელმწიფოსათვის დამანგრეველი.“

ინგა მაღრაძის სინქრონი: „ოპოზიციური პარტია, რომელსაც ექნება შეხედულება ყველა კონკრეტულ თემაზე და ექნება, ბუნებრივია, ის თემები, რომლებიც ყველაზე ახლოსაა და ყველაზე აქტუალურია დღეს ჩვენი საზოგადოებისთვის“.

ჟურნალისტის ჩართვა: - პარტიაში საკადრო ცვლილებებთან თუ სამომავლო გეგმებთან დაკავშირებით იმსჯელეს ეროვნული კომიტეტის ფარგლებში, რომელიც 2 დღის განმავლობაში მუშაობდა აღნიშნულ საკითხებზე.

დანართი #6.

ნინო ბურჯანაძის საარჩევნო შეფასებები

ნინო ბურჯანაძე არჩევნებს აფასებს⁵⁰

მაესტრო

თარიღი: 2016 წლის 14 ოქტომბერი

ქრონომეტრაჟი: 1წთ 3წმ

წამყვანი: ნინო ბურჯანაძე არჩევნების არალეგიტიმურობაზე საუბრობს.

„ბურჯანაძე დემოკრატიული მოძრაობის“ თავმჯდომარე, მმართველ გუნდს საკუთარი და სხვა ოპოზიციური პარტიების ხმების მითვისებაში ადანაშაულებს და საქართველოში

50 „მაესტრო“, მუდმივი ლინკი: <http://www.maestro.ge/kontakti/siakhleebi/article/42831-burjanadzis-ganckhadeba> ; ბოლო ნახვა: 09/07/2017.

სამართლებრივი პროცედურების ამოწურვის შემდეგ, სტრასბურგის ევროპული სასამართლოსთვის მიმართვას გეგმავს. ბურჯანაძის თქმით, „ქართული ოცნების“ ქმედებები არჩევნების გაყალბებისასა და მანიპულირებაზე მიუთითებს და აღნიშნა, რომ ბიულეტენების გაყალბებასთან დაკავშირებით, ბიძინა ივანიშვილის გუშინდელი განცხადება სწორედ ამის დასტურია.

ნინო ბურჯანაძის სინქრონი: - „გუშინ ბიძინა ივანიშვილმა დაადასტურა ის, რასაც მე, პრაქტიკულად, უკვე 8 ოქტომბრის შემდეგ ვამბობ: ის, რომ გაყალბდა ბიულეტენები. ე.ი. პირველ ტურში შედგა ის გარიგება, რომელზე მე ვამბობდი და ვსაუბრობდი და „ნაციონალურმა მოძრაობამ“ „ქართულ ოცნებასთან“ შეთანხმებით ნამდვილად გააყალბა არჩევნები და ორივემ ნამდვილად მიისაკუთრა ჩვენი და სხვა ოპოზიციური პარტიების ხმები.“

ნინო ბურჯანაძე არჩევნების მეორე ტურის ბოიკოტირებას არ გამორიცხავს ⁵¹

საზოგადოებრივი მაუწყებელი

თარიღი: 2016 წლის 14 ოქტომბერი

ქრონომეტრაჟი: 54წმ

წამყვანი: - არჩევნების მეორე ტურის ბოიკოტირებას არ გამორიცხავს ”დემოკრატიული მოძრაობის” ლიდერი. ნინო ბურჯანაძე დეტალებზე არ საუბრობს, თუმცა, აცხადებს, რომ პარტია მეორე ტურს ემიჯნება. „დემოკრატიული მოძრაობის” ლიდერი მათი სარჩელების დაუკმაყოფილებლობას უსამართლოდ მიიჩნევს და თვლის, რომ რამდენიმე უბანზე ხმების გადათვლით შედეგები მნიშვნელოვნად შეიცვლება.

51 საზოგადოებრივი მაუწყებელი, მუდმივი ლინკი: <http://1tv.ge/ge/news/view/title/138622.html> ; ბოლო ნახვა: 09/07/2017.

ნინო ბურჯანაძე არჩევნების შედეგებს საგანგაშოდ აფასებს, თუმცა აცხადებს, რომ პარტია სააკველაციო სასამართლოში პროცესის დასრულებას და საერთაშორისო დამკვირვებლების საბოლოო დასკვნას ელოდება.

ნინო ბურჯანაძის სინქრონი: - „ქვეყანაში სასამართლო აღარ არსებობს. ქვეყანაში არ არსებობს სამართლიანობის პოვნის არანაირი გარანტია. ქვეყანაში არჩევნები კარგავს აზრს. ასეთ შემთხვევაში, ქვეყანას აქვს მხოლოდ და მხოლოდ ორი გზა: ან ავტოკრატია, ან რევოლუცია. ერთი ცუდია და მეორეც, ოღონდ ეს არჩევანი პირადად ბიძინა ივანიშვილის გაკეთებულია“.

"ვიდრე არ მოხდება უზნების გადათვლა, არჩევნების ლეგიტიმურობა ვერ განხორციელდება"
- ნინო ბურჯანაძე⁵²

რუსთავი 2

თარიღი: 2016 წლის 14 ოქტომბერი

ქრონომეტრაჟი: 52წმ

წამყვანი: ნინო ბურჯანაძე არჩევნების ლეგიტიმაციას ეჭვქვეშ აყენებს, ვიდრე რამდენიმე საარჩევნო უბანზე ხელახლა არ გადაითვლიან ხმებს. საარჩევნო ბლოკმა ამ მოთხოვნით თბილისის საქალაქო სასამართლოსაც მიმართა.

ნინო ბურჯანაძის თქმით, შედეგები გაყალბებულია და მათ გაერთიანებას გაცილებით მეტმა ამომრჩეველმა მისცა ხმა. ნინო ბურჯანაძისთვის მიუღებელია ის პროცენტები, რასაც ცენტრალური საარჩევნო კომისია აცხადებს.

ნინო ბურჯანაძის სინქრონი: - „სამწუხაროდ, საოლქო კომისიების აბსოლუტურმა უმრავლესობამ უარი გვითხრა გადათვლის პროცედურებზე და გადაგვამისამართა სასამართლოში, რომელიც, კარგად ვიცით, რომ არ არის თავისუფალი და დამოუკიდებელი. სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ ვიდრე არ დაკმაყოფილდება ჩვენი სარჩევნი

52 „რუსთავი 2“, მუდმივი ლინკი: <http://rustavi2.ge/ka/news/59041> ; ბოლო ნახვა: 09/07/2017.

და ვიდრე არ მოხდება უბნების გადათვლა, არჩევნების ლეგიტიმურობა ვერ განხორციელდება“.

ნინო ბურჯანაძე არჩევნების შედეგებს უნდობლობას უცხადებს⁵³

იმედი

თარიღი: 2016 წლის 14 ოქტომბერი

ქრონომეტრაჟი: 1წთ 42წმ

წამყვანი: - არჩევნების შედეგებს უნდობლობას უცხადებს ნინო ბურჯანაძე. „დემოკრატიული მოძრაობის“ ლიდერი „ცესკოს“ კომპეტენციას უწუნებს და აცხადებს, რომ საარჩევნო ადმინისტრაცია გადაწყვეტილებას დამოუკიდებლად ვერ იღებს. ბურჯანაძე არჩევნების დღეს კონკრეტულ დარღვევებზეც საუბრობს და სასამართლოში აპირებს დავას.

ნინო ბურჯანაძის სინქრონი: - „შემიძლია ერთი მაგალითი მოვიყვანო: მთაწმინდის ოლქის, სადაც პირველად ოლქში ჩვენ გვქონდა ჩაწერილი 177 ხმა, ოღონდ ეტყობა ეს ძალიან ებევრათ, შემდეგ გააკეთეს შესწორების ოქმი და 177 ხმის ნაცვლად დაგვიწერეს 29 თუ 28 ხმა. ასეთი ძალიან ბევრი მაგალითია. ძალიან ბევრი მაგალითია გადაკეთებული ოქმების უბეჭდო ოქმების...“

ნინო ჭეიშვილის სინქრონი: - „მოხდა 12 ოქტომბერს ჩვენთან, საოლქო კომისიაში ოქმის განხილვა, რომელსაც არ აქვს ბეჭედი, მაგრამ არ ყოფილა ეს თურმე დარღვევა, ოლქის თავმჯდომარემ გარკვევით გვითხრა, გადავწეროთ ოქმი, მოვიყვან კომისიის 13-ივე წევრს და დავარტყათ ბეჭედი თავიდანო.“

თეონა ჯაფარიძის სინქრონი: - „აღნიშნულ ოქმში ერთერთი სუბიექტის - ნომერი 27-ის ხმებიც, ასევე, გადასწორებულია. არც ამას ახლავს შესწორების ოქმი და, შესაბამისად,

53 „იმედი“, მუდმივი ლინკი: <http://www.imesdi.ge/index.php?pg=news&id=78024&l=1> ; ბოლო ნახვა: 09/07/2017.

შეუძლებელი იყო დადგენა იმისა, თუ რეალურად რა რაოდენობის ბათილი ბიულეტენი იყო და რა რაოდენობის ხმა მიიღო ერთმა კონკრეტულმა სუბიექტმა. მიუხედავად ამისა, ტელეფონით მიღებული დირექტივებით, რაც ნათლად ჩანდა ჩვენი მხრიდან, ვერ მიიღო ოლქის თავმჯდომარემ ერთპიროვნული გადაწყვეტილება.“

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი

ნათია ბრეგვაძე

„მიგრანტთა კრიზისის“ გამოხმაურება ქართულ მედიაში

მასობრივი კომუნიკაციისა და მედიის კვლევების სამაგისტრო პროგრამა
სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია მედიის კვლევებში მასობრივი
კომუნიკაციის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: მანანა შამილიშვილი

ასოცირებული პროფესორი

თბილისი

2017

ანოტაცია

წინამდებარე ნაშრომი ეხება მიგრანტთა კრიზისზე ქართული მედიის გამოხმაურებას, იმ პერიოდში როცა საკითხის აქტუალობამ და პრობლემის სიმწვავემ ევროპაში პიკს მიაღწია.

კვლევის მიზანია, გავარკვიოთ თუ რაზე ამახვილებენ ყურადღებას ქართული მედიასამუალებები საერთაშორისო მასშტაბის თემების გაშუქებისას. რამდენად სენსიტიურად, ადეკვატურად და პრობლემაზე ორიენტირებულად ხდება საკითხის წინ წამოწევა. რა ფრეიმებით გამოეხმაურა ქართული მედია მოცემულ პრობლემას და რამდენად სიღრმისეული ინფორმაცია მიაწოდა აუდიტორიას.

კვლევის მეთოდად გამოყენებულია კონტენტ-ანალიზი და კონკრეტული შემთხვევის ანალიზი. (Case Study). პირველ შემთხვევაში, გაზეთებში: „რეზონანსი“, „ახალი თაობა“, „ქრონიკა+“ და ჟურნალ „ლიბერალში“ გამოქვეყნებული მასალების შინაარსობრივი ანალიზი; მეორე შემთხვევაში კი - ონლაინ-მედიის, პრესისა და ტელევიზიის.

დასკვნასა და ძირითად მიგნებებში წარმოდგენილია ის მნიშვნელოვანი ასპექტები, რაც კვლევისას გამოიკვეთა. რა თავისებურებები გამოვლინდა ქართულ მედიაში მიგრანტთა კრიზისის გაშუქებისას, რაზე გაკეთდა ძირითადი აქცენტები.

Abstract

„The Response of the Georgian Media upon the European Migrant Crisis”

Natia Bregvadze

The following thesis aims to represent what was the response of the Georgian media upon the European Migrant Crisis. The research period is chosen based on the aggravation of the problem, as the tension of the issue reached the peak.

The main purpose of the research work is to discover how Georgian media reacts on the international problems and global issues, what is the quality of covering, how comprehensively it provides the information to the audience. What aspects do Georgian outlets emphasize, what are the frames that they use to cover the issue.

Content – Analysis and Case Study are the methods chosen for the research. In the first case – there is an analysis of the Georgian press, newspapers: „Rezonansi”, „Akhali Taoba”, „Qronika+”, and the magazine „Liberali”. As for the Case study all Georgian media broadcasters were used to examine.

In conclusion, there are main findings of the research, the aspects the the thesis showed. Also is given the particularities that is characteristic for the Georgian media whilst covering the European Migrant Crisis.

სარჩევი

შესავალი	5
თავი I: ლიტერატურის მიმოხილვა.....	8
I.I ტერმინთა განმარტება	16
თავი II: თეორიული ჩარჩო.....	18
თავი III კვლევის მეთოდი.....	21
III.I კონტენტ-ანალიზი.....	21
III.II შემთხვევის ანალიზი - Case Study	22
Case Study - მეთოდის უპირატესობები	24
თავი IV: კვლევის ნაწილი.....	27
IV.I პრესის კონტენტ-ანალიზი.....	27
IV.II შემთხვევის ანალიზი Case Study	37
თავი V: დასკვნა და ძირითადი მიგნებები	42
გამოყენებული ლიტერატურა.....	45

შესავალი

მიგრაცია კომპლექსური მოვლენაა, რომელიც სხვადასხვა მიზეზით შეიძლება იყოს განპირობებული. ამიტომ, ამ თემის კვლევისას ყოველთვის უნდა ვეძებოთ მისი ისტორიული, პოლიტიკური და ეკონომიკური კონტექსტები.

ტერიტორიის შეცვლა უკეთესი საცხოვრებელი პირობების საძიებლად, კაცობრიობის ისტორიის თანმდევი მოვლენაა. „ხალხთა დიდი გადასახლება“, მასობრივი მიგრაცია ახლად აღმოჩენილი ამერიკის კონტინენტისაკენ, შრომითი, ეკო და იძულებითი გადაადგილება - ყველა ამ შემთხვევაში, საცხოვრებლის დატოვებასა და ახლის ძიებას უამრავი სხვადასხვა მიზეზი შეიძლება ჰქონდეს, თუმცა მათგან ყველაზე დრამატული იმ ადამიანთა მიგრაციაა, ვინც საკუთარ სახლ-კარს, ტერიტორიას და სამშობლოს ომის და მუდმივი კონფლიქტის ზონაში ცხოვრების საშიშროების გამო ტოვებს.

ე.წ. მიგრანტების კრიზისი ევროპაში 2015 წელს დაიწყო. მას შემდეგ, რაც ხმელთაშუა ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროზე მდებარე ევროკავშირის წევრ ქვეყნებს თავშესაფრის მაძიებელი უამრავი ადამიანი მიადგა რეზინის ნავეებით. გაეროს იძულებით გადაადგილებულ პირთა უმაღლესი კომისიის მონაცემებით, 1 მილიონზე მეტი თავშესაფრის მაძიებლიდან, რომელიც ხმელთაშუა ზღვის გავლით მიადგა ევროპის სანაპიროებს - 46.7% - სირიიდან, 20.9% - ავღნეთიდან, 9.4% კი ერაყიდანაა. ხშირია ადამიანებით გადავსებული ნავეების ჩაძირვის შემთხვევები. სანაპირო დაცვა და მაშველები ყოველთვის ვერ ახერხებენ ნაპირზე მათ გადაყვანასა და გადარჩენას.

მიგრანტთა კრიზისის გამომწვევი ფაქტორები

დაძაბული პოლიტიკური გარემო, ადგილობრივი მოსახლეობის შევიწროება, საშიში და სახიფათო ვითარება - სირიაში უკვე წლებია არსებობს. 1945 წლის 24 ოქტომბერს, დამოუკიდებლობის მოპოვებისა და საპარლამენტო რესპუბლიკის დაარსების შემდეგ,

სირიაში რამდენიმე სახელმწიფო გადატრიალება მოხდა. მთელი ამ წლების განმავლობაში ქვეყანაში არასტაბილური მდგომარეობა, 2011 წლამდე კი საგანგებო კანონი მოქმედებდა. პოლიტიკური არეულობის გამო, სირიაში ეკონომიკური მდგომარეობაც გაუსაძლისია. სამუშაოს მოსაძებნად სირიელები, გეოგრაფიული სიახლოვისა და თავისუფალი მიმოსვლის შესაძლებლობის გამო, უმეტესად ლიბანში მიდიოდნენ. ასევე, ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებში, სადაც ისინი ძირითადად ნავთობის მოპოვების სამუშაოებზე საქმდებოდნენ. 2011 წლამდე, ლიტერატურაში მიგრაციის ძირითად მიზეზად სწორედ ეკონომიკური პრობლემები ფიგურირებს. 2011 წელს კი პოპულარული მოძრაობის გააქტიურების შემდეგ, რომელიც არაბულ ქვეყნებში დიქტატურის წინააღმდეგ დაიწყო, ბევრი სირიელი გამოვიდა ქუჩებში ბაშარ ალ-ასადის მთავრობის წინააღმდეგ. ქუჩაში დაწყებული პროტესტი სამოქალაქო ომში გადაიზარდა. სირიელებმა კი თავშესაფრის მოსაძებნად მეზობელ ქვეყნებს და ევროპას მიაშურეს. სამი ქვეყანა, რომელმაც მიგრანტთა ყველაზე დიდი რაოდენობა მიიღო - თურქეთი, ლიბანი და იორდანიაა.

ამგვარად, ვხედავთ, რომ მიგრანტთა კრიზისს მხოლოდ ერთი კონკრეტული გამომწვევი მიზეზი არ აქვს და ის პოლიტიკური, სოციალური, ეკონომიკური და კულტურული ასპექტებითაა განპირობებული, რაც საკითხის მიმართ აზრთა სხვადასხვაობასა და საზოგადოების მხრიდან დამოკიდებულებათა განსხვავებულობასაც იწვევს. ზოგისთვის მიგრანტები უკეთესი ცხოვრების მაძიებლები არიან, ზოგისთვის - ომს გამოქცეული მსხვერპლნი, რომლებსაც სიცოცხლის გადასარჩენად მხოლოდ ერთადერთი გზა აქვთ - სხვა ქვეყანაში თავშესაფრის მოძებნა. ეს დამოკიდებულებები და შეხედულებები კი საზოგადოებას უმეტესწილად მედიის საშუალებით მიღებული ინფორმაციის შემდეგ უყალიბდება.

მიგრაციის გაშუქება ერთ-ერთი ყველაზე დიდი გამოწვევაა თანამედროვე ჟურნალისტიკისათვის. მიგრანტთა კრიზისის ფონზე, როდესაც სულ უფრო და უფრო მეტი ადამიანი ტოვებს კონფლიქტის კერებს უსაფრთხო თავშესაფრის პოვნის იმედით, სწორედ მედიის საშუალებით იგებს საერთაშორისო საზოგადოება, თუ რამდენმა

ადამიანმა მიაღწია რეზინის ნავით ევროპის ამა თუ იმ ქვეყნის საზღვარს, თუ რომელმა ქვეყანამ უთხრა უარი მიგრანტებს თავშესაფარზე. ზოგიერთი მედიასაშუალება ახერხებს თავი გაართვას ამ სირთულეს და ეს პრობლემატური და ხშირად საკმაოდ დელიკატური თემა სტანდარტების დაცვით გააშუქოს, ზოგიერთი კი - ვერა. მიგრაციისა და მიგრანტების საკითხი, ზოგადად, ძალიან აქტუალურია მსოფლიო პოლიტიკასა და გეოპოლიტიკაში. შესაბამისად, აუცილებელია, რომ ჟურნალისტებმაც სათანადო ყურადღება და პროფესიონალიზმი გამოიჩინონ ამ თემაზე მუშაობისას.

კვლევის მიზანი და კვლევის კითხვები

კვლევის მიზანს წარმოადგენს გავარკვიოთ, თუ როგორ გამოეხმაურა ქართული მედია „მიგრანტა კრიზისს“, მაშინ როდესაც პრობლემამ პიკს მიაღწია (2015 წლის ზაფხულის ბოლოს და შემოდგომის დასაწყისში) და ყველა საერთაშორისო მედიასაშუალებაში საკითხის გაშუქებას მთავარი ადგილი ეთმობოდა. გავარკვიოთ რა ძირითადი ფრეიმებით ხდებოდა თემაზე გამოხმაურება. კონკრეტულად რა ასპექტებზე კეთდებოდა აქცენტები. ვინ იყვნენ მთავარი მოქმედი პირები და აქტორები ამ პროცესში. საქართველოსთან მიმართებით რა ჭრილში იქნა საკითხი გაშუქებული.

კვლევის მედოთოლოგიად ავირჩიე კონტენტ-ანალიზი. ნაშრომში მოცემულია ქართულ პრესაში, ზემოთხსენებული პერიოდის განმავლობაში დაბეჭდილი მასალების ანალიზი. ცალკე განვიხილეთ კონკრეტული შემთხვევა (Case Study) რომელიც ყველა ქართული მედიასაშუალებას (პრესა, ტელევიზია, ონლაინ-მედია) მოიცავს.

თავი I: ლიტერატურის მიმოხილვა

მიგრანტებისა და მედიაში მათი საკითხის გაშუქების შესახებ „ეთიკური ჟურნალისტიკის კავშირმა“ გამოაქვეყნა ანგარიში/წიგნი „Moving Stories“, სადაც განხილულია, თუ როგორ აშუქებს მედია მიგრაციას. მაგალითები და შემთხვევები მოცემულია ევროკავშირის წევრი და ასევე, მსოფლიოს სხვადასხვა 14 ქვეყნიდან. აღნიშნულია, რომ ჟურნალისტები ხშირად ვერ ახერხებენ ამბის სრულყოფილად გადმოცემას და ხშირად პოლიტიკური პროპაგანდის გავლენის ქვეშ ექცევიან (A. White, 2015).

მოხსენების მთავარი რედაქტორი ეიდან უაითი ამბობს, რომ „მსოფლიოს მასშტაბით, მედიის მხრიდან მიგრაციის გაშუქება ხშირად პოლიტიკური კონტექსტითაა ნაკარნახევი. ჟურნალისტები მიჰყვებიან დღის წესრიგს, ხშირად კი დისკრიმინაციულ სიტყვებსაც იყენებენ და მიგრანტებს მოიხსენიებენ, როგორც ბრბოს, მათ ქმედებას კი უწოდებენ შეჭრას, შემოსევას“. რედაქტორი ასევე აღნიშნავს: „თუმცა არის შემთხვევები, როცა ამბავი მოყოლილია ჰუმანურობის, თანაგრძნობისა და ემპათიის ჭრილში და ფოკუსირებულია, გვაჩვენოს იმ ადამიანების ტანჯვა, რომლებმაც ბევრი რამ გადაიტანეს“ (A. White 2015).

ანგარიშში ყურადღება რამდენიმე ძირითად საკითხზეა გამახვილებული:

შესაძლებლობის ხელიდან გაშვება: ჟურნალისტებმა და ევროპულმა მედიამ დროულად ვერ მოახერხეს სირიელი და ერაყელი ლტოლვილების მდგომარეობის გაშუქება ომის შემდეგ, მიუხედავად იმისა, რომ ამის მოყოლა ერთი წლით ადრე შეეძლოთ, ვიდრე ეს თემა 2015 წელს კრიზისულ პიკს მიაღწევდა.

სიძულვილის ენა: მიგრანტების მიმართ უარყოფითი დამოკიდებულების გამომხატველმა და ანტიმუსლიმურმა განცხადებებმა ისეთი პოლიტიკოსების მხრიდან, როგორიცაა მაგალითად, დონალდ ტრამპი და ასევე ზოგიერთი ევროპელი ლიდერი,

საზოგადოების დიდი ყურადღება მიიქცია. შესაბამისად, მიიპყრო მედიასაშუალებების ყურადღებაც და მოხვდა გაშუქების არეალში.

სტანდარტებთან შეუსაბამობა: მედია ხშირად ვერ უზრუნველყოფს დეტალური და სარწმუნო ინფორმაციის მიწოდებას მიგრანტთა კრიზისის შესახებ. ეს კი გამოწვეულია სარედაქციო რესურსების ნაკლებობის, ან კარგად ინფორმირებული, საკითხის სიღრმისეულად მცოდნე, პრობლემისადმი სენსიტიურად განწყობილი ჟურნალისტების ნაკლებობის გამო.

სენსაციურობა: ჟურნალისტები ხშირად აზვიადებენ, ფაქტების ჰიპერბოლიზებას ახდენენ, იჩენენ შეუწყნარებლობას, ამახინჯებენ მოვლენებს, რათა მათი რეპორტაჟი იყოს სენსაციური. ასევე, მედია ხშირად აღმოჩნდება ხოლმე პრობლემის წინაშე, თუ რომელი ტერმინი გამოიყენოს: მიგრანტი, ლტოლვილი თუ თავშესაფრის მაძიებელი.

ანგარიშში რეკომენდაციის სახით მოცემულია, რომ ახალი ამბების სააგენტოებმა და მედიასაშუალებებმა სწრაფად უნდა აუღონ ალღო ახალ რეალობას და სპეციალურად მომზადებულ, ამ საკითხების მცოდნე რეპორტიორებს დაავალონ მიგრაციის გაშუქება. ასევე, მოუწოდებს ჟურნალისტებს „hate – speech“-ის (სიძულვილის ენა) გამოყენების თავიდან ასაცილებლად, აუცილებლად გაიარონ ტრენინგები, გააღრმავონ კავშირები მიგრანტებთან და ლტოლვილთა ჯგუფებთან, რათა უკეთ შეძლონ მათი პრობლემების დანახვა. რედაქტორებმა უფრო მეტი ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი ჟურნალისტი უნდა ჩართონ ამ პროცესში, რათა ნიუსრუმში მრავალეთნიკურობა იყოს დაცული.

მედიაში მიგრანტების საკითხების გაშუქებას ეხება „UNESCO“-ს კომუნიკაციებისა და საინფორმაციო სექტორის მიერ მომზადებული მოხსენება (F.Banda, 2015), სადაც ნათქვამია, რომ ჟურნალისტები, რომლებსაც ამ თემაზე მუშაობის პრაქტიკა არ აქვთ და არც შესაბამისი ტრენინგი ჩატარებიათ, ხშირად არასწორად იყენებენ ტერმინებს: „მიგრანტი“, „თავშესაფრის მაძიებელი“ და „ლტოლვილი“. მოუმზადებელი ჟურნალისტების კიდევ ერთი პრობლემა ისაა, რომ მასმედია მიგრანტებს ხშირად

საფრთხედ, ან მეორე მხრივ, მსხვერპლთა ჯგუფად წარმოაჩენს. ჰოლანდიელი მკვლევრის, იაკობ ვან სტენკერბურგის აზრით, ამ ორ მიდგომას შორის არის საერთო - ორივე ქმნის სტერეოტიპებს: „ჩვენ“ და „ისინი“. ამის გამო, საერთო პრობლემის გაშუქებისასაც კი იგრძნობა განსხვავება ადგილობრივ მოსახლეობასა და ახალმოსულებს შორის (F.Banda, 2015).

„მხარდაჭერა სჭირდება მიგრანტთა მედიას და უნდა შეიქმნას ქსელი მიგრანტი ჟურნალისტებისათვის, რათა მათ თავად შეძლონ საკუთარი ისტორიის მოყოლა“ - ნათქვამია კომუნიკაციის განვითარების საერთაშორისო პროგრამის ბიუროს, (IPDC) დანიელი წარმომადგენლის, მოგენს ბჟერეგარდის მოხსენებაში (M. Bjerregard, 2015).

IPDC ერთადერთი მრავალმხრივი ფორუმი გაეროში, რომელიც მობილიზაციას უწევს საერთაშორისო თანამეგობრობას, რათა განიხილოს მედიის განვითარების საკითხები. პროგრამა არა მხოლოდ მხარს უჭერს მედიის განვითარებისათვის საჭირო პროექტებს, არამედ ხელს უწყობს საერთაშორისო დებატებს მედიაგარემოს შესახებ მნიშვნელოვან საკითხებზე მსჯელობისათვის. პარიზში, 18 მარტს ჩატარებულ მედიაექსპერტთა შეხვედრაზე, IPDC ბიურო შეთანხმდა მომდევნო სამოქმედო გეგმაზე, რომელიც მიგრანტთა საკითხების გაშუქებასთან დაკავშირებით, პროფესიონალი რეპორტიორების კვალიფიკაციის ამაღლებასა და ამ კუთხით მაღალი ეთიკური სტანდარტების შემუშავებაზე იქნება ორიენტირებული.

ევროპის რიგი სახელმწიფოები ცდილობენ თავად იზრუნონ ჟურნალისტების ამ საკითხში გათვითცნობიერებისთვის. ირლანდიის ჟურნალისტთა ასოციაციამ სპეციალური ბროშურა გამოუშვა: „ლტოლვილთა საკითხების გაშუქება“. ბროშურაში განმარტებულია, თუ რას ნიშნავს ტერმინები: „ლტოლვილი“, „თავშესაფრის მაძიებელი“, „ომისა და კონფლიქტის ზონიდან იძულებით გადაადგილებული პირი“ და ასევე მითითებულია, თუ რა შემთხვევაში რომელი ტერმინი უნდა გამოიყენოს ჟურნალისტმა. ასევე ახსნილია, როდის უნდა შეიკავოს თავი ოპერატორმა ან ფოტოგრაფმა იძულებით

გადაადგილებული პირის იდენტიფიკაციის შემცველი ფოტო და ვიდეოგადაღებისაგან, რათა მათ სიცოცხლესა და უსაფრთხოებას საფრთხე არ შეუქმნას.

მედიის უარყოფით როლზეა საუბარი „გაერთიანებული ერების უმაღლესი კომისიის“ მიერ ლტოლვილთა თემაზე მომზადებულ 2015 წლის დეკემბრის ანგარიშში.

მოხსენებაში ნათქვამია: „მასმედია აწვდის ინფორმაციას საზოგადოებას, მოქალაქეები კი ამ ინფორმაციის საფუძველზე აღიქვამენ მსოფლიოში მიმდინარე მოვლენებს და თავიანთ ადგილს ამ პროცესებში. აღსანიშნავია, რომ მიგრანტებისა და ლტოლვილების საკითხი ბევრი ქვეყნის მედიაში გამუქდა უარყოფითი კუთხით. შეიქმნა ჩარჩო, რომ ისინი გამოიწვევენ პრობლემებს და ეს არ მოუტანს სარგებელს ადგილობრივ მოსახლეობას. თუმცა, მედია ხშირად, მისდა უნებურად, დადებით გავლენასაც ახდენს საზოგადოების განწყობებზე და მიგრაციის ტრაგიკულ მხარესაც აჩვენებს. როგორც ეს მოხდა სამი წლის სირიელი ბიჭის შემთხვევაში, რომელიც თურქეთის სანაპიროზე ზღვამ გამორიყა. მსოფლიოს მასშტაბით, კონსერვატიულისა თუ ლიბერალური იდეოლოგიის გამტარებელი უამრავი მედიასაშუალების: გაზეთების, ჟურნალების, ტაბლოიდების ყდაზე დაბეჭდილი იყო ბავშვის ფოტო. „სხვისი ბავშვი“ – Independent -ის წითელ ყდაზე შეგეძლოთ წაგეკითხათ (ბავშვის მამისურის ფერი - წითელი), „ჰუმანური კატასტროფის პაწაწინა მსხვერპლი“ - იყო Daily Mail-ის ჰედლაინი, „გაუსაძლისი“ – Daily Mirror, იტალიური La Repubblica - „სურათი, რომელმაც მსოფლიო დაადუმა“, ესპანური El País - „ფოტო, რომელმაც ევროპის ცნობიერება შეარყია“, „აილანი, 3 წლის, გამოცდილება - მხოლოდ ომი“ - წერდა შვედური Aftonbladet და გერმანული Süddeutsche Zeitung - „აილან კურდი, სამი წლის, დაიხრჩო ხმელთაშუა ზღვაში“.

ამ ფოტოს დიდი გამოხმაურება მოჰყვა. მას უწოდეს „ევროპის გამოღვიძება“, „გარდამტეხი წერტილი“. „ყველა, ვინც ნახა ეს ფოტოები წუხელ, აუცილებლად შეძრული იქნება“ - თქვა დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრმა, დევიდ ქემერონმა Sky News -თან ინტერვიუში (ამ ფოტოს მოგვიანებით, კვლევის ნაწილშიც დავუბრუნდებით, რათა ვნახოთ, როგორ გააშუქა ქართულმა მედიამ ეს შემთხვევა)

„მედიის დისკურსი მიგრანტთა კრიზისის გამუქებისას - რაზე ახდებს ფოკუსირებას ბერძნული, გერმანული და ბრიტანული მედია“ - ამ სათაურით დაიბეჭდა ანალიტიკური სტატია ჟურნალში „European View“. სტატიაში ზემოთ ნახსენებ ქვეყნებში მიგრანტთა საკითხთან დაკავშირებული 1340 სტატიაა განხილული. „მიგრანტები წარმოჩენილი არიან, როგორც სირიაში მიმდინარე სამოქალაქო ომის მსხვერპლნი, დახმარების მოლოდინში მყოფნი და სასოწარკვეთილნი. ასევე გაზეთების უმეტესობა ყურადღებას ამახვილებს რიცხვებზე, რაოდენობაზე. მთავარი მიგნება კი ისაა, რომ მედია ყველაზე აქტიურად აშუქებს მიგრანტი ბავშვების საკითხს, რომლებსაც არაადამიანურ პირობებში უწევთ ცხოვრება, ასევე თურქეთისა და ევროკავშირის შესათანხმებას ამ საკითხთან დაკავშირებით“ - ვკითხულობთ სტატიაში (M. Kaimaklioti, 2016).

„კეთილი იყოს თუ არა თქვენი მობრძანება - რეაქციები მიგრანტთა სიტუაციის შესახებ სოციალურ მედიაში“ - ასეთია სტატიის სათაური, რომელშიც 2015 წლის განმავლობაში სოციალურ ქსელ twitter- ში მიგრაციასთან დაკავშირებით გამოქვეყნებული პოსტების ანალიზია მოცემული. განხილულია, თუ რა როლს ასრულებს სოციალური მედია მიგრანტთა შესახებ რეალური სურათის შექმნასა და საზოგადოების მხრიდან მის აღქმაში. კვლევის ავტორებს ხუთი მთავარი ჰიპოთეზა ჰქონდათ, რომელთაგან სამი დადასტურდა. პირველი ეხებოდა ახალი ამბების, როგორც მედიატორის როლს, მიგრანტების შესახებ რეალობის გადმოცემასა და საზოგადოებისგან მის აღქმაში. წარმოდგენილი იყო მედიის გავლენა პოლარიზებული შეხედულებების ჩამოყალიბებაში და სოციალური ქსელის, როგორც სივრცის გამოყენების მნიშვნელობა მიგრანტთა კრიზისის მიმართ საკუთარი კრიტიკული და ნეგატიური დამოკიდებულების გამოსახატად (A. Hadgu, 2016).

„მედია, მიგრაცია და ევროპის ციხესიმაგრის საზღვრები - ინტერვიუ დევიდ მორლისთან“ - ბრიტანეთის მედიის, კომუნიკაციისა და კულტურული კვლევების ასოციაციის მიერ მომზადებულ ნაშრომში საკმაოდ ვრცელ და სიღრმისეულ ინტერვიუს ვკითხულობთ. რესპონდენტი დევიდ მორლი (გოლდსმითის უნივერსიტეტის პროფესორი,

ლონდონი) მიგრანტთა კრიზისს - ტრადიციული და სოციალური მედიის მიერ ამ პრობლემის გაშუქების ჭრილში წარმოგვიდგენს. ის ყურადღებას ამახვილებს ალან კურდის ფოტოსურათზეც და ამბობს: „შემზარავმა ფოტოსურათებმა, განსაკუთრებით თუკი მათზე ბავშვები ჩანან, საკმაოდ დიდი გავლენა შეიძლება იქონიონ საზოგადოებაზე. თუმცა, ვფიქრობ, რომ მხოლოდ ცალკეული ფოტო ვერ იქნება გავლენიანი, თუკი მას გარკვეული კონტექსტი არ ახლავს თან. ეს სურათები დიდხანს რჩება ადამიანთა გონებაში, მაგრამ დროთა განმავლობაში, როცა ყოველდღიური გაშუქება არც თუ ისე შესამჩნევია და საზოგადოების თანაგრძნობაც ნელდება, დგება მომენტი, როდესაც ეს ფოტოები მხოლოდ ბალანსის ფუნქციას ასრულებენ“ (S. Marino 2016).

საკითხის ირგვლივ არსებულ ქართულ სამეცნიერო ნაშრომებს რაც შეეხება, მიმოვიხილე თამარ კარელიძის სამაგისტრო ნაშრომი, რომელიც საერთაშორისო მედიაში სირიის კონფლიქტისა და მიგრანტების კრიზისის გაშუქებას ეხება და ნათია კუპრაშვილის ანალიტიკური სტატია ქართულ მედიაში სირიის კრიზისის გაშუქებასთან დაკავშირებით.

თამარ კარელიძის სამაგისტრო ნაშრომში: „ როგორ გაშუქდა სირიის კონფლიქტი 2011 წლის მარტიდან 2015 წლის დეკემბრის ჩათვლით რუსულ, გერმანულ, ბრიტანულ და ამერიკულ მედიაში“ - ძირითად მიგნებებში ვკითხულობთ, რომ რუსული მედია სირიის კონფლიქტს პირველივე დღიდან თავდაცვით პოზიციაში აშუქებს, აღნიშნავს, რომ დასავლეთი ვერ ხვდება რუსეთის ჰუმანურ მიზნებს სირიაში. რუსული მედია მწვავედ აკრიტიკებს ევროპას და განსაკუთრებით, ამერიკას, რომელსაც ხშირად ახსენებს აღმოსავლეთში ჩატარებულ სამხედრო ინტერვენციებს (თ.კარელიძე, 2015).

„მიგრანტთა კრიზისის ევროპული გაშუქებისას, რუსული მედია ყურადღებას ამახვილებს ანტისანიტარიაზე, პოლიციელების მხრიდან მიგრანტებისადმი არასათანადო მოპყრობასა და ქაოსზე, რომელიც ევროპაშია; საკვლევ პერიოდში აღებულ არც ერთ სტატიაშია წამოჭრილი თემა, აპირებს თუ არა რუსეთი, მიიღოს ლტოლვილები სირიიდან მაშინ, როდესაც სხვა გაზეთები საკუთარ ხელისუფლებას პერმანენტულად უსვამენ ამ თემაზე კითხვებს“.

რაც შეეხება ევროპულ მედიას, თ. კარელიძის ნაშრომში გერმანიაში არსებული პოლიტიკური და მედიაგარემოს ურთიერთმიმართებაცაა წარმოდგენილი. „გერმანული მედია, ძირითადად, ქვეყნის შიგნით არსებული პრობლემების განხილვით არის დაკავებული. მის ობიექტივში ხვდება როგორც ანგელა მერკელისადმი შიდა სახელისუფლებო კრიტიკა, ასევე სოციალური ფონი. სიძულვილის ენისა თუ ანტიმიგრანტული განწყობების მიმართ, გერმანიის ხელისუფლებას ცალკე პოლიტიკა აქვს, რაც სოციალურ ქსელებთან მათ ურთიერთობაშიც აისახება. კოორდინაციის შედეგად იბლოკება ქსენოფობიური განცხადებები, სტატუსები, კომენტარები. დაფიქსირდა საქმის აღძვრის შემთხვევაც კონკრეტული პირებისადმი. საკვლევ მასალებში კი არც ერთგან დასმულა კითხვა, არის თუ არა გარკვეული კონტენტის დაბლოკვა სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა გერმანიაში, ქვეყანაში, რომელსაც ხშირად მოაქვს თავი მედიის თავისუფლების ხარისხით.

გერმანული მედია პერმანენტულად აშუქებდა სტატისტიკას, რომელიც მოსახლეობის ლტოლვილებისადმი განწყობას აჩვენებდა და, რომელიც, დროსთან ერთად უარესდებოდა... გერმანული მედია ატარებს სამთავრობო პოლიტიკას, რაც მიგრანტებისადმი მაქსიმალურად პოზიტიური განწყობის შექმნას ემსახურება. აღსანიშნავია, რომ ბრიტანული, ამერიკული თუ რუსული მედიისაგან განსხვავებით, გერმანიაში არ გაუშუქებიათ, თუ რა ბენეფიტის მოტანა შეუძლიათ ლტოლვილებს მათი ქვეყნის ეკონომიკისათვის“.

რაც შეეხება ბრიტანული მედიას, ის საკუთარი ხელისუფლებისადმი მწვავე კრიტიკით გამოირჩევა. *The Guardian*-ი ხშირად ავლებს პარალელს გერმანიასთან, როგორც მიგრანტებისადმი ლოიალურად განწყობილ ქვეყანასთან და წერს, რომ მისი პოლიტიკა და საზოგადოებრივი განწყობები ჰუმანიზმის მაგალითია.

„ბრიტანულ და ამერიკულ მედიაში მსუყე ანალიზი დაუთმეს იმ ბენეფიტს, რომელსაც გერმანია მიგრანტებით მიიღებს“ .

ავტორის აზრით, ამერიკულ მედია მიგრანტთა კრიზისს დამკვირვებლის პოზიციიდან აშუქებდა. სტატიებში მეტი იყო ანალიზი და ნაკლები ეიფორია. „ამერიკული მედია მწვავე იყო აღმოსავლეთ ევროპასთან მიმართებით. მათ ახსენებს საბჭოთა წარსულს და წერს, რომ ეს ქვეყნები ახლა ფორმირდებიან ევროპულ სახელმწიფოებად და ნაკლები მიმღებლობა აქვთ უცხო კულტურისადმი. ამასთან, დეტალურად აღწერენ ადამიანურ ისტორიებს და იმ სირთულეებს, რომლებიც მიგრანტებს დასავლეთ ევროპაში შესასვლელად უხდებოდათ“ (თ.კარელიძე 2015).

ნათია კუპრაშვილის ანალიტიკურ სტატიაში „საკითხის აქტუალობის მობილობა დროსა და სივრცეში - საქართველოში სირიის კრიზისის გაშუქების მაგალითზე“ ვკითხულობთ, რომ თემასთან დაკავშირებით საკმაოდ დიდ ინტერესს იჩენდა სოციალური მედია მაშინ, როცა ტრადიციული, განსაკუთრებით, სატელევიზიო მედია, სირიის კრიზისის შესახებ მხოლოდ ფრაგმენტული გაშუქებითა და ზედაპირული, ნიუსური სიუჟეტებით შემოიფარგლებოდა.

ნაშრომის ძირითად ნაწილში, ჩატარებული სიღრმისეული ინტერვიუების შემდეგ კი ავტორი აღნიშნავს შემდეგ გარემოებებს, რაც მისი კვლევის შედეგად გამოიკვეთა, კერძოდ: ის ყურადღებას ამახვილებს იმ ფაქტორებზე, რაც ქართულ მედიასაშუალებებზე ახდენდა გავლენას საკითხზე მუშაობისას:

1. სენსაციის ძიება - „უღიმდამო დღის“ შევსება.
2. გავლენიანი მედიასაშუალების მიერ შექმნილი დღის წესრიგი - „იძულებული ვიყავით გაგვეშუქებინა, რადგან ტელემედია , წამყვანი მედიასაშუალებების პრაიმ ტაიმი ამ თემას ეთმობოდა და სოციალურ ქსელშიც დიდი ამბები იყო ატეხილი“.
3. სოციალურ ქსელში თემის შემთხვევითი გაღვიძება და მისი ანარეკლი ტრადიციულ მედიაში - „თემა სოციალურმა მედიამ მოიტანა, ქსელებში ყველა ამაზე წერდა, ყველა ვიდეოს და ფოტოებს აზიარებდა, ჩვენც ამის შემდეგ გავაშუქეთ“.

4. მედიასაშუალებების მიზანი – სარედაქციო პოლიტიკა - „ვფიქრობ, მიზეზიც და მიზანიც ხელისუფლების კრიტიკა იყო, ეს გახდა გაშუქების უმთავრესი საფუძველი“, „ამ პერიოდში საკმაოდ ხშირი იყო დაპირისპირების შემთხვევები ქრისტიანებსა და მუსლიმებს შორის თვითონ საქართველოში. მრჩება შთაბეჭდილება, რომ თემის ასე გაშუქება ამგვარი კონფლიქტების ესკალაციის მიზანს უფრო ემსახურებოდა“.

ნაშრომის ბოლოს ავტორი აღნიშნავს, რომ მისი ჰიპოთეზა დადასტურდა: „კვლევამ აჩვენა ჰიპოთეზის ლეგიტიმურობა, რომ მოვლენის რეალურ დროსთან აცდენით გაშუქება, მედიამანიპულაციების შედეგია“ (ნ. კუპრაშვილი 2015).

I.I ტერმინთა განმარტება

აქვე დავაკონკრეტებთ ზემოხსენებულ ტერმინებს, „გაეროს უმაღლესი კომისიის“ მიერ შემოთავაზებული განმარტებების და „მიგრაციის ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონის“ მიხედვით:

მიგრანტი - ტერმინის „მიგრანტი“ ერთიანი სამართლებრივი დეფინიცია არ არსებობს საერთაშორისო დონეზე. ზოგი პოლიტიკოსი, საერთაშორისო ორგანიზაცია და მედია აღიქვამს და შესაბამისად, იყენებს ტერმინს „მიგრანტი“, როგორც ყოვლისმომცველ ტერმინს, რომელიც გულისხმობს მიგრანტებსა და ლტოლვილებს. მაგალითად, საერთაშორისო მიგრაციის გლობალური სტატისტიკა, ჩვეულებრივ, იყენებს დეფინიციას „საერთაშორისო მიგრაცია“, რომელიც მოიცავს თავშესაფრის მაძიებელთა და ლტოლვილთა მოძრაობებს. რიგ შემთხვევებში, მიგრანტი განიმარტება როგორც პირი, რომელიც მიემგზავრება სხვა ქვეყანაში ან რეგიონში, როგორც მატერიალური და სოციალური პირობების, ასევე პირადი და საკუთარი ოჯახის წევრების სამომავლო პერსპექტივების გაუმჯობესების მიზნით (UNHCR, 2016).

ლტოვილი - ლტოლვილები არიან ადამიანები, რომლებიც იმყოფებიან მათი წარმოშობის ქვეყნის გარეთ დევნის, კონფლიქტის, ძალადობის ან სხვა იმ გარემოებების შიშით, რომ სერიოზულად დაარღვიეს საზოგადოებრივი წესრიგი და რომელთა შედეგად ისინი საჭიროებენ „საერთაშორისო დაცვას“. მათი მდგომარეობა ხშირად იმდენად სახიფათო და გაუსაძლისია, რომ კვეთენ ეროვნულ საზღვრებს, რათა უსაფრთხოება მოიპოვონ ახლომდებარე ქვეყნებში. შესაბამისად, ხდებიან საერთაშორისოდ აღიარებულები, როგორც „ლტოლვილები“, რომელთაც ქვეყნების, გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატისა და შესაბამისი ორგანიზაციების დახმარებაზე აქვთ წვდომა. ისინი ამ სახით სწორედ იმიტომაც არიან აღიარებულნი, რომ მათთვის ძალიან სახიფათოა სახლში დაბრუნება და თავშესაფარს სადმე სხვაგან საჭიროებენ. მათთვის თავშესაფარზე უარის თქმას შესაძლოა მოჰყვეს სასიკვდილო შედეგები (UNHCR, 2016).

თავშესაფრის მაძიებელი - პირები, რომლებსაც სურთ ლტოლვილის სტატუსის მიღება და ამ სტატუსის მიღების შესახებ თავიანთ განცხადებაზე საპასუხოდ, ელოდებიან საერთაშორისო და ადგილობრივი საკანონმდებლო ნორმების შესაბამის გადაწყვეტილებას. უარყოფითი გადაწყვეტილების შემთხვევაში, მათ უწევთ დატოვონ ქვეყანა, ან შესაძლოა, გამეფდნენ კიდევ ქვეყნიდან ისევე, როგორც ქვეყანაში არალეგალურად მყოფი ნებისმიერი უცხოელი. იმ შემთხვევის გარდა, თუ დარჩენის ნებართვა გაიცემა ჰუმანიტარულ ან სხვა მსგავს მოსაზრებათა საფუძველზე (მიგრაციის ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონი).

თავი II: თეორიული ჩარჩო

ამ საკითხის კვლევისთვის რელევანტურად მივიჩნევთ „ფრეიმინგის თეორიას“, რადგანაც ფრეიმინგისათვის მნიშვნელოვანია არა მხოლოდ აუდიტორიამდე მიღწეული მასალა, არამედ ის, თუ როგორაა კონკრეტული ინფორმაცია წარმოჩენილი. ამის შესახებაც გადაწყვეტილებებს მედიასაშუალებების მუშაკები იღებენ. ფრეიმინგის პროცესზე გავლენას ახდენს დროითი და სივრცის შეზღუდვები. გარდა ამისა, სარედაქციო პოლიტიკის ან უფრო მასშტაბური საკითხების გაშუქებისას, მედიასაშუალება შეიძლება განიცდიდეს პოლიტიკურ გავლენებს თავისი „ფრეიმის“ შექმნაში. მიგრანტების შემთხვევაში, მედიასაშუალების მიერ არჩეული ჩარჩო შესაძლოა ემთხვეოდეს ქვეყნის პოლიტიკურ განწყობას ამ საკითხის მიმართ (J.Bryant and M.B Oliver 2009).

როგორც წესი, საერთაშორისო თემების გაშუქებისას სწორედ ფრეიმინგის თეორიაა აქტუალური. მიგრანტების კრიზისი კი საერთაშორისო მნიშვნელობის საკითხია. ფრეიმინგი მედიის ძალაუფლების ერთ-ერთი წყაროა. ის გავლენას ახდენს ადამიანის აზრებზე, წარმოაჩენს კონკრეტულ ფაქტებსა და ღირებულებებს და უკუაგდებს სხვებს. ფრეიმები გვეუბნებიან, რა არის მნიშვნელოვანი, რაზე უნდა ვისაუბროთ და ვიკამათოთ. ჟურნალისტები ფრეიმების სახით ეწევიან ადამიანების აზრების ფორმირებას. ფრეიმები ასევე იმაზეც ახდენენ ზეგავლენას, თუ როგორ ინტერპრეტირებას მიანიჭებენ ადამიანები სხვადასხვა ინფორმაციას. ფრეიმი არის ის, რაც აუდიტორიას გადაეცემა. აუდიტორია ვერ ხედავს ალტერნატიულ ფრეიმებს, რომლითაც შეიძლება ყოფილიყო გაშუქებული ინფორმაცია. მას შეუძლება სხვა მედიასაშუალებასაც მიმართოს, რომ ამ ინფორმაციაზე განსხვავებული ხედვა გაიგოს.

უნდა განვიხილოთ ფრეიმის შენებისა და დამკვიდრების პროცესიც, რადგანაც ეს მნიშვნელოვანია თეორიული ჩარჩოს მიმოხილვისას. ფრეიმის შენებაში სამი ძირითადი

სოციალური აქტორი მონაწილეობს: ჟურნალისტური ნორმები, პოლიტიკური ფიგურები და კულტურული კონტექსტი. ეს პროცესი ძირითადად, სოციოლოგიურ სამირკველზეა დაფუძნებული. რაც შეეხება დამკვიდრების პროცესს, ამ ეტაპზე თეორეტიკოსები წინასწარ აყალიბებენ მოსალოდნელ შედეგებს, თუ რა ეფექტი შეიძლება ჰქონდეს ფრეიმს, როგორც მაკრო, ასევე მიკრო დონეზე. ფრეიმის შენებისა და დამკვიდრების პროცესი ასევე მოუწოდებს და განწყობებს უქმნის აუდიტორიას არსებული წარმოდგენების ახალ კონტენტთან ასოცირებისაკენ.

პოლიტიკურ ელიტას, რასაკვირველია, აქვს სურვილი, რომ მათი მესიჯები და პრეს-რელიზები ემთხვეოდეს იმ ფრეიმებს, რასაც მედია აუდიტორიას სთავაზობს. ეს განსაკუთრებით აქტუალურია წინასაარჩევნო პროცესში, როცა კანდიდატებს სურთ ისინი მხოლოდ სასურველი კუთხით წარმოჩნდნენ. შესაბამისად, დიდ ყურადღებას უთმობენ იმის კვლევას, თუ როგორი ფრეიმით, როგორი ჩარჩოთი მიეწოდა აუდიტორიას მათი ესა თუ ის გამოსვლა და მესიჯი. აქედან გამომდინარე, პოლიტიკურ აქტორთა სურვილი, ჩაერიონ და ზეგავლენა მოახდინონ ფრეიმის დამკვიდრებაში ისე, რომ მათი ფიგურა უფრო უპირატესად წარმოჩინდეს, დიდია.

როგორც არ უნდა იყოს ახალი ამბავი თუ ინფორმაცია, რა ფრეიმითაც არ უნდა იყოს ის მიწოდებული, მის აღქმასა და დამკვიდრებაში, დიდ როლს თამაშობს კულტურული კონტექსტი. საზოგადოებაში უკვე არის ჩამოყალიბებული ნორმები და ქარგები და ახალი ფრეიმი მნიშვნელოვანწილად სწორედ კულტურულ კონტექსტზეაა დამოკიდებული. ამ კონტექსტზე დამოკიდებულებას უწოდებენ „კულტურულ რეზონანსს“.

ფრეიმინგის საშუალებით ხდება საკითხის, თემის, თუ პიროვნების „შეფუთვა“, დახასიათება (attribute). მედია „კარნახობს“ აუდიტორიას, როგორ შეაფასოს, როგორი დამოკიდებულება ჰქონდეს ამა თუ იმ მოვლენისა თუ პიროვნების მიმართ. ასევე, როგორი ემოციური რეაგირება ჰქონდეს გაშუქებული თემის მიმართ.

აქვე შეგვიძლია განვიხილოთ „ორიენტაციის საჭიროებაც“, რადგან ხშირად, განსაკუთრებით კი გლობალური და საერთაშორისო მნიშვნელობის საკითხების აღქმისა

და გააზრებისათვის, ადამიანებს შესაბამისი კომპეტენცია არ აქვთ. შესაბამისად, სჭირდებათ ორიენტირი, რათა შეიქმნან სოციალური რეალობა, მედია კი სწორედ ამ სოციალური გარემოს შემქმნელი და მაკონსტრუირებელია. აუდიტორიას ყოველთვის ერთნაირი ცოდნა არ აქვს ამა თუ იმ საკითხთან დაკავშირებით. შესაბამისად, მათი თავდაჯერებულობა, თვითრწმენა ამ საკითხებში საკმაოდ დაბალია. სამაგიეროდ, მაღალია ორიენტაციის საჭიროების მაჩვენებელი. ეს ერთნაირად შეიძლება ეხებოდეს პოლიტიკურ საკითხებს, საგარეო ურთიერთობას, ეკონომიკას, თუ უბრალოდ შვებულების დაგეგმვას. ადამიანებს სჭირდებათ ორიენტირი, მინიშნება, იმის შესახებ, თუ რას მოუტანს მათ ამა თუ იმ პოლიტიკოსის მხარდაჭერა, რა სიკეთისა თუ საფრთხის მომტანი შეიძლება იყოს მთავრობის ახალი ეკონომიკური პროგრამა, რა პერსპექტივები ექნება ამა თუ იმ ქვეყანასთან დიპლომატიური ურთიერთობების გაღრმავებას, რა პროცესები შეიძლება მოჰყვეს მიგრანტთა კრიზისს და სხვ. (D. Mcquail 2005).

თავი III კვლევის მეთოდი

III.I კონტენტ-ანალიზი

კვლევის მეთოდად ავირჩიე კონტენტ-ანალიზი, რადგან ის ყველაზე უფრო აპრობირებული და შესაბამისი ტექნიკაა ტექსტის შესწავლისა და გაანალიზებისათვის. სწორედ თვისებრივი კონტენტ-ანალიზის საშუალებით ხდება სტატიების, მოხსენებების ისტორიული მასალებისა და სატელევიზიო კონტენტის, იგივე შინაარსის კვლევა.

კონტენტ-ანალიზი მოიცავს ორ კომპონენტს: მექანიკურს და ინტერპრეტაციულს. მექანიკური ასპექტი ნიშნავს ტექსტის ორგანიზებას და მონაცემების კატეგორიებად დაყოფას, ხოლო ინტერპრეტაციული მოიცავს იმის დასაბუთებას, თუ რომელი კატეგორიაა მნიშვნელოვანი, რა თქმა უნდა, კვლევის მიზნებიდან გამომდინარე. ეს ორი კომპონენტი მჭიდროდაა ერთმანეთთან დაკავშირებული. (თ.ზურაბიშვილი, 2006)

კონტენტ ანალიზი რამდენიმე ეტაპად ხორციელდება: პირველ ეტაპზე გამოიყოფა საკვლევო პოპულაცია, მედიასაშუალებების ის სიმრავლე, რომელთა შინაარსშიც იდენტიფიცირებულია მკვლევრისთვის საინტერესო საკითხი; შემდეგ გამოიყოფა კონკრეტული საკვლევო საკითხი ან ჰიპოთეზა და ის ცვლადები, რომელთა კორელაციამაც საკვლევო საკითხი უნდა გაანალიზოს, ან დაადასტუროს ან უარჰყოს მკვლევრის მიერ წამოყენებული ჰიპოთეზა. მეორე ეტაპზე გამოიყოფა ანალიზის ერთეული, სიტყვა-გასაღები ან შეტყობინება-გასაღები; მესამე ეტაპზე ხდება იმ შინაარსობრივი კატეგორიების იდენტიფიცირება, რომელთა მიხედვითაც ხდება საზრისისეული ერთეულის კატეგორიზაცია. მოთხე ეტაპზე ხდება რაოდენობრივი მაჩვენებლების დათვლა, სანდოობის კოეფიციენტის დადგენა მიღებული სტატისტიკური პროცედურების მეშვეობით. დასკვნითი ეტაპი არის მიღებული მონაცემების გაანალიზება, ტენდენციების გამოკვეთა და დასკვნების გამოტანა.

III.II შემთხვევის ანალიზი - Case Study

შემთხვევის ანალიზი, Case Study - თვისებრივი კვლევის მეთოდია, რომელიც სხვადასხვა წყაროზე დაყრდნობით, სისტემატიზებული კვლევის ჩატარების საშუალებას იძლევა. ამ ტექნიკის გამოყენებით შესაძლებელია კომპლექსური საკითხების შესწავლა და გაგება. ინდივიდების, ჯგუფების, ორგანიზაციების ან მოვლენის გამოკვლევა და ამა თუ იმ ფენომენის ახსნა. ის კვლევის ძლიერ მეთოდად მიიჩნევა, განსაკუთრებით იმ შემთხვევებში, როცა შემთხვევის სიღრმისეული გამოძიება-გამოკვლევაა საჭირო. ამ მეთოდს ხშირად იყენებენ მედიცინაში, ანთროპოლოგიაში, კლინიკურ ფსიქოლოგიაში, ისტორიაში, სოციალურ მეცნიერებებში. ბოლო დროს კი მედიის კვლევებშიც. მისი გამოყენებით მკვლევრებს საშუალება აქვთ, რაოდენობრივი მონაცემებისა და სტატისტიკის მიღმა აღმოაჩინონ ქცევის გამომწვევი პირობები და შესაბამისად, უფრო ღრმად დაინახონ პრობლემის შინაარსი. ზიგმუნდ ფროიდი წერდა თავისი პაციენტების case study- ს, ეკონომისტები წერდნენ ტელეინდუსტიის განვითარების შემთხვევის ანალიზს. ეს მეთოდი საშუალებას იძლევა ავხსნათ ორივე: პროცესი და შედეგი - ამა თუ იმ მოვლენის სრულყოფილი დაკვირვებით, სრული სურათის შექმნითა და სიღრმისეული გამოკვლევით.

შემთხვევის ანალიზის მეთოდის გამოყენებით, შესაძლებელია მონაცემთა შესწავლა სპეციფიკური კონტექსტის გათვალისწინებით. უშუალოდ კვლევის პროცესში ხდება მცირე რაოდენობის, ზოგჯერ კი ერთი კონკრეტული შემთხვევის შერჩევა და მათი კონტექსტუალური ანალიზი, რათა მოხერხდეს მოვლენათა განმაპირობებელი ფაქტორების, და მიზეზ-შედეგობრივი კავშირების ურთიერთქმედების დადგენა. რობერტ ინის (Robert K. Yin, 2012) მიხედვით, შემთხვევის ანალიზი განიმარტება, როგორც „ემპირიული კვლევის მეთოდი, რომელიც იძიებს თანამედროვე ფენომენს, მოვლენას რეალურ, თანადროულ კონტექსტში, როდესაც საზღვარი შემთხვევასა და ყოველდღიურ

ცხოვრებას შორის არ არის მკვეთრად გამიჯნული; და როდესაც სიცხადის დასადგენად მრავალი წყაროა გამოყენებული“.

ეს განმარტება გვაჩვენებს, როგორ განსხვავდება Case Study კვლევის სხვა ტექნიკებისაგან. ის უფრო ოპერატიულია და მოვლენის თანადროული ანალიზის საშუალებას იძლევა; განსხვავებით ექსპერიმენტისგან, რომელიც ყოფს მოვლენას რეალური ცხოვრების კონტექსტისგან (ბუნებრივი პირობებისგან). რაც შეეხება გამოკითხვის ტექნიკებს, ისინი ცდილობენ განსაზღვრონ მოვლენა რიცხვებსა და ცვლადებამდე დაყვანით. რაც მათი ახსნის საშუალებას არ იძლევა და სტატისტიკურ ინფორმაციას გვაწვდის.

შემთხვევის ანალიზისას, ზოგჯერ კონკრეტული მოვლენის შესწავლა დროის სხვადასხვა მონაკვეთში ან ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში დაკვირვების შედეგად ხდება. ასეთ დროს, საჭიროა წინასწარ შემუშავებული, სისტემური მიდგომა მოვლენის დაკვირვების, მონაცემთა შეგროვებისა და მოპოვებული ინფორმაციის ანალიზისათვის. კვლევის შედეგების წარდგენაც პერიოდულად და დროში ხანგრძლივად გაწერილად ხდება. რაოდენობრივი ანალიზისგან განსხვავებით, რომელიც მონაცემთა ნიმუშებს მაკრო დონეზე განიხილავს და შემთხვევათა განმეორებადობის სიხშირეს ზომავს, შემთხვევის ანალიზი მონაცემების მიკრო დონეზე დაკვირვების საშუალებას იძლევა.

შესაძლოა გამოვიყენოთ ერთი ან რამდენიმე შემთხვევის ანალიზი.

მხოლოდ ერთი შემთხვევის ანალიზი (Single-Case study) - ეს არის კლასიკური მეთოდი. ერთი კონკრეტული ტექსტი გამოიყენება სიტუაციის აღსაწერად და გასაანალიზებლად. ასეთ დროს ტექსტში მოცემული ინფორმაცია შესაძლოა წარმოვადგინოთ ცხრილებით, გრაფიკებით, ფოტოებითა და რუკებით.

რამდენიმე შემთხვევის ანალიზი (Multiple-Case Study) - იგივე, cross-case ანალიზი, როდესაც ცალკეული შემთხვევები გაერთიანებულია რომელიმე საერთო ნიშნით, ან

კავშირშია ერთმანეთთან, მაშინ შესაძლებელია მათი ცალკეული განხილვა გამოყოფილი სექციით და შემდეგ საერთო მახასიათებლების აღნიშვნა.

მერიომი (S.B Merriam, 1988) გამოყოფს შემთხვევის ანალიზის ოთხ ძირითად მახასიათებელს:

1. Particularistic - სპეციფიკური. ეს ნიშნავს, რომ შემთხვევის ანალიზი ფოკუსირებულია მხოლოდ კონკრეტულ სიტუაციაზე, მოვლენაზე ან ფენომენზე. ამ მეთოდს ხშირად იყენებენ ყოველდღიური, ცხოვრებისეული მოვლენის შესასწავლად ან ასახსნელად.
2. Descriptive - აღწერითი. ამ კვლევის საბოლოო პროდუქტი არის შესასწავლი ობიექტის დეტალური აღწერა.
3. Heuristic - ევრისტიკული, იგივე პრაქტიკული მეთოდი. ამ ტექნიკის ძირითადი საკვლევი ობიექტი არის სიახლეები, ახალი ინტერპრეტაციები, პერსპექტივები, ხედვები და მნიშვნელობები.
4. Inductive - ინდუქციური. შემთხვევის ანალიზთა უმეტესობა სწორედ ინდუქციურ მსჯელობაზეა დამოკიდებული და მათი მიზანი არა არსებული ჰიპოთეზების გამყარება და თავიდან დამტკიცება, არამედ ახალი ურთიერთმიმართებებისა და მიზეზ-შედეგობრიობების დადგენაა.

Case Study - მეთოდის უპირატესობები

კვლევის ეს ტექნიკა არის დეტალური და ინფორმაციულად მდიდარი. ის უღრმავდება მცირე წვრილმანებსაც კი, რაც მკვლევრებს საშუალებას აძლევთ მომავალში უფრო ფართო კვლევაში გამოიყენონ მოპოვებული ინფორმაცია და დამუშავებული მონაცემები. თუმცა, ეს არ ნიშნავს, რომ შემთხვევის ანალიზი თავისთავად, ცალკე დასრულებული კვლევა არ არის. შინაარსობრივი და კონტექსტუალური მიდგომის საშუალებით, case study საშუალებას იძლევა გავიგოთ, თუ რატომ მოხდა ესა თუ ის

მოვლენა. ეყრდნობა რა ფართო მასშტაბისა და სხვადასხვა რაოდენობის წყაროებს: დოკუმენტებს, ისტორიულ არტეფაქტებს, სისტემატიზირებულ ინტერვიუებს, დაკვირვების შედეგებს და რიგ შემთხვევებში, ტრადიციულ გამოკითხვასაც კი - ამ კვლევის შედეგები სარწმუნო და ვალიდურია. ასევე, ხელსაყრელია შემთხვევის ანალიზის კომბინაცია თეორიასთან, რათა საკითხს უფრო ღრმად და ამომწურავად ჩავწვდეთ. კვლევის ჩატარებისას გადავწყვიტე, ამ მეთოდის ფრეიმინგის თეორიასთან მიმართებით გამოყენება.

მეთოდის ნაკლი მდგომარეობს იმაში, რომ, როგორც ინი (Robert K. Yin, 2012) განმარტავს: პირველი, ხშირად შემთხვევის ანალიზს მკვლევრები არასათანადოდ უდგებიან და ორაზროვან და საეჭვო წყაროებს იყენებენ, რაც მცდარ გავლენას ახდენს მიგნებებსა და დასკვნებზე. მეორე, კვლევის შედეგები განზოგადების საშუალებას არ იძლევა, რაც თვისებრივი კვლევის მეთოდებისთვის არის დამახასიათებელი.

შემთხვევის ანალიზის ჩატარებისას ხუთი ეტაპის გამორჩევა შეგვიძლია. ესენია: დიზაინი, საპილოტე კვლევა, მონაცემების შეგროვება, მონაცემთა ანალიზი და შედეგების გამოქვეყნება. ჩვენ აქ დიზაინზე შევჩერდებით. დანარჩენ ეტაპებს კი უშუალოდ კვლევის ნაწილის მიმოხილვისას განვიხილავთ.

შემთხვევის ანალიზისას უპირველესად უნდა დავფიქრდეთ იმაზე, თუ რა კითხვას ვსვამთ. რას უნდა გაეცეს პასუხი ჩვენი კვლევის შემდეგ. ამ შემთხვევაში ყველაზე უფრო ხშირად გვინტერესებს: „როგორ?“ ან „რატომ?“. თუკი კვლევის კითხვა არის ზუსტი და მკაფიო, ორიენტაცია ხდება კონკრეტულ საკითხზე და არ „ვიკარგებით“ მონაცემებში. შემდეგ უკვე განვსაზღვრავთ, თუ რას ვაანალიზებთ - რა წარმოშობს თუ აყალიბებს „შემთხვევას“, მოვლენას. უმეტესწილად, „შემთხვევა“ არის ინდივიდი, ან რამდენიმე ინდივიდი, მოვლენა, ან რამდენიმე მოვლენა. თუმცა, ხშირად არც ისე მარტივი განსასაზღვრია მოვლენა, ან „შემთხვევის“ საზღვრების ზუსტად დადგენა. მაგალითად, ჩვენ მიერ გასაანალიზებელი შეიძლება იყოს განსაკუთრებული გადაწყვეტილება, რომელიმე კონკრეტული ორგანიზაცია რაღაც განსაზღვრული დროის მონაკვეთში,

პროგრამა, ჩვენს შემთხვევაში კი კონკრეტული მოვლენა, რომელიც მედიის გაშუქების
ჭრილში გვინტერესებს (Roger D. Wimmer, 2003).

თავი IV: კვლევის ნაწილი

IV.I პრესის კონტენტ-ანალიზი

მიგრანტთა კრიზისის გააქტიურება ევროპაში 2015 წლის ზაფხულის ბოლოსა და შემოდგომის დასაწყისში დაიწყო. სწორედ ეს პერიოდი მოექცა ჩემი კვლევის ობიექტებში. საკვლევი პერიოდი მოიცავს 2015 წლის აგვისტო-ოქტომბრის ქართული პრესის კონტენტ-ანალიზს. შერჩეულ გაზეთებს შორის კი ყოველდღიური, ყოველკვირეული და ყოველთვიური გამოცემები მოხვდა. ესენია: რეზონანსი, (75 ნომერი), ახალი თაობა (75 ნომერი), კვირის პალიტრა (16 ნომერი), „ქრონიკა“ . ცალკე განვიხილე ჟურნალი „ლიბერალი“ (2 ნომერი).

შემთხვევის ანალიზი 3 წლის სირიელი მიგრანტის ალან ქურდის ფოტოს და მასზე ქართული მედიის გამოხმაურებას ეხება. კვლევის ამ ნაწილში ბეჭდური, ონლაინ და ტელემედიის მიერ საკითხთან დაკავშირებული მასალების ანალიზია მოცემული.

1. „რეზონანსი“

„მიგრანტთა კრიზისზე“ გამოხმაურება „რეზონანსმა“ პირველ გვერდზე მცირე ზომის ფოტოების გამოქვეყნებით დაიწყო, რომელთაც მინაწერი ერთვოდა. ასე მაგალითად: ფოტო - მავთულხლართების ფონზე გამოსახული მიგრანტები და მინაწერი: „სირიაში მიმდინარე ოთხწლიანი ომის შედეგად ამ ქვეყნიდან ყველაზე მეტი ლტოლვილი ლიბანმა, იორდანიაში, ერაყში, ეგვიპტეში და თურქეთში მიიღეს“ („რეზონანსი, 2015 წლის 4 აგვისტო), ან ფოტო - ღობის შენების პროცესი - მინაწერი: „უნგრეთი სერბეთის საზღვრის გასწვრივ 4

მეტრის სიმაღლის ღობეს აშენებს, რაც არალეგალური მიგრაციის არნახული ნაკადისგან დაიცავს“ („რეზონანსი“, 2015 წლის 8 აგვისტო).

კრიზისის გააქტიურების ფონზე, გაზეთის მიერ საკითხის გაშუქების ინტენსიურობამაც მოიმატა. ძირითადი აქცენტი კეთდებოდა სტატისტიკაზე, ადამიანთა რაოდენობაზე, რომლებიც ამა თუ იმ ევროპული ქვეყნის საზღვრებს მიადგნენ. ინფორმაცია კი ძირითადად, BBC-სა და გაეროს მონაცემებზე დაყრდნობით იყო წარმოდგენილი. „ევროკავშირის ქვეყნებში 107 500 მიგრანტი ჩავიდა“, „მიგრანტების რაოდენობამ რეკორდულ მაჩვენებელს მიაღწია“ („რეზონანსი“, 2015 წლის 20 აგვისტო), „ბოლო ორი თვის განმავლობაში ევროკავშირში მაკედონიის გავლით 44 000-ზე მეტი მიგრანტი ჩავიდა, მათი უმრავლესობა სირიიდან გამოქცეული ლტოლვილები არიან“ („რეზონანსი“, 2015 წლის 22 აგვისტო), „ევროპაში, განსაკუთრებით ბალკანეთში, მიგრანტების არნახული მოზღვავება“ („რეზონანსი“, 2015 წლის 26 აგვისტო).

თუმცა, პირველ ეტაპზე გაზეთში მხოლოდ ნიუსური სახის, მცირე ზომის მასალები იბეჭდებოდა. მოგვიანებით კი ვრცელი და ანალიტიკური სტატიებიც გვხვდება.

1.1 რა ფრეიმებს იყენებს გაზეთი

„რეზონანსი“ მიგრანტთა კრიზისის გაშუქებისას სხვადასხვა ფრეიმს იყენებს. თუმცა, უმეტესწილად პოლიტიკური ფრეიმი სჭარბობს. მასალების უმრავლესობაში ყურადღება ექცევა იმ ფაქტს, თუ რომელი ქვეყანა რა პოლიტიკას ატარებს მიგრანტების მიმართ. რა კვოტები დააწესა ევროკავშირის ქვეყნებმა მიგრანტების „განაწილებასთან“ დაკავშირებით. საუბარია შენგენის შეთანხმების შესაძლო ეჭვქვეშ დაყენებასა და წევრი ქვეყნების მიერ მიგრანტთა კრიზისის მიმართ შემუშავებულ სხვადასხვა პოლიტიკაზე. ასევე, საკითხთან მიმართებით პოლიტიკური ლიდერების: ანგელა მერკელის, ვიქტორ ორბანისა და სხვა პირველი პირების პოზიციებზე. გამოიკვეთა სოციალური ფრეიმიც, რაც უბედური შემთხვევების, ჩაძირული გემების, მიგრანტების ტრაგიკული

მდგომარეობის ამსახველ ვერბალურ და ფოტომასალაში გამოიხატება. გვხვდება ნიუსები მიგრანტებსა და ადგილობრივ მოსახლეობას, ან პოლიციას შორის დაპირისპირებასთან დაკავშირებით, ხშირია სიტყვა „არალეგალის“ გამოყენების შემთხვევა, ან იმის ხაზსგასმა, რომ მიგრანტები ამა თუ იმ საზღვარზე უკანონოდ ცდილობენ „შეჭრას“, რაც ქმნის ფრეიმს, რომ მიგრანტების კრიზისი ევროპაში კრიმინალურ მდგომარეობასაც ამძიმებს. აღსანიშნავია ისიც, რომ ხშირ შემთხვევაში ნიუსის წყარო დასახელებული არ არის, შესაბამისად, ძნელია იმის დადგენა, ესა თუ ის შეხედულება მიგრანტებთან დაკავშირებით უშუალოდ გაზეთის სარედაქციო პოლიტიკას, ან ჟურნალისტის სუბიექტურ მოსაზრებას გამოხატავს, თუ მხოლოდ უცხოური ნიუსის თარგმანია.

რაც შეეხება სოციალურ ფრეიმს, გარდა უბედური შემთხვევებისა და ჩაპირული ნაგების შედეგად დაღუპული ადამიანების სტატისტიკისა, „რეზონანსში“ გვხვდება მასალები, რომლებიც მიგრანტების მდგომარეობას, მათ ოჯახურ ტრაგედიებს, ადგილობრივ პოლიციასთან შეტაკებების შემთხვევებსა და ხშირ შემთხვევაში, მაშველების მიერ მათი სასწაულებრივად გადარჩენის ისტორიებს ეხება. ასევე საუბარია ოპერაცია „ტრიტონზე“¹ და მის კონტრიბუციაზე მიგრანტთა გადარჩენის საქმეში („რეზონანსი“ 2015 წლის 28 აგვისტო).

1.2 მიგრანტთა კრიზისი და საქართველო

„მიგრანტთა კრიზისმა შესაძლოა ევროპასთან უვიზო მიმოსვლა ჩაგვიშალოს“ (რეზონანსი, 2015 წლის 3 სექტემბერი), „შემოდღეის თუ არა საქართველოში „ისლამური სახელმწიფოს“ მებრძოლებმა“ („რეზონანსი“ 2015 წლის 11 სექტემბერი) - ამ

¹ ოპერაცია „ტრიტონი“ - სასაზღვრო უსაფრთხოების ოპერაცია, რომელსაც ახორციელებს „FRONTEX“-ი, ევროკავშირის სასაზღვრო უსაფრთხოების სააგენტო. ოპერაცია, რომელიც იტალიური მხარის კონტროლქვეშაა 2014 წლის 1 ნოემბერს დაიწყო და 15 ევროკავშირის წევრი ქვეყნის მოხალისეებსა და მაშველებს აერთიანებს, რომლებიც მიგრანტებით სავსე ნავების აღმოჩენასა და მათ სანაპირომდე უსაფრთხოდ გადაყვანაში მონაწილეობენ.

სათაურებითა და კონტექსტით აკავშირებს გაზეთი მიგრანტთა კრიზისს საქართველოსთან. პირველ შემთხვევაში, ავტორი (თ.ოსმანოვა) წერს, რომ „ევროკავშირის სახელმწიფოებში ლტოლვილების რაოდენობამ კრიტიკულ მასას მიაღწია“, რაც მისი აზრით, შემაფხვებელი ფაქტორი შეიძლება იყოს 2015 წლის დეკემბრის რიგის სამიტზე საქართველოსთვის ვიზალიბერალიზაციის მინიჭების პროცესში. აქვეა ინტერვიუ „მიგრაციის ცენტრის“ დირექტორთან, გიორგი გოგიშვილთან, რომელიც საქართველოს განიხილავს, როგორც შესაძლო ტრანზიტულ გზას მიგრანტებისთვის არალეგალურად ამა თუ იმ ქვეყანაში მოსახვედრად. „ზოგიერთ ქვეყანასთან უვიზო რეჟიმიდან გამომდინარე, ლტოლვილები ჩამოდიან საქართველოში, გადადიან თურქეთში, იქედან კი ევროპაში. ანუ ამ შემთხვევაში ჩვენი სატრანზიტო ფუნქცია უკვე არის და აღიარებულია, როგორც ტრეფიკინგის, ისე მიგრაციის კუთხით... სატრანზიტო ქვეყნის დატვირთვა ამ ნაწილში უვიზო რეჟიმის შემთხვევაში კიდევ უფრო გაიზრდება და ამ შემთხვევაში ეს იქნება ძირითადი პრობლემა“ - ამბობს გოგიშვილი. („რეზონანსი“ 2015 წლის 3 სექტემბერი)

მეორე სტატიაშიც, „შემოაღწიეს თუ არა საქართველოში „ისლამური სახელმწიფოს“ მებრძოლებმა“ („რეზონანსი“ 2015 წლის 11 სექტემბერი) ავტორი (თ. ოსმანოვა), საქართველოს მიგრანტებისთვის სატრანზიტო დერეფნის ფუნქციის მქონე ქვეყნად განიხილავს. თუმცა ირიბად მიუთითებს იმ საფრთხეზე რაც საქართველოს სირიიდან თავშესაფრის მაძიებლების შეფარების შემთხვევაში შესაძლოა შეექმნას. აქვე ავტორი აღნიშნავს, რომ 2015 წელს, საქართველოს სირიის მხოლოდ 16-მა მოქალაქემ მიმართა თავშესაფრის მოთხოვნით, იმავე სტატიაში, ექსპერტ ბესო ალადაშვილის ინტერვიუში კი ვკითხულობთ: „უშუალოდ შიგნით საქართველოში მათი („ისლამური სახელმწიფოს“ ბოვეიკები იგულისხმება) აქტივობა ამ ეტაპზე ნაკლებად სავარაუდოა. ვგულისხმობ, ტერაქტებს, დივერსიებს და ა.შ ზოგადად ე.წ ნეიტრალური დამკვიდრება მოსალოდნელია, ანუ შეიძლება შემოვიდნენ, არ გამოიჩინონ თავი და არ მიიქციონ ყურადღება“. აქვეა კავკასიოლოგ მამუკა არეშიძის ინტერვიუც: „რაც შეეხება ბოვეიკების შემოჭრას, ჯერ ერთი ის რომ თითქოს ევროპაში 4 000 ადამიანია შეჭრილი,

არის ტყუილი... შეიძლება იყვნენ ამ ნაკადში ყოფილი მეომრები ან ახლანდელი, რომლებიც გარკვეული დავალებით არიან ევროპაში, თუმცა შეიძლება იყოს 100-200 კაცი“. („რეზონანსი“ 2015 წლის 11 სექტემბერი)

ამ თემაზე მორიგი სტატია ეხება საქართველოს მიერ უცხოელი ლტოლვილებისათვის თავშესაფრის მიცემას. სტატიაში აღნიშნულია, რომ 4 წლის განმავლობაში, 2012 წლიდან 2015 წლის ჩათვლით, საქართველომ 1032 უცხოეთის მოქალაქეს მისცა თავშესაფარი, მათგან 80% ერაყელია, დანარჩენი კი უკრაინელი და სირიელი. ავტორი (ე.წიკლაური) ლტოლვილებისათვის თავშესაფრის მიცემისათვის საჭირო პროცედურებსა და სამართლებრივ ასპექტებს განმარტავს და იმ სოციალურ პროგრამებზე ამახვილებს ყურადღებას, რაც საქართველოში უცხო ქვეყნიდან ლტოლვილებისათვის მოქმედებს („რეზონანსი, 2015 წლის 6 ოქტომბერი).

ამგვარად, შეგვიძლია ვთქვათ, რომ „მიგრანტთა კრიზისს“ „რეზონანსი“ საქართველოსთან მიმართებით საკმაოდ პრობლემატურ და საფრთხის შემცველ მოვლენად განიხილავდა. მეორე საკითხია, რამდენად რეალური და საფუძვლიანი იყო ეს ვარაუდები. დღევანდელი გადასახედიდან, ფაქტია, რომ არც საქართველოში შემოსული მიგრანტების რაოდენობა იყო საგანგაშო და არც ჩვენი ქვეყნის ევროკავშირთან ურთიერთობა ამ საკითხის გამო არ შეფერხებულა. ტერორიზმის საფრთხეები კი გაზვიადებულად და მეტი სენსაციურობისათვის იყო წარმოჩენილი.

2. „ახალი თაობა“

„ახალი თაობა“ მიგრანტთა კრიზისს ძირითადად სირიაში მიმდინარე ომის ჭრილში აშუქებს. აქცენტი კეთდება ამ კონფლიქტში რუსეთის როლსა და მასზე საერთაშორისო გამოხმაურებაზე. პოლიტიკურის გარდა, გაზეთი საკითხს კრიმინალური და სოციალური ფრეიმითაც აშუქებს. ყურადღება აქაც უბედურ შემთხვევებზე მახვილდება. რაც მოწმობს მოვლენურ გაშუქებაზე. ნიუსები ძირითადად ასეთი

ხასიათისაა: „ლიბიის სანაპიროებთან 40-მდე არალეგალი მიგრანტი დაიღუპა“ („ახალი თაობა“, 2015 წლის 17 აგვისტო). „ეგვიპტის პორტთან 11 მიგრანტი დაიღუპა“ („ახალი თაობა“, 2015 წლის 12 ოქტომბერი). ნიუსი მხოლოდ რამდენიმე წინადადებისგან შედგება და ახალ ამბავთან ერთად, მცირე „ბექრაუნდია“ იმ სტატისტიკური მონაცემებისა, თუ რამდენი მიგრანტი დაიღუპა ბოლო პერიოდის განმავლობაში ამა თუ იმ ქვეყანაში შეღწევის მცდელობისას. აღსანიშნავია, რელიგიური ფრეიმიც, სლოვაკეთში შესვლის მსურველ მუსლიმ მიგრანტებთან მიმართებით. ასევე „ახალ თაობაში“ იწერება ევროპის ქვეყნებში, ძირითადად კი გერმანიაში მიგრანტთა წინააღმდეგ გამართული მიტინგების შესახებ. გაზეთში ვკითხულობთ, რომ „გერმანიაში დევნილთა ბანაკაზე თავდასხმის 199 შემთხვევა იყო“ („ახალი თაობა“, 2015 წლის 17 აგვისტო). ან „მიტინგი დრეზდენში, ლტოლვილთა საწინააღმდეგო მიტინგი მოძრაობა „პეგიდას“² ორგანიზებით მოეწყო. უბრალო გერმანელები და მემარჯვენე რადიკალები გამოდიან ლტოლვილთა წინააღმდეგ“ („ახალი თაობა“, 2015 წლის 24 სექტემბერი).

გაზეთში ერთგვარი „ახსნაცაა“ ამ მოვლენების, რაც ავტორის აზრით. იმაში გამოიხატება, რომ მიგრანტები კარგ ქვეყნებში მოხვედრაზე ოცნებობენ, რომლებშიც ძირითადად სკანდინავიის ქვეყნები და გერმანია მოიაზრება. მოქალაქეთა პროტესტს კი ის ტალღა იწვევს, რომელიც მათი ქვეყნისკენ შეუჩერებლად მიემართება („ახალი თაობა“, 2015 წლის 24 სექტემბერი). ამ ფონზე კი წარმოჩენილია გერმანიის კანცლერის იმიჯი. „მერკელის რეიტინგი ეცემა, „ლტოლვილთა ტალღამ პრობლემები გაამძაფრა“, „ევროპელი ლიდერების ნაწილი მიიჩნევს, რომ მერკელის პოლიტიკა ლტოლვილთა მიმართ მცდარია“ („ახალი თაობა“, 2015 წლის 13 ოქტომბერი).

გაზეთი მიგრანტთა კრიზისს ძირითადად საეთაშორისო ამბებისათვის გამოყოფილ მე-8 გვერდზე ეხმაურება. არც თუ ისე ხშირია ინტენსიურობის მაჩვენებელი. გარდა

² „პეგიდა“ - ულტრამემარჯვენე, ანტიმიგრაციული მოძრაობა, დაარსდა გერმანიის ქალაქ დრეზდენში. აბრევიატურა იშიფრება როგორც, „პატრიოტი ევროპელები დასავლეთის ისლამიზაციის წინააღმდეგ. (PEGIDA)

პოლიტიკური კონტექსტისა და უბედური შემთხვევებისა, მხოლოდ ერთი მასალა ეძღვნებოდა მიგრანტთა სოციალურ მდგომარეობას. ნიუსში ვკითხულობთ, რომ „ხორვატია-სლოვენის საზღვარზე 2 000-მა ლტოლვილმა მოიყარა თავი. დევნილთა უმრავლესობა სავალალო მდგომარეობაშია. თბილი ტანსაცმელი და საკვები არ აქვთ“ („ახალი თაობა“ 2015 წლის 21 ოქტომბერი).

3. „ქრონიკა“

„ქრონიკა“ შედარებით გვიან, მხოლოდ 29 სექტემბრის ნომერში გამოეხმაურა მიგრანტთა კრიზისს. გაზეთის სარედაქციო პოლიტიკა ძირითადად ქვეყნის შიგნით მიმდინარე მოვლენების გაშუქებაზეა ორიენტირებული, არ არის უცხოეთის რუბრიკა. შესაბამისად, საერთაშორისო ასპარეზზე მიმდინარე მოვლენები გაზეთის ფურცლებზე ვერ ხვდება. აღნიშნულ ნომერში კი საკმაოდ ვრცელი სტატია დაიბეჭდა, სათაურით: „ლტოლვილების კრიზისი - ევროპული ოცნების ძიებაში“. ავტორი, ქეთი თუთბერიძე, მოვლენის ისტორიულ, პოლიტიკურ და გეოპოლიტიკურ კონტექსტს მიმოიხილავს. ამბავი მკვეთრად გამოხატული პოლიტიკური ფრეიმითაა გაშუქებული. ყურადღება მახვილდება ევროპულ პოლიტიკურ ლიდერებზე. მათ შორის, აღსანიშნავია, ანგელა მერკელის დადებითი და ჰუმანური იმიჯი, ხოლო მოვლენების მთავარ ანტიგმირად უნგრეთის პრემიერ-მინისტრი ვიქტორ ორბანი წარმოჩნდება. ავტორი მას მოიხსენიებს, როგორც „ვლადიმერ პუტინის პოლიტიკით მოხიბლული ევროსკეპტიკოსი და ანტისაემიგრაციო პოლიტიკის მომხრე პოლიტიკოსი, რომელსაც დასავლურ მედიაში ხშირად დიქტატორადაც მოიხსენიებენ“ („ქრონიკა“, 2015 წლის 29 სექტემბერი).

გაზეთი მიგრანტთა კრიზისს ორი ახალი საფრთხის: ტერორიზმისა და ნეონაციზმის ჭრილშიც განიხილავს. ავტორს ერთი მხრივ ჰოლანდიელი ულტრამემარჯვენე პარტიის ლიდერის, იერტ ვილდერის სიტყვები მოჰყავს: „ლტოლვილების ნაკადი ევროპულ

კულტურას, ევროპულ ღირებულებებს, მთელ ევროპულ ცივილიზაციას საფრთხეს უქმნის. მათ ისეთივე გარეგნობა აქვთ, როგორც ტერორისტებს და მათ მსგავსად მზად არიან ალაჰის სახელით უდანაშაულო ადამიანები დახოცონ“. მეორე მხრივ კი მსგავსი ნეონაციტური განცხადებების მაკრიტიკებლის, ახლო აღმოსავლეთის მედიის კვლევის ინსტიტუტის წარმომადგენლის, ალბერტო ფერნანდესის განცხადებას იშველიებს, რომელიც აღნიშნავს, რომ ევროპელი ნაციონალისტები ლტოლვილთა მხრიდან მომდინარე ტერორისტულ აქტებზე მითებს თხზავენ და საზოგადოებაში აბსტრაქტულ შიშს ნერგავენ. „ეს ადამიანები ისლამური სახელმწიფოს მასობრივ ხოცვას გადაურჩნენ. მათ არ ისურვეს ჯიჰადისტების კონტროლის ქვეშ დარჩენა და სისხლიანი ხალიფატის შენებაში მონაწილეობის მიღება“ - ამბობს ფერნანდესი („ქრონიკა+, 2015 წლის 29 სექტემბერი).

გაზეთი გვერდს არც მიგრანტთა კრიზისის საქართველო-ევროკავშირის ურთიერთობაზე შესაძლო გავლენას უვლის გვერდს. თუმცა, ავტორი აღნიშნავს, რომ არც პოლიტიკოსების და არც ექსპერტების მიერ გაკეთებული განცხადებები სკეპტიკური მოლოდინების საფუძველს არ იძლევა და აღნიშნავს, რომ ის საფრთხე, თითქოს ამ ყველაფრის ფონზე, შესაძლოა უვიზო მიმოსვლის რეჟიმის ამოქმედება შეფერხდეს მხოლოდ მედიის მიერ გამოწვეული უსაფუძვლო ვარაუდებია.

მიგრანტთა კრიზისში კიდევ ერთ „დამნაშავედ“ ავტორს სპარსეთის ყურის ნავთობით მდიდარი არაბული ქვეყნები და არაბული ლიგა მიაჩნია, რომლებმაც კონფლიქტის დაწყების დღიდან, ლტოლვილთა მიმართ ნულოვანი ტოლერანტობა გამოაცხადეს.

4. „ლიბერალი“

2015 წლის ოქტომბრის ნომერი, შეიძლება ითქვას, რომ მთლიანად მიგრანტების კრიზისს მიეძღვნა. ჟურნალის მთლიან ყდაზე დაბეჭდილი იყო ფოტო, რომელზეც მიგრანტები მავთულხლართების ფონზე იყვნენ გამოსახულები. ფოტოს ჰქონდა მინაწერი: „მიგრაცია, შემწყნარებლობა და შეუწყნარებლობა“.

პირველივე გვერდები ჟურნალმა უმბერტო ეკოს წერილს დაუთმო. მართალია, ავტორის პოზიციით ჟურნალის სარედაქციო პოლიტიკაზე ვერ ვიმსჯელებთ, მაგრამ ის ფაქტი, რომ ამ წერილს საკმაოდ დიდი ყურადღება დაეთმო და რედაქტორმა მისი პირველ ამბად დაბეჭდვა გადაწყვიტა, მეტყველებს იმაზე, რომ ჟურნალის რედაქცია იზიარებს ეკოსეულ შეხედულებებს მიგრანტთა კრიზისთან დაკავშირებით.

შეხედულებებისა და თემის გაშლის დიაპაზონი კი საკმაოდ ფართოა. პუბლიცისტი აქცენტს ევროპის კოსმოპოლიტურ მომავალზე აკეთებს და პარალელს ამერიკის კონტინენტთან ავლებს, რომელმაც რამდენიმე საუკუნის წინ გაიარა ხალხთა მასობრივი მიგრაცია, საბოლოოდ კი მრავალეთნიკურ „ჭრელ“ კონტინენტად გადაიქცა: „ძალიან ძნელია გაარკვიო, სადაური ფესვები აქვს მექსიკელსა თუ პერუელს - ევროპას, სწორედ ასეთი მომავალი ელოდება. ყველა რასისტი, ნოსტალგიის მქონე ყველა რეაქციონერი უძლური იქნება ამის წინაშე“ („ლიბერალი, #164).

სხვა სტატიაში - ლევან ახალაიას „გაქცევა ევროპაში“, ავტორი მიგრანტთა კრიზისის გამომწვევ ისტორიულ, პოლიტიკურ, სოციალურ და კრიმინალურ კონტექსტს მიმოიხილავს. ასევე ყურადღებას ამახვილებს ტერორიზმის საფრთხეებზე. განსაკუთრებული პოლიტიკური ფიგურა აქაც ანგელა მერკელია. მისი პოლიტიკა მიგრანტთა მიმართ კი შეფასებულია როგორც გულისხმიერი. აქვე მოყვანილია ის ფაქტი, რომ გერმანულმა „შპიგელმა“ ჟურნალის გარეკანზე კანცლერი დედა ტერეზას შეადარა. მოცემულია სტატისტიკაც იმის შესახებ, რომ დროთა განმავლობაში

გერმანელთა დამოკიდებულება ლტოლვილების მიმართ შეიცვალა, მათ უმეტესობას აფრთხობს მიგრანტების რაოდენობის ზრდა, მერკელის რეიტინგი კი ეცემა. სტატიაში მიმოხილულია ევროკავშირის სხვა წევრი ქვეყნების საიმიგრაციო პოლიტიკა და მათი აზრთა სხვადასხვაობა კვოტებსა და ლტოლვილების მიმართ. უარყოფით ფიგურად აქ უნგრეთის პრემიერ-მინისტრი ვიქტორ ორბანია წარმოჩენილი, როგორც ამ პრობლემის მიმართ საკმაოდ ხისტად განწყობილი.

საბოლოო ჯამში, შეიძლება ვთქვათ, რომ ჟურნალი სხვადასხვა ფრეიმს იყენებს საკითხის გაშუქებისას. სჭარბობს პოლიტიკური ფრეიმი.

ავტორი სირიაში მიმდინარე ომსაც ეხება და რუსეთისა და ირანის ფაქტორს გამოყოფს. ორივე სახელმწიფოს ქმედება საკმაოდ უარყოფითადაა შეფასებული: „დასავლეთში მომხდარში დამნაშავედ სირიის მოქმედ ლიდერს მიიჩნევს, ხოლო რუსეთი და ირანი მის მხარდაჭერას მაინც განაგრძობენ... მილიონობით სირიელი ლტოლვილი უკვე მეოთხე წელია ზამთარს მეზობელ თურქეთში ან იორდანიაში, ზაათარის ბანაკში, ერაყში ან სულაც ევროპის რომელიმე ქვეყნის საზღვრის სიახლოვეს აღმართულ კედელთან ხვდება“ („ლიბერალი, #164).

IV.II შემთხვევის ანალიზი Case Study

ერთი ფოტოს ისტორია

2015 წლის 2 სექტემბერს, ნილუფერ დემირი, პრესის თურქი ფოტოგრაფი სანაპიროზე იღებდა პაკისტანელ მიგრანტთა ჯგუფის ფოტოებს, როცა წყლის ნაპირზე გარდაცვლილი ბავშვის, ალან კურდის, სხეული შენიშნა. დემირის რეაქცია ისეთივე იყო, როგორც ნებისმიერი სხვა ფოტოგრაფის - მან ღილაკს თითი დააჭირა და ფოტო გადაიღო. ფოტოზე ჩანს სამი წლის გარდაცვლილი სირიელი ბიჭი, ზღვისგან გამორიყული - ქვიშაზე პირჩაბრუნებული, ხელისგულეგაშლილი და ამოტრიალებული.

„ეს ფოტო უნდა გადამეღო და ყოველგვარი ყოყმანის გარეშე გადავწყვიტე, ასეც მოვქცეულიყავი. ერთადერთი, რაც შემემძლო ის იყო, რომ მისი ყვირილი ყველასთვის მიმეწვდინა“ - ყვება ფოტოგრაფი სააგენტო „DHA-სთვის მიცემულ ინტერვიუში. ფოტოს მედიასა და საზოგადოებაში დიდი გამოხმაურება მოჰყვა.

ბევრმა ახალი ამბების სააგენტომ, მათ შორის BBC-იმ, ეთიკის სტანდარტების დაცვის გამო, უარი თქვა ფოტოს გამოქვეყნებაზე. თუმცა, უამრავი ჟურნალისა და გაზეთის ყდა თუ ინტერნეტ-საიტის მთავარი გვერდი სწორედ ამ ფოტოს დაეთმო.

ქვემოთ განვიხილავთ, რა რეაქცია მოჰყვა აღნიშნულ ფოტოს ქართულ მედიასივრცეში.

ონლაინ-სივრცე, როგორც წესი, ყველაზე უფრო ოპერატიულია და ახალი ამბავიც, ყველაზე სწრაფად სწორედ ინტერნეტის საშუალებით ვრცელდება. ქართული მედიასაშუალებებიდანაც, 3 წლის ალან კურდის ისტორია სწორედ ინტერნეტ-საიტებმა გაავრცელეს პირველებმა. ამბავი მოკლე, ნიუსური, სავარაუდოდ, უცხოური ახალი ამბების სააგენტოს მიხედვითაა დაწერილი, თუმცა წყარო უმეტეს შემთხვევაში მითითებული არ არის.

„ზღვამ სირიელი ლტოლვილი ბავშვის ცხედარი გამორიყა - ფოტო რომელმაც მსოფლიო შეძრა“ – newposts.ge (2015 წლის 3 სექტემბერი) ახალ ამბავს ფოტოებიც ახლავს, ისტორიას კი ბექრაუნდი მოსდევს, რომლის მიხედვით ვიგებთ, რომ 2015 წლის დასაწყისიდან მოცემულ პერიოდამდე ხმელთაშუა ზღვაში 3 000-ზე მეტი მიგრანტი დაიხრჩო. წყარო მითითებული არ არის.

ზუსტად იმავე სათაურითა და ფოტოებით აქვეყნებს ინფორმაციას etanews.ge (2015 წლის 3 სექტემბერი).

მხოლოდ ფოტო და იგივე მინაწერი, ოღონდ ერთი დღის დაგვიანებით აქვს intermedia.ge-ს. (2015 წლის 4 სექტემბერი)

„სამი წლის დამხრჩვალ სირიელი ბავშვის გვამი ბოდრუმის ნაპირზე წყალმა გამორიყა, - ადამიანური ტრაგედიის საშინელება სრული სიცხადით მიაწყდა ევროპის ნაპირებს“. - წერს ambebi.ge (2015 წლის 3 სექტემბერი). საიტი აქცენტს გარდაცვლილი ბავშვის ოჯახზე აკეთებს, ასევე ავრცელებს ინფორმაციას, რომ 3 წლის ალან კურდის ძმაც, ასევე ზღვაში დაიხრჩო. თემის გაშუქება საკმაოდ დრამატულია საკითხის სიმძაფრიდან გამომდინარე.

„სამი წლის დაღუპული სირიელი ბავშვის ფოტოებმა მსოფლიო შოკში ჩააგდო“ - წერს kvira.ge - ერთი დღის დაგვიანებით. (2015 წლის 4 სექტემბერი)

„ისინი რომ სირიელი, მუსულმანი ბავშვები არ ყოფილიყვნენ.... ისინი რომ ფრანგები, ინგლისელები ან გერმანელები ყოფილიყვნენ... ან თუნდაც ზღვის ცხოველები ყოფილიყვნენ, დღეს „სიენენი,, „ბიბისი,, „როიტერი,, და სხვა ტელევიზიები, სააგენტოები პირდაპირ ეთერებს ჩართავდნენ... სამოქალაქო სექტორი ჩაერთვებოდა და მთელი მსოფლიო ფეხზე დადგებოდა... მაგრამ რადგან ეს ბავშვები სირიელი მუსულმანები არიან... მსგავსი საშინელება ისევ გაგრძელდება... ორპირა დასავლეთი!“ - თურქულ მედიაწყაროებზე დაყრდნობით წერს timer.ge (2015 წლის 4 სექტემბერი)

ფოტოსადმი გამოხმაურება 15 სექტემბეს, „შარლი ებდოს“ მიერ ალან კურდის კარიკატურისა და ფოტოზე მინაწერის შემდეგ განახლდა.

„ქრისტიანები წყალზე დადიან, მუსლიმი ბავშვები კი იძირებიან“ - „შარლი ებდოს ახალი პროვოკაცია“ - წერს geonews.ge და იმ კარიკატურის ფოტოს აქვეყნებს, რომელიც ჟურნალის ყდაზეა დახატული.

„შარლი ებდომ მორიგი სკანდალური ნომერი გამოუშვა, - გარდაცვლილი სირიელი ბავშვი გამოცემის გარეკანზე“ - ici.ge (2015 წლის 15 სექტემბერი)

მეტ-ნაკლებად მსგავსი სახის ნიუსები დაიწერა ყველა ინტერნეტ-საიტზე.

ამბის გაგრძელება გლობალური განვითარების სამიტის გახსნაზე მომდერალ შაკირას მიერ ალან კურდისთვის მიძღვნილი სიმღერა იყო. ამის შესახებ interpressnews.ge-წერს. (2015 წლის 26 სექტემბერი) ნიუსს თან ვიდეოც ახლავს, რომელიც ემოციურად საკმაოდ ამაღელვებელია, რადგან სიმღერის პარალელურად სხდომის დარბაზში დამონაჭებულ ეკრანზე სირიელი მიგრანტი ბავშვების ამსახველი ვიდეოკადრები ჩანს. ნიუსში ასევე ნახსენებია პოლიტიკური ფიგურები, გაეროს გენერალური მდივანი ბან კი მუნი და გერმანიის კანცლერი ანგელა მერკელი, რომლებიც სამიტის გახსნაზე სიტყვით გამოვიდნენ და მსოფლიო საზოგადოებას მიგრანტთა კრიზისის მოსაგვარებლად ურთიერთთანამშრომლობისაკენ მოუწოდეს.

რაც შეეხება ტელევიზიებს, „რუსთავი 2-მა“ 3 სექტემბერს, დილის კურიერში გამოაცხადა ინფორმაცია ალან კურდის შესახებ. „მსოფლიოს ყველა გავლენიანი გამოცემის გარეკანზე მოხვდა სირიელი ბავშვის ფოტო, რომლიც ცხედარიც თურქეთში ბოდრუმის სანაპიროზე იპოვეს. სამი წლის ბიჭი, რომელიც ზღვამ გამორიყა, ევროპაში მიგრანტების კრიზისის კიდევ ერთი მსხვერპლია“ - ამბობს წამყვანი. ბავშვის ფოტო დაბლარულია.

„იმედის“ ეთერში, ალან კურდის შესახებ ინფორმაცია 2015 წლის 4 სექტემბრის 8 საათიან ქრონიკაში გავიდა. სიუჟეტი ევროპაში მიგრანტთა კრიზისის და იმ ხელშეკრულების გაფორმების შესახებ ახალი ამბით, დაიწყო, რომელიც ევროკავშირის

ქვეყნებში მიგრანტთა განაწილებას ეხება. სიუჟეტის ავტორი აღნიშნავს, რომ „ევროპისთვის გამოფხიზლების სიგნალად თურქეთის სანაპიროსთან გამორიყული სირიელი ბავშვის ფოტო იქცა. შემზარავ კადრს გამოხმაურება მუსლიმურ სამყაროშიც მოჰყვა, მხოლოდ უფრო დამუნათების ფორმით“ რაც განმარტებულია როგორც: „ლტოლვილების მიმართ ნულოვან ტოლერანტობას იჩენენ საუდის არაბეთი, ქუვეითი, ყატარი, არაბთა გაერთიანებული საემიროები და ბაჰრენი.“ ავტორი დაღუპულ ალანსა და მის ძმას „უსაფრთხო მომავლის ძიებისათვის დაღუპულებად“ მოიხსენიებს. ასევე აღნიშნავს იმ ფაქტს, რომ სირიელი ოჯახის ტრეფიკინგში ეჭვმიტანილი ოთხი პირი თურქეთის სასამართლოს წინაშე წარსდგა. სიუჟეტში ბავშვის ფოტოები გამოყენებულია.

საზოგადოებრივი მაუწყებელი მხოლოდ 5 სექტემბერს, ბრიუსელიდან სპეციალური კორესპონდენტის ჩართვით ეხმაურება მიგრანტთა კრიზისს. სიუჟეტში, რომელიც მიგრანტების განაწილებას და ევროკავშირის ქვეყნების მხრიდან კვოტების დაწესებას, ასევე კარვებსა და ლტოლვილთა სოციალურ მდგომარეობას ეხება, ერთი ბლოკი სწორედ 3 წლის სირიელ ბიჭუნას ეხება. „ალან კურდის ფოტო და ვიდეომასალამ მთელი მსოფლიო შოკში ჩააგდო. ლტოლვილები საბერძნეთში გეგმავდნენ ჩასვლას, ნავი ამოტრიალდა. პატარა ალანის ცხედარი ბოდრუმთან წყალმა გამორიყა. მამამ 2 ვაჟი 3 წლის ალანი, ძმასთან და დედასთან ერთად სირიაში, ქალაქ ქობანიში დაკრძალა. პრესა წერს, რომ კურდი ევროპაში მიგრანტების კრიზისის სიმბოლო გახდა. ევროპელი ლიდერების სირცხვილი და მათი გამოსაფხიზლებელი“ - ამბობს ავტორი. ფოტომასალა ნაჩვენებია, მოძიებულია ალანის და მისი ოჯახის ფოტოები, რაც დამატებით სიმმაფრეს და ემოციურ განწყობას ქმნის.

ქართულმა პრესამ შეიძლება ითქვას, რომ ეს კონკრეტული შემთხვევა უგულვებელყო. გამონაკლისი მხოლოდ „კვირის პალიტრა“ იყო, რომელიც თუ ამ ფაქტამდე მიგრანტთა კრიზისის მიმართ საკმაოდ ინდიფერენტული იყო და მხოლოდ ერთი ნიუსი გამოაქვეყნდა ამ თემასთან დაკავშირებით: „სიკვდილის გზა ევროპისკენ“,

რომელიც ავსტრიაში სატვირთო მანქანაში აღმოჩენილ გარდაცვლილ მიგრანტებს ეხებოდა („კვირის პალიტრა“ 2015 წლის 31 აგვისტო) .

ალან კურდის ფოტო გაზეთმა მთავარ გვერდზე დაბეჭდა. ყოველგვარი დაბლარვის გარეშე. „ტრაგედია, რომელმაც მსოფლიო შეცვალა!“ - იყო მინაწერი. ამბის გაგრძელებაში კი ვკითხულობთ: „3 წლის ბიჭუნამ თავისი სიკვდილით ლტოლვილებს ევროპისკენ გზა გაუხსნა“. ასევე დაიბეჭდა ფოტოკოლაჟი, რომელიც ალან კურდის ფოტოს გარშემო შექმნილი მხატვრული ნამუშევრებისგან შედგებოდა.

გაზეთის ერთ-ერთ გვერდზე კი ვხვდებით მერაბ მეტრეველის „კვირის ფიქრებს“, სადაც ავტორის პირადი მოსაზრებებია სათაურით: „ერთი ფოტო და სამყარო“. „ერთმა ფოტომ, იმ პატარა სირიელი ბავშვის მოკუნტულმა სხეულმა, ბევრი რამ შეცვალა, მათ შორის ევრიპელი მაღალჩინოსნების დამოკიდებულებაში, პირველ რიგში კი ხალხის გულებში... მიგრანტთა კრიზისმა ევროპაში კიდევ ერთხელ ცხადყო, რომ ვერ იცხოვრებ კეთილდღეობაში ერთ კონტინენტზე, თუ სხვაგან საშინელება ხდება“ - წერს მეტრეველი. („კვირის პალიტრა“, 2015 წლის 7 სექტემბერი)

თუ რა შეცვალა ამ ფოტომ, ამას „ქრონიკა+“ ის სტატიაში ვკითხულობთ. „რამდენიმე დღის წინ დევიდ ქემერონი (ბრიტანეთის მაშინდელი პრემიერ-მინისტრი), ბეირუთის ლტოლვილთა ბანაკს ეწვია, სადაც მან ლტოლვილების განსახლებაზე პასუხისმგებელი პირის დანიშვნის შესახებ განცხადება გააკეთა. ბრიტანეთის მემარცხენე პრესაში არაერთხელ დაიწერა, რომ გადაწყვეტილება 20 ათასამდე ლტოლვილის მიღების შესახებ ევროსკეპტიკოსმა ქემერონმა მას შემდეგ მიიღო, რაც თურქეთის სანაპიროზე გამორიყული 3 წლის ბავშვის, ალან კურდის, ფოტოსურათები გავრცელდა. მართლაც, სირიელი ალან კურდის სიკვდილმა, რომელიც ოჯახთან ერთად საბერძეთის საზღვრებამდე მიღწევას ნავით ცდილობდა და ეგეოსის ზღვაში დაიხრჩო, მსოფლიოსთვის ლტოლვილთა კრიზისის დრამატული და ამვდროულად, რეალური სურათი წარმოაჩინა“ („ქრონიკა+, 2015 წლის 29 სექტემბერი).

თავი V: დასკვნა და ძირითადი მიგნებები

მიგრანტებთან დაკავშირებული საკითხები უმეტესწილად უბედური შემთხვევების მოხდენისას შუქდება. ყურადღება გამახვილებულია რიცხვებზე, სტატისტიკაზე და დაღუპულ ადამიანთა რაოდენობაზე. „ტრაგედია ავსტრიაში - ავტომობილში, რომელიც უნგრეთის საზღვართან იყო მიტოვებული 70-მდე ცხედარი იპოვეს. წინასწარი ინფორმაციით, ყველა მათგანი არალეგალური მიგრანტია“ (რეზონანსი, 29 აგვისტო, 2015), „ევროკავშირი მიგრანტების მოზღვავებულ რაოდენობას ვერ უმკლავდება“ („ახალი თაობა“, 20 აგვისტო, 2015).

ხშირ შემთხვევაში მასალაში არ არის მითითებული თუ ვინ არის წყარო. რომელ საერთაშორისო მედიასააგენტოზე დაყრდნობით არის მოყვანილი რიცხვები და სტატისტიკა, რომელიც ევროპის ამა თუ იმ ქვეყანაში თუ მათ საზღვრებთან მყოფი მიგრანტების რაოდენობას განსაზღვრავს.

„ახალი თაობისა“ და „კვირის პალიტრის“ შემთხვევაში არ გვხვდება საკითხის ღრმა და ყოვლისმომცველი ანალიზური სტატია, რომელიც მიგრაციის გამომწვევ ფაქტორებს ახსნის - საიდან მოდიან ეს ადამიანები, რა ვითარების გამო მოუწიათ საკუთარი ქვეყნების დატოვება, სამაგიეროდ აქცენტი კეთდება იმაზე, რომ ისინი თავშესაფარს გერმანიისგან და სკანდინავიის ქვეყნებისგან მოითხოვენ, რადგან ამ ქვეყნებში ცხოვრების დონე გაცილებით მაღალია და შესაბამისად სოციალური პირობებიც უკეთესი. პოლიტიკური და იმ საომარი ვითარების ამსახველი კონტექსტის ჩვენების გარეშე, რაც ამ ადამიანებს აიძულებთ თავიანთი ქვეყნები დატოვონ და ვა-ბანკზე წავიდნენ რეზინის ნავებით, ჩნდება განცდა, რომ მიგრანტები არა მშვიდობიან გარემოს, არამედ უბრალოდ უკეთეს სოციალურ პირობებს ეძებენ და ამიტომ რისკავენ სიცოცხლეს ხმელთაშუა ზღვის „გადმოცურვით“.

თითქმის ყველა მედიასაშუალებაში, რომელიც საკვლევ ობიექტად იყო აღებული პოლიტიკური ფრეიმი ჭარბობს. მთავარი აქცენტი კეთდება ევროკავშირის, რუსეთის,

სირიის, და ცალკეული პოლიტიკოსების საკითხისადმი დამოკიდებულებაზე, უფრო მცირე ყურადღება ეთმობა მიგრაციის როგორც სოციალურ პრობლემის გაშუქებას. მთავარი პოლიტიკური ფიგურა მთელ ამ პროცესში გერმანიის კანცლერი ანგელა მერკელია.

საქართველოსთან მიმართებაში საკითხი ორი კუთხითაა წარმოჩენილი: პირველი, როგორც ვიზალიბერალიზაციის გზაზე დამაბრკოლებელი გარემოება და მეორე, როგორც შესაძლო ტერორიზმის საფრთხე. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ორივე შემთხვევაში მოსალოდნელი შედეგები ზოგჯერ მედიის ვარაუდზეა დაფუძნებული, კომპეტენტური პირების შეფასებები კი ნაკლებად სკეპტიკურია.

ქართული მედია მიგრანტთა კრიზისს უმეტესად შორეულ, დისტანციურ პრობლემად წარმოაჩენს, რომელიც ევროკავშირის რიგი სახელმწიფოების პრობლემაა. ასევე ფართოდ განიხილება რუსეთის ჩართულობა სირიაში მიმდინარე კომფლიქტში. და მისი როგორც, „ლატენტური დამნაშავეს“ როლი უამრავი ადამიანის ლტოლვილად „გადაქცევაში“, რომლებიც საომარი მოქმედებების მიმდინარეობის გამო იძულებულნი გახდნენ საკუთარი სამშობლო დაეტოვებინათ.

საგულისხმო ფრაზები. სიტყვები, რომელიც ყველაზე ხშირად გვხვდება

პრესის კონტენტ-ანალიზისას, ცალკე მოვინიშნე ის ფრაზები და სიტყვები, რომელიც ყველაზე ხშირად გვხვდება მიგრანტთა კრიზისის ქართულ გაშუქებაში. ეს სიტყვები ძირითადად, მიგრანტების რაოდენობასთანაა დაკავშირებული, ასე მაგალითად: „არალეგალური მიგრაციის არნახული ნაკადი“, „მიგრანტების რაოდენობამ ევროკავშირში რეკორდულ მაჩვენებელს მიაღწია“, „ევროპაში, განსაკუთრებით ბალკანეთში, მიგრანტების არნახული მოზღვაება“, „მიგრანტების რაოდენობამ კრიტიკულ ზღვარს მიაღწია“, „მიგრაციული აპოკალიფსი ევროპაში“, „თავშესაფრის მაძიებელთა მოჭარბებული რაოდენობა“, „ლტოლვილთა კოლოსალური

ტალღა ევროპისთვის ისტორიული გამოცდაა“, „მიგრანტების რაოდენობა კატასტროფულად გაიზარდა“. ამას გარდა მიგრანტების მდგომარეობა შეფასებულია, როგორც „სავალალო“, „განწირული“, „საბედისწერო“.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Moving Stories - International Review of How Media Cover Migration
By Jan Egeland, Secretary-general of the Norwegian Refugee Council (2015) -მასალის ნახვის თარიღი - 2017 წლის 15 მარტი
<http://ethicaljournalismnetwork.org/resources/publications/moving-stories/foreword-beyond-the-headlines>
2. UNESCO Communication and Information Sector (2015) - მასალის ნახვის თარიღი: 2017 წლის 15 მარტი
<http://unesdoc.unesco.org/images/0023/002338/233878e.pdf>
3. International Programme For the Development of Communication (IPDC) – 2015
<http://www.unesco.org/new/en/communication-and-information/intergovernmental-programmes/ipdc/ipdc/60th-meeting-of-ipdc-bureau/> - ბოლო ნახვა 2017 წლის 20 მარტი
4. Media discourse on the refugee crisis: on what have the Greek, German and British press focused? (2015) - ბოლო ნახვა 2017 წლის 20 მარტი
<http://link.springer.com/article/10.1007/s12290-016-0407-5>
5. Welcome or Not-Welcome: Reactions to Refugee Situation on Social Media (2015) - მასალის ნახვის თარიღი - 2017 წლის 21 მარტი
<https://arxiv.org/abs/1610.02358>
6. Media, Migration and the Borders of Fortress Europe: An Interview with David Morley - მასალის ნახვის თარიღი - 2017 წლის 21 მარტი
<http://ojs.meccsa.org.uk/index.php/netknow/article/view/452>
7. Covering Migrations and Refugees are media doing the right thing? - მასალის ნახვის თარიღი - 2017 წლის 23 მარტი

http://www.unesco.org/new/en/media-services/single-view/news/covering_migrations_and_refugees_are_media_doing_the_right_thing/#.V33sH9J97IV

8. Press coverage of the refugee and migrant crisis in the EU: a content analysis of five European countries მასალის ნახვის თარიღი - 2017 წლის 21 მარტი
<http://orca.cf.ac.uk/87078/>
9. „როგორ გაშუქდა სირიის კონფლიქტი 2011 წლის მარტიდან 2015 წლის დეკემბრის ჩათვლით რუსულ, გერმანულ, ბრიტანულ და ამერიკულ მედიაში“ - სამაგისტრო ნაშრომი. თამარ კარელიძე - (2015).
10. „საკითხის აქტუალობის მობილობა დროსა და სივრცეში - საქართველოში სირიის კრიზისის გაშუქების მაგალითზე“ - ანალიტიკური სტატია. ნათია კუპრაშვილი (2015).
11. „მიგრაციის ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონი“
<http://migration.commission.ge/files/glosaary.pdf> ბოლო ნახვა - 2017 წლის 20 ივნისი
12. „Media Effects: Advances in Theory and Research“. Jennings Bryant, Mary Beth Oliver. (2008).
13. „Mass Communication Theory“. Denis McQuail. (2010).
https://books.google.ge/books?id=CvcvLsDxhvEC&printsec=frontcover&source=gbs_ge_summary_r&cad=0#v=onepage&q&f=false
14. გაზეთი „რეზონანსი“ 2015 წლის 1 აგვისტო - 2015 წლის 31 ოქტომბერი
15. გაზეთი „ახალი თაობა“ 2015 წლის 1 აგვისტო - 2015 წლის 31 ოქტომბერი
16. გაზეთი „ქრონიკა+“ 2015 წლის 1 აგვისტო- 2015 წლის 31 ოქტომბერი
17. გაზეთი „კვირის პალიტრა“ 2015 წლის 1 აგვისტო - 2015 წლის 31 ოქტომბერი
18. ჟურნალი „ლიბერალი“ - #164
19. „Case Study as a Research Method” – Zaidah Zainal. (2007).
http://psyking.net/htmlobj-3837/case_study_as_a_research_method.pdf

20. „Case Study Research” – R. Yin. (1994).
 21. „Case Study Research in Education” – S.B Merriam. (1988).
 22. „Mass Media Research” - An Introduction - Roger D.Wimmer, Joseph R. Dominick. Seventh Edition (2002).
 23. ვებ გვერდები: newposts.ge
 24. etanews.ge
 25. intermedia.ge
 26. ambebi.ge
 27. kvira.ge
 28. timer.ge
 29. geonews.ge
 30. ici.ge
 31. interpressnews.ge
 32. Rustavi2.ge
 33. Imedi.ge
 34. 1tv.ge
- შემთხვევის ანალიზისთვის გამოყენებული ინტერნეტ- მასალების ბოლო ნახვის თარიღი მოცემულ ვებ-გვერდებზე - 2017 წლის 1 ივლისი

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Natia Bregvadze

The Response of the Georgian Media upon the European Migrant Crisis

Mass communication and Media studies

In partial fulfillment of requirements for the degree of Master of Mass
communication and Media studies

Supervisor: Manana Shamilishvili,
Associate Professor

Tbilisi, 2017

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი

თამთა ჯინჯოლავა

ეკოლოგიური და გარემოსდაცვითი საკითხების გაშუქება
ქართულ ონლაინ-მედიაში

მასობრივი კომუნიკაციისა და მედიის კვლევების

ნაშრომი მომზადებულია სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა
ფაკულტეტის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: თსუ-ის პროფესორი მათა ტორაძე

თბილისი, 2017

ანოტაცია

ნაშრომში წარმოდგენილია გარემოსდაცვითი და ეკოლოგიური საკითხების გაშუქების კვლევა სამი რეიტინგული ონლაინ-მედიის „ლიბერალის“ , „On.ge-ს“ , „Primetime.ge-ს“ მიხედვით. დასახელებულ ონლაინ გამოცემებში გამოქვეყნებული სტატიების გაანალიზებით გვსურდა გამოგვეკვლია ქართული მედიის დამოკიდებულება გარემოსდაცვით და ეკოლოგიური საკითხებთან მიმართებაში.

ასევე გვსურდა გამოგვეკვლია გარემოსდაცვითი და ეკოლოგიური საკითხები დგას თუ არა საკვლევი ონლაინპლატფორმების დღის წესრიგში : აშუქებენ თუ არა მწვავე გარემოსდაცვით საკითხებს, ახდენენ თუ არა სფეროში არსებული პრობლემების ოპერატიულ იდენტიფიცირებას, რა სიხშირითა და პერიოდულობით წერენ სტატიებს აღნიშნულ თემაზე და როგორია მათი პროფესიული სტანდარტები. ამის შესაფასებლად მხედველობაში მივიღეთ წყაროების რაოდენობა, ამბის ზუსტად და ჯეროვნად გადმოცემა და პრობლემური საკითხის გაშუქებისას გეოგრაფიული არეალის გათვალისწინება. კვლევის მეთოდად შევარჩიეთ რაოდენობრივი და თვისობრივი კვლევის კონტენტ-ანალიზი ,დავეყრდენით ფრეიმინგის თეორიას და ასევე, გამოვიყენეთ სიღმისეული ინტერვიუ. საკვლევი სუბიექტების რაოდენობრივმა და თვისობრივმა კვლევამ გაამყარა ჩვენი ჰიპოთეზა იმის შესახებ, რომ ქართული ონლაინმედია არ არის სენსიტიური გარემოსდაცვითი და ეკოლოგიური საკითხების მიმართ. გაშუქების ფოკუსში ძირითადად ხვდება მოვლენური ამბები და სტატიების უმრავლესობა ნიუსური სტილის ენითაა დაწერილი და მოკლებულია მიზეზ-შედეგობრივი კავშირების აღმოჩენას. ფრეიმინგის თეორიის მიხედვით, გამოვარკვიეთ ქართული მედიის ფრეიმები აღნიშნული საკითხების გაშუქების დროს. სიღრმისეულმა ინტერვიუმ კი საშუალება მოგვცა რამდენადმე აგვეხსნა გარემოსდაცვითი ჟურნალისტიკისადმი ქართული მედიის დაქვეითებული ინტერესის მიზეზი.

კვლევის შედეგად გამოირკვა, რომ ქართული ონლაინმედიისთვის გარემოსდაცვითი და ეკოლოგიური საკითხები პრიორიტეტს არ წარმოადგენს და ეს საკითხები ასახულია მხოლოდ კამპანიური ხასიათის ნიუსებით. აქვე გამოიკვეთა ჟურნალისტების ზერელე და ზედაპირული დამოკიდებულება და განწყობები აღნიშნული საკითხისადმი.

Abstract

This work presents research of coverage of Environmental and Ecological issues according to three top-rated online-media „Liberal” , „On.ge” , „Primetime.ge”. By analyzing the articles published in abovementioned online editions, our mission was to study attitude of the Georgian Media towards the Environmental and Ecological issues. We also tried to study if Environmental and Ecological issues were enlisted in the agenda of the online-platform: are critical environment issues covered? Are the problems, existing in this field; identified in timely manner? How often and frequently are articles written on these issues and what professional standarts do they have? To make assessment, we took into consideration amount of resources, preciseness and accurateness of the story told and geographical area while covering the problematic issue.

For research methods we selected quantitative and qualitative content-analyzes and utilized Framing theory and detailed interview.

Quantitative and qualitative research of the subjects of our research strengthened our hypothesis that Georgian online-media is not sensitive towards the Environmental and Ecological issues. In the focus of coverage often occurs event based news and most of articles are written in the style of the News and there are no issues about the reason and the result of such events. According to the Framing theory, we found our frames of Georgian Media while covering the abovementioned issues. Detailed interview enabled us to explain impaired interest of Georgian Media toward the Environmental Journalism.

As a result of research, it was revealed, that Environmental and Ecological issues are not a priority for Georgian online-media and these issues have only a Campaign Newsletters frame. Here, it was revealed perfunctory and smattering attitude and interest of the Journalists toward and mentioned issues.

სარჩევი

ანოტაცია.....	2
Abstract	4
შესავალი.....	6
კვლევის აქტუალობა	7
კვლევის მიზანი.....	8
ჰიპოთეზა.....	9
კვლევის მეთოდი :	10
საკვლევი კითხვები :	10
თავი 1. ლიტერატურის მიმოხილვა.....	11
თავი 2. ეკოლოგიისა და გარემოს დაცვის პოლიტიკური ასპექტები	15
2.1 მწვანე პოლიტიკა.	17
თავი 3. საქართველო და მრავალხმრივი გარემოსდაცვითი ხელშეკრულებები	21
თავი 4. ქართული მედიის მიერ გაშუქებულ გარემოსდაცვითი და ეკოლოგიურ საკითხებზე არსებული კვლევები	30
თავი 5. ქართველი ჟურნალისტების დისკუსიები გარემოსდაცვით და ეკოლოგიური საკითხების თემებზე.....	33
თავი 6. კვლევის ძირითადი შედეგები	38
6.1 სტატიათა გეოგრაფიული გავრცელების არეალი.....	38
6. 2 გამოქვეყნებული სტატიების ანალიზი ლიბერალის მიხედვით	39
6.3 გაშუქებული სტატიათა ტონი „ Primetime.ge”-ს მიხედვით	40
6.4 სტატიათა ტონი „On.ge”-ს მიხედვით.....	43
თავი 7. გარემოსდაცვითი და ეკოლოგიური საკითხების ფრეიმინგი ქართული მედიის (ლიბერალი,On.ge, Primetime.ge) მიხედვით	45
დასკვნა.....	52
რეკომენდაციები :	54
ბიბლიოგრაფია :	55

შესავალი

ეკოლოგია და გარემოს დაცვა გლობალური გამოწვევა გახდა პლანეტის ნებისმიერ წერტილში მცხოვრები ადამიანისთვის, რადგან ამა თუ იმ ქვეყანაში წარმოქმნილი ეკოლოგიური თუ გარემოსდაცვითი პრობლემები დიდი ხანია ლოკალურ საზღვრებს გასცდა. საკითხის ტრანსსასაზღვრო ბუნებიდან გამომდინარე, შეუძლებელია გარემოში არსებულ პრობლემებს ჰქონდეს ზუსტად დადგენილი საზღვრები. ასე მაგალითად, ერთ ქვეყანაში არსებული მწვავე გარემოსდაცვითი თუ ეკოლოგიური პრობლემა გავლენას ახდენს მოსაზღვრე ქვეყნებსა და ზოგჯერ მთელ რეგიონზეც კი.

ეკოლოგიისა და გარემოსდაცვითი საკითხების გადაწყვეტა განსაკუთრებით მძიმეა განვითარებადი ქვეყნებისთვის, რადგან გარემოზე ზემოქმედების გარეშე თითქმის შეუძლებელია მსხვილი ეკონომიკური პროექტებისა და მრეწველობის განვითარება. თუ ქვეყანა უარს იტყვის პროექტებზე, რომელიც გრძელვადიან პერსპექტივაში ზიანისმომტანია გარემოსთვის და გამოიწვევს ეკოლოგიურ საფრთხეებს, ის ავტომატურად უარს იტყვის დიდ ეკონომიკურ სარგებელზე, რაც განვითარებადი ქვეყნებისთვის დიდი საცდურია. გარდა ფულადი კაპიტალისა, რაც გარემოზე ზემოქმედების მომხდენ პროექტებს მოაქვს, ის ადამიანების დასაქმების (მცირე თუ დიდი ხნით) წყაროცაა. საკითხი იმდენად კომპლექსურია, რომ მისი მხოლოდ ერთი რაკურსით გაანალიზება უშედეგო იქნება. ასევე მნიშვნელოვანია, რომ თავიდანვე გავმიჯნოთ ერთმანეთისგან გარემოსდაცვა და ეკოლოგია.

ეკოლოგია ბიოლოგის ნაწილია, რომელიც შეისწავლის ცოცხალ ორგანიზმებსა და გარემოს შორის ურთიერთკავშირებს. ეკოლოგია წარმოქმნილია ბერძნული სიტყვიდან „iokos”, რაც საცხოვრებელ ადგილს ნიშნავს, ხოლო „logos” მოძღვრებას. ტერმინი პირველად გამოიყენა გერმანელმა ზოოლოგმა ე.ჰეკელმა და განმარტა, რომ: „ეკოლოგია – ესაა მეცნიერება ცოცხალი ორგანიზმების ურთიერთდამოკიდებულების შესახებ გარემოს ორგანულ და არაორგანულ კომპონენტებთან”. ამერიკელმა მეცნიერმა, ოდუმმა ეკოლოგია განმარტა, როგორც მეცნიერება ბუნების სტრუქტურისა და ფუნქციის შესახებ. ხშირად ვხვდებით ასევე ეკოლოგიის, როგორც გარემოს ბიოლოგიის განმარტებასაც.

გარემო არის დედამიწაზე გავრცელებული ყველა ცოცხალი არსებისა და არაცოცხალი საგნის ერთობლიობა ; ადგილი,სადაც ხორციელდება ურთიერთობა ცოცხალ სახეობათა შორის. გარემო იყოფა ორ ნაწილად: ბუნებრივი გარემო და ადამიანის ძალისხმევით შექმნილი გარემო.

ბუნებრივ გარემოს მიეკუთვნება ეკოლოგიური ერთეულები,რომლებიც ადამიანის ჩარევის გარეშე ფუნქციონირებენ,როგორც ბუნებრივი სისტემები დაა გარკვეული ფიზიკური საზღვრები გააჩნიათ: მცენარეულობა, ცხოველები, მიკროორგანიზმები, ნიადაგი, კლდეები და სხვა ბუნებრივი ფენომენები. ასევე ბუნებრივი რესურსები და ფიზიკური ფენომენები,რომლებსაც საზღვრები არ გააჩნიათ და არ არიან წარმოშობილი ადამიანის საქმიანობის შედეგად :ასეთებია ჰაერი, წყალი, კლიმატი, ენერჯია, რადიაცია, ელექტრობა, მაგნიტური ველი და სხვა.

გარემოს დაცვა არის ქმედებათა ჯაჭვი,რომლის მიზანია ბუნებრივი გარემოს შენარჩუნება და დაცვა.

თუ ტერმინს სამართლებრივ ჭრილში განვმარტავთ, „გარემოს დაცვა არის ადმინისტრაციულ, სამეურნეო,ტექნოლოგიურ ,პოლიტიკურ–სამართლებრივ და საზოგადოებრივ ღონისძიებათა ერთობლიობა,რომელიც უზრუნველყოფს გარემოში არსებული ბუნებრივი წონასწორობის შენარჩუნებას და აღდგენას”.

გარემოს დაცვის სინონიმად დამკვიდრდა ტერმინი „ინვაირონმენტოლოგია”, რაც წარმოადგენს კომპლექსურ დისცილინას ადამიანის გარემომცველი ბუნებრივი გარემოს ხარისხისა და მისი დაცვის შესახებ.

რა ტერმინითაც არ უნდა ვიყენებდეთ ეკოლოგიასა და გარემოს დაცვას, მთავარი მათი შინაარსის მასშტაბურობაა, მასშტაბებმა კი უკვე მთელი პლანეტა მოიცვა.

კვლევის აქტუალობა

საქართველო,როგორც კავკასიის შემადგენელი ნაწილი, შედის ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდის (WWF) ეკორეგიონების ნუსხაში,რომელშიც 200 ეკორეგიონია.

ბიომრავალფეროვნების მნიშვნელობისა და მასთან დაკავშირებული საფრთხეების გათვალისწინებით, დღეისათვის მსოფლიოში ბიომრავალფეროვნების 34 წერტილს გამოყოფენ .ეს არის ბიოლოგიურად უმდიდრესი და ამავდროულად, ყველაზე მეტად საფრთხის ქვეშ მყოფი ეკორეგიონები. ამ 34–დან, საქართველოს ტერიტორია შედის ბიომრავალფეროვნების ცხელ წერტილში. აქ გვხდება დიდი სახეობრივი მრავალფეროვნება, ენდემიზმის მაღალი დონე ეკოლუციური პროცესების განვითარების თავისებურებებით, მცენარეულობის ტიპების მრავალფეროვნებითა და ბიომებით, რომლებიც იშვიათია გლობალურ დონეზე. კავკასიაზე გადის აფრიკა–ევრაზიის გადამფრენი ფრინველების ძირითადი მარშუტები.

ამ ფაქტორების გათვალისწინებით, ქართულ მედიას განსაკუთრებული როლი ენიჭება ეკოლოგიური და გარემოსდაცვითი პრობლემების იდენტიფიცირებასა და გარემოსდაცვითი შეგნების ამაღლებაში. მნიშვნელოვანია რომ მიზნობრივ ჯგუფებს მედიამ საკმარისი რაოდენობის ინფორმაცია მიაწოდოს მდგრადი განვითარების საკითხებზეც, რათა საზოგადოებამ გააკეთოს სწორი არჩევანი და მონაწილეობა მიიღოს გარემოს შენარჩუნებისა და გაუმჯობესების საქმეში.

ეკოლოგიისა და გარემოს დაცვის საკითხების გაშუქება დიდი ხანია მსოფლიოს წამყვანი გამოცემების პრიორიტეტად იქცა, თუმცა საქართველოს მედიის საკვლევ თემას ნამდვილად არ წარმოადგენს გარემო და მასთან დაკავშირებული თემები. ჩვენი კვლევის ფარგლებში ქართული მედიის ზერელე დამოკიდებულება გარემო საკითხებისადმი ნათლად გამოიხატა.

კვლევის მიზანი

კვლევის მიზანს წარმოადგენდა შეგვესწავლა ქართული ონლაინ–მედიის მგრძობელობა და ტონი ეკოლოგიასა და გარემოსდაცვით საკითხებთან მიმართებაში. ასევე ის, თუ რა სიხშირითა და პერიოდულობით აშუქებდენ პრობლემურ საკითხებს და გარდა ლოკალურად აღმოჩენილი გარემოსდაცვითი პრობლემისა, თუ გვთავაზობდნენ ანალიტიკურ მასალებს ისეთ მნიშვნელოვან საკითხებზე, როგორცაა ჰაბიტატების განადგურება, ჰაერის ხარისხი , წყლის ხარისხი, ნარჩენების მართვა,

ბუნების დაცვა, სამრეწველო დაბინძურება და სამრეწველო საფრთხეები, ქიმიური ნივთიერებების მართვა, გარემოსდაცვითი მმართველობა, კლიმატის ცვლილებები. ჩვენ მიერ ჩატარებული მედიამონიტორინგის მეშვეობით გვინდოდა გამოგვეჩვენა ჟურნალისტების პროფესიონალიზმის დონეც მსგავსი თემატიკის გაშუქებისას; რამდენად ერკვეიან ტერმინებში, გარემოს დაცვით უფლებებსა და შეუძლიათ თუ არა საკითხების კრიტიკული შეფასება .

ეკოლოგიური და გარემოსდაცვითი საკითხებისადმი ონლაინმედიის სარედაქციო პოლიტიკის გამოსარკვევად დავაკვირდით შემდეგ ონლაინ მედიუმებს : „ლიბერალი“, „Primetime.ge“ , „ On.ge ”. საკვლევი მედიასაშუალებებიდან ლიბერალი წარმოადგენს ონლაინ-ჟურნალს, „Primetime.ge“- ონლაინ-გაზეთი/ახალი ამბების სააგენტოს, „On.ge“-კი საინფორმაციო სააგენტოს. შესაბამისად, ჩვენი მიზანი იყო არა ამ სამი საშუალების გარემოსდაცვითი სარედაქციო პოლიტიკის შედარება ერთმანეთთან, რაც მათი ფორმატიდან გამომდინარე ისედაც განსხვავებული იქნება ერთმანისგან, არამედ საერთო ტენდენციების გამოკვეთა .

კვლევა მოიცავს ბოლო ექვსი თვის მონაცემებს. საკვლევი მედია ავირჩიეთ მათი მაღალი რეიტინგის გამო, რასაც მოწმობს Top.ge-ს მიხედვით უნიკალური მომხმარებლების დიდი რაოდენობა. საკვლევად ბოლო ექვსი თვის მონაცემების აღება განაპირობა ჩვენმა სურვილმა, რომ უახლოეს მონაცემებზე დაყრდნობით აღმოგვეჩინა გაშუქების ტენდენციები და შეგვემუშავებინა ადეკვატური რეკომენდაციები.

ჰიპოთეზა : ქართული მედიისთვის პრიორიტეტს არ წარმოადგენს გარემოს დაცვასთან და ეკოლოგიასთან დაკავშირებული საკითხები. სარედაქციო პოლიტიკა განსაზღვრულია გარემოსდაცვითი სფეროს მოკლე და მოვლენური გაშუქებით. ჟურნალისტები არ იყენებენ მათ ხელთ არსებულ ზოგჯერ სასიცოცხლო მნიშვნელობის ინფორმაციას გარემოსდაცვით სფეროში არაკეთილგონივრულად გადადგმული ნაბიჯების შესახებ და ამით მოქალაქეებს ართმევენ არჩევანის უფლებას.

კვლევის მეთოდი :

კვლევისას გამოვიყენეთ რაოდენობრივი და თვისობრივი კონტენტ-ანალიზი, მიღებული შედეგები შევადარეთ ერთმანეთს. კონტენტ-ანალიზის გამოყენებით გამოვიკვლიეთ გაშუქებული მასალების კონტენტი და გავანალიზეთ მათი შესაძლო ეფექტები. რაოდენობრივი კონტენტანალიზის მეშვეობით გამოვიკვლიეთ ონლაინ-მედიაში გაშუქებული მასალების რაოდენობა, სიხშირე და მიღებული შედეგებით განვსაზღვრეთ თემის პრიორიტეტულობა მათთვის. თვისობრივი კვლევის მეთოდით გამოვიკვლიეთ ტონი, თემებისა და წყაროების მრავალფეროვნება და ჟურნალისტის ობიექტურობა. კვლევის შედეგების უკეთ გასაანალიზებლად დავეყრდენით ფრეიმინიგის თეორიას.

კვლევის მეთოდად გამოვიყენეთ სიღრმისეული ინტერვიუც, რათა გაგვეგო გარემოსდაცვითი ჟურნალისტიკის არაპრიორიტეტულობის მიზეზები და გამოგვეჩვენა თუ რა პრობლემებს აწყდებიან ჟურნალისტები საკითხზე მუშაობისას. სიღრმისეული ინტერვიუს მეთოდით გამოვიკითხეთ გარემოსდაცვით და ეკოლოგიურ თემაზე მომუშავე 6 პირი.

საკვლევი კითხვები :

- 1) რა ტიპის გარემოსდაცვითი საკითხები შუქდება ძირითადად, ქართულ ონლაინ-მედიაში?
- 2) გარემოსდაცვით ან ეკოლოგიურ საკითხები მოვლენურად შუქდება თუ სტაბილური პერიოდულობით?
- 3) საკითხების გაშუქების დროს გათვალისწინებულია თუ არა პრობლემის გავრცელების გეოგრაფიული არეალი?
- 4) რა ტიპის პრობლემებს აწყდებიან ჟურნალისტები გარემოსდაცვით და ეკოლოგიური საკითხებზე მუშაობისას?

თავი 1. ლიტერატურის მიმოხილვა

გარემოსდაცვითი ჟურნალისტიკა დასავლეთ ევროპაში 1970 წლების შემდეგ გაჩნდა, რაც ევროპაში ინდუსტრიული რევოლუცია დაიწყო და გარემოსდაცვითი საკითხების მიმართ ყურადღების გამახვილება აუცილებელი გახდა. ცნობილი პრესიდან , საკითხების ერთ–ერთი აქტიური წამომწევი გერმანული „ შპიგელი“ იყო, რომლის ყდაზეც 1961 წელს გაჩნდა ქავერი „ ქალაქი სმოგში“, სადაც საუბარი იყო ინდუსტრიული გიგანტი ფაბრიკების გამონაბოლქვით ქალაქის დაბინძურებაზე.

ერთ–ერთი პიონერი, ვინც გარემოსდაცვითი, ცხოველთა უფლებების, ქალაქების დაბინძურების, სახეობათა კონსერვაციის თემა წამოსწია, გერმანელი ზოოლოგი, კონცერვაციონისტი და რეჟისორი ბერნარდ გრზიმეკი გახლდათ.

1981 წელს შპიგელის ყდაზე მოხვდა თემა „ ტყეები სიკვდილის პირას“, სადაც საუბარი იყო ტყეების მასობრივ დეგრადაციაზე.

1986 წელს „ შპიგელის“ ყდაზე მოხვდა თემა; „ კლიმატური კატასტროფა –კიოლნის კათედრალი წყლის ქვეშ“. ეს სტატია წინასწარმეტყველებდა , რომ კლიმატური ცვლილება იმდენად მასშტაბური იყო, რომ მალე ევროპა წყლით დაიფარებოდა. კიოლნის კათედრალზე ყურადღება სპეციალურად იყო გამახვილებული: კულტურული ცენტრის ხსენება სხვა ემოციებს გამოიწვევდა მკითხველში. ამ სტატიას ბევრი კრიტიკა მოჰყვა: იყო თუ არა ეს გადაჭარბება და იყო თუ არა საჭირო საკითხების ასე გაბუქება?

თანამედროვე გაგებით, გარემოსდაცვითი ჟურნალისტიკა წარმოადგენს მოვლენებისა და ტენდენციების გამორკვევას, გადამოწმებას და მიწოდებას აუდიტორიისთვის, ამასთან ეს მოვლენები დაკავშირებული უნდა იყოს ადამიანის იმ სამყაროსთან,რომელზეც ადამიანები ურთიერთქმედებენ. ამ შემთხვევაში სამყაროში მოვიაზრებთ გარემოს. გარემოსდაცვითი ჟურნალისტიკა გარემოსდაცვითი კომუნიკაციის ფარგლებშია ,თუმცა ხშირად კამათობენ იმაზე, თუ რას მოიცავს და გულისხმობს სინამდვილეში გარემოსდაცვითი ჟურნალისტიკა, არის ის ცალკე დისციპლინა თუ დისციპლინების ერთობაა . დაობენ იმაზეც , რამდენად სწორია

გარემოსდაცვით თემებზე მომუშავე ჟურნალისტებს მოვთხოვოთ სხვა კომპეტენციები, როცა ისინი უბრალოდ ბუნებაზე წერენ.

გარემოსა და ბუნების სინონიმებად გამოყენებას ეცადა ამერიკელი ეკოჟურნალისტი თომას ლონი თავის წიგნში „ეს შეუდარებელი მიწა“, სადაც მან შემოიტანა ახალი ტერმინი : „ბუნებთა ტიპოლოგია“, რათა გარემოსდაცვითი ჟურნალისტიკისთვის განსხვავებული განმარტება მიეცა. ის წერს: „ ბუნებაზე წერას აქვს სამი ძირითადი განზომილება: ბუნებრივი ისტორიის ინფორმაცია, ბუნების პასუხები და ბუნების ფილოსოფიური ინტერპრეტაცია“. იქვე დასძენს, რომ ბუნებაზე წერისას ჟურნალისტის ტვირთი ბუნების ფაქტორებისადმი მიძღვნილი მითითებებია. იგივე საკითხზე ჯონ ბარსოსი თვლის, რომ ბუნებაზე წერისას წერილობით ჩარჩოს განსაზღვრავს ჟურნალისტის უშუალო კონტაქტი . ყველაზე ნათლად ბუნების ტერმინის ქვეშ გარემოსა და ეკოლოგიური ჟურნალისტიკის გაერთიანებს ხსნის ნორტონი თავის წიგნში : „ბუნებაზე წერა“ . ნორტონის აზრით, გარემოსდაცვითი და ეკოლოგიური თემები იმდენად კომპლექსურია და მოიცავს ისეთი საკითხების გაშუქების სპექტრს, როგორცაა გარემოსდაცვითი ნარატივები, გარემოს შენარჩუნება, ბუნებრივი რესურსების მდგრადი გამოყენება, ბიოლოგიური მრავალფეროვნება, გარემოსდაცვითი მართლმსაჯულება, რომ სამართლიანია მათი ერთი და მაშტაბური ტერმინს ქვეშ გაერთიანება.

გარემოს დაცვით და ეკოლოგიურ საკითხებზე მომუშავე ჟურნალისტების „ბუნების აღმწერლებად“ მოხსენიებას არ ეთანხმებიან ამერიკის ველური ბუნების დაცვის ნაციონალურ ფედერაციაში. „ გარემოსდაცვითი ჟურნალისტიკა აშუქებს საკითხებს, რაც დაკავშირებულია გარემოსდაცვით პრობლემებზე. ეს მოიცავს პლანეტის ყველაზე მნიშვნელოვან საკითხებს ,

როგორებიცაა ცხოველები, ფრინველები, ჰაბიტატები, ეკოსისტემები, ასტომსფერო, წყალი და კლიმატი და აღწერენ იმ მიზეზ–შედეგობრივ კავშირებს,თუ რა მდგომარეობაშია ეს რესურსები ადამიანების ზემოქმედების შედეგად. ეს ბევრად მეტია, ვიდრე უბრალოდ ბუნებაზე წერა“.

გარემოსდაცვითი და ეკოლოგიურ საკითხებზე მომუშავე ჟურნალისტების ცალკე ნიშაში მოქცევას უჭერს მხარს ცნობილი ბლოგერი –დევიდ რობერტსიცი. მისი აზრით,

გარემოსდაცვითი ჟურნალისტიკა შეგვიძლია ეკოლოგიის მეცნიერებების „ქვედანაყოფად“ ჩავთვალოთ, რადგან დარგში მომუშავე ჟურნალისტებს ხშირი შეხება აქვთ დაბინძურებულ ეკოსისტემასთან და იკვლევენ მიზეზებს და ეძებენ მოგვარების გზებს. „ტრადიციული ჟურნალისტიკისგან განსხვავებით, გარემოსდაცვითი ჟურნალისტიკა ბევრად რთულია,–წერს ის. „ გარემოსდაცვით და ეკოლოგიურ საკითხებზე მომუშავე ჟურნალისტები განგამის ზარს შემოჰკრავენ და ყოველდღიურად ამცნობენ სამყაროს მრეწველობის საფრთხეების შესახებ. აუდიტორიამ იცის რომ არსებობს პრობლემები, მაგრამ ჟურნალისტების გარეშე უჭირს რისკების განსაზღვრა“. მისი აზრით, თუ გავითვალისწინებთ გარემოსდაცვითი საკითხების გაშუქების აუცილებლობას, გავაცნობიერებთ რომ გარემოსდაცვითი საკითხების აქტუალიზებით ჟურნალისტები არამხოლოდ აღწერენ, არამედ ზრუნავენ გარემოზე. ბლოგერის აზრით, აღწერა რიგ შემთხვევებში უტოლდება ზრუნვას. ის ასევე აღნიშნავს მედიის სუსტ სარედაქციო პოლიტიკას და ეკოლოგიური და გარემოსდაცვითი საკითხების არაპრიორიტეტულობას სხვა საკითხებთან შედარებით. „მკითხველს ურჩევნია წაიკითხოს ავტომანქანაზე, ვიდრე ავტომანქანის მიერ მიყენებულ ზიანზე“. მისი აზრით, გარემოსდაცვით დაინტერესებულ მედიას სულ უწევს გადარჩენისთვის ბრძოლა. მათ უნდა დააინტერესონ როგორც აუდიტორია, ისე რეკლამის დამკვეთები. „კლიმატის ცვლილება, როგორც ალარმისტული ამბავი, სწორედ გარემოსდაცვით სფეროზე მომუშავე ჟურნალისტებმა გახადეს. კლიმატის ცვლილება არ არის მხოლოდ „ნიუსი“, ეს არის თანამედროვე ცივილიზაციის გამოწვევა, რომელიც გავლენას ახდენს მომავალზე და მას სფეროში კარგად გარკვეული ჟურნალისტის კვლევა–გამომიება სჭირდება“.

განსხვავებულია პენსილვანიის უნივერსიტეტის პროფესორის, ნეილ შიფრინის აზრი გარემოსდაცვით ჟურნალისტიკასთან დაკავშირებით. ის თვლის, რომ მიუხედავად გარემოსა და ეკოლოგიური პრობლემების ფართო სპექტრისა, ნებისმიერ პირს შეუძლია აუდიტორიისთვის თემის ახსნა და მიწოდება გასაგებ ენაზე და ამისათვის სულაც არ არის საჭირო სპეციალიზაცია. „გარემოსდაცვით თემაზე შეუძლია წეროს როგორც ჟურნალისტი, ისე მწერალმაც. ორივე მათგანს შეუძლიათ წერონ ენერჯიაზე, ტექნოლოგიებზე, ველურ ბუნებასა თუ მრეწველობის ტენდენციებზე. კონკრეტულ

სივრცეში კონკრეტული პრობლემის იდენტიფიცირებას ისინი ერთნაირი წარმატებით გაართმევენ თავს” –აბობს ნეილ შიფრინი.

გარემოსდაცვით და ეკოლოგიურ საკითხებზე მომუშავე ჟურნალისტების გამიჯვნაზე სკეპტიკურად განწყობილი მკვლევარების მიუხედავად, ფაქტი სახეზეა. გარემოსდაცვითმა და ეკოლოგიურმა საკითხებმა ეტაპობრივად განავითარა ახალი დარგი–ეკოლოგიური ჟურნალისტიკა . ამას მოწმობს უამრავი „მწვანე” ჟურნალ–გაზეთი თუ სხვა მედიუმი. შეიქმნა ეკოჟურნალისტთა საზოგადოებები და ორგანიზაციები. საერთაშორისო არასამთვარო ორგანიზაცია „სინგაპურის გარემოს დაცვის საბჭო “ გასცემს სპეციალურ პრემიას ჟურნალისტებისთვის,რომელმაც აზიის რეგიონში არსებულ გარემოსდაცვით პრობლემებს აშუქებენ.

გთავაზობთ ამერიკელი ეკოჟურნალისტის ბეტი პარკის რეკომენდაციებს გარემოსდაცვით საკითხებზე მომუშავე ჟურნალისტებისთვის მისივე წიგნიდან : „ 10 გზა ჟურნალისტური პრემიის მოსაგებად” :

- ეფექტურად დასვით შეკითხვები
- დაიცავით ფაქტების სიზუსტე და გადაამოწმეთ ინფორმაცია.
- სიღრმისეულად ასახეთ მოვლენები, ჩაწერეთ გარემოსდაცვითი სფეროს ექსპერტები
- გასაგებად ახსენით გარემოსდაცვითი ტერმინოლოგია, რომ მედიუმის მომხმარებლებისთვის რამე გაუგებარი არ დარჩეს
- გამოიყენეთ სტატისტიკა, შეადგინეთ ინფორმაციული გრაფიკები
- ყოველთვის დაიცავით ჟურნალისტური სტანდარტები და ღირებულებები

თავი 2. ეკოლოგიისა და გარემოს დაცვის პოლიტიკური ასპექტები

გარემოს დაცვა და ეკოლოგია დიდი ხანია დაკავშირებულია მსოფლიო ეკონომიკურ და ინდუსტრიულ გადაწყვეტილებებთან, მეტიც, მათი პირდაპირპროპორციულია. გლობალურ საფრთხეები, რომელთა აღმოფხვრაზეც მსოფლიო საზოგადოებამ უნდა იზრუნოს ექვს კლასტერადაა დაყოფილი და მათგან ერთ-ერთია გარემოს დეგრადაცია, რომელიც განხილულია სიღარიბესთან და ინფექციურ დაავადებებთან კავშირში.

გარემოს დეგრადაცია შეიძლება განიმარტოს, როგორც ადამიანის საქმიანობის შედეგად ბიოსფეროსთვის მიყენებული ზარალი. ბუნებას შეუძლია რესურსების განახლება და ხელახალი შევსება, თუმცა თანამედროვე ეპოქაში, რომელშიც ვცხოვრობთ, ადამიანები იმაზე სწრაფად მოიხმარენ ბუნებრივ რესურსებს, ვიდრე შევსება/განახლება მოესწრებოდეს. მეცნიერების აზრით, ადამიანები სამი მიმართულებით ახდენენ ზეგავლენას გარემოზე.

1. დედამიწის ზედაპირი

მიწათმოქმედებამ და რესურსების გამოყენებამ ყინულისგან თავისუფალი ხმელეთის ნახევარი გარდაქმნა

2. აზოტის ციკლი

ყოველწლიურად ადამიანის საქმიანობა იწვევს მიწაში მეტი რაოდენობით აზოტის დაგროვებას, ვიდრე ეს ბუნებრივი და ფიზიკური პროცესების დროს ხდება.

3. ატმოსფერული ნახშირბადის ციკლი

ჩვენი ასწლეულის შუა პერიოდისთვის ადამიანის მიერ წიაღისეული საწვავის უხვი მოხმარების შედეგად, ატმოსფეროში ნახშირბადის გამოყოფა გაორმაგდა.

ადამიანის მიერ მოხდენილი ზემოქმედება გარემოსა და ეკოლოგიაზე მძიმე შედეგებით აისახება და ამას მოწმობს ბიომრავალფეროვნების შემცირება, კლიმატის ცვლილება, ინფექციური და სხვა სახის დაავადებების მქონე მოსახლეობის გაზრდილი

პროცენტული მაჩვენებლი. სანამ პრობლემების არსებობის პოლიტიკურ ხასიათს მიმოვიხილავდე, ბიომრავალფეროვნების შემცირების მიზეზებს გამოვყოფ, როგორც ცხად შედეგს არასწორი პოლიტიკური გადაწყვეტილებებისა.

ბიომრავალფეროვნების შემცირებას იწვევს შემდეგი ძირეული მიზეზები:

1. მოსახლეობის სიღარიბე, რაც ადამიანებს ბუნებრივი რესურსების არამდგრადი გამოყენებისკენ უბიძგებს ენერჯის, საკვებისა თუ ფინანსური სარგებლის მისაღებად ;

2. ადამიანის მიმტაცებლური და უპასუხისმგებლო ქმედებები, რაც გულისხმობს ბუნებრივი რესურსების გამოყენებას და ბუნებისადმი ზიანის მიყენებას მოსალოდნელი შედეგების სრული უგულვებელყოფის პირობებში;

3. ადამიანების დაბალი ცნობიერება და საკუთარი ქმედების უარყოფითი ზეგავლენის გაუცნობიერებლობა.

ყველა ზემოთჩამოთვლილი მიზეზი და მათი შეგდები პირდაპირ კავშირშია არასწორ პოლიტიკასთან, რაც გულისხმობს პოლიტიკის დოკუმენტებსა და სტრატეგიებში გარემოსდაცვითი და ეკოლოგიური საკითხების არასწორად და არაადეკვატურად ასახვას და გაუმართლებელ საკანონმდებლო ნორმებს ბიოლოგიური რესურსების რეგულირების სფეროში.

გაუმართლებელი საკანონმდებლო ღიაობა სწრაფად იზიდავს ეკონომიკურად მომგებიან პროექტებსა და ინვესტიციებს, მაგრამ მათი გრძელვადიანი შედეგი მძიმე სურათის მომტანია. როცა გარემოზე შემოქმედების მომტან პოლიტიკურ გადაწყვეტილებებზე ვსაუბრობთ, უნდა გავიაზროთ საკითხის სპეციფიურობა და შესაბამისად განვსაჯოთ პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიმღები პირები.

გარემოსდაცვით და ეკოლოგიურ პრობლემებს განაპირობებს არასწორი ურბანული განვითარება, ნარჩენების გამოუყენებლობა, ჭარბი თევზჭერა და ნადირობა, სამრეწველო დაბინძურება და ა.შ. თუმცა მეორე მხრივ, როცა მოსახლეობა სულ უფრო იზრდება და ეკონომიკა სუსტდება, პოლიტიკური არჩევანის გაკეთება რთულია. უფრო სწორედ, პოლიტიკური არჩევანი არჩევანზე მეტად უალტერნატივო გზადაა დასახული გადასარჩენად.

ეკოლოგისტები აკრიტიკებენ ყველა არგუმენტს, რომელიც გარემოზე ზემოქმედების მომხდენ პოლიტიკურ გადაწყვეტილებას ეხება. მწვანეთა პარტიების ჩამოყალიბება და საერთოდ ეკოლოგიზმის პოპულარიზაცია დიდწილად განაპირობა ქვეყნების ინდუსტრიალიზაციამ.

2.1 მწვანე პოლიტიკა.

პირველ ეკოლოგიურ პოლიტიკურ პარტიად დასავლეთ ავსტრალიის გაერთიანებული ტასმანიის ჯგუფი ჩამოყალიბდა 1972 წლის მარტში. თუმცა მათ მიიღეს მხოლოდ 3%-იანი მხარდაჭერა საპარლამენტო არჩევნებში და ვერ მიაწლიეს თავიანთ მიზანს, რომ დაეცვათ პედერის ტბა. მიუხედავად ამისა, მათ იმპულსი მისცეს მწვანეთა პარტიების ფორმირებას მსოფლიოში. მათი წესდების მიხედვით, ჯგუფი წარმოადგენს:

1. გადარჩენისთვის მებრძოლი გლობალური მოძრაობის ნაწილს;
2. იღწვის ადამიანის ღირსებისა და კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნებისთვის და უარყოფს შეხედულებას, რომ ადამიანებს აქვთ უფლება მოიხმარონ ყველა ტიპის ბუნებრივი რესურსები ყველა საშუალებებით;
3. გაერთიანებულია ახალი ეთიკური ნორმით, რომელიც აერთიანებს ადამიანებს ბუნებასთან, რათა არ მოხდეს დედამიწის სასიცოცხლო სისტემების კოლაფსი.

გაერთიანებული ტასმანიის ჯგუფის და მისი პრინციპების ჩამოყალიბებას ხელი შეუწყო მასაჩუსეტის ტექნოლოგიური ინსტიტუტის ანგარიშმა „ზრდის ლიმიტები“ Limits to Growth, რომელიც კომპიუტერული მოდელების მეშვეობით ამტკიცებდა რომ თუ არ მოხდება არსებული ეკონომიკური ზრდის შეჩერება ეკოლოგიური კატასტროფა გარდაუვალია. 1973 წელს ნავთობის კრიზისმა ხელი შეუწყო ამ იდეების გავრცელებას. ამავე წელს დიდ ბრიტანეთში გამოქვეყნდა სახელმძღვანელო გადარჩენისთვის, „Blueprint for Survival“ და გამოიწვია ფართო საზოგადოებრივი დებატები. შედეგად, წლის მიწურულს ჩამოყალიბდა ბრიტანეთის მწვანეთა პარტია. დღეს პარტიას ჰყავს საკმაოდ გავლენიანი წევრები ევროპარლამენტში და ადგილობრივ დონეზე, საკრებულოებში, მათ შორის დედაქალაქშიც.

საფრანგეთისა და გერმანიის მწვანეებმა პარტიების ერთ-ერთ მთავარ პრინციპს ეკონომიკური ზრდის ლიმიტები წარმოადგენდა. საფრანგეთში, მწვანეების საპრეზიდენტო კანდიდატ ირენ ედიუმონტი სწორედ ამ დღის წესრიგს წარმოაჩენდა 1974 წლის საარჩევნო კამპანიაში. თუმცა საფრანგეთსა და გერმანიაში მწვანეთა პარტიების მკვეთრი პოპულარობა, ისევე როგორც სხვა დასავლეთ ევროპის ქვეყნებში, სამოცდაათიანი წლები ანტიბირთვულმა კამპანიებმა განსაზღვრა. მწვანეები თავს მოიაზრებდნენ, როგორც გლობალური საპროტესტო კამპანიის საარჩევნო ფრთას. აღსანიშნავია, რომ გერმანელმა მწვანეებმა 80-იანი წლების არჩევნებში გაიმარჯვეს არა როგორც ფორმალურმა პარტიამ, არამედ როგორც სოციალური მოძრაობის წარმომადგენლებმა. გერმანიის რადიკალ-მემარცხენეებმა, რომლებიც პოლიტიკურ სცენაზე სამოციანი წლების ბოლოს გამოჩნდნენ, უზრუნველყვეს გერმანიის მწვანეთა პარტია წამყვანი ფიგურებით, მათ შორის, პარტიის მომავალი ლიდერთ- იოშკა ფიშერთ.

1968 წლის პარიზის მოვლენებმა, როდესაც სტუდენტმა დემონსტრატებმა იერიში მიიტანეს მომხმარებლობით შეპყრობილ საზოგადოებაზე, ასევე შეასრულა თავისი როლი მწვანე პოლიტიკის ფორმირებაში.

თანამედროვე გარემოსდაცვითი მოძრაობა სათავეს იღებს მე-20 საუკუნის 50, 60 და 70-იან წლებში, რასაც სათავე დაუდო რამოდენიმე ინციდენტმა, რომელმაც მნიშვნელოვნად გაზარდა საზოგადოების გარემოსდაცვითი ცნობიერება. ეს იყო როგორც კალიფორნიის სანაპიროსთან კატასტროფულმა ნავთობის დაღვრა, ასევე ატომური იარაღის გამოცდის შედეგები, დიდი ქალაქების ატმოსფერული ჰაერის კატასტროფულმა დაბინძურება, ფერმებისა და ტყეების განადგურება ქალაქების ზრდის ხარჯზე და ა.შ.

63 წელს ქვეყნდება მეცნიერის რეიჩელ კარსონის წიგნის „მდუმარე გაზაფხული“, რომელმაც ფაქტობრივად რევოლუციური წვლილი შეიტანა თანამედროვე გარემოსდაცვითი მოძრაობის ჩამოყალიბებაში. კარსონმა მოახერხა, უკვე არსებული ფაქტების საფუძველზე თვალნათლივ ეჩვენებინა, რომ ბიოსფეროში მოხვედრის შემდეგ პესტიციდი DDT არამხოლოდ კლავს „მავნებელ მწერს“, არამედ ხვდება

საკვების ჯაჭვში, რის შედეგადაც იწამლება არამხოლოდ ჩიტი და თევზი, არამედ ბავშვებიც.

60-იანი წლების კონტრ-კულტურაც იქცა როგორც მწვანეთა პარტიების პოლიტიკის, ასევე უფრო ფართოდ მწვანე მოძრაობის იდეოლოგიის ნაწილი. კონტრ-კულტურა ეყრდნობოდა ისეთ რადიკალურ მოაზროვნეებს, როგორებიც იყვნენ ჰერბერტ მარკუსი და ერიხ ფრომი- ფრანკფურტის სკოლიდან. კონტრ-კულტურა გმობს კაპიტალიზმს არამხოლოდ მუშათა ექსპლუატაციის გამო, არამედ იმიტომაც რომ ის ახდენს ადამიანის დეჰუმანიზაციას, აყალიბებს მას როგორც პასიურ მომხმარებელს, რომელიც აბინძურებს გარემოს. კონტრ-კულტურის სხვა წარმომადგენელებს, მაგ. ალდოს ჰექსლის და ჰერმან ჰესეს, ასევე ჰქონდათ გავლენა მწვანე პოლიტიკის ჩამოყალიბებაზე. ჰექსლის რომანი, „უტოპია კუნძული“ წარმოადგენს გარკვეული თვალსაზრისით მწვანე სახელმძღვანელოს, რომელიც ასახავს საზოგადოებრივი განვითარების მრავალ ასპექტს, მათ შორის განათლების, სულიერების, ოჯახის და სხვა.

ჩარლზ რეიჩის წიგნმა, „ამერიკის გამწვანება“ (The Greening of America), და თეოდორ ეროზაკის „სად მთავრდება ნაგავსაყრელი“ (Where the Wasteland Ends Theodore Roszak's) ასევე მნიშვნელოვანი როლი ითამაშა მწვანეთა მოძრაობის ჩამოყალიბებაში.

თანდათანობით ჩამოყალიბდა ე.წ. „ მწვანე ფილოსოფია“, რომლის თანახმად, ადამიანის და სხვა ბუნების შვილთა სიცოცხლე და კეთილდღეობა დედამიწაზე, თავისთავად ღირებულებაა. ეს ფასეულობები მნიშვნელოვანია იმისდა მიუხედავად , თუ რა სარგებლობა მოაქვს დედამიწას და მის რესურსებს კაცობრიობის მიზნებისთვის. შესაბამისად, კაცობრიობას არა აქვს უფლება გაანადგუროს დედამიწაზე არსებული რესურსების (როგორც ბიოლოგიური, ასევე არაბიოლოგიური) მრავალფეროვნება საკუთარი სასიცოცხლო მიზნების დაკმაყოფილებისთვის. მწვანეებს მიაჩნიათ, რომ მათ უნდა შეუწარმოებინონ მომავალ თაობებს დედამიწაზე არსებული მრავალფეროვნება. ამასთან, მწვანეთა განმარტებით, მოქალაქეებს უნდა ჰქონდეთ უფრო მეტი წონა მნიშვნელოვანი საკითხებისა და პრობლემების გადაწყვეტის დროს.

როგორც ვხედავთ, მავნე პოლიტიკური გადაწყვეტილებების თვალყურის მისაღწევებად და მწვანე პოლიტიკის გასატარებლად შეიქმნა მწვანეთა პარტიები. ამ

მხრივ გამორჩეული მეოცე საუკუნის 70–80 –იანი წლები იყო, როცა მწვანეთა პარტიებმა შეძლეს ისეთი თემის დღის წესრიგში დაყენება, როგორცაა ატომურ ენერჯიასთან დაკავშირებული რისკები.

1989 წლიდან საქართველოშიც შეიქმნა მწვანეთა პარტია, რომლის ძირითადი პრინციპებია: ეკოლოგია, დემოკრატია, არამალადობა და მიზნად ისახავს ისეთი საზოგადოების შექმნას, რომელშიც „ყოველი ადამიანი უზრუნველყოფილ იქნება ჯანსაღი, სუფთა და უსაფრთხო გარემოთი, რომელიც ჰარმონიულად შეუხამებს ურთიერთს ამჟამინდელი და მომავალი თაობების ინტერესებსა და მოთხოვნილებებს; საზოგადოება, რომელიც ორიოდ ათწლეულში არ ამოწურავს საუკუნეებისთვის განკუთვნილ რესურსებს; რომელშიც ადამიანი კი არ იარსებებს სახელმწიფოსთვის, არამედ სახელმწიფო – ადამიანისათვის; სადაც ყოველ მოქალაქეს ექნება საკუთარი შესაძლებლობების სრულად გამოვლენის საშუალება; საზოგადოება, რომლისთვისაც თითოეული ადამიანის სიცოცხლე უდიდესი ფასეულობა იქნება”. პარტია დღეს სრულიად უფუქციოა.

თავი 3. საქართველო და მრავალხმრივი გარემოსდაცვითი ხელშეკრულებები

საქართველომ 1993 წლიდან დაიწყო მრავალხმრივი გარემოსდაცვითი ხელშეკრულებების რატიფიცირება და დღევანდელი მდგომარეობით, უკვე 32 გლობალური და რეგიონული ხელშეკრულების (კონვენცია, ოქმი, შეთანხმება) მხარე ქვეყანას წარმოადგენს.

წარმოგიდგენთ ყველაზე მნიშვნელოვან მრავალხმრივ გარემოსდაცვით ხელშეკრულებებს, რომელთა მხარეც არის საქართველო.

#	ტიპი	დასახელება	მიღების ადგილი და თარიღი	რატიფიცირებ ა (Ra)/შეერთება (Ac)	ძალაში შესვლა(საქართველო)
1	კონვენცია	შავი ზღვის დაბინძურებისგან დაცვის კონვენცია	ბუქარესტი 1992წ.	1993წ.(Ra)	1994წ
1.1	ოქმი	შავი ზღვის დაბინძურებისგან დაცვის კონვენციის ოქმი შავი ზღვის ბიომრავალფეროვნებისა და ლანდშაფტების შენარჩუნების შესახებ	ბუქარესტი 1992 წ	2009 (Ra)	ოქმი ძალაში არ არის
1.2	ოქმი	ხმელეთზე განლაგებული	ბუქარესტი 1992 წ	1993 (Ra)	ოქმი ძალაში არ არის

		წყაროებისა და საქმიანობებით გამოწვეული შავი ზღვის გარემოს დაბინძურებისგან დაცვის ოქმი			
1.3	ოქმი	შავი ზღვის დაბინძურებისგან დაცვის კონვენციის ოქმი დამპინგით გამოწვეული შავი ზღვის გარემოს დაბინძურებისგან დაცვის შესახებ	ბუქარეს ტი 1992 წ	1993 (Ra)	1993 წ.
1.4	ოქმი	შავი ზღვის დაბინძურებისგან დაცვის კონვენციის ოქმი ავარიულ შემთხვევებში შავი ზღვის გარემოს ნავთობითა და სხვა სახიფათო ნივთიერებებით დაბინძურების თავიდან აცილების მიზნით თანამშრომლობის შესახებ	ბუქარეს ტი 1992 წ	1993 (Ra)	1994 წ
2	კონვენცია	კონვენცია ბოლოგიური	რიო–დეჟანეი	1994 (Ac)	1994წ

		მრავალფეროვნების შესახებ	რო 1992 წ		
2.1	ოქმი	ბიოლოგიური მრავალფეროვნების კონვენციის ბიოუსაფრთხოების კარტახენას ოქმი	კარტახენა 2000 წ	2008 (Ac)	2009წ
3	კონვენცია	გაეროს კლიმატის ცვლილების ჩარჩო კონვენცია	ნიუ-იორკი 1992 წ	1994წ (Ac)	1994წ
3.1	ოქმი	კიოტოს ოქმი	კიოტო 1997წ	1999 წ (Ac)	2005წ
4	კონვენცია	ოზონის შრის დაცვის შესახებ	ვენა 1995	1995(Ac)	1996წ
4.1	ოქმი	ოქმი ოზონის შრის დამშლელ ნივთიერებათა შესახებ	მონრეალი 1987	1995 (Ac)	1997წ
5	კონვენცია	კონვენცია გადაშენების პირას მყოფი ველური ფაუნისა და ფლორის სახეობებით საერთაშორისო ვაჭრობის შესახებ	ვაშინგტონი 1973წ	1996წ(Ac)	1996წ
6	კონვენცია	კონვენცია საერთაშორისო მნიშვნელობის	რამსარი 1971 წ	1996წ(Ac)	1997წ

		ჭარბტენიანი, განსაკუთრებით წყლის ფრინველთა საბინადროდ ვარგისი ტერიტორიების შესახებ			
7	კონვენცია	შორ მანძილებზე ჰაერის ტრანსასაზღვრო დაბინძურების კონვენცია	ჟენევა 1979წ	1999წ(Ac)	1999 წ
7.1	ოქმი	შორ მანძილებზე ჰაერის ტრანსასაზღვრო დაბინძურების კონვენციის ოქმი გავრცელების მონიტორინგისა და შეფასების ერთობლივი პროგრამის გრძელვადიანი დაფინანსების შესახებ	ჟენევა 1984წ	2012 წ(Ac)	2013 წ
8	კონვენცია	კონვენცია სახიფათო ნარჩენების	ბაზელი 1989	1999 (Ac)	1999 წ

		ტრანსსასაზღვრო გადაზიდვისა და განთავსების შესახებ			
9	კონვენცია	გაეროს კონვენცია გაუდაბნოების წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ	პარიზი 1994 წ	1999 (Ra)	1999წ
10	კონვენცია	კონვენცია ველური ცხოველების მიგრირებად სახეობათა დაცვის შესახებ	ბონი 1979წ	2000წ(Ac)	2000წ
10. 1	შეთანხმება	შეთანხმება შავი ზღვის, ხმელთაშუა ზღვისა და მიმდებარე ატლანტის ოკეანის მცირე ვეშაპისებრთა დაცვის შესახებ	მონაკო 1996წ	2001(Ra)	2001წ
10. 2	შეთანხმება	შეთანხმება აფრიკა– ევრაზიის მიგრირებადი წყლის ფრინველთა დაცვის შესახებ	ჰააგა 1999წ	2001(Ra)	2001წ
10. 3	შეთანხმება	შეთანხმება ევროპის ლამურების პოპულაციების დაცვის შესახებ	ლონდონ ი 1991 წ	2001 (Ra)	2002წ

11	კონვენცია	კონვენცია გარემოსდაცვით საკიტხებთან დაკავშირებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის ,გაადწყვეტილების მირების პროცესში საზოგადოების მონაწილეობის და ამ სფეროში მართმსაჯულების საკიტხებზე	ორჰუსი 1998წ	2000(Ra)	2001წ
12	კონვენცია	გაეროს კონვენცია მდგრადი ორგანული დამბინძურებლების შესახებ	როტერდ ამი 1998წ	2006წ(Ac)	2007წ
13	კონვენცია	როტერდამის კონვენცია ცალკეული საშიში ქიმიური ნივთიერებებითა და პესტიციდებით საერთაშორისო ვაჭრობის სფეროში წინასწარი დასაბუტებულიტან ხმობის	როტერდ ამი 1998წ	2006წ (Ac)	2007წ

		პროცედურის შესახებ			
14	კონვენცია	ევროპის ველური ბუნებისა და ბუნებრივი ჰაბიტატების დაცვის კონვენცია	ბერნი1979წ	2008წ(Ac)	2010წ
15	კონვენცია	ევროპის ლანდშაფტური კონვენცია	ფლორენცია2000წ	2010(Ra)	2011 წ
16	შეთანხმება	შეთანხმება საქართველოს რესპუბლიკისა და ატომური ენერჯის საერთაშორისო სააგენტოს „ბირთვული იარაღის გაუვრეცელობლობის შესახებ ხელშეკრულებასთან დაკავშირებით	ვენა 1997წ	2003წ(Ra)	2003წ
17	კონვენცია	კონვენცია ბირთვული ნივთიერებების ფიზიკური დაცვის შესახებ	ვენა და ნიუ-იორკი 1980წ	2006(Ac)	2007წ
18	კონვენცია	გაერთიანებული კონვენცია	ვენა 1997წ	2009წ (Ac)	2009წ

		გამოყენებულ საწვავთან მოპრობის უსაფრთხოებისა და რადიოაქტიურ ნარჩენებთან მოპრობის უსაფრთხოების შესახებ			
19	კონვენცია	კონვენცია ბირთვული ავარიის შემთხვევაში ადრეული შეტყობინებების შესახებ	ვენა 1986 წ	2010წ(Ac)	2010წ

ყველაზე მნიშვნელოვანი ამ მიმართულებით არის საქართველო-ევროკავშირის შორის გაფორმებული ასოცირების შესახებ შეთანხმება, რომელსაც ხელი 2014 წელს მოეწერა. აღნიშნულ შეთანხმებაში გარემოს დაცვას დიდი ყურადღება ექცევა. გარემოსდაცვითი ვალდებულებების ჩამონათვალი ერთ-ერთი ყველაზე მოცულობითია სექტორულ მიმართულებებს შორის. ძირითადი გარემოსდაცვითი ვალდებულებები შეთანხმების სამ თავშია წარმოდგენილი. პირველი, ეს არის „გარემოს დაცვის თავი“, რომელიც მოიცავს შვიდ დარგობრივ მიმართულებას:

- გარემოსდაცვითი მმართველობა
- ჰაერის ხარისხი
- წყლის ხარისხი
- ნარჩენების მართვა

- ბუნების დაცვა
- სამრეწველო დაბინძურება და სამრეწველო საფრთხეები
- ქიმიური ნივთიერებების მართვა

ცალკე თავი ეძღვნება კლიმატის ცვლილებას .

ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ (DCTA) შეთანხმების თავი ,, ვაჭრობა და მდგრადი განვითარება “ ფარავს 4 დამატებით მიმართულებას, როგორებიცაა :

- მრავალმხრივი გარემოსდაცვითი შეთანხმებები
- ბიომრავალფეროვნება
- ტყის მდგრადი მართვა და ხე-ტყის ნაწარმიტ ვაჭრობა
- თევზის პროდუქციით ვაჭრობა

ნაკისრი გარემოსდაცვითი ვალდებულებების შესრულების ვადები 2–დან 15 წლამდე მერყეობს.

აღსანიშნავია, რომ ორჰუსის კონვენციის პრინციპები სრულად არის ასახული საქართველო–ევროკავშირს შორის გაფორმებულ ასოცირების შესახებ შეთანხმებაში, რაც ხაზს უსვამს ორჰუსის კონვენციის მნიშვნელობას გარემოს დაცვის სფეროში, კერძოდ, გარემოსდაცვით მმართველობაში.

ორჰუსის კონვენცია საქართველოსთვის ერთ–ერთი უმნიშვნელოვანესია გარემოს დაცვის მიმართულებით. კონვენცია მიღებულია 1998 წელს (ორჰუსი,დანია), საქართველომ რატიფიცირება მოახდინა 2000 წელს, ხოლო ძალაში შევიდა 2001 წელს. მისი ხელმომწერია 39 ქვეყანა. ორჰუსის კონვენციას აქვს სამი ძირითადი პრინციპი:

1. გარემოსდაცვით ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობა.
2. გარემოსთან დაკავშირებულ საკიტხებზე გაადწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობა
3. მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობა

თავი 4. ქართული მედიის მიერ გაშუქებულ გარემოსდაცვითი და ეკოლოგიურ საკითხებზე არსებული კვლევები

ქართული მედიის მიერ გაშუქებული გარემოსდაცვითი და ეკოლოგიური საკითხების გაშუქების თემატიკისა და სიხშირით კვლევით განებივრებულები ნამდვილად არ ვართ, რაც კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს საკითხის არაპრიორიტეტულობას. პირველი სრულფასოვანი კვლევა 2011 წელს ჩატარდა ადამიანის უფლებათა ცენტრის მიერ. კვლევის ავტორები :ალეკო ცქიტიშვილი,სალომე აჩბა,შორენა ლათათია,თეა თოფურია. მკვლევარები აწარმოეს შემდეგი მედიასაშუალებების მონიტორინგი: ჩაატარა შემდეგი მედია საშუალებების მონიტორინგი: გაზეთები „ალია“, „რეზონანსი“, „ახალი თაობა“ და საზოგადოებრივი მაუწყებლის დღის მთავარი საინფორმაციო გამოშვება „მომბე“. საანგარიშო პერიოდად კი აიღეს 2011 წლის 30 მაისი–2011 წლის 30 დეკემბერი. კვლევის შედეგად დაასკვნეს, რომ გარემოსდაცვითი საკითხები ზედაპირულად, პრობლემებისა და მათთან დაკავშირებული სხვადასხვა საინტერესო საკითხის სიღრმისეული ანალიზის გარეშე შუქდება და შეიმუშავეს რეკომენდაციები:

1. გარემოს დაცვის საკითხები უნდა გაშუქდეს უფრო ინტენსიურად და სიღრმისეულად, შემეცნებითი ან ცნობიერების ამაღლების პროგრამების ათვისებით;
2. აუცილებელია, მომზადდეს მასალა სხვადასხვა ისეთ მნიშვნელოვან თემაზე, როგორცაა: კლიმატის ცვლილება, ბიომრავალფეროვნება, კონსერვაცია და ა.შ.;
3. საჭიროა, მომზადდეს მასალა არამხოლოდ თბილისის, არამედ საქართველოს ყველა რეგიონის პრობლემების შესახებ;
4. ჟურნალისტები უფრო ხშირად უნდა ჩავიდნენ შემთხვევის ადგილზე, უშუალოდ გაეცნონ პრობლემას და სტატია/სიუჟეტი ამის შემდეგ მოამზადონ;
5. საჭიროა, გაიზარდოს კომუნიკაცია ჟურნალისტებსა და მეცნიერებს, ექსპერტებს, ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს, ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს შორის;

6. ბექდურ მედიაში აზრის გამოთქმის საშუალება უნდა მიეცეთ სტიქიის შედეგად დაზარალებულ პირებს და უბრალო მოქალაქეებს. ჟურნალისტებმა მათ, როგორც ინფორმაციის წყაროს, უფრო ხშირად უნდა მიმართონ ხოლმე;

7. აუცილებელია, გაღრმავდეს ჟურნალისტების ცოდნა და ამალდეს მათიკვალიფიკაცია გარემოს დაცვის სფეროში

მეორე კვლევა „მედიის განვითარების ფონდის“ დაკვეთით გაკეთდა. კვლევის ავტორი–თინათინ იზორია. კვლევის საანაგრიშო პერიოდი მოიცავს 2012 წლის 12 მარტიდან 12 აპრილამდე პერიოდში გამოქვეყნებული საგაზეთო სტატიებისა და ტელევიზიუჟეტების ანალიზს.

კვლევის შედეგად მკვლევარმა გამოარკვია, რომ „ქართული მედია გარემოსდაცვითი საკითხებით იშვიათად ინტერესდება და ამას უფრო კამპანიური ხასიათი აქვს. ეკოლოგიის საკითხებით ქართული მედიის დაინტერესება უფრო ზედაპირულია, ძირითადად, რეპორტაჟული ხასიათის და იშვიათად ხდება პრობლემის ღრმად და მრავალმხრივი განხილვა, დარღვეულია მხარეთა ბალანსი, ნათლად ჩანს ჟურნალისტის სუბიექტური პოზიცია, ენა და სტილი არ ჯდება სტანდარტებში.“

აღნიშნული თემის გაანალიზება სცადა mediacheker-მა. მანანა ქოჩლაძე თავის სტატიაში „მედია და გარემოსდაცვითი საკითხები“ (2016.01.02) წერს, რომ ქართული მედიის, ისევე როგორც საზოგადოების ნაწილი, ვერ ასხვავებს მეცნიერება - ეკოლოგიას და გარემოს დაცვის სექტორს. შესაბამისად, ვერ არჩევს საუბრის საგანს და წარმოდგენა არა აქვს თუ რა არის გარემოსდაცვის საბოლოო მიზანი. „სინამდვილეში ჩვენს მედიას არ აინტერესებს გარემოსდაცვითი თემატიკა და ის მხოლოდ ცდილობს უპასუხოს მსმენელთა თუ მკითხველთა ინტერესს; მედია არ თვლის ამ თემებს საკმარისად მნიშვნელოვნად, რომ ამაში დახარჯოს რესურსი - მოამზადოს ჟურნალისტები, რომლებსაც ეცოდინებათ პრობლემის არსი, გარემოსდაცვითი კანონმდებლობა და ინსტრუმენტები, ჟურნალისტები, რომლებიც დაინახავენ მიზეზ - შედეგობრივ კავშირებს გარემოსდაცვითი პრობლემების კუთხით, კომპანიების მიერ მოწოდებული პრეს-რელიზის წაკითხვის შემდეგ დასვამენ ადეკვატურ შეკითხვებს

გარემოსდაცვითი და სოციალური რისკების თაობაზე. მაგალითად, გარემოს დაცვის სამინისტროდან მიღებულ ინფორმაციას, რომ ქალაქ თბილისში ჰაერის ხარისხი დამაკმაყოფილებელია, ჟურნალისტები დაუპირისპირებენ არა რომელიმე ექსპერტის მოსაზრებას, არამედ თვით სამინისტროს მიერ გარემოს მდგომარეობის მონიტორინგის ანგარიშებს.”–დასძენს ის. ავტორის მოსაზრებები ეფუძნება არა კვლევას და გარკვეული პერიოდის მედიუმის გაშუქების ანალიზს, არამედ პირად დაკვირვებებს, მაგრამ ვინაიდან ძალიან მწირია ჟურნალისტების მუშობის მონიტორინგი გარემოსდაცვით თემებთან დაკავშირებით, მნიშვნელოვანდ მივიჩნით სტატიას გავცნობოდით.

თავი 5. ქართველი ჟურნალისტების დისკუსიები გარემოსდაცვით და ეკოლოგიური საკითხების თემებზე

იმის დასადგენად თუ როგორ აფასებენ გარემოსდაცვით და ეკოლოგიურ საკითხებზე მომუშავე ჟურნალისტები დარგის დღევანდელ მდგომარეობას, რა პრობლემებს აწყდებიან ისინი მუშაობისას და რა მიაჩნიათ გარემოსდაცვითი ჟურნალისტიკის არაპრიორიტეტულობის მიზეზად, ჩვენ სტრუქტურირებული ინტერვიუ ჩავწერეთ მათთან.

შეკითხვები :

- 1) თქვენი აზრით, რატომ არ არის პრიორიტეტული ქართული მედიისთვის გარემოსდაცვითი საკითხების გაშუქება ?
- 2) რამდენად ერკვევიან ქართველი ჟურნალისტები გარემოსდაცვით და ეკოლოგიურ საკითხებში და რამდენად შეუძლიათ მათ პრობლემების იდენტიფიცირება ?
- 3) რამ განაპირობა ჩვენი რესპონდენტების დაინტერესება გარემოსდაცვითი და ეკოლოგიური საკითხების მიმართ?

ჟურნალისტი და ბლოგერი კრისტინე პახომოვა მიიჩნევს, რომ ქართული მედიისა და მაუწყებლობის სარედაქციო კოლეგიის ინტერესი მხოლოდ პოლიტიკის ირგვლივ ტრიალებს. მისი თქმით, საეთერო ბადეს დაკვირვებით ადვილი მისახვედრია, რომ სოციალურ-ეკონომიკური საკითხებიც კი იმდენად შუქდება, რამდენადაც ის პოლიტიკას უკავშირდება. „ამ პირობებში გარემოსდაცვითი საკითხების არაპრიორიტეტულობა რთული გასაშიფრი არაა. გარემოსდაცვითი პრობლემებიც მაშინ შუქდება, თუკი რომელიმე ჰესის მშენებლობას პოლიტიკოსი ან რომელიმე პოლიტიკური გუნდი ლობირებს ან მაუწყებლის სარედაქციო ხედვასთან წინააღმდეგობაში მოდის. ”-ამბობს კრისტინე. მ გამომდინარე აქედან, ჟურნალისტების „როგორც დაქირავებულებს ნაკლები ინტერესი ამ საკითხისამი მისთვის გასაკვირი არაა . რაც შეეხება ჟურნალისტების ცოდნას გარემოსდაცვით

საკითხებში, უარყოფითად აფასებს , თუმცა მიიჩნევს რომ პრობლემა მხოლოდ ჟურნალისტებში არ არის. „ეს არ არის პერსონალურად ერთი ჟურნალისტის პრობლემა. ტენდენციაა ასეთი, რადგან ქართულ ჟურნალისტიკაში იშვიათია პროფესიული მიმართულებით მომუშავე ჟურნალისტი, რომელიც ღრმად იცნობს და მუშაობს მხოლოდ ერთ მიმართულებაზე.“ მის ინტერესს გარემოსდაცვითი საკითხებისადმი რამდენიმე არასამთავრობო ორგანიზაციის დამსახურებად მიიჩნევს, რომლებიც ინტენსიურად ატარებენ სხვადასხვა ტიპის შემეცნებით ტრენინგებს ჟურნალისტებისთვის მწვავე თუ ზოგადი თემების ირგვლივ. „ჩემი დიანტერსება ამ თემებისადმი ზოგიერთი ასეთი ორგანიზაციის გუნდის გულითადი შრომის შედეგია“ – გვითხრა მან.

რადიოჟურნალისტი- გოგა ქუცნიაშვილი, კრისტინეს მსგავსად, გარემოსდაცვითი და ეკოლოგიური საკითხების არაპრიორიტეტულობას პოლიტიკისადმი გადაჭარბებული ყურადღებით ხსნის. მისი აზრით , ამას მძიმე სოციალური ფონიც განაპირობებს, რადგან მძიმე სოციალური პირობებში საზოგადოებას ერთადერთ მხსნელად პოლიტიკა ევლინება და ეკონომიკაში მიმდინარე პოლიტიკური გადაწყვეტილებებით უფრო ინტერესდება, ვიდრე გარემოსდაცვითი პოლიტიკით.

გოგა მიიჩნევს , რომ ქართველ ჟურნალისტების არაპროფესიონალიზმი აღნიშნული საკითხების გაშუქებისას განპირობებულია თემაზე მუშაობის მცირე პრაქტიკით. „ მხოლოდ რამდენიმე ჟურნალისტია, რომლებსაც შეუძლიათ პრობლემების იდენტიფიცირება და გაანალიზება, უმეტესად, კი, ჟურნალისტებმა არ იციან როგორ გააშუქონ გარემოსდაცვითი ან ეკოლოგიური საკითხი. საკითხისადმი მისი ინტერესი გარემოსადმი პირადმა სენსიტიურმა განწყობებმა განაპირობა .

ჟურნალისტი ცირა გვასალია გარემოსდაცვით საკითხებზე უკვე მერვე წელია მუშაობს. მის მიერ მომზადებულ სტატიებს საქართველოში არსებულ გარემოსდაცვით და ეკოლოგიურ პრობლემებზე ხშირად უცხოური მედია იყენებს, როგორც კომპეტენტურ წყაროს. ცირას წინა ორი რესპონდენტისგან განსხვავებული პოზიცია აქვს გარემოსდაცვითი საკითხების არაპრიორიტეტულობასთან დაკავშირებით. ის მიიჩნევს, რომ გარემოსდაცვითი საკითხების გაშუქება არა სარედაქციო პოლიტიკით,

არამედ აუდიტორიის გულგრილობით არის განპირობებული. ცირა დარწმუნებულია, რომ თუ იქნება მასობრივი მოთხოვნა მსგავსი ტიპის ინფორმაციაზე, მაშინ რედაქტორებიც დაინეტერესდებიან და ეცდებიან ჟურნალისტების გადამზადებას . მისი აზრით, კითხვარში ჩამოთვლილი სამივე კომპონენტი რამდენადმე ერთმანეთთანაა კავშირში, რადგან თუ ხალხს არა აქვს მოთხოვნილება აღნიშნული თემების სიახლეებისა თუ ზოგადი მდგომარეობის შესახებ, ის იშვიათად ხვდება ჟურნალისტის ობიექტივში. თუ ჟურნალისტი იშვიათად აშუქებს გარემოსდაცვით თემას, მას არ შეუძლია პრობლემის იდენტიფიცირება და ანალიზი. ცირა მის ინტერესს გარემოსდაცვითი ჟურნალისტიკისადმი გარემოზე პატარა ასაკიდან მიღებული და გამჯდარი ინფორმაციით ხსნის .

ჟურნალისტმა და ბლოგერმა, დავით ფარულავამ გარემოსდაცვით თემატიკაზე „ლიბერალში“ გამოქვეყნებული სტატიით „ერთი ძუნძგლიანი ჩიტი ჩამოვარდა“ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის მიერ დაწესებული სპეციალური პრიზი მიიღო. დავითი გარემოსდაცვითი საკითხების არაპრიორიტეტულობას, ცირას მსგავსად, საზოგადოების გულგრილობით ხსნის. მისი თქმით, მედიამოხმარებელთა ქცევა განაპირობებს იმას, რომ ქართული მედია ამ საკითხს არ ანიჭებს პრიორიტეტს, რადგან როგორც წესი, ეს საკითხი არ იწვევს დიდ რეზონანსს ქართულ საზოგადოებაში. მისი თქმით, ჟურნალისტების დაბალი სამუშაო კომპეტენცია იმით არის გამოწვეული, რომ მათ ერთდროულად რამდენიმე საკითხზე უწევთ მუშაობა და რომელიმე კონკრეტულ საკითხში ღრმად გარკვევის შესაძლებლობა მცირე დროში არა აქვთ. გარემოსადმი მის ინტერესს პირადი განწყობებით ხსნის : „ჩემი სტატია „ერთი ძუნძგლიანი ჩიტი ჩამოვარდა“ ეხებოდა ნავთობ-კომპანიის ნარჩენების ღია ავზს, რომელშიც ფრინველები კვდებოდნენ. გამოქვეყნებული მასალის შემდეგ გარემოს დაცვის სამინისტროს მონაწილეობით პრობლემა გადაიჭრა: ავზი გააუქმეს, რამაც გარემოსადმი ზიანის რისკები შეამცირა. ბევრი ასეთი შემთხვევა იყო, როცა გააუქმებულ მასალას რეაგირება მოყვა და ეს კარგი სტიმულია ჟურნალისტისთვის.

პროფესიით ჟურნალისტი მარიკო წიქორიძე კავკასიის გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელის „CENN“-ის ტყის მდგრადი მართვის

პროექტის კოორდინატორია. ორგანიზაცია ხშირად ატარებს ტრენინგებს ჟურნალისტებისთვის, რათა მათ კვალიფიკაცია აიმაღლონ გარემოსდაცვითი საკითხებში. მარიკოს აზრით, მედიაში გარემოსდაცვითი საკითხების არაპრობლემატიკულობა რამდენიმე მიზეზითაა განპირობებული. ის ჩვენი ყველა რესპონდენტის მიერ დასახლებულ მიზეზებს აჯამებს და ამბობს, რომ გარდა სუსტი გარემოსდაცვითი პოლიტიკისა, საკითხისადმი არასენსიტიურ განწყობას დარგის მქონე რეპორტიორების სიმწირეც განაპირობებს. მისი აზრით, გარემოსდაცვითი პრობლემების იდენტიფიცირება ყველაზე კარგად რეგიონში მომუშავე ჟურნალისტებს გამოსდით, რადგან მათ კარგად იციან ადგილობრივი ეკოლოგიური პრობლემები. მის სენსიტიურ დამოკიდებულებას ბუნების სიყვარულით ხსნის „ გარემოსდაცვითი საკითხები უმნიშვნელოვანესია და ჟურნალისტებს დიდი წვლილი შეტანა შეუძლიათ გარემოს დაცვაში თუ სწორად გააშუქებენ პრობლემებს. არაერთი შემთხვევა გვქონდა, როცა რამდენიმე ჟურნალისტის მიერ ეკოლოგიურ თემაზე ერთდროულად გაშუქებულმა სტატიებმა შეცვალა პოლიტიკური გადაწყვეტილება ამ პრობლემისადმი .“

პირველი გარემოსდაცვითი ბლოგის „ecofact.com“-ის რედაქტორი, ოლივო ცისკარიშვილი მიიჩნევს, რომ გარემოსდაცვითი საკითხების მოვლენურად გაშუქება მეტწილად ჟურნალისტების დაბალი კომპეტენციის ბრალია. „ გარემოსდაცვითი თემების გაშუქება ვერ ვიტყვი, რომ არაა პოპულარული, ყოველი მეორე ნიუსი თუ რეპორტაჟი ამ თემას ეხება. თუმცა ეს მედიაპროდუქტი იმ ამბებს გვიყვება, რომ რაღაც კატასტროფა მოხდა, ან მეწყერი ჩამოწვა, ან ღვარცოფი წამოვიდა, ან მდინარე აღიდა, ან ზღვა გადმოვიდა ნაპირებიდან და ა.შ. პრობლემა ისაა, რომ ჟურნალისტები ამ თემებს არ აშუქებენ მანამდე, ვიდრე კატასტროფის წინაშე არ დავდებით. ეს კი სამწუხარო ფაქტია. ჩვენს მედიასაშუალებებში ჰგონიათ, რომ მათი მედიასაშუალება უფრო გაყიდვადი იქნება, სწორედ იმ მედიაპროდუქტით, რომელიც ასახავს კატასტროფებსა და ტრაგედიებს. ნაკლებად ფიქრობენ პრევენციაზე, ნაკლებად ფიქრობენ საზოგადოებაზე, ნაკლებად ფიქრობენ, როგორ მიაწოდონ ინფორმაცია საზოგადოებას და შესაბამის უწყებებს, რომლებსაც შეუძლიათ ამ კატასტროფების თავიდან აცილება. ამაში კი ლომის წვლილი ჟურნალისტებსაც მიუძღვით და

რედქტორებსაც. თუმცა არის ერთი ფაქტორიც, ჟურნალისტებმა უბრალოდ არ იციან ან არ სურთ შეხედონ პრობლემას უფრო კომპეტენტურად, გლობალურად. ხშირად ვიწრო ჩარჩოებიდან იყურებიან და შესაბამის მედიაპორდუქტსაც დებენ.”

გარემოსდაცვითი საკითხებისადმი მის ინტერესს შემდეგნაირად ხსნის : „ ერთ დღეს დღეს მივხვდი, რომ სოციალური პრობლემები, ეკონომიკა, გარემოს დაცვა ერთმანეთზეა მყარად გადაჯაჭვული. და ამ ჯაჭვში ცენტრალური ადგილი უკავია გარემოს დაცვას. თუ გლეს მოსავალი დაესეტყვა, შესაბამისად მიადგა ეკონომიკური ზარალი და ამ გლეს სოციალურად ძალიან გაუჭირდა მიზეზი იყო სეტყვა... სწორედ ამ მიზეზების ძიებამ მიმიყვანა იქამდე, რომ გარემოს დაცვის თემებს ხშირად არ უთმობენ შესაბამის ყურადღებას, არა მარტო ჟურნალისტები, ის ადამიანებიც, რომელთა პირდაპირი მოვალეობაა იფიქრონ ამ საკითხებზე. უფრო ღრმად რომ ჩავიხედე მივხვდი, რომ პრობლემა მართლა გლობალურია და ამ თემებზე (იმ წლებში, 2008-09 წლებში, როცა ეკოფაქტი გავაკეთე, როგორც ბლოგი) ფაქტობრივად არავინ წერდა. თუ ჩვენ არ დავიცავთ გარემოს, არ ვიფიქრებთ კლიმატურ ცვლილებებზე, არ მივაწვდით ინფორმაციას აუდიტორიას, კატასტროფული მოვლენების წინაშე დავდგებით. თემა ძალიან მნიშვნელოვანია და სამწუხაროდ, მომავალ ჟურნალისტებს უნივერსიტეტებში არ ასწავლიან გარემოს დაცვით თემებზე მუშაობას. მეც ძალიან ბევრი ტრენინგის გავლა მომიწია, როგორც საქართველოში, ასევე საზღვარგარეთ, რომ ასე თუ ისე გავრკვეულიყავი ამ სფეროში.”

თავი 6. კვლევის ძირითადი შედეგები

რაოდენობრივი და თვისობრივი კონტენტ-ანალიზის მეშვეობით გამოვითვალეთ გარემოს დაცვითი და ეკოლოგიური საკითხების საერთო მოცულობა საკვლევ სამ მედიასაშუალებაში: „ლიბერალი“ „Primetime.ge“ , „On.ge“. კვლევის შედეგად აღმოჩნდა, რომ ყველაზე მეტად შერჩეული მედიიდან გარემოსდაცვით და ეკოლოგიურ საკითხებს აშუქებს ონლაინ-მედიუმი „ლიბერალი“ , რაც რაოდენობრივად უდრის 28 სტატიას . მას მოსდევს „Primetime.ge“ 27 სტატია და „On.ge“- 9 სტატია.

გაშუქებული სტატიების თემატიკის გაანალიზებისას გამოიკვეთა ის საერთო თემები, რომელიც ყველაზე ხშირად მოხვდა შერჩეული მედიის გაშუქების ფოკუსში.

- ეკოლოგია და გარემოს დაცვა
- სტიქია
- უკანონო ნადირობა
- კლიმატის ცვლილება

ეკოლოგიასა და გარემოსდაცვაზე მომზადებული თემების გაშუქების სიხშირით გამოირჩა „ლიბერალი“ , უკანონო ნადირობასთან დაკავშირებული თემების გაშუქებით „Primetime.ge“. რაც შეეხება კლიმატის ცვლილებასა და სტიქიას ამ თემას ყველაზე დიდი დრო დაუთმო „On.ge“-მ.

6.1 სტატიათა გეოგრაფიული გავრცელების არეალი

ლიბერალის სტატიებში გაშუქებული იყო როგორც თბილისში არსებული გარემოსდაცვითი და ეკოლოგიური პრობლემები , ასევე სხვა რეგიონებშიც. ლიბერალის ობიექტივში მოხვდა თბილისის, გარდაბნის, ქსანი-სტეფანწმინდის, ჭიათურის, სვანეთის, ბაღდათის, ყაზბეგის, ბორჯომ-ხარაგაულის, რაჭის გარემოსდაცვითი საკითხები. „On.ge“შემოიფარგლა მხოლოდ თბილისისა და

ბორჯომ-ხარაგაულის გარემოსდაცვითი თემებით, Primetime.ge-ს ობიექტივში მოხვდა : თბილისი, რუსთავი, ჭიათურა, შუახევი, წყნეთის, სამეგრელო ,თუშეთი, მესტია.

6. 2 გამოქვეყნებული სტატიების ანალიზი ლიბერალის მიხედვით

ლიბერალში საანგარიშო პერიოდის განმავლობაში დაიბეჭდა 28 სტატია. სტატიები იყო როგორც ნიუსური, ასევე ღრმა და ინფორმაციული. სტატიებში აღწერილი იყო პრობლემები თითქმის მთელი საქართველოს მასშტაბით. ლიბერალის გაშუქების ობიექტივში მოხვდა როგორც მოვლენური გარემოსდაცვითი პრობლემები, ასევე თვითონ ლიბერალის მიერ აქტუალიზებული პრობლემები. თემატიკაც სხვა მედიასაშუალებებთან შედარებით მრავალფეროვანი იყო. მათ გააშუქეს კლიმატის ცვლილების შესახებ ბორჯომ-ხარაგაულის ტყე-პარკში აღმოჩენილი უკანონო ნადირობის ფაქტები, წითელი ნუსხის ხეების მოჭრის ნებართვის გაცემა, გარემოსდაცვითი სამაგისტრო პროგრამის შესახებ ახალი ინიციატივა, ასევე გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის კვლევა, არსებული ინიციატივები, გეგმები და სამომავლო რისკები. დრო დაუთმეს თელავში არსებული გარემოსდაცვითი ფემინისტური კამპანიას, ასევე „მწვანე ალტერნატივას“ სარჩელის განხილვას სასამართლოში.

ჩამოთვლილი სტატიებიდან წყაროთა სიმწირით გამოირჩა 2017 წლის 23 მაისს დაბეჭდილი სტატია :„ ინიციატივა საჯარო სივრცისთვის: „მზიურის“ ტერიტორიას განაშენენიანების მორიგი საფრთხე ემუქრება.“ წყაროდ მოყვანილია მხოლოდ „ინიციატივა საჯარო სივრცისთვის“. სტატიაში არაფერია ნათქვამი გარემოს დაცვის სამინისტროში ადასტურებენ თუ უარყოფენ აღნიშნულ ინფორმაციას.

საბოლოო ჯამში, შეგვიძლია დავასვნათ, რომ „ლიბერალი“ ცდილობს გარემოსდაცვითი და ეკოლოგიური საკითხები აღწეროს ღრმად, მოიძიოს სხვადასხვა წყარო და გარემოსდაცვითი და ეკოლოგიური საკითხების გაშუქებას ჰქონდეს

ინტენსიური სახე. ჟურნალისტების წერის სტილი პროფესიონალურია. სტატიათა ტონი კი ნეიტრალური.

მიუხედავად ამისა, ვფიქრობთ, რომ ექვსი თვის განმავლობაში გაცილებით მეტი ეკოლოგიური პრობლემის იდენტიფიცირება და გაშუქება იქნებოდა შესაძლებელი. ვიანიდან საკვლევი პერიოდის პირველი სამი თვე ძალიან ციოდა და შესაბამისად, აქტიურად უნდა მდგარიყო ხეების გაჩეხვის პრობლემა, ეს საკითხი ლიბერალის ყურადღების მიღმა დარჩა. ასევე, ლიბერალი ნაკლებად ინტერესდება ისეთი საკითხებით, რომელიც ამინდისა და კლიმატის ცვლილებას ეხება. აღნიშნული საკითხები კი ჩვენს რეგიონში დაკავშირებულია გზების ჩახერგვასთან, მეწყერსაშიშ ზონებთან და ა.შ.

6.3 გაშუქებული სტატიათა ტონი „ Primetime.ge”-ს მიხედვით

„Primetime.ge”-მ გარემოსდაცვით და ეკოლოგიურ საკითხებზე 27 სტატია დაიბეჭდა. სტატიათა უმრავლესობა ნიუსური ხასიათისაა და მოკლებულია ანალიზსა და საკვანძო საკითხების გამოკვეთას. დასახელებული მედიუმი ყველაზე ხშირად აშუქებს ამინდის ცვლილებასთან დაკავშირებულ არსებულ თუ მოსალოდნელ საფრთხეებს. ჟურნალისტებმა გააშუქეს სტიქია სამეგრელოში, მეწყერი წყნეთში, თუშეთის ზვავს შეწირული ადამინის ტრაგიკული ისტორია და ზამთრის პერიოდში სვანეთის გზაზე არსებული მდგომარეობა .

მედიაგამოცემამ ნიუსის სახით მოგვაწოდა ინფორმაცია შუახევზე, რომლის მოსახლეობაც უამინდობის გამო ცენტრს იყო მოწყვეტილი. სტატია სახელწოდებით „ შუახევში 10 სოფელი ცენტრს არის მოწყვეტილი, მოსახლეობა დახმარებას ითხოვს”, არის კარგი მაგალითი იმისა, როგორ არ უნდა გაშუქდეს გარემოსდაცვითი საკითხი. 06.02.2017–ში დაბეჭდილ სტატიაში ვკითხულობთ : „ შუახევში 10 სოფელი ცენტრს არის მოწყვეტილი .მეწყრული პროცესები სოფელ კობალთსა და ერედვანდთან ამ წუთებშიც აქტიურია.გზაზე მეწყერია ჩამოწოლილი,მიწის მასის უწყვეტი ჩამოშლის გამო ვერ ხერხდება გზის გაწმენდა. „იბერიას” ინფორმაციით პროცესი ხუთი დღეა

გრძელდება. “ ჟურნალისტის წყაროს წარმოადგენს სხვა მედიასაშუალება, რომელიც გაურკვეველია როგორ ახერხებს ცენტრისგან მოწყვეტილ ქალაქის მოსახლეობასთან დაკავშირებას . გზები არ იწმინდება ,რომლის მიზეზადაც მიწის უწყვეტი მასის ჩამოშლა სახლდება, თუმცა ბუნდოვანია ესეც იბერიას ვერსიაა თუ გარემოს დაცვის სამინისტროს ოფიციალური განმარტება. გარდა ამისა, არსად ჩანს სტატიის სათაურში გამოტანილი ტექსტი, რომ მოსახლეობა დახმარებას ითხოვს, ადგან მოსახლეობიდან არავინ ჰყავთ ჩაწერილი . წყაროს არსებობის შემთხვევაში კი უნდა დაეუხსტებინათ კონკრეტულად რა სახის დახმარებას ითხოვენ? არ აქვთ შუქი,წყალი,საკვები თუ რომელი სხვა სიცოცხლისთვის მნიშვნელოვანი საშუალება ? ასევე, უცნობია გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს განცხადება აღნიშნულ პრობლემასთან დაკავშირებით, როდიდან აღდგება სამუშაოები,თუ დამხარებას ითხოვს მოსახლეობა,რა ხერხებით აპირებს სამინისტრო მათ დახმარებას და ასე შემდეგ.

05.29.2017.–ში დაბეჭდილ სტატიაში :„თბილისის ფუნქციულიორმა პანელური დისკუსიას „ბუნების ეკონომიკას” უმასპინძლა, სადაც იმსჯელეს შესაძლებელია თუ არა საქართველოს ეკონომიკის ზრდა ბუნებაზე ზრუნვის გარეშე. სტატიაში არაფერია ნათქვამი რა საკითხები და პრობლემები გამოიკეთა მსჯელობისას, ასევე ვერ ვხდებით სახელმწიფო, კერძო ან სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლების კომენტარებსაც.

06.20.2017 ში გამოქვეყნებული სტატიიდან ვიგებთ რომ „მერიაში ენერგოეფექტურობის საკითხებზე შეხვედრა შედგა.შეხვედრა მიზნად ისახავდა საზოგადოებრივ შენობებში ენერგოდამზოგავი ღონისძიებების შესახ ცნობიერების ამაღლებას. შეხვედრისთვის რუსთავი იმიტომ შეირჩა რომ ქალაქი 2011 წელს შეურთდა „მერობის შეთანხმებას”. იქვეა განარტებული, რომ „მერობის შეთანხმებით” რუსთავმა აიღო ვალდებულება, რომ 2020 წლისთვის ქალაქის ტერიტორიაზე CO2–ის გამოფრქვევა 20%-ით უნდა შემცირდეს.

დასმული საკითხის მნიშვნელოვნების გამო, ჩვენი აზრით, ჟურნალისტი აუცილებლად უნდა დაინტერესებულიყო როგორ ხორციელდება აღებული

პაუსხიმგებლობა, რადგან 6 წლის განმავლობაში წესით, უკვე უნდა იყოს რიგი ღონისძიებები გატარებული. გარდა შესრულებული და მიმდინარე ღონისძიებებისა, ჟურნალისტი უნდა დაინტერესებულიყო დაგეგმილი აქტივობებით, თუ რა გზებით აპირებენ გეგმის შესრულებას.

თუ ჟურნალისტს არ სურდა ენერგო ეფექტურობის შესახებ გამართული შეხვედრიდან ყურადღება სხვა უფრო მნიშვნელოვან საკითხზე გადაგვეტანა და ამიტომ მოერიდა ერთ სტატიაში ორი თემის გამოკვეთას, ცალკე სტატია აუცილებლად უნდა მიეძღვნა ამ თემისთვის. საბოლოოდ, მივიღეთ „მშრალი“ ნიუსი და მიჩქმალული რეალური პრობლემა.

მედია გამოცემაში საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის, მაია ბითაძის ბრიფინგს ჯორჯიან მანგანეზთან დაკავშირებით ექვსი ნიუსური სტატია მიუძღვნა :

- 1.„ჯორჯიან მანგანეზი “ეტაპობრივად აღმოფხვრის მძიმე ეკოლოგიურ მდგომარეობას”
- 2.„ჯორჯიან მანგანეზის” სპეციალური მმართველის სასამართლომ მიანიჭა უფლებამოსილება რომ გარემოსდაცვითი მდგომარეობა გააუმჯობესოს “
- 3.მაია ბითაძე: უმნიშველოვანესია , რომ „ჯორჯიან მანგანეზში” ეკოლოგიური სამსახური აღდგა”
4. ჯორჯიან მანგანეზის სალიცენზიო და სანებართვო ობიექტებზე მონიტორინგი განხორციელდება
5. „მას შემდეგ რაც გეგმაში ჩამოთვლის ღონისძიებებს განვახორციელებთ, ყველა მხარე კმაყოფილი იქნება “- Georgian Americal Alley”-ის აციონერი –უროლ ლაბირი. თუმცა ვინ აღგენს ამ გეგმას და როგორც მოხდება გეგმების განხორციელება სტატიიდან გაურკვეველია .
6. გიგლა აგულაშვილი „ჯორჯიან მანგანეზის” შიდა მენეჯმენტზე:„ მათ საქციელს შეიძლება თავხედობაც დავარქვა”. ჟურნალისტის კითხვაზე გაუკეთა თუ არა იგნორი გარემოს დაცვის სამინისტროს „ჯორჯიან მანგანეზის “მენეჯმენტმა, აგულაშვილმა

გაიხსენა ფაქტი, თუ როგორ დახცვა გარემოს დაცვისა და ბუნებრივი სმინიტროს წარმომადგენლებს „ჯორჯიან მანგანუმისგან“ 7 ჰექტარი, რის გამოც მათ დაეკისრათ სანქცია. ჟურნალისტი მკითხველის მოზიდვას მყვირალა სათაურით ცდილობს, თუმცა უშუალოდ ფაქტის მიმართ ზერელე დამოკიდებულებას იჩენს, რასაც მოწმობს მის მიერ არდასმული კითხვა თუ რა სახის სანქცია დაეკისრათ, გადაიხადეს თუ არა და რას ფიქრობს მინისტრი ახალ ინიციატივაზე და გეგმაზე, რაზეც მის ნაცვლად მისმა მოადგილემ გამართა ბრიფინგი.

დაბეჭდილი სტატიებიდან ერთადერთი სტატია იმსახურებს ჩვენს მოწონებას. სტატია სახელწოდებით „საქართველოს დელეგატთა კატასტროფის რისკის შემცირების გლობალურ პლატფორმაში მონაწილეობდა დაიბეჭდა 05.31.2017–ში. მართალია სტატია ნიუსური ხასიათისაა, მაგრამ სხვა მშრალი ნიუსებისგან განსხვავებით ჟურნალისტის მიერ კვალიფიციურად არის განმარტებული რას გუისმობს და რა ვალდებულებებს მოიცავს კატასტროფის რისკის შემცირება, და როდიდან შეუერთდა საქართველო კატასტროფის რისკის შემცირების სამოქმედო ჩარჩოს.

საბოლოოდ, შეგვიძლია დავასკვნათ რომ სტატიათა ტონი ზერელე და არაფრისმომცემია. გამოცემა ორიენტირებულია გააშუქოს მოვლენური გარემოსდაცვითი თუ ეკოლოგიური საკითხები და ეპატაჟური დასათაურებით მიიზიდოს მკითხველი.

6.4 სტატიათა ტონი „On.ge“-ს მიხედვით

2017 წლის 13 თებერვალს გამოქვეყნებული სტატია ზედამხედველობის დეპარტამენტის ციტირებითაა დასათაურებული : „ დაურეგისტრირებელი თოფით შველი მოკლეს“. სტატია ეყრდნობა გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურების ვებ-გვერდიდან აღებულ სკრინშოტს(სკრინშოტი გადმოტანილია უვლელად). სკრინშოტში ჩანს ბრაკონიერების ფოტოებიც. სტატიაში ნათქვამია, რომ ბრაკონიერთან ერთად იმყოფებოდა სამი ადამიანი, თუმცაა ბრაკონიერი ამ ფაქტს უარყოს და მიუხედავად იმისა, რომ ჯერ ზუსტად არა აქვს გამოძებას დადგენილი ბრაკონიერთან

სამი პირის თანხლება, ფოტოს სამივე ადამიანს ანუ ჯანმში ოთხი ადამიანის იდენტიფიკაციას ვახდენთ. ეს არის როგორც ეთიკური ნორმების დარღვევა, რადგან ჯერ ზუსტად არ არის დადგენილი სამი პირის მონაწილეობა საქმეში და ჟურნალისტი ფოტოების გამოქვეყნებით მას უკვე აწებებს „დამნაშავეს“ იარლიყს. გარდა ამისა, ჟურნალისტი არ დაინტერესებულა თუ რა ტიპის სასჯელი ემუქრება დაკავებულ ბრაკონიერს ბრალის წაყენების შემთხვევაში.

წყაროთა სიმწირე შეიმჩნევა 2017 წლის 26 აპრილს გამოქვეყნებული სტატია „სამოქალაქო სექტორი 2008 წელს დამწვარი ბორჯომის ეროვნული ტყის აღსადგენად ემზადება“. სტატიაში მოყვანილია გარემოს დაცვის და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს შეფასება აღნიშნულ ინიციატივასთან დაკავშირებით, თუმცა თვითონ სამოქალაქო სექტორის და აქტოვისტების კომენტარები არ არის წარმოდგენილი .

აღსანიშნავი სტატიაა Jump start-ის ინიციატივის გაშუქება სახელწოდებით „შეცვალეთ ყოველდღიურობა გარემოს გასაუმჯობესებლად“. სტატიაში საუბარია Filter.ge-ზე დაგეგმილი ვიზუალური მასალის განთავსების შესახებ, რომელიც მოსახლეობას მიაწვდის ინფორმაციას დაბინძურებული ჰაერის შესახებ.

2017 წლის 12 აპრილს გამოქვეყნებული სტატია სახელწოდებით „საბურავების დაწვა“ კარგად არის გაშუქებული. სტატიაში დეტალურადაა აღწერილი ის ზიანი, რაც შეიძლება გარემოს მიადგეს საბურავისა და პლასტიკური მასალების დასწვისგან. აქვეა მოყვანილი გარემოს დაცვის და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს განცხადება ამ საკითხთან და დაგეგმილ კონტროლთან დაკავშირებით, რომელსაც გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი განახორციელებს.

აპრილის თვეშია გამოქვეყნებული გარემოს დაბინძურებისთვის დაწესებული ჯარიმების შესახებ. სტატია მომზადებულია თბილისის მერიის პრეს-სამსახურის ინფორმაციაზე და დეტალურადაა განმარტებული თუ რა სახის დაბინძურებაზე რა ოდენობის ფულადი ჯარიმა დაეკისრებათ მოქალაქეებს.

თავი 7. გარემოსდაცვითი და ეკოლოგიური საკითხების ფრეიმინგი ქართული მედიის (ლიბერალი, On.ge, Primetime.ge) მიხედვით

ფრეიმინგი არის პროცესი, რომელიც ორი ნაწილისაგან შედგება : ჩარჩოს აგება და ჩარჩოს შედგენა, რომელშიც იგულისხმება თუ როგორ ურთიერთქმედებენ ერთმანეთთან მედიის მიერ შექმნილი ფრეიმები და საზოგადოების წარმოდგენები. ქლავისა და ვრისის მიხედვით, ფრეიმინგის პროცესი რამდენიმე ფაზისგან შედგება: ფრეიმინგი ნიუსრუმში, რომელზეც შიდა და გარე ფაქტორები ზემოქმედებენ, ფრეიმები თვითონ ახალ ამბებში - ზოგადი და სპეციფიკური ფრეიმები, ფრეიმინგის ეფექტი - ინფორმაციის ეფექტები, დამოკიდებულებისა და ქცევითი ეფექტები.

ენტმანის აზრით ამ თეორიის საშუალებით საზოგადოების ყურადღებას მიმართავს ერთი კონკრეტული მიმართულებით და სხვა ფაქტებს ფარდის უკან მალავ, ის ასევე მიიჩნევს, რომ ჩარჩოს აქვს რამდენიმე მიმართულება-ინფორმაციის გამცემი, მიმღები, ტექსტი, კულტურა. მისი აზრით, ყველა ეს კომპონენტი მოიცავს ფრეიმინგის პროცესის რამდენიმე საფეხურს. ჩარჩოს შედგენა, ჩარჩოში ჩასმა, სოციალური და ინდივიდუალური შედეგები (Entman 1993).

მნიშვნელოვანია არა მხოლოდ აუდიტორიამდე მიღწეული მასალა, არამედ ის, თუ როგორაა კონკრეტული ინფორმაცია წარმოჩენილი. ამის შესახებაც გადაწყვეტილებებს მედიასაშუალების მუშაკები იღებენ. გარდა ამისა, ფრეიმინგის პროცესზე გავლენას ახდენს დროითი და სივრცის შეზღუდვები. მედია საშუალებებს არ აქვთ შესაძლებლობა რომ ყველა ინფორმაცია ერთნაირი სტანდარტით გააშუქონ. ზოგიერთი ამბავი უფრო მეტად და ნათლადაა გაშუქებული, ვიდრე სხვები.

ენტმანი (1993) ხსნიდა: “ფრეიმინგის პროცესი მოიცავს რეალობის რომელიმე ასპექტის არჩევას და მისი ტექსტური გზით გადაცემას ისე, რომ ჩანდეს პრობლემა, კაუზალური ინტერპრეტაცია, მორალური შეფასება და რეკომენდაცია”. იგი ასევე ამბობდა რომ ფრეიმები ყურადღებას მიმართავენ რეალობის კონკრეტულ ასპექტებზე და ფარავენ სხვა ასპექტებს. ჯემისონი და ვალდმენი (2003) ამბობდნენ, რომ ფრეიმის (ჩარჩოს)

ეპითეტი სწორედ ამიტომაც გამოყენებული. ის მოიცავს რაღაც ნაწილს და ჩარჩოს გარეთ ტოვებს სხვა დეტალებს.

ფრეიმინგის პროცესი, ისევე როგორც სელექციის, რედაქტორების ხელშია. ფრეიმინგის მეთოდები შეიძლება ორ ტიპად დაიყოს: 1) ექსპოზიციის და 2) აღწერის (portrayal). ექსპოზიციის ფრეიმები მოიცავენ ისეთ სელექციებს, რომლებიც წყვეტს გაშუქდეს თუ არა ინფორმაცია ზოგადად. ასევე, ამ ტიპში შედის ფრეიმინგის ისეთი სახეები, როგორცაა: 1) სიხშირე - რამდენჯერ და რამდენი ხნით გაშუქდება ინფორმაცია; 2) ადგილი - სად გამოჩნდება ინფორმაცია (პირველ გვერდზე, პირველ ამბად თუ რომელ ადგილას); 3) ადგილი და დრო, რომელიც დაეთმობა საკითხს.

ექსპოზიციის ფრეიმინგის ტიპები ადვილი დასაკვირვებელია ნებისმიერ მედიასაშუალებაში. რომელი სტატია წერია პირველ გვერდზე გაზეთში, რამდენი ადგილი უჭირავს მას. ან კიდევ რომელი ინფორმაცია გვხვდება თვალში ინტერნეტსაიტზე შესვლისას. ასეთი გადაწყვეტილებები მიიღება მედიასაშუალების მმართველობის მიერ და მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს იმაზე, თუ როგორ იქნება აღქმული კონკრეტული საკითხი.

ქაროლმა და მაკკომბსმა (2003) ივარაუდეს, რომ გაზეთები გვაწვდიან მინიშნებებს იმის შესახებ, თუ რომელი ისტორიაა მნიშვნელოვანი მათი განლაგების მიხედვით. წამყვანი ისტორია პირველ გვერდზე იბეჭდება, მნიშვნელოვანია სათაურის სიდიდე და ტექსტის სიგრძე. ტელევიზიებზე საუბრისას იგივე ავტორები ამბობენ: “რაიმე ამბის ხსენება ტელევიზიაში უკვე მნიშვნელოვანი სიგნალია მის შესახებ. როდესაც ახალ ამბებში რაიმე ობიექტი ყოველ დღე შუქდება, ეს ძალიან მნიშვნელოვანი ფრეიმინგის მექანიზმია”. მათი აზრით, რაიმე მოვლენის წინ წამოწევით და სხვების დაჩრდილვით მედია ახდენს ზეგავლენას საზოგადოების მიერ საკითხების შეფასებაზე.

აღწერითი ფრეიმინგის ტექნიკები გულისხმობს იმას, თუ როგორაა ესა თუ ის ისტორია გაშუქებული. რა ინფორმაციაა მოწოდებული მათ შესახებ, რომელი ფაქტებია გაანალიზებული და რომელი ფაქტებია გამოტოვებული. აღწერითი ფრეიმინგის ტექნიკები გულისხმობს ისეთი საკითხების გადაჭრას, როგორცაა: რომელი სურათები

უნდა გადაიცეს ამბის გაშუქებისას? ვისი ციტირება უნდა მოხდეს? როგორი ენით უნდა იყოს ტექსტის ანალიზი დაწერილი?

სურათები და გამოყენებული ენა შეიძლება უმნიშვნელოვანესი იყოს იმისთვის, რომ აუდიტორიამ მესიჯი სწორად გაშიფროს. ადამიანებისთვის ერთადერთი გზა ინფორმაციისა სწორედ ის მედიასაშუალებაა, რომელსაც მიმართავენ. ჰილარი კლინტონის ფოტოების შესწავლისას მენდელსონმა და თორსონმა (2003) დაადგინეს, რომ ადამიანები უფრო საინტერესოდ აფასებდნენ ისტორიას, რომელსაც თან სურათი ერთვოდა, თუმცა ეს არ ახდენდა ზეგავლენას დამახსოვრების ხარისხზე.

სიტყვები, რომლების ისტორიაშია გამოყენებული, ისევე მნიშვნელოვანია, როგორც სურათები. ფრეიმინგი ნადვილად მედიის ძალაუფლების ერთერთი წყაროა. ის გავლენას ახდენს ადამიანის აზრებზე, წარმოაჩენს კონკრეტულ ფაქტებსა და ღირებულებებს და უკუაგდებს სხვებს. ჯემისონი და ვალდმენი (2003) წერენ: “ფრეიმები გვეუბნებიან რა არის მნიშვნელოვანი, რაზე უნდა ვისაუბროთ და ვიკამათოთ. ჟურნალისტები ფრეიმების სახით ფორმირებას უწევენ ადამიანების აზრებს”. ფრეიმები ასევე იმაზეც ახდენენ ზეგავლენას, თუ როგორ ინტერპრეტირებას მიანიჭებენ ადამიანები სხვადასხვა ინფორმაციას.

მიუხედავად იმისა რომ ორივე ტიპის ფრეიმინგი ერთი და იმავე მიზნისათვის გამოიყენება, ისინი ლასორსამ (1997) გამოყო. მან თქვა რომ მედიის ინტერესებში შედიოდა დაკვირვება (ექსპოზიცი) და კორელაცია (აღწერა) სხვადასხვა ამბებს შორის. მისი აზრით, დაკვირვების ფუნქციის შესრულებისს მედია არკვევდა რა ხდებოდა და რა იყო იმ მომენტისთვის მნიშვნელოვანი, ხოლო კორელაციური ფუნქციის შესრულებისას ის არკვევდა როგორ უნდა მიეღო ხალხს ინფორმაცია.

სელექციაც და ფრეიმინგიც ადიტორიაზე ზეგავლენის მოხდენის საშუალებებია. ფრეიმინგი განსაკუთრებით კარგად მოქმედებს თუ ძალიან გამოკვეთილი არ არის და აუდიტორია არ იცნობს საკითხს. ასეთ შემთხვევაში ის ბოლომდე ენდობა მედიას მისი გაცნობისას.

ფრეიმინგი მედიის ძალაუფლების ერთ-ერთი წყაროა. ის გავლენას ახდენს ადამიანის აზრებზე, წარმოაჩენს კონკრეტულ ფაქტებსა და ღირებულებებს და უკუაგდებს სხვებს.

ჯემისონი და ვალდმენი (2003) წერენ: “ფრეიმები გვეუბნებიან რა არის მნიშვნელოვანი, რაზე უნდა ვისაუბროთ და ვიკამათოთ. ჟურნალისტები ფრეიმების სახით ფორმირებას უწევენ ადამიანების აზრებს”. ფრეიმები ასევე იმაზეც ახდენენ ზეგავლენას, თუ როგორ ინტერპრეტირებას მიაჩნებენ ადამიანები სხვადასხვა ინფორმაციას.

სელექციისა და ფრეიმინგის თავიდან აცილება შეუძლებელია. ფრეიმი არის ის, რაც აუდიტორიას გადაეცემა. აუდიტორია ვერ ხედავს ალტერნატიულ ფრეიმებს, რომლითაც შეიძლება ყოფილიყო გაშუქებული ინფორმაცია. მას შეუძლება სხვა მედიასაშუალებას მიაკითხოს, რომ ამ ინფორმაციაზე განსხვავებული ხედვა გაიგოს.

საკითხავია, არის თუ არა მედიის მიერ გაშუქებული ინფორმაცია მართლაც მედიის არჩეული, თუ სხვები (content providers) იყენებენ მედიას საკუთარი მიზნების მისაღწევად და საკუთარი დღის წესრიგის შემოსატანად? მაჰერმა (2001) დასვა მნიშვნელოვანი შეკითხვა ნებისმიერი აჯენდისა და ფრეიმინგის პროცესის შესახებ, როდესაც წამოწია შინაარსის მომწოდებლების მნიშვნელობა მედიის გავლენების პროცესში. მას აინტერესებდა: “რა ინფორმაციას არ აშუქებს პრესა, რომელიც სინამდვილეში გაშუქების ღირსია?, საიდან მოდის ფრეიმები? საზოგადოების რომელი სემენტი იგებს მედიის ფრეიმების გავლენით და რომელია წამგებიან მდგომარეობაში?”

ფრეიმინგის კვლევები ამ რთულ კავშირებზეც გვაძლევს წარმოდგენას. გამსონმა აღნიშნა, რომ ფრეიმების ანალიზი მოიცავს მათი შექმნის პროცესის შესწავლასაც. როგორ წარმოიქმნება კონკრეტული ფრეიმი გვაძლევს წარმოდგენას იმის შესახებ, თუ რომელ ძალას სურს ამ შინაარსზე ზეგავლენის მოხდენა. მან დაამატა, რომ ფრეიმების შექმნის პროცესი ბევრ დაფარულ ინფორმაციას მოიცავს, რომელთა შესწავლაც აუცილებელია.

შინაარსის მომწოდებლები ცდილობენ რომ მასმედიას აიძულონ საკუთარი ინფორმაციის გაშვება და ისეთი ფრეიმების გამოყენება, რომლებიც მათთვის სასიკეთოა. რთული არ არის იმის მიხვედრა, რატომ ცდილობენ ისინი ამ ყველაფერს - იმიტომ, რომ ზეგავლენა მოახდინონ საზოგადოებაზე, პოლიტიკაზე, გაყიდვაზე, ხმის მიცემაზე და სხვა ქცევებზე.

ისევე როგორც სელექციაზე, ფრეიმების შერჩევაზეც არსებობს კონკურენცია. ერთი ისტორია ბევრი ფრეიმით შეიძლება გაშუქდეს, და ჟურნალისტმა უნდა ამოირჩიოს რომელია უფრო შესაფერისი. შინაარსის მომწოდებლები ამ ეტაპზეც ცდილობენ გავლენა მოახდინონ მედიაზე. გამსონი ამბობდა, რომ განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ასპექტი ამ ეტაპზე იმის არჩევაა, თუ ვისი ციტირება მოხდება გაშუქებისას. რაიანი, ცარაჯი და მეინჰოფერი (2001) ამბობდნენ, რომ ჟურნალისტური ფრეიმები არ არსებობს პოლიტიკურ და კულტურულ ვაკუუმში. მათზე ზეგავლენას ადგენენ სპონსორები, პოლიტიკური და კორპორატიული ელიტა, სოციალური მოძრაობები. ყველა ეს მხარე ცდილობს თავისთვის სასარგებლო ფრეიმები შესთავაზოს მედიას.

ასეთი კონკურენციის პირობებში არსებობს გამარჯვებული და დამარცხებული მხარე იმის მიხედვით, თუ ვისთვის მომგებიანად გაშუქდება ნორმაცია. ზოგიერთი შინაარსის მომწოდებელი უფრო მოხერხებულია ფრეიმინგის მექანიზმების ჩამოყალიბებისას. სხვებს უფრო მეტი ძალაუფლება აქვთ და მათი პერსპექტივა ტექსტში ყოველთვის ჩართულია იმიტომ, რომ ამას აუდიტორია მოითხოვს (ამ კატეგორიას სახელმწიფოს მმართველები მიეკუთვნებიან). რაიანი ხსნიდა, რომ ის, თუ ვისი პერსპექტივა იქნება გამოყენებული, დამოკიდებულია ბევრ ფაქტორზე, მათ შორის სპონსორების ეკონომიკურ და კულტურულ რესურსებზე, მათ ცოდნაზე და მათ შესაბამისობაზე კულტურასთან.

როდესაც რაიმე მოვლენა ხდება, სტეიკჰოლდერების (მოვლენაში დაინტერესებული მხარე) მიზანია, რომ მედიას შესთავაზოს თავიანთი თვალთახედვა, ფრეიმი. ყველა სტეიკჰოლდერი ასე იქცევა და იმედოვნებს, რომ მედია მის პერსპექტივას გამოიყენებს. რაც უფრო ხშირად იქნება რომელიმე სტეიკჰოლდერის იდეები გაჟღერებული მედიაში, მით უფრო ხშირად მოისმენს ხალხი მის აზრს.

მიუხედავად იმისა, რომ ერთი მედიასაშუალებების მიერ გაშუქებულ რაიმე ამბავს მხოლოდ ერთი ფრეიმი შეიძლება ჰქონდეს, ისეთ პირობებში, სადაც არსებობს მრავალი მედია არხი, ეს პრობლემა არ არსებობს. ამ მედიასაშუალებებს შეუძლიათ სხვადასხვა სახის ფრეიმების გამოყენება. თუ ყველა მედია ერთნაირ ფრეიმებს არ იყენებს, მაშინ ერთი ამბავი მრავალი კუთხით გაშუქდება და მათი მოძიების

პასუხისმგებლობა აუდიტორიას დაეკირება. სტეიკჰოლდერები ცდილობენ მათი პოზიცია ბევრი მედიასაშუალებით გადაიციეს.

როდესაც ჟურნალისტი ბევრ წყაროს იყენებს, მას უწევს რთული შრომა იმისთვის, რომ სწორი ფრეიმი შეარჩიოს. ჟურნალისტები ხანდახან ვერ ახერხებენ რელევანტური ინფორმაციის აღმოჩენას და გადაცემას საზოგადოებისათვის. პოლიტიკურ სტრუქტურებში, სადაც ხელისუფალთა უმეტესობა ცდილობს ხალხი მოატყუოს, ჟურნალისტის საქმე განსაკუთრებით გართულებულია.

მიუხედავად იმისა, რომ ფრეიმინგს აქვს მაორგანიზებელი პრინციპი, ჟურნალისტს ხელფასს იმაში უხდებიან, რომ მან თვითონ მოიძიოს და სტრუქტურულად დააღაგოს ფაქტები. ჟურნალისტების მოვალეობაა ფრეიმების შერჩევა. ფრეიმინგი შეიძლება განვმარტოთ როგორც გადაწყვეტილების მიღება იმის შესახებ, თუ რას უწოდებს მასმედიის ორგანიზაცია მნიშვნელოვანს. ამ გადაწყვეტილების მიმღები შეიძლება ინდივიდუალური რეპორტიორიც გახლდეთ. იქიდან გამომდინარე, რომ ჟურნალისტები თითოეულ ორგანიზაციაში ბევრნი არიან, ფრეიმინგის სახეებიც ბევრი იქნება.

თუ ფრეიმინგის მიხედვით ქართულ მედიის მიერ გარემოსდაცვითი და ეკოლოგიური თემების გაშუქების პოლიტიკას განვიხილავთ, ჰიპოთეტური კითხვების სისწორეში დვარწმუნდებით. ქართული მედია გარემოსდაცვით საკითხებს მოვლენურად აშუქებს, პროცესისა და მოსალოდნელი საფრთხეების ანალიზის გარეშე.

თუ დავაკვირდებით ჯორჯიან მარგანეცის, ბრაკონიერების, კლიმატის ცვლილების გაშუქების ფრეიმებს, ამაში დავრწმუნდებით. გამოკვლეული სამი მედიიდან მხოლოდ „ლიბერალი“ აღწერს გარემოსდაცვით და ეკოლოგიურ პრობლემას გრძელვადიან პერსპექტივაში. დანარჩენი ორი მედია შემოფარგლულია მხოლოდ მოვლენური თემებით. ცხადია, ვითვალისწინებთ „On.ge“-ს და „Primetime.ge“-ს ფორმატს, რომ ეს ორი საშუალება უფრო საინფორმაციო სააგენტოა, თუმცა ვფიქრობთ, რომ ეს სულაც არ ათავისუფლებს მათ აღარმისტული თემების იდენტიფიცირების პასუხისმგებლობისგან. რაც შეეხება ჯორჯიან მარგანეცს, დასახელებულთაგან არც ერთ მედიასაშუალებას არ გამოუძიებია მისი საქმე, მაზე დაკისრებული სანქციებისა

თუ გარემოს ზემოქმედების შეფასების სამართლიანობა, წიაღისეულის ამოღების დარღვევები და რეკულტივაციის სამუშაოების არარსებობა. ამ კონკრეტული თემის ფრეიმი ნათლად წარმოაჩენს ჟურნალისტების ფოკუსს მოკლვადიან და ნაკლებად მნიშვნელოვან თემებზე და ასევე მათ სუბიექტურ და არასენსიტიურ განწყობებს გარემოსდაცვითი და ეკოლოგიური საკითხების მიმართ .

დასკვნა

სამ პოპულარულ ონლაინ-მედიაზე ექვსთვიანი დაკვირვების შედეგად, ვასკვნით რომ ჩვენი ჰიპოთეზა გარემოსდაცვითი და ეკოლოგიური საკითხების არაპრიორიტეტულობაზე რეალობას შეესაბამება. კვლევის პერიოდში დაბეჭდილი სტატიების თემატიკა გვამლევს იმის თქმის საშუალებას, რომ ქართული ონლაინ-მედიისთვის გარემოსდაცვითი და ეკოლოგიური პრობლემები, როგორც ასეთი, საინტერესო არ არის. თემები უმეტესად ფრაგმენტულად შუქდება პრობლემის არსის გაანალიზების გარეშე. ჟურნალისტები უმრავლეს შემთხვევებში არ უსვამენ შეკითხვებს არც გარემოსდაცვით საკითხებზე პასუხისმგებელ პირებს, არც გარემოზე მავნე ზემოქმედების მომხდენი კომპანიის წარმომადგენლებს. ჟურნალისტები არ უდგებიან კრიტიკულად ახალ ინიციატივებს, ისინი უმეტესად გარემოს დაცვის და ბუნებრივი სამინიტროს იდეების ბრმად გამტარებად გვევლინებიან, რადგან თუ ლიბერალში გამოქვეყნებულ რამდენიმე სტატიას არ ჩავთლით, არ ამოწმებენ ახალი ინიციატივის მართებულობას. ჟურნალისტები რეგიონში წამოჭრილ გარემოსდაცვით პრობლემას იშვიათი გამონაკლისის გარდა არ ამოწმებენ ადგილებზე და შემოიფარგლებიან მხოლოდ ზოგადი ინფორმაციით. ეს გარკვეულწილად დაკავშირებულია ფინანსურ ხარჯებთან, რადგან ყველა მედიაგამოცემას არ აქვს იმის ფუფუნება, რომ ჰყავდეს ადგილობრივი კორესპონდენტი ან თბილისიდან მიავლინოს ჟურნალისტი საკითხის ადგილზე გასარკვევად, თუმცა ეს მაინც ვერ გაამართლებს მათ დამოკიდებულებას გარემოსდაცვითი თემებისადმი.

გასათვალისწინებელია ასევე მედიის სარედაქციო პოლიტიკა, რომელიც მეტნაკლებად ხსნის ჟურნალისტების დამოკიდებულებას საკითხებზე მუშაობისას. მედია არ არის დაინტერესებული მწავე გარემოსდაცვითი და ეკოლოგიური საკითხების აღმოჩენით ან თუ პრობლემა უკვე იდენტიფიცირებულია მისი გადაწყვეტის გზების ძიებით. მედია არაა დაინტერესებული თავის გამოცემაში მომუშავე ჟურნალისტების გადამზადებითა და კვალიფიკაციის ამაღლებით, რათა მათ შეძლონ აღნიშნულ თემებზე შინაარსიანად წერა. ჟურნალისტები გამოხატავენ სუბიექტურ განწყობებს და არ იცავენ პროფესიული ეთიკის სტანდარტებს.

საბოლოოდ , ვასკვნიტ რომ ჟურნალისტები უდიერად ეპყრობიან თითოეული მოქალაქის უფლებას რომ მოაქალაქე იყოს ინფორმირებული საკუთარი გარემოს შესახებ. გარდა საქართველოს კონსტიტუციის მიერ ინფორმაციის მიღების ზოგადი სტანდარტისა, რომლის შესახებაც 24 მუხლშია საუბარი, გარემოსდაცვითი უფლება კონტიტუციის 37-ე მუხლშიც არის ნახსენები. : „ ყველას აქვს უფლება,დროულად მიიღოს სრული და ობიექტური ინფორმაცია გარემოს მდგომარეობის შესახებ “ . ამ მუხლებს ასოცირების ხელშეკრულების თანახმად, ორჰუსის კონვენციაც დაემატება. თითოეულმა მოქალაქემ უნდა იცოდეს თავისი უფლება. კლევის შედეგად კი ვასვნიტ, რომ ჟურნალისტები მოქალაქეებს ამ უფლების აღსრულების საშუალებას არ აძლევენ და გარემოზე მხოლოდ იმ ინფორმაციას აწვდიან, რომელიც რიგი მიზეზების გამო იმ კონკრეტულ მომენტშია პრიორიტეტული.

რეკომენდაციები :

- ✓ შეიცვალოს მედიის სარედაქციო პოლიტიკა გარემოსდაცვით საკითხებთან მიმართებაში
- ✓ ჟურნალისტებმა აიმაღლონ კვალიფიკაცია და შეძლონ გამართულად წერა გარემოსდაცვითი და ეკოლოგიური თემების ირგვლივ
- ✓ ჟურნალისტებმა გააშუქონ გარემოსდაცვითი და ეკოლოგიური პრობლემები უშუალოდ იმ ადგილიდან, სადაც მოქმედება ხდება
- ✓ ჟურნალისტებმა თავი შეიკავონ სუბიექტური განწყობების გამოხატვისგან
- ✓ ჟურნალისტებმა დასვან კრიტიკული კითხვები
- ✓ ჟურნალისტებმა ყუარდღებით გადაამოწმონ მსხვილი ეკონომიკური პროექტების დროს დაშვებული გზშ
- ✓ აწარმოონ გარემოს დამაბინძურებელი კომპანიების მონიტორინგი, იქცნენ გარემოს და ეკოლოგიის „მეთვალყურე ძაღლებად“
- ✓ თემის გაშუქებისას ერთ–ერთ წყაროდ ჩაწერონ დარგის ექპერტები ,რათა მათი სტატია რეპრეზენტატიული იყოს
- ✓ მოეკიდონ საკითხებს უფრო მეტი მგრძნობელობით
- ✓ წახალისებულ იქნას გარემოსდაცვითი ჟურნალისტიკა, დაწესდეს კონკურსები

ბიბლიოგრაფია :

- 1) ჩხუბიანიშვილი ნ, ჭედლიშვილი მ. დემეტრაძე მ. „ეკოლოგია და გარემოს დაცვა“, თბ. 2008
- 2) გარემოსდაცვითი საკითხების გაშუქება ქართულ მედიაში: თ.იზორია, თბ. 2012
- 3) გარემოსდაცვითი საკითხების გაშუქება ქართულ მედიაში: ა.ცქიტიშვილი, ს. აჩბა, შ.ლათათია, თ. თოფურია. თბ. 2011
- 4)სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი „მედიის როლის გაძიერება ბუნების კონსერვაციის სფეროში” სახელმძღვანელო მასალა.თბ. 2016 წელი
- 5) გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი „ბიომრავალფეროვნება-საფრთხეები და კონსერვაცია”.სახელმძღვანელო მასალა. თბ.2016 წელი
- 6)მწვანე ალტერნატივა „როგორ დავგეგმოთ და ვაწარმოოთ ადვოკატირების კამპანია გარემოსდაცვითი და სოციალური სამართლიანობისთვის” .თბ. 2011 წელი
- 7) გარემო.(ი.მაჭარაშვილი–კონსერვაციული ბიოლოგიის შესავალი,2012).
- 8) მწვანე პოლიტიკა და გარემოს დაცვა მწვანე ალტერნატივა,თბ. 2013წელი
- 9) საქართველოს კანონი გარემოს დაცვის შესახებ; 1996;
- 10) საქართველოს კონსტიტუცია; 1995;
- 11) Thomas Lyon „This Incomparable Land” USA,2001
- 12) Norton „ Nature Writing” New York, 1990
- 13) Environmental journalism Henrik Bodker , Irene Neverla. New York, 2013

საიტები:

<http://www.moe.gov.ge/ka/home>

<https://www.wikipedia.org/>

<https://matsne.gov.ge/>

<http://greenalt.org/home/>

<http://wwf.panda.org/>

<http://www.sej.org/>

<https://www.nwf.org/Young-Reporters-for-the-Environment/Resources-for-Young-Reporters/Definitions.aspx>

<http://www.wri.org/>

<http://www.environmentalhistory.org/revcomm/readings-2/ch-3-modern-press/science-and-environmental-journalism/timeline-of-environmental-journalism-and-literature/>

Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Social and Political Faculty

Tamta Jijolava

**Ecological and Environmental issues according to Georgian
Online-Media**

Mass Communication and Media Studies

The Thesis Submitted in partial fulfillment of the requirements for the degree of
Master of Mass Communication and Media Study

Supervisor: TSU Professor, Maia Toradze

TBILISI

2017

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი

თამარ კურატიშვილი

რელიგიური უმცირესობების გაშუქების ეფექტები ონლაინმედიაში

მასობრივი კომუნიკაცია და მედიის კვლევები

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია მასობრივი კომუნიკაციისა და მედიის
კვლევების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: მარი წერეთელი

ასოცირებული პროფესორი

თბილისი

2017

ანოტაცია

რელიგიური უმცირესობების გაშუქების ეფექტები ონლაინმედიაში

ქართულ მედიასაშუალებებს, ბოლო წლების განმავლობაში, ხშირად უწევთ რელიგიურ თემებზე ჟურნალისტური პროდუქტის მომზადება, რადგან რელიგიურ ნიადაგზე კონფლიქტების რაოდენობამ ქვეყანაში საგრძნობლად იმატა. განსაკუთრებით უნდა გამოიყოს რელიგიური ღვთისმსახურების აღსრულების პროცესში მომხდარი ფაქტები. კერძოდ, ბოლო პერიოდში გახშირდა საზოგადოების მხრიდან მუსლიმებისთვის რელიგიური რიტუალის შესრულებისათვის ხელის შეშლის შემთხვევები, რომელთა უმრავლესობაც სახელმწიფოს მხრიდან რეაგირების გარეშე რჩებოდა, ან სიტყვიერი პროტესტის გამოხატვით შემოიფარგლებოდა.

კვლევის მიზანია, ონლაინმედიაში რელიგიური უმცირესობების მიმართ გამოვლენილი ფრეიმების შესწავლა და ასევე, მათ მიმართ ონლაინმედიის მომხმარებლების მხრიდან დამოკიდებულებებისა და განწყობების გამოვლენა. ჩვენ მიერ ჩატარებული კვლევის შედეგად, საშუალება მოგვეცა, გაგვეანალიზებინა მედიის ფრეიმინგის შესაძლო ეფექტი ქართული ონლაინმედიის მომხმარებლებში.

ნაშრომში განხილულია 2016 წელს ონლაინმედიაში წარმოჩენილი რელიგიური უმცირესობების თემაზე მომზადებული ჟურნალისტური პუბლიკაციების (სტატია, ნიუსი ბლოგი) ფრეიმინგი და გაანალიზებულია მედიის ფრეიმინგის შესაძლო ეფექტი ქართული ონლაინმედიის მომხმარებლებში. ნაშრომი მოიცავს 2016 წლის (ერთწლიანი) პირველი იანვარიდან 2016 წლის 31 დეკემბრამდე საკვლევ პერიოდს. დაკვირვების ობიექტად შეირჩა ორი ქართული ონლაინ გამოცემა: liberali.ge და netgazeti.ge. ჩატარდა აღნიშნული მედიასაშუალებების კონტენტ-ანალიზი.

ნაშრომში ახსნილია, თუ რატომ შეირჩა საკითხის შესასწავლად ფრეიმინგის თეორია. კვლევაში ფრეიმინგის ეფექტების თეორიიდან გამომდინარე, საშუალება მოგვეცა, გვევარაუდა, რა გავლენას ახდენს ონლაინმედიის პუბლიკაციებში წარმოდგენილი ფრეიმები მკითხველის განწყობა-დამოკიდებულებებსა და შეხედულებებზე.

ნაშრომში განხილულია, თუ რა ფრეიმებით წარმოაჩენს ონლაინმედია რელიგიურ უმცირესობებს და ასევე, გაანალიზებულია მათ მიმართ არსებული საზოგადოების დამოკიდებულება-განწყობები მასალების კომენტარების ველში წარმოდგენილი კომენტარების საფუძველზე. ნაშრომი წარმოაჩენს, თუ რა ტენდენციები შეინიშნება ქართული ონლაინ გამოცემებში რელიგიური ჯგუფების გაშუქებისას.

როგორც შედეგებმა ცხადყო, ონლაინ გამოცემების ჟურნალისტები მოვლენების ძირითად ნაწილს პოლიტიკური ფრეიმებით აშუქებენ. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ჟურნალისტები, ძირითადად, თავად არ ირჩევენ ფრეიმებს. ხშირ შემთხვევაში, ისინი იმეორებენ წყაროს მიერ მიწოდებულ ინფორმაციას და შესაბამისად, იმავე ფრეიმით განიხილავენ მოვლენას, რა ფრეიმითაც მათ წყარო სთავაზობს.

კომენტარების შესწავლისა და ონლაინმედიის მომხმარებლების დამოკიდებულება-განწყობილებებზე დაკვირვებამ შესაძლებლობა მოგვცა გვემსჯელა ფრეიმინგის ეფექტებზე. როგორც საკითხის ანალიზმა აჩვენა, ონლაინმედიაში წარმოდგენილი მასალები მაპროვოცირებელი ხდება იმ ნეგატიური და სტერეოტიპული განწყობებისა, რაც საზოგადოებაში რელიგიური უმცირესობების მიმართ არსებობს.

ABSTRACT

Online Media framing effects of religious minorities

Author: Tamar Kuratishvili

In Georgia, in recent years, media outlets often prepare journalistic products on religious topics because the number of conflicts on religious grounds has significantly increased in the country. Especially should be emphasized such facts occurring during religious services. More recently, cases of hindering the religious rituals of Muslims have become more frequent, most of which remained unresponsive by the state or were limited by verbal protest only.

The goal of the research is to study the frames revealed toward the religious minorities in the online media, as well as attitudes and opinions of online media users. As a result of our research, we were given an opportunity to analyze possible effects of media framing on Georgian online media users.

The paper deals with the journalistic publications (articles, news, blogs) prepared on the topic of religious minorities presented in the online media in 2016 and analyzes possible effects of media framing on Georgian online media users. The work covers the study period from January 1, 2016, to December 31, 2016. Two Georgian online editions were selected as observation objects: liberali.ge and netgazeti.ge. There was conducted a content analysis of the media outlets.

The paper explains why the theory of framing was chosen in order to study the issue. Based on the theory of the effects of framing, we had an opportunity to make assumptions on how the frames of the online media publications effect readers' mood-attitudes and opinions.

The survey demonstrates frames that online media uses to present religious minorities and analyzes the attitudes and opinions of the society towards them based on the comments appeared in the comment sections of the publications. The work reveals trends observed in the Georgian online publications while covering religious groups.

As the results confirmed, journalists cover most parts of the events with using political frames. However, it should be noted that the journalists do not choose the frames themselves. In most cases, they repeat the information provided by the source and accordingly, they discuss the story with the frames indicated by the source.

Study of the comments and observing the attitudes of the online media users allowed us to review the effects of framing. As the analysis of the issue showed the materials presented in the online media are provocative of negative and stereotypical attitudes toward the religious minorities in the society.

შინაარსი

ანოტაცია.....	2
შესავალი.....	7
თავი I . ლიტერატურის მიმოხილვა	10
1.1. რელიგიური უმცირესობები საქართველოში	10
1.2. რელიგიური კონფლიქტები	16
1.3. კვლევები რელიგიური უმცირესობების შესახებ	19
1.4. თეორიული ჩარჩო - ფრეიმინგის თეორია	25
თავი II. კვლევის დიზაინი.....	30
2.1. კვლევის მიზანი	30
2.2. კვლევის მეთოდოლოგია	31
თავი III. კვლევის შედეგები.....	37
3.1. წყაროები	38
3.2. ტონი	40
3.3. მულტიმედია პროდუქტი	41
3.4. რელიგიურ უმცირესობებთან დაკავშირებული საკითხების აქტუალობა.....	43
3.5. ფრეიმინგის ანალიზი.....	49
დასკვნა.....	57
ბიბლიოგრაფია.....	61

შესავალი

რელიგიური კონფლიქტები ხშირად ხდება მედიასაშუალებების განხილვის საგანი, რადროსაც, იზრდება ჟურნალისტების პასუხისმგებლობა, - აუდიტორიას მიაწოდოს ობიექტური, დაბალანსებული, სტერეოტიპებისგან დაცლილი ფაქტები და საზოგადოებას შესთავაზოს ჯანსაღი ჟურნალისტური პროდუქტი, რათა არ მოხდეს ფაქტების დამახინჯება, არასწორი ინტერპრეტირება და სტერეოტიპული განწყობა-დამოკიდებულებების ჩამოყალიბება. მნიშვნელოვანია, მედიასაშუალებების მიერ გავრცელებულმა ინფორმაციამ არ გამოიწვიოს კონფლიქტების გაღრმავება რელიგიურ ჯგუფებში.

საქართველოში, ბოლო წლების განმავლობაში, მედიასაშუალებებს ხშირად უწევთ რელიგიურ თემებზე ჟურნალისტური პროდუქტის მომზადება, რადგან რელიგიურ ნიადაგზე კონფლიქტების რაოდენობამ ქვეყანაში საგრძნობლად იმატა. განსაკუთრებით უნდა გამოიყოს რელიგიური ღვთისმსახურების აღსრულების პროცესში მომხდარი ფაქტები. კერძოდ, ბოლო პერიოდში გახშირდა საზოგადოების მხრიდან მუსლიმებისთვის რელიგიური რიტუალის შესრულებისათვის ხელის შეშლის შემთხვევები, რომელთა უმრავლესობაც სახელმწიფოს მხრიდან რეაგირების გარეშე რჩებოდა, ან სიტყვიერი პროტესტის გამოხატვით შემოიფარგლებოდა.

ინფორმაციის გავრცელებასთან ერთად მედიას საგანმანათლებლო ფუნქციაც ენიჭება, რაც რელიგიურ უმცირესობებთან მიმართებით, გამოიხატება ქვეყანაში მცხოვრები სხვადასხვა რელიგიური ჯგუფის კულტურისა და ღირებულებების საზოგადოებისთვის გაცნობაში.

თანამედროვე რეალობაში რელიგია მჭიდრო კავშირშია პოლიტიკასთან, იგი ხშირად განსაზღვრავს სხვადასხვა ქვეყნებისა და ხალხების ურთიერთდამოკიდებულებას, ერთმანეთის მიმართ დადებითი და უარყოფითი განწყობების ჩამოყალიბებას, დიდ როლს ასრულებს სახელმწიფოთა ურთიერთობაში. საქართველოს სახელმწიფოს მიერ განსაზღვრული დასავლური საგარეო პოლიტიკა ქვეყნის განვითარებისთვის მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს. საქართველო-ევროკავშირს შორის ასოცირების

შესახებ შეთანხმება ქვეყანას ავალდებულებს საერთაშორისოდ აღიარებული პრინციპების დაცვას, რომელთა შორისაც უმცირესობათა უფლებებს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი როლი ენიჭება.

რელიგიურ უმცირესობებთან დაკავშირებული საკითხების არასწორად გაშუქებამ, შესაძლოა, საზოგადოებაში არსებული რელიგიური ჯგუფების დაპირისპირებასა და კონფლიქტის გაღვივებას შეუწყოს ხელი, წარმოქმნას სტერეოტიპები ან განამტკიცოს უკვე არსებული. რადგან მედიას დიდი ზეგავლენა აქვს აზოგადოებრივი აზრის ფორმირებაზე, აღნიშნული თემის გაშუქებისას, ჟურნალისტმა უდავოდ უნდა იხელმძღვანელოს რელიგიური საკითხების გაშუქების საერთაშორისოდ აღიარებული სტანდარტებით, გაითვალისწინოს ეთიკური ნორმები და ქვეყნის კანონმდებლობა (თავისუფლების ინსტიტუტი, ადამიანის უფლებები, 2005).

საქართველოს კონსტიტუცია აღიარებს ადამიანის ფუნდამენტურ უფლებებს, მეთოთხმეტე მუხლში ვკითხულობთ - *„ყველა ადამიანი დაბადებით თავისუფალია და კანონის წინაშე თანასწორია განურჩევლად რასისა, კანის ფერისა, ენისა, სქესისა, რელიგიისა, პოლიტიკური და სხვა შეხედულებებისა, ეროვნული, ეთნიკური და სხვა სოციალური კუთვნილებისა, წარმოშობისა, ქონებრივი და წოდებრივი მდგომარეობისა, საცხოვრებელი ადგილისა (საქართველოს კონსტიტუცია, 1995)“.*

საქართველოს სახალხო დამცველის ყოველწლიურ ანგარიშებში, რომლებიც ქვეყანაში ადამიანის უფლებრივი მდგომარეობის შესახებ ანალიზს ასახავს, მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლებას. წლიდან წლამდე, სახალხო დამცველის ანგარიშში ხვდება ადამიანის უფლებების დარღვევის, დისკრიმინაციის შემთხვევები, მათ შორის, ანგარიშები გამოავლენს რელიგიური შეუწყნარებლობის მაგალითებს, რაც, სახალხო დამცველის რეკომენდაციით, სახელმწიფოს მხრიდან მყისიერ რეაგირებას საჭიროებს, რათა ქვეყანაში უზრუნველყოფილი და რეალიზებული იყოს ადამიანის ფუნდამენტური უფლება - აღმსარებლობის თავისუფლება (სახალხო დამცველის საპარლამენტო ანგარიში, 2016).

კვლევის მიზანს წარმოადგენს ონლაინმედიაში რელიგიური უმცირესობების მიმართ გამოვლენილი ფრეიმების შესწავლა და ასევე, ამ ფრეიმების მიმართ ონლაინმედიის მომხმარებლების მხრიდან დამოკიდებულებებისა და განწყობების გამოვლენა. ჩვენ მიერ ჩატარებული კვლევის შედეგად, საშუალება მოგვეცა, გაგვეანალიზებინა მედიის ფრეიმინგის შესაძლო ეფექტი ქართული ონლაინმედიის მომხმარებლებში. ნაშრომი პასუხს სცემს კითხვებს, - თუ რამდენად სიღრმისეულად ასახავს ონლაინმედია რელიგიური შეუწყნარებლობის ფაქტებს და ხომ არ აქვს გაშუქებას მოვლენური ხასიათი? რა ფრეიმებით აწვდის აუდიტორიას რელიგიური პრობლემატიკის თემაზე მომზადებულ მასალებს და რამდენად უზრუნველყოფს მიწოდებული ინფორმაცია აუდიტორიის ინფორმირებას? აქვს თუ არა ონლაინმედიას მედიატორის როლი დისკუსიების, კონფლიქტების მშვიდობიანად მოგვარებისა და კულტურული თუ სოციალური დიალოგის ხელშეწყობის პროცესში.

თავი I . ლიტერატურის მიმოხილვა

ტერმინთა განმარტებები

ეთნიკური/ეროვნული უმცირესობები: - მოცემულ ქვეყანაში მუდმივად მცხოვრები მოსახლეობის არა დომინირებული ნაწილი, რომელიც უმრავლესობისაგან განსხვავდება თავისი ეთნიკური, რელიგიური თუ ლინგვისტური მახასიათებლებით და სურს შეინარჩუნოს საკუთარი თვითმყოფადობა¹.

დისკრიმინაცია: - ადამიანის უფლებათა შეზღუდვა ან შელახვა სოციალური, რასობრივი, ეროვნული, ენობრივი, სქესობრივი კუთვნილების, პოლიტიკურ, რელიგიურ ან სხვაგვარი მდგომარეობის მიხედვით. გვევლინება ინდივიდთა თანასწორობის უარყოფად და შეუთავსებელია დემოკრატიული, სამართლებრივი სახელმწიფოს (იხ. კანონის უზენაესობა) ძირითად პრინციპებთან (იხ.: ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია (1948))²;

სიძულვილის ენა: სიძულვილის ენა მოიაზრებს გამოხატვის ყველა ფორმას, რომელიც ავრცელებს, აქეზებს, ხელს უწყობს ან ამართლებს რასობრივ შუღლს, ქსენოფობიას, ანტისემიტიზმს ან შეუწყნარებლობაზე დაფუძნებულ შუღლის სხვა ფორმებს, ნაციონალიზმის, ეთნოცენტრიზმის, დისკრიმინაციისა და უმცირესობათა ან მიგრანტთა მიმართ გამოხატული მტრობის ჩათვლით³.

1.1. რელიგიური უმცირესობები საქართველოში

წინამდებარე კვლევის მიზნიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია, უშუალოდ, საქართველოში მცხოვრები რელიგიური უმცირესობების წარმომადგენლების მდგომარეობისა და ძირითადი პრობლემების მიმოხილვა კვლევაში. ბოლო წლების განმავლობაში მედიასაშუალებებს ხშირად უწევთ რელიგიურ თემებზე ჟურნალისტური

¹სამოქალაქო განათლების ლექსიკონი:<http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=5&t=1057>

²სამოქალაქო განათლების ლექსიკონი:<http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=6&t=3703>

³ევროპის საბჭო, ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია სიძულვილის ენაზე No. R(97) 20., 1997;

პროდუქტის მომზადება, რადგან რელიგიურ ნიადაგზე ჩადენილი ინციდენტების რაოდენობამ ქვეყანაში საგრძნობლად იმატა. განსაკუთრებით უნდა გამოიყოს რელიგიური ღვთისმსახურების აღსრულების პროცესში ხელშეშლის ფაქტები. კერძოდ, ბოლო პერიოდში, გახშირდა საზოგადოების მხრიდან მუსლიმი მოსახლეობისთვის რელიგიური რიტუალის შესრულების წინააღმდეგ მიმართული ქმედებები, ასევე, დაპირისპირება მოჰყვა სადავო შენობა-ნაგებობების მუსლიმი თემისთვის კუთვნილებაში გადაცემისა და კულტურული მემკვიდრეობის მინიჭების საკითხს. აღნიშნული შემთხვევები ჩვენ მიერ განხორციელებული საკვლევო პერიოდის მანძილზე გამოვლინდა და შესაბამისად, ქვეყანაში მიმდინარე პროცესების სრული სურათის შესაქმნელად, საჭიროდ ჩავთვალეთ, მიმოგვეხილა რელიგიური უმცირესობების მდგომარეობა საქართველოში.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ 2014 წელს ჩატარებული მოსახლეობის საყოველთაო აღწერის შედეგებით, რელიგიური აღმსარებლობის მიხედვით მოსახლეობის მონაცემები ასე გადანაწილდა: 83,4%-ს მართლმადიდებლები შეადგენენ, 10,7%-ს - მუსლიმები, 2,9% - სომხური-სამოციქულო ეკლესიის წარმომადგენელია, 0,5% - კათოლიკე, 0,3% - იეჰოვას მოწმე, 1% - სხვა⁴.

რელიგიური დემოგრაფიის მიხედვით, ეთნიკურად ქართველების უმრავლესობა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წევრია. მცირე რაოდენობით, უმეტესად ეთნიკურად რუსები, რამდენიმე მართლმადიდებელი ჯგუფის წევრები არიან, რომლებიც არ უკავშირდება საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას, მათ შორის არიან: მალაკნები, სტაროვერები (ძველი მორწმუნეები) და დუხოზორები (სულიერი მებრძოლები). ეთნიკურად აზერბაიჯანელები, რომლებიც უპირატესად შიიტი მუსლიმები არიან, მოსახლეობის უმრავლესობას ქმნიან ქვემო ქართლში, სამხრეთ-აღმოსავლეთ რეგიონში. სხვა მუსლიმურ ჯგუფებს შეადგენენ ეთნიკურად ქართველი მუსლიმები აჭარაში და ქისტები ჩრდილო-აღმოსავლეთში, რომლებიც უპირატესად სუნიტები არიან.

⁴ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (საქსტატი) - მოსახლეობის 2014 წლის საყოველთაო აღწერის ძირითადი შედეგები, 2016; ხელმისაწვდომია: - http://census.ge/files/results/Census%20Release_GEO.pdf

ბევრი მიგრანტი, რომელიც სამხრეთ რეგიონში, სამცხე-ჯავახეთში ცხოვრობს, ეთნიკურად ქართველი მუსლიმია, წარმოშობით აჭარიდან. ეთნიკურად სომხები ძირითადად სომხურ სამოციქულო ეკლესიას ეკუთვნიან და სამცხე-ჯავახეთის მოსახლეობის უმრავლესობას შეადგენენ (ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტი; საერთაშორისო ანგარიში რელიგიის თავისუფლების შესახებ 2014 წელი, საქართველო)⁵.

კათოლიკეები, ქურთი იეზიდები, ბერძენი მართლმადიდებლები და ებრაელები ერთად ქმნიან მოსახლეობის 5 პროცენტზე ნაკლებს. „არატრადიციული“ რელიგიური ჯგუფების, როგორებიცაა: ბაპტისტები, იელოვას მოწმეები, ორმოცდაათიანელები და კრიშნაიდები, რაოდენობრივი ზრდის მიუხედავად, ისინი ერთად შეადგენს მოსახლეობის 1 პროცენტზე ნაკლებს.

სახალხო დამცველთან არსებული ეროვნულ უმცირესობათა საბჭოს 2010-2011 წლის მონიტორინგში ვკითხულობთ: - *„ეთნიკურ უმცირესობათა პრობლემატიკა, ძირითადად, განათლების, სამოქალაქო და პოლიტიკური ინტეგრაციისა და ჩართულობის, ინფორმაციის ხელმისაწვდომობის საკითხებში მკვეთრად ვლინდება. განათლების სფეროში არსებული საჭიროებების დაკმაყოფილების პროცესზე უარყოფითად აისახება სახელმწიფო ენის არცოდნა ან ცოდნის დაბალი დონე. ამასთან, სახალხო დამცველის ანგარიშის მიხედვით, პრობლემურია ეროვნული უმცირესობებით დასახლებულ რეგიონების სკოლებში პედაგოგთა სერიოზულ დეფიციტი და სკოლამდელ დაწესებულებებში ხელმისაწვდომი და ხარისხიანი განათლების უზრუნველყოფა (2011)“.*

სახალხო დამცველის 2015 წლის საპარლამენტო ანგარიშში ნათქვამია, რომ ქვეყანაში რელიგიური შეუწყნარებლობის პრობლემის ანალიზიდან გამომდინარე, არ შეიძლება ითქვას, რომ საანგარიშო პერიოდის განმავლობაში, რელიგიის თავისუფლების დაცვის მხრივ, წინა წლებთან შედარებით, მდგომარეობა გაუმჯობესდა. სახელმწიფოს მხრიდან არ გადადგმულა ქმედითი ნაბიჯები ტოლერანტობის, თანასწორუფლებიანობის, რელიგიის

⁵ აშშ; საერთაშორისო ანგარიში რელიგიის თავისუფლების შესახებ; 2014 - <https://ge.usembassy.gov/wp-content/uploads/sites/165/2016/09/irfg14.pdf>

თავისუფლებით სარგებლობის კუთხით არსებული სისტემური პრობლემის დასაძლევად. 2015 წელსაც საქართველოს სახალხო დამცველისთვის ცნობილი გახდა რელიგიის თავისუფლებისა და თანასწორუფლებიანობის სავარაუდო დარღვევის 40-მდე ფაქტის შესახებ. ანგარიშის თანახმად, ერთ-ერთ უმთავრეს პრობლემად შეიძლება დასახელდეს: რელიგიური შეუწყნარებლობისა და სიძულვილის ნიადაგზე ჩადენილ ინციდენტებზე დროული, ადეკვატური და ეფექტური რეაგირება. ასევე, ანგარიშში აღნიშნულია, რომ კვლავ პრობლემურ საკითხად რჩება რელიგიური უმცირესობების საკულტო თუ სხვა ტიპის ნაგებობების მშენებლობასა და ფუნქციონირებასთან დაკავშირებული წინააღმდეგობები.

აღნიშნული საკითხების მოუგვარებლობა აისახა სახალხო დამცველის მომდევნო - 2016 წლის საპარლამენტო ანგარიშიც: - „*რელიგიის თავისუფლების დაცვის, ტოლერანტული გარემოსა და თანასწორუფლებიანობის კუთხით, ქვეყანაში წლების განმავლობაში, რჩება მსგავსი გამოწვევები. შესაბამისად, საპარლამენტო ანგარიშშიც, პრობლემები წლიდან წლამდე მეორდება. უმთავრესი გამოწვევა რელიგიური შეუწყნარებლობის შემცველ სამართალდარღვევებზე სახელმწიფოს ადეკვატური და ეფექტური რეაგირების ნაკლებობაა, რაც, თავის მხრივ, ამ ტიპის დანაშაულის მაჩვენებლის შენარჩუნების ან ზრდის ტენდენციის უმთავრესი მიზეზია (საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ; 2016)“.*

აღმოსავლეთის პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის საქართველოს ეროვნული პლატფორმის კვლევაში - „*უმცირესობათა მდგომარეობა საქართველოში (2013)“* აღნიშნულია სახელმწიფოს მხრიდან გულგრილი დამოკიდებულება რელიგიური უმცირესობების პრობლემების მიმართ: - „*ხელისუფლების წარმომადგენლებმა, რომლებიც ადგილზე იმყოფებოდნენ, არა თუ არ უზრუნველყვეს მუსლიმების კონსტიტუციით გარანტირებული უფლება-რელიგიური ღვთისმსახურების დაუბრკოლებლად შესრულებაზე, არამედ დაარღვიეს საჯარო სამსახურის საერო ხასიათიდან გამომდინარე*

ნეიტრალიტეტის პრინციპი“; კვლევაში საუბარია 2013 წელს სოფელ ჭელაში მინარეთის დემონტაჟის შემთხვევაზე.

„ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრის (EMC)“ მიერ ჩატარებულ კვლევაში - „რელიგიის თავისუფლება - სახელმწიფოს დისკრიმინაციული და არასეკულარული პოლიტიკის კრიტიკა (2016)“ ასახავს 2014-2016 წლებში საქართველოში რელიგიის თავისუფლების მხრივ არსებულ მგომარეობასა და სახელმწიფოს პოლიტიკის კრიტიკულ ანალიზს. დოკუმენტში ვკითხულობთ: - „*იდენტობის გამო დისკრიმინაციული პოლიტიკა რელიგიურ უმცირესობას მიკუთვნებული ჯგუფების სოციალურ და ეკონომიკურ მოწყვლადობასაც განაპირობებს. რეგიონებში კომპაქტურად მცხოვრები არადომინანტი რელიგიური ჯგუფების ჩაგვრა და პოლიტიკური სოციალური სისტემიდან ექსკლუზია კიდევ უფრო მასშტაბურად და სტრუქტურულად ვლინდება*“.

„ტოლერანტობის და მრავალფეროვნების ინსტიტუტის (TDI)“ მიერ 2014 წელს ჩატარებული კვლევის შედეგები აჩვენებს, რომ - „*რელიგიური ნიშნით დევნა, ფიზიკური და სიტყვიერი ძალადობა საქართველოში რელიგიური გაერთიანებებისთვის ერთ-ერთი ყველაზე მწვავე პრობლემაა. ამავდროულად რელიგიური შეუწყნარებლობის საფუძველზე ჩადენილ სამართალდარღვევაზე სამართალდამცველების რეაგირება არაეფექტური და უმეტეს შემთხვევაში, არაადეკვატურია. გამოვლენილია შემთხვევები, როცა შეუწყნარებლობის საფუძველზე თავად სამართალდამცველები ძალადობენ და არღვევენ მორწმუნეთა უფლებებს*“.

საქართველოში რელიგიური უმცირესობების მდგომარეობას აღწერს საერთაშორისო და რეგიონული მექანიზმების ანგარიშებიც, მათ შორის, რასიზმისა და შეუწყნარებლობის წინააღმდეგ ევროპული კომისია - მოხსენებაში საქართველოს შესახებ (2015)⁸: -

⁶ „რელიგიის თავისუფლება - სახელმწიფოს დისკრიმინაციული და არასეკულარული პოლიტიკის კრიტიკა“, 2016, გვ.7

⁷ სოფელ მოხეში განვითარებული მოვლენების ანალიზი - <http://www.tdi.ge/ge/news/126-sopel-moxeshi-ganvitarebuli-movlenebis-analizi>

⁸ მოხსენება საქართველოს შესახებ; გვ.18 - <http://www.coe.int/t/DGHL/MONITORING/ECRI/Country-by-country/Georgia/GEO-CbC-V-2016-002-GEO.pdf>

„სიძულვილის ენის გამოვლენა ეთნიკურ და რელიგიურ უმცირესობათა მიმართ კვლავ ფართოდ გავრცელებული პრობლემაა საქართველოში და ამ ჯგუფებს კვლავ განსაკუთრებულად განიხილავენ და აკვირდებიან „გამადიდებელი შუშით“ (...) მათ, უმთავრესად, მოიხსენიებდნენ ეკონომიკური სირთულეების მიზეზად და „დამპყრობლებად“.

ევროსაბჭოს ანგარიში (2014)⁹ საქართველოს ეთნიკური უმცირესობების პრობლემებზე მიუთითებს, რომ საქართველოში გახშირდა განსხვავებულ ეთნიკურ ჯგუფებს შორის რელიგიურ ნიადაგზე დაპირისპირება და სიძულვილის ენის გამოყენება ეთნიკური უმცირესობების მიმართ:

სახალხო დამცველმა საკუთარ ანგარიშში რელიგიური შეუწყნარებლობა, სიძულვილის ენის გამოყენება და ქსენოფობიის ტირაჟირება 2012 წლის ერთ-ერთ მთავარ პრობლემად გამოჰყო. ანგარიშში ნათქვამია, რომ ტრადიციულად, პრობლემატურ სფეროებს განეკუთვნებოდა მედიაში რელიგიური უმცირესობათა საკითხების გაშუქება და საზოგადოების ნაწილის შეუწყნარებელი განწყობა განსხვავებული რელიგიური ჯგუფებისადმი.

სახალხო დამცველის ანგარიშის თანახმად: - *„მედიის დიდი ნაწილი, ტრადიციულად, არამარტო სიძულვილისა და ქსენოფობიის ტირაჟირებას ახდენდა, არამედ ხშირად თავად გვევლინებოდა რელიგიური შეუწყნარებლობის გამოხატვის წყაროდ“.* ეთნიკური უმცირესობების მდგომარეობა და პრობლემები მკაფიოდაა ასახული ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებების დაცვის კომისრის ნილს მუიჟნეკსის ანგარიშში (სტრასბურგი; 2014), სადაც ნათქვამია, რომ მოსახლეობის უმრავლესობასა და ეროვნულ უმცირესობებს შორის არ არსებობს მჭიდრო ურთიერთობები: - *„უმცირესობები ნაკლებად არიან ჩართულნი ქართული საზოგადოების ცხოვრებაში, ემატება უმცირესობებისათვის გასაგებ ენაზე ინფორმაციის მიღების შეზღუდული საშუალება, რაც, როგორც ცნობილია, იზოლაციასა და*

⁹ ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებების დაცვის კომისრის ნილს მუიჟნეკსის ანგარიში; 2014 - <https://wcd.coe.int/com.instranet.InstraServlet?command=com.instranet.CmdBlobGet&InstranetImage=2523559&SecMode=1&DocId=2139142&Usage=2>

მარგინალიზაციას უწყობს ხელს. მრჩეველთა კომიტეტმა, ასევე, შემფოთებით აღნიშნა, რომ მედია საშუალებები ძალზე მცირე დროს უთმობენ ეროვნულ უმცირესობათა ისტორიის, კულტურისა და ენის საკითხებს (გვ.45)“, - ვკითხულობთ ანგარიშში, სადაც, ასევე, გამახვილებულია ყურადღება ეთნიკური და რელიგიური უმცირესობების მიმართ შექმნილ განწყობებზე: - „უმცირესობათა ზოგიერთმა ჯგუფმა უკმაყოფილება გამოთქვა მათდამი მტრული განწყობისა და დისკრიმინაციის შემთხვევების გამო, რაც უარყოფითი სტერეოტიპების ჩამოყალიბებას დაუკავშირეს (გვ.46)“. ეს არის უახლესი საერთაშორისო შეფასება საქართველოში ეთნიკური უმცირესობების მდგომარეობის შესახებ, სადაც მედიის როლი და პრობლემებიც მოიაზრება.

სწორედ, ამ პრობლემურ ფონზე მნიშვნელოვანია მედიაზე სიღრმისეული დაკვირვება და მედიაში რელიგიური უმცირესობების საკითხების ფრეიმინგის შესწავლა. ასევე, არანაკლებ მნიშვნელოვანია, ონლაინმედიის მომხმარებლების მხრიდან დამოკიდებულებებისა და განწყობების გამოვლენა. ჩვენ მიერ ჩატარებული კვლევის შედეგად, საშუალება მოგვეცა, გაგვეანალიზებინა მედიის ფრეიმინგის შესაძლო ეფექტი ქართული ონლაინმედიის მომხმარებლებში.

1.2. რელიგიური კონფლიქტები

2012-2016 წლებში საქართველოს ტერიტორიაზე 7 რელიგიური კონფლიქტის მოწმეები გავხდით. ქართველი მუსლიმების მიმართ რელიგიური შევიწროების მცდელობა ჰქონდათ - ნიგვზიანაში (2012)¹⁰; წინწყაროში (2012)¹¹; სამთაწყაროში (2013)¹²; ჭელაში (2013)¹³; ქობულეთში (2014)¹⁴; მოხესა (2014)¹⁵ და ადიგენში (2016)¹⁶.

¹⁰ ნიგვზიანი (2012) - <http://netgazeti.ge/news/17194/>

¹¹ წინწყარო (2012) - <http://netgazeti.ge/liife/17868/>

¹² სამთაწყარო (2013) - <http://netgazeti.ge/news/24436/>

¹³ ჭელა (2013) - https://www.youtube.com/watch?v=NT_EeabzaY4

¹⁴ ქობულეთი (2014) - <http://netgazeti.ge/news/34887/>

¹⁵ მოხე (2014) - <http://netgazeti.ge/news/148161/>

¹⁶ ადიგენი (2016) –

ბოლო წლების განმავლობაში მედიასაშუალებებს ხშირად უწევთ რელიგიურ თემებზე ჟურნალისტური პროდუქტის მომზადება, რადგან რელიგიურ ნიადაგზე ჩადენილი ინციდენტების რაოდენობამ ქვეყანაში საგრძნობლად იმატა. განსაკუთრებით უნდა გამოიყოს რელიგიური ღვთისმსახურების აღსრულების პროცესში ხელშეშლის ფაქტები. კერძოდ, ბოლო პერიოდში გახშირდა საზოგადოების მხრიდან მუსლიმებისთვის რელიგიური რიტუალის შესრულების წინააღმდეგ მიმართული ქმედებები, რომელთა უმრავლესობაც სახელმწიფოს მხრიდან რეაგირების გარეშე რჩებოდა. მაგალითად, 2012 წელს სოფელ ნიგვზიანში¹⁷ მცხოვრებმა მართლმადიდებელმა მოსახლეობამ დაიწყო საპროტესტო აქცია სოფელში მოქმედი მუსლიმური სამლოცველოს დახურვის მოთხოვნით. ასევე, სოფელ წინწყაროში¹⁸ ქრისტიანი მოსახლეობა მუსლიმებისაგან მეჩეთის მშენებლობის შეწყვეტას ითხოვდა, თუმცა, ორივე შემთხვევა სამართალდამცავების მხრიდან რეაგირების გარეშე დარჩა.

2016 წლის 29 თებერვალს კონფლიქტი სოფელ ადიგენში მუსლიმი მრევლის სასაფლაოსთვის გამოყოფილი მიწის ნაკვეთის გამო დაიწყო. მიწის ნაკვეთის გამოყოფის აუცილებლობა მუსლიმთა ტრადიციის საფუძველზე გაჩნდა, - მუსლიმებს სხვა რელიგიის წარმომადგენლებთან ერთად დასაფლავება მრწამსით ეკრძალებათ¹⁹. თავდაპირველად, სოფლის მოსახლეობა შეთანხმდა, რომ გამოყოფდნენ ტერიტორიას, სადაც ერთად იქნებოდა მუსლიმური და ქრისტიანული სასაფლაო, ოღონდ იმ პირობით, რომ ისინი ღობით იქნებოდა გაყოფილი. ამის შემდეგ, 2 მანქანით მივიდა ადამიანთა ჯგუფი, რომელიც მუსლიმებს დაუპირისპირდა. მოწმეთა თქმით, იქ იმყოფებოდნენ გამგებელი და მისი მოადგილე. დაპირისპირების პირველივე დღეს ორივე მხარე ამბობდა, რომ ინციდენტი ხელოვნურად მართული და პროვოცირებული იყო. მუსლიმი სასულიერო პირები ითხოვენ გამოაშკარავდეს მესამე ძალა, რომელმაც თანასოფლელებს შორის ურთიერთობა დაძაბა. კონფლიქტი სიტყვიერი დაპირისპირებიდან ფიზიკურ დაპირისპირებაში გადაიზარდა. პოლიცია მას შემდეგ მივიდა, რაც ჩხუბი დასრულებული

¹⁷რელიგიური დაპირისპირება ნიგვზიანში - <http://netgazeti.ge/news/17194/>

¹⁸ქრისტიანები თანასოფლელი მუსლიმების წინააღმდეგ - <http://netgazeti.ge/life/17868/>

¹⁹ჯემ-ნიუსი - „სად დავკრძალოთ მიცვალებული?“, 2016 - <https://jam-news.net/?p=5289&lang=ka>

იყო. ამის შემდეგ გამგებელმა გადაწყვიტა, რომ კრება დაშლილიყო და საკითხი სხვა დროს განეხილათ. შინაგან საქმეთა სამინისტროს ამ საკითხზე გამოძიება არ დაუწყო. მუსლიმებსა და მართლმადიდებელ მოსახლეობას შორის დაპირისპირების შესახებ, პირველი მედიასაშუალება, რომელმაც ინფორმაცია გაავრცელა, “სამხრეთის კარიბჭე”²⁰ იყო.

ინციდენტის მეორე დღეს კი ქრისტიანებმა ისლამოფობიური რიტორიკის²¹ გამოყენებით მუსლიმთა სასაფლაოს გახსნის საწინააღმდეგო აქციები გამართეს. ადგილობრივმა ხელისუფლებამ ქრისტიანი და მუსლიმი სასულიერო პირების მონაწილეობით კონფლიქტი მალევე გადაჭრა და სოფელში მოქმედი სასაფლაოს ტერიტორიაზე მუსლიმებისთვის ცალკე სივრცის გამოყოფა მოახერხა.

2014 წლის ოქტომბერში ადიგენის მუნიციპალიტეტში რელიგიურ ნიადაგზე ადგილობრივ მუსლიმებსა და სამართალდამცავებს შორის კიდევ ერთი დაპირისპირებისა და მუსლიმთა უფლებების დარღვევის შემთხვევები გამოვლინდა. ადიგენის მუნიციპალიტეტის გამგებამ გადაწყვიტა, რომ მუნიციპალიტეტის ბალანსზე არსებულ შენობაში, რომელიც, მართლმადიდებლების აზრით, ეკლესია იყო, მუსლიმების აზრით კი, მეჩეთი, ბიბლიოთეკა განეთავსებინა²². სადავო შენობის გაწმენდითი სამუშაოების დაწყებისთანავე, სოფელში რელიგიური ნიშნით კონფლიქტი დაიწყო. აქცია სოფელ მოხეში გაიმართა, სადაც ადგილობრივი მუსლიმები მეჩეთის, ამჟამად სადავო შენობის დემონტაჟს აპროტესტებდნენ. შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებმა ძალადობრივი მეთოდებით დაშალეს აქციის მონაწილეები. თვითმხილველთა თქმით, სამართალდამცველები მუსლიმებს ფიზიკურ და სიტყვიერ შეურაცხყოფას აყენებდნენ²³.

²⁰ სამხრეთის კარიბჭე - დაპირისპირება რელიგიურ ნიადაგზე სოფელ ადიგენში; 2016 - <http://sknews.ge/index.php?newsid=7757>

²¹ ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (EMC), შეფასება სოფელ ადიგენში განვითარებული მოვლენების შესახებ, 2016, ხელმისაწვდომია: - <https://emc.org.ge/2016/03/02/emc-11/>

²² „რადიო თავისუფლება“ - სამ წელიწადში სამი რელიგიური კონფლიქტი ადიგენში, 2016, ხელმისაწვდომია: - <https://www.radiotavisupleba.ge/a/sami-religiuri-konpliikti-adigenshi/27602932.html>

²³ „სამხრეთის კარიბჭე“ - მოხეში მუსლიმები და ქრისტიანები დაუპირისპირდნენ, 2014, ხელმისაწვდომია: - <http://sknews.ge/index.php?newsid=4433#.VFdJbzSUfp5>

აღნიშნული მიზეზით მორიგი კონფლიქტური სიტუაცია შეიქმნა 2016 წლის 14 ოქტომბერს. მას შემდეგ, რაც სოფელ მოხეში მდებარე სადაო შენობაში მუსლიმებმა ლოცვა აღავლინეს, მეორე დღეს კი, სამართალდამცავებმა შენობის კარი აჭედეს²⁴.

გამოვლენილმა რელიგიურმა კონფლიქტებმა ქართველი მუსლიმი თემის იდენტობა საფრთხის ქვეშ დააყენა. ამ დროისთვის, კონფლიქტების დიდი ნაწილი (მათ შორის, სამთაწყარო, მოხე ქობულეთი) ფაქტობრივად, კონსერვირებულია და მუსლიმი თემი დარღვეული უფლებების აღდგენას ვერ ახერხებს. მუსლიმი თემის წინაშე მდგარ გამოწვევებს სახელმწიფომ სრულიად საქართველოს მუსლიმთა სამმართველოს მიმართ კონტროლის გაძლიერებით უპასუხა, რაც რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს²⁵ დაფუძნებასა და ოთხი რელიგიური ორგანიზაციის დაფინანსების წესის შემოღებაში გამოიხატა, რაც თავის მხრივ, არასამთავრობო ორგანიზაციების კრიტიკის საგანი გახდა.²⁶

1.3. კვლევები რელიგიური უმცირესობების შესახებ

რადგანაც ნაშრომის მიზანს რელიგიური უმცირესობების მედია ფრეიმინგის ანალიზი წარმოადგენს, მნიშვნელოვანია იმ წინარე კვლევების, ანგარიშებისა და მედიამონიტორინგების მიმოხილვა, რომელიც ეთნიკური და რელიგიური უმცირესობების გაშუქებას ეხება. ეს მნიშვნელოვანია, რადგან შესწავლილი მასალა შედარებისა და პარალელების გავლების საშუალებას მოგვცემს.

²⁴ „სამხრეთის კარიბჭე“ - სამართალდამცავებმა მოხეს სადავო შენობის კარი აჭედეს, 2016, ხელმისაწვდომია: - <http://sknews.ge/index.php?newsid=10438>

²⁵ რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტო - <http://religion.geo.gov.ge/>

²⁶ ოთხი რელიგიური ორგანიზაციის დაფინანსების პრაქტიკის სამართლებრივი შეფასება, 2015,

ხელმისაწვდომია: <https://emc.org.ge/2015/02/18/%E1%83%9D%E1%83%97%E1%83%AE%E1%83%98-%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%92%E1%83%98%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%98-%E1%83%9D%E1%83%A0%E1%83%92%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%98%E1%83%96%E1%83%90%E1%83%AA/>

ამ ეტაპზე, საქართველოში ჯერ არავის შეუსწავლია მედიაში რელიგიური უმცირესობები ფრეიმინგის თეორიის მიხედვით, თუმცა, არსებობს საკითხის შესწავლის უცხოური პრაქტიკა.

ჰარტმა, ტერნერმა და კნუპმა, კონტენტ-ანალიზის გამოყენებით, იკვლიეს (Hart, Turner&Knupp, 1980), თუ როგორ აყალიბებდა „სოციალურ რეალობას“ მასკომუნიკაციის საშუალებით. მათ აღწერეს, თუ როგორ იყო სტატიებში აღწერილი რელიგიური თემები, რა დეფინიციებს იყენებდნენ ჟურნალისტები. კვლევამ აჩვენა, რომ რელიგიურ საკითხებს მედია სტერეოტიპებით აშუქებს და თემას განიხილავს გეოგრაფიულ-დემოგრაფიულ კონტექსტში. მათ აღმოაჩინეს, რომ მედიაში - „რელიგია წარმოდგენილია როგორც ადამიანების კონფლიქტის წყარო“ და რომ „ყველა რელიგია შეიცავს კონფლიქტს (Hurt&Knupp, 1980)“.

აღნიშნული მიგნებები დადასტურდა PewForum-ის კვლევაში, რომლის მიხედვითაც, 2011 წელს ამერიკის შეერთებულ შტატებში რელიგიურ თემებზე მომზადებული ათი ჟურნალისტური მასალიდან ექვსი რელიგიურ ნიადაგზე დაწყებულ კონფლიქტს ეხებოდა. ამგვარი კვლევა ორგანიზაციამ 2007 წლის შემდეგ დაიწყო და ეს ყველაზე მაღალი მაჩვენებელია. 2011 წელს, ასევე რელიგიურ თემებზე მომზადებული მასალების ერთი მესამედი როგორც ქვეყნის შიგნით ისე, საზღვრებს გარეთ მუსლიმებთან მომხდარ დაპირისპირებას ეძღვნებოდა.

როგორც მედიამკვლევარების მიგნებებიდან იკვეთება, ჟურნალისტები ხელს უწყობენ სტერეოტიპების დამკვიდრებას და ამასთან, პრობლემად განიხილავენ რელიგიის საკითხთან დაკავშირებით ჟურნალისტების ნაკლებ-კვალიფიკაციას, ხაზს უსვამენ ჟურნალისტების მხრიდან რელიგიური ნიშნით დისკრიმინაციის წახალისების საფრთხეს. როგორც უაითი (Wright, 1997) წერს: განსაკუთრებით ეს ტენდენცია იკვეთება ახალი და არატრადიციული რელიგიების შესახებ მომზადებული მასალებში. მკვლევარი მიიჩნევს, რომ ამ კონტექსტში ყველაზე სარისკოა ის ფაქტორი, რომ მედია ქმნის ნარატივს, რომელიც აუდიტორიას არასწორი დასკვნების გამოტანისკენ უბიძგებს, თითქოს, კონკრეტული

რელიგიების წარმომადგენლები ზიანის მომტანები არიან როგორც საკუთარი თავისთვის, ისე საზოგადოებისთვის.

რელიგიური თემების ფრეიმინგის თვალსაზრისით, მნიშვნელოვანია მაკკუნის კვლევა, (McCune, 2003) სადაც ის ამბობს, რომ ჟურნალისტები, ხშირ შემთხვევაში, იმ ადამიანების გავლენას განიცდიან, ვის შესახებაც მასალას ამზადებენ და იყენებენ ისეთ ფრეიმებს, რომლებსაც ისინი სთავაზობენ. მისივე თქმით, - *“პრესა გახდა სიმბოლოებით სავსე არენა, სადაც ჟურნალები აყალიბებენ ჯგუფებს მეინსტრიმებად, მარგინალებად, რელიგიურად თუ არარელიგიურად იმის მიხედვით, თუ რა სოციალური მდგომარეობა აქვს პროდიუსერს”*. ასევე, საინტერესო აღმოჩნდა მურის (Moore, 2003) მიგნება, სადაც ის ამბობს, რომ რელიგიური თემატიკის მასალების მომზადებისას - *„მედიას შეუძლია, ერთი შეხედვით რელიგიური თემა ისე გააშუქოს, რომ მთლიანად გასცდეს რელიგიურ თემატიკას“*.

მედიის, როგორც შუამავლის როლის შესახებ ამახვილებს ყურადღებას დოვინგი (Døving, 2016). მკვლევარი ნორვეგიული პრესის ანალიზის შედეგებზე დაყრდნობით გვთავაზობს მიგნებას, რომ მედიის მეშვეობით მულტიკულტურული დისკურსი უზრუნველყოფს ებრაელების, როგორც უმცირესობის ჯგუფის შესაძლებლობას, პრესის მეშვეობით მიაწოდონ თავიანთი „ხმა“ საზოგადოებას.

ასევე, მასმედიის, როგორც მოდერატორის როლზე ამახვილებენ ყურადღებას კოლინსი და სტურგილი (Collins & Sturgill, 2013). მიუხედავად იმისა, რომ რელიგიასა და პოლიტიკას შორის კავშირი, მეტწილად, შესწავლილი ფენომენია, რელიგიისა და სამეცნიერო საზოგადოების ურთიერთობის შესწავლა მეცნიერებში ნაკლებ ინტერესს იწვევს. მათი კვლევის მიგნებები აჩვენებს, რომ ზოგჯერ მასმედიას აქვს სწორედ შუამავლის, მოდერატორის როლი რელიგიასა და მეცნიერებას შორის.

რაც შეეხება საქართველოში რელიგიური საკითხების გარშემო ჩატარებულ კვლევებს, როგორც აღმოჩნდა, კვლევათა დიდი ნაწილი მედიმონიტორინგის საშუალებით განხორციელდა. მკვლევარები აკვირდებიან ისეთ საკითხებს, როგორცაა -

ჟურნალისტების მხრიდან გამოვლენილი სიძულვილის ენა, ობიექტურობა, წყაროთა ბალანსი, პროფესიულ ეთიკასა და კვალიფიკაციასთან დაკავშირებული საკითხები.

მედიის განვითარების ფონდის მიერ 2014-2015 წლებში მომზადებული ანგარიში, რომელიც სიძულვილის ენისა და ქსენოფობიის შესახებ მედიამონიტორინგს შეეხება გვიჩვენებს, რომ სიძულვილის ენის ადრესატები, ხშირად, რელიგიური უმცირესობების წარმომადგენლები არიან (MDF, 2015). აღნიშნული კვლევის შედეგებმა ცხადყო, რომ სიძულვილის ენის, შუღლის გაღვივებისა და შეუწყნარებლობის საფუძველზე ძალადობის წახალისების მხრივ ყველაზე მეტ შემთხვევას ბეჭდვით მედიაში ვხვდებით - 31-ჯერ, რასაც მოსდევს ონლაინმედია 9 შემთხვევითა და სატელევიზიო მედია 4 შემთხვევით.

ასევე, მნიშვნელოვანია, სახალხო დამცველის მიერ მედიის შეფასება 2012 წლის ანგარიშში, რომელშიც ვკითხულობთ - „*მედიის დიდი ნაწილი, ტრადიციულად, არა მარტო სიძულვილისა და ქსენოფობიის ტირაჟირებას ახდენდა, არამედ ხშირად თავად გვევლინებოდა რელიგიური შეუწყნარებლობის გამოხატვის წყაროდ* (სახალხო დამცველის ანგარიში 2012)“.

ტელევიზიების მიერ მომზადებული სიუჟეტებში ჩანს: - კონფლიქტის ხელოვნური პროვოცირების მცდელობები, აღრეულია ჟურნალისტების შეფასებები და გამოყენებულ წყაროთა კომენტარების შინაარსობრივი მხარე; წყაროთა ბალანსი დაცულია, მაგრამ ნაკლები დრო ეთმობათ თავად უმცირესობების წარმომადგენელთა წარმოჩენას სიუჟეტებში; ჟურნალისტები არ იკვლევენ მიზეზებს და შემოიფარგლებიან მიმდინარე მოვლენებზე წყაროთა კომენტარებით; ხდება ფაქტების პოლიტიკურ ჭრილში განხილვა (MDF; 2013).

ეთნიკური უმცირესობები, ძირითადად, წარმოდგენილები არიან სკანდალური კონტექსტით, ხშირია ქსენოფობიური და დისკრიმინაციული ტერმინების გამოყენება და პირდაპირი ძალადობრივი მოწოდებების შემთხვევები. მასალათა უმრავლესობა ნეგატიურ კონტექსტშია მოქცეული, გამოყენებულია არასწორი ტერმინების და სიძულვილის ენა.

ნაკლებად ხდება პრობლემური საკითხების ანალიზი და მსჯელობები ზედაპირულია. თემებს, ხშირად განაპირობებს პოლიტიკური ფაქტორები („ინტერნიუსი - საქართველო“).

BCG Research-ი 2010 წელს, თვისებრივი კვლევის მეთოდის, - ფოკუს ჯგუფების ჩატარებით ეცადა, - გამოევლინა ეროვნული ან ეთნიკური სახის საკითხების გაშუქებისას მედიაში არსებული ძირითადი პრობლემები; მედიის ინტერესის დონე, - გაეზომა სიხშირე და ხარისხი; მიეღო მედიის შეფასებები ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებისგან და შეეფასებინა მათი დამოკიდებულებები მედიის მიმართ. რადგან აღნიშნული კვლევა ერთადერთია საქართველოში, რომელიც საქართველოს მაგალითზე საშუალებას გვაძლევს, მეტ-ნაკლებად, წარმოვიდგინოთ, თუ რა ეფექტი აქვს მედიას ადამიანებზე, ამიტომ ნაშრომში სხვა კვლევებთან შედარებით მეტ სივრცეს დავუთმობთ.

BCG Research-მა კვლევა ჩაატარა თბილისის, ახალციხისა და მარნეულის მოსახლეობაში სხვადასხვა ეთნიკური წარმომავლობის ადამიანებთან და სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფთან, სქესობრივი კვოტების გათვალისწინებით. თითოეულ ჯგუფში მონაწილეობდა 8-10 რესპონდენტი.

კვლევამ აჩვენა, რომ მედია ზედაპირულად აშუქებს თემებს და არ ითვალისწინებს მომხდარი ფაქტების საწყისების წარმოდგენას მედიაში. რესპოდენტები აღნიშნავენ, რომ მედია დიდ დროს უთმობს კომენტარებს და არა უშუალოდ ფაქტების ანალიზს. მედია გრძნობს და განზრახ ახდენს საზოგადოებაში დაძაბულობის გამომწვევი ინფორმაციის ნეგატიურად ტირაჟირებას, რითაც, თამაშობს „წამქეზებლის“ როლს და აღრმავებს კონფლიქტს. ფოკუს ჯგუფის წევრები რეკომენდაციების სახით აღნიშნავენ, რომ მედია ფაქტების გარდა, უნდა აშუქებდეს მათ ადათ-წესებს და ცდილობდეს საზოგადოებაში მათდამი დადებითი დამოკიდებულების შექმნას.

„ინტერნიუსი - საქართველო“ 2010 წლიდან აქვეყნებს კვარტალურ ანგარიშს და აკვირდება, თუ როგორ შუქდება ეთნიკური, რელიგიური და სექსუალური უმცირესობები პრესაში. ანგარიში მიზნად ისახავდა ქართულ პრესაში ეთნიკური, რელიგიური, სექსუალური

უმცირესობების მიმართ სიძულვილის ენის გამოყენების გამოვლენას. ავტორები კვლევის მეთოდად იყენებენ რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევის მეთოდებს.

მათ შეისწავლეს 12 ადგილობრივი ბეჭდური გამოცემა, რის შედეგადაც, გამოვლინდა, რომ ეთნიკური უმცირესობები, ძირითადად, წარმოდგენილები არიან სკანდალური კონტექსტით, ხშირია ქსენოფობიური და დისკრიმინაციული ტერმინების გამოყენება და პირდაპირი ძალადობრივი მოწოდებების შემთხვევები. მასალათა უმრავლესობა ნეგატიურ კონტექსტშია მოქცეული, გამოყენებულია არასწორი ტერმინების და სიძულვილის ენა. ნაკლებად ანალიზდება პრობლემური საკითხები და მსჯელობები ზედაპირულია. თემებს ხშირად განაპირობებს პოლიტიკური ფაქტორები.

ასევე, მნიშვნელოვანი შედეგები იკვეთება 2013 წელს “მედიის განვითარების ფონდის (MDF)” მიერ განხორციელებულ მედიამონიტორინგში, რომელიც სიძულვილის ენისა და დისკრიმინაციული გამოხატვის გამოვლენის მიზნით ჩატარდა. საკვლევ პერიოდად აღებულია 15 აპრილი -15 აგვისტო, ხოლო საკვლევ მეთოდებად გამოყენებულია რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევის მეთოდები. MDF-ის დაკვირვების ობიექტი იყო 6 ბეჭდური გამოცემა და 6 სატელევიზიო არხის დღის მთავარი საინფორმაციო გამოშვებები და ტოქ-შოუები.

კვლევის შედეგად, გამოვლინდა, რომ ტელევიზიების მიერ მომზადებული სიუჟეტებში - *„ჩანს კონფლიქტის ხელოვნური პროვოცირების მცდელობები, აღრეულია ჟურნალისტების შეფასებები და გამოყენებულ წყაროთა კომენტარების შინაარსობრივი მხარე; წყაროთა ბალანსი დაცულია, მაგრამ ნაკლები დრო ეთმობათ თავად უმცირესობების წარმომადგენელთა წარმოჩენას სიუჟეტებში; ჟურნალისტები არ იკვლევენ მიზეზებს და შემოიფარგლებიან მიმდინარე მოვლენებზე წყაროთა კომენტარებით; ხდება ფაქტების პოლიტიკურ ჭრილში განხილვა“.*

უახლესი კვლევა, რომელიც მეტ-ნაკლებად, რელიგიური საკითხების გაშუქების სპეციფიკას ასახავს ქართულ მედიაში, კვლავ „მედიის განვითარების ფონდის (MDF)“ ეკუთვნის და 2016 წელს ჩატარდა. მკვლევარებმა იკვლიეს სიძულვილის ენა მედიაში და

გამოკვეთეს რელიგიური ნიშნით დისკრიმინაციის შემთხვევები საზოგადოების წევრი სხვადასხვა სტატუსის მქონე ადამიანთა მხრიდან. როგორც შედეგები გვიჩვენებს, მედიაში დაფიქსირდა დისკრიმინაციის 71 შემთხვევა, რომელთაგან თავად მედიის წარმომადგენლების მხრიდან 16 შემთხვევა დაფიქსირდა. როგორც შედეგებიდან ირკვევა, მედია არა მარტო ხელს უწყობს რესპოდენტების მხრიდან გამოხატულ სიძულვილის ენისა და დისკრიმინაციული დამოკიდებულებების ტირაჟირებას, არამედ, თავადაც გამოხატავს უარყოფით დამოკიდებულებებს რელიგიური ჯგუფების მიმართ.

1.4. თეორიული ჩარჩო - ფრეიმინგის თეორია

ფრეიმინგი საუკეთესო საშუალებაა, იმის დასაწახად და აღსაწერად, თუ რამდენად ძლიერი ეფექტი შეიძლება ჰქონდეს ტექსტს. ფრეიმინგი არის ზუსტი გზა იმის შესასწავლად, თუ როგორ გადაეცემა ადამიანს მესიჯები კომუნიკაციის პროცესში და რა გავლენას ახდენენ საჯარო გამოსვლები, სიტყვები, სიუჟეტები, რომანები ადამიანის ცნობიერებაზე (Robert M. Entman-p.51-52).

„ფრეიმი“ ინგლისური სიტყვაა და მნიშვნელობათა ფართო წრეს მოიცავს. ფრეიმის ლექსიკოლოგიური ეკვივალენტია - ჩარჩო, სქემა, გეგმა, შაბლონი. ირვინ გოფმანი წერდა, რომ ფრეიმი არის გარკვეული სქემა, რომელიც ადამიანებს ეხმარება სტრუქტურირებული სახით აღიქვას გარკვეული სახის ინფორმაცია (Goffman., 2015).

ფრეიმინგის დროს, აღვწერთ, თუ როგორაა მოვლენა გაშუქებული, რა ფაქტებზეა ყურადღება გამახვილებული და რომელი უგულვებელყოფილი, რა ინფორმაციას გადმოგვცემს ვიზუალური გაფორმებები, როგორია სიტყვების კონტექსტი (Melvin L. DeFleur).

დენის მაკკუაილი (DenisMcQuail's) ციტირებს და იზიარებს გოლდმანის შეხედულებას, რომ ფრეიმი საჭიროა, რათა მოვახდინოთ გამოცდილების ან ინფორმაციის ფრაგმენტული საკითხების ორგანიზება. ჟურნალისტურ კონტექსტში, ამბები მოცემულია მნიშვნელობათა გათვალისწინებით, რამდენიმე კონკრეტული „ახალის ამბების ღირებულებების“ დამოწმებით, რომელიც აკავშირებს ერთ მოვლენას სხვა, მსგავს მოვლენებთან (Goffman, 1974).

მეცნიერები ფრეიმს რამდენიმე მიმართულებით შეისწავლიან, - ფრეიმი, როგორც დამოკიდებული ცვლადი (dependentvariable) და ფრეიმი, როგორც დამოუკიდებელი ცვლადი (independentvariable). მეცნიერები ფრეიმებს განიხილავენ როგორც „შენობის ჩარჩოს (framebuilding)“. ორივე შემთხვევაში, მათთვის ფრეიმინგის შესწავლის საგანია, თუ როგორ ჩნდება ფრეიმები სოციალურ დისკურსში და როგორია სხვადასხვა ფრეიმის მიღება სოციალურ ელიტებსა და ჟურნალისტებში. ასევე, ფრეიმინგი ხშირად განიხილება, როგორც ე.წ. „ჩარჩო გარემოში (framingsetting)“, ეს მიდგომა შეისწავლის ფრეიმების ზეგავლენას საზოგადოებაზე, უფრო ზუსტად კი, ფრეიმების ეფექტს აუდიტორიაზე (DavidTewksbury; Dietram A. Scheufele; 2009-გვ.22).

მედიას არ შეუძლია გააშუქოს ყველა ისტორია, ამიტომ ის არჩევს თავისი აზრით, საზოგადოებისათვის ყველაზე მნიშვნელოვანს, ახარისხებს და გადასცემს აუდიტორიას. მაგრამ მნიშვნელოვანია არა მხოლოდ აუდიტორიამდე მიღწეული მასალა, არამედ ის, თუ როგორაა კონკრეტული ინფორმაცია წარმოჩენილი (Melvin L. DeFleur).

მაკკუაილის (DenisMcQuail's, 2005) თქმით, ჟურნალისტებში ფრეიმების არჩევის დროს ჩნდება გაუთვალისწინებელი მიკერძოებულობა ფაქტების მიმართ, რადგან ისინი თავად წყვეტენ, რაზე გაამახვილებენ ყურადღებას და ისინი უხვევენ სუფთა „ობიექტურობიდან“. იგი იმეორებს ენტმანის (Entman,1993) მოსაზრებას, სადაც ის ამბობდა, რომ „ჟურნალისტები ფრეიმების სახით ფორმირებას უწევენ ადამიანების აზრებს“. ფრეიმები, ასევე, იმაზეც ახდენენ ზეგავლენას, თუ როგორ ინტერპრეტირებას მიანიჭებენ ადამიანები სხვადასხვა ინფორმაციას (Entman, 2007).

ჩონგისა და დრაკმანისთვის ფრეიმინგის თეორია საკითხის სხვადასხვა მხრიდან ჩვენებისა და დანახვის საშუალებას იძლევა რასაც ღირებულებებსა და სადაო საკითხებზე შეუძლია გავლენის მოხდება (Chong and Druckman, 2007).

ფრეიმინგი აუდიტორიაზე ზეგავლენის მოხდენის საშუალებაა. ფრეიმები განსაკუთრებით კარგად მოქმედებს მაშინ, როცა აუდიტორია კარგად არ იცნობს საკითხს. ასეთ შემთხვევაში ის ბოლომდე ენდობა მედიას და მთლიანად მის მიერ მიწოდებულ ინფორმაციაზე დამოკიდებული, რადგან ფრეიმინგი წარმოადგენს კონკრეტულ ფაქტებს და უკუაგდებს სხვებს, შესაბამისად, განისაზღვრება რა არის მნიშვნელოვანი და რა არა. (DeFleur, 2008). ფრეიმინგი ნადვილად მედიის ძალაუფლების ერთ-ერთი წყაროა. ის გავლენას ახდენს ადამიანის აზრებზე, წარმოაჩენს კონკრეტულ ფაქტებსა და ღირებულებებს და უკუაგდებს სხვებს.

თუმცა, ფრეიმების ეფექტი ახალ ამბებში მხოლოდ ასოციაციების პირდაპირ ჩვენებაზე არაა დამოკიდებული. თუ როგორი იქნება ფრეიმინგის ეფექტი, ამას მნიშვნელოვნად განაპირობებს კულტურული კონტექსტი, ნორმები და ფასეულობები. (Jennings Bryant and Mary Beth Oliver; 2009).

ჯემისონი და ვალდმენი (2003) წერენ: - *“ფრეიმები გვეუბნებიან რა არის მნიშვნელოვანი, რაზე უნდა ვისაუბროთ და ვიკამათოთ. ჟურნალისტები ფრეიმების მეშვეობით ფორმირებას უწევენ ადამიანების აზრებს (Melvin L. DeFleur – Mass Communication Theories: Explaining Origins, Processes, and Effects; 2008)“*.

ფრეიმს კომუნიკაციაში ორი მნიშვნელობით განიხილავენ: მედიის ფრეიმებად და მიმღების ინდივიდუალურ ფრეიმებად (KinderandSanders; 1990). გიტლინის (Gitlin; 1980) თანახმად, მედიის მიერ მიწოდებულ ფრეიმებს უსიტყვოდ, გაუაზრებლად იღებს და ეყრდნობა ის ნაწილი, რომელსაც არასაკმარისი ცოდნა აქვს. ამ მოსაზრებას ეთანხმება ენტმანიც (Entman; 1991) და ამბობს, რომ ფრეიმების მიღება დამოკიდებულია ინდივიდის „ინფორმაციის დამუშავების სქემაზე (Framing as a Theory of Media Effects, 1999, Dietram A. Scheufele)“.

ფრეიმინგი არის პროცესი, რომელიც გავლენას ახდენს და ორიენტირებს ადამიანის შეხედულებებზე კონკრეტული საკითხის მიმართ ან უბიძგებს კონკრეტული შეხედულებებისკენ. (Dennis Chong and James N. Druckman,) ფრეიმინგის საზოგადოებაზე გავლენის ორ განზომილებას გამოჰყოფენ, პირველი როცა ფრეიმის გავლენა დამოკიდებულია მიმღების ინდივიდუალურ მახასიათებლებზე და მეორე - იმ სიტუაციურ ფაქტორებზე, რომლის წინაშეც მიმღები დგას. ავტორების მოსაზრებით, ფრეიმები „ქმნიან ყოველდღიურობას (Tuchman; 1978)“ კომუნიკაციის პროცესში და განაპირობებენ აუდიტორიის დამოკიდებულებებსა და ქცევებს (Dennis Chong and James N. Druckman, გვ.109).

რაიანი, ცარაჯი და მეინჰოფერი (Ryan, Caragee, and Mainhofer, 2001) აღნიშნავენ, რომ ჟურნალისტის მიერ გამოყენებული ფრეიმები არ არსებობს პოლიტიკურ და კულტურულ ვაკუუმში. მათზე ზეგავლენას ახდენენ სპონსორები, პოლიტიკური და კორპორატიული ელიტა, სოციალური მოძრაობები. ყველა ეს მხარე ცდილობს თავისთვის სასარგებლო ფრეიმები შესთავაზოს მედიას. სწორედ ამიტომ, ისევე, როგორც სელექციისას, ფრეიმების შერჩევისას არსებობს გარკვეული კონკურენცია. ერთი მოვლენა შესაძლოა ბევრი ფრეიმით გაშუქდეს და ჟურნალისტმა უნდა ამოირჩიოს, რომელია უფრო შესაფერისი შინაარსის მიმწოდებელი. ინტერესთა ჯგუფები სწორედ ამ ეტაპზე ცდილობენ გავლენა მოახდინონ მედიაზე და მათთვის სასურველი ფრეიმით გაშუქდეს ამბავი.

ჯენიფერ ბრაიენი და მერი ბეტ ოლივერი ფრეიმინგის ეფექტზე საუბრისას აღნიშნავენ, რომ თუკი საზოგადოებაში უკვე არსებობს ის ფრეიმები, რასაც ახალ ამბავში ჟურნალისტი ნათლად წარმოადგენს, ასეთ შემთხვევებში, ახალ ამბავში ასახულ ფრეიმებს აუდიტორიაზე ეფექტის მოხდენა შეუძლია. მაგრამ თუკი, აუდიტორიაში ჯერ არ არსებობს ასოციაციები, ამ შემთხვევაში, ახალ ამბავში წარმოდგენილი ფრეიმები საზოგადოებაში აყალიბებენ ასოციაციებს მოვლენებს შორის (2009). ამავე აზრს იზიარებს დრაკმანი, როცა ამბობს, რომ - „*რა თქმა უნდა, კომუნიკაციის პროცესში ფრეიმინგი, ხშირ შემთხვევაში,*

თამაშობს მნიშვნელოვან როლს მოსაზრებების ჩამოყალიბებაში (James N. Druckman; 2002; გვ.228)“.

დრაკმანი ამბობს, რომ ფრეიმინგის ეფექტი მაშინ უნდა გამოვიყენოთ, როდესაც აღვწერთ რაიმე საკითხს ან მოვლენას. ფრეიმების ეფექტის გამოყენებით აუდიტორიის ყურადღებას ვამახვილებთ განსახილველი საკითხის მიმართ და ვქმნით გარკვეულ მიკუთვნებულობას. მიკუთვნებულობის განცდას ფრეიმების საშუალებით ვახდენთ, რითაც კონკრეტული პიროვნებები კონკრეტულ საკითხზე ფოკუსირდებიან და იწყებენ მოსაზრებების ფორმირებას (N. Druckman; ნოემბერი 2001)

თავი II. კვლევის დიზაინი

ნაშრომში გამოყენებული ლიტერატურის, კვლევების, ანგარიშებისა და მედიამონიტორინგის შედეგების ანალიზის შემდგომ ჩამოყალიბდა კვლევის ამოცანა.

2.1. კვლევის მიზანი:

კვლევის მიზანს წარმოადგენს ონლაინმედიაში რელიგიური უმცირესობების მიმართ გამოვლენილი ფრეიმების შესწავლა და ასევე, ამ ფრეიმების მიმართ ონლაინმედიის მომხმარებლების მხრიდან დამოკიდებულებებისა და განწყობების გამოვლენა. კვლევაში ფრეიმინგის ეფექტების თეორიიდან გამომდინარე, საშუალება მოგვეცა, გვევარაუდა, რა გავლენას ახდენს ონლაინმედიის პუბლიკაციებში წარმოდგენილი ფრეიმები მკითხველის განწყობა-დამოკიდებულებებსა და შეხედულებებზე.

საკვლევი კითხვები:

- ✓ **RQ1:** რა ფრეიმებს იყენებს ონლაინმედია რელიგიურ უმცირესობებთან დაკავშირებული საკითხების გაშუქებისას?
- ✓ **RQ2:** რა ფორმით აღწევს ფრეიმები ონლაინმედიის მომხმარებლამდე და როგორ რეაგირებს სოციალური ქსელის მომხმარებელი მედიის ფრეიმებზე?
- ✓ **RQ3:** რამდენად სიღრმისეულად ასახავს ონლაინმედია რელიგიური შეუწყნარებლობის ფაქტებს და ხომ არ აქვს გაშუქებას მოვლენური ხასიათი?
- ✓ **RQ4:** თამაშობს თუ არა ონლაინმედია მედიატორის როლს დისკუსიებისა და კონფლიქტების მშვიდობიანად მოგვარების პროცესში და რამდენად ინტერესდება რელიგიური უმცირესობების წარმომადგენელთა კულტურული და სოციალური დიალოგის ხელშეწყობით?

კვლევის ჰიპოთეზა:

- ✓ **RH1:** რელიგიურ უმცირესობებთან დაკავშირებული საკითხების გაშუქებისას, ჟურნალისტები პრობლემებს განიხილავენ პოლიტიკური ფრეიმებით და მათი ყურადღების მიღმა რჩება მძიმე სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები.

- ✓ **RH2:** ჟურნალისტები ახდენენ სიმულვილის ენის ტირაჟირებას, რითაც ხელს უწყობენ ქსენოფობიური დამოკიდებულებების გაღვივებას საზოგადოებაში.
- ✓ **RH3:** მედიის ინტერესს არ წარმოადგენს საზოგადოებაში რელიგიური უმცირესობების წარმომადგენელთა კულტურული და სოციალური დიალოგის ხელშეწყობა.

2.2. კვლევის მეთოდოლოგია:

კვლევის ძირითად მეთოდად გამოყენებულია სტრუქტურული კონტენტ-ანალიზი. აღნიშნული მეთოდი შეირჩა რელევანტურობის გამო, რადგან სტრუქტურული კონტენტ-ანალიზი, თვის მხრივ, გულისხმობს კვლევაში როგორც რაოდენობრივ, ასევე, თვისებრივ მიდგომებს. სახელმძღვანელოში, - „ფსიქოლოგიის კვლევის მეთოდები“, ვკითხულობთ: - „სტრუქტურული კონტენტ-ანალიზი მასალის ელემენტებს შორის კავშირების დადგენას გულისხმობს. ამისათვის განხილული უნდა იქნას მასალის როგორც რაოდენობრივი, ასევე თვისებრივი ასპექტები. სტრუქტურული კონტენტ-ანალიზი იგივე საშუალებებს იყენებს, რასაც რაოდენობრივი. თუმცა, აქ დამატებით საჭიროა ერთეულების დამაკავშირებელი წესების გამოყენება, რაც დიდადაა დამოკიდებული კვლევის მიზნებზე“.²⁷

შესაბამისად, სტრუქტურული კონტენტ-ანალიზის მეშვეობით შევძელით რაოდენობრივი მონაცემების შეგროვება და ამ მონაცემების თვისებრივი ანალიზი, რაც დაგვეხმარა, გაგვეანალიზებინა, თუ რა ინტენსივობით (პუბლიკაციების რაოდენობა, კომენტარების რაოდენობა, სიხშირე) შუქდება რელიგიურ უმცირესობებთან დაკავშირებული საკითხები ონლაინმედიაში და, მეორე მხრივ, გამოგვეკვეთა გაშუქებისას გამოვლენილი კონკრეტული ტენდენციები. შესწავლილი მასალის ანალიზისას, დავეყრდენით ფრეიმინგის თეორიას.

სტრუქტურული კონტენტ-ანალიზის, როგორც კვლევის მეთოდის უარყოფით მხარედ, შეიძლება ჩაითვალოს დროის ფაქტორი, რადგან აღნიშნული მეთოდის გამოყენებით პუბლიკაციაზე დაკვირვება დიდ დროს საჭიროებს, თუმცა, უნდა აღინიშნოს ჩვენ მიერ

²⁷ფსიქოლოგიის კვლევის მეთოდები, თბილისი 2004. ნინო ჯავახიშვილი - გვ.28-29

შერჩეულ კვლევის მეთოდის დადებითი მხარეც, რაც გამოქვეყნებული მასალის სიღრმისეული ანალიზის შესაძლებლობას იძლევა.

ვინაიდან მონაცემთა კომპიუტერული ანალიზი მოითხოვს, რომ შეკითხვებზე პასუხები რიცხობრივ მაჩვენებლებში იყოს გადაყვანილი, კითხვარის შედგენისთანავე მოვახდინეთ მისი კოდირება, ანუ, - შეკითხვების შესაბამისი ციფრობრივი მნიშვნელობა მივანიჭეთ. შევქმენით კოდების წიგნი და პროცედურული წესების დაცვით გავაანალიზეთ მონაცემთა დამუშავების სპეციალური პროგრამა SPSS-ის საშუალებით. სტრუქტურული კონტენტ-ანალიზისთვის განკუთვნილი კოდირების წიგნის შედგენისას, წინასწარ განისაზღვრა, თუ რა სახის რაოდენობრივი მონაცემების შეგროვება იქნებოდა საჭირო შემდეგში, მათ საფუძველზე თვისობრივი ანალიზის ასაგებად. განსაკუთრებული ყურადღება გავამახვილეთ სოციალური ქსელებში სტატიის გაზიარება-მოწონებების რაოდენობრივ მონაცემებსა და კომენტარებზე. კვლევისას შევისწავლეთ და გავაანალიზეთ კომენტარები, რამაც საშუალება მოგვცა, გვევარაუდა, რა გავლენას ახდენს ონლაინმედიის პუბლიკაციებში წარმოდგენილი ფრეიმები მკითხველის განწყობა-დამოკიდებულებებსა და შეხედულებებზე.

- **ჟანრი:** ჩვენ მიერ გაანალიზებული ჟურნალისტური პუბლიკაციები დაყავით ჟანრობრივად - სტატია, ინტერვიუ, ნიუსი, ბლოგი. ჟანრობრივად დაყოფამ მოგვცა შესაძლებლობა, დაგვედგინა, თუ რამდენად მრავალფეროვან პროდუქტს სთავაზობს ონლაინმედია აუდიტორიას, რამდენად ინტერესდება მოვლენების ანალიზით. რამაც აჩვენა ტენდენცია, - გამოცემები შემოიფარგლებიან მოკლე ნიუსის ტიპის ინფორმაციის გავრცელებით, თუ სიღრმისეულად განიხილავენ საკითხს.
- **წყაროები:** წყაროები დაყავით უსულო და სულიერ წყაროებად. სულიერ წყაროებად მოვიაზრეთ რესპოდენტები, ხოლო უსულო წყაროებად - ანგარიშები, კვლევები, განცხადებები, სოციალური ქსელში გამოქვეყნებული სტატუსები, კანონპროექტები, საჯარო რეესტრის მონაცემები და სხვა. მსგავსი დაყოფა, დაგვეხმარა იმის გაანალიზებაში, - სიღრმისეულად უდგებიან ჟურნალისტები

საკითხის შესწავლას თუ მხოლოდ რესპოდენტების კომენტარებით შემოიფარგლებიან. ასევე, დავაკვირდით წყაროთა კომპეტენტურობას თემის მიმართ, მხარეთა ბალანსსა და წყაროთა მრავალფეროვნებას.

- **მულტიმედია:** მასალები რაოდენობრივად დავყავით იმის მიხედვით, იყენებდნენ თუ არა მულტიმედია პროდუქტს (ვიდეო, აუდიო, ფოტო, ინფოგრაფიკა, დიაგრამა) ჟურნალისტები. რაოდენობრივი მონაცემი დაგვეხმარა იმის გაანალიზებაში, თუ რამდენად მიჰყვებიან ჟურნალისტები თანამედროვე ტექნოლოგიებს და რა სიხშირით სთავაზობენ ინფორმაციას დამატებითი ვიზუალური ეფექტებით. ასევე, დაკვირვების შედეგად, გავანალიზეთ, თუ რა ფრეიმები იკითხებოდა ვიდეო, აუდიო და ფოტო პროდუქტში.
- **ტონი:** მასალებში ჟურნალისტის ტონის შესასწავლად გამოვყავით სამი ძირითადი სახე - პოზიტიური, ნეგატიური, ნეიტრალური. პოზიტიურ ტონად შევაფასეთ პუბლიკაციები, რომელშიც ჟურნალისტი რესპოდენტის ან მოვლენის მიმართ გამოხატავს დადებით დამოკიდებულებას, მიკერძოებულია, ტენდენციურია. უარყოფით ტონად შევაფასეთ მასალები, სადაც ჩანს ჟურნალისტის უარყოფითი განწყობები (არა კრიტიკული) რესპოდენტების ან მოვლენების მიმართ; თუკი ჟურნალისტი იყენებს სიძულვილის ენას ან ახდენს მის ტირაჟირებას და მასალაში არ ემიჯნება რესპოდენტის დისკრიმინაციულ პოზიციას. ნეიტრალურ ტონად შევაფასეთ მასალები, სადაც ჟურნალისტი იცავს ობიექტურობის პრინციპს, არ გამოხატავს საკუთარ განწყობებს (ნეგატიური, პოზიტიური) რესპოდენტის ან მოვლენის მიმართ. პუბლიკაციების ტონის მიხედვით შესწავლამ საშუალება მოგვცა, დაგვედგინა, თუ რამდენად ნეიტრალურია ჟურნალისტი მასალის მომზადებისას და ასევე, დაგვედგინა კავშირი ჟურნალისტის განწყობებსა და იმ ფრეიმებს შორის, რომელსაც იგი მომზადებულ მასალაში იყენებს.
- **ფრეიმები:** იმის დასადგენად, თუ ძირითადად რა ფრეიმებს იყენებენ ჟურნალისტები რელიგიური უმცირესობების გაშუქებისას, მასალები მივაკუთვნეთ წინასწარ შემუშავებულ მიმართულებებს:

- პოლიტიკური;
 - ეკონომიკური;
 - სოციალური;
 - კულტურული;
 - სამართალი;
 - ტერორიზმი;
 - აღმსარებლობა.
- **აქტუალობა:** იმის დასადგენად, თუ რამდენად აქტუალურია თემა და კონკრეტულად, რომელი ფრეიმით გაშუქებული მასალა წარმოადგენს აუდიტორიისთვის საინტერესო საკითხს, შევისწავლეთ მასალებში სოციალური ქსელების მოწონება-გაზიარების რაოდენობრივი მაჩვენებლებისა და კომენტარების ველი.

კომენტარები: ონლაინ გამოცემების პლატფორმიდან გამომდინარე, საშუალება გვქონდა, გაგვეანალიზებინა, რა გავლენას ახდენს ონლაინმედიის პუბლიკაციებში წარმოდგენილი ფრეიმები მკითხველის განწყობა-დამოკიდებულებებსა და შეხედულებებზე, რისთვისაც დავაკვირდით ონლაინ გამოცემების კომენტარების ველს. საჭიროა, განიმარტოს კომენტარებთან დაკავშირებული სპეციფიკა. ონლაინმედიაში გამოქვეყნებული პუბლიკაციის მოწონება/გაზიარება ფუნქციითა და ასევე, კომენტარების ველით სარგებლობისთვის, ტექნიკურად აუცილებელი წინაპირობაა, რომ მკითხველმა სოციალური ქსელის - facebook-ის საშუალებით გაიაროს ავტორიზაცია. მხოლოდ აღნიშნული პროცედურის შემდეგ ეძლევა მკითხველს შესაძლებლობა, დატოვოს კომენტარი. შესაბამისად, მონაცემებში, რომელსაც კვლევის შედეგებში ვეყრდნობით, აღნიშნული სოციალური ქსელის მომხმარებლები განიხილებიან.

საკვლევი მასალა / საკვლევი პერიოდი:

სახალხო დამცველის მიერ ბოლო წლების მანძილზე გამოქვეყნებული ანგარიშების მიხედვით - *„ეთნიკური და რელიგიური უმცირესობების მიმართ დისკრიმინაციისა და*

ქსენოფობიური დამოკიდებულებების გამოვლენის ფაქტები ხშირია“²⁸, მათ შორის, თავად პოლიტიკოსების მხრიდან, რაც საზოგადოებისათვის, შესაძლოა, უარყოფითი მესიჯები აღმოჩნდეს და განაპირობოს მათი ქცევა. ხშირ შემთხვევაში, პოლიტიკოსების განცხადებების საყვირი, სწორედ, მედიაა. თუ რა ფრეიმებში მოაქცევს მედია ახალ ამბებს და რა განვითარებას მისცემს მიმდინარე მოვლენებს, ეს მთლიანად მედიაზეა დამოკიდებული.

რადგან მედია დიდ როლს თამაშობს საზოგადოებაში სტერეოტიპების დამკვიდრება-გავრცელებაში, მნიშვნელოვანია იმის შესწავლა, კონკრეტულად, რა ფრეიმებით ახერხებს ამას ონლაინმედია, რომელსაც სოციალურ ქსელებში გავრცელების დიდი არეალი აქვს. ამიტომაც, კვლევის მიზანია, გამოვლენილი ფრეიმების შესწავლა და ასევე, ონლაინმედიის მომხმარებლების მხრიდან დამოკიდებულებებისა და განწყობების გამოვლენა.

ნაშრომი ეფუძნება ორი ონლაინ გამოცემის - liberali.ge და netgazeti.ge - ანალიზს. საკვლევ ობიექტად ონლაინმედია შეირჩა, რადგან ონლაინ სივრცე ერთ-ერთი ყველაზე ხელმისაწვდომი და სწრაფი საშუალებაა ინფორმაციის გასავრცელებლად, საკუთარი მოსაზრების გამოსახატავად. ონლაინმედია საშუალებას იძლევა, გაიზომოს თემის აქტუალობა - რაც აისახება სოციალური ქსელების მოწონება/გაზიარების მაჩვენებელში. ასევე, ონლაინმედიის პლატფორმიდან გამომდინარე, ფრეიმინგის ეფექტების თეორიის გამოყენებით, საშუალება მოგვეცა, გვევარაუდა, რა გავლენას ახდენს ონლაინმედიის პუბლიკაციებში წარმოდგენილი ფრეიმები მკითხველის განწყობა-დამოკიდებულებებსა და შეხედულებებზე, რაც გამოცემების კომენტარების ველში აისახება.

liberali.ge და netgazeti.ge წარმოადგენენ ონლაინ გამოცემებს, რომლებიც სისტემატურად ამზადებენ პუბლიკაციებს ადამიანის უფლებებისა და მათ შორის, რელიგიური უმცირესობების თემაზე. ორივე გამოცემას ახასიათებს ჩვენ მიერ შერჩეული თემისადმი


²⁸ 2016 წლის ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის შესახებ ანგარიში - <http://www.ombudsman.ge/ge/reports/specialuri-angarishebi/2016-wlis-adamianis-uflebata-da-tavisuflebata-dacvis-sheaxebe-angarishi.page>

ინტერესი და მოვლენების გაშუქების თანმიმდევრულობა, შესაბამისად, რელიგიური თემატიკით დაინტერესებული აუდიტორიისთვის, აღნიშნული მედიასაშუალებები ობიექტური ინფორმაციის მიღების წყაროს წარმოადგენენ.

საკვლევ პერიოდად შეირჩა განვლილი ერთი წელი - 2016 წლის პირველი იანვრიდან 2016 წლის 31 დეკემბრამდე. ჩვენთვის საინტერესო იყო დროის ხანგრძლივი მონაკვეთის შესწავლა, რათა საშუალება გვქონოდა, დავკვირვებოდით მედიასაშუალებების ინტერესთა სფეროს როგორც კონფლიქტური სიტუაციების, ისე მშვიდი პერიოდის განმავლობაში. შედეგებმა მოგვცა საშუალება, დაგვენახა, როგორი ტენდენცია იკვეთება ონლაინმედიაში, როგორც კონფლიქტური სიტუაციების პერიოდში, ასევე - საზოგადოდ.

თავი III. კვლევის შედეგები

ერთწლიანი (01.01.2016-31.12.2016) საკვლევო პერიოდის განმავლობაში ონლაინგამოცემა liberali.ge-მ რელიგიურ თემატიკაზე სულ 336 პუბლიკაცია გამოაქვეყნა, რომლიდანაც რელიგიური უმცირესობათა საკითხებს 155 მათგანი დაეთმო, netgazeti.ge-ის მიერ




რელიგიურ თემაზე მომზადებული 432 პუბლიკაციიდან კი, რელიგიური უმცირესობები 132 მათგანში აისახა. პროცენტულად შედეგები ასე გადანაწილდა - 2016 წელს liberali.ge-ის მიერ რელიგიურ თემაზე გამოქვეყნებული მასალებიდან რელიგიურ უმცირესობები 46%-ში


აისახა, netgazeti.ge-ს მაგალითზე - 30%-ში (იხ. დიაგრამა 1.1.).

კვლევის შედეგებმა ცხადყო, რომ ჩვენ მიერ შერჩეული ონლაინმედიასაშუალებებში რელიგიური უმცირესობების საკითხზე გამოქვეყნებული პუბლიკაციების ძირითადი ნაწილი ნიუსის ჟანრისაა. შემდეგ მას რაოდენობრივად მოსდევს სტატია, ინტერვიუ და ბლოგს - ბლოგი. liberali.ge-ზე რელიგიურ უმცირესობებზე მომზადებული 155 პუბლიკაციიდან 138 ნიუსი, 15 სტატია, ერთი ინტერვიუ და ერთი ბლოგი გამოქვეყნდა. ხოლო netgazeti.ge-ს შემთხვევაში: 132 მასალიდან 7 სტატია, 2 ინტერვიუ და 123 ნიუსი (იხ.

დიაგრამა 1.2./დიაგრამა 1.3.).



დიაგრამა 1.2.




დიაგრამა 1.3.


3.1. წყაროები

რადგან პროფესიული სტანდარტის მიხედვით, ჟურნალისტს ბალანსისა და ობიექტურობის დასაცავად მინიმუმ სამი წყაროს გამოყენება ევალება, პუბლიკაციები დავყავით ორ ჯგუფად. პირველ ჯგუფში მოხვდა ის მასალები, რომელშიც გამოყენებული იყო ერთი ან ორი წყარო, მეორე ჯგუფში კი - სამი და მეტი წყარო. სიუჟეტში გამოყენებული წყაროების რაოდენობის დადგენა დაგვებმარა ონლაინმედიის ობიექტურობისა და ბალანსის ხარისხის დადგენაში. მსგავსმა დაყოფამ, გამოავლინა ტენდენცია, რომ ჟურნალისტები, უმრავლესად, ეყრდნობიან ერთ წყაროს. liberali.ge-ს პუბლიკაციებიდან, წყაროთა ბალანსი (3 ან მეტი წყარო) მხოლოდ 9 პუბლიკაციაში იყო დაცული, მათგან უმრავლესობა სტატიის ჟანრისაა. მასალების დანარჩენი ნაწილი 1 ან 2 წყაროს ეყრდნობა. netgazeti.ge-ს შემთხვევაში - წყაროთა ბალანსი 24 მასალაში იყო დაცული. გამოცემა, ძირითადად, 2 წყაროზე დაყრდნობით აქვეყნებდა მასალას. უნდა აღინიშნოს, რომ რელიგიურ უმცირესობებზე მომზადებული მასალიდან, ორივე გამოცემაში დიდი ნაწილი უჭირავს ტერორიზმის გაშუქებას, რა დროსაც, ორივე ონლაინ გამოცემა უცხოური სააგენტოების ინფორმაციას ეყრდნობა, რაც განაპირობებს წყაროთა სიმცირეს. სრული სურათის დასანახად, მასალები, რომლებიც ტერორიზმს ეხებოდა, გამოვყავით მთლიანი რაოდენობრივი მონაცემისგან. ტერორიზმის თემაზე liberali.ge-ზე 41

მასალა, netgazeti.ge-ზე კი 39 მასალა გამოქვეყნდა. წყაროთა სიხშირე და ბალანსი პროცენტულად ასე გამოიყურება (იხ. დიაგრამა 1.4./დიაგრამა 1.5.):



დიაგრამა 1.4.



დიაგრამა 1.5.

წყაროებზე დაკვირვების შედეგად, გამოვლინდა, რომ რელიგიურ უმცირესობებთან დაკავშირებული საკითხების გაშუქებისას, წყაროები, რომელსაც ონლაინ გამოცემები ეყრდნობიან, ძირითადად, არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები, მათი განცხადებები, ანგარიშები და კვლევებია. შემდეგ მათ რაოდენობრივად მიჰყვებიან პოლიტიკოსები, სასულიერო პირები, რელიგიური უმცირესობები, სხვა (საზოგადოების წარმომადგენლები - პოეტი, ფილოლოგი, პროფესორი, ადვოკატი და ა.შ.). ანალიზის შედეგებმა ცხადყო, რომ liberali.ge-ზე გამოქვეყნებული 114 მასალიდან (ტერორიზმის თემის გარეშე) 42 მათგანი მხოლოდ არასამთავრობო ორგანიზაციების, სახალხო დამცველისა და სხვადასხვა სახელმწიფო უწყების მიერ გავრცელებულ განცხადებებს, კვლევებსა და ანგარიშებს მოიცავდა. netgazeti.ge-ის შემთხვევაში კი ამ კუთხით, 93 მასალიდან (ტერორიზმის თემის გარეშე) 28 მასალა გამოქვეყნდა. ტენდენცია, რაც ამ მიმართულებით ვლინდება, გვაჩვენებს, რომ ონლაინმედია რელიგიურ უმცირესობათა საკითხებზე ნაკლებად გვთავაზობს დაბალანსებულ, ანალიტიკური სახის პუბლიკაციებს, სადაც დაცულია წყაროთა და მხარეთა მრავალფეროვნება. წყაროების კომპეტენტურობასთან დაკავშირებით, უნდა აღინიშნოს, რომ ორივე გამოცემა ეყრდნობა საკითხში კომპეტენტური რესპოდენტების შეფასებებს.

3.2. ტონი


გამომდინარე იქიდან, რომ მასალებში ნაკლებად ვლინდება ანალიზი, მსჯელობა და წყაროთა მრავალფეროვნება, პუბლიკაციათა უმრავლესობა კი ნიუსის ჟანრისაა, ჟურნალისტების მხრიდან ასევე ნაკლებად იკვეთება პოზიტიური ან ნეგატიური ტონი. ონლაინ გამოცემები პირდაპირ გადასცემენ მოპოვებულ ინფორმაციას, წყაროთა კომენტარებსა და შეფასებებს, რა დროსაც, ჟურნალისტის როლი მინიმალისტურია. ორივე ონლაინ გამოცემაში დაკვირვების შედეგებმა, ასევე, აჩვენა, რომ ტონი მასალების ძირითად ნაწილში ნეიტრალურია. იმ შემთხვევისას, როდესაც ჟურნალისტს უწევს სიძულვილის ენის შემცველი ფრაზების გამოყენება, ცდილობს გამიჯვნას. მაგალითად, netgazeti.ge-ს მიერ გამოქვეყნებულ მასალაში, სათაურით - „მორწმუნეების ჯგუფმა რომის პაპის ვიზიტის წინააღმდეგ “ლოცვითი დგომის აქცია” გამართა“, ჟურნალისტს უწევს აქციის მონაწილეთა განწყობების გადმოცემა, აცნობიერებს, რომ ტრანსპარანტებზე დატანილი წარწერები სიძულვილის ენის შემცველია და ამას სტატიაშიც გამოხატავს: - *„აქციაზე, სადაც სასულიერო პირები ლოცვას აღავლენდნენ, მიტანილი ჰქონდათ ტრანსპარანტები სიძულვილის ენის შემცველი წარწერებით: “ვატიკანი სულიერი აგრესორია”, “Pope Arch-heretic you are not welcome in Georgia”, “შორს საქართველოდან ანტიქრისტე”²⁹.*

liberali.ge-ს ერთ-ერთი სტატიის მაგალითზე, სათაურით - „მეჩეთი არადიარებული ისტორიით“, - განვიხილავთ სტატიას, სადაც ჟურნალისტის ნეგატიური ტონი ვლინდება. სტატიაში საქართველოს ტერიტორიაზე არსებული მეჩეთების ისტორიულ წარსულსა და არქიტექტურას ეხება, ჟურნალისტი ცდილობს, განიხილოს სოფელ მოხეში მდებარე სადავო შენობის საკითხი, - *„სახელმწიფოს უუნარობის გამო ადამიანები, რომლებიც ამ სოფელში ცხოვრობენ, ერთმანეთთან აღარ მეზობლობენ. საკუთარი მეჩეთისთვის „სხვების“ ბრძოლაში ჩაბმული მოხეელი მუსლიმები კი, ღია სივრცეში აგრძელებენ ლოცვას“³⁰*, - წერს სტატიის ავტორი. როგორც ციტატიდან იკვეთება, ჟურნალისტი სახელმწიფოს „უუნაროს“ უწოდებს და ამავდროულად, მიკერძოებულ დამოკიდებულებას

²⁹ netgazeti.ge; 2016 - <http://netgazeti.ge/news/142552/>

³⁰ liberali.ge, 2016 - <http://liberali.ge/blogs/view/25353/mecheti-araghiarebuli-istoriit>

გამოხატავს რელიგიური უმცირესობების მიმართ, რითაც, ერთი მხრივ, ტოლერანტულია მისი დამოკიდებულება მუსლიმი თემის მიმართ, თუმცა, მეორე მხრივ, მისი პოზიცია მიკერძოებულია და ნეგატიურ ტონად აღიქმება. ტონის მიხედვით ონლაინ გამოცემები პროცენტულად ასე გადანაწილდა (იხ. დიაგრამა 1.6.):



3.3. მულტიმედია პროდუქტი

რაც შეეხება მულტიმედია მასალას (ფოტო, ვიდეო, აუდიო, ინფოგრაფიკა, დიაგრამა), როგორც კვლევამ აჩვენა, ორივე ონლაინ გამოცემა იყენებს ახალ ტექნოლოგიებს. სტატიებს ხშირად ახლავს ვიდეო და ფოტორეპორტაჟი, რაც ინფორმაციის მიღების დამატებით საშუალებას აძლევს მკითხველს. მულტიმედია პროდუქტში, ძირითადად, წარმოდგენილი არიან თავად რელიგიური უმცირესობები, მათი მდგომარეობა, საცხოვრებელი პირობები. ფოტოები, ასევე, გვიყვებიან ისტორიებს, რაც მათი პრობლემისა და საჭიროების დანახვის

შესაძლებლობას იძლევა. განსხვავებით სტატიის ფორმატისა, ვიდეოსა და ფოტოზე რელიგიური უმცირესობები, ძირითადად, სოციალური და კულტურული ფრეიმებით არიან წარმოდგენილები. liberali.ge-მ ერთწლიანი პერიოდის განმავლობაში 4 ფოტორეპორტაჟი შესთავაზა მკითხველს, ხოლო ვიდეო - 6 შემთხვევაში გამოიყენა. მულტიმედია პროდუქტების უმრავლესობა რეგიონში, რელიგიური კონფლიქტების თემაზე მომზადდა, სადაც წარმოდგენილები იყვნენ ადგილობრივი მცხოვრებლები (როგორც რელიგიური უმცირესობები, ისე მართლმადიდებლები) და მათი პოზიციები. სტატიაში - „მოხელი მუსლიმების შეუცვლელი მოთხოვნა“³¹, - ავტორი მოხეში მცხოვრები მუსლიმების მდგომარეობას ტექსტთან ერთად, ვიდეოსა და ფოტორეპორტაჟის საშუალებით ასახავს. წარმოდგენილი ვიდეომასალა გვიყვება მუსლიმი მოსახლეობის რელიგიური ღვთისმსახურების აღსრულების პროცესში ხელშეშლის ფაქტზე. ვიდეოს თან ახლავს ლოცვისას გადაღებული კადრები და მოხეს მაცხოვრებელთა კომენტარები, მათ შორის არიან როგორც მუსლიმები, ასევე, მართლმადიდებლები და სასულიერო პირები. რესპოდენტების ცოცხალი კომენტარები მიმართულია კონფლიქტის აღმოფხვრისკენ და შეიცავს მზადყოფნას კონფლიქტის მშვიდობიანად მოსაგვარებლად. ფოტოებზე აღბეჭდილია როგორც სოფელ მოხეს გარემო, სადავო შენობა, ასევე, უშუალოდ ის ადამიანები, რომლებიც კონფლიქტისას დაზარალდნენ. მულტიმედია პროდუქტს აღნიშნულ სტატიაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს და ჟურნალისტს ეხმარება უკეთ გადმოცემაში იმ განწყობებისა, რომლებიც ადგილობრივ მოსახლეობაში არსებობს. ტექსტის საშუალებით, ჟურნალისტი ერთი მხრივ, გვიყვება არსებული პრობლემის შესახებ, მეორე მხრივ კი, მულტიმედია პროდუქტის საშუალებით, გადმოგვცემს დამატებით ინფორმაციას განწყობების შესახებ.

netgazeti.ge-ზე 3 ფოტორეპორტაჟი და 8 ვიდეოპროდუქტი გამოქვეყნდა. liberali.ge-სგან განსხვავებით, მათი უმრავლესობა საპროტესტო აქციებსა და გამოსვლებს აღწერდა. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ საინტერესოდ იყო წარმოდგენილი მულტიმედია პროდუქტი სტატიაში - „ნოვრუზ ბაირამის დღესასწაული საქართველოში -

³¹ liberali.ge, 2016 - <http://liberali.ge/articles/view/22363/mokheli-muslimebis-sheutsvleli-motkhovna>

პოლიტიკოსების მილოცვები მუსლიმ თემს³² - სადაც ჟურნალისტი ვიდეოებისა და ფოტოების საშუალებით ყვებოდა, თუ როგორ და რა ფორმით მიულოცეს პოლიტიკოსებმა მუსლიმ თემს. მიუხედავად იმისა, რომ სტატია პოლიტიკური პირების მხრიდან გამოვლენილ ტოლერანტულ დამოკიდებულებას აღწერდა, ნაკლებად შეიცავდა პოლიტიკურ ფრეიმს, რადგან დაბალანსებული იყო პოლიტიკური პარტიები წარმომადგენლობის მხრივ და საკითხის აღქმისას ყურადღება ექცეოდა სოციალურ-კულტურულ საკითხს.

3.4. რელიგიურ უმცირესობებთან დაკავშირებული საკითხების აქტუალობა


საკვლევ პერიოდში გამოვლინდა რამდენიმე აქტუალური საკითხი:

- კონფლიქტი რელიგიურ ნიადაგზე სოფელ მოხეში;
- კონფლიქტი რელიგიურ ნიადაგზე ადიგენში;
- დისკრიმინაცია - სასამართლოსა და სახალხო დამცველის გადაწყვეტილებები;
- კანონპროექტი რელიგიური გრძნობის შესახებ;
- რომის პაპის ვიზიტი საქართველოში;
- ტერორიზმი.


რელიგიურ ნიადაგზე მომხდარ კონფლიქტს სოფელ მოხეში გამოცემამ - liberali.ge 25 მასალა დაუთმო, ადიგენში მომხდარი კონფლიქტის შესახებ 10 მასალა გამოაქვეყნა, კანონპროექტს რელიგიური გრძნობების შესახებ - 9 სტატია ეხებოდა, რომის პაპის ვიზიტის შესახებ 14 პუბლიკაცია გამოქვეყნდა, ტერორიზმის თემას კი, - 41 მასალა შეეხებოდა. რელიგიური უმცირესობების მიმართ გამოვლენილი დისკრიმინაციული

³² netgazeti.ge, 2016 - <http://netgazeti.ge/news/103095/>

ფაქტების შეფასებებს, სახალხო დამცველის განცხადებებსა და სასამართლო გადაწყვეტილებებს 7 მასალა მოიცავდა. რადგან დიდი სიხშირით ქვეყნებოდა არასამთავრობო ორგანიზაციების განცხადებები და ანგარიშები რელიგიური კონფლიქტებისა და შეუწყნარებლობის შესახებ, ისინი ცალკე კატეგორიად გამოვყავით. აქტუალური თემების გარდა, მასალები მივაკუთვნეთ კატეგორიას - სხვა. აღნიშნულ კატეგორიაში გაერთიანებულია საკითხები, რომლის მიმართაც ნაკლებ ინტერესს იჩენდა მედიასაშუალება. ამავე პრინციპის დაცვით, netgazeti.ge-იმ რელიგიურ ნიადაგზე მომხდარ კონფლიქტს სოფელ მოხეში 14 მასალა დაუთმო, ადიგენში მომხდარი კონფლიქტის შესახებ 10 მასალა გამოაქვეყნა, კანონპროექტს რელიგიური გრძნობების შესახებ - 14 სტატია ეხებოდა, რომის პაპის ვიზიტის შესახებ 14 პუბლიკაცია გამოქვეყნდა, ტერორიზმის თემას კი - 39 მასალა შეეხებოდა. რელიგიური უმცირესობების მიმართ გამოვლენილი დისკრიმინაციული ფაქტების შეფასებებს, სახალხო დამცველის განცხადებებსა და სასამართლო გადაწყვეტილებებს 3 მასალა მოიცავდა. პროცენტულად, შედეგები ასე გადანაწილდა (იხ. დიაგრამა 1.7/ დიაგრამა 1.8.):



დიაგრამა 1.7.



დიაგრამა 1.8.


რელიგიურ უმცირესობებთან დაკავშირებული საკითხის აქტუალობა, გარდა პუბლიკაციების თემატური სიმრავლისა, გავზომეთ მასალების გაზიარება/მოწონების ფუნქციის მიხედვით. ერთი მხრივ, მნიშვნელოვანია, რამდენად ინტერესდება ონლაინმედია რელიგიურ უმცირესობებთან დაკავშირებული საკითხებით, მეორე მხრივ კი, არანაკლებ მნიშვნელოვანია, რამდენად აქტუალურია საკითხი ონლაინმედიის მკითხველისთვის. გამომდინარე ონლაინ გამოცემების ფორმატიდან, საშუალება გვქონდა, გაგვეზომა, რამდენად ინტერესდება აუდიტორია რელიგიური საკითხებით და კონკრეტულად, რა თემატიკა წარმოადგენს მათი ინტერესის სფეროს. უნდა აღინიშნოს, რომ ონლაინმედიაში გამოქვეყნებული პუბლიკაციის მოწონება/გაზიარება ფუნქციითა და ასევე, კომენტარების ველით სარგებლობისთვის, ტექნიკურად აუცილებელი წინაპირობაა, რომ მკითხველმა სოციალური ქსელის - facebook-ის საშუალებით გაიაროს ავტორიზაცია. შესაბამისად, მონაცემებში, რომელსაც კვლევის შედეგებში ვეყრდნობით, აღნიშნული სოციალური ქსელის მომხმარებლები განიხილებიან.

იმის გასაზომად, თუ რამდენად აქტუალურია საკითხი ონლაინმედიის მომხმარებლისთვის, შევადგინეთ სპეციალური სკალა, სადაც მონაცემებს მივანიჭეთ აქტუალობის მაჩვენებელი სოციალური ქსელის საშუალებით მოწონება/გაზიარების რაოდენობის მიხედვით. მასალები მივაკუთვნეთ შემდეგ კატეგორიებს:

- ნაკლებად აქტუალურია - 0-50 მოწონება/გაზიარება;

- აქტუალურია - 51-100 მოწონება/გაზიარება;
- ძალიან აქტუალურია - 101 და მეტი მოწონება/გაზიარება.

მსგავსმა დაყოფამ გვაჩვენა, რომ რელიგიურ უმცირესობების თემაზე მომზადებული მასალების უმრავლესობა მკითხველისთვის ნაკლებად აქტუალურია, აღნიშნულ შედეგს ნიუსების სიმრავლე განაპირობებს. მაგალითად, ტერორიზმის საკითხზე მომზადებული ნიუსები, რამდენიმე გამონაკლისის გარდა, სწორედ ნაკლებად აქტუალურ კატეგორიაში მოხვდა. იმავეს თქმა შეიძლება არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ გავრცელებულ განცხადებებსა და ანგარიშებზეც, რომლის მიმართაც მკითხველი ნაკლებად გამოხატავდა ინტერესს. პროცენტულად შედეგები ასე გადანაწილდა (იხ. დიაგრამა 1.9.):



რაც შეეხება იმ პუბლიკაციათა სპეციფიკას, რომლებიც კატეგორიას - ძალიან აქტუალური - მივაკუთვნეთ, ძირითადად, სტატიები და ინტერვიუ შეადგენდა. თუმცა, გამონაკლისად, ამ კატეგორიაშიც მოხვდა რამდენიმე ნიუსი, რომელიც ამბის სენსაციურობიდან გამომდინარე, სოციალური ქსელის მომხმარებლისთვის საინტერესო აღმოჩნდა. მაგალითად, მსგავს გამონაკლისს წარმოადგენდა ნიუსები რომის პაპის ვიზიტის შესახებ, რომელსაც თან ახლდა „მართლმადიდებელ მშობელთა კავშირის“ საპროტესტო აქციები, სადაც ისინი

რომის პაპის საქართველოში ჩამოსვლასა და სვეტიცხოველში სტუმრობას აპროტესტებდნენ. აქციები სიძულვილის ენის შემცველი ლოზუნგების ფონზე მიმდინარეობდა. ამ თემის მიმართ სოციალური ქსელების მომხმარებლების ინტერესი იმდენად მაღალი იყო, ათასობით მოწონება/გაზიარება დააგროვა. მაგალითად, სტატია „მორწმუნეების ჯგუფმა რომის პაპის ვიზიტის წინააღმდეგ “ლოცვითი დგომის აქცია” გამართა [ფოტო/ვიდეო]“³³ - 1100 მოწონება/გაზიარება ჰქონდა, ამავე თემაზე liberali.ge-ზე გამოქვეყნებულ მასალას³⁴ - 3085 გაზიარება ჰქონდა.

მსგავსი სენსაციურობით გაშუქდა და შესაბამისად, მაღალი ინტერესი გამოიწვია საპარლამენტო უმრავლესობის წევრის, დეპუტატ სოსო ჯაჭვლიანის საკანონმდებლო ინიციატივამ რელიგიური გრძნობების შესახებ. ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტმა პირველი მოსმენით დაუჭირა მხარი კანონპროექტს საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილებების შეტანის თაობაზე, რომლის მიხედვითაც, მორწმუნეთა გრძნობების შეურაცხყოფა უნდა დაჯარიმებულიყო 300 ლარით, ხოლო განმეორების შემთხვევაში - 600 ლარით. აღნიშნულ თემაზე netgazeti.ge-ს მიერ მომზადებულ ნიუსს სათაურით - „ადამიანის უფლებათა კომიტეტმა “რელიგიური გრძნობების შეურაცხყოფის” დასჯას მხარი დაუჭირა“³⁵ - 3900 მოწონება/გაზიარება ჰქონდა. კანონპროექტის განხილვა აქტუალური თემა აღმოჩნდა liberali.ge-ს მკითხველისთვისაც, ნიუსს, სათაურით - „ჯაჭვლიანმა მორწმუნეთა გრძნობებთან დაკავშირებული კანონპროექტი უკან გაიტანა“, - 1851³⁶ მოწონება/გაზიარება ჰქონდა.

თავისი შინაარსითა და აქტუალობის მაღალი მაჩვენებლით (მოწონება/გაზიარება - 130) გამოირჩეოდა netgazeti.ge-ს სტატია სათაურით - “ეთნიკური ქართველებისა და

³³ nethazeti.ge, 2016 - <http://netgazeti.ge/news/142552/>

³⁴ liberali.ge, 2016 - <http://liberali.ge/news/view/24742/video-lotsviti-dgomis-aqtsia-vatikanis-saelchostan-romis-papis-vizitis-tsinaaghmdeg>

³⁵ netgazeti.ge, 2016 - <http://netgazeti.ge/news/93208/>

³⁶ liberali.ge, 2016 - <http://liberali.ge/news/view/20849/jachvlianma-mortsmuneta-grdznobebtan-dakavshirebuli-kanonproeqti-ukan-gaitana>

მართლმადიდებლებისთვის დაწერილი” სასკოლო სახელმძღვანელოები³⁷. სტატიაში ჟურნალისტი არასამთავრობო ორგანიზაციის „ტოლერანტობის და მრავალფეროვნების ინსტიტუტის“ კვლევის შედეგებსა და კვლევის ავტორის, ბექა მინდიაშვილის შეფასებებზე დაყრდნობით განიხილავდა სკოლის სახელმძღვანელოებში რელიგიური და ეთნიკური მრავალფეროვნების ასახვის საკითხს. ჟურნალისტი სტატიაში საინტერესო მიგნებებს სთავაზობს მკითხველს: - „სახელმძღვანელოების ერთ-ერთი ყველაზე დიდი პრობლემაა განზოგადება და რელიგიისა და ეთნოსის გაიგივება, კონკრეტული ჯგუფებისთვის ეთნიკურ და რელიგიურ საფუძველზე ნაკლოვანების მიწერა. მინდიაშვილის თქმით, ამის მაგალითია წინადადებები – “ირანელები ქართლში შეიჭრნენ”, “თურქები მთელს საქართველოს მოედნენ”, “კლიო”, “არაბებმა ქართლში ფეხი მტკიცედ მოიკიდეს, (...) ბიზანტიის ადგილი რუსეთმა დაიკავა, რისი მთავარი იდეაც მაჰმადიანური გარემოცვისგან თავდაცვა, ქრისტიანობის შენარჩუნებით ეროვნული თვითმყოფადობის დაცვა იყო”. კვლევის პროცესში, netgazeti.ge-ზე გამოქვეყნებული რამდენიმე მასალა შეგვხვდა, რომლებიც სოციალურ-კულტურული ფრეიმებით იყო წარმოდგენილი. უნდა აღინიშნოს, რომ მსგავსი შინაარსისა და საკითხების მიმართ მედიის ინტერესი მნიშვნელოვანია საზოგადოებაში ეროვნული და რელიგიური უმცირესობების ღირებულებების, კულტურის, ისტორიის, რელიგიის შესახებ ცოდნის გაღრმავებისა და აგრეთვე, საზოგადოებაში ტოლერანტობის, კულტურული პლურალიზმის დამკვიდრების, კულტურათაშორისი და რელიგიათაშორისი დიალოგისა და კავშირების განვითარებაში.

ასევე, მაღალი აქტუალობით გამოირჩეოდა liberali.ge-ზე გამოქვეყნებულ სტატიები. მაგალითისთვის, განვიხილავთ პუბლიკაციას სათაურით - „ლოცვა ღია ცის ქვეშ“³⁸, რომელსაც საიტზე 335 მოწონება/გაზიარება ჰქონდა. სტატია შეეხებოდა ბათუმში მცხოვრები მუსლიმი თემის პრობლემას, რომლებიც წლებია, სახელმწიფოსგან მეჩეთის ასაშენებლად მიწის გამოყოფას ითხოვენ. ავტორი აღწერდა მუსლიმი მოსახლეობის

³⁷ netgazeti.ge, 2016 - <http://netgazeti.ge/news/119062/>

³⁸ liberali.ge, 2016 - <http://liberali.ge/articles/view/21928/lotsva-ghia-tsis-qvesh>

საჭიროებებს, რა დროსაც, ყურადღებას უთმობდა აღმსარებლობასთან დაკავშირებულ ნორმებსა და წეს-ჩვეულებებს:

„ბათუმში ორი მეჩეთია - ადლიის მეჩეთი და ორთა ჯამე, რომელიც მლოცველებს ვერ იტევს და ამის გამო, პარასკევობით, 500-მდე მუსლიმი ლოცვას შენობის გარეთ ალაველენ. მათი აბსოლუტური უმრავლესობა მამაკაცია, რადგან მრწამსი მუსლიმ ქალებს მამაკაცებთან ერთად ლოცვის უფლებას არ აძლევს. მართალია, ჯუმა მუსლიმი ქალებისთვის აუცილებელ ლოცვას არ წარმოადგენს, თუმცა, წესის თანახმად, ქალებმა მამაკაცებისგან განცალკევებულ ადგილას უნდა ილოცონ. იმის გათვალისწინებით, რომ ჯამე ვერც მამაკაც მლოცველებს იტევს, ქალ მუსლიმებს პარასკევობით მეჩეთში ლოცვის საშუალება თითქმის არასდროს ეძლევათ“.

როგორც ციტატიდან იკვეთება, ჟურნალისტი პრობლემის სიღრმისეულ ანალიზს გვთავაზობს და საკითხს ზედაპირულად არ განიხილავს. ავტორი საზოგადოებას აწვდის მუსლიმური აღმსარებლობისთვის დამახასიათებელი რელიგიური ნორმების შესახებ ინფორმაციას, რაც მკითხველს საშუალებას აძლევს, გააცნობიეროს პრობლემის არსი და სიღრმე.


რაც შეეხება ტენდენციას, დაკვირვებისას გამოიკვეთა, რომ ონლაინმედიის აუდიტორიის ინტერესი მაღალია სტატიებისა და ინტერვიუების მიმართ. სწორედ ამ ორი ჟანრის უმრავლესობა მოხვდა კატეგორიაში - ძალიან აქტუალური. რაც იმაზე მეტყველებს, რომ მკითხველი მეტადაა ორიენტირებული ანალიტიკური მასალების გაცნობისკენ.

3.5. ფრეიმინგის ანალიზი

იმის დასადგენად, თუ ძირითადად რა ფრეიმებს იყენებენ ჟურნალისტები რელიგიური უმცირესობების გაშუქებისას, მასალები მივაკუთვნეთ წინასწარ შემუშავებულ მიმართულებებს: პოლიტიკური; ეკონომიკური; სოციალური; კულტურა; სამართალი, ტერორიზმი; აღმსარებლობა. ფრეიმების ეფექტების შესასწავლად კი, დავაკვირდით ონლაინ გამოცემების კომენტარების ველს, სადაც მკითხველს სოციალურ ქსელ - facebook-

ით ავტორიზაციის შემდეგ შეუძლიათ, თავიანთი პოზიცია და დამოკიდებულები კომენტარებში ასახონ.

როგორც შედეგებმა ცხადყო, ონლაინ გამოცემების ჟურნალისტები მოვლენების ძირითად ნაწილს პოლიტიკური ფრეიმებით აშუქებენ. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ჟურნალისტები, ძირითადად, თავად არ ირჩევენ ფრეიმებს. ხშირ შემთხვევაში, ისინი იმეორებენ წყაროს მიერ მიწოდებულ ინფორმაციას და შესაბამისად, იმავე ფრეიმით განიხილავს მოვლენას, რა ფრეიმითაც მათ წყარო სთავაზობს. liberali.ge-ის მიერ ერთწლიანი პერიოდის განმავლობაში გამოქვეყნებული 155 მასალიდან პოლიტიკური ფრეიმით 59 პუბლიკაცია გამოქვეყნდა, netgazeti.ge-ს შემთხვევაში კი, 132 მასალიდან 46. რაოდენობრივად, ასევე, მაღალი მაჩვენებელი აქვს ტერორიზმის ფრეიმს. კვლევის შედეგებზე დაყრდნობით, პროცენტულად გადავანაწილეთ ის ფრეიმები, რომელსაც ჟურნალისტები ხშირად მიმართავენ მასალის გამოქვეყნებისას (იხილეთ დიაგრამა 2.0.)



ონლაინმედია თანმიმდევრულად აშუქებდა ტერორიზმთან დაკავშირებულ სიახლეებს როგორც მსოფლიოს, ასევე, საქართველოს მასშტაბით. ტერორიზმის თემაზე მომზადებულ

მასალებში ვაკვირდებოდით, უკავშირებენ თუ არა რაიმე ფორმით ჟურნალისტები ტერორიზმს რელიგიას და ხომ არ უწყობენ ხელს ისლამოფობიური განწყობების ჩამოყალიბებას, თუმცა საკვლევი პერიოდის განმავლობაში არცერთი მსგავსი შემთხვევა არ გამოვლენილა. ჟურნალისტები სიფრთხილით ეკიდებიან თემას და ტერორიზმს რელიგიური კონტექსტით არ განიხილავენ. ამ მიმართულებით, საინტერესო და პრობლემატური სტატია შესთავაზა liberali.ge-მ მკითხველს სათაურით - „სხვა ოცნებებით, პანკისიდან“³⁹. სტატიაში ჟურნალისტი რეპორტაჟულად აღწერს ვითარებას პანკისში, გვიყვება საქართველოს მოქალაქეებზე, რომლებიც პანკისის მაცხოვრებლები იყვნენ და ახლა ტერორისტული დაჯგუფებების წევრები არიან. ჟურნალისტი სტატიაში ცდილობს, აღწეროს ის სოციალური და ეკონომიკური გარემო, რაც პანკისის ხეობაშია შექმნილი და ტერორიზმის პრობლემას დაუკავშიროს: - *„მაქა მუთომვილი წუხს, რომ ძალიან ბევრ მის თანატოლს უამრავი იდეა აქვს, რომლის განხორციელებაც არ შეუძლია. ზოგს სწავლის გაგრძელება უნდა და ფინანსური პრობლემები უშლის ხელს, ზოგს ადგილზე სურს დასაქმება და ამის საშუალება არ გააჩნია. მაქა არ ფიქრობს, რომ პანკისელი ახალგაზრდები მხოლოდ ამ გარემოებათა გამო ირჩევენ „ალაჰის მეომრის“ გზას, „თუმცა შესაძლოა, ერთ-ერთი, დამატებითი განმაპირობებელი ფაქტორი ესეც იყოს“*; - წერს სტატიის ავტორი.

ტერორიზმისა და რელიგიის თემა გადაიკვეთა სტატიაში - „რელიგიის სააგენტო: იმის თქმა, რომ მუსლიმებს ვჩაგრავთ, ქვეყანაში ტერორისტების მოწვევა“⁴⁰. ადამიანის უფლებათა კომიტეტის სხდომაზე, სადაც ერთ-ერთ საკითხად რელიგიურ უმცირესობებთან დაკავშირებული საკითხები განიხილებოდა, რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, არჩილ მეტრეველმა არასამთავრობო ორგანიზაციის „ადამიანის უფლებების სწავლების და მონიტორინგის ცენტრის“ წარმომადგენლის კრიტიკის პასუხად განაცხადა: - *„დამერწმუნეთ, არც ერთი საერთაშორისო სოლიდური ინსტიტუტის გამოხმაურება არ იქნება იმაზე სწრაფი, ვიდრე ამას გამოეხმაურებიან ის რადიკალური ძალები, რომლებიც*

³⁹ liberali.ge, 2016 - <http://liberali.ge/articles/view/20080/skhva-otsnebebit-pankisan>

⁴⁰ liberali.ge, 2016 - <http://liberali.ge/news/view/22415/religiis-saagento-imis-tqma-rom-muslimებს-vchagravt-qveyanashi-teroristebis-motsvevaa>

ჩვენთან არიან. ამიტომ, საქართველოში ნუ მოვიწვევთ ტერორისტებს და რადიკალებს. ვართ რეჟიმში, როცა მუსლიმი თემის წინაშე სახელმწიფოსგან მტრის ხატს ქმნიან და ამის ადვოკატირებას სამოქალაქო სექტორი აკეთებს“. კომენტარში იკვეთება ტერორიზმის საფრთხე, რის საშიშროებასაც არჩილ მეტრეველი მუსლიმ თემში ხედავს. მეორე მხრივ, კი არასამთავრობო ორგანიზაციებს სწორედ ტერორიზმის საფრთხის საბაზით, მიუთითებს, შეწყვიტონ სახელმწიფოს კრიტიკა. წყაროს დამოკიდებულებები მუსლიმების მიმართ სტერეოტიპების გამყარებას უწყობს ხელს, სტერეოტიპისა, თითქოს, მუსლიმები ტერორიზმის საფრთხეს წარმოადგენენ ქვეყანაში.

საკვლევი პერიოდის განმავლობაში, შესაძლებლობა მოგვეცა, დავკვირვებოდით ონლაინმედიის მიერ რელიგიურ ნიადაგზე მომხდარი 2 კონფლიქტის გაშუქებას ადიგენსა და სოფელ მოხეში. მიუხედავად იმისა, რომ მასალათა უმრავლესობა პოლიტიკური ფრეიმით შუქდებოდა და დიდი დოზით შეიცავდა რელიგიურ უმცირესობებთან მიმართებით სახელმწიფოს პოლიტიკის კრიტიკას, მკითხველის კომენტარები ტერორიზმის ფრეიმებით პასუხობდნენ სტატისას. ასევე, ხშირად იკვეთებოდა ქსენოფობიური დამოკიდებულება მუსლიმი თემის მიმართ. სოციალური ქსელის მომხმარებლები აქტიურად ადევნებდნენ თვალს მიმდინარე მოვლენებს. კომენტარების უმეტესობა აგრესიული ტონით გამოირჩეოდა, შეიცავდა სიძულვილის ენისა და სიტყვიერი შეურაცხყოფის ფაქტებს. კომენტარების მაგალითებში დაცულია ტექსტის სტილი.

მაგალითები:

- „ეხლა ხოჯის მოჭრილ თავს მივაჭედებთ..... თათრებო ჯერ სათათრეთში გაიხსნას ერთი ტაძარიც მაინც და აქა მერე მოითხოვეთ რამე თათრების დაკვეთით.....“⁴¹.

⁴¹კომენტარის ნახვა შესაძლებელია მოცემულ ბმულზე - <http://liberali.ge/news/view/24712/muslimi-mostsavleebis-pansionatis-saqmeze-sarcheli-sasamartlom--natsilobrив-daakmayofila>

- „ქართველი მართლმადიდებლების უფლება არ დაირღვა, აზერბაიჯანიდან რომ მამაო გამოისტუმრეს და წირვა -ლოცვა აუგრძალებს, სად იყო თამთა მიქელაძე მაშინ.? ჩვენ მათ მიწაზე წირვა - ლოცვა არ უნდა ჩავატაროთ და ისინი ცალკე სასაფლაოს თხოულობენ. ქვეყანა კომიკურ მდგომარეობაში არაა ხალხო“⁴².
- „თათრები არიან, აბა რა იმას კი არ იფიქრებენ ქრისტიანობა დაიბრუნონ, სადაც მიდიან მეჩეთებს და ჯამეებს იშენებენ ქართველებს თავის მოჭრით გვემუქრებიან, ამათი ისლამისტი“.
- „თურქები ითხოვენ საქართველოში სალოცავს“⁴³.
- „თათრებმა ცეცხლითა და მახვილით გაათათრეს აჭარა, ქობულეთელი ვარ, ანგრევდნენ ეკლესია მონასტრებს..... ეხლა აჭარელი რომ იცავს თათრებს, და მუხამედს, ის პატივს არ ცემს იმ ჩვენს ნაწამებ წინაპრებს..... ვინაც წინაპრებს პატივს არ ცემს, ისინი არ არიან ღირსი რო დაფასო“.
- „verasode ver gaxdeba adigeni turketi“.
- „საწყალი მუსულმანები, მთელ მსოფლიოში დაიწყო ქრისტიანებისგან მათი დევნა და შევიწროება., ნწ,ნწ,ნწ. მართლმადიდებლობა, მჩაგვრელების რელიგია ყოფილა! ვაი ჩვენს თავს. რა ღირს ნეტავ ესეთი სტატიები და ჟურნალისტები“?

სოციალური ქსელების მომხმარებლები განსაკუთრებულად გააქტიურდნენ რომის პაპის ვიზიტის პერიოდში. გარდა მასალათა მოწონება/გაზიარების მაღალი მაჩვენებლისა, აქტიური დისკუსია გაიმართა კომენტარების ველში. რომის პაპის ვიზიტს თან ახლდა აეროპორტის გზატკეცილზე „მართლმადიდებელ მშობელთა კავშირის“ წევრების საპროტესტო აქცია. მონაწილეები საქართველოში რომის პაპის ვიზიტს აპროტესტებდნენ

⁴² კომენტარის ნახვა შესაძლებელია მოცემულ ბმულზე - <http://liberali.ge/news/view/21194/volski-religiuri-dapirispireba-ar-yofila-sagartveloshi-saukuneebis-mandzilze>

⁴³ კომენტარის ნახვა შესაძლებელია მოცემულ ბმულზე - <http://liberali.ge/articles/view/26009/mokhis-sajldao-qvebi>

და ამბობდნენ, რომ აპირებდნენ რომის პაპის ვიზიტის მხილებას, მართლმადიდებლებს კი მოუწოდებდნენ, რომ არ დასწრებოდნენ პაპის მესას⁴⁴.

კომენტარებზე დაკვირვებისას, გამოვლინდა, რომ ონლაინმედიის მომხმარებელთა უმრავლესობა არ იზიარებდა აქციის მონაწილეთა პათოსს. კომენტარების ავტორები ორ კატეგორიად დაიყვნენ, რომლებიც ნეგატიურ დამოკიდებულებებს გამოხატავდნენ კათოლიკური რელიგიისა და მათი რელიგიური ლიდერის მიმართ და მათ მოწინააღმდეგეებად. კომენტარები შეიცავდა პოლიტიკასა და აღმსარებლობასთან დაკავშირებულ განწყობებს, სიმულვილის ენასა და სიტყვიერ შეურაცხყოფებს როგორც ერთმანეთის, ისე კათოლიკური და მართლმადიდებლური აღმსარებლობის მიმართ.

მაგალითები:

- „რომელი პაპი იყო აღარ მახსოვს ბორჯიების ერთ ერთი უგათახსირებულესი გვარიდან“.
- „რომის პაპს იმიტომ კი არ ვუშვებთ ნახუიზე რომ კათოლიკეა იმიტომ რომ პიდარასტია და პიდარასტების მფარველი პოლიტიკური კახპა“.
- „კარგად წაიკითხეთ და გაიგებთ თუ რა დიდი უბედურება მოუტანეს მართლმადიდებელ ეკლესიას პაპისტებმა... “მართლმადიდებლობისადმი სიმულვილი, ფანატიზმი და მართლმადიდებელთა დევნა, მკვლევლობები - წითელ ზოლად გასდევნენ კათოლიციზმის ცხორების ყველა ხანას. მათი ნაყოფით იცნობთ მათ. ასეთი სული გვემცნო ქრისტეს მიერ? ვის, და კათოლიკეებს, ლუთერანებსა და რე-ფორმატორებს შეიძლება ყოველთვის უთხრა: “არა იცითა, რომლისა სულისანი ხართ თქვენ” (ლუკ. 9,25)–წმინდა იოანე კრონშტადტელი“.
- „ჩვენ სარწმუნოების საკითხებში არაფერი გვაქვს სასწავლი ლიბერალებისგან, ეკუმენისტებისგან, მწვალებლებისგან, სექტანტებისგან და ა. შ. ვისი მოწვეულია და რა ძალები დგანან ამ ვიზიტის უკან ყველამ კარგად იცის. რაც შეეხება სექტანტობას

⁴⁴ netgazeti.ge, 2016 - <http://netgazeti.ge/news/144409/>

ზუსტად მართლმადიდებლები რადგან ვართ მაგიტომ ვეწინააღმდეგებით არქი-ერეტიკოსის დამალეზულ "სტუმრობას".

- „შე მართლა აყროლებულო, შენი რომის პაპის განცხადებები წაიკითხე და მერე უცხო პლანეტელების ნათლობის ბილეთებიც დაჯავშნე“.
- „საერთოდ აზრზე თუ ხარ და გაგიგია მაინც რაა ეკლესია და ვინაა რომის პაპი. ალბათ მხოლოდ პაპის ტერფების გემო იცი :-D“.

არანაკლები აგრესიით პასუხობდნენ რომის პაპის ვიზით ნეგატიურად განწყობილი კომენტარების ავტორებს მათი მოწინააღმდეგეები. მოყვანილ მაგალითებში ტექსტის სტილი დაცულია:

- „მე 16 საუკუნეში ნიკონმა რომ ადუღებულ კუპრში ჩახარმა მღვდელთმსახურები ისიც კათოლიკების ბრალი იყო?- რუსებმა რომ ეკლესიები დაანგრიენ და მღვდლები ამოხოცენ და მერე თავიანთი მეფე მისი ოჯახის წევრებითურთ რომ ამოხოცენ ესეც კათოლიკებს მივაწეროთ“?
- „ამოვიდნენ ყელში ეს ანაფორიანი კაგებეშნიკები რააა. ვინ ეკითხებათ სახელმწიფო ვიზიტით ვინ ჩამოვა და ვინ წავა. შეეთრიონ თავის ცეხებში და იტყაონ მუხლები ლოცვით“.
- „ქართველობის დაკარგვის შიში სრულიად ადამიანური შიშია ;-“.
- „რამაზი მჭედლიშვილი - თქვენ რომ უმრავლესობა იყოთ, მაშინ ეს ქვეყანა ფუნდამენტალისტურ ავღანეთს დაემსგავსებოდა და მართლმადიდებულური შარიათი გვექნებოდა. თქვენი ნება რომ იყოს, ქვეყნის კონსტიტუციას ”სჯულის კანონით” ჩაანაცვლებდით“.
- „იმ ქვეყნის დედა მოვტყან, სადაც ბედუკაძე გმირია და რომის პაპი მტერი“!

- „რუსეთის კაგებეშნიკი პატრიარქი კირილი, იმ რუსეთისა, რომელმაც დაგვბომბა და ხალხი დაგვიხოცა, კირილი, რომელიც რუსეთის მიერ ოკუპირებულ ჩვენს ტერიტორიებს არ ცნობს და ა.შ. რომ ჩამოსულიყო, ხომ დახვდებოდით დიდი პატივით? ამას ვეძახი ფეხქვეშ გაგებას =D)))))) თქვენი პატრიარქი ილია მეორე იტალიაში რომ ჩავიდეს და იტალიელი კათოლიკეები ისევე რომ დახვდნენ, როგორც თქვენ ხვდებით რომის პაპს, მოგეწონებოდა? :))) იტალიელებმა ილია მეორეს თქვენსავით ცხვირწინ რომ უფრიალონ ტრანსპარანტები: ”ილია მეორე სულიერი აგრესორია” მოგეწონებოდა? :)))“.
- „ჩვეულებრივი ფანატიკოსები ხართ, თქვენსა და არაბ ტერორისტებს შორის დიდი განსხვავება კი არ არის, უბრალოდ მადლობა ღმერთს თქვენ იმდენი გასაქანი არ გაქვთ საქართველოში და არც არასოდეს გექნებათ)))) რა განსხვავებაა თქვენსა და იმ არაბ აისისის ფანატიკოსს შორის, დედამისს საჯაროდ ყელი რომ გამოჭრა, რელიგიური უთანხმოების გამო? იმასაც ისლამი დედამისზე უფრო მეტად ”უყვარს”“.
- „ბრბო, ღმერთის მკვლელი ერთიჯრედიანი, ყურმოკრული ინფორმაციებით მოჯირითე, ავადმყოფი მრევლი მოძღვრითურთ! ეს ცოტა კორექტულად მაგრამ თქვენ მო..... თქვენებური ინტერპრეტაციები რელიგიისა და საღვთო სჯულის მიმართ“!

როგორც კომენტარების შესწავლისას გამოიკვეთა, ონლაინმედიის მომხმარებლები რელიგიურ უმცირესობებთან დაკავშირებულ თემებს გვთავაზობენ საკუთარი ფრეიმებით, საკითხს, ძირითადად, განიხილავენ ტერორიზმისა და პოლიტიკური ჩარჩოებით. მათი მსჯელობის არეალს, ასევე, წარმოადგენს ლიბერალიზმის იდეოლოგიისა და მსოფლმხედველობის ნეგატიური კონტექსტით განხილვა. რელიგია წარმოჩენილია, სახელმწიფოს პოლიტიკური კურსის განმსაზღვრელად. დისკუსიაში არგუმენტირებისას მსჯელობა მიმდინარეობს რუსეთ-საქართველოსა და საქართველო-დასავლეთის ურთიერთობებზე.

დასკვნა

ჩვენ მიერ განხორციელებული კვლევის შედეგებზე დაყრდნობით შეგვიძლია ვთქვათ, რომ კვლევის ჰიპოთეზა არსებითად გამართლა. სრულად დაკმაყოფილდა ჰიპოთეზა - **RH1**. ონლაინ გამოცემების შესწავლის შედეგებმა გამოავლინა, რომ რელიგიურ უმცირესობებთან დაკავშირებული საკითხების გაშუქებისას, ჟურნალისტები პრობლემებს, ძირითადად, პოლიტიკური ფრეიმებით განიხილავენ და მათი ყურადღების მიღმა რჩება მძიმე სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები. არსებითად გამართა ჰიპოთეზა მედიის ინტერესის შესახებ - **RH3**, მასალების ანალიზის შედეგად, არ გამოკვეთილა მედიის მნიშვნელოვანი ინტერესი საზოგადოებაში რელიგიური უმცირესობების წარმომადგენელთა კულტურული და სოციალური დიალოგის ხელშეწყობისთვის. პუბლიკაციათა უმრავლესობა წარმოადგენდა ნიუსებს და ნაკლებად გვთავაზობდა მოვლენათა ანალიზს. თუმცა, საკვლევი პერიოდის განმავლობაში, გავეცანით რამდენიმე ანალიზურ სტატიას, სადაც ავტორები რეპორტაჟული სტილის გამოყენებით ცდილობდნენ, მკითხველისთვის ეჩვენებინათ პრობლემების სიღრმისეული არსი, წარმოეჩინათ რელიგიური უმცირესობებისთვის დამახასიათებელი რელიგიური თუ კულტურული ნორმები. მსგავსი მასალა რაოდენობრივად ძალიან მწირი იყო.

არ გამართლა ჰიპოთეზა - **RH2**, რომელშიც მოვიაზრებდით, რომ ჟურნალისტები სიმულვილის ენის ტირაჟირებას ახდენენ, რითაც ხელს უწყობენ ქსენოფობიური დამოკიდებულებების გაღვივებას საზოგადოებაში. მასალებზე დაკვირვების შედეგებმა ცხადყო, რომ როდესაც ჟურნალისტებს უწევთ რესპოდენტების მხრიდან გამოვლენილი დისკრიმინაციული განწყობებისა და სიმულვილის ენის შემცველი ციტატების გამოყენება, აცნობიერებენ პროფესიულ პასუხისმგებლობას და მასალაში სიტყვიერი მითითებით ემიჯნებიან.

კვლევის შედეგებმა ცხადყო, რომ ჩვენ მიერ შერჩეული ონლაინ გამოცემები რელიგიური უმცირესობების საკითხზე გამოქვეყნებული პუბლიკაციების ძირითადი ნაწილი ნიუსის

ჟანრისაა. შემდეგ მას რაოდენობრივად მოსდევს სტატია, ინტერვიუ და ბოლოს - ბლოგი. წყაროთა სიმრავლეზე დაკვირვებამ აჩვენა რომ ონლაინმედია ძირითადად 1 ან 2 წყაროს ეყრდნობა მასალებში ნაკლებად გვთავაზობს მხარეთა ბალანსს. წყაროები, რომელსაც ონლაინ გამოცემები ეყრდნობიან, ძირითადად, არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები, მათი განცხადებები, ანგარიშები და კვლევებია. შემდეგ მათ რაოდენობრივად მიჰყვებიან პოლიტიკოსები, სასულიერო პირები, რელიგიური უმცირესობები, სხვა (საზოგადოების წარმომადგენლები - პოეტი, ფილოლოგი, პროფესორი, ადვოკატი და ა.შ.).

გამომდინარე იქიდან, რომ მასალებში ნაკლებად ვლინდება ანალიზი, მსჯელობა და წყაროთა მრავალფეროვნება, პუბლიკაციათა უმრავლესობა კი ნიუსის ჟანრისაა, ჟურნალისტების მხრიდან ასევე ნაკლებად იკვეთება პოზიტიური ან ნეგატიური ტონი. ონლაინ გამოცემები პირდაპირ გადასცემენ მოპოვებულ ინფორმაციას, წყაროთა კომენტარებსა და შეფასებებს, რა დროსაც, ჟურნალისტის როლი მინიმალისტურია. ორივე ონლაინ გამოცემაში დაკვირვების შედეგებმა, ასევე, აჩვენა, რომ ტონი მასალების ძირითად ნაწილში ნეიტრალურია.

დაკვირვების შედეგად, ასევე, გამოვლინდა, რომ ორივე ონლაინ გამოცემა მიჰყვება ახალი მედიის მოთხოვნებს, იყენებს ახალ ტექნოლოგიებს. სტატიებს ხშირად ახლავს ვიდეო და ფოტორეპორტაჟი, რაც ინფორმაციის მიღების დამატებით საშუალებას აძლევს მკითხველს. მულტიმედია პროდუქტში, ძირითადად, წარმოდგენილი არიან თავად რელიგიური უმცირესობები, მათი მდგომარეობა, საცხოვრებელი პირობები. ფოტოები, ასევე, გვიყვებიან ისტორიებს, რაც მათი პრობლემისა და საჭიროების დანახვის შესაძლებლობას იძლევა. განსხვავებით სტატიის ფორმატისა, ვიდეოსა და ფოტოზე რელიგიური უმცირესობები, ძირითადად, სოციალური და კულტურული ფრეიმებით არიან წარმოდგენილები.

მასალათა უმრავლესობა პოლიტიკური ფრეიმით იყო წარმოჩენილი, შემდეგ მას მოსდევს ტერორიზმი, სოციალური, სამართალი, აღმსარებლობა, კულტურა და ბოლოს ეკონომიკა. უნდა აღინიშნოს, რომ რელიგიურ უმცირესობებზე მომზადებული მასალიდან, ორივე

გამოცემაში დიდი ნაწილი უჭირავს ტერორიზმის გაშუქებას. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ტერორიზმის თემაზე მომზადებულ მასალებში ვაკვირდებოდით, უკავშირებენ თუ არა რაიმე ფორმით ჟურნალისტები ტერორიზმს რელიგიას და ხომ არ უწყობენ ხელს ისლამოფობიური განწყობების ჩამოყალიბებას, თუმცა საკვლევი პერიოდის განმავლობაში არცერთი მსგავსი შემთხვევა არ გამოვლენილა.

ჩვენ მიერ შემუშავებული სკალის დახმარებით, რომელიც მასალების მოწონება/გაზიარების მიხედვით ონლაინმედიის მომხმარებლებში საკითხის აქტუალობის შესწავლისთვის გამოვიყენეთ, გამოვავლინეთ, რომ რელიგიურ უმცირესობების თემაზე მომზადებული მასალების უმრავლესობა მკითხველისთვის ნაკლებად აქტუალურია, აღნიშნულ შედეგს ნიუსების სიმრავლე განაპირობებს. ტენდენციაზე მსჯელობისას, უნდა აღინიშნოს, რომ ონლაინმედიის აუდიტორიის ინტერესი მაღალია სტატიებისა და ინტერვიუების მიმართ. სწორედ ამ ორი ჟანრის უმრავლესობა მოხვდა კატეგორიაში - ძალიან აქტუალური. რაც იმაზე მეტყველებს, რომ მკითხველი მეტადაა ორიენტირებული ანალიტიკური მასალების გაცნობისკენ.

რელიგიურ ნიადაგზე მომხდარი კონფლიქტების გაშუქებისას, მასალათა უმრავლესობა პოლიტიკური ფრეიმით შუქდებოდა და დიდი დოზით შეიცავდა რელიგიურ უმცირესობებთან მიმართებით სახელმწიფოს პოლიტიკის კრიტიკას. მკითხველის კომენტარები ტერორიზმის ფრეიმებით პასუხობდნენ სტატიას. ონლაინმედიის მომხმარებლებში, ასევე, ხშირად იკვეთებოდა ქსენოფობიური დამოკიდებულება მუსლიმი თემის მიმართ. მომხმარებლები აქტიურად ადევნებდნენ თვალს მიმდინარე მოვლენებს. კომენტარების უმეტესობა აგრესიული ტონით გამოირჩეოდა, შეიცავდა სიძულვილის ენისა და სიტყვიერი შეურაცხყოფის ფაქტებს.

კვლევის მიგნებები

- როგორც შედეგებმა ცხადყო, ონლაინ გამოცემების ჟურნალისტები მოვლენების ძირითად ნაწილს პოლიტიკური ფრეიმებით აშუქებენ. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ჟურნალისტები, ძირითადად, თავად არ ირჩევენ ფრეიმებს. ხშირ შემთხვევაში,

ისინი იმეორებენ წყაროს მიერ მიწოდებულ ინფორმაციას და შესაბამისად, იმავე ფრეიმით განიხილავენ მოვლენას, რა ფრეიმითაც მათ წყარო სთავაზობს.

- კომენტარების შესწავლისა და ონლაინმედიის მომხმარებლების დამოკიდებულება-განწყობილებებზე დაკვირვებამ შესაძლებლობა მოგვცა გვემსჯელა ფრეიმინგის ეფექტებზე. როგორც საკითხის ანალიზმა აჩვენა, ონლაინმედიაში წარმოდგენილი მასალები კიდევ უფრო მეტ აგრესიას იწვევს და მაპროვოცირებელი ხდება იმ ნეგატიური და სტერეოტიპული განწყობებისა, რაც საზოგადოებაში რელიგიური უმცირესობების მიმართ არსებობს.
- ონლაინმედიის მომხმარებლები რელიგიურ უმცირესობებთან დაკავშირებულ თემებს გვთავაზობენ საკუთარი ფრეიმებით, საკითხს, ძირითადად, განიხილავენ ტერორიზმისა და პოლიტიკური ჩარჩოებით. მათი მსჯელობის არეალს, ასევე, წარმოადგენს ლიბერალიზმის იდეოლოგიისა და მსოფლმხედველობის ნეგატიური კონტექსტით განხილვა. რელიგია წარმოჩენილია, სახელმწიფოს პოლიტიკური კურსის განმსაზღვრელად. დისკუსიაში არგუმენტირებისას მსჯელობა მიმდინარეობს რუსეთ-საქართველოსა და საქართველო-დასავლეთის ურთიერთობებზე.
- ონლაინმედიის მომხმარებლები, რომლებიც იზიარებენ და ეთანხმებიან მასალაში წარმოდგენილ ფრეიმებს, დისკუსიისას გვთავაზობენ საკითხის ანალიზს. ხოლო ისინი, რომლებიც არ ეთანხმებიან მასალაში წარმოჩენილ ფრეიმებს, აგრესიულად რეაგირებენ, იყენებენ სიმულვილის ენას და გამოხატავენ საშიშროებას იმის შესახებ, თითქოს რელიგიური უმცირესობები საფრთხეს უქმნიან ქართულ იდენტობას.

ბიბლიოგრაფია

1. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (2016) - მოსახლეობის 2014 წლის საყოველთაო აღწერის ძირითადი შედეგები / ნახვის დრო: 2017 წლის 15 მაისი; ხელმისაწვდომია - http://census.ge/files/results/Census%20Release_GEO.pdf
2. თავისუფლების ინსტიტუტი (2005) - ადამიანის უფლებები, რელიგიის თავისუფლება, თბილისი.
3. საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლი; / ნახვის დრო: 2017 წლის 15 მაისი. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/30346>
4. სახალხო დამცველთან არსებული ეროვნულ უმცირესობათა საბჭო (2011) - შემწყნარებლობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის ეროვნული კონცეფციის და სამოქმედო გეგმის შესრულების 2010-2011 წლის მონიტორინგის შედეგები. გვ. 108 - <http://www.ecmcaucasus.org/upload/cnm/UNDP-Publication-GEO-FINAL.pdf>
5. სახალხო დამცველი (2013) - სახალხო დამცველის საპარლამენტო ანგარიში / ნახვის დრო: 2017 წლის 15 მაისი <http://ombudsman.ge/uploads/other/1/1486.pdf>
6. სახალხო დამცველი (2016) - 2016 წლის ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის შესახებ ანგარიში / ნახვის დრო: 2017 წლის 15 მაისი. <http://www.ombudsman.ge/uploads/other/4/4494.pdf><http://www.ombudsman.ge/uploads/other/4/4087.pdf>
7. აღმოსავლეთის პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის საქართველოს ეროვნული პლატფორმა (2013) - უმცირესობათა მდგომარეობა საქართველოში / ნახვის დრო: 2017 წლის 16 მაისი http://eapnationalplatform.ge/admin/editor/uploads/files/publications/Policy%20Paper_WG_1_Umciresobebi_1.pdf

8. Melvin L. DeFleur (2008) – Mass Communication Theories: Explaining Origins, Processes, and Effects
9. Denis McQuail's (2005) – Mass Communication Theory / ნახვის დრო: 2017 წლის 3 ოქტომბერი <https://www.scribd.com/doc/168618932/Reading-McQuail-s-Mass-Communication-Theory-pdf>
10. David Tewksbury; Dietram A. Scheufele (2009) - News framing theory and research – University of Illinois; University of Wisconsin, Madison / ნახვის დრო: 2017 წლის 2 მარტი. <https://www.researchgate.net/publication/224818365> News framing theory and research
11. Robert M. Entman (1993) - Framing: Toward Clarification of a Fractured Paradigm, Northwestern University / ნახვის დრო: 2017 წლის 2 მარტი. https://www.attorneygeneral.jus.gov.on.ca/inquiries/cornwall/en/hearings/exhibits/Mary_Lynn_Young/pdf/05_Entman.pdf
12. Dietram A. Scheufele (1999) - Framing as a Theory of Media Effects Journal of Communication, Winter / ნახვის დრო: 2017 წლის 2 მარტი. https://www.researchgate.net/profile/Dietram_Scheufele/publication/209409815_Framing_a_theory_of_media_effects/links/0fcfd510e9ad629f50000000.pdf
13. Dennis Chong and James N. Druckman (2007)- A Theory of Framing and Opinion Formation in Competitive Elite Environments –Department of Political Science, Northwestern University, Evanston, Illinois 60208 / ნახვის დრო: 2017 წლის 3 ოქტომბერი <https://www.unc.edu/~fbaum/teaching/articles/J-Communication-2007-6.pdf>
14. Jennings Bryant and Mary Beth Oliver (2009) - Media Effects – Advances in Theory and Research (Third edition) - Penn State University, (გვ.19) / ნახვის დრო: 2017 წლის 4 ოქტომბერი http://www.communicationcache.com/uploads/1/0/8/8/10887248/framing_theory.pdf

15. Ryan, Caragee, and Mainhofer (2001)- Official sources and those holding institutional power, გვ.180
16. James N. Druckman (©2002) - THE IMPLICATIONS OF FRAMING EFFECTS FOR CITIZEN COMPETENCE - PoliticalBehavior, Vol. 23, No. 3 September 2001 - / ნახვის დრო: 2017 წლის 4 ივნისი
<http://faculty.wcas.northwestern.edu/~jnd260/pub/Druckman%20Political%20Behavior%202001.pdf>
17. James N. Druckman (2001) – On the Limits of Framing Effects: Who Can Frame? – The Journal of Politics - გვ.1043 / ნახვის დრო: 4 ივნისი
https://www.jstor.org/stable/2691806?seq=3#page_scan_tab_contents
18. Hart, R. P., Turner, K. J., &Knupp, R. E. (1980) - Religion and the Rhetoric of the Mass Media. Review of Religious Research, - გვ. 256-275 / ნახვის დრო: 5 ივნისი
https://www.jstor.org/stable/3509807?seq=1#page_scan_tab_contents
19. Iyengar, S. (1991)– Is anyone responsible?: How television frames political issues. Chicago: University of Chicago Press / ნახვის დრო: 5 ივნისი
https://books.google.ge/books?hl=en&lr=&id=Ca6VaTItqi4C&oi=fnd&pg=PP8&dq=info:6hkPCPpOS70J:scholar.google.com&ots=KNsQ9EfO1c&sig=koetQkQuMMfs6KxcRxP-dS1Aem4&redir_esc=y#v=onepage&q&f=false
20. James N. Druckman (© 2002) - THE IMPLICATIONS OF FRAMING EFFECTS FOR CITIZEN COMPETENCE - Political Behavior, Vol. 23, No. 3, September 2001 - გვ.228 / ნახვის დრო: 11 ივნისი
<http://faculty.wcas.northwestern.edu/~jnd260/pub/Druckman%20Political%20Behavior%202001.pdf>
21. PEJ/Pew Forum Joint Release (2011) – Religion in the News: Is lamand Politics Dominate Religion Coveragein - FOR RELEASE FEBRUARY 23, 2012 / ნახვის დრო: 11 ივნისი

http://www.issuelab.org/resource/religion_in_the_news_islam_and_politics_dominate_religion_coverage_in_2011

22. McCune, C. A. (2003) – Framing Reality: Shaping the news coverage of the 1996 Tennessee Debate on Teaching Evolution. *Journal of Media and Religion*, 2 (1), გვ.5-28/
23. Newman J. (1978) - The Idea of Religious Tolerance, *American Philosophical Quarterly*, University of Illinois Press on behalf of the North American Philosophical Publications / ნახვის დრო: 17 მაისი <http://www.jstor.org/stable/20009713>
24. Wright S. (1997) - Media Coverage of Unconventional Religion: Any "Good News" for Minority Faiths?, *Review of Religious Research*, [Religious Research Association, Inc.](http://www.religiousresearch.org/), ნახვის თარიღი: 23 მაისი <http://www.jstor.org/stable/3512176>
25. Døving, C.A. (2016) - Jews in the News – Representations of Judaism and the Jewish Minority in the Norwegian Contemporary Press, *Journal of Media and Religion*, Volume 15, Issue 1, 2 January 2016, გვ. 1-14
26. [Collins, B.W.^a](#), [Sturgill, A.^b](#) (2013) - The Effects of Media Use on Religious Individuals' Perceptions of Science, *Journal of Media and Religion*, გვ. 217-230
27. მედიის განვითარების ფონდი (2015) - სიძულვილის ენა და ქსენოფობია 2014-2015, გვ. 13 / ნახვის დრო: 3 ივნისი
<http://www.mdfgeorgia.ge/uploads/library/19/file/Hate%20Speech-2015-GEO-web.pdf>
28. მედიის განვითარების ფონდი (2010) - ეთნიკურ უმცირესობებთან დაკავშირებული თემების ასახვა მედიაში / ნახვის დრო: 3 ივნისი
http://eurocommunicator.ge/mdf/uploads//BCG_kvleva.pdf
29. BCG Research (2010) - ეთნიკურ უმცირესობებთან დაკავშირებული თემების ასახვა მედიაში / ნახვის დრო: 25 მაისი
http://eurocommunicator.ge/mdf/uploads//BCG_kvleva.pdf

30. ინტერნიუსი - საქართველო (2012) - ეთნიკური, რელიგიური და სექსუალური უმცირესობების გაშუქება პრესაში / ნახვის დრო: 25 მაისი
https://ge.boell.org/sites/default/files/downloads/Media_Monitoring_report_IV_Geo.pdf
31. მედიის განვითარების ფონდი (2013) - სიმულვილის ენისა და დისკრიმინაციული გამოხატვის მონიტორინგი ქართულ მედიაში / ნახვის დრო: 25 მაისი
http://www.notophobia.ge/uploads/publications/2/file/Monitoring_Hate_Speech_and_Discrimination_in_Georgian_Media_GEO.pdf
32. მედიის განვითარების ფონდი (2016) - სიმულვილის ენა - 2016 წლის ანგარიში/ ნახვის დრო: 25 მაისი
[http://mdfgeorgia.ge/uploads/library/55/file/Hate_Speech_GEO_\(1\).pdf](http://mdfgeorgia.ge/uploads/library/55/file/Hate_Speech_GEO_(1).pdf)
33. ევროპის საბჭო (2016) - ევროსაბჭოს ანგარიში საქართველოს ეთნიკური უმცირესობების პრობლემებზე / ნახვის დრო: 25 მაისი
<http://www.observer.com.ge/2016/01/20/%E1%83%94%E1%83%95%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%91%E1%83%AD%E1%83%9D%E1%83%A1-%E1%83%90%E1%83%AE%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%98-%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%92%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%A8/>
34. ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებების დაცვის კომისარი (2014) - ნილს მუიჟნეკსის ანგარიში, სტრასბურგი / ნახვის დრო: 25 მაისი
<https://wcd.coe.int/com.instranet.InstraServlet?command=com.instranet.CmdBlobGet&InstranetImage=2523559&SecMode=1&DocId=2139142&Usage=2>
35. ნინო ჯავახიშვილი (2004) ფსიქოლოგიის კვლევის მეთოდები, თბილისი, გვ.28-29
36. სამოქალაქო განათლების ლექსიკონი:
<http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=5&t=1057>

37. სამოქალაქო განათლების ლექსიკონი:

<http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=6&t=3703>

38. ევროპის საბჭო (1997) ევროპის საბჭოსმინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია სიმულვილის ენაზე No. R(97) 20.

39. ადამიანის უფლებათა სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (2016) - „რელიგიის თავისუფლება - სახელმწიფოს დისკრიმინაციული და არასეკულარული პოლიტიკის კრიტიკა“, - გვ.7

40. ტოლერანტობის და მრავალფეროვნების ინსტიტუტი - სოფელ მოხეში განვითარებული მოვლენების ანალიზი / ხელმისაწვდომია ვებგვერდზე:

<http://www.tdi.ge/ge/news/126-sopel-moxeshi-ganvitarebuli-movlenebis-analizi>

41. ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (2016), - შეფასება სოფელ ადიგენში განვითარებული მოვლენების შესახებ / ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: - <https://emc.org.ge/2016/03/02/emc-11/>

42. ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (2015) - ოთხი რელიგიური ორგანიზაციის დაფინანსების პრაქტიკის სამართლებრივი შეფასება / ხელმისაწვდომია ვებგვერდზე:

<https://emc.org.ge/2015/02/18/%E1%83%9D%E1%83%97%E1%83%AE%E1%83%98-%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%92%E1%83%98%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%98-%E1%83%9D%E1%83%A0%E1%83%92%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%98%E1%83%96%E1%83%90%E1%83%AA/>

43. სამხრეთის კარიბჭე (2016) - დაპირისპირება რელიგიურ ნიადაგზე სოფელ

ადიგენში / ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: <http://sknews.ge/index.php?newsid=7757>

44. რადიო თავისუფლება (2016) - სამ წელიწადში სამი რელიგიური კონფლიქტი ადიგენში / ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: <https://www.radiotavisupleba.ge/a/sami-religiuri-konplikti-adigenshi/27602932.html>
45. სამხრეთის კარიბჭე (2016) - სამართალდამცავებმა მოხეს სადავო შენობის კარი აჭედეს / ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: <http://sknews.ge/index.php?newsid=10438>

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Tamar Kuratishvili

Online Media framing effects of religious minorities

Mass Communication and Media Study

The Thesis Submitted in partial fulfillment of the requirements for the degree of
Master of Mass Communication and Media Studies

Under the direction of Mari Tsereteli
Associated professor

Tbilisi

2016

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

ნატო ლექავა

ტერორიზმის ასახვის თავისებურებანი ქართულ ონლაინ
მედიაში

მასობრივი კომუნიკაციისა და მედიის კვლევები

ნაშრომი შესრულებულია მასობრივი კომუნიკაციისა და მედიის
კვლევების მაგისტრის ხარისხის მისანიჭებლად

ხელმძღვანელი: მაგდა მემანიშვილი,
ჟურნალისტიკის დოქტორი,
სოციალურ და პოლიტიკურ
მეცნიერებათა ფაკულტეტის
ასისტენტ-პროფესორი

თბილისი

2017

ანოტაცია

წინამდებარე სამაგისტრო კვლევის მიზანია დადგინდეს, ტერორიზმის თემის გაშუქების რა ძირითადი ტენდენციები იკვეთება ქართულ ონლაინ მედიაში და დაცულია თუ არა მიუკერძოებელი და ობიექტური მედიის სტანდარტები.

თანამედროვე სამყაროსთვის ტერორიზმი ერთ-ერთ უდიდეს გამოწვევად რჩება, მედია კი ყოველი მორიგი სიახლის გადმოცემისას დილემის წინაშე დგას, თუ როგორ მიაწოდოს ინფორმაცია მოქალაქეებს. თემის აქტუალობიდან გამომდინარე საჭიროდ მივიჩნით გამოგვეკვეთა ის ძირითადი ტენდენციები, რაც ტერორიზმის გაშუქებას ახლავს თან და, შესაბამისად, შეგემუშავებინა რეკომენდაციებიც.

საკვლევი პერიოდი მოიცავს 13 თვეს (01.03.2016-დან 31.03.2017-მდე პერიოდს). საკვლევ ობიექტებად შეირჩა 3 ქართული ონლაინ გამოცემა: netgazeti.ge; tabula.ge და ipn.ge. კვლევა ჩატარებულია კონტენტ-ანალიზის მეთოდით. სულ გაანალიზდა 2097 საკვლევი მასალა, რომელიც აღნიშნულ პერიოდში განთავსდა საკვლევ ობიექტებად შერჩეულ მედიასაშუალებებში. თეორიულ ჩარჩოდ კვლევაში გამოყენებულია „ფრეიმინგის თეორია“, რომელმაც საშუალება მოგვცა, დაგვედგინა, თუ რა „ფრეიმებში“ მოექცა ტერორიზმთან დაკავშირებული თემები.

კვლევის შედეგად ნაწილობრივ დადასტურდა ჰიპოთეზა იმის შესახებ, რომ ქართული ონლაინ მედია (კერძოდ, ჩვენ მიერ კვლევის ობიექტად შერჩეული ონლაინ გამოცემები) ისე აშუქებენ ტერორიზმს, რომ საერთაშორისო მედიის მიერ შემუშავებულ რეკომენდაციებს სათანადო ყურადღებას არ უთმობენ.

Abstract

This master's thesis aims at identifying key tendencies of covering terrorism topics in the Georgian online media, and establishing whether the impartial and objective media standards are observed or not.

Terrorism remains to be one of the biggest challenges for the modern world, and while breaking another news, the media always faces a dilemma about how to report this information to the public. Based on the actuality of the topic, we thought it would be important to highlight the key trends associated with the coverage of stories on terrorism, and respectively, to develop recommendations as well.

The research lasted for 13 months (from 01.03.2016 until 31.03.2017). There were 3 Georgian online outlets selected for the study: netgazeti.ge; tabula.ge and ipn.ge. The research was performed based on the method of content analysis. In total, there were 2,097 pieces analyzed, which were reported by the selected media outlets. The research was done in accordance with the "framing theory", enabling us to determine which frames the terrorism topics would fall within.

The research made it possible to partially prove the hypothesis that the Georgian online media (namely, the online outlets that we have selected as research objects) cover the terrorism topics without paying due consideration to the recommendations developed by the international media.

სარჩევი

ანოტაცია	2
Abstract.....	3
ტერმინთა განმარტებები:.....	5
შესავალი.....	8
თავი 1. ლიტერატურის მიმოხილვა	10
თავი 2. თეორიული ჩარჩო.....	19
თავი 3. კვლევის დიზაინი	21
3.1. კვლევის ამოცანები	21
3.2. კვლევის მიზანი და ჰიპოთეზა.....	21
3.3. საკვლევო კითხვები:	22
3.4. მეთოდოლოგია.....	23
თავი 4. კვლევის შედეგები და ანალიზი.....	26
4.1. რაოდენობრივი მონაცემები	26
4.2. რა შექდება ტერორიზმის კონტექსტში?!	29
4.3. „შერჩევითი“ გეოგრაფიული არეალი.....	29
4.4. ტერორიზმის „გადაჭარბებული დოზა“	32
4.5. წყაროები	34
4.6. ტერორიზმის შესახებ გამოქვეყნებული ჟურნალისტური მასალების „ფრეიმები“	39
დასკვნა	44
კვლევის ძირითადი მიგნებები.....	45
რეკომენდაციები:	46
გამოყენებული ლიტერატურა	47

ტერმინთა განმარტებები:

- ტერორიზმი - ძალადობის გამოყენება შიშისა და ტერორის კლიმატის შექმნის მიზნით და დასახული პოლიტიკური მიზნების მისაღწევად; აშკარად კნინობითი ხასიათისა და, ჩვეულებრივ, სუბიექტური ტერმინია;
- ტერორისტული აქტი - აფეთქება, ცეცხლის წაკიდება, იარაღის გამოყენება ან სხვა ქმედება, რაც ქმნის ადამიანის სიცოცხლის მოსპობის, მნიშვნელოვანი ქონებრივი ზიანის ან სხვა მძიმე შედეგის გავრცელების საშიშროებას დახელყოფს საზოგადოებრივ უსაფრთხოებას, სახელმწიფოს სტრატეგიულ, პოლიტიკურ ან ეკონომიკურ ინტერესს, ჩადენილი მოსახლეობის დაშინების ან ხელისუფლების ორგანოზე ზემოქმედების მიზნით. ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ხუთიდან ათ წლამდე. უფრო მკაცრად ისჯება ტერორისტული აქტი, ჩადენილი დამამძიმებელ გარემოებებში: ჯგუფურად, არაერთგზის, მასობრივი განადგურების იარაღის გამოყენებით და ა.შ. სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან თავისუფლდება ტერორისტული აქტის მომზადებაში მონაწილეპირი, რომელიც ხელისუფლების ორგანოს დროული გაფრთხილებით ან სხვაგვარად შეუწყობს ხელს ტერორისტული აქტის თავიდან აცილებაში და თუ მის ქმედებაში არ არის სხვა დანაშაულის ნიშნები;
- ტერორისტი - პირი, რომელიც მონაწილეობს ან ორგანიზებას უკეთებს ტერორისტულ აქტს, ტერაქტის მომხრე და მონაწილე.
- ისლამური სახელმწიფო - სუნიტ ჯიჰადისტთა ტერორისტული ორგანიზაცია ერაყსა და სირიაში. 2014 წლის 30 ივნისიდან ოფიციალურად იწოდება, როგორც „ისლამური სახელმწიფო (Isis). აკონტროლებს ერაყის, სირიისა და ლიბანის ნაწილს, ასევე გარკვეულ ტერიტორიებს ნიგერიაში, ავღანეთსა და ჩრდილოეთ აფრიკაში;
- ალ ქაიდა - ტერორისტული ორგანიზაცია, რომელიც 1988 წლის 11 აგვისტოს, ეგვიპტური ჯიჰადის ლიდერის აბდულაჰ აზამისა და ოსამა ბინ ლადენის შეხვედრისას შეიქმნა. ორგანიზაციის ძირითად მიზანს წარმოადგენს პან-ისლამური ხალიფატის დაარსება ისლამურ სამყაროში, შემდეგ მისი ექსპანსია

მსოფლიო მასშტაბებით და ისლამურ სამყაროში ე.წ. „სვეტური“ რეჟიმების დამხობა. ორგანიზაციის მთავარ მტრებად მიჩნეული არიან აშშ და ისრაელი. უსამა ბინ ლადენმა ორგანიზაციის იდეოლოგიურ კრედოდ აირჩია ვაჰაბიზმის რელიგია. „ალ-ქაიდას“ გააქტიურების თარიღად შეიძლება ჩაითვალოს 1990-91 წ.წ. აშშ-სა და საერთაშორისო კოალიციური ძალების მიერ ერაყის წინააღმდეგ ჩატარებული „უდაბნოს ქარიშხლის“ ოპერაცია. ორგანიზაციის მთავარი მიზანი - აშშ-ს, როგორც „ისლამის წმინდა ადგილების წამბილწველი ქვეყნის განადგურება;

- ალ შაბაბი - ჯიჰადისტური იდეოლოგიის მქონე სამხედროს ისლამისტა ტერორისტული დაჯგუფება, რომელიც 2006 წლიდან არსებობს. მათი მოქმედების ძირითად არეალს იემენი და სომალი წარმოადგენს;
- ბოკო ჰარამი - აფრიკული ტერორისტული ორგანიზაცია, რომელიც 2002 წლიდან მოქმედებს და ვაჰაბისტებს, სალაფისტებსა და ისლამურ ფუნდამენტალისტებს აერთიანებს. მათი მოქმედების ძირითადი არეალი ნიგერია, კამერუნი და ჩადია;
- თალიბანი - იგივე თალიბანის მოძრაობა (თულაბას დამახინჯებული ფორმა, არაბული თალიბის მრავლობითი ფორმა, „მოსწავლე“) - ისლამური ფუნდამენტალისტური პოლიტიკურ-რელიგიურიპ რო-პუმტუნთა მოძრაობა, რომელიც თითქმის მთელ ავღანეთს მართავდა 1996-2001 წლებში. დიპლომატიური აღიარება მხოლოდ სამი ქვეყნისგან მიიღო: არაბთაგ არაბთა გაერთიანებული საამიროები, პაკისტანი და საუდის არაბეთი. გაეროს უშიშროების საბჭოს მიერ აღიარებულია, როგორც ტერორისტული ორგანიზაცია;
- ქურთისტანის მშრომელთა პარტია (PKK) - (ქურთული: Partiya Karkerên Kurdistan) არისტურქეთისადაერაყისმემარცხენეორგანიზაცია. 1984 წლიდან PKK თურქეთის სახელმწიფოსთან შეიარაღებული კონფლიქტის მონაწილეა, იბრძვის დამოუკიდებელი ქურთული სახელმწიფოს მისაღწევად. მიუხედავად იმისა, რომ ოფიციალურად აღიარებული არაა, როგორც ტერორისტული ორგანიზაცია, მათ მიერ მოწყობილი ტერაქტების გამო ბევრი სახელმწიფო უკვე მოიხსენიებს

ტერორისტულ დაჯგუფებად, მათ შორის ოფიციალური თურქეთი მოითხოვს PKK ოფიციალურად განისაზღვროს, როგორც ტერორისტული ორგანიზაცია;

- ონლაინ მედია - წინამდებარე კვლევისთვის იგულისხმება მედიასაშუალებების ონლაინ პლატფორმები;

შესავალი

თანამედროვე სამყაროსთვის ტერორიზმი ერთ-ერთ უდიდეს გამოწვევას წარმოადგენს. ყველა თანხმდება, რომ ტერორისტთა მიზანი იმთავითვე ტერორისა და შიშის დანერგვაა, ეს მიზანი წლების განმავლობაში არ შეცვლილა, თუმცა დაიხვეწა და გამრავალფეროვნდა საზოგადოებამდე ხმის მიწვდენის გზები. რამდენად გასაკვირიც უნდა იყოს, მედიამკვლევარებიცა და უსაფრთხოების ექსპერტებიც დიდი ხანია განიხილავენ მედიას, როგორც ტერორისტების უნებლიე მხარდამჭერს.

ჩვენ შეგვიძლია, ვიმსჯელოთ, ერთი მხრივ, ეთიკურ სტანდარტებზე, ტერორიზმის გაშუქების პერიპეტივებსა თუ იმ „ფრეიმებზე“, რომლითაც მედია საკითხს გადასცემს, თუმცა მკვლევართა ნაწილი უკვე აღაპარაკდა, საერთოდ ღირს თუ არა ტერორისტთა საქმიანობის შესახებ მასალების მომზადება. რა თქმა უნდა, ამ მოსაზრებასაც აქვს არსებობის უფლება, თუ გავითვალისწინებთ, რომ ყველაზე მასობრივი და მძლავრი საშუალება, რომლითაც ტერორისტი აღწევს ადამიანებამდე, მედიაა. სწორედ აქ წარმოიშობა დილემა - თუ მედიის ფუნქცია საზოგადოების ინფორმირებაა, როგორ უნდა აუქციონ ჟურნალისტებმა გვერდი ისეთ მოვლენებს, როგორც მაგალითად, ევროპის რომელიმე ქალაქის ცენტრში მომხდარი ტერაქტია (რომელიც, უმეტესწილად, მსხვერპლით მთავრდება).

სათქმელად, ალბათ, ადვილია, რომ მედიასაშუალებებმა უნდა გააცნობიერონ, გაიაზრონ და შეაჯერონ ის ფორმები თუ შინაარსი, რომლითაც მაყურებელს მსგავს ინფორმაციას აწვდიან, თუმცა იმის ფონზე, რომ მათ უნდა უზრუნველყონ მთავარი ფუნქცია - აუდიტორიის ინფორმირება, გაუგებარია, როგორ უნდა გადასცენ მომხდარი ისე, რომ არ თქვან ძალადობისა და ძალადობის შედეგად დამდგარი მსხვერპლის შესახებ.

მეორეს მხრივ, თუკი მედია არ გადასცემს ინფორმაციას ტერორისტურლი აქტის შესახებ, ტერორისტების მთავარი მიზანი - შიშის გავრცელება - შეიძლება არცკი განხორციელდეს და ტერორისტების საქიანობამ აზრი დაკარგოს.

წარმოდგენილი ნაშრომი შედგება 4 ძირითადი თავისგან, მათ შორის მოიცავს ლიტერატურის ვრცელ მიმოხილვას, სადაც ასახულია, როგორც მკვლევართა ნაშრომები, ასევე საკანონმდებლო ბაზა და სხვადასხვა მედიასაშუალებების გაიდლაინები ტერორიზმთან მიმართებაში . „თეორიული ჩარჩო“ მოგვითხრობს „ფრეიმინგის თეორიის“ ძირითად პრინციპებსა და ჩვენს კვლევაში მისი როლის შესახებ. „კვლევის დიზაინი“ რამდენიმე ქვეთავისგან შედგება და მოგვითხრობს კვლევის ძირითად მიზნებსა და ამოცანებზე. რაც შეეხება უშუალოდ კვლევის შედეგებს, აგრეთვე რამდენიმე ქვეთავისგან შემდგარი და ნაშრომის ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწილია, სადაც აღწერილია კვლევის თითოეულ ეტაპზე გაკეთებული აღმოჩენებისა და მათი ანალიზის შესახებ. კვლევას, რა თქმა უნდა, ახლავს დასკვნა, ასევე ძირითადი მიგნებებისა და რეკომენდაციების ნაწილი.

თავი 1. ლიტერატურის მიმოხილვა

აღსანიშნავია, რომ დასავლურ მედიაშიც კი, რომელიც დანარჩენ მსოფლიოს მედია სტანდარტებს ჰკარნახობს, დიდი ხნის განმავლობაში არ არსებობდა საერთო დათქმა, თუ როგორ უნდა გაეშუქებინათ ტერორიზმთან დაკავშირებული თემები. მსოფლიო მაშტაბით მედიაში ამ მხრივ შექმნილი ვითარების გამო 2006 წელს გაერომ ჟურნალისტებს ისეთი ეთიკის კოდექსის მიღებისკენ მოუწოდა, რომელიც გარკვეულ შეზღუდვებს დააწესებდა ტერორიზმის გაშუქებისას. თუმცა, დღემდე არ არსებობს საერთო სტანდარტი, რომელსაც ყველა მედიასაშუალება გაითვალისწინებს და, შესაბამისად, მათ უწევთ ინდივიდუალურად, შიდა სარედაქციო პოლიტიკით დაარეგულირონ ეს საკითხი.

დღეს, როდესაც მედია აღარ არის მხოლოდ პრესა და ტელევიზია და ინტერნეტთან წვდომა თითქმის ყველას აქვს, ტერორისტებს გამოუჩნდათ ახალი საკომუნიკაციო არხები. მერაბ ურუშაძე თავის წიგნში „გლობალიზაცია და გლობალური ტერორიზმის საფრთხე“ აღწერს, თუ რა მიზნებით იყენებენ ტერორისტები ინტერნეტს: „აწარმოონ თავისი იდეების ფართო პროპაგანდა - მოიზიდონ მრავალრიცხოვანი აუდიტორია; გააერთიანონ სხვადასხვა ქვეყანაში არსებულ თანამოაზრეთა ჯგუფები; გაავრცელონ წერილობითი თავდასხმები მოწინააღმდეგეთა დისკრედიტაციისათვის; მოუწოდონ ფინანსური დახმარებისკენ; გამოიყენონ ინტერნეტი ტერორისტული აქტების მომზადებისა და შესრულებისთვის (ურუშაძე, 2007 წ; გვ. 88).

რაც შეეხება საქართველოს, საკანონმდებლო დონეზე ამ საკითხს მაუწყებელთა ქცევის კოდექსი არეგულირებს: „ტერორისტის, გამტაცებლის ან მძევლის განცხადება ან მასთან ინტერვიუ არ უნდა გადაიცეს მაუწყებლის სარედაქციო ხელმძღვანელობის თანხმობის გარეშე. ინტერვიუს გადაცემის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას უნდა მოხდეს ინფორმაციის გადაცემით მიღებული სარგებლისა და ზიანის შეფასება“ (მაუწყებელთა ქცევის კოდექსი, მუხლი N 53.3).

გარკვეული წესები და რეკომენდაციები არსებობს საზოგადოებრივი მაუწყებლისთვისაც: „ოპერატიულად მიაწოდეთ საზოგადოებას ზუსტი ინფორმაცია ტერორისტული აქტისა და

მისი შედეგების შესახებ; თავი შეიკავებთ ემოციური და სუბიექტური შეფასებებისგან; აუდიტორიას მიაწოდებთ ობიექტური ინფორმაცია, რათა მან თავად შეძლოს გარკვევა, ვინ არის დამნაშავე, რა დანაშაულს ჩადის და ვის წინააღმდეგ; ტერორისტული აქტის გაშუქების დროს გაითვალისწინებთ, რომ ტერორისტის მიერ მოწოდებული ნებისმიერი ინფორმაცია შეიძლება შეიცავდეს კოდურ სიტყვებს, მოწოდებებს და სხვ., რამაც შეიძლება ვითარება უფრო გაართულოს“ (საზოგადოებრივი მაუწყებლის ქცევის კოდექსი, თავი 8.3).

გარდა ზემოთ თქმულისა, ტერორიზმის სწორად გაშუქებისთვის რეკომენდაციებს იძლევა საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტია, რომელმაც 2015 წელს გამოსცა სახელმძღვანელო წესები (ე.წ. გაიდლაინები) სათაურით „ტერორიზმთან დაკავშირებული თემების გაშუქება“, რომელშიც ქარტია ჟურნალისტებს შემდეგი რეკომენდაციებით მიმართავს: „ტერორიზმთან დაკავშირებული თემების გაშუქებისას მედიამ უნდა შეძლოს ბალანსის დაცვა: გამოხატვის თავისუფლებასა და ტერორიზმისთვის პლატფორმის დათმობას შორის; გრაფიკული კადრების გავრცელებასა და შესაბამის კონტექსტს შორის; პირად განწყობებსა და მიუკერძოებლობას შორის; ბაზრის მოთხოვნებსა და პროფესიულ პასუხისმგებლობას შორის; საზოგადოების წნეხს, რომელიც მოქმედებისკენ მოგიწოდებს და სამართლიანობას შორის, რომელიც ქმედების შეზღუდვას გვარნახობს, რათა ამბის მთლიანად გადმოცემა შეძლო; მოსაზრებების პლურალიზმის წარმოჩენასა და ტერორიზმის წინააღმდეგ საერთო პოლიტიკის დაცვას შორის“ (საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტია - „ტერორიზმთან დაკავშირებული თემების გაშუქება“ 2015 წ.)

ტერორისტული დაჯგუფებები სინამდვილეში კარგად აცნობიერებენ, თუ რა ძალა აქვს მედიას და რა გავლენების მოხდენა შეუძლია მას საზოგადოებაზე. ამიტომაცაა, რომ ისინი ფეხდაფეხ მისდევენ ტექნოლოგიურ თუ სხვა სახის ინოვაციებს მედიაში, ამდენად მედიას დიდი სიფრთხილე მართებს. საბოლოოდ, საერთაშორისო მედია დღითიდღე მიდის იმ დასკვნამდე, რომ ტერორისტების ქმედებები ან საერთოდ არ უნდა გააშუქონ, ან გაშუქება მინიმუმამდე დაიყვანონ, რათა არ იქცნენ მარიონეტებად ტერორისტთა ხელში.

ტერორისტული აქტები ხდება თითქმის ყოველდღიურად, ხდება შუაგულ ევროპასა თუ ახლო აღმოსავლეთის ცხელ წერტილებში, ხდება სხვადასხვა მაშტაბით და სრულდება სხვადასხვა რაოდენობის მსხვერპლით, ჩვენ ვცხოვრობთ სამყაროში, სადაც არავინაა დაცული ტერორისტული შემოტევებისგან, თუმცა მაინც არის გარკვეული წერტილები, საიდანაც ყოველდღიურად მოდის ინფორმაციის უზარმაზარი ნაკადი ახალი ცხელი კერების შესახებ, თითქოს, ჩვენ მივეჩვიეთ კიდევ, რომ რაიმე ახალი, სენსაციური უნდა შევიტყოთ. სკეპტიკოსებისგან ხშირად ისმის მოსაზრება, რომ თუ ტერორისტული აქტი რომელიმე განვითარებულ სახელმწიფოში არ ხდება, დანარჩენი მსოფლიოსგან ნაკლებ ყურადღებასა თუ სოლიდარობას დაიმსახურებს ხოლმე. იმაზე საუბარი, მართლაც არის თუ არა განსხვავებები, კვლევის დასკვნით ნაწილში უფრო შეგვეძლება, ამ შემთხვევაში ქართული ონლაინ მედიის მაგალითზე დაყრდნობით, თუმცა შესავალში ნახსენები მედია ექსპერტები დიდი ხანია მსჯელობენ, საერთოდ უნდა შუქდებოდეს თუ არა ტერორისტთა საქმიანობა, ნაკლებად რადიკალური თანხმდებიან გაშუქების აუცილებლობაზე და იმაზე ამახვილებენ ყურადღებას, თუ როგორ უნდა შუქდებოდეს. მიმოვიხილოთ რამდენიმე მათგანი, თავდაპირველად განვსაზღვროთ, რა არის ტერორიზმი.

ენდრიუ ჰეივუდი ტერორიზმს შემდეგნაირად განმარტავს - „ძალადობის გამოყენება შიშისა და ტერორის კლიმატის შექმნის მიზნით და დასახული პოლიტიკური მიზნების მისაღწევად; აშკარად კნინობითი ხასიათისა და, ჩვეულებრივ, სუბიექტური ტერმინია“ (პოლიტიკური იდეოლოგიები: შესავალი კურსი - ენდრიუ ჰეივუდი (მთარგმნ.: თამარ ბაკურაძე დასხვ.; რედ.: ლაშა ბერაია, ზეინაბ სარაძე) მე-3 გამოცემა, გამომცემლობა „ლოგოსპრესი“, თბილისი 2004 წ. - 432გვ.)

ვასილ რუბაშვილი წერს, რომ 2001 წლის 11 სექტემბრის მოვლენებამდე ტერორიზმის საყოველთაოდ აღიარებული დეფინიცია არ არსებობდა - „მაგალითისათვის შეიძლება მოვიყვანოთ გაეროს გენერალური მდივნის, კოფი ანანის 2002 წლის ოქტომბრის განცხადება, რომლითაც იგი ცდილობს ტერორიზმის განმარტებას: „ტერორიზმი არის გლობალური საფრთხე, გლობალური ეფექტებით... თავისი ბუნებიდან გამომდინარე ეს

არის თავდასხმა სამართლის, წესრიგის და ადამიანის უფლებების ფუნდამენტურ პრინციპებზე“. ევროკავშირი ტერორიზმს ასეთ შეფასებას აძლევს: „ტერორიზმი ეს არის ქმედება, რომლის მიზანსაც წარმოადგენს საზოგადოების დაშინება, მთავრობებსა და საერთაშორისო ორგანიზაციებზე არაკანონიერი გზით ზეგავლენის მოხდენა, ქვეყნებისა და დემოკრატიული ინსტიტუტების განადგურება“. აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის აზრით, ტერორიზმი ეს არის „ქვეეროვნული დაფარული ელემენტების მიერ საზოგადოებაზე ზეგავლენის თვალსაზრისით დაგეგმილი ძალადობა, რომელიც მიმართულია არასაომარი – სამოქალაქო სამიზნეების წინააღმდეგ“. აშშ-ის ცენტრალური სადაზვერვო სააგენტო იძლევა ტერორიზმის ოთხ ძირითად დამახასიათებელ ელემენტს: ძალადობისწინასწარდაგეგმილი და არაიმპულსური აქტი; ქმედება, რომელიც განსაზღვრულია პოლიტიკური წესრიგის შესაცვლელად; ქმედება, რომელიც მიმართულია სამოქალაქო პირების წინააღმდეგ, და ბოლოს, იგი ხორციელდება ქვეეროვნული დაჯგუფების მიერ“ (რუბაშვილი ვასილ - „ტერორიზმის პრობლემა საერთაშორისო ორგანიზაციებში“ ახალი აზრი №1 (7)- 2003წ.).

ტერორიზმის კიდევ ერთ განმარტებას გვთავაზობს ვალერ მელიქიძე წიგნში „მსოფლიო პოლიტიკის გლობალიზაცია“ – „ფართოდაა გავრცელებული წარმოდგენა იმის თაობაზე, რომ ტერორიზმი არის ტრადიციული საშუალება, რომელსაც იყენებენ სუსტები, დამცირებულები და გარიყულები (ან ისინი, ვინც თავის თავს ასეთებად თვლიან) თავისი დამცირებისადმი საჯარო ყურადღების მიპყრობის მიზნით. მათთვის, ვინც ებრძვის თავისზე შეუდარებლად უფრო ძლიერ მოწინააღმდეგეს, ტერორიზმი წარმოადგენს ძალადობის იარაღს, რომელსაც შეუძლია ასე თუ ისე გააწონასწოროს მხარეთა საშუალებები. ტერორიზმი წარმოადგენს ბევრად უფრო ფართო და რთული სოციალური, ეკონომიკური, იდეოლოგიური თუ პოლიტიკური პრობლემების ნაკრების გამოვლენას, შეიძლება ითქვას – წარმოადგენს ამ პრობლემების გადაჭრის ექსტრემალურ საშუალებას. ტერორისტები თვითონ საკმაოდ იშვიათად მოდიან ხელისუფლებაში, მაგრამ ხშირად ხელს უწყობენ ხელისუფლებაში ისეთი პიროვნებებისა თუ ორგანიზაციების მოსვლას, რომლებიც, საბოლოო ჯამში, მათზე მეტ ექსტრემისტებად გვევლინებიან. ასე მაგალითად,

ტერორისტულმა ორგანიზაციამ, რომელიც სოციალისტ-რევოლუციონერების (ესერების) სახელით იყო ცნობილი, გადამწყვეტი როლი შეასრულა 1917 წლის ოქტომბერში რუსეთში ხელისუფლებაში ბოლშევიკების მოსვლაში. თანამედროვე ტერორიზმი შესაძლებელია დაიყოს ორ ფრიად განსხვავებულ ნაწილად. პირველია ლოკალური ტერორიზმი, რომელიც უმეტეს შემთხვევაში გამომდინარეობს სხვადასხვა სახის ეროვნულ-განმანთავისუფლებელი მოძრაობებიდან და წარმოადგენს ამ მოძრაობების არალეგალურ (და ამორალურ) ნაწილს, თუმცა ეს მოძრაობები, როგორც ასეთი, ხშირად ლეგალიზებულია შესაბამისი საერთაშორისო დოკუმენტებით. მეორე ნაწილია ტერორიზმის ის ნაირსახეობა, რომელიც დღეს მოიხსენიება როგორც საერთაშორისო (ზოგჯერ გლობალური) ტერორიზმი და საზოგადოდ გლობალური საფრთხის მატარებელად აღიქება. ადგილობრივი ტერორიზმი ამა თუ იმ სახით წარმოდგენილია პრაქტიკულად ყველგან დედამიწაზე. ის საკმაოდ ფართოდ იყო გავრცელებული დასავლეთ ევროპაში 1960-1970-იან წლებში, ძირითადად, როგორც მარქსისტული ექსტრემიზმი (იტალიაში, გერმანიაში და საბერძნეთში) და დღესაც ლატენტურ ფაზაშია წარმოდგენილი ესპანეთსა და დიდ ბრიტანეთში (ჩრდილო ირლანდია), სადაც ადგილობრივი ეროვნული უმცირესობების (შესაბამისად ბასკებისა და ირლანდიელების) ექსტრემისტი წარმომადგენლები ასეთი გზით იბრძვიან მათთვის მისაღები თვითგამორკვევის მოდელის განსახორციელებლად“ (მელიქიძე; 2006წ.)

უშუალოდ მედიისა და ტერორიზმის ურთიერთდამოკიდებულების შესახებ არაერთი საინტერესო ავტორი აღმოვაჩინეთ. მკვლევარებმა, Anat Shoshani-მ და Michelle Slone-მ შეისწავლეს მედიისა და ტერორიზმის ურთიერთობის ფონზე, თუ რა გავლენებს ახდენს მედია ტერორიზმის გაშუქებით ადამიანებზე, შეისწავლეს, როგორც ეფექტები, ასევე ემოციური ატიტუდები. კვლევა ჩატარდა 2007 წელს შემთხვევითი შერჩევის საფუძველზე ისრაელში მცხოვრებ 300 ახალგაზრდას შორის, კვლევისას გამოიყო რამდენიმე კრიტერიუმი, რითაც აფასებდნენ მონაწილეებს, მათ შორის შფოთვა, აღშფოთება, სტერეოტიპები, მტრის აღქმა და ა.შ. შედეგად დადგინდა, რომ „მედია ახდენს დიდ ემოციურ გავლენას აუდიტორიაზე. შესაბამისად, თუკი ტერორისტთა გაშუქებით ხდება

გავლენის მოხდენა, იმავე წარმატებით მედიას შეუძლია ტერორიზმის საწინააღმდეგო კამპანიითაც მოახდინოს გავლენა საზოგადოებაზე“ (Anat Shoshani & Michelle Slone; 2007 წ. გვ:).

ცნობილი ბრიტანული ჟურნალის The Guardian-ის ავტორი, ჯემი დოვარდი/Jamie Doward-ი ამოდის დებულებიდან, რომ „ძალადობა შობს ახალ ძალადობას. ფაქტებით დასტურდება, რომ ყოველი ახალი ტერაქტი მომდევნოს შესახებ გაფრთხილება“. ამასთან დოვარდს მოჰყავს კონკრეტული სტატისტიკაც - „თუკი 1998 წელს 1 395 ტერორისტული თავდასხმა აღირიცხებოდა, 2012 წლისთვის ამ რიცხვმა 8441-ს მიაღწია, ხოლო მსხვერპლი უკანასკნელი 15 წლის განმავლობაში 3.387 -დან 15.396-მდე გაიზარდა. როგორც ტერორიზმი იქცევს მედიის ყურადღებას, ასევე მედია იქცევს თავის მხრივ ტერორისტების ყურადღებასაც“. ავტორი თავის მოსაზრებებს განამტკიცებს მაიკლ ჟეტერის კვლევების საფუძველზე და აცხადებს, რომ „მედიამ უნდა შეწყვიტოს ტერორისტებისთვის თავისუფალი მედია პლატფორმის შექმნა/შეთავაზება“ (Jamie doward, 2015წ).

The guardian-ის კიდევ ერთი ავტორი Jason Burke/ჯეისონ ბარკი ბინ ლადენის მაგალითზე მოგვითხრობს იმის შესახებ, თუ როგორ აუწყვეს მედია ინოვაციებს ფეხი ტერიორისტულმა დაჯგუფებებმა და როგორ შეუძლიათ მათ მედიის საკუთარ რუპორად ქცევა. ავტორი თხრობას იწყებს 23 წლის სისხლის სამართლის დამნაშავეს, მოჰამედ მერას ისტორიით, თუ როგორ წევს ის საკუთარ სახლში თბილად და ამონტაჟებს 24 წუთიან ვიდეოკლიპს, სადაც ასახულია მისი მონაწილეობით ჩადენილი რამდენიმე მკვლელობა, მოგვიანებით ის გზავნის ამ ვიდეოს ალ ჯაზირაში, იმ იმედით, რომ აღნიშნულ ტელევიზიას აინტერესებს სისხლი, მკვლელობა, აფეთქებები... შემდეგ კი ბრუნდება სახლში და ელოდება სიკვდილს, რადგან პოლიცია მის დასაკავებლად მობილიზებული. ამის შემდეგ ავტორი ქრონოლოგიურად გვახსენებს ტერორიზმთან ბრძოლის აღმავლობისა თუ პირიქით, კრახის ისტორიას. ამავე წიგნში ავტორს განხილული აქვს ბინ ლადენის ცნობილი ვიდეოების შექმნისა და მთელ მსოფლიოში გავრცელების დეტალები. ავტორი გვიყვება „როგორ იცვლებოდა ტერორიზმის მოქმედების არეალი და როგორ იხვეწებოდა მათი

ადამიანებამდე „მისვლის“ გზა როგორც მედიის, ასევე ტექნოლოგიების განვითარებასთან ერთად“. „მედია გახდა ტერორისტული ორგანიზაციებისთვის ჟანგბადი(“oxygen of publicity”) და ზოგ შემთხვევაში შენიღბვის საშუალებაც კი“ - აქ ბურკს მოჰყავს ბინ ლადენის მაგალითი, რომელმაც ტელევიზიის მანქანის მსგავსად შენიღბა საკუთარი მანქანა, რათა უასფრთხოდ გადაეტანა გადამცემები და სხვა მოწყობილობები ქაბულიდან ავღანეთში გადასვლისას (Jason Burke; 2016წ.).

The Huffington Post-ში გამოქვეყნებულ სტატიაში ჟურნალისტი მარტი რუდოი აღწერს, თუ როგორ ეხმარება მედია უნებლიედ ტერორისტებს მიზნების განხორციელებაში, მათი მიზანი ცალსახად შიშისა და ტერორის დანერგვაა, ხოლო მედიასაშუალებები მათ ვიდეოებს, ფოტო თუ სხვა სახის მუქარას უწევენ ტირაჟირებას - „თუ საერთოდ აღარ შევხედავთ მათ ნამოქმედარს, თუ მედია არ გახდება გამავრცელებელი არხი, მათ გაუჭირდებათ თავიანთი მიზნების განხორციელება“. ავტორი ეჭვქვეშ აყენებს თავად ამ მასალების ავთენტურობასაც და ფიქრობს, რომ „ჟურნალისტები იმდენად სენსაციურ რეჟიმში აშუქებენ ყოველ ახალ „მუქარას“, რომ არ ფიქრობენ, იქნებ, ეს ფალსიფიკაციაა, ხომ არ ვრჩებით მოტყუებულები?!“. მარტი რუდოი რეპორტიორებს ტერმინოლოგიასაც უწუნებს და ამბობს: „ფრაზა, რომელიც ყველა ტერაქტის მერე გაისმის „მომხდარზე პასუხისმგებლობა აიღო...“ უკვე შეცდომაა, მისი აზრით ყველაფერს სახელი უნდა დაერქვას და პირდაპირ უნდა ვთქვათ „ჩადენილი დანაშაული აღიარა ამა და ამ ტერორისტულმა ორგანიზაციამ“ (Marty Rudoy; 2016წ.).

გარდა წმინდად კრიტიკული სტატიებისა, გავეცანით იმ რეკომენდაციებს, გაიდლაინებსა თუ შიდასარედაქციო ეთიკის კოდექსებს, რომლითაც დასავლური მედია ხელმძღვანელობს ტერორიზმის გაშუქებისას, მაგალითად:

BBC-მ შეიმუშავა ის ძირითადი პრინციპები, რომლითაც მისმა რეპორტიორებმა უნდა იმოქმედონ ტერორიზმის გაშუქებისას. ომების, ლოკალური თუ საერთაშორისო აქტების, დემონსტრაციების, სტიქიური უბედურებების გაშუქებისას მნიშვნელოვანია აუდიტორიას ინფორმაცია მიეწოდოს მესამე, ნეიტრალური, კონფლიქტში არამონაწილე მხარისგან.

ინციდენტის შემდგომ პირველადი ინფორმაცია მსხვერპლისა და დანაკარგების შესახებ, როგორც წესი, არასათანადოა, ამიტომ მნიშვნელოვანია მისი გადამოწმება ისეთ პირებთან, რომელთაც აქვთ შესაბამისი უფლებამოსილება და ინფორმაციასთან წვდომა. მნიშვნელოვანია, აუდიტორიას მიეწოდოს ინფორმაცია ცენზურის, ინფორმაციის დამალვისა და ინფორმაციის მოპოვების დროს ხელის შეშლის შესახებ, ასევე, მაყურებელმა თუ მკითხველმა უნდა იცოდეს, თუ რა წესებით ხელმძღვანელობენ ჟურნალისტები მასალების მოპოვებისთვის. შესაბამის სახელმწიფო უწყებებთან თანამშრომლობის შედეგად BBC ცდილობს დაადგინოს, თუ რა ტიპის ინციდენტებზეა განსაკუთრებით მნიშვნელოვანი მოსახლეობის ინფორმირება. ლოკალური სამოქალაქო კატასტროფების გაშუქებისას BBC აწვდის ინფორმაციას უსაფრთხოების ნორმების შესახებ. ტერორისტული აქტების გაშუქება უნდა მოხდეს ოპერატიულად, აკურატულად დამაღალი პასუხისმგებლობით. ტერორიზმი რთული და ემოციური საკითხია, პოლიტიკური მოტივებით, ამიტომ ტერორისტული აქტების გაშუქებისას მნიშვნელოვანია ისეთი ჟურნალისტური ენის გამოყენება, რომელიც თავისუფალია შეფასებებისგან. აუდიტორიისთვის სიტყვა „ტერორისტი“ შესაძლოა დაბრკოლება გახდეს ინფორმაციის გაგებისას. ჟურნალისტის მიზანი კი ინფორმაციის ნათლად, გარკვევით, მკაფიოდ გადმოცემაა, ამიტომ მან ტერორისტის“ ნაცვლად შეიძლება გამოიყენოს შესატყვისები: „გამტაცებელი“; „შეიარაღებული პირი“; „თავდამსხმელი“ და სხვა. მედიის პასუხისმგებლობაა დარჩეს მიუკერძოებელი და ისეთი ხერხებით მიაწოდოს აუდიტორიას ინფორმაცია, რომ მაყურებლებმა თავად გააკეთონ დასკვნები მომხდარის შესახებ (BBC editorial guidelines – war, terror and emergencies; წელი; გვ:).

სამაგისტრო შრომაზე მუშაობისას გავეცანით სხვადასხვა პროფესიული არასამთავრობო ორგანიზაციებისა და ჟურნალისტური გაერთიანებების მიერ გაცემულ რეკომენდაციებსაც. საერთაშორისო ჟურნალისტური ორგანიზაცია [Dart Center for Journalism and Trauma](#) აქცენტს აკეთებს ტერორიზმის მსხვერპლისგან ინტერვიუს აღების წესებზე: „ნუ იფიქრებთ, რომ მგლოვიარე ადამიანები არ გაგესაუბრებიან. ყველა მათგანი ინდივიდუალურია, ზოგს, პირიქით, სურს, ისაუბროს თავის განცდებზე, ამიტომაც ცდა

ყოველთვის ღირს; პატივი ეცით მგლოვიარე ადამიანის პირად განცდებს, არ დაავალდებულოთ იგი გაგიზიაროთ პირადი გრძნობები; არასოდეს უთხრათ ტრაგედიის მსხვერპლს, რომ თქვენ მათი გესმით, თუ თავად არ გაქვთ თანაბარწონადი ტრაგედია გადატანილი. გახსოვდეთ, დედის, მამის ან უბრალოდ ახლობელი ადამიანის ბუნებრივი სიკდილით დაკარგვა იგივე არაა, რაც ტერორისტული აქტის დროს მეუღლის, მშობლის ან შვილის დაკარგვა; აცადეთ მათ ტირილი, თუ მათ სურთ, რომ იტირონ“(Dart Center for Journalism and Trauma).

[Canadian Media Journal of Communication \(CJC\)](#) თვლის, რომ როცა ადამიანების სიცოცხლეს საფრთხე ემუქრება, მედიამ უნდა ითანამშრომლოს მთავრობასთან ტერორისტული აქტების დროს. თანამშრომლობა არ გულისხმობს, რომ მედიის საქმიანობა პოლიციის ან უშიშროების სხვა წარმომადგენლების ცენზურას დაექვემდებაროს; მედიამ თავი უნდა შეიკავოს მყვირალა და სენსაციური, პანიკის მაპროვოცირებელი სათაურებისგან, ასევე უნდა ერიდოს ძალადობრივი და სისხლიანი სცენების ამსახველი მასალების გამოქვეყნებას; მედია არ უნდა იყოს მედიატორი ტერორისტებსა და მთავრობას შორის; ჟურნალისტი შემთხვევის ადგილზე გასაშუქებლადაა მისული და არა პროცესებში მონაწილეობის მისაღებად; მედიამ თავი უნდა შეიკავოს და არ ჩაერთოს სახიფათო სპეკულაციების ტირაჟირებაში. ასეთი სპეკულაციები შეიძლება იყოს, მაგალითად, ტერორისტების შესაძლო გეგმები, მთავრობის შესაძლო პასუხი ტერორისტებს, ტყვეების მიმართვები; პროფესიონალი ჟურნალისტები ვალდებული არიან ფლობდნენ ინფორმაციას იმ ტერორისტული ორგანიზაციების შესახებ, რომელთა გასაშუქებლადაც მიდიან; მედიამ არ უნდა ჩაწეროს ინტერვიუ ტერორისტებთან მიმდინარე ტერორისტული აქტის დროს; მედიამ არ უნდა დაუშვას პირდაპირი კომუნიკაცია ტერორისტებსა და მყურებლებს შორის (Raphael Cohen; 2005 წ.).

თავი 2. თეორიული ჩარჩო

მედია ეფექტების თეორიებიდან, რომლებსაც მედია მკვლევარები იყენებენ, ჩვენს კვლევასა და მის მიზნებს ყველაზე უკეთ „ფრეიმინგის თეორია“ ესადაგება. კვლევისას ფრეიმინგის ჭრილში საკითხის აღქმა გვეხმარება ჩვენი ჰიპოთეზის დადასტურებაში ან უარყოფაში, რადგან, თუ მაგალითად, მეთოდოლოგიაში განვიხილავთ გაშუქების ტონსა და სხვა ასპექტებს, „ფრეიმინგის თეორია“ საშუალებას მოგვცემს, დავინახოთ, რა „ფრეიმებში“ აქცევენ ონლაინ გამოცემები ტერორიზმთან დაკავშირებულ თემებს. რაც შეეხება საკუთრივ თეორიასა და „ფრეიმების“ შენების პროცესს, მნიშვნელოვანია არა მხოლოდ აუდიტორიამდე მიღწეული მასალა, არამედ ის, თუ როგორაა კონკრეტული ინფორმაცია წარმოჩენილი. ამის შესახებაც გადაწყვეტილებებს მედიასაშუალებების მუშაკები იღებენ. გარდა ამისა, ფრეიმინგის პროცესზე გავლენას ახდენს დროითი და სივრცის შეზღუდვები. მედია საშუალებებს არ აქვთ შესაძლებლობა რომ ყველა ინფორმაცია ერთნაირი სტანდარტით გააშუქონ. ზოგიერთი ამბავი უფრო მეტად და ნათლადაა გაშუქებული, ვიდრე სხვები.

ენტმანის აზრით, ფრეიმინგის პროცესი მოიცავს რეალობის რომელიმე ასპექტის არჩევას და მისი ტექსტური გზით გადაცემას ისე, რომ ჩანდეს პრობლემა, კაუზალური ინტერპრეტაცია, მორალური შეფასება და რეკომენდაცია.

ფრეიმინგის პროცესი მთლიანად რედაქტორების ხელშია. ფრეიმინგის მეთოდები შეიძლება ორ ტიპად დაიყოს: ექსპოზიციისა და აღწერის. ექსპოზიციის ფრეიმები მოიცავენ ისეთ სელექციებს, რომლებიც წყვეტს გაშუქდეს თუ არა ინფორმაცია ზოგადად. ასევე, ამ ტიპში შედის ფრეიმინგის ისეთი სახეები, როგორცაა: სიხშირე - რამდენჯერ და რამდენი ხნით გაშუქდება ინფორმაცია; ადგილი - სად გამოჩნდება ინფორმაცია; ადგილი და დრო, რომელიც დაეთმობა საკითხს.

ექსპოზიციის ფრეიმინგის ტიპები ადვილი დასაკვირვებელია ნებისმიერ მედიასაშუალებაში. რომელი სტატიაა განთავსებული პირველ გვერდზე გაზეთში,

რამდენი ადგილი უჭირავს მას, ან რომელი ინფორმაცია გვხვდება თვალში ინტერნეტსაიტზე შესვლისას. ასეთი გადაწყვეტილებები მიიღება მედიასაშუალების მმართველობის მიერ და მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს იმაზე, თუ როგორ იქნება აღქმული კონკრეტული საკითხი.

რაც შეეხება აღწერითი ფრეიმინგის ტექნიკებს - გულისხმობს იმას, თუ როგორაა ესა თუ ის ისტორია გაშუქებული. რა ინფორმაციაა მოწოდებული მათ შესახებ, რომელი ფაქტებია გაანალიზებული და რომელი ფაქტებია გამოტოვებული.

სურათები და გამოყენებული ენა შეიძლება უმნიშვნელოვანესი იყოს იმისთვის, რომ აუდიტორიამ მესიჯი სწორად გაშიფროს.

ფრეიმინგის ეფექტი ძლიერდება, თუ ის არაა მკვეთრად გამოკვეთილი და აუდიტორიაც საკითხს კარგად არ იცნობს. ასეთ შემთხვევაში ის ბოლომდე ენდობა მედიას. ფრეიმინგი ნამდვილად ახდენს გავლენას ადამიანის აზრებზე, წარმოაჩენს კონკრეტულ ფაქტებსა და ღირებულებებს და უკუაგდებს სხვებს. ჯემისონი და ვალდმენი წერენ: ფრეიმები გვეუბნებიან რა არის მნიშვნელოვანი, რაზე უნდა ვისაუბროთ და ვიკამათოთ. ჟურნალისტები ფრეიმების სახით ფორმირებას უწევენ ადამიანების აზრებს”. ფრეიმი არის ის, რაც აუდიტორიას გადაეცემა. აუდიტორია ვერ ხედავს ალტერნატიულ ფრეიმებს, რომლითაც შეიძლება ყოფილიყო გაშუქებული ინფორმაცია. მას შეუძლია, უბრალოდ, სხვა მედიასაშუალებას მიმართოს, რათა კონკრეტულ საკითხზე, კონკრეტულ ინფორმაციაზე ალტერნატიული ხედვებსაც გაეცნოს (Politicians, Journalists, and the Stories that Shape the Political World - Kathleen Hall Jamieson and Paul Waldman; 2004).

თავი 3. კვლევის დიზაინი

კვლევის მიზნებიდან გამომდინარე საკვლევ პერიოდად განისაზღვრა 13 თვე, 2016 წლის 1 მარტიდან 2017 წლის 31 მარტამდე. საკვლევ ობიექტებად შეირჩა 3 ქართული ონლაინ გამოცემა:

1. netgazeti.ge;
2. ipn.ge
3. Tabula.ge.

3.1. კვლევის ამოცანები

- დადგინდეს, როდის ინტერესდება ქართული ონლაინ მედია ტერორიზმით (მხოლოდ მას შემდეგ, რაც მოხდება ტერორისტული აქტი, “ცხელ კვალზე”, თუ პოსტ ფაქტუმ, ანალიზის მიზნითაც);
- დადგინდეს, ტერორიზმის გაშუქება მხოლოდ ზედაპირულია თუ სიღრმისეულ მსჯელობასა და ანალიზს ეფუძნება;
- დადგინდეს, ვის იყენებს ქართული ონლაინ მედია წყაროებად, როდესაც საუბრობს ტერორიზმზე;
- განისაზღვროს ართული მედიის საშუალებით გაშუქებული ტერორისტური ატების არეალი;
- დადგინდეს, აქვთ თუ არა ქართულ ონლაინ გამოცემებს რაიმე ტიპის შიდა სარედაქციო რეგულაცია, ე.წ. გაიდლაინი, რომელსაც ეყრდნობიან და ითვალისწინებენ ტერორიზმის გაშუქებისას.

3.2. კვლევის მიზანი და ჰიპოთეზა

- **მიზანი** - მომავალში რეკომენდაციების შემუშავების მიზნით, კვლევის საფუძველზე დადგინდეს, რა ძირითადი ტენდენციები იკვეთება ქართულ ონლაინ მედიაში ტერორიზმის თემის გაშუქებისას და დაცულია თუ არა მიუკერძოებელი და ობიექტური მედიის სტანდარტები;
- **ჰიპოთეზა** - ქართული ონლაინ მედია (კერძოდ ჩვენი კვლევის ობიექტი ონლაინგამოცემები) ტერორიზმთან დაკავშირებული თემების გაშუქებისას სათანადო ყურადღებას არ უთმობენ ტერორიზმის გაშუქების საერთაშორისო რეკომენდაციებს.

3.3. საკვლევი კითხვები:

RQ1. ჩვენ საკვლევ პერიოდში მსოფლიოში მომხდარი ყველა ტერორისტული აქტი მოხვდა ონლაინგამოცემებში, თუ რედაქციები მხოლოდ განვითარებულ ქვეყნებში მომხდარი ტერაქტებით ინტერესდებიან?

RQ2. აქვს, თუ არა ჩვენ საკვლევ მედიაორგანიზაციებს რაიმე ტიპის შინაგანაწესი, რომელიც ტერორიზმის გაშუქების შიდასარედაქციო სტანდარტებს არეგულირებს?

RQ3. ტერორიზმთან დაკავშირებული ჟურნალისტური მასალები ქვეყნდება მხოლოდ მაშინ, როდესაც ხდება ტერორისტული აქტები, თუ რედაქციები თავიანთი ინიციატივითაც ამზადებენ ტერორიზმთან დაკავშირებულ პუბლიკაციებს?

RQ4. ტერორიზმთან დაკავშირებულ პუბლიკაციებში რომელი წყაროებია გამოყენებული?

RQ5. ხომ არ უწყობენ ხელს ჩვენ მიერ შერჩეული ონლაინ გამოცემები ტერორისტების მიზანს - გაავრცელონ შიში და ტერორი მთელს მსოფლიოში?

RQ6. ხომ არ ამკვიდრებენ/ამყარებენ ონლაინგამოცემებში რელიგიურ, ანდა ეთნიკურ სტერეოტიპებს ტერორიზმთან დაკავშირებით?

RQ7. რა „ფრეიმებში“ აქცევს ტერორიზმთან დაკავშირებულ თემებს ონლაინ მედია?

RQ8. ხომ არ უწყობს ხელს ონლაინ მედია ტერორიზმის რომანტიზებას?

3.4. მეთოდოლოგია

კვლევაში გამოყენებულია შერეული მეთოდოლოგია. როგორც ჯონ ქრისველი აღნიშნავს, რაოდენობრივი, თვისებრივი და შერეული მიდგომები ერთმანეთისგან არც ისეთი იზოლირებულია, როგორც ერთი შეხედვით ჩანს - „ნაშრომი, როგორც წესი, არის ხოლმე უფრო მეტად რაოდენობრივი ან თვისებრივი და პირიქით. შერეული მეთოდოლოგიური კვლევა ამ კონტინუუმის შუაშია, რადგან ის აერთიანებს ორივე, რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევის ელემენტებს“ (Creswell, J., & Plano Clark, V. (2007).

ამავე პოზიციას იზიარებენ ნიუმანი და ბენცი: „სინამდვილეში, ისინი წარმოადგენენ კონტინუუმის (მჭიდროდ დაკავშირებული მოვლენების ერთობლიობის) სხვადასხვა დაბოლოებებს (Isadore Newman & Carolyn R. Benz, Qualitative-quantitative Research Methodology: Exploring the Interactive Continuum, 1998). ქრისველი და კლარკი ფიქრობენ, რომ შერეული მეთოდოლოგიური კვლევა არის მიდგომა, რომელიც აერთიანებს ან ასოციაციით უკავშირდება ორივე, თვისებრივ და რაოდენობრივ ფორმას - „ის უკავშირდება ფილოსოფიურ ვარაუდებს, იყენებს რაოდენობრივ და თვისებრივ მიდგომებს და ორივე მიდგომის შერეულ ვარიანტს გვთავაზობს. ასე, რომ ეს უფრო მეტია, ვიდრე უბრალოდ ორივე სახის მონაცემების შეგროვება და ანალიზი; ის, ასევე, მოიცავს ორივე სახის მიდგომის გამოყენებას ტანდემში ისე, რომ კვლევის საბოლოო სიძლიერე იმაზე მეტია, ვიდრე მხოლოდ რაოდენობრივ ან თვისებრივ კვლევაში“ (Creswell, J., & Plano Clark, V. (2007).

რაც შეეხება უშუალოდ მასალების ანალიზს, კვლევაში გამოყენებულია კონტენტ ანალიზი ამ შემთხვევაში ეს არის მარტივი, ანუ საბაზისო კონტენტ ანალიზი, რომელიც ახარისხებს და ახდენს ანალიზისთვის განკუთვნილი მასალის კოდირებას. ეს კოდები შემუშავებულია

დეტალური ტექსტუალური ანალიზის მიხედვით, რომელიც ეყრდნობა პუბლიკაციების კონკრეტულ ნიმუშებს. დანარჩენი ჟურნალისტური მასალები უკვე ხდება გამოვლენილი კოდების მიხედვით ანალიზდება. კვლევის პროცესში, მიმდინარეობს თითოეული სტატიის კითხვა, რომ მოიძებნოს კოდირების სისტემაში შესული ინფორმაცია. შემდეგ ეტაპზე, ხდება მიღებული ინფორმაციის შეტანა მონაცემთა ბაზაში. შემდეგ ხდება სიხშირის გამოთვლა.

მესიჯების ანალიზი - მესიჯების ანალიზი განსხვავდება მარტივი, ანუ საბაზისო კონტენტ ანალიზისგან იმით, რომ კონცენტრირებას ახდენს იმ მესიჯების ანალიზზე, რომელიც სტატიებში წინასწარგანზრახულად მოხვდა. საკვანძო მესიჯები შემუშავებულია კომუნიკაციის მიზნებზე დაყრდნობით. კომუნიკაციის ეს მიზნები არის „ნათარგმნი“ კოდებად, ამ კოდებს კი ეყრდნობა ანალიზი. სტატიების კოდირება ხდება საკვანძო მესიჯების გამოვლენის შესაბამისად. ანალიზის პროცესი ჰგავს მარტივი კონტენტ ანალიზის მეთოდს, სადაც კოდები ყოველი სტატიიდან შეტანილია მონაცემთა ბაზაში, შემდგომი სტატისტიკური ანალიზისთვის.

ტონალობის ანალიზი - ტონალობა არის ანალიზის ის ფორმა, რომელიც იყენებს სუბიექტურ შეფასებას იმის დასადგენად, არის თუ არა სტატიის შინაარსში გამოხატული კეთილგანწყობა ან არაკეთილგანწყობა პერსონის, კომპანიის, ორგანიზაციის ან პროდუქტის მიმართ.

არსებობს ტონალობის შეფასების სხვადასხვა გზა. ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული გზა არის მარტივი კლასიფიკაცია: „პოზიტიური“, „ნეიტრალური“ და „ნეგატიური“. სხვა მიდგომები ანიჭებს სტატიას ქულას განსაზღვრული სკალის მიხედვით. აღნიშნული სკალა შეიძლება იყოს „0-დან 100-მდე“, სადაც „ნული“ არის სრულიად ნეგატიური და „100“ არის სრულიად პოზიტიური. არსებობს სკალის სხვა ვარიანტებიც, რომელიც ზომავს ტონალობას. მაგალითად, ასეთი შეიძლება იყოს სკალა „-50“-დან „+50“-მდე. ამ შემთხვევაში, „-50“ ნიშნავს სრულიად ნეგატიურს და „+50“ ნიშნავს სრულიად პოზიტიურს. ამ შემთხვევაში, სკალაზე ნეიტრალური ტონი იქნება „ნული“.

მნიშვნელობის ანალიზი - ამ ტიპის ანალიზი ითვალისწინებს ექვს ფაქტორს: სად გამოქვეყნდა პუბლიკაცია, გამოქვეყნების თარიღი, სტატიის მთლიანი მოცულობა, გამოცემის რომელ ადგილს იკავებს პუბლიკაცია, ფოტოსურათის ან სხვა ნამუშევრის არსებობა, სათაურის ზომა. ტიპიურ მნიშვნელობის ანალიზში, ყოველ ელემენტს ენიჭება წონა, რომელიც წარმოდგნილია მთლიან დაანგარიშებაში. დაჯამებული ქულა კი აჩვენებს მასალის მნიშვნელობას. ამ ტიპის ანალიზში, ხდება გამორჩევა იმ სტატიების, რომლებიც იმსახურებენ ყველაზე მაღალ „მნიშვნელობის ქულას“. მიჩენულია, რომ ფართო მკითხველი, პუბლიკაციის მნიშვნელობა, პუბლიკაციის ადგილი და ზომა, ან ამ ფაქტორების კომბინაცია იწვევს კომუნიკაციის მაღალეფექტურობას.

გაშუქების ხარისხი - ცალკეული თემის, მოვლენის, ბრენდის ან კომპანიის ანალიზთან ერთად, კონტენტ-ანალიზი, ასევე, შეიძლება ჩატარდეს იმისთვის, რომ შევადაროთ ერთმანეთს კომპანიების, ბრენდების, თემების ან მოვლენების მედია გაშუქება.

თავი 4. კვლევის შედეგები და ანალიზი

მას შემდეგ, რაც განისაზღვრა საკვლევი თემა და კვლევის მიზანი, შემუშავდა ჰიპოთეზა და, ამასთან, დამუშავდა შესაბამისი ლიტერატურაც, ფორმულირდა ყველა ის საკვლევი კითხვა, რომელიც გვინტერესებდა.

კვლევის შემდეგ ეტაპზე შევადგინეთ ჩვენს საკვლევ პერიოდში მსოფლიოში მომხდარი ტერორისტული აქტების ერთიანი ბაზა. თავდაპირველად ბაზა ივსებოდა რამდენიმე არაქართული მედიასაშუალების (CNN; REUTERS; BBC; ABCNEWS) ონლაინ პლატფორმების მონიტორინგის მეშვეობით, თუმცა გარკვეულ ეტაპზე თავად ამ საიტებზე განთავსებულ ინფორმაციას შორის სხვაობამ ალტერნატიული გზის ძებნა გადაგვაწყვეტინა. ეს უკანასკნელი აღმოჩნდა Esri.com (<http://www.esri.com/>) - ესაა ორგანიზაცია, რომელიც არაერთ საკითხთან დაკავშირებით აწარმოებს მონაცემთა შეგროვებასა და ანალიზს, ადგენს რუკებს და როგორც თავად აცხადებს, ეხმარება მსოფლიოს, ინფორმაციის ძალით გახდეს უფრო ძლიერი. აღსანიშნავია, რომ esri.com 1969 წლიდან არსებობს და უკვე მსოფლიოს ყველა წერტილში აქვს წარმომადგენლობა).

4.1. რაოდენობრივი მონაცემები

დადგინდა, რომ 2016 წლის განმავლობაში მსოფლიოს მასშტაბით მოხდა 1 441 ტერორისტული აქტი, მსხვერპლი - 14 356, როგორც დაშავებულები (<https://storymaps.esri.com/stories/terrorist-attacks/?year=2016>; ბოლო ნახვა - 25.05.2017 წ.) ასევე დაღუპულები), ხოლო 2017 წელს 639 ტერორისტული აქტი 4 262 მსხვერპლით (<https://storymaps.esri.com/stories/terrorist-attacks/?year=2017>; ბოლო ნახვა: 25.05.2017 წ.). მათ შორის ჩვენს საკვლევ პერიოდში დაფიქსირდა 1613 ტერაქტი, ხოლო დაშავებულთა და დაღუპულთა რაოდენობამ 14 457 ადამიანი შეადგინა. ამასთან, გამოიკვეთა რამდენიმე


ტერორისტული ორგანიზაცია, რომელთაც ეკისრებათ პასუხისმგებლობა მომხდარ ტერაქტებზე:

- ალ ქაიდა (Al-Qaeda);
- ალ შაბაბი (Al-Shabaab);
- ბოკო ჰარამი (Boko Haram);
- ისლამური სახელმწიფო (Isis);
- ქურთისტანის მუშათა პარტია (Pkk);
- თალიბანი (Taliban).

რაც შეეხება უშუალოდ ქართულ ონლაინ მედიას, მედიამონიტორინგისას გამოიკვეთა 2097 პუბლიკაცია ტერორიზმის შესახებ. ეს რაოდენობა ჩვენი კვლევის ობიექტებს შორის შემდეგნაირად გადანაწილდა:

- Netgazeti – 202 მასალა;
- Tabula – 378 მასალა;
- Ipn – 1517 მასალა;

ცხრილი 1. მასალების პროცენტული გადანაწილება საკვლევ ობიექტებს შორის



აღნიშნულ რაოდენობაში შედის როგორც ახალი ამბები, ე.წ. ნიუსები, აგრეთვე ანალიზურისტატიები, რეპორტაჟები, ნებისმიერი სხვა მასალა, ანუ ყველაფერი, რაც 13 თვის განმავლობაში დაიწერა ტერორიზმის შესახებ. თვალშისაცემია განსხვავება Ipn-ის გაშუქების მაღალ მაჩვენებელსა და დანარჩენ ორ მედიასაშუალებას შორის. თუმცა მონაცემთა გაანალიზებამ აჩვენა, რომ 1517 მასალის განთავსება თავისთავად კარგ ტენდენციას სულაც არ მოისაზრებს საკუთარ თავში, მიზეზებს ქვემოთ განვმარტავთ.

ცხრილი 2. მასალების რაოდენობა თვეების მიხედვით

<i>თვე</i>	IPN.GE	NETGAZETI.GE	TABULA.GE
<i>მარტი (2016)</i>	293	34	59
<i>აპრილი (2016)</i>	91	4	10
<i>მაისი (2016)</i>	82	2	16
<i>ივნისი (2016)</i>	153	18	38
<i>ივლისი (2016)</i>	211	36	76
<i>აგვისტო (2016)</i>	128	29	25
<i>სექტემბერი(2016)</i>	60	6	21
<i>ოქტომბერი(2016)</i>	117	33	59
<i>ნოემბერი (2016)</i>	40	8	8
<i>დეკემბერი (2016)</i>	140	22	33
<i>იანვარი(2017)</i>	54	6	20
<i>თებერვალი(2017)</i>	55	1	4
<i>მარტი(2017)</i>	93	3	11

4.2. რა შუქდება ტერორიზმის კონტექსტში?!

კვლევის შედეგად სამივე მედიასაშუალებაში გამოიკვეთა რამდენიმე ძირითადი საკითხი, რაც შუქდება ტერორიზმის კონტექსტში:

- უშუალოდ ტერორისტული აქტი;
- ინფორმაცია ტერორისტებსა და ტერორიზმში ექვემდებარებულთა შესახებ;
- სხვა სახელმწიფოების სამხედროები იმ სახელმწიფოს მიმართ, სადაც მოხდა ტერაქტი;
- ინფორმაცია ტერორისტების ძეგნის, დევნის, დაკავების ან ლიკვიდაციის შესახებ;
- ინფორმაცია საქართველოს მოქალაქეების შესახებ შემთხვევის ადგილიდან;
- პოლიტიკოსთა შეფასებები ტერორიზმის ან/და კონკრეტული ტერორისტული აქტის შესახებ;
- იმ სახელმწიფოს პოზიცია/შეფასება, რომელშიც მოხდა ტერორისტული აქტი;
- სირიასა და ერაყში Isis-ის სახელით მებრძოლ საქართველოს მოქალაქეთა შესახებ მომზადებული ჟურნალისტური მასალები;
- ტერორისტთა მიერ გავრცელებული ინფორმაცია - მუქარა; მოწოდება; ტერაქტზე პასუხისმგებლობის აღებასთან დაკავშირებული განცხადება.

4.3. „შერჩევითი“ გეოგრაფიული არეალი

ერთ-ერთი პარამეტრი, რომლის მიხედვითაც კვლევისას ფასდებოდნენ ზემოთ აღნიშნული მედიასაშუალებები, იყო სწორედ ის გეოგრაფიული არეალი, რომელში მომხდარ ტერაქტებსაც მეტ ყურადღებას უთმობდნენ ე. მონიტორინგისას დაყოფა მოხდა პირობითად - „დასავლეთი“ (აშშ, ევროპა, ავსტრალია) და „დანარჩენი მსოფლიო“ (შუა აღმოსავლეთი, ახლო აღმოსავლეთი, აზია), აქვე დავამატებთ, რომ თურქეთი, მიუხედავად მდებარეობისა, განიხილებოდა „დასავლეთის“ კატეგორიაში. როგორც მოსალოდნელი იყო, სამივე მედიასაშუალება გაცილებით მეტ ყურადღებას უთმობს განვითარებულ

ქვეყნებში მომხდარ ტერორისტულ აქტებს, თუმცა აქაც გამოიკვეთა განსხვავება, მაგალითად, თუ ტერაქტი ხდება შუაგულ პარიზში, მედიაში ასახვას ჰპოვებს ათეულობით მასალის სახით და რიგ შემთხვევებში გაშუქება გრძელდება თვეების განმავლობაშიც, თუმცა თუ ტერაქტი ხდება ევროპის შედარებით პატარა ქალაქში, ან პროვინციაში, გაშუქება შემოიფარგლება 1, მაქსიმუმ 2, ახალი ამბით

თუ ტერაქტი ხდება ჩვენ მიერ პირობითად განსაზღვრულ „დანარჩენი მსოფლიოს“ კატეგორიაში, ის ან საერთოდ არ ექცევა ჩვენი კვლევის ობიექტების ყურადღების არეალში, ან ხდება მხოლოდ მოკლე ახალი ამბის, ე.წ. ნიუსის სახით. მაგ: „ქაბულში აფეთქებას 11 ადამიანი ემსხვერპლა“ , თავად ნიუსში კი ვკითხულობთ მხოლოდ იმას, რომ ამ „აფეთქებაზე პასუხისმგებლობა Isis-მა აიღო“. განსხვავებით „დასავლეთის“ კატეგორიისგან - აქ მომხდარი ტერაქტით ქართული ონლაინ მედია ინტერესდება იმ დონეზეც, რომ მიჰყვება არათუ ტერაქტის შემდგომ განვითარებულ მოვლენებს, შუქდება სოლიდარობის აქციები, ახლდება ინფორმაცია ეჭვმიტანილების შესახებ და ა.შ.

შედარებისთვის, მოვიყვანო რამდენიმე მონაცემს - მოგეხსენებათ, ცნობილი საერთაშორისო ორგანიზაცია ეკონომიკისა და მშვიდობის ინსტიტუტი ყოველწლიურად აქვეყნებს ანგარიშებს სხვადასხვა საკითხთან დაკავშირებით მსოფლიოს 162 ქვეყნის მონაცემებზე დაყრდნობით, ერთ-ერთი ასეთი საკითხი ტერორიზმაცაა. 2016 წლის გლობალური ტერორიზმის ინდექსის მიხედვით, ტერორიზმის ყველაზე მაღალი მაჩვენებლით შემდეგი ქვეყნები „ლიდერობენ“ (გლობალური ტერორიზმის ინდექსი, ეკონომიკისა და მშვიდობის ინსტიტუტი; 2016 წ. - <http://economicsandpeace.org/wp-content/uploads/2016/11/Global-Terrorism-Index-2016.2.pdf> - ბოლო ნახვა: 18.06.2017 წ.)

- | | |
|--------------|------------|
| 1.ერაყი | 6. იემენი |
| 2.ავღანეთი | 7.ინდოეთი |
| 3. ნიგერია | 8. სომალი |
| 4. პაკისტანი | 9. ეგვიპტე |

5. სირია

10. ლიბია

მცირედი ცვლილებებით ამავე ინსტირუტის 2016-2017 წლების მონაცემებით, იმ ქვეყნების სია (პირველი 10 ქვეყანა), სადაც ტერორისტული აქტები ყველაზე ხშირად ხდება შემდეგნაირად გამოიყურება (<http://www.viewstorm.com/2017/01/global-terrorism-index-report-2016-2017/> - ბოლო ნახვა: 18.06.2017 წ.)

1. ერაყი

6. იემენი

2. ავღანეთი

7. სუდანი

3. ნიგერია

8. სომალი

4. სირია

9. ლიბია

5. ეგვიპტე

10. ტაილანდი

აღსანიშნავია, რომ პაკისტანი და ინდოეთი, რომელიც 2016 წლის მონაცემებით ათეულში იყო, ამ შემთხვევაში უკვე მე-13 და მე-16 ადგილზეა. თუმცა სრულიად განსხვავებული სტატისტიკა გვაქვს ქართული ონლაინ მედია საშუალებების მონიტორინგის შედეგად. ჩვენს საკვლევ პერიოდში გაშუქების სიხშირისა და ინტენსივობის თვალსაზრისით ლიდერობს, თურქეთში, საფრანგეთსა და გერმანიაში მომხდარი ტერაქტები. არადა, ამ ქვეყნებში იმაზე გაცილებით ნაკლები ტერორისტული აქტი ხდება, ვიდრე ახლო აღმოსავლეთისა და აზიის, აფრიკის ქვეყნებში. მაგალითად, გლობალური ტერორიზმის ინდექსში თურქეთი მე-14, საფრანგეთი 29-ე, ხოლო გერმანია 41-ე ადგილს იკავებს. ნათელია, რომ უამრავი ტერორისტული აქტი (და ჩვენ ვნახეთ რომ საუბარია ასეულობით ტერაქტზე) ქართული ონლაინ მედიის ყურადღების მიღმა რჩება.


აღმოჩნდა, რომ ჩვენი საკვლევითი ობიექტების ვებ-გვერდებზე ტერორიზმთან დაკავშირებული მასალების 83 % გეოგრაფიული ნიშნით „დასავლეთის“ კატეგორიას მიკუთვნებულ ქვეყნებში მომხდარ ტერაქტებს ეხება (ცხადია, ამ რაოდენობაში იგულისხმება ერთი და იმავე ტერაქტის შესახებ დაწერილი რამდენიმე, ზოგჯერ

ათეულობით, მასალაც), ამასთან, „დანარჩენ მსოფლიოში“ მომხდარი ტერაქტების დაახლოებით 35 % ხვდება ქართულ ონლაინ მედიაში, შემოიფარგლება ფრაგმენტული გაშუქებით და მოიცავს მხოლოდ ერთ ახალ ამბავს(ტერაქტის ადგილის, მსხვერპლის რაოდენობისა და ტერორისტული ორგანიზაციის შესახებ ინფორმაციას), დანარჩენი ტერაქტები ქართულ ონლაინ მედიას არ გაუშუქებია.

4.4. ტერორიზმის „გადაჭარბებული დოზა“

ზემოთაც აღვნიშნეთ, რომ საკვლევ პერიოდში Ipn-ში ტერორიზთან დაკავშირებული 1517 მასალა გამოქვეყნდა, რაც თითქმის თითქმის 5-ჯერ აღემატება “ტაბულასა” და “ნეტგაზეთში” განთავსებული მასალების რაოდენობას, თუმცა რაოდენობა ხარისხის პირდაპირპროპორციული ნამდვილად არაა. თვალსაჩინოებისათვის ავიღოთ ნიცას ტერაქტი (2016 წლის 14 ივლისი), მონიტორინგის პერიოდში “ნეტგაზეთმა” ამ ტერაქტს მიუძღვნა 11 მასალა, “ტაბულამ”- 27, ხოლო “აი-პი-ენმა”მარტო ივლისის თვეში 77 მასალა განათავსა თავის ვებ-გვერდზე, თუმცა წმინდა წყლის ინფორმაციული ხასიათის ამ რაოდენობიდან მხოლოდ 6 ახალი ამბავი იყო. დარჩენილი მასალები პოლიტიკოსთა შეფასებით მსჯელობას მოიცავდა ტერაქტთან დაკავშირებით.

ცხრილი 3. ნიცას ტერაქტის გაშუქების მაჩვენებელი იმავე თვეში ტერორიზმის გაშუქების საერთო რაოდენობასთან



ამ დროს ისმის კითხვა - თუნდაც იგივე ნიცაში მომხდარი ტერქატის შესახებ დანარჩენი 71 მოკლე ჟურნალისტური მასალის გამოქვეყნება რაღა საჭირო იყო? მით უფრო, ინორმაციული თვალსაზრისით, ეს ე.წ.ნიუსები,მკითხველს არ აძლევს არაფერს, გარდა იმისა, რომ ისედაც დამაბუღლ ვითარებაში ხელს უწყობს პანიკური ფონის შექმნას?!

“ნეტგაზეთის” სასარგებლოდ უნდა აღინიშნოს, რომ ისეთი ტიპის ახალ ამბებს, როგორცაა, მაგალითად, მსოფლიო ლიდერების გამოხმაურებები კონკრეტულ ტერაქტებთან დაკავშირებით, თავს ერთად უყრის, რუბრიკის მსგავს სივრცეს ქმნის. ამ ხერხით გამოცემა უადვილებს საკუთარ მომხმარებელს არჩევანის გაკეთებას. გარდა, ამისა, ეს ხერხი ხელს უშლისმუდმივად სენსაციისა და პანიკის რეჟიმში ამყოფოს მკითხველი.

სამწუხაროდ, იმავეს ვერ ვიტყვით “ტაბულასა” და Ipn-ის სარედაქციო პოლიტიკის შესახებ.ეს ორი გამოცემა საკუთარ ვებგვერდზე დღის განმავლობაში ინტენსიურად აქვეყნებს როგორც სახელმწიფო ლიდერების პოზიციებს, სამძიმრებს, შეფასებებს ან სოლიდარობის გამოხატველ განცხადებებს (რაც, თავის მხრივ, შეიძლება აღვიქვათ, როგორც ამა თუ იმ სახელმწიფოს ერთიანი პოზიცია ტერორიზმის წინააღმდეგ), ასევე - სხვადასხვა პარტიების წარმომადგენლების შეფასებებსაც. არცთუ იშვიათად, ესაა არც ისე მნიშვნელოვან თანამდებობაზე მყოფი პოლიტიკოსების შეფასებები, რომელთა სიტყვასაც,

ფაქტობრივად, არანაირი წონა არ გააჩნია და, ისევ და ისევ, მათ პოპულარიზებასა ემსახურება.

ჩვენი აზრით, უპრიანი იქნებოდა ონლაინ პორტალებს საკუთარი სივრცე და რესურსი თუნდაც „დასავლეთის“ კატეგორიას მიკუთვნებულ ქვეყნებში მომხდარი ტერაქტების უფრო საფუძვლიანი გაშუქებისათვის დაეთმობო.

არასრულფასოვანი და ფრაგმენტული გაშუქების სადემონსტრაციოდ ერთ ტენდენციას აღვნიშნავთ. 2016 წლის ივლისის თვეში “დანარჩენი“ მსოფლიოში მომხდარ ტერაქტებს მხოლოდ 18 ახალი ამბავი მიეძღვნა. არადა, 2016 წლის ივლისში ჩვენ მიერ განსაზღვრულ ამ გეოგრაფიულ კატეგორიაში მოხდა 132 ტერორისტული აქტი, რომლის შედეგადაც დაიღუპა და დაშავდა 1316 ადამიანი.

ავიღოთ მხოლოდ ერთი მათგანი (ამ შემთხვევაში ყველაზე ფატალური შედეგების მქონე), ორმაგი აფეთქება 3 ივლისს ერაყის დედაქალაქ ბაღდადში, რომელსაც 342 ადამიანი ემხვერპლა. ეს ფაქტი საერთოდ ვერ მოხვდა “ნეტგაზეთში”, IPN-მა და “ტაბულამ” კი მომხდარის შესახებ 2-2 ნიუსი გამოაქვეყნეს. თუმცა არასრული ინფორმაციით, “ტაბულა” ამბავს მანამ „მიჰყვებოდა“, სანამ მსხვერპლი ჯერ კიდევ 125-მდე მერყეობდა, ხოლო აი-პი-ენი 172 დღუპულზე შეჩერდა, ამის შემდეგ ორივე მათგანისთვის დღის წესრიგი განახლდა და სულ სხვა მოვლენები გახდა საინტერესო.

4.5. წყაროები

მონიტორინგისას იმ წყაროებსაც დავაკვირდით, რომლებსაც ჟურნალისტები ტერორიზმის შესახებ მომზადებულ ჟურნალისტურ მასალებში იყენებდნენ. ჩვენი დაკვირვებით, ყველა მასალაში გამოქვეყნებული წყაროები ასე შეიძლება კლასიფიცირდეს:

- ტერორისტი(იგულისხმება ტერორისტების მიერ სოციალური ქსელებით, ანდა მსხვა არხებით გავრცელებული ნებისმიერი ინფორმაციის გამიფრული ტექსტი, ანდა ამონარიდიამ ტექსტიდან რომელიც მოხვდა ახალ ამბებში);
- მსხვერპლი (რა თქმა უნდა, ტერორისტულ აქტს გადარჩენილიადამიანის კომენტარი);
- სახელმწიფო, რომელშიც მოხდა ტერაქტი (ძირითადად სახელმწიფოების მაღალი პოლიტიკური თანამდებობის მქონე პირთა კომენტარების სახით);
- პოლიცია;
- მედ. პერსონალი;
- მოწმე (თვითმხილველი);
- ექსპერტები (+ არასამთავრობო ან საერთშორისო ორგანიზაციები);
- პოლიტიკოსები (ამ კატეგორიაში მოხვდა ყველა ის ამბავი, სადაც პოლიტიკოსთა მიერ კეთდებოდა წმინდა წყლის შეფასებითი ხასიათის კომენტარები, აგრეთვე სამძიმრის, ან სოლიდარობის გამომხატველი განცხადებები);
- საეკლესიო პირები (თავდაპირველად ასეთი კატეგორია არ გვქონდა განსაზღვრული, თუმცა მონიტორინგისას აღმოჩნდა, რომ რამდენიმე მასალა ეთმობოდა ილია II-ისა და რომის პაპის განცხადებებს ტერაქტებთან დაკავშირებით);

ტერორიზმის შესახებ მომზადებულ ქართულენოვან ჟურნალისტურ მასალებში ყველაზე ხშირად გამოყენებული წყაროები აღმოჩნდნენ არა იმ სახელმწიფოს ლიდერები ან სხვა პოლიტიკოსები, რომელშიც ხდება ტერაქტი (შესაბამისად, მასალების უმრავლესობაც სწორედ მათ კომენტარებს მოიცავს), არამედ სხვა ქვეყნების წარმომადგენლები. აქვე უნდა ითქვას, რომ ჩამოთვლილი მედიასაშუალებები, უმეტესწილად, ეყრდნობიან რომელიმე არაქართული საინფორმაციო სააგენტოს ინფორმაციას, თუმცა მნიშვნელოვანია, რომელი წყაროები ხდება მათთვის საინტერესო. თუ საქმე არ გვაქვს ქართველი პოლიტიკოსების განცხადებებთან (რომელსაც, როგორც წესი, ქართველი ჟურნალისტები თავად მოიპოვებენ,

ან ეს განცხადებები განთავსებულია ამავე პოლიტიკოსების/პარტიების ოფიციალურ facebook გვერდზე ან ვებ-გვერდებზე).

სიხშირის თვალსაზრისით მეორე, ყველაზე უფრო დიდი ინტენსივობით გამოყენებული წყარო იმ სახელმწიფოების ლიდერების/ოფიციალური პირების/სამთავრობო უწყებების განცხადებები, რომელშიც ტერაქტი მოხდა. მესამე წყარო, რომელსაც ყველაზე ხშირად ვხვდებით არის პოლიცია (რაც, ალბათ, ყველაზე ადეკვატურად შეგვიძლია მივიჩნიოთ, რადგან ტერორიზმზე მასალების უმრავლესობა ნიუსის ტიპისაა, პოლიცია ყველაზე მისაღები პირველწყაროა მოვლენების ეპიცენტრიდან). პოლიციის შემდეგ მოდის თვითმხილველთა კომენტარები ან მათ მიერ გავრცელებული ინფორმაცია. თვითმხილველთა მონაყოლის სიჭარბით გამოირჩევა “ნეტგაზეთის“ მასალები, სადაც ვხვდებით ტერაქტების ე.წ. მოწმეების მიერ ტვიტერსა თუ სხვა სოციალურ ქსელებში განთავსებული პოსტების ფოტოებს, ე.წ. სქრინ შოთებს, ასევე ვიზუალურ მასალას, რაც მეტ ინფორმაციულ ღირებულებას სძენს ტერორისტული აქტის შესახებ მომზადებულ ახალ ამბებს.

მონიტორინგისას ყველაზე მეტად დაგვამხასოვრდა ათათურქის აეროპორტში მომხდარი ტერაქტის (28.06.2016 წ.) შესახებ თვითმხილველის მონაწილეობით მომზადებული რეპორტაჟი, რომელიც საიტზე მომხდარის მეორე დღეს განთავსდა (ავტ. მიშა მეფარიშვილი, 2016 წ. <http://netgazeti.ge/news/126182/> ; ბოლო ნახვა: 17.06.2017 წ.), ტერაქტის დროს აეროპორტში მყოფი რიგითი მგზავრი იხსენებს დეტალებს, ამ სტატიის დადებითი ისაა, რომ თავად ეს მგზავრიც ჟურნალისტია (არა “ნეტგაზეთის”), და გარდა იმისა, რომ ქრონოლოგიურად მიჰყვება მოვლენებს, მსუბუქი იუმორით ანეიტრალებს იმ დაძაბულობასა და სტრესს, რაც, ალბათ, თითოეულ იქ მყოფსა თუ უბრალოდ სახლებში მჯდომ ადამიანებს ეუფლებათ ტერაქტის დროს.

ჩვენი კვლევის ობიექტი მედიასაშუალებები თითქმის თანაბარი სიხშირით იყენებენ წყაროდ მსხვერპლისა და ტერორისტის კომენტარებს რაც ჩვენი აზრით, არცთუ იდეალური შემთხვევაა.

მსხვერპლის გამოყენება წყაროდ, ერთი მხრივ ექსკლუზიურობას სძენს ტერორიზმის შესახებ მომზადებულ ნებისმიერ ჟურნალისტურ ნაწარმს, თუმცა არსებობს რამდენიმე „მაგრამ“. მაგალითად, მსხვერპლი, რომელიც ახლახან გადაურჩა სიკვდილს(შესაძლოა მძიმედ დაშავდა კიდევ), იმყოფება სტრესის ქვეშ, არის შეშინებულიდა, დიდი ალბათობით, არადეკვატური, და ამ დროს ჟურნალისტი მას სთხოვს მოუყვეს მომხდარის შესახებ. ბუნებრივია, ეს სიტუაცია ეთიკური თვლსაზრისით არ არის იდეალური. მეტიც, ტერორისტული აქტიდან წლების შემდეგაც კი მსხვერპლის ინტერვიუებას ექსპერტები ტრავმულად თვლიან. მრავალი ფსიქოლოგიური რჩევა არსებობს, რომელიც ჟურნალისტმა უნდა გაითვალისწინოს წლების წინ მომხდარი ტერორისტული აქტის ცოცხლად გადარჩენილი მსხვერპლის გამოკითხვისას. მით უფრო რთულია, წამების, წუთებისა თუ საათების წინ მომხდარი ტერორისტული აქტის დროს ცოცხლად გადარჩენილი, მაგრამ ფიზიკური ტრავმების მქონე დაზარალებულის, ანდა, თვითმხილველის გამოკითხვა.

ეს თავისებურებები და რეკომენდაციები არ არის გათვალისწინებული ქართულ რეალობაში, ამისი თვალნათელი მაგალითია პოლიტიკური პარტია “ნაციონალური მოძრაობის” წევრის, გივი თარგამაძის მანქანის აფეთქება. თითქმის ყველა მედიასაშუალებაში (და არა მხოლოდ ჩვენი კვლევის ობიექტების ვებ-გვერდებზე) პირველწყარო გახდა თავად მსხვერპლი, თან არაერთხელ. ჟურნალისტებმა იგი არაერთგზის გამოჰკითხეს, უშუალოდ აფეთქების დამესა თუ მომდევნო დღეებში, ასევე გამოძიების მსვლელობისასაც (წლის განმავლობაში რამდენჯერმე). ტერორიზმის მსხვერპლებთან დაკავშირებით ზემოთ რამდენიმე რეკომენდაცია უკვე მიმოვიხილეთ და ამაზე აღარ შევჩერდებით. ფაქტია, რომ არცერთი მედიასაშუალება არ მოერიდა დაზარალებულთან დეტალებზე საუბარს.

რაც შეეხება ტერორისტის, როგორც წყაროს, გამოყენებას, როგორც აღვნიშნეთ, რაოდენობის თვალსაზრისით, თითქმის იმავე სიხშირით იქნა გამოყენებული ტერორისტი/ტერორისტული ორგანიზაცია წყაროდ, რამდენჯერაც - მსხვერპლი. მონიტორინგის პერიოდში შეგვხვდა ერთი ქართული შემთხვევაც, საქმე ეხება 2015 წლის


22 ნოემბერს ტერორიზმის ბრალდებით დაკავებული პირის სასამართლო პროცესს და მის ირგვლივ განვითარებულ მოვლენებს (დავით ბორჩაშვილის საქმე).

ზემოთ მოტანილი შემთხვევა ტერორისტისათვის მედია მომსახურების გაწევის კლასიკურ მაგალითად ვერ გამოდგება, რადგან ამ შემთხვევაში პირს წაუყენეს ბრალდება ტერორისტული აქტის ორგანიზებაში, იგი ამ ბრალდებას არ ეთანხმება. ამდენად, ამ ამბის გაშუქებისას ჟურნალისტური ბალანსის თვალსაზრისით აუცილებელიც კი იყო ბრალდებულის ხმის მიტანა მკითხველამდე. აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებულ ჟურნალისტურ მასალებში არ არის მოტანილი ტერორისტის მუქარა და არც ტერორისტული მოწოდებაა გავრცელებული.

თუმცა სრულიად განსხვავებული ვითრებაა, როდესაც მედიაში ხვდება ტერორისტის მოწოდება, ან ტერორისტების მიერ გავრცელებული ნებისმიერი ინფორმაცია. ჩვენს საკვლევ პერიოდში ასეთი რამდენიმე შეთხვევა დაფიქსირდა, როდესაც წყაროდ პირდაპირაა მითითებული ტერორისტული ორგანიზაცია, ძირითადად, ეს შეეხება Isis-ის ან მის ოფიციალურ მედიასაშუალება Amaq News Agency-ს (<http://jihadintel.meforum.org/identifier/305/islamic-state-in-iraq-and-the-levant-al-amaq-news> - ბოლო ნახვა: 25.06.2017 წ.).

შესავალში, როდესაც მედიის, როგორც ტერორისტების რუპორის, მარიონეტისა თუ უნებლიე მხარდამჭერის შესახებ ვსაუბრობდით, სწორედ ამას ვგულისხმობდით. ერთი მხრივ, შესაძლოა ჩანდეს, რომ ტერორისტების განცხადებების გავრცელებაში არაფერია საშიში, მაგრამ გამოდის, რომ მედია ხდება კომუნიკატორი ტერორისტსა და მოქალაქეებს შორის, საკვლევ პერიოდში გამოქვეყნდა რამდენიმე ქართულენოვანი მასალა, სადაც ტერორისტების ნათქვამი (მოწოდება იქნება ეს, თუ - მუქარა) უცვლელად გამოქვეყნდა მედიაპორტალების ვებ-გვერდებზე. ასეთი ფაქტები, ყველა საერთაშორისო რეგულაციის მიხედვით, არასასურველია. მითუფრო არასასურველია საქართველოს მაგალითზე, რადგან უკვე ათეულობით საქართველოს მოქალაქე ირიცხება ერაყსა და სირიაში Isis-ის რიგებში.

ცხრილი 4. სხვადასხვა კატეგორიის წყაროდ გამოყენების სიხშირე



4.6. ტერორიზმის შესახებ გამოქვეყნებული ჟურნალისტური მასალების „ფრეიმები“

კოდირების სისტემამ, სადაც რამდენიმე კატეგორია იყო განსაზღვრული (გეოგრაფიული არეალი; გამოუქმების სიხშირე; წყაროები; სტერეოტიპები; გამოუქმების დრო; გამოუქმების ტიპი),

მოგვცა საშუალება მიგველო ზოგადი სურათი იმის შესახებ, თუ რა „ფრეიმებში“ ექცევა ტერორიზმი ქართულ ონლაინ მედიაში.

აღმოჩნდა, რომ არცერთ მედიასაშუალებას არ გააჩნია რაიმე ტიპის შიდა რეგულაცია „გაიდლაინი“, რომელსაც დაეყრდნობა ტერორიზმზე წერისას. შესაბამისად, ტერორიზმის გაშუქება ქაოტურ ხასიათს ატარებს, ხოლო დღის წესრიგი, ძირითადად, ნაკარნახევია ისევ და ისევ ტერორისტთა მიერ. IPN-მა, მრავალი მცდელობის მიუხედავად, საერთოდ არ გასცა პასუხი ჩვენ შეკითხვებს. ამდენად მათზე დაწვრილებით ვერ ვისაუბრებთ.

„ტაბულას“ კი აღმოაჩნდა, ასე ვთქვათ, ზეპირი დათქმები ტერორიზმთან მიმართებაში, რომ მაგალითად „ისლამური სახელმწიფოზე საუბრისას აუცილებლად უნდა გამოვიყენოთ ტერმინი „ე.წ ტერაქტი.“; ტერაქტს ვუწოდებთ მხოლოდ მას შემდეგ, რაც ოფიციალურად კვალიფიცირდება მომხდარი მოვლენა ტერაქტად, Isis-ის წევრებს მოვიხსენიებთ ტერორისტებად (და არა მაგალითად, დამნაშვეებად, ან მებრძოლებად), ამასთან ვითვალისწინებთ, რომელი მედია აქვეყნებს ინფორმაციას ტერორიზმის შესახებ, თუ ეს რუსული წყაროა, მხოლოდ ალტერნატიული წყაროების გადამოწმების შემდეგ ვაქვეყნებთ მასალას” - გვითხრა კვლევისას „ტაბულას“ თანამშრომელმა.

„ნეტგაზეთი“ ხელმძღვანელობს ზოგადი წესებით, რასაც მეტნაკლებად ყველა თემის გაშუქებისას ითვალისწინებს, როგორც კვლევისას გვითხრეს, დაუშვებლად მიაჩნიათ, მაგალითად ტერორიზმის რაიმე სახით რომანტიზება, თუმცა მედიამონიტორინგმა ოდნავ განსხვავებული სურათი აჩვენა.

„ნეტგაზეთის“ შემთხვევაში თვალშისაცემია, რომ თუ ტერორიზმის რომანტიზება მათთვის კატეგორიულად მიუღებელია, როდესაც საქმე ეხება წასულ Isis-ის რიგებში მყოფ საქართველოს იმ მოქალაქეებს, რომლებიც იბრძვიან ერაყსა და ავღანეთში. თუმცა, მასალებზე დაკვირვებამ აჩვენა, რომ „ნეტგაზეთის“ ჟურნალისტები ბოლომდე ვერ აღწევენ თავს თემის რომანტიზებულ ასპექტში გადატანას, მოვიყვანოთ რამდენიმე მაგალითი:

- თუ ვრცელდება ინფორმაცია საქართველოს იმ მოქალაქეების დაღუპვის/დაშავების შესახებ, რომლებიც ტერორისტული დაჯგუფებების წევრები არიან, “ნეტგაზეთი” სათაურშიც და ტექსტშიც იყენებს ფრაზას „ქართველი მებრძოლი დაიღუპა“ ან „საქართველოს მოქალაქე დაიღუპა“ (ავტ. ლუკა პერტაია, 2016 წ. <http://netgazeti.ge/news/126286/>; <http://netgazeti.ge/news/128418/>; <http://netgazeti.ge/news/128600/> ბოლო ნახვა: 30.06.2017წ.) რაც არასოდეს ხდება სხვა ნებისმიერ ტერორისტზე საუბრისას (სხვა შემთხვევებში გამოყენებულია „ლიკვიდაცია“/“ტერორისტი ლიკვიდირებულია“ და ა.შ.)
- თარხან ბათირაშვილთან დაკავშირებულ მასალებში რამდენჯერმე მოხსენიებულია ეს უკანასკნელი, როგორც „ძლიერი სამხედრო მეთაური“ (ავტ.ლუკა პერტაია, 2016 წ. <http://netgazeti.ge/news/128928/> ბოლო ნახვა 30.06.2017 წ.) ასევე ხაზგასმულია, რომ 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის დროს, ის საქართველოს მხარეს იბრძოდა (ავტ.დათო ქოქოშვილი, 2016წ. <http://netgazeti.ge/news/131936/> ბოლო ნახვა: 30.06.2017 წ.)
- სიტყვა „დაიღუპა“ ბათირაშვილთანაც ფიგურირებს ყოველ ჯერზე (თუ, რა თქმა უნდა, ამბავი დადასტურებულ ან დაუდასტურებელ გარდაცვალებას შეეხება, მოგეხსენებათ, ხშირად არასწორი ინფორმაცია ვრცელდებოდა);
- ვრცელი სტატია სირიაში გარდაცვლილი საქართველოს ორი მოქალაქის შესახებ Isis-ის რიგებიდან (ავტ. ლუკა პერტაია, 2016 წ. <http://netgazeti.ge/news/126286/> ბოლო ნახვა 30.06.2017 წ.) სადაც გარდა სუს-ის ინფორმაციისა, გამოყენებულია გარდაცვლილების ოჯახის წევრებისა და ადგილობრივების (პანკისელების) კომენტარები, რაც სტატიას სენტიმენტალურ ელფერს სძენს, ეს კი დაუშვებელია არა მხოლოდ თავად ნეტგაზეთისავე წესების, არამედ, ზოგადად, ტერორიზმის გაშუქების საერთაშორისო რეკომენდაციებისა და სტანდარტების მიხედვითაც.

“ტაბულაში”, ჩვენდა გასაკვირად, რამდენიმე სტერეოტიპული მიდგომა დაფიქსირდა, მაგალითად:

- რამდენიმე ახალ ამბავში ხაზგასმულია მიგრაციის/მიგრანტების საკითხი, რომ ტერორისტი ან ტერორიზმში ექვმიტანილი მიგრანტი იყო, რამაც, შესაძლოა, მიგრანტთა მიმართ (განსაკუთრებით სირიელ მიგრანტთა მიმართ) არსებული ისედაც აგრესიული დამოკიდებულების გაღრმავებას შეუწყოს ხელი (მაგ: <http://www.tabula.ge/ge/story/110143-germaniashi-ert-ert-barshi-afetqeba-moxda-aris-msxverpli>)
- თურქეთში მომხდარი ერთ-ერთი აფეთქების გაშუქებისას აღნიშნულია, რომ ეს ქურთების დასახლებაა, რამაც შესაძლოა ტერორიზმის საფთხე გადაფაროს და აქცენტები ეთნიკურ შუღლზე გადაიტანოს.
- აპელირება ტერორისტის სქესზე - ქვემოთ მოყვანილ სამივე შემთხვევაში აქცენტი გაკეთებულია იმაზე, რომ ტერორისტი მდედრობითი სქესის წარმომადგენელია (<http://www.tabula.ge/ge/story/110639-safrangetshi-16-tslis-gogo-daakaves-romelic-savaraudod-teraqts-gegmaavda>; <http://www.tabula.ge/ge/story/111693-parizshi-terorizmtan-kavshiris-braldebit-3-qali-daakaves>
- ; <http://www.tabula.ge/ge/story/112170-safrangetshi-nicis-teraqtan-kavshiris-braldebit-8-adamiani-daakaves>

IPN-ის მასალებში ერთადერთი თვალშისაცემი „ფრეიმია“ შფოთისა და განგაშის შემოტანა. რედაქცია ტერორისტული აქტების ჩადენის დღეს, დღის განმავლობაში 2-ჯერ ან 3-ჯერ სხვადასხვა ინტერვალთ პატარ-პატარა ახალ ამბებს ხელახლა ანთავსებდა ვებ-გვერდზე, IPN -ზე გამოიკვეთა ერთი არცთუ სახარბიელო ტენდენცია, ტერორიზმის გაშუქებისას ინფორმაციული ღირებულების მქონე სტატიებზე მეტი სივრცე ეთმობოდა მმართველი პარტიის წარმომადგენლების კომენტარებსა და შეფასებებს. აქა-იქ სხვა პოლიტიკური პარტიების წარმომადგენელთა კომენტარებიც ქვეყნდებოდა, მაგრამ ტერორისტული აქტების შესახებ მმართველი პოლიტიკური ძალის წარმომადგენელთა კომენტარები ბევრად სჭარბობდა სხვა პარტიების წარმომადგენელთა კომენტარებს.

ამდენად გამოიკვეთა სამი ძირითადი „ფრეიმი“, რომელშიც ხვდება ტერორიზმთან დაკავშირებული თემები ჩვენი კვლევის ობიექტების პალტფორმებზე: IPN-ის შემთხვევაში ესაა ტერორიზმის შეფასების საბაზით მმართველი პარტიის წარმომადგენლების წინა პლანზე წამოწევა; “ნეტგაზეთის” შემთხვევაში Isis-ის რიგებში მყოფი საქართველოს მოქალაქეების შესახებ მასალებში ტერორიზმის რომანტიზებულ „ფრეიმში“ მოქცევა;

“ტაბულას” შემთხვევაში კი რამდენიმე ტერორიზმთან დაკავშირებული მასალა, ცალსახად, და ეთნიკური და გენდერული „ფრეიმით“ იყო მოწოდებული, რამაც, კიდევ ერთხელ აღვნიშნავთ, გაგვაკვირვა, რადგან “ტაბულას” რედაქცია და მენეჯმენტი სწორედ იმითაა ცნობილი, რომ თავად ებრძვის მსგავსი ტიპის სტრეოტიპულ მიდგომებს.

დასკვნა

კვლევის შედეგად ნაწილობრივ დადასტურდა საწყის ეტაპზე ჩამოყალიბებული ჰიპოთეზა იმის შესახებ, რომ ქართული მედიაში, კერძოდ ჩვენ მიერ შერჩეულ ონლაინ გამოცემებში (netgazeti; tabula;ipn) სათანადო ყურადღებას არ უთმობენ და არ ითვალისწინებენ ტერორიზმის გაშუქების საერთაშორისო სტანდარტებს.

კვლევამ აჩვენა, რომ გაშუქება ფრაგმენტულ და ქაოტურ ხასიათს ატარებს და ძირითად შემთხვევებში მოკლე ახალი ამბებით შემოიფარგლება. გამონაკლისს წარმოადგენს “ნეტგაზეთში” გამოქვეყნებული რამდენიმე ვრცელი სტატია და რეპორტაჟი.

„ფრეიმინგის თეორიით“ საკითხის კვლევამ გამოკვეთა რამდენიმე ძირითადი „ფრეიმინგ“, რომლითაც ტერორიზმი შუქდება ქართულ მედიაში. ამდენად, კიდევ ერთხელ დადასტურდა, რამდენად ვალიდურია „ფრეიმინგის თეორიის“ გამოყენება და რამდენად ეხმარება ის მკვლევარს, სხვა ჭრილში დაინახოს და გაანალიზოს საკვლევი თემა.

კვლევამ დაადასტურა რამდენიმე ძირითადი ვარაუდიც, მაგალითად: მეტი ყურადღება ეთმობა ე.წ. განვითარებულ ქვეყნებში მომხდარ ტერაქტებს, ტერორიზმის გაშუქებისას ჟურნალისტურ მასალებში წყაროებად რიგითი პოლიტიკოსების შეფასებები, თვითმხილველსა და სამართალდამცავზე 3-ჯერ მეტი სიხშირითაა გამოყენებული.

კვლევის ძირითადი მიგნებები

- ქართული ონლაინ მედიისთვის(ჩვენი კვლევის ობიექტებისთვის) უფრო საინტერესოა განვითარებულ ქვეყნებში მომხდარი ტერორისტული აქტები;
- ქართული ონლაინ მედია ნაკლებად ინტერესდება დანარჩენ მსოფლიოში ტერორიზმის კუთხით არსებული მდგომარეობით, მეტიც იქ მომხარი ტერორისტული აქტების თითქმის 2/3 საერთოდ არ შუქდება;
- ჩვენი კვლევის ობიექტების შემთხვევაში თვალშისაცემია ანალიტიკური სტატიების დეფიციტი;
- ჩვენი კვლევის ობიექტები მეტ სივრცეს უთმობენ პოლიტიკოსების განცხადებებს ტერაქტის შესახებ, ვიდრე ექსპერტთა ცოდნასა და გამოცდილებაზე დამყარებულ მოსაზრებებსა და არგუმენტირებულ მსჯელობას, იმის თაობაზე, საერთოდ, რა მოვლენაა ტერორიზმი და როგორ უნდა ებრძოლოს მას მსოფლიო; ეს ტენდენცია ძირითადად IPN-ის შემთხვევაში გამოვლინდა
- მიუხედავად მოლოდინისა, არ გვხვდება რელიგიური სტერეოტიპები, რაც ცალსახად კარგია, თუმცა გვხვდება საკითხის ეთნიკურ, ან გენდერულ ჭრილში გადატანა; ეს უკანასკნელი ტენდენცია ძირითადად “ტაბულაში” დაფიქსირდა
- ხდება ტერორიზმის რომანტიზება, თუ საქმე ეხება საქართველოს მოქალაქეებს (იგულისხმება ტერორისტთა რიგებში მყოფი ადამიანები); ეს ტენდენცია უფრო “ნეტგაზეთის” პუბლიკაციებში გამოვლინდა
- იმ დროს როდესაც მედიამკვლევარები მსჯელობენ საერთოდ გააშუქონ თუ არა ტერორიზმთან დაკავშირებული ამბები, ჩვენი კვლევის ობიექტებს განსაზღვრულიც კი არ აქვთ დრის წესრიგი და ტერორისტული ორგანიზაციების მიერ შეთავაზებულ დღის წესრიგს მიჰყვებიან (ვგულისხმობთ იმას, რომ საკუთარი ინციატივით არ შედიან თემის ღრმა პერიპეტივებში, არ მსჯელობენ, არ აანალიზებენ, აშუქებენ მხოლოდ ზედაპირზე მოტივტივე ტერაქტს, ტერორს, შიშს, მსხვერპლსა და პოლიტიკოსების არაფრისმომცემ განცხადებებს).

რეკომენდაციები:

- ✓ მედიასამუშაოებებმა უნდა შეიმუშაონ მკაფიოდ განსაზღვრული წესები, რომლითაც იხლმმღვანელებენ ტერორიზმის გაშუქებისას;
- ✓ სასურველია, თემებს, რომელიც ტერორიზმს უკავშირდება სპეციალურად მომზადებული ჟურნალისტი უძღვებოდეს;
- ✓ მოერიდონ მსხვერპლის მდგომარეობით სარგებლობას და მაქსიმალური სიფრთხილით მოეკიდონ მასთან ურთიერთობას, აგრეთვე მისი, როგორც ინფორმაციის წყაროდ გამოყენებას;
- ✓ ტერორიზმს უნდა ჩამოაშორონ სენსაციურობისა და სკანდალურობის ელფერი;
- ✓ მაქსიმალურად მოერიდონ ტერორისტების წყაროდ გამოყენებას, რადგან ამით ხელს უწყობენ მათსა და მკითხველს/მაყურებელს შორის უშუალო კონტაქტს;
- ✓ კატეგორიულად მოერიდონ თემის რომანტიზებას, ტერორისტთა ისტორიების გაადამიანურებასა და გასენტიმენტალურებას;
- ✓ ტერორისტულ ორგანიზაციებში მყოფ საქართველოს მოქალაქეებზე წერისას გამოიყენონ იგივე მიდგომები, რასაც სხვა ნებისმიერი ტერორისტის შესახებ წერისას გამოიყენებდნენ;
- ✓ მოერიდონ დაუდასტურებელი ინფორმაციის გავრცელებას ტერორიზმთან დაკავშირებით;
- ✓ არ დაუშვან ტერორისტთა მოწოდებების/მიმართვის/მუქარის ტირაჟირება, რადგან ამ გზით, თავისდაუნებურად, ხელს უწყობენ ტერორისტულ ორგანიზაციებს მიზანს და საზოგადოებაში პანიკასა და შიშს ნერგავენ;
- ✓ მოკლე ახალი ამბების პარალელურად დროდადრო იმუშაონ ტერორიზმთან დაკავშირებულ ანალიტიკურ მასალებზეც. ასეთ მასალებში დიდი დრო და ადგილი დაუთმონ უსაფრთხოების ექსპერტებს.

გამოყენებული ლიტერატურა

1. მერაბურუშაძე - „გლობალიზაცია – გლობალური ტერორიზმის საფრთხე“ (რედ. მამიაებრაღიძე, გამომცემლობა „უნივერსალი“, თბილისი, 2007 წ.)
2. მაუწყებელთა ქცევის კოდექსი (თბილისი, 2009 წ.)
3. საზოგადოებრივი მაუწყებლის ქცევის კოდექსი (თბილისი, 2006 წ.)
4. საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტია - „ტერორიზმთან დაკავშირებული თემების გაშუქება“ (სახელმძღვანელო წესები, თბილისი, 2015 წ.);
5. ენდრიუჰეივუდი - „პოლიტიკური იდეოლოგიები: შესავალი კურსი“ (მთარგმნ.: თამარ ბაკურაძე და სხვ.; რედ.: ლაშა ბერაია, ზეინაბსარაძე) მე-3 გამოცემა, გამომცემლობა „ლოგოსპრესი“, თბილისი 2004 წ.)
6. ვასილ რუბაშვილი „ტერორიზმის პრობლემისა და საერთაშორისო ორგანიზაციებში“ („ახალიაზრი“ №1 (7)- 2003 წ.);
7. ვალერ მელიქიძე - „მსოფლიო პოლიტიკის გლობალიზაცია: სალექციო კურსის სოც. მეცნ. მაგისტრატურისათვის“ (მთ. რედ.: მარინე ჩიტაშვილი, ენობრ. რედ.: ლია კაჭარავა) - სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი, თბილისი, 2006 წ.);
8. Politicians, Journalists, and the Stories that Shape the Political World - Kathleen Hall Jamieson and Paul Waldman; 2004).
9. Creswell, J., & Plano Clark, V. (2007). Designing and Conducting Mixed Methods Research
10. Isadore Newman & Carolyn R. Benz, Qualitative-quantitative Research Methodology: Exploring the Interactive Continuum, 1998
11. Anat Shoshani & Michelle Slone - „The drama of media coverage of terrorism: Emotional and attitudinal impact on the audience“ (Studies in conflict & terrorism“ 2008 წ.) ;

12. Jamie Doward - „Media coverage of terrorism “leads to further violence” (The Guardian -2015წ.);
13. Jason Burke- “How the changing media is changing terrorism “(The Guardian - 2016წ.);
14. Marty Rudoy - “The Media Must Stop Encouraging Terrorists”(The Huffington Post - 17.07.2016);
16. BBC editorial guidelines – war, terror and emergencies;
17. Dart Center for Journalism and Trauma;
18. Canadian Media Journal of Communication (CJC) - Media Coverage of Acts of Terrorism: Troubling Episodes and Suggested Guidelines - Raphael Cohen(University of Haifa)2005 წ.)
19. მოხელისსამაგიდოლექსიკონი / გაეროსგანვითარებისპროგრამა; [შემდგ.: სამსონურიდიადასხვ.; რედ.: ვაჟაგურგენიძე] - თბ., 2004 - 483გვ.: ცხრ.; 24სმ. - (საჯარომოსამსახურისბ-კა)
20. საქართველოსსახლისსამართლისკოდექსი(მუხლი 323).
21. პოლიტიკურიდეოლოგიები: შესავალიკურსი / ენდრიუჰეივუდი; [მთარგმნ.: თამარბაკურაძედასხვ.; რედ.: ლაშაბერაია, ზეინაბსარაძე]. - მე-3 გამოც. - თბ.: ლოგოსპრესი, (2004. - 432გვ.)
22. მაისაიავახტანგ. თანამედროვეისლამისროლიმსოფლიოგეოპოლიტიკაში: (რეგიონულიპროცესებისმაგალითზე), – ფრიდრიხბერტისფონდი
23. ჭაბაშვილი, მიხეილ, უცხოისტყვათალექსიკონი / შეადგინა [დაწინასიტყვ. დაურთო] მიხეილჭაბაშვილმა. - მე-3 შესწ. დაშევს. გამოც. - თბ. :განათლება, 1989
24. ეკონომიკისა და მშვიდობის ინსტიტუტი, გლობალური ტერორიზმის ინდექსი (2016 წ.)
<http://economicsandpeace.org/wp-content/uploads/2016/11/Global-Terrorism-Index-2016.2.pdf>

Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Social and Political Faculty

Nato Lezhava

Peculiarities of reflections terrorism in Georgian online media

Mass Communication and Media Studies

The Thesis Submitted in partial fulfillment of the requirements for the degree of
Master of Mass Communication and Media Study

Head: Magda Memanishvili -

Doctor of Journalism ; TSU Assistant Professor

Tbilisi
2017

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი
სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

მანონ ბოკუჩავა

ოკუპირებული რეგიონების რუსულენოვანი ონლაინმედია
საქართველოსა და რუსეთის თემატიკის შესახებ

ნაშრომი შესრულებულია „მასობრივი კომუნიკაციისა და მედიის
კვლევების“ მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: პროფესორი დალი ოსეფაშვილი

თბილისი

2017 წ

ანოტაცია

ნაშრომის მიზანია გავარკვიოთ თუ რა ფრეიმებს ქმნის საქართველოსა და რუსეთზე ოკუპირებული რეგიონების (აფხაზეთის და ცხინვალის რეგიონის/სამხრეთ ოსეთი) რუსულენოვანი ინტერნეტმედია. არის თუ არა ეს ფრეიმები შემდეგი: მტრის ხატი საქართველოს სახით, ხოლო რუსეთის წარმოჩენა, როგორც მეგობარი სახელმწიფოსი. აღნიშნული ქვეყანა (რუსეთი) შემთხვევით არაა მოხვედრილი კვლევაში, რადგან სწორედ რუსეთი წარმოადგენს აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის (ცხინვალის რეგიონი) კონფლიქტის მთავარ აქტორს. კვლევა ასევე მიზნად ისახავს, კონფლიქტების სფეროში მშვიდობის ჟურნალისტიკის როლის შეფასებას.

კვლევისთვის გამოყენებულია კონტენტანალიზის მეთოდი. საკვლევ პერიოდად მიზნობრივი შერჩევის პრინციპით შესწავლილია 2016 წლის მარტი და 2017 წლის მარტი, ხოლო კვლევის ძირითადი ობიექტებია საინფორმაციო ვებგვერდები აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში: sputnik-ossetia.ru; osinform.org; sputnik-abkhazia.ru; apsnypress.info.

ოკუპირებული სამხრეთ ოსეთი და აფხაზეთის რეგიონის ამბებზე მომუშავე, აღნიშნული ოთხი ვებგვერდის კონტენტანალიზის შედეგად გავაანალიზე - ერთიანობაში 261 ჟურნალისტური ნამუშევარი.

ჩემი კვლევის პერიოდში არ გამოვლინდა არც ერთი საქართველოს მიმართ დადებითი ტენდენციის მქონე ჟურნალისტური ნამუშევარი, აგრეთვე არ გამოვლინდა არც ერთი უარყოფით ტენდენციის მქონე ნამუშევარი რუსეთის მიმართ.

აგრეთვე ჩავატარე თვისობრივი კვლევა - კონფლიქტოლოგიისა და მედიის სფეროს ექსპერტების მოსაზრებების გასაცნობად.

კვლევის შედეგები ცხადყოფს, რომ აფხაზეთის და ცხინვალის რეგიონის, გაშუქებაზე მომუშავე, აღნიშნული საინფორმაციო ვებგვერდები არ ემსახურებიან საზოგადოების ობიექტურ ინფორმირებას, მოქცეულნი არიან რუსეთის იდეოლოგიის ქვეშ, წარმოადგენენ პროპაგანდის იარაღს. დაბალია მათი თავისუფლების ხარისხი, შედეგად

ადგილი არ აქვს პლურალისტურ დისკუსიებს მედია ნამუშევრებში. მხოლოდ პოზიტიურ ჭრილში გაშუქება რუსეთთან დაკავშირებული ყველა თემატიკის ინფორმაციის და ამასთან ერთად მხოლოდ ნეგატიური გაშუქებას საქართველოსთან დაკავშირებული საკითხების, ცხადყოფს, რომ მედია მხარეა. ეს რეალობა კი, ერთ-ერთი ხელის შემშლელი ფაქტორია საზოგადოებებს შორის დაკარგული ნდობის აღდგენასა და მშვიდობის მშენებლობაში.

Annotation

The purpose of my work is to find out what frames about Georgia and Russia are created by Russian-language internet media of occupied regions (Abkhazia and Tskhinvali region / South Ossetia). Whether these frames are the following: Georgia as the icon of an enemy, and Russia - as the icon of a friend state. The mentioned country (Russia) is not accidentally investigated, because Russia is the main actor in the conflicts of Abkhazia and South Ossetia (Tskhinvali region). The research also aims to assess the role of peace journalism in the conflict sphere.

For research there was used the content analysis method. March 2016 and March 2017 is studied as the research period by the targeted selection principle, and the main objects of the research are informational websites in Abkhazia and Tskhinvali region: sputnik-ossetia.ru; Osinform.org; Sputnik-abkhazia.ru; Apsnypress.info. I have analyzed by content analysis method entirely 261 journalistic works of above mentioned four websites, which work about South Ossetia and Abkhazia news.

During my research no journalistic work with the positive tendency towards Georgia and none with the negative tendency to Russia have been revealed. I also conducted a qualitative research in order to get acquainted with the opinions of conflictology experts and media experts. The results of the study show that the informational websites working on the coverage of Abkhazia and Tskhinvali region do not serve the society with the objective information. They are under Russian ideology and are the instruments for propaganda. The quality of their freedom is low, and there are no pluralistic discussions in media works. Only positive coverage by all the topics related to Russia, and only negative coverage of Georgia-related issues demonstrates that

media is aparty. This reality is one of the hindering factors in restoration of lost trustbetween societies and building of peace.

სარჩევი

ანოტაცია.....	2
Annotation	3
შესავალი.....	6
ჰიპოთეზა	7
ტერმინთაგანმარტება	8
თავი I ლიტერატურის მიმოხილვა	9
თეორიულიჩარჩო.....	9
1.2 კონფლიქტური რეგიონები, სეპარატისტული მოძრაობები და ეთნიკური ჯგუფები ცალკე სახელმწიფოს შექმნის სურვილით	10
1.3 კონფლიქტი აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში/ცხინვალისრეგიონი.....	14
1.4 მედია და კონფლიქტები/ აფხაზეთის და ცხინვალის რეგიონის მედია.....	18
1.5 მშვიდობის ჟურნალისტიკა	24
1.6 საერთაშორისო ორგანიზაციები კონფლიქტზე აფხაზეთსა და ცხინვალში	26
კვლევის მეთოდები.....	27
1. კვლევის ობიექტები და დაკვირვების ტექტიკა.....	28
5. გაშუქების ტენდენციის შეფასების კრიტერიუმები	30
6. ძირითადი კვლევა	31
6.1 osinform.org - 2016 წლისმარტი - 2017 წლისმარტი	31
6.2 sputnik-ossetia.ru 2016 წლის მარტი - 2017 წლის მარტი	35
6.3 apsnypress.info 2016 წლისმარტი - 2017 წლისმარტი.....	37
6.4 sputnik-abkhazia.ru 2016 წლისმარტი - 2017 წლისმარტი.....	39
7. თვისებრივი კვლევის შედეგები	45
7.1 ძირითადი მიგნებები.....	45
8. რეკომენდაცია.....	49
9. დასკვნა.....	50
10. ბიბლიოგრაფია.....	54

შესავალი

24 წელია საქართველოში ე.წ. გაყინული კონფლიქტები არსებობს. აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის (ცხინვალის რეგიონი/სამაჩაბლო) რეგიონებში კონფლიქტი რუსეთის იმპერიალისტური მიზნებით (1992-1993 წელს-აფხაზეთი, 1991-1992 ცხინვალის რეგიონი) დაიწყო.

საქართველოს „დიდი მეზობლის“ რუსეთის ინტერესებში, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ - ყოფილ დაქვემდებარებულ რესპუბლიკებზე ძალაუფლების შენარჩუნება იყო. რუსეთი ცხინვალის და აფხაზეთის სეპარატისტული მოძრაობების სამხედრო მხარდაჭერით, კონფლიქტის გამწვავებას და სასურველი შედეგის მიღებას ახერხებს. შედეგად, საქართველო კარგავს კონტროლს თავის რეგიონებზე. ცხინვალის რეგიონსა და აფხაზეთს 400 000-ზე მეტი ადგილობრივი მოსახლე ტოვებს და დევნილობაში, დღემდე ქვეყნის სხვადასხვა რეგიონებში ცხოვრობს.

დღეს რუსეთი ლიდერობს იმ სახელმწიფოთა მცირე ნაწილის სიაში, რომლებმაც სამხრეთ ოსეთი და აფხაზეთი, დამოუკიდებელ სახელმწიფოდ აღიარეს. რუსეთმა აგრეთვე, აღნიშნულ რეგიონებთან 2015 წელს „თანამშრომლობის განსაკუთრებული ფორმატის ხელშეკრულებას“ მოაწერა ხელი. აღნიშნული ხელშეკრულების მთავარი პუნქტი - ერთიანი სამხედრო ძალის შექმნას ითვალსწინებს. ასევე, მის თანახმად, რუსეთი იღებს ვალდებულებას საპენსიო ფონდით უზრუნველყოს აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი.

საქართველო კი ამ დროს ცდილობს მოახერხოს ქვეყნის ევროპეიზაცია და სახელმწიფო ინსტიტუტების ჩამოყალიბება. იცვლება მთავრობები და იცვლება მიდგომები აფხაზეთის და ცხინვალის კონფლიქტის მოგვარების თვალსაზრისით. დღეს მთავრობის პოლიტიკა ამ მიმართულებით ასე გამოიხატება: „ჩვენ არ გვინდა მხოლოდ აფხაზეთის მიწის დაბრუნება, ჩვენ გვინდა ჩვენი აფხაზი ძმების დაბრუნება“

(2014 წლის 13 აპრილი - საქართველოს პრეზიდენტის გიორგი მარგველაშვილის საჯარო გამოსვლიდან).¹

საინტერესოა რას ფიქრობს დღეს აფხაზეთის და ცხინვალის რეგიონის მოსახლეობა საქართველოსა და რუსეთზე? რა შეხედულებები აქვს შექმნილი საქართველოზე ახალ თაობას, რომელსაც არც ახსოვს საომარი მოქმედებები? რადგან საზოგადოებრივი აზრის შექმნაში მთავარი ძალაუფლება მედიას აქვს, ამიტომაც ჩვენ ვიკვლევთ თუ რას და როგორ წერს საქართველოსა და რუსეთზე კონფლიქტური რეგიონების მედია. საკითხი გაანალიზებულია ფრეიმინგის თეორიის მიხედვით.

კვლევის შედეგები ცხადყოფს, რომ კონფლიქტის მოგვარებაში დიდია მიუკერძოებელი, სიმულვილის ენისგან თავისუფალი, მშვიდობის ჟურნალისტიკის როლი.

ჰიპოთეზა

აფხაზეთის და ცხინვალის რეგიონის მედიაში, იქმნება მტრის ხატი საქართველოს სახით. ამასთან ერთად რუსეთი წარმოჩენილია, როგორც მეგობარი, მხარდამჭერი სახელმწიფო. რუსეთი გაშუქებულია ძირითადად პოზიტიურ ჭრილში, მაშინ როდესაც საქართველო გაშუქებულია სრულად ნეგატიურად.

საკვლევი კითხვები: რა სიხშირით შუქდება რუსეთთან და საქართველოსთან დაკავშირებული ინფორმაციები? როგორია მათი ერთმანეთთან შეფარდების შედეგი? როგორია ამ ინფორმაციების კონტექსტი? (დადებითი, უარყოფითი, ნეიტრალური)

კვლევის მიზანი: კვლევას აქვს ორი მიზანი. პირველი რაც ჰიპოთეზის გადამოწმებას და საკვლევი კითხვების პასუხების დანახვას გულისხმობს, ხოლო მეორე - ვაჩვენოთ,

¹საქართველოს პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი. საჯარო გამოსვლა. 2014 წელი, 13 აპრილი.

რამდენად მნიშვნელოვანია კონფლიქტების მოგვარების საქმეში ნეიტრალური, ჟურნალისტური სტანდარტებით მომუშავე მედიის არსებობა.

ტერმინთაგანმარტება

ოკუპაცია - ძალის გამოყენებით, სხვა სახელმწიფოს ტერიტორიის ან მისი ნაწილის დროებითი დაკავება.

<http://dictionary.css.ge/content/occupation>

პროპაგანდა - პოლიტიკის ერთ-ერთი ძირითადი ინსტრუმენტი, მიზნად ისახავს შექმნას და განამტკიცოს ისეთი საზოგადოებრივი აზრი, რომელიც ხელსაყრელი იქნება პროპაგანდისტისათვის და ხელსშეუწყობს მისი პოლიტიკის განხორციელებას. საერთაშორისო ურთიერთობებში მისი მიზანია შექმნას საკუთარი ქვეყნის მაქსიმალურად მიმზიდველი იმიჯი და დაწეროს მის და სიმპათია, მაქსიმალურად ეცადოს გაამართლოს ქვეყნის ყოველი ქმედება, ხოლო და პირისპირებული ქვეყნების მიმართ შექმნას უარყოფითი წარმოდგენა და ნეგატიურად განაწყოს მსოფლიო საზოგადოება. თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობებში კ-ის ტრადიციულ საშუალებებს - პრესას, რადიოს, ტელევიზიას დაემატა ისეთი მძლავრი საშუალება, როგორც ინტერნეტია. საგარეო პოლიტიკური კ-ის მიზანია ზეგავლენა მოახდინოს „სამიზნე“ ქვეყნის მოსახლეობაზე, რათა მან, თავის მხრივ, გავლენა მოახდინოს თავისი მთავრობის მოქმედებაზე. კ-ის პროცესი გულისხმობს: 1) „კომუნიკატორს“ სხვათაგანწყობის, აზრის, ქცევის შეცვლის განზრახვით; 2) სიმბოლოებს - დაწერილს, თქმულსანქცევითს - რომელთაცკომუნიკატორიიყენებს; 3) კომუნიკაციის საშუალებას;4) აუდიტორიას ანუ სამიზნეს.

<http://dictionary.css.ge/content/occupation>

თავი I ლიტერატურის მიმოხილვა

თეორიული ჩარჩო

ნაშრომის თეორიულ ჩარჩოდ გამოყენებულია ფრეიმინგის თეორია. ფრეიმინგი არის მეთოდი, რომლის მეშვეობითაც მედია არჩევს და განსაკუთრებულად გამოაქვს ამა თუ იმ მოვლენიდან მისი მხოლოდ ერთი ასპექტი. ეს შეიძლება აღვიქვათ, როგორც ერთი დიდი ნახატიდან მისი მხოლოდ ერთი მხარის ან კუთხის აღქმა. პროცესი თავისი არსით, შეიძლება ითქვას, რომ არ წარმოადგენს მოვლენის ობიექტური, სრულყოფილი გაშუქების ფორმას.

ენტმანი (Entman, 1991)² განმარტავდა, რომ ფრეიმის ორი დონე არსებობს. პირველია გონებაში გამჯდარი პრინციპები, ღირებულებები და მეორე - ახალი ამბების ტექსტის პარამეტრები. ფრეიმინგი მიუთითებს იმაზე, თუ როგორ არის სტრუქტურირებული საკითხები და მოვლენები (Reese, 2007)³. ამ მოსაზრებების თანახმად, ჟურნალისტები გაუცნობიერებლად ქმნიან ამბების გადმოცემის ფრეიმებს (Tuchman, 1978).⁴

გოფმანი (Goffman, 1974)⁵ თვლიდა, რომ ჟურნალისტური საქმიანობისას ეფექტს განაპირობებს არა გამიზნული/გაცნობიერებული სურვილი მოვლენა მხოლოდ ერთი კუთხით წარმოაჩინოს, არამედ ის პიროვნული თვისებები- ღირებულებები, რაც თავად ავტორს აქვს. მისი განმარტებით, ფრეიმი არის ადამიანის ინდივიდუალური გამოცდილების ერთიანობის შედეგი.

² Entman, R. (1993). Framing: Toward clarification of a fractured paradigm. *Journal of Communication*.

³ Reese. *The Framing Project: A Bridging Model for Media Research Revisited*. 2007.

⁴ Tuchman, Gaye 1978. *Making news: A study in the construction of reality*. New York: Free Press.

⁵ Erving Goffman, 1974. *Frame analysis*. Cambridge, MA, US: Harvard University Press.

Gitlin (1980)⁶წერდა, რომ ფრეიმები წარმოადგენენ შერჩევისა და პრეზენტაციის პრინციპებს იმისა, რაც არსებობს და ხდება. ფრეიმი საზოგადოებაზე შეიძლება ზედაპირულად შეუმჩნეველ, მაგრამ მძლავრ ეფექტს ახდენდეს. ფრეიმინგის თეორიის მიხედვით, ახალი ამბის ფრეიმს ანუ ახალი ამბის სასურველ შეფუთვას შეუძლია განსაზღვროს საკითხის მიმართ მოქალაქეების დამოკიდებულება (Callaghan, K. & Schnell, F., (2001). Nelson and Kinder 1996).⁷ფრეიმი ესაა ცენტრალური იდეა ან ამბის თხრობის გარკვეული მიმართულება, რომელიც ქმნის მოვლენის კონტექსტსა და მის მნიშვნელობას და რომელიც ნათელს ხდის, საერთოდ რაზეა საუბარი.

1.2 კონფლიქტური რეგიონები, სეპარატისტული მოძრაობები და ეთნიკური ჯგუფები ცალკე სახელმწიფოს შექმნის სურვილით

იამ გაის წიგნში „ავტონომია და ეთნიკურობა“⁸ მიმოხილულია ყოფილი იუგოსლავიის კონფლიქტი. „ფედერაციების შექმნა ერთის მხრივ ხელს უწყობს ლოკალურად მცხოვრები ეთნოსის თვითმყოფადობების შენარჩუნებას. თუმცა ზოგიერთ შემთხვევაში ვხედავთ, რომ ის ხდება მათი ინტეგრაციის პროცესის შეფერხების საფუძველი“ - წერს ავტორი.

სახელმწიფოებში ავტონომიური ერთეულების შექმნაზე მსჯელობენ წიგნში „ეთნოსების მიმართ პოლიტიკის ჩამოყალიბება.“⁹ ავტორი ჰენრი ჰელი აკვირდება, როგორც აშშ-ში, ასევე ევროპის სხვადასხვა ქვეყნებში წარსულში მომხდარ ეთნიკურ დაპირისპირებს. თვლის, რომ მთავარი კითხვა რაც მას და ალბათ, საზოგადოების დიდი ნაწილს უჩნდება ასეთია: რატომ აქვთ დამოუკიდებელ სახელმწიფოდ

⁶Gitlin, Todd, 1980, *The Whole World is Watching: Mass Media in the Making and Unmaking of the New Left* (Berkeley: University of California Press).

⁷Callaghan, K. & Schnell, F., (2001). *Assessing the democratic debate: how the news media*.

⁸Yash Ghai, 2000, *Autonomy and Ethnicity*. Cambridge Studies in Law and Society.

⁹Henry E. Hale, 2008, *The Foundations of Ethnic Politics*, Publisher: Cambridge University Press.

ჩამოყალიბების სურვილი ზოგიერთ ეთნიკურ დასახლებებს და რატომ არ უჩნდებათ ასეთი სურვილი სხვებს? თვლის, რომ მსგავსი კონფლიქტების დიდ ნაწილს ინდივიდუალური მიდგომა სჭირდება, რადგან რიგ შემთხვევაში საქმე გვაქვს არა თვითგამორკვევასთან, არამედ სეპარატისტულ მოძრაობებთან. ავტორი თვლის, რომ მსგავს პროცესებში მედიას მნიშვნელოვანი როლი უკავია. ფაქტების ობიექტური გაშუქება იცავს საზოგადოებას მცდარი შეხედულებების შექმნისგან. თვლის, რომ მედია ქმნის მტრის და მეგობრის ხატებს, რაც ადვილად იკიდებს ფეხს საზოგადოებაში.

კონფლიქტური რეგიონების სხვადასხვა მახასიათებლები მრავალ კვლევაშია შესწავლილი. 2013 წელს მომზადდა (ავტორები: Moeed Yusuf, Scott Smith, Colin Cookman)¹⁰ მორიგი კვლევა ავღანეთის კონფლიქტზე. მკვლევარები წერენ, რომ აუცილებელია ავღანეთის მიმართ სტრატეგიის შეცვლა და სამხედრო ჩარევასთან ერთად სოციალური და პოლიტიკური მიდგომების გადახედვა. მათი აზრით, ეს არის კონფლიქტი, რომელიც დამოკიდებულია არა მხოლოდ ავღანეთის შიდა პროცესებზე, არამედ მის მეზობელ სახელმწიფოებზე და აუცილებელია ამ ფაქტორის გათვალისწინება.

მსოფლიოს ყველაზე ცხელ კონფლიქტებს ანალიზებენ წიგნში (The Peace Puzzle: Appendices and Resources)¹¹ მკვლევარები (Daniel C. Kurtzer, Scott B. Lasensky, William B Quandt, Steven L. Spiegel, and Shibley Z. Telhami) და ახლო აღმოსავლეთის არაბულ კონფლიქტებზე წერენ. ხაზს უსვამენ ამერიკის როლს „მშვიდობის მშენებლობაში.“ ამასთან ერთად თვლიან, რომ ამერიკის 20 წლიანი მუშაობის მიუხედავად, გამარჯვებებზე მეტი დამარცხებებია. ახლო აღმოსავლეთის კონფლიქტებს ქრონოლოგიურად მიმოიხილავენ და მიდიან დასკვნებამდე, რომ ამ პრობლემის მოგვარებას არსებულზე გაცილებით მეტი ძალისხმევა სჭირდება.

¹⁰Smith, Scott; Yusuf, Moeed; Cookman, Colin. 2013. Getting It Right in Afghanistan. Published by United States Institute of Peace.

¹¹Daniel C. Kurtzer, Scott B. Lasensky, William B Quandt, Steven L. Spiegel, and Shibley Z. Telhami. 2013. The Peace Puzzle: Appendices and Resources.

კონფლიქტების მოგვარებაში დიპლომატიის მნიშვნელობაზე საუბრობენ წიგნში (Facilitating Dialogue)¹² ავტორები: დევიდ სმოკი და დანიელსერვერი - ანალიზებენ ირანის, კოსოვოს, ისრაელ-პალესტინის, კოლუმბიის, ნიგერიის და ნეპალის კონფლიქტებს. მკვლევარები მიიჩნევენ, რომ კონფლიქტების მოგვარებისას აუცილებელია სამოქალაქო და საერთშორისო ორგანიზაციების გამოყენება, როგორც პროცესის ფასილიტატორების. თვლიან, რომ კონფლიქტურ რეგიონებში სისტემატიური მუშაობა, ტრენინგებითა თუ შეხვედრებით პროცესებზე პოლიტიკური გავლენის მომხდენია. მათი შეფასებით, ასეთი ნაბიჯები საფუძველს უდებს მშვიდობიანი დიალოგის დაწყებას და ასევე მეტი სამოქალაქო განათლება შეაქვთ კონფლიქტურ საზოგადოებებში.

დიპლომატიის მნიშვნელობაზე წერენ (International Mediation in Venezuela)¹³ ავტორები ჯენიფერ მაკოი და ფრანცისკოდიეზი (Jennifer McCoy და Francisco Diez). ანალიზებენ ვენესუელაში მოსახლეობას შორის მომხდარ კონფლიქტს და ხაზს უსვამენ სამოქალაქო სექტორის მხრიდან მომრიგებლის როლის შესრულების მნიშვნელობას.

სამოქალაქოს საზოგადოებასთან დიალოგი არა, მაგრამ კონფლიქტური რეგიონის პაკისტანის და ამერიკის ურთიერთობები არის განხილული წიგნში „როგორ ურთიერთობს პაკისტანი აშშ-სთან“ მკვლევარები (Howard B. Schaffer და Teresita C. Schaffer)¹⁴ მიდიან მიგნებამდე, რომ კონფლიქტების მქონე ქვეყნებისთვის მნიშვნელოვანია, უკვე განვითარებულ სახელმწიფოებთან თანამშრომლობა. ასევე აღნიშნულ მიგნებასთან ერთად არის ქრონოლოგიურად აღწერილ პაკისტანში წარსულში მიმდინარე კონფლიქტები.

მკვლევარები მსჯელობენ მედიის ზეგავლენაზე კონფლიქტის მიმდინარეობის დროს. (Eytan Gilboa, Maria Gabrielsen Jumbert, Jason Miklian და Piers Robinson ნამუშევარში

¹²David R. Smock and Daniel Serwer, Facilitating Dialogue, Publisher: Cambridge University Press.

¹³Jennifer McCoy, Francisco Diez, 2001, International Mediation in Venezuela.

¹⁴Howard B. Schaffer და Teresita C. Schaffer, 2004 How Pakistan Negotiates with the United States.

„Moving media and conflict studies beyond the CNN effect“¹⁵ კვლევისას აკვირდებოდნენ CNN -ის მუშაობას ცივი ომის პერიოდში, ირანის 1991 წლის კრიზისის, სომალის (1991–92), ბოსნიის (1994–45) და კოსოვოს 1999 წლის კონფლიქტის დროს. ნაშრომის დასკვნის თანახმად, მედიის ეფექტი კონფლიქტების აღქმაში და მთავარი აქცენტების გაკეთებაში დიდია. თვლიან, რომ მედია ამ მხრივ ერთ-ერთი მთავარი მოთამაშეა.

კონფლიქტებში მედიის როლზე მსჯელობენ ამერიკის შეერთებული შტატების მშვიდობის ინსტიტუტში. ამ ორგანიზაციის მკვლევარები (Yll Bajraktari და Christina Parajon *The Role of the Media in Conflict*)¹⁶ თვლიან, რომ დემოკრატიული პროცესების და მშვიდობის მხარდაჭერაც მედიის ერთ-ერთი მთავარია როლია. წერენ, რომ მედიას შეუძლია კონფლიქტები გაანალიზოს და ამით ერთგვარი გაკვეთილი წარუდგინოს საზოგადოებას, თუ რა იწვევს კონფლიქტს და შემდეგ რის გამო არ ხდება ამ ვითარების მოგვარება. მსჯელობენ კონფლიქტზე, როგორც ადგილობრივი ასევე საერთაშორისო მედიის ზემოქმედებაზე. კვლევის დასკვნის თანახმად, საერთაშორისო მედიას აქვს ძალა მოახდინოს გავლენა, როგორც ხელისუფლებებზე ასევე საერთაშორისო ორგანიზაციებზე, თუმცა ამასთან ერთად, ასეთი ტიპის მედია ხშირად არ არის ზედმიწევნით ზუსტი კონფლიქტის გაშუქებისას. აგრეთვე, კვლევის თანახმად, საერთაშორისო დონორებს მართებთ მხარდაჭერა ადგილობრივი მედიის, რადგან ეს არის საუკეთესო რესურსი, კონფლიქტის მხარეებს შორის ნდობის აღსადგენად. თვლიან, რომ სწორედ ადგილობრივ მედიას შეუძლია კონფლიქტის მონაწილეებს ერთმანეთის ნდობა და მშვიდობიანი მომავლის იმედი გაუზიაროს. მკვლევარების შეფასებით ნებისმიერი სამშვიდობო შეთანხმების ნაწილი უნდა იყოს პრესის თავისუფლების ხელშეუხებლობა.

¹⁵ „Moving media and conflict studies beyond the CNN effect“ .Eytan Gilboa, Maria Gabrielsen Jumbert, Jason Miklian and Piers Robinson. Published: 03 March 2016

¹⁶ „Role of the Media in Conflict“, Yll Bajraktari და Christina Parajon *The*. June 1, 2007. <https://www.usip.org/publications/2007/06/role-media-conflict>.

1.3 კონფლიქტი აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში/ცხინვალის რეგიონი

2011 წელს, მკვლევარები (CEDRIC RYNGAERT and SVEN SOBRIE) აქვეყნებენ კვლევას¹⁷ სახელწოდებით “საერთაშორისო სამართალი და სახელმწიფოებად არ აღიარებული რეგიონები: აფხაზეთი, სამხრეთ ოსეთი.”

მკვლევარები ფიქრობენ, რომ წლების წინ იუგოსლავიის კონფლიქტი ვერ მოგვარდა საერთაშორისო სამართლის პრინციპების დაცვით, რამაც ხელი შეუწყო ძალადობრივ ქმედებებს მსოფლიოს სხვადასხვა წერტილში და მათ შორის საქართველოში. კვლევაში საუბარია აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში, ქართველი ეროვნების მოსახლეობის ეთნიკური ნიშნით დევნაზე.

მსგავსი აქცენტები აქვს გაკეთებული მკვლევარს კემბრიჯის უნივერსიტეტის გამოცემაში „სახელმწიფოებრიობა და თვითგამორკვევა.“ ავტორს აფხაზეთთან და ე.წ. სამხრეთ ოსეთთან მიმართებით შემოაქვს ტერმინი - სეპარატიზმი.

„ხშირად ადამიანების უფლება თვითგამორკვევის, ანუ ცალკე სახელწიფოდ გამოყოფის შესაძლოა გამოყენებულ იქნეს შემდეგი მიზნებისთვის: სახელმწიფოს დახლეწვისთვის, ქვეყნის სუვერენიტეტის შერყევისთვის, ან სამხედრო ინტერვენციის გამართლებისთვის,“ - წერს მკვლევარი. აღნიშნავს, რომ ეს არის თემა, რომელიც ამაზე გაცილებით მცირე ნაწილებად შეიძლება დაიყოს, რადგან საკითხს მრავალი წახნაგი აქვს.

აფხაზეთის და ცხინვალის რეგიონის კონფლიქტზე საუბრისას მთავარი აქცენტი რუსეთზე კეთდება ტედ ჰოფის სტატიაში სათაურით: „იდენტობა, ლეგიტიმაცია და სამხედრო ძალის გამოყენება: რუსეთის დიდი სამხედრო ინტერვენცია აფხაზეთში.“

ავტორი თვლის, რომ სხვა ქვეყნის ტერიტორიაზე სამხედრო ძალის გამოყენება უპირობოდ არის საერთაშორისო სამართლის ნორმების დარღვევა.

¹⁷CEDRIC RYNGAERT and SVEN SOBRIE. 2011. International Law or Realpolitik? The Practice of Recognition in the Wake of Kosovo, South Ossetia, and Abkhazia. Journal of International Law.

საერთაშორისო სამართლის კონტექსტში განიხილავენ აფხაზეთის და ცხინვალის რეგიონის კონფლიქტს მკვლევარები - კვლევაში, რომელიც „საერთაშორისო სამართლის“ ჟურნალში გამოქვეყნდა - კოსოვოს, აფხაზეთის და ცხინვალის კონფლიქტების ისტორიას ქრონოლოგიურად აანალიზებენ.

მკვლევარების აზრით, ახალი სახელწიფოების შექმნისთვის აუცილებელია შესაბამისი საერთაშორისო სტანდარტების დაცვა, წინააღმდეგ შემთხვევაში პროცესი იქნება მტკივნეული და ნეგატიური მოვლენების საწყისი.

გარდა სამეცნიერო კვლევებისა, აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონზე პერიოდულად უცხოეთის მედიაშიც იწერება სტატიები.

ჟურნალისტები (Alexander Cooley, Lincoln Mitchell. Abkhazia on Three Wheels)¹⁸ აფხაზეთის კონფლიქტის შესახებ წერენ. მთავარ აქცენტს აფხაზეთის რუსეთზე დამოკიდებულებაზე აკეთებენ. ამუქებენ დღევანდელი აფხაზეთის ცხოვრებას და მკითხველს აჩვენებენ რეგიონის, როგორც სამხედრო ასევე საგანმანათლებლო და საპენსიო სისტემის დიდ დამოკიდებულებას რუსეთზე.

რუსეთის ფაქტორზე წერს ავტორი პერ გარტონი (Georgia: Pawn in the New Great Game)¹⁹ აცხადებს, რომ დღეს რუსეთის სამხედრო ნაწილები მშვიდობის მყოფელების სახელით არიან აფხაზეთში, თუმცა აღნიშნული კონფლიქტის სათავეებში თავად რუსეთი დგას.

საქართველო-რუსეთის კონფრონტაციის ჭრილში ხედავს აფხაზეთის და ცხინვალის რეგიონის კონფლიქტს მკვლევარი ანურადჰა ჩენოი (Anuradha Chenoy).²⁰ წერს, რომ საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ არაკეთილგანწყობილი ურთიერთობა დაიწყო საქართველოსა და რუსეთს შორის. „დიდმა მეზობელმა“ ეთნიკურად ჭრელ რეგიონებში - სეპატარისტული მოძრაობების მხარდაჭერა დაიწყო. მკვლევარი წერს,

¹⁸Alexander Cooley და Lincoln Mitchell. 2014. Abkhazia on Three Wheels.

¹⁹Per Gahrton. 2014. Georgia: Pawn in the New Great Game

²⁰Anuradha Chenoy. 2013. The Russian-Georgian Confrontation. Published by: Economic and Political Weekly.

რომ ხანგრძლივი დროის განმავლობაში საქართველო ვერ პოულობდა სანდო მოკავშირეს ევროპასა და ამერიკაში, თუმცა ახლა სურათი შეიცვალა და ბევრი რამ თავად საქართველოზეა დამოკიდებული.

აფხაზეთის და ცხინვალის რეგიონის კონფლიქტების გაანალიზების მიზნით 2009 წელს გამოიცა სამტომიანი ანგარიში სახელწოდებით: „საქართველოში მომხდარ კონფლიქტთან დაკავშირებული ფაქტების დამდგენი დამოუკიდებელი საერთაშორისო მისია.“²¹

ეს გამოცემები მოიცავს სხვადასხვა სამხედრო, იურიდიული, ჰუმანიტარული, ადამიანის უფლებათა, პოლიტიკური და ისტორიული სფეროს ექსპერტთა მიერ მოწოდებული ინფორმაციების ნაკრებს. ისინი ფაქტების დამდგენმა მისიამ შეაფასა და წარმოადგენს საქართველოში მომხდარი კონფლიქტის შესახებ ანგარიშს. აღნიშნულ მისიაზე და შედეგების გაანალიზებაზე მომუშავე ადამიანები წერენ, რომ საერთაშორისო სამართლის მიხედვით, რუსი სამხედროების მოქმედებები ქართული სამხედრო ძალების წინააღმდეგ ვერ იქნება გამართლებული, როგორც კოლექტიური თავდაცვა.

თვლიან, რომ „ჰუმანიტარული ინტერვენცია“ რუსეთს ღიად არ გამოუცხადებია. თუმცა, პრეზიდენტმა მედვედევმა 2008 წლის 8 აგვისტოს თავის განცხადებაში სამხრეთ ოსეთში სიტუაციის შესახებ აღნიშნა, რომ „რუსეთი ისტორიულად იყო კავკასიის ხალხების უსაფრთხოების გარანტი, და ეს დღესაც ასეა.“²² აღნიშნულ ანგარიში ასევე წერია: „მედვედევმა აგრეთვე, აღნიშნა, რომ „დღეს სამხრეთ ოსეთში მშვიდობიანი მოსახლეობა, ბავშვები და მოხუცებულები იხოვებიან.“ გარდა ამისა, ტერმინი, რომელსაც რუსები ხშირად ხმარობენ - „დაცვის მოვალეობა“ (responsibility to protect)

²¹ანგარიში:

„საქართველოში მომხდარ კონფლიქტთან დაკავშირებული ფაქტების დამდგენი დამოუკიდებელი საერთაშორისო მისია. 2009. <http://new.smr.gov.ge/Uploads/eb7e7f.pdf>

²²ანგარიში:

„საქართველოში მომხდარ კონფლიქტთან დაკავშირებული ფაქტების დამდგენი დამოუკიდებელი საერთაშორისო მისია. 2009. <http://new.smr.gov.ge/Uploads/eb7e7f.pdf>

ერთგვარად კვეთს დაცვის უფლების ახალ საერთაშორისო კონცეფციას, რომელიც გულისხმობს მოსახლეობის დაცვას, მათი ეროვნების მიუხედავად. ამ განცხადებებით, ჰუმანიტარული ინტერვენციის საკითხი, თუმცა, არაპირდაპირი ფორმით წამოჭრილი იყო რუსეთის მიერ. ჰუმანიტარული ინტერვენცია ნიშნავს ძალისმიერ, მეტწილად, სამხედრო ქმედებას სახელმწიფო საზღვრების მიღმა სახელმწიფოს ან სახელმწიფოთა ჯგუფის მიერ.

დასკვნის სახით, შეიძლება ითქვას, რომ რუსეთის მიერ ძალის გამოყენება ვერ იქნება გამართლებული, როგორც ჰუმანიტარული ინტერვენცია,“ - წერია მისიის ანგარიშში.

ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის და ჯორჯ ქენანის რუსეთის კვლევების ინსტიტუტის თავიანთ 2013 წლის ანგარიშში, საქართველოს გაყინულ კონფლიქტებში რუსეთის დიდ წვლილზე საუბრობენ. ანგარიში, რომლის სათაურადაც გამოყენებულია ოტო ფონ ბისმარკის სიტყვები, მისი ამ ცნობილი ფრაზით იწყება: „არასდროს არაფერი ჩაიფიქროთ რუსეთის წინააღმდეგ, რადგან ყოველ ჩვენს ეშმაკობას ის გაუთვლელი სისულელით უპასუხებს.“²³

ასეთი დასათაურებული ანგარიში თავის სახელს ამართლებს. მასში აფხაზეთის კონფლიქტი სრულად რუსეთის ინტერესების ჭრილშია დანახული.

„ეთნიკური დაპირისპირების გაღვივება არ შემოიფარგლებოდა მხოლოდ ადგილობრივი მოსახლეობით. რუსეთის სპეცსამსახურების ხელშეწყობით ჩრდილოეთ კავკასიაში შეიქმნა მოხალისეთა მობილიზაციის სპეციალური პუნქტები, საიდანაც ორგანიზებულად გზავნიდნენ საომრად შეკრებილ ბოევიკებს საქართველოს სხვადასხვა ცხელ წერტილში. ასე აღმოჩნდნენ კონფლიქტში ჩართული კაზაკები, ასევე ჩეჩნები, ინგუშები, სომხები და სხვა კავკასიური ერების წარმომადგენლები.

კონფლიქტის გადამწყვეტ ეტაპებზე აქტიურ მოქმედებაზე გადავიდა თავად რუსეთის შეიარაღებული ძალები, რომელიც უკვე უშუალოდ მონაწილეობდა სამხედრო

²³ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის და ჯორჯ ქენანის რუსეთის კვლევების ინსტიტუტის 2013 წლის ანგარიში, გადმოწერილის ლინკი: gau.ge/sites/default/.../Bulletin%20№02,%202013.doc

ოპერაციებში. გარდა სპეცრაზმელებისა და მედესანტეებისა, ბრძოლებში აქტიურად ჩაება რუსეთის არმიის არტილერია და ავიაცია,“ - ვკითხულობთ ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის და ჯორჯ ქენანის რუსეთის კვლევების ინსტიტუტის ანგარიშში.²⁴

1.4 მედია და კონფლიქტები/ აფხაზეთის და ცხინვალის რეგიონის მედია

კონკრეტულად ოკუპირებული აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის მედიის შესახებ ანალიზის ხასიათის კვლევა, რომელიც მათ დამოკიდებულებას გამოხატავს საქართველოსა და რუსეთის მიმართ - ამ დრომდე არაა მომზადებული. თუმცა ქართულ სამეცნიერო წრეებში მოიპოვება, „ მედიის განვითარების ფონდის“ (2012 წელი) კვლევა, რომელიც აჩვენებს არა ოკუპირებული რეგიონების მედიის, არამედ ქართული მედიის დამოკიდებულებას მათ მიმართ.

კვლევის: „კონფლიქტების გაშუქება ქართულ მედიაში“ მთავარი სამიზნე იყო საქართველოს სეპარატისტული რეგიონების ირგვლივ განვითარებული მოვლენები. დაკვირვება ერთი თვის განმავლობაში მიმდინარეობდა და მოიცავს 2012 წლის 12 მარტიდან 12 აპრილამდე პერიოდს. დროის ეს მონაკვეთი საგანგებოდ შეირჩა, ვინაიდან ის ემთხვეოდა სეპარატისტულ სამხრეთ ოსეთში ე.წ. პრეზიდენტის და აფხაზეთში დე ფაქტო პარლამენტის არჩევნებს. მონიტორინგის ობიექტებად შეირჩა როგორც სატელევიზიო, ისევე ბეჭდური მედიასაშუალებები.

მათი ერთთვიანი დაკვირვების შედეგად გამოიკვეთა, რომ ტელევიზიები თავიანთ მთავარ საინფორმაციო გამოშვებებში ნაკლებ ყურადღებას უთმობენ კონფლიქტური რეგიონების და მათ ირგვლივ განვითარებული მოვლენების გაშუქებას. რაც შეეხება კონფლიქტების გაშუქების შინაარსობრივ სტრუქტურას, საანგარიშო პერიოდში განხილული საინფორმაციო გამოშვებების სიუჟეტების ანალიზმა აჩვენა, რომ ხშირია თემების გამეორება, თუმცა, ასევე იშვიათი გამონაკლისის სახით გვხვდება ცალკეული ექსკლუზიური მასალებიც. ამასთან, ცალკეული თემები ყველა ტელევიზიის ან

²⁴ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის და ჯორჯ ქენანის რუსეთის კვლევების ინსტიტუტის 2013 წლის ანგარიში, გადმოწერილის ლინკი: gau.ge/sites/default/.../Bulletin%20№02,%202013.doc

ზოგიერთი მათგანის მიერ მთლიანად იგნორირებულია. მკვლევარების აზრით, საგანგებო აღნიშვნას მოითხოვს ის ფაქტიც, რომ განსხვავებით სატელევიზიო მედიისგან, განხილული ბეჭდურ მედია, საერთოდ არ უთმობს სივრცეს ორივე სეპარატისტულ რეგიონში საანგარიშო პერიოდში გამართულ არჩევნებს.

2011 წელს ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კონფლიქტების ანალიზისა და მართვის მაგისტრმა, ნინო მანიაშვილის სამაგისტრო ნაშრომი „ კონფლიქტების გაშუქება თანამედროვე ქართულ ბეჭდურ მედიაში“ (გაზეთების „რეზონანსისა“ და „ალიას“ მიხედვით. 2010წ.) მოამზადა.²⁵ნაშრომი მიზნად ისახავდა შესწავლას, თუ როგორ შუქდება კონფლიქტები ქართულ პრესაში, რამდენად სწორად და კარგად ასახავენ ჟურნალისტები ამ სფეროში არსებულ ვითარებას, რა ტენდენციები იკვეთება და რამდენად შეესაბამება იგი საყოველთაოდ მიღებულ სტანდარტებსა და ნორმებს, რამდენად ინარჩუნებენ ნეიტრალურობას, გადმოსცემენ თუ არა ახალ ამბებს კონფლიქტურ რეგიონებზე სრულად, ზუსტად, სამართლიანად და გასაგებად. სამაგისტროს დასკვნის თანახმად: „აღსანიშნავია, რომ „რეზონანსი“ თითქმის ყველა ნომერში ეხმაურებოდა კონფლიქტის თემას, თანაც არა ერთი, არამედ რამდენიმე პუბლიკაციით. ხშირად გვთავაზობს რეპორტაჟებს ახალგორიდან, თუმცა მაინც ექსპერტების მოსაზრებებზე დაყრდნობილი პუბლიკაციები სჭარბობს.

რაოდენობრივი კვლევის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, „რეზონანსისთვის“ ეს საკითხი უდავოდ პრიორიტეტულია. სამწუხაროდ, იმავეს ვერ ვიტყვი „ალიაზე“, პუბლიკაციები კონფლიქტებზე საკმაოდ მწირია, თუმცა, სჭარბობს სააგენტოების მიერ გავრცელებული ახალი ამბები. „რეზონანსისგან“ განსხვავებით „ალიას“ მთავარი მიზანი არა კონფლიქტის გაშუქება და რეალურად არსებული ვითარების ასახვაა, არამედ სენსაცია

²⁵ „ კონფლიქტებისგაშუქებათანამედროვექართულბეჭდურმედიაში“, ივ.ჯავახიშვილისსახელობისთბილისისსახელმწიფოუნივერსიტეტისმაგისტრისნინომანიაშვილისამაგისტრონაშრომი.

და სკანდალია, რის გამოც ხშირად ვხვდებით არაეთიკურ გამოთქმებს,“ - კვითხულობთ სამაგისტრო ნაშრომში.²⁶

უცხოური მედიის მიერ კონფლიქტის გაშუქებაზე კვლევა: „რუსეთ-საქართველოს ომის გაშუქება საერთაშორისო მედიაში“ - მკვლევარებმა ლაშა ბაქრაძე, ნინო დანელია, ზაზა თორია, ანა ქემელაშვილი და თიკო ცომიაიმ მომზადეს.²⁷ კვლევის მიზანი იყო საერთაშორისო მედიით რუსეთ-საქართველოს კონფლიქტის გაშუქების გაანალიზება. კონკრეტულად კი, განსაზღვრა თუ ვინ იყო ამ მოვლენების გაშუქებისას უცხოური მედიისთვის ინფორმაციის წყარო, რა ძირითადი მესიჯები ხვდებოდა პრესასა თუ ტელეარხებზე და რა კონტექსტში განიხილებოდა კონფლიქტი. საკვლევ მედიად შეირჩა ყველაზე გავლენიანი ინგლისურ, ფრანგულ და გერმანულენოვანი მედია. კერძოდ, ყოველდღიური გაზეთები – „ნიუ-იორკ ტაიმსი“ (New-York Times), „ვოშინგტონ პოსტი“ (Washington Post), „დეილი მეილი“ (Daily Mail) „გარდიანი“ (Guardian), „ინდეპენდენტი“ (Independent), „ლიბერასიონი“ (libération), „ლე-მონდი“ (le monde), „ლე ფიგარო“ (le Figaro) „ფრანკფურტერ ალგემეინე ცაიტუნგი“ (Frankfurter Allgemeine Zeitung), „ზიუდდეოიჩე ცაიტუნგი“ (Soud Deutsche Zeitung), ყოველკვირეული ჟურნალი „დერ შპიგელი“ (Der Spiegel). ასევე, შესწავლილ იქნა CNN-ის ეთერთ გასული სიუჟეტები. კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ მსოფლიოს ყველაზე გავლენიან მედიაში გასული ინფორმაციის თითქმის 40% რუსეთ-საქართველოს შორის კონფლიქტს არ არქმევს რაიმე კონკრეტულ სახელს და აღწერილობითი ხასიათისაა. თუმცა, იქ სადაც მოვლენების სახელი კონკრეტდება, უმეტეს შემთხვევაში – 20,2% უკანასკნელი დრამატული მოვლენები განხილულია როგორც რუსეთ-საქართველოს კონფლიქტი. მოხსენიების სიხშირით მეორე ადგილზეა (12,5%) კონფლიქტის საქართველოში ომის სახით მოხსენიება. ყველაზე იშვიათად – ახალი ამბების მხოლოდ 3,5% არქმევს კონფლიქტს სამხრეთ ოსეთის კონფლიქტს. კატეგორია „სხვაში“ მოხვდა სიუჟეტებისა

²⁶ „კონფლიქტების გაშუქება თანამედროვე ქართულ ბეჭდურ მედიაში“, ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაგისტრის ნინო მანიაშვილის სამაგისტრო ნაშრომი.

²⁷ „რუსეთ-საქართველოს ომის გაშუქება საერთაშორისო მედიაში“ - ავტორები: ლაშა ბაქრაძე, ნინო დანელია, ზაზა თორია, ანა ქემელაშვილი და თიკო ცომიაი.

და სტატიების ის სათაურები, სადაც კონფლიქტი კავკასიის კრიზისად ან კავკასიის კონფლიქტად მოიხსენიება.

კვლევის თანახმად, მხარეთა პასუხისმგებლობასთან ერთად, საერთაშორისო მედია ყველაზე ხშირად, სტატიებისა და სიუჟეტების 44.0%, რუსეთ-საქართველოს კონფლიქტის განხილვისას აღწერდა სამხედრო ძალების გადაადგილებას, საომარი მოქმედებების მიმდინარეობას. კონფლიქტზე საუბრისას სიხშირით მეორე ადგილზეა - 36.0% - ომის სისასტიკეების აღწერა ანუ, აქცენტის გაკეთება ადამიანური მსხვერპლის რაოდენობაზე, სამოქალაქო ინფრასტრუქტურის ნგრევაზე და ა.შ. ხოლო მესამე ადგილზე - პროგნოზის ფრეიმი. კონფლიქტს ადამიანური ტრაგედიის ჭრილში აშუქებს სიუჟეტების მხოლოდ 21%.

რაც შეეხება თავად ოკუპირებული მედიის სურათის დანახვის შესაძლებლობას, ამ დროისთვის ქართულ მედია სივრცეში არსებობს ერთადერთი გადაცემა „მედია ოკუპირებულ ტერიტორიებზე“ (საპატრიარქოს ტელევიზია – „ერთსულოვნება“)²⁸ სადაც პერიოდულად ხდება აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის ბეჭდური და ინტერნეტ მედიის გაანალიზება. გადაცემის ავტორი და წამყვანი თამარ ბელქანია და თანაწამყვანი, პროფესორი ზაზა ცოტნიაშვილი – აკვირდებიან ოკუპირებული ტერიტორიის მედიას და მასალების ანალიზთან ერთად – მაყურებლებს დასკვნებს სთავაზობენ. გადაცემამ ამ დროისთვის ასობით საგაზეთო, თუ ინტერნეტ მედიაში გამოქვეყნებული ჟურნალისტური მასალა გაანალიზა. მაგალითად, ამ გადაცემების მთავარი თემები იყო: ცხინვალის მედია და ახალი სამხედრო აქცენტები მედიაში; გალის ახალი გამგებელი და სამხედრო რეჟიმი რეგიონში; აფხაზური და ცხინვალის მედია დღეს.

აღნიშნულ გადაცემებში განხილული მასალების თანახმად, ოკუპირებული ტერიტორიების მედია პერიოდულად წერს საქართველოზე, თუმცა კონტექსტი უმრავლეს შემთხვევაში ნეგატიურია. ასეთი დამოკიდებულება არ არის რუსეთის

²⁸ტელევიზია „ერთსულოვნება“ გადაცემებისციკლი „მედიაოკუპირებულტერიტორიებზე.“
www.myvideo.ge/v/2434026

მიმართ. მასალების უმრავლესობაში რუსეთი „მეგობრად“ და „მფარველად“ არის წარმოდგენილი.

საქართველოს კონფლიქტურ რეგიონებში, მედიის დახმარებით მიმდინარე პროპაგანდის შესახებ მიგნებებს ვკითხულობთ „სოციალური კვლევისა და ანალიზის ინსტიტუტი“- ის კვლევაში: „დემოკრატიზაციის პროცესი, რეგიონული კონტექსტი, ეროვნული უმცირესობები და კონფლიქტების ტრანსფორმაცია.“²⁹

აღნიშნულ კვლევაში, რომელიც 2011 წლის ივლისი-სექტემბერს მოიცავს ვკითხულობთ: „რაც უფრო დიდხანს შენარჩუნდება გამოუვალი პოლიტიკური მდგომარეობა, მით უფრო გაიზრდება გაუცხოება, ერთი მხრივ, ქართულ და, მეორე მხრივ, აფხაზურ და ოსურ საზოგადოებებს შორის. ამგვარად, რეგიონების გაუცხოების პროცესი შეუქცევადი გახდება არა მხოლოდ რუსული ოკუპაციის გამო, არამედ საზოგადოებებს შორის ნდობისა, კეთილი ნებისა და კონტაქტების არარსებობის გამო. მხარეების ოფიციალური რიტორიკა და პროპაგანდა უნდობლობასა და ანტაგონიზმს მხოლოდ აღვივებს.“

საქართველოს მაგალითზე არა, მაგრამ მედიის დიდ გავლენაზე, ზემოთ ხსენებულ, კვლევებზე ფართო მასშტაბიანი დაკვირვება, აწარმოა ჯადი ვოლფსფელდი (Gadi Wolfsfeld. Cambridge University Press, 1997).³⁰ მისი კვლევა სახელწოდებით „მედია და პოლიტიკური კონფლიქტები“ აანალიზებს ისრაელის და პალესტინის კონფლიქტის გაშუქებას - ისრაელის მედიაში.

მკვლევარი წერს, რომ მედიის განვითარებამ და იმან, რომ მნიშვნელოვანი ამბები ელვის სისწრაფით ვრცელდება მსოფლიოში - სამყარო გადააქცია „გლობალურ სოფელად“ - სადაც ინფორმაცია ისე ვრცელდება როგორც პატარა სოფელში ჭორები. კვლევის დასკვნაში კი წერია, რომ ისრაელის და პალესტინის დაპრისპირების შედეგად

²⁹ „სოციალური კვლევისა და ანალიზის ინსტიტუტი“- ის კვლევა: „ დემოკრატიზაციის პროცესი, რეგიონული კონტექსტი, ეროვნული უმცირესობები და კონფლიქტების ტრანსფორმაცია.“ (2011 წლის ივლისი-სექტემბერი)

³⁰Gadi Wolfsfeld (Cambridge University Press, 1997). Media and Political Conflict: News from the Middle East. Cambridge University Press.

მედია სივრცე იქცა „არენად“ - ურთიერთბრალდებების, თანამდებობის პირების აგრესიის გაშუქების იარაღად და შეიძლება ითქვას, რომ თავადაც მედია გახდა პოლიტიკური თამაშის მონაწილე.³¹

მკვლევარები, როლებიც კონფლიქტების გაანალიზებით არიან დაკავებულნი, განსაკუთრებულ ყურადღებას პროპაგანდის ფაქტორს უთმობენ. საქართველოს კონფლიქტებთან მიმართებითაც ეს საკითხი საყურადღებოა.

„მედიის განვითარების ფონდმა“ 2014–2015 წლებში ჩაატარა ქართული მედიის მონიტორინგი.³² ორგანიზაცია ინტერესდებოდა მედიაში რუსული პროპაგანდის „გაზომვით.“ ამ შემთხვევაში ორგანიზაციის მკვლევარები ყურადღებას ამახვილებენ არა ოკუპირებული ტერიტორიების მედიაში მიმდინარე რუსულ პროპაგანდაზე, არამედ თავად საქართველოს მედიაში არსებულ რუსული პროპაგანდის ნიშებზე. მიუხედავად ამ განსხვავებისა, აღნიშნული კვლევა ჩვენთვის საინტერესოა, რადგან გვაქვს შესაძლებლობა, დავაკვირდეთ ზოგადად, თუ როგორ მუშაობს რუსული პროპაგანდა.

მკვლევარები თვლიან, რომ საქართველოს შემთხვევაში, შეიძლება ითქვას, სახეზეა არა პირდაპირი რუსული პროპაგანდა, არამედ ირიბად, ანტიდასავლური პროპაგანდის მეშვეობით წარმართული სქემა, რომელიც ქართულენოვანი მედია საშუალებების მეშვეობით ხორციელდება. მონიტორინგის შედეგების თანახმად, ეს პრობლემა მენსტრიმული მედიისთვის დამახასიათებელი არ არის. სატელევიზიო მედიიდან ანტიდასავლური განწყობები და რუსული ნარატივი ყველაზე მკაფიოდ მედია-კავშირ „ობიექტივში“ იჩენს თავს, რომელსაც საერთო მაუწყებლობის ლიცენზია აქვს და საკაბელოების მეშვეობით ვრცელდება. კვლევაში წერია, რომ „ობიექტივის“ სატელევიზიო რეიტინგების შესახებ მონაცემები არ მოიპოვება, ვინაიდან ის რეიტინგების სატელევიზიო აუდიტორიის გაზომვის კომპანიის „თი-ვი ემ-არ

³¹Gadi Wolfsfeld (Cambridge University Press, 1997). Media and Political Conflict: News from the Middle East. Cambridge University Press.

³²„მედიის განვითარების ფონდის“ მედიამონიტორინგის ანგარიში: ანტიდასავლური პროპაგანდა. (2014-2015 წლები)

საქართველოს“ დამკვეთი არ არის. იმ მედია საშუალებებიდან, რომლებიც გამოკვეთილად ანტიდასავლურ რიტორიკას მიმართავენ პირდაპირ რუსულ წყაროებზე მითითებას ძირითადად მხოლოდ სამი მედია საშუალება „ობიექტივი“, „საქინფორმი“ და Geworld.ge ახდენენ. კვლევამ აჩვენა, რომ სააგენტოებში „პირველი“ და „რეპორტიორი“ გამოქვეყნებული ანტიდასავლური შინაარსის მასალები წარმოადგენს რუსული მედიიდან გადმიბეჭდილ და გადმოთარგმნილ ტექსტებს.

კვლევა აჩვენებს, რომ რუსეთი გამცდილია პოლიტიკური მიზნებისთვის მედიის გამოყენებაში.

1.5 მშვიდობის ჟურნალისტიკა

მშვიდობის ჟურნალისტიკა არის ეთიკური, სამართლიანი და მიუკერძოებელი გაშუქება, რომელიც სცდება მოვლენათა მარტივი ბიოპოლარული ინტერპრეტირების ფარგლებს და მტრულად განწყობილ მხარეთა ვიწრო შეხედულებებს. ასეთი ჟურნალისტიკა ხელს უწყობს კონფლიქტით გახლეჩილ მხარეებს შორის ნდობის აღდგენას.

მკვლევარმა იოჰან გალტუნგმა (JOHAN GALTUNG) ჟურნალისტიკას განუსაზღვრა დიდი როლი კონფლიქტის დარეგულირებაში (1953).³³ მისი თეორიების თანახმად, მედიასაშუალებები ან ამძიმებენ სიტუაციას ან აწარმოებენ სამშვიდობო ჟურნალისტიკას. სამშვიდობო ჟურნალისტიკა მოიცავს მშვიდობაზე ორიენტირებულ მედიას. სამშვიდობო მედია არ არის მიმართული კონფლიქტში მონაწილე რომელიმე მხარის "გამარჯვებისკენ", მისთვის არ არსებობს კონცეფცია – ჩვენ და ისინი. სამშვიდობო ჟურნალისტიკა არასოდეს აკეთებს აქცენტს, თუ ვინ ისროლა პირველმა, არასოდეს არ ხდის კონფლიქტს ბურუსით მოცულს, იდუმალს, ან სკადალურს. თვლის, რომ კონფლიქტი უნდა იყოს მაქსიმალურად გამჭვირვალე, უნდა ჩანდეს ყველა მხარის პოზიცია, აქცენტი უნდა გაკეთდეს იმ ხალხზე, ვინც სამშვიდობო პროცესებშია

³³Johan Galtung (1998); War Journalism; Peace Journalism;

ჩართული. რაც მთავარია, ჟურნალისტები კონფლიქტის გამუქებისას ყველა მხარეს უნდა მიუდგნენ ჰუმანურად, ყველა მხარის მოსაზრება უნდა გახადონ ცნობილი.

გალტუნგმა მედიას და მედიის წარმომადგენლებს დააკისრა კიდევ ერთი საპასუხისმგებლო საქმე. ჟურნალისტმა კონფლიქტის გამუქებისას აუდიტორიად უნდა მოიაზროს არა მხოლოდ საკუთარი მხარე, არამედ კონფლიქტში მონაწილე სხვა მხარეც. ინფორმაცია უნდა იყოს გათვლილი კონფლიქტის მონაწილე ყველა ერზე.

კონფლიქტში ჟურნალისტიკის როლზე წერს იოჰან გალტუნგი. ჟურნალისტებს, რომლებიც კონფლიქტების თემაზე მუშაობენ, იგი ურჩევს: დაწვრილებით გააშუქონ ორივე მხარის შეხედულება; თვალი ადევნონ იმას, რომ ინფორმაცია მოიპოვონ სხვადასხვა წყაროებიდან; შეზღუდონ ელიტური წყაროებიდან მიღებული ინფორმაცია, მაგრამ ძალიან ხშირად გააცნონ საზოგადოებას სხვა და სხვა ექსპერტთა მოსაზრებები; არ შეაქონ ომის ტექნოლოგიები და სიმძლავრე; მკვეთრად აღწერონ ომის საშინელებები; რეპორტაჟებში სიმპატიით გადმოსცენ უბრალო ადამიანების ცხოვრება; გააცნონ აუდიტორიას კონფლიქტის ფონი და წინაპირობა; გაითვალისწინონ, რომ პოპულარული პიროვნებები და პიარ-ტექნოლოგები ეცდებიან მათი რეპორტაჟები გამოიყენონ თავიანთი ინტერესებისათვის; რეპორტაჟის სიუჟეტი არ ააგონ თავიანთ საქმიანობაზე; დაწვრილებით აღწერონ და მხარი დაუჭირონ სამშვიდობო ინიციატივებს.

იოჰან გალტუნგი მშვიდობის ჟურნალისტიკის როლზე წერს ასევე სტატიაში (Peace Journalism and Reporting on the United States)³⁴ სადაც განხილულია მშვიდობის ჟურნალისტიკის სხვადასხვა ასპექტები. მკვლევარი თვლის, რომ მედიის ამ მიმართულების საქმე მხოლოდ ფაქტების გადმოცემა არ არის. მედიამ უნდა გამოააშკარავოს კონფლიქტში ჩართული ყველა მთავარი აქტორი. უნდა აჩვენოს ვის ინტერესია ამ კონფლიქტში და ვინ ზიანდება ამ ყველაფრით. შესაბამისად, გალტუნგი

³⁴ „Peace Journalism and Reporting on the United States“- მკვლევარი: JOHANGALTUNG
<http://web.b.ebscohost.com/ehost/detail/detail?vid=2&sid=e956590d-c95b-49de-bafb-8b2d0e6a3fb4%40sessionmgr120&hid=129&bdata=JnNpdGU9ZWhvc3QtbnGl2ZQ%3d%3d#db=aph&AN=114516799>

თვლის, რომ ამ მეთოდით მედია თავისი საქმიანობით, ერთგვარად, წარმოაჩენს კონფლიქტიდან გამოსავალსაც.

მშვიდობის ჟურნალისტიკის შესახებ ვკითხულობთ სხვა კვლევებსაც (Mirza Jan და Muhammad Rashid კვლევაში: Peace Journalism and Conflict Reporting: The Case of Pakistani Media)³⁵ ნამუშევარში მკვლევრები ანალიზებენ პაკისტანის კონფლიქტში მშვიდობის ჟურნალისტიკის როლს. თვლიან, რომ მშვიდობის ჟურნალისტიკა არის ამბის გაშუქების ახალი კონცეფცია, რომელიც წარმოაჩენს კონფლიქტის ბნელ მხარეებს. ხაზგასმით წერენ, რომ უდიდესი განსხვავებაა პროგნადასა და მშვიდობის ჟურნალისტიკას შორის. პაკისტანის მაგალითზე მკვლევარი წერს, რომ ბევრი წინააღმდეგობის და დაბრკოლების მიუხედავად, მედიის ნაწილმა შეძლო პაკისტანში მიუკერძოებლობის შენარჩუნება და გახდა სიტყვის თავისუფლების სიმბოლო. თუმცა აქვე საუბარია მედიის ნაწილზე, რომელმაც მთავრობაზე ფინანსური დამოკიდებულების გამო, ვერ შეძლო თავის დანიშნულების შესრულება.

მშვიდობის ჟურნალისტიკის ახალ დირექტივებზე ვკითხულობთ ჯუდი ბულერის წიგნში (A Review of Reporting Conflict: New Directions in Peace Journalism).³⁶ ნაშრომი მოიცავს სხვადასხვა კვლევებს მშვიდობის ჟურნალისტიკის მიმართულებით და აჩვენებს მედიის ამ მიმართულების წარმატებას. ავტორი ოპტიმისტურად უყურებს მშვიდობის ჟურნალისტიკის განვითარებას და თვლის, რომ მისი საჭიროება დიდია და ასევე იქნება მომავალშიც.

1.6 საერთაშორისო ორგანიზაციები კონფლიქტზე აფხაზეთსა და ცხინვალში

³⁵ „Peace Journalism and Conflict Reporting: The Case of Pakistani Media“ - Mirza Jan და Muhammad Rashid. South Asian Studies. A Research Journal of South Asian Studies. Vol. 26, No. 2, July – December 2011, 311-324
<http://web.b.ebscohost.com/ehost/detail/detail?vid=5&sid=e956590d-c95b-49de-bafb-8b2d0e6a3fb4%40sessionmgr120&hid=129&bdata=JnNpdGU9ZWVhc3QtbGl2ZQ%3d%3d#AN=78132937&db=aph>

³⁶ „A Review of Reporting Conflict: New Directions in Peace Journalism“ - JUDY BULLER. Peace Review: A Journal of Social Justice, 23:252–254. <http://web.b.ebscohost.com/ehost/detail/detail?vid=14&sid=e956590d-c95b-49de-bafb-8b2d0e6a3fb4%40sessionmgr120&hid=129&bdata=JnNpdGU9ZWVhc3QtbGl2ZQ%3d%3d#AN=61012053&db=aph>

გაეროს გენერალურმა ასამბლეამ 2016 წლის 7 ივნისს ნიუ-იორკში მიიღო მორიგი რეზოლუცია,³⁷ რომელიც აღიარებს ყველა იძულებით გადაადგილებული პირისა და ლტოლვილის უფლებას, დაბრუნდნენ ოკუპირებულ აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში. ამჯერად, აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში დევნილების დაბრუნებას მხარი 76-მა ქვეყანამ დაუჭირა, მოწინააღმდეგე კი 15 იყო.

მოწინააღმდეგე 15 ქვეყანას შორის არიან სომხეთი, ბელარუსი, ბურუნდი, კუბა, ჩრდ. კორეა, ლაოსი, ნაურუ, ნიკარაგუა, რუსეთი, სამხ. სუდანი, სუდანი, სირია, ვენესუელა, ვიეტნამი და ზიმბაბვე. შარშან მეთექვსმეტ ემოწინააღმდეგე მალდივის რესპუბლიკა იყო, რომელსაც წელ სკენჭისყრაში მონაწილეობა საერთოდ არ მიუღია.

კითხვაზე პასუხისაგან თავი შეიკავა 64-მა სახელმწიფომ. მათ შორის ჭარბობენ სამხრეთ ამერიკული და აფრიკული ქვეყნები. მხარდამჭერ ქვეყნებს შორის კი არიან აზერბაიჯანი, ბელგია, ბულგარეთი, ესტონეთი, ფინეთი, დანია, უკრაინა, აშშ, საფრანგეთი, გერმანია, ლატვია, ლიტვა და ა.შ.

რეზოლუცია, რომელიც ჰუმანიტარული ხასიათისაა და პოლიტიკურ ტერმინებს არ შეიცავს, აღიარებს აფხაზეთიდან და ცხინვალის რეგიონიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა უფლებებს; რომ მიეცეთ საშუალება, სურვილის შემთხვევაში საკუთარ სახლებში დაბრუნდნენ, მიუხედავად მათი ეთნიკური კუთვნილებისა. გარდა ამისა, დოკუმენტი გმობს ძალადობრივი მეთოდებით დემოგრაფიული ცვლილებების განხორციელებას.

აღნიშნული რეზოლუცია გაეროს გენერალური ასამბლეის კენჭისყრაზე პირველად 2008 წელს გავიდა. მაშინ მას მხარი 14-მა ქვეყანამ დაუჭირა 11-ის წინააღმდეგ.

კვლევის მეთოდები

ნაშრომში ძირითადად საკვლევ მეთოდებად გამოყენებულია კონტენტანალიზისა და სიღრმისეული ინტერვიუების მეთოდი.

³⁷გაერო 2000-2016 წლებისყოველწლიურირეზოლუციებისაქართველოსშესახებ.

კონტენტანალიზი არის მასმედიის შინაარსის კვლევის მეთოდი, ტექნიკა, რომელიც იდენტიფიცირება სუკეთებს, კატეგორიების მიხედვით ალაგებს, აღწერს და რაოდენობრივად ითვლის მოკლევადიან და გრძელვადიან ტენდენციებს. როგორც განმარტავს ამ ტექნიკის ერთ-ერთი თეორეტიკოსი კნიპერ დორფი (1980), კონტენტანალიზი წარმოადგენს საკვლევ ტექნიკას, რომლის მეშვეობითაც დგინდება მონაცემების მყარი დავალიდური კორელაცია და მიმართებამათ კონტექსტთან. მეორე თეორეტიკოსი კერლინგერი (1986) მიუთითებს ამტექნიკის სისტემურობაზე, რაოდენობრიობაზე და ობიექტურობაზე. კონტენტანალიზი რამდენიმე ეტაპად ხორციელდება: პირველ ეტაპზე გამოიყოფა საკვლევ პოპულაცია, მედია საშუალებების სიმრავლე, რომელთა შინაარს იდენტიფიცირებულია მკვლევრისთვის საინტერესო საკითხი; შემდეგ გამოიყოფა კონკრეტული საკვლევ საკითხი და ის ცვლადები, რომელთა კორელაციამაც საკვლევ საკითხი უნდა გაანალიზოს, ან დაადასტუროს ან უარჰყოს მკვლევრის მიერ წამოყენებული ჰიპოთეზა. მეორე ეტაპზე გამოიყოფა ანალიზის ერთეული, სიტყვა-გასაღებიან შეტყობინება-გასაღები; მესამე ეტაპზე ხდება იმ შინაარსობრივი კატეგორიების იდენტიფიცირება, რომელთა მიხედვითაც ხდება საზრისისეული ერთეულის კატეგორიზაცია. მეოთხე ეტაპზე ხდება რაოდენობრივი მაჩვენებლების დათვლა, სანდოობის კოეფიციენტის დადგენა მიღებულის ტატისტიკური პროცედურების მეშვეობით. დასკვნითი ეტაპი არის მიღებული მონაცემების გაანალიზება, ტენდენციების გამოკვეთა და დასკვნების გამოტანა. 1. საკვლევ საკითხის ან ჰიპოთეზის ჩამოყალიბება; 2. პოპულაციის განმარტება; 3. პოპულაციიდან შესაბამისი შერჩევის ზომი საღება; 4. საზრისისეული ერთეულის შერჩევა და განმარტება; 5. გასაანალიზებელი შინაარსის კატეგორიების დადგენა; 6, კვანტიფიკაციის სისტემის დაწესება; 7 კოდირება და საპილოტე კვლევა; 8. შეგროვებული მონაცემების ანალიზი; 9. დასკვნების გამოტანა.

1. კვლევის ობიექტები და დაკვირვების ტაქტიკა

იმის გათვალისწინებით, რომ ამ დროისთვის აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონები ოკუპირებულია, ვერ მოხერხდა აღნიშნულ ტერიტორიებზე ჩასვლა და დაკვირვების განხორციელება - ყველა სახის მედიასაშუალებებზე. ორივე რეგიონის მართვა ხდება საერთაშორისო სამართლის კანონს მიღმა მყოფი ძალების მიერ და კვლევითი საქმიანობის ჩატარება პირადი უსაფრთხოების რისკთან არის დაკავშირებული. შესაბამისად ჰიპოთეზაზე და საკვლევ კითხვებზე პასუხების ძებნას ვიწყებთ აფხაზეთის და ცხინვალის რეგიონის რუსულენოვან ინტერნეტმედიაში.

კონტენტანალიზის მეთოდით ვაკვირდებით 2016 წლის მარტსა და 2017 წლის მარტში შემდეგ ვებ-გვერდზე მომზადებულ ჟურნალისტურ ნამუშევრებს: sputnik-ossetia.ru; osinform.org; sputnik-abkhazia.ru; apsnypress.info.

4. კოდირებისანკეტა

კოდერი: მანონ ბოკუჩავა

მედია:

ჟურნალისტური ნამუშევრის გამოქვეყნების თარიღი:

სათაური:

სათაურის გაანალიზება:

ინფორმაციული

დადებითი ტენდენცია რუსეთის მიმართ

დადებითი ტენდენცია საქართველოს მიმართ

უარყოფითი ტენდენცია საქართველოს მიმართ

უარყოფითი ტენდენცია რუსეთის მიმართ

ნეიტრალური

კითხვისნიშნისშემცველი

სხვა

ფრეიმები:

ვარკვირდები დამნაშავეს ფრეიმი თუ იქმნება და ვისგან - რომელი მხარეა პოზიტიური და რომელი ნეგატიური ტონით გაშუქებული? და აქვს, თუ ადგილი ნეიტრალურ გაშუქებას?

ინფორმაციული

დადაებითი ტენდენცია რუსეთის მიმართ

დადებითი ტენდენცია საქართველოს მიმართ

უარყოფითი ტენდენცია საქართველოს მიმართ

უარყოფითი ტენდენცია რუსეთის მიმართ

ნეიტრალური

კითხვისნიშნის შემცველი

სხვა

კოდური სიტყვები: საქართველო, რუსეთი, თბილისი, მოსკოვი, გიორგი მარგველაშვილი (საქართველოს პრეზიდენტი), გიორგი კვირიკაშვილის (საქართველოს პრემიერ-მინისტრი), ვლადიმერ პუტინი (რუსეთის პრეზიდენტი), ქართველები, რუსები.

5. გაშუქების ტენდენციის შეფასების კრიტერიუმები

წარმოჩენილია მოვლენა მასში მონაწილე, თუ მასთან კავშირში მყოფი მხოლოდ ერთი მხარის პოზიციით; როდესაც ჟურნალისტურ ნამუშევარში ავტორი პირდაპირი ფორმით გვთავაზობს მხოლოდ ფაქტის/მოვლენის მისეულ შეფასებას და არ უთმობს ტრიბუნას განსხვავებულ შეფასებებს; როდესაც ჟურნალისტი მოსაზრებას ფაქტად წარმოაჩენს, ან პირიქით; მასალაში გამოყენებული ფაქტების სიზუსტე; როდესაც დარღვეულია ბალანსი - მოვლენაში მონაწილე მხარეები არათანაბარ პირობებში არიან. მაგალითად, ერთი მხარის მოსაზრებას სამი რესპონდენტის პოზიცია ამყარებს, ხოლო მეორე მხარის, ან სხვა მხარეების პოზიციებს თითო-თითო; როდესაც ხდება

ჟურნალისტურ ნამუშევარში გამოგონილი, ან დაუზუსტებელი, გადაუმოწმებელი ინფორმაციის გამოყენება.

როდესაც ეს ტენდენციები შეინიშნება ჟურნალისტურ ნამუშევარში, ვახდენ შინაარსობრივად მათ გააზრებას და ვადგენ ეს ფაქტორი რუსეთის იმიჯის სასიკეთოდ იყო, თუ საქართველოსი. ასევე გაშუქების ეს ფორმა უარყოფითად წარმოაჩენს თუ არა რუსეთს, ან საქართველოს. მასალები, სადაც არ აღინიშნება მსგავსი ტენდენციები, მივიჩნე ნეიტრალურად, რადგან მათში სხვადასხვა მხარეები თანაბრადაა წარმოჩენილი - ჟურნალისტი საზოგადოებას ყველა მხარის პოზიციას აცნობს, მიჯნავს ფაქტს და მოსაზრებას, მასალაში იყენებს მხოლოდ გადამოწმებულ ფაქტებს.

6. ძირითადი კვლევა


6.1 osinform.org - 2016 წლისმარტი - 2017 წლისმარტი

osinform.org - აღნიშნული მედია აშუქებს ოკუპირებული სამხრეთ ოსეთის ამბებს. ჟურნალისტური ნამუშევრები მზადდება რუსულ ენაზე. კოდირების სისტემამ 2016 წლის მარტის თვეს, ასეთი შედეგები აჩვენა (სულ გავეცანი 52 ჟურნალისტურ ნამუშევარს): საქართველო ნახსენები იყო 48-ჯერ, რუსეთი 96, თბილისი - 6, მოსკოვი - 17, გიორგი მარგველაშვილი (საქართველოს პრეზიდენტი) - 0, გიორგი კვირიკაშვილი (საქართველოს პრემიერ-მინისტრი) - 0, ვლადიმერ პუტინი (რუსეთის პრეზიდენტი) - 21, ქართველები - 32, რუსები - 44.

ჟურნალისტური ნამუშევრების სათაურების ანალიზის შედეგი კი ასეთია: 23 სათაური იყო ინფორმაციული, 11 გამოხატავდა უარყოფით ტენდენციას საქართველოს მიმართ, 3 იყო ნეიტრალური, ხოლო 15 ასახავდა დადებით ტენდენციას რუსეთის მიმართ.

ჟურნალისტური ნამუშევრების შინაარსის შესწავლამ კი წარმოადგენა შემიქმნა ფრეიმებზე, რომელიც მათი დახმარებით იქმნება. უშაულოდ ნამუშევრების ძირითადი

შინაარსი შემდეგი ტენდენციის მატარებელი იყო: 28 ნამუშევარი გამოხატავდა დადებით ტენდენციას რუსეთის მიმართ, 20 ნამუშევარი უარყოფით ტენდენციას საქართველოს მიმართ, ნეიტრალური გაშუქება იყო მხოლოდ 4 ნამუშევარში.



დროის ამ პერიოდში, ანუ 2016 წლის მარტის თვეს, ვებ-გვერდმა osinform.org ძირითადად შემდეგი თემატიკის საკითხები გააშუქა: ოკუპირებული სამხრეთ ოსეთის სოციალურ-პოლიტიკური და სამხედრო თანამშრომლობა რუსეთთან; კულტურული მიმართულებით თანამშრომლობა რუსეთთან. საქართველოს მიმართ განსაკუთრებული უარყოფითი დამოკიდებულება კი ასახული იყო ე.წ. ისტორიული ექსკურსის მატარებელ სტატიებში, სადაც ქართული მხარე წარმოჩენილი იყო, როგორც ოსებზე მოძალადე.

საქართველოს მიმართ, დროის ამ მონაკვეთში, უარყოფითი ხასიათის მასალები მომზადდა ქართული ქორეოგრაფიული ანსამბლის „რუსთავის“ და ჯგუფი „ბანის“ ჩრდილოეთ ოსეთში დაგეგმილი კონცერტის გამო. აღნიშნული კონცერტის შესახებ სტატიები დასათაურდა ამგვარად: „ეს რა არის ძმებო?!“ - რითაც ავტორი მიმართავდა ჩრდილო ოსეთის საზოგადოებას და ქართველებისთვის კონცერტის ჩატარების უფლების მიცემას მათ ღალატად აღიქვამდა.

უარყოფითი კონტექსტით გაშუქდა ქართული მხარის ე.წ ოსურ მხარესთან პატიმრების გაცვლის საკითხიც. მიუხედავად იმისა, რომ ეს იყო ბოლო პერიოდში ერთადერთი საკითხი, სადაც მოხერხდა თანამშრომლობა, აღნიშნულმა მედიამ აქცენტი მხოლოდ იმაზე გააკეთა, რომ განთავისუფლდნენ „უკანონოდ დატყვევებული“ პირები. ჟურნალისტებმა დროის ამ მონაკვეთში გააშუქეს ე.წ საზღვრის დარღვევის ფაქტები და

საკითხი შეაფასეს, როგორც სუვერენული სახელმწიფოს საზღვრის დარღვევა. ყველა ამ თემატიკის მასალში ხაზგასმული იყო, რომ მსგავსი ქმედებით ქართული მხარე აწყობენ პროვოკაციებს. ჟურნალისტების ყურადღების მიღმა დარჩა ის ფაქტი, რომ ე.წ. საზღვრის დამრღვევები თაობების განმავლობაში ცხოვრობდნენ იმ ტერიტორიებზე, სადაც ახლა მათ გადასვლისას აკავებენ.

მარტის თვეს, ტრადიციულად მომზადდა ქალთა დღის ამსახველი ღონისძიებების მასალები, თუმცა განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო იმას, რომ 8 მარტი ვლადიმერ პუტინმა ოკუპირებული სამხრეთ ოსეთის იმჟამინდელი პრეზიდენტის მეუღლეს მიულოცა. დროის ამ პერიოდში, მომზადებული მასალების უმეტესობა ასახავდა რუსეთის ოფიციალურ პირებთან თანამშრომლობას. არ მომზადებულა არც ერთი ჟურნალისტური მასალა, რომელიც რაიმე კუთხით უარყოფითად წარმოაჩენდა რუსეთს. რასაც ვერ ვიტყვით საქართველოზე - ამ შემთხვევაში კი საქმე პირიქით იყო, არ მომზადებულა არც ერთი ჟურნალისტური ნამუშევარი, რომელიც პოზიტიურ ფრეიმს შექმნიდა საქართველოზე.


osinform.org-ის მუშაობის დაკვირვებას ვაგრძელებდი 2017 წლის მარტში. კოდური სიტყვების მიხედვით გაანალიზება მიწევს 30 მასალის. დროის აღნიშნულ პერიოდში, ოკუპირებულ სამხრეთ ოსეთში იყო ე.წ. საპრეზიდენტო არჩევნების სამზადისი. ხშირად ისმებოდა მედიის მიერ კითხვები კანდიდატების ხედვებზე რუსეთთან ურთიერთობაზე. ასევე ამ პერიოდში განხორციელდა იმჟამინდელი ე.წ. პრეზიდენტის და რუსეთის პრეზიდენტის შეხვედრაც.

კოდური სიტყვების შემდეგი სიხშირით გამოიყენეს: საქართველო ნახსენები იყო 36-ჯერ, რუსეთი 99, თბილისი - 5, მოსკოვი - 47, გიორგი მარგველაშვილი (საქართველოს პრეზიდენტი) – 0, გიორგი კვირიკაშვილი (საქართველოს პრემიერ-მინისტრი) – 0, ვლადიმერ პუტინი (რუსეთის პრეზიდენტი) – 75, ქართველები - 16, რუსები - 73.

ჟურნალისტური ნამუშევრების სათაურების ანალიზის შედეგი კი ასეთია: 19 სათაური იყო ინფორმაციული, 6 გამოხატავდა უარყოფით ტენდენციას საქართველოს

მიმართ, 1 იყო ნეიტრალური, ხოლო 4 ასახავდა დადებით ტენდენციას რუსეთის მიმართ.

ჟურნალისტური ნამუშევრების შინაარსის შესწავლამ კი წარმოადგენა შემიქმნა ფრეიმებზე, რომელიც მათი დახმარებით იქმნება. უშუალოდ ნამუშევრების ძირითადი შინაარსი შემდეგი ტენდენციის მატარებელია: 22 ნამუშევარი გამოხატავდა დადებით ტენდენციას რუსეთის მიმართ, 5 ნამუშევარი უარყოფით ტენდენციას საქართველოს მიმართ, ნეიტრალური გაშუქება იყო მხოლოდ 3 ნამუშევარში.



მედია აქცენტს აკეთებდა ე.წ სამხრეთ ოსეთის ხელისუფლების სტრატეგიულ თანამშრომლობაზე რუსეთთან, ხაზს უსვამდა მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ უსაფრთხოება სრულადაა დამოკიდებული რუსეთთან თანამშრომლობაზე. საქართველო კი წარმოჩენილი იყო, როგორც ისტორიულად მტრულად განწყობილი სახელმწიფო. მომზადდა ჟურნალისტური ნამუშევრები ისტორიული ხასიათის, სადაც საუბარი იყო ოსების დევნაზე ქართველების მიერ. ორი სტატია კი მომზადდა საბჭოთა კავშირზე, ავტორმა გამოთქვა მოსაზრება და სცადა გარკვეული წყაროებით დადასტურება, რომ იოსებ სტალინი ოსური წარმომავლობის იყო და მას უბრალოდ, გვარი გადაკეთებული ჰქონდა.

მედიამ ყურადღება დაუთმო ე.წ. სამხრეთ ოსეთის რუსეთი ფედერაციის სამხედრო ძალებთან გაერთიანებას. ფაქტი ჟურნალისტების ყველა წყარომ დადებითად შეაფასა.

დროის ამ პერიოდში, არც ერთი ჟურნალისტური ნამუშევარი არ წარმოაჩენდა უარყოფითად რუსეთს და მის მოქმედებებს. საქართველოს შემთხვევაში საპირისპირო შედეგი იყო. არც ერთი ნამუშევარი, არც ერთი კონტექსტით პოზიტიურად არ წარმოაჩენდა საქართველოს.

6.2 sputnik-ossetia.ru 2016 წლის მარტი - 2017 წლის მარტი

sputnik-ossetia.ru არის შემდეგი მედია, რომელიც გავანალიზე (ან შევისწავლე). აღნიშნული ვებგვერდი წარმოადგენს პროექტს Sputnik ერთ-ერთი ფილიალს, რომელიც წერს ოკუპირებულ სამხრეთ ოსეთზე. ვაკვირდები მათ მუშაობას 2016 წლის მარტის თვეს. კოდური სიტყვების მიხედვით განალიზება მომიწია 26 მასალის.

კოდური სიტყვების შემდეგი სიხშირითა გამოიყენეს: საქართველო ნახსენები იყო 70 -ჯერ, რუსეთი 84, თბილისი - 6, მოსკოვი - 13, გიორგი მარგველაშვილი (საქართველოს პრეზიდენტი) – 0, გიორგი კვირიკაშვილი (საქართველოს პრემიერ-მინისტრი) – 0, ვლადიმერ პუტინი (რუსეთის პრეზიდენტი) – 12, ქართველები -7 , რუსები - 13. ჟურნალისტური ნამუშევრების სათაურების ანალიზის შედეგი კი ასეთია: 11 სათაური იყო ინფორმაციული, 7 გამოხატავდა უარყოფით ტენდენციას საქართველოს მიმართ, 2 იყო ნეიტრალური, ხოლო 6 ასახავდა დადებით ტენდენციას რუსეთის მიმართ.

ჟურნალისტური ნამუშევრების შინაარსის შესწავლამ კი წარმოადგენა შემიქმნა ფრეიმებზე, რომელიც მათი დახმარებით იქმნება. უმაულოდ ნამუშევრების ძირითადი შინაარსი შემდეგი ტენდენციის მატარებელი იყო: 14 ნამუშევარი გამოხატავდა დადებით ტენდენციას რუსეთის მიმართ, 11 ნამუშევარი უარყოფით ტენდენციას საქართველოს მიმართ, ნეიტრალური გაშუქება იყო მხოლოდ 1 ნამუშევარში.

ტენდენციას (sputnik-ossetia.ru)



- დადებითი ტენდენციას რუსეთის მიმართ (14)
- უარყოფითი ტენდენცია საქართველოს მიმართ (11)
- ნეიტრალური გაშუქება (1)

მედია ძირითადად წერდა ე.წ. სამხრთ ოსეთის თანამშრომლობაზე რუსეთის ფედერაციასთან, მთავარი აქცენტი სამხედრო კუთხით თანამშრომლობაზე გაკეთდა, თუმცა არა ერთი მასალა შეეხო კულტურული და სოციალური კუთხით თანამშრომლობას რუსეთთან. საქართველოს მიმართ გაკეთდა აქცენტები, რომ არ ხდება სამშვიდობო შეთანხმების ხელმოწერა, ეს მაშინ როდესაც საქართველოს ამ დროისთვის უკვე არა ერთ საერთაშორისო დოკუმენტზე აქვს ხელი მოწერილი, სადაც აცხადებს, რომ უარს ამბობს სამხედრო ძალით კონფლიქტს გადაჭრაზე. მედიამ აქცენტი გააკეთა ე.წ სამხრთ ოსეთის საზღვრის გადაკვეთაზე - ადამიანები რომლებმაც გადაკეთეს ე.წ საზღვარი მოიხსენიეს, როგორც კანონის დამრღვევები.

ჟურნალისტური ნამუშევრების უმრავლესობა პოზიტიურად წარმოაჩენდა რუსეთს, ნეგატიურად კი საქართველოს.

sputnik-ossetia.ru-ის 2017 წლის მარტის ნამუშევრების გაანალიზება ფრეიმების თვალსაზრისით მსგავს სურათს გვაძლევს. კოდური სიტყვების მიხედვით გაანალიზება მომიწია ამ შემთხვევაშიც, 26 მასალის.

კოდური სიტყვების შემდეგი სიხშირით გამოიყენეს: საქართველო ნახსენები იყო 27 - ჯერ, რუსეთი 94, თბილისი - 0, მოსკოვი - 14, გიორგი მარგველაშვილი (საქართველოს პრეზიდენტი) – 0, გიორგი კვირიკაშვილი (საქართველოს პრემიერ-მინისტრი) – 0, ვლადიმერ პუტინი (რუსეთის პრეზიდენტი) – 23, ქართველები -14, რუსები - 28.

ჟურნალისტური ნამუშევრების სათაურების ანალიზის შედეგი კი ასეთია: 9 სათაური იყო ინფორმაციული, 5 გამოხატავდა უარყოფით ტენდენციას საქართველოს

მიმართ, ხოლო 12 ასახავდა დადებით ტენდენციას რუსეთის მიმართ. ჟურნალისტური ნამუშევრების შინაარსის შესწავლამ კი წარმოდგენა შემიქმნა ფრეიმებზე, რომელიც მათი დახმარებით იქმნება. უშუალოდ ნამუშევრების ძირითადი შინაარსი შემდეგი ტენდენციის მატარებელი იყო: 21 ნამუშევარი გამოხატავდა დადებით ტენდენციას რუსეთის მიმართ, ხოლო 5 ნამუშევარი უარყოფით ტენდენციას საქართველოს მიმართ.



თემატიკა გასული წლის მარტის თვის მსგავსად, ძირითადად ორიენტირებული იყო ე.წ. სამხრეთ ოსეთის რუსეთის ფედერაციასთან თანამშრომლობის გაშუქებაზე. ძირითადი აქცენტი ამ თანამშრომლობის ე.წ სამხრეთ ოსეთისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობაზე გაკეთდა.

გამოვლენილი ფრეიმები: რუსეთი „მეგობარი სახელმწიფო,“ საქართველო „მტრული სახელმწიფო,“ რუსეთი „უსაფრთხოების გარანტი.“


6.3 apsnypress.info 2016 წლისმარტი - 2017 წლისმარტი

კონტენტანალიზის მეთოდით ვიკვლიე იმავე პერიოდში აფხაზეთის რეგიონის ამბებზე მომუშავე რუსულენოვანი ვებგვერდებიც: apsnypress.info და sputnik-abkhazia.ru.

apsnypress.info არის აფხაზეთის ე.წ მთავრობის საინფორმაციო სააგენტო. ყოველდღიურ რეჟიმში ამზადებს ჟურნალისტურ ნამუშევრებს. ვებ-გვერდის 2016 წლის მარტის ნამუშევრებს გავაანალიზე. კოდური სიტყვების მიხედვით ამ შემთხვევაშიც მომიწია 31 მასალის გაცნობა.

კოდური სიტყვების შემდეგი სიხშირით გამოიყენეს: საქართველო ნახსენები იყო 29 - ჯერ, რუსეთი 117, თბილისი - 0, მოსკოვი - 3, გიორგიმარგველაშვილი (საქართველოს პრეზიდენტი) – 0, გიორგი კვირიკაშვილი (საქართველოს პრემიერ-მინისტრი) – 0, ვლადიმერ პუტინი (რუსეთის პრეზიდენტი) – 15, ქართველები -10 , რუსები - 52. ჟურნალისტური ნამუშევრების სათაურების ანალიზის შედეგი კი ასეთია: 3 სათაური იყო ინფორმაციული, 5 გამოხატავდა უარყოფით ტენდენციას საქართველოს მიმართ, ხოლო 23 ასახავდა დადებით ტენდენციას რუსეთის მიმართ.

ჟურნალისტური ნამუშევრების შინაარსის შესწავლამ კი წარმოადგენა შემიქმნა ფრეიმებზე, რომელიც მათი დახმარებით იქმნება. უშუალოდ ნამუშევრების ძირითადი შინაარსი შემდეგი ტენდენციის მატარებელი იყო: 25 ნამუშევარი გამოხატავდა დადებით ტენდენციას რუსეთის მიმართ, ხოლო 6 ნამუშევარი უარყოფით ტენდენციას საქართველოს მიმართ.



apsnypress.info-ის 2017 წლის მარტის ჟურნალისტური ნამუშევრების შესწავლაც მსგავს სურათს გვამლევს. კოდური სიტყვების მიხედვით ამ შემთხვევაშიც მიწევს 32 მასალის. კოდური სიტყვების შემდეგი სიხშირით გამოიყენეს: საქართველო ნახსენები იყო 32 -ჯერ, რუსეთი 109, თბილისი - 0, მოსკოვი - 16, გიორგი მარგველაშვილი (საქართველოს პრეზიდენტი) – 0, გიორგი კვირიკაშვილი (საქართველოს პრემიერ-მინისტრი) – 0, ვლადიმერ პუტინი (რუსეთის პრეზიდენტი) – 21, ქართველები -15 , რუსები - 29.

ჟურნალისტური ნამუშევრების სათაურების ანალიზის შედეგი კი ასეთია: 9 სათაური იყო ინფორმაციული, 6 გამოხატავდა უარყოფით ტენდენციას საქართველოს მიმართ, ხოლო 17 ასახავდა დადებით ტენდენციას რუსეთის მიმართ.

ჟურნალისტური ნამუშევრების შინაარსის შესწავლამ კი წარმოადგენა შემიქმნა ფრეიმებზე, რომელიც მათი დახმარებით იქმნება. უშუალოდ ნამუშევრების ძირითადი შინაარსი შემდეგი ტენდენციის მატარებელი იყო: 25 ნამუშევარი გამოხატავდა დადებით ტენდენციას რუსეთის მიმართ, ხოლო 7 ნამუშევარი უარყოფით ტენდენციას საქართველოს მიმართ.



6.4 sputnik-abkhazia.ru 2016 წლის მარტი - 2017 წლის მარტი

შემდეგი ვებგვერდი, რომლის ნამუშევრების გაანალიზებითაც გავარკვიე, რა ფრეიმებს ქმნიდა ოკუპირებული რეგიონის ამბებზე მომუშავე რუსულენოვანი მედია, იყო sputnik-abkhazia.ru..

გავაანალიზე ვებგვერდის 2016 წლის მარტის ნამუშევრები. კოდური სიტყვების მიხედვით ამ შემთხვევაშიც მიწევს 31 მასალისგაცნობა. კოდური სიტყვები შემდეგი სიხშირით გამოიყენეს:

საქართველო ნახსენები იყო 26-ჯერ, რუსეთი 106, თბილისი - 4, მოსკოვი - 11, გიორგი მარგველაშვილი (საქართველოს პრეზიდენტი) – 0, გიორგი კვირიკაშვილი (საქართველოს პრემიერ-მინისტრი) – 0, ვლადიმერ პუტინი (რუსეთის პრეზიდენტი) – 7, ქართველები -10 , რუსები - 33.

ჟურნალისტური ნამუშევრების სათაურების ანალიზის შედეგი კი ასეთია: 10 სათაური იყო ინფორმაციული, 1 გამოხატავდა უარყოფით ტენდენციას საქართველოს მიმართ, ხოლო 19 ასახავდა დადებით ტენდენციას რუსეთის მიმართ და მხოლოდ 1 სათაური იყო ნეიტრალური ხასიათის. უმაულოდ ნამუშევრების ძირითადი შინაარსი შემდეგი ტენდენციის იყო: 25 ნამუშევარი გამოხატავდა დადებით ტენდენციას რუსეთის მიმართ, ხოლო 4 ნამუშევარი უარყოფით ტენდენციას საქართველოს მიმართ. ნეიტრალურ გაშუქებას ადგილი ჰქონდა მხოლოდ 2 ნამუშევარში.




sputnik-abkhazia.ru 2017 წლის მარტის ნამუშევრებს ვაანალიზებ. კოდური სიტყვების მიხედვით ამ შემთხვევაშიც მიწევს 33 მასალის გაცნობა. კოდური სიტყვების შემდეგი სიხშირით გამოიყენეს: საქართველო ნახსენები იყო 29 -ჯერ, რუსეთი 121, თბილისი - 3, მოსკოვი - 11, გიორგი მარგველაშვილი (საქართველოს პრეზიდენტი) – 0, გიორგი კვირიკაშვილი (საქართველოს პრემიერ-მინისტრი) – 0, ვლადიმერ პუტინი (რუსეთის პრეზიდენტი) – 9, ქართველები -10 , რუსები - 9.

ჟურნალისტური ნამუშევრების სათაურების ანალიზის შედეგი კი ასეთია: 6 სათაური იყო ინფორმაციული, 10 გამოხატავდა უარყოფით ტენდენციას საქართველოს მიმართ,

ხოლო 16 ასახავდა დადებით ტენდენციას რუსეთის მიმართ და მხოლოდ 1 სათაური იყო ნეიტრალური ხასიათის.


ჟურნალისტური ნამუშევრების შინაარსის შესწავლამ კი წარმოდგენა შემიქმნა ფრეიმებზე, რომელიც მათი დახმარებით იქმნება.

უშუალოდ ნამუშევრების ძირითადი შინაარსი შემდეგი ტენდენციის იყო: 20 ნამუშევარი გამოხატავდა დადებით ტენდენციას რუსეთის მიმართ, ხოლო 12 ნამუშევარი უარყოფით ტენდენციას საქართველოს მიმართ. ნეიტრალურ გაშუქებას ადგილი ჰქონდა მხოლოდ 1 ნამუშევარში.



ოკუპირებული სამხრეთ-ოსეთის და აფხაზეთის რეგიონის ამბებზე მომუშავე, აღნიშნული ოთხი ვებგვერდის კონტენტ-ანალიზის შედეგად გავაანალიზე - ერთიანობაში 261 ჟურნალისტური ნამუშევარი.

ჩემი კვლევის პერიოდში არ გამოვლინდა არც ერთი საქართველოს მიმართ დადებითი ტენდენციის მქონე ნამუშევარი, აგრეთვე არ გამოვლინდა არც ერთი უარყოფით ტენდენციის მქონე ნამუშევარი რუსეთის მიმართ. ტენდენციების შედარება მთლიანობაში ასეთ სურათს გვაძლევს, რაც ორივე რეგიონის ოთხივე ვებგვერდზე გამოვლინდა: 180 ნამუშევარში დადებითი ტენდენცია რუსეთის მიმართ; 70 მასალაში უარყოფითი ტენდენცია საქართველოს მიმართ; და მხოლოდ 11 მასალაში იყო



ჟურნალისტების მიერ გამოყენებული სათაურების ზოგადი ტენდენციის დასანახად, რამდენიმე მათგანს გთავაზობთ: „აფხაზეთის სავაჭრო-სამრეწველო პალატამ მონაწილეობა მიიღო რუსეთის ფედერაციის სავაჭრო პალატის მე-7 სამუშაო შეხვედრაზე“, „წვრთნებისას რუსეთის ფედერაციის სამხრეთის სამხედრო ძალებმა აფხაზეთში 50-მდე ამოცანა შეასრულეს,“ „რუსეთის ფედერაციის იუსტიციის სამინისტროში სამუშაო შეხვედრა შედგა - განიხილეს აფხაზეთის პენიტენციური სისტემის მოდერნიზაცია,“ „რუსეთის სამხედრო ძალებმა აფხაზეთის მთებში წვრთნები დაასრულეს,“ „ბრალდებულების გაცვლა საქართველო-აფხაზეთის საზღვარზე შედგა,“ „რუსეთის ფედერაციის სამხრეთის სამხედრო ძალების აფხაზეთის ბაზაზე, წლის ბოლომდე 30 ახალია ინფრასტრუქტურული ობიექტი გაიხსნება“, „საქართველო-აფხაზეთის საზღვარზე გამშვები პუნქტების რაოდენობა შეამცირეს,“ „საქართველოს მიერ სამშვიდობო შეთანხმების უგულვებელყოფაზე რუსეთის საგარეო უწყებამ კომენტარი გააკეთა,“ „მოსკოვში სამუშაო შეხვედრა შედგა აფხაზეთის საგარეო უწყებასა და რუსეთის საგარე საქმეთა სამინისტროს შორის,“ „დიმიტრი მედვედევმა რაულ ხაჯინბას დაბადების დღე მიულოცა“, „რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა აფხაზეთის პრეზიდენტს რაულ ხაჯინბას დაბადების დღე მიულოცა,“ „ვლადიმერ პუტინმა უპასუხა აფხაზეთის სკოლის მოსწავლის წერილს,“ „

აფხაზეთი - რუსეთის მაცხოვრებლების რჩეული ადგილი დასვენებისთვის,“ „რუსეთმა და აფხაზეთმა კორუფციასთან ბრძოლის მეთოდები განიხილა,“ „24 წლის წინ ადამიანებმა გმირობის მაგალითი ჩაიდინეს“, „სამხრეთ ოსეთის და რუსეთის სასაზღვრო უწყებებმა ტვირთების გადაზიდვის საკითხზე იმსჯელეს“, „სამხრეთ ოსეთი მოუწოდებს საქართველოს მოქალაქეებს არ დაამუშაონ მიწები, რომლებიც სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზეა,“ „64 წლის წინ დაიღუპა ნაციის ბელადი იოსებ ბესარიონოვიჩ სტალინი“, „სამხრეთ ოსეთის პრეზიდენტი არჩევნების წინ მოსკოვს ეწვია,“ „პუტინმა და თიბილოვმა სამხრეთ ოსეთის სამხედრო ძალების რუსეთის სამხედრო ძალებში შესვლა განხილეს“, „განსახილველად გამოიტანეს საკითხი სამხრეთ ოსეთში მცხოვრები რუსეთის მოქალაქეების პენსიების შესახებ“, „ რუსული არყის ხეები დაამშვენებენ ცხინვალში „მოსკოვის“ მიკრო რაიონს“, „პუტინმა თანხმობა განაცხადა სამხრეთ ოსეთის სამხედრო ძალების რუსეთის სამხრეთის სამხედრო ძალებში შესვლაზე,“ „სამხრეთ ოსეთში ერედვის ტრაგედიის მსხვერპლებს იხსენებენ,“ „რუსეთის სახელმწიფო სათათბირო ორგანომ სამხრეთ ოსეთთან საპენსიო შეთანხმების რატიფიცირება მოახდინა .“

აღნიშნული ჩამონათვალი არაა სრული, თუმცა ასახავს ჟურნალისტების მიერ მომზადებული სათაურების ძირითად ტენდენციას. ასევე ინფორმაციას გვაწვდის იმ საკითხებზე, რომელიც დროის ამ პერიოდში იყო აქტუალური.

სტატიების შინაარსობრივი გაანალიზება გვაჩვენებს, რომ ორივე რეგიონის ამბებზე მომუშავე აღნიშნული ვებგვერდებისთვის პრიორიტეტული იყო აფხაზეთის და ცხინვალის დე-ფაქტო ხელისუფლებების თანამშრომლობა რუსეთთან. აქცენტები კეთდებოდა თანამშრომლობაზე სამხედრო, სოციალურ, კულტურულ და სპორტულ სფეროებზე. მედიის მიერ გაშუქდა ათობით შეხვედრა, სადაც ამა თუ იმ ფორმის თანამშრომლობაზე ე.წ. მთავრობები შეთანხმდნენ.

მედია აქცენტს აკეთებდა, როგორც ოკუპირებულ აფხაზეთში ასევე სამხრეთ-ოსეთში - ისტორიულ საკითხებზე. ხდებოდა ყველა ისტორიული საკითხის იმ ჭრილში წარმოჩენა, რომლის თანახმადაც ქართველები უარყოფითი „პერსონაჟები“ იყვნენ.

სამხრეთ -ოსეთის შემთხვევაში კი უარყოფითად იყვნენ წარმოჩენილი რუსეთის ფედერაციაში შემავალი ერთეულები, რომლებიც თანამშრომლობდნენ საქართველოსთან. კერძოდ კი, განსაკუთრებით უარყოფითი კონტექსტით გაშუქდა - ჩრდილოეთ ოსეთში ქართული ანსამბლის „რუსთავის“ და ჯგუფი „ბანკის“ კონცერტი. მედია წერდა სათაურშივე: „რატომ ძმებო“ და სიტყვა ძმებით მიმართავდა ჩრდილოეთ ოსეთში მაცხოვრებლებს. ჟურნალისტები ამავე თემაზე წერდნენ, რომ ქართველები ანადგურებენ სამხრეთს და ცეკვავენ ჩრდილოეთში. მედიამ საკითხზე ტრიბუნა დაუთმო ადამიანებს, რომლებიც გმობდნენ ამ ფაქტს. ჟურნალისტურ ნამუშევრებში ერთი რესპონდენტიც ვერ მოხვდა, რომელიც იტყოდა განსხვავებულ პოზიციას, გაამართლებდა ამ ნაბიჯს.

ოკუპირებული რეგიონების ამბებზე მომუშავე ამ საიტების მიერ ადგილი ჰქონდა, გამოგონილი ფაქტების გამოყენებასაც. მაგალითად sputnik-abkhazia.ru 2017 წლის 9 მარტს წერდა, რომ საქართველოსა და აფხაზეთს შორის ორი სასაზღვრი პუნქტის ჩაკეტვა გამოწვეული იყო იმ ფაქტით, რომ არსებული ინფორმაციით, დიდი ალბათობით, 2013 წელს ტყვარჩელში 50-მდე ბავშვის მოწამვლა ქართველების მიზეზით მოხდა. კონკრეტულად კი მედია წერდა, რომ თითქოსდა საქართველოს აფხაზეთის ე.წ. საზღვართან აქვს ლაბორატორია, სადაც ბიოლოგიურ იარაღზე მუშაობს. სტატიაში ვხვდებით კომენტარს - აფხაზეთის ე.წ უშიშროების საბჭოს ხელმძღვანელი მიხეილ კირბა აცხადებდა, რომ დიდი ალბათობით ქართულმა მხარემ ბიოლოგიური ნარჩენები საზღვართან ახლოს წყალში ჩაუშვა და შედეგად მოხდა ტყვარჩელში ბავშვების მოწამვლა. ჟურნალისტი, თითქოსდა 2013 წელს მომხდარ შემთხვევას არ განავრცობს, არ ცდილობს დააზუსტოს რეალურად ჰქონდა, თუ არა ადგილი მსგავს შემთხვევას. ამ კვლევის გარეშე, რესპონდენტის დახმარებით 2016 წლის ბოლოდ, ე.წ. საზღვრის დაკეტვას 2013 წელს თითქოსდა ქართული მხარის მიერ ჩადენილ დანაშაულს უკავშირებს.

მედიის მიერ მთავარი აქცენტი კეთდება რუსეთის პოზიტიურ წარმოჩენაზე. არა ერთი ნამუშევარი გვხვდება, სადაც მთავარი ნიუსი არის ის, რომ პრეზიდენტმა პუტინმა დაბადების დღე, ან რვა მარტი მიულოცა ოკუპირებული რეგიონების

ლიდერებს და მათ მეუღლეებს. მედია აქტიურად წერს წმინდა „საპიარო“ მოვლენებზე. მაგალითად, აფხაზეთის ამბებზე მომუშავე მედიის ყურადღების ცენტრში ექცევა ფაქტი, როდესაც რუსეთის პრეზიდენტმა უპასუხა აფხაზი სკოლის მოსწავლის წერილს. სისტემატიურად შუქდება შეხვედრები აფხაზეთის ე.წ. მთავრობის და რუსეთის ხელისუფლების.

2016 წლის მარტსა და 2017 მარტში - არც ერთი ნეგატიური ფაქტი, მოსაზრება არ გაშუქებულა რუსეთთან მიმართებაში. ასევე ამავე პერიოდში, არც ერთი დადებითი ხასიათი მასალა არ მომზადებულა საქართველოსთან მიმართებით. არც ოკუპირებული აფხაზეთის და არც აფხაზეთის ამბებზე მომუშავე მედია არ დაინტერესდა და ტრიბუნა არ დაუთმო იმ სამედიცინო, თუ საგანმანათლებლო პროექტებს, რომლებსაც საქართველო სთავაზობს და ახორციელებს აფხაზეთისა და ოსებისთვის.

შექმნილი ფრეიმები: რუსეთი „ერთადერთი პარტნიორი,“ რუსეთი „აფხაზეთისთვის კეთილის მსურველი,“ რუსი ჩინოვნიკები „აფხაზეთის მეგობრები;“ საქართველო აფხაზეთის მიმართ ისტორიულად „მტრულად განწყობილი“ სახელმწიფო, ქართველები შოვინისტები, ქართველები „საფრთხე აფხაზეთისთვის.“

7. თვისებრივი კვლევის შედეგები

თვისებრივი კვლევა ჩავატარე 2017 წლის აპრილისა და მაისის თვეებში. ინტერვიუებისთვის შევარჩიე 7 რესპონდენტი. ესენი არიან ექსპერტები, რომლებიც მუშაობენ ოკუპირებული რეგიონების მიმართებით. მათი ნაწილი იკვლევს რეგიონულ მედიის ნაწილს, ხოლო ნაწილი კი, იკვლევს აფხაზეთის რეგიონში და სამხრეთ ოსეთის რეგიონში მიმდინარე საზოგადოებრივ საკითხებს.

ოკუპირებული რეგიონების მედიის მუშაობის შესახებ შეფასებების და მოსაზრებების მოსასმენად ვესაუბრე: კონფლიქტოლოგ ლევან გერაძეს, პროფესორ თამარ ბელქანიას, პროფესორ ზაზა ცოტნიაშვილს, „მედიის განვითარების ფონდის“ ხელმძღვანელს თამარ კინწურაშვილს, „სტუდია რე“-ს ხელმძღვანელს მამუკა ყუფარაძეს, პროფესორ ხათუნა მაისაშვილს და „კავკასიის რეგიონალური უსაფრთხოების ინსტიტუტის“ დირექტორს ალექსანდრე რუსეცკის.

პროფესორ თამარ ბელქანიას საპატრიარქოს ტელევიზია „ერთსულოვნებაში“ 40 გადაცემა აქვს მომზადებული ოკუპირებული რეგიონების მედიაზე. იცნობს აფხაზეთში და ცხინვალის რეგიონში განვითარებული მოვლენების მიზეზებს. ბელქანია ამბობს, რომ ამ რეგიონებში მომხდარი კონფლიქტები არის „მიზანმიმართული, დროში გაწელილი რუსული პროექტი.“ საუბრობს ტერიტორიების ოკუპაციასთან ერთად რუსეთის კიდევ ერთ იარაღზე, რასაც „გონების ოკუპაცია“ უწოდებს. თვლის, რომ მედიასაშუალებების გამოყენებით რუსეთი მართავს ოკუპირებული რეგიონების საზოგადოებრივ აზრს. მისი დაკვირვებით, ამ დროის განმავლობაში, აფხაზეთის და ცხინვალის რეგიონის მედიაში საქართველოს მიმართ რაიმე პოზიტივის შემცველი ჟურნალისტური ნამუშევარი არ შეხვედრია. გვიხსნის, რომ ოკუპირებული მედიის ყურადღების ცენტრში არასდროს ხვდება საქართველოს აფხაზებისა და ოსებისთვის შეთავაზებული სამედიცინო და სხვა პროექტები. ეს მაშინ, როდესაც დღემდე არაერთმა აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში მცხოვრებმა ადამიანმა ისარგებლა ამ შესაძლებლობებით. თამარ ბელქანია თვლის, რომ ოკუპირებული რეგიონების მედია რუსეთის პროპაგანდის იარაღია. მისი აზრით, აუცილებელია, რომ საქართველომ ამ რეგიონების მოსახლეობისთვის ალტერნატიული, ობიექტური მედიარესურსი შექმნას.

პროფესორ ზაზა ცოტნიაშვილის დაკვირვებითაც, ოკუპირებული რეგიონების მედია ცალსახად მტრის ხატს ქმნის საქართველოსგან, რუსეთს კი მხოლოდ პოზიტიურ ჭრილში წარმოაჩენს. ცოტნიაშვილის შეფასებით, ოკუპირებული რეგიონების მედიის მომზადებული სულ უმნიშვნელო თემატიკის ჟურნალისტური ნამუშევარიც კი, ცენზურას გადის. მისი ინფორმაციით, ცხინვალის რეგიონში მთავარი საინფორმაციო სამსახურის ხელმძღვანელსაც კი, ე.წ. მთავრობა ნიშნავს. ასეთ პირობებში კი, რაიმე სახის ჟურნალისტური სტანდარტების დაცვასა და ობიექტურობაზე საუბარიც ვერ იქნება. თვლის, რომ ოკუპირებული რეგიონების მედია დღეს ჟურნალისტიკის კეთების ნაცვლად პროპაგანდას აკეთებს. მიუხედავად ამ სირთულეებისა, მომავალს იმედიანად უყურებს და ფიქრობს, რომ ინტერნეტის არსებობა ნელ-ნელა ალტერნატიული ინფორმაციის წყაროებს გააჩენს, რომელიც რუსეთის იდეოლოგიაში არ ჩაჯდება, რაც ამ რეგიონებში ჯანსაღ დისკუსიებს შეუწყობს ხელს. ცოტნიაშვილი პოზიტიურად

უყურებს მშვიდობის ჟურნალისტიკის როლს. თვლის, რომ ეს არის მნიშვნელოვანი, თუმცა, მხოლოდ მედია, ნდობის აღდგენის საქმეში სასწაულებს ვერ მოახდენს.

ოკუპირებული რეგიონების მედიაზე მსჯელობს პროფესორი ლევან გერაძეც. ამბობს, რომ ამ რეგიონების მედიის არა კეთილგანწყობილი დამოკიდებულება საქართველოს მიმართ ამ ვითარებაში ბუნებრივი მოვლენაა. „საქართველოს მიმართ პოზიტიური ხასიათის მასალების მომზადება, ეს იმ საზოგადოებებში არც კარგი ტონია და პირდაპირ ეწინააღმდეგება იმ ზოგად გენერალურ ხაზს, რომელიც იქ პრევილირებს და რომლის ავტორები ნამდვილად არ არიან აფხაზები“ - ამბობს გერაძე.

თვლის, რომ ოკუპირებული რეგიონების მედიას დღის წესრიგს რუსეთი უდგენს. მიუხედავად ამისა, ფიქრობს, რომ დღევანდელ დროს არცთუ ისე ადვილია საზოგადოებები დიდ ხანს აცხოვრო ტყუილში, რადგან ფაქტების გადამოწმების საშუალება უკვე არსებობს, ინტერნეტის ეპოქაში. თვლის, რომ საქართველოს მხრიდან არსებობს ალტერნატიული მედიარესურსის შექმნის საჭიროება, თუმცა ეს ახალი რესურსი არ უნდა ჩაებას პროპაგანდაში. გერაძის აზრით, პოზიტიური იქნება მხოლოდ ობიექტური, საერთაშორისო სტანდარტებზე მომუშავე მედიის არსებობა.

„კავკასიის რეგიონალური უსაფრთხოების ინსტიტუტის“ დირექტორს ალექსანდრე რუსეცკი ოკუპირებული რეგიონების მედიის ერთ საერთო თავისებურებაზე საუბრობს. მისი აზრით, ამ რეგიონებს მედიატრიბუნას საერთოდ არ უთმობს გალისა და ახალგორის მოსახლეობას. ამისი მიზეზი კი ის არის, რომ ამ საზოგადოებებს არ სურს აფხაზეთის და ცხინვალის რეგიონის გამოყოფა საქართველოსგან. არსებული პოლიტიკისთვის კი, მსგავსი მოსაზრებები მიუღებელია. თვლის, რომ ამ მედიაში აგრეთვე, საერთოდ არ ისმის დევნილი საზოგადოების ხმაც.

საქართველოს მიმართ ნეგატიური ხასიათის მასალების სიმრავლეზე ცხინვალის რეგიონის მედიაში საუბრობს „სტუდია რე“-ს ხელმძღვანელი მამუკა ყუფარაძე. აღნიშნული ორგანიზაცია თავის გადაცემაში სისტემატიურად აშუქებს აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში მიმდინარე მოვლენებს იმ ჟურნალისტების დახმარებით, რომლებიც მათთვის ამ რეგიონებიდან მუშაობენ. ყუფარაძის დაკვირვებით,

საქართველოს მიმართ აფხაზეთის მედიაზე ნეგატიურად განწყობილია ცხინვალის რეგიონის მედია. მისი მოსაზრებით, მედია ამ რეგიონში არსებულ ყველა წარმატებლობას საქართველოს აბრალებს. ყუფარაძე ალტერნატიული მედიის შექმნის შესახებაც საუბრობს და თვლის, რომ ასეთი მედია შესაძლოა, თავადაც პროპაგანდის შემქნელი გახდეს. მისი აზრით, ამ საფრთხისგან თავის ასარიდებლად, სავსებით საკმარისი იქნება, თუ აფხაზეთის და ცხინვალის რეგიონების მოსახლეობისთვის, მხოლოდ ითარგმნება ქართული მედიის მომზადებული მასალები.

ოკუპირებული რეგიონების მედიის ძირითად ტენდენციებზე მოსაზრებებს პროფესორი ხათუნა მაისაშვილიც გვიზიარებს. თვლის, რომ:

„ ეს ჩარჩოები საკმაოდ სტერეოტიპიზებულია, და ასე იყო კონფლიქტის დაწყების დღიდან. მაგალითად: „საქართველო მტრულია“, „საქართველო ჩვენს სახელმწიფოებრიობას ებრძვის“, „ქართველი და აფხაზი სხვადასხვა იდენტობების მატარებლები არიან“ ... შეიძლება მოხდეს ისეც, რომ მედიამ საერთოდ ამოაგდოს თავისი დისკურსიდან „საქართველოს“ ხსენება, როგორც სივრცისა, რომელიც არანაირად არ არის მნიშვნელოვანი აფხაზისთვის ან ოსისთვის. საკმაო ხნის განმავლობაში ეს მედიური სტრატეგია „წარმატებით გამოიყენებოდა“ აფხაზურ მედიაში, საქართველო, როგორც მნიშვნელობისგან დაცლილი ადგილი.

რაც შეეხება რუსეთს, მისი მედიური რეპრეზენტაცია ყოველთვის ერთი მიმართულებით ხდებოდა: რუსეთი, რომელმაც სახელმწიფოებრიობა გააღვივა აფხაზებში, რუსეთი - მერე-რა, რომ „დიდი აგრესორია“, იგი „პატარა აგრესორისგან“ - საქართველოსგან გვიცავს; რუსეთი - რომელმაც აღიარა აფხაზეთის ან ოსეთის დამოუკიდებლობა ... როგორც წესი, რუსეთი ღიად არასდროს განიხილება მედიურ წყაროებში, როგორც „ოკუპანტი“, როგორც „აფხაზური წესრიგის“ გამაკონტროლებელი, მიუხედავად იმისა, რომ აფხაზურ საზოგადოებაში არსებობს საპროტესტო განწყობა აფხაზეთის რუსულ კოლონიად ქცევის წინააღმდეგ“- საუბრობს ხათუნა მაისაშვილი. მისი აზრით, ოკუპირებული რეგიონების მედია მოკლებულია შესაძლებლობას იყოს

თავისუფალი. მშვიდობის ჟურნალისტიკის პრინციპებზე მომუშავე მედიის შექმნის საჭიროებაზე კი ამბობს:

„ მშვიდობის ჟურნალისტიკა ბევრად უფრო რთული საკეთებელია, ვიდრე ომის ჟურნალისტიკა. სინერგია „ომის მკეთებლებსა“ და „ნიუსის მკეთებლებს“ შორის უფრო მეტად არსებობს, ვიდრე მშვიდობისა და ნიუსის მკეთებლებს შორის“- აცხადებს პროფესორი ხათუნა მაისაშვილი.

ოკუპირებული რეგიონების მედიას არ აკვირდება, თუმცა ქართულ მედიაში რუსულ პროპაგანდას უკვე წლების განმავლობაში სწავლობს „ მედიის განვითარების ფონდი“. ორგანიზაციის ხელმძღვანელი თამარ კინწურაშვილი ამბობს, რომ რუსეთის პროპაგანდა გამოკვეთილად ცენტრალიზებულია, წარმოადგენს რუსეთის მთავრობის ერთ-ერთ მძლავრ იარაღს საზოგადოებრივი აზრის სამართავად. კინწურაშვილი თვლის, რომ რუსული პროპაგანდა უკვე გასცდა ტრადიციული მედიის ტრიბუნას და წარმატებულად იყენებს თავისი მოგონილი ფაქტების გასავრცელებლად ისეთ დემოკრატიულ ინსტიტუტებსაც კი, როგორც სოციალური ქსელებია. თვლის, რომ რუსეთმა შეძლო ეს პლურალისტური ტრიბუნებიც კი ბოროტად გამოიყენოს. თვლის, რომ რუსული პროპაგანდა საფრთხეა, რომელსაც მხოლოდ მედია ვერ დაუპირისპირდება. აცხადებს, რომ აუცილებელია პროპაგანდას ქმედითი ნაბიჯებით სახელმწიფო დაუპირისპირდეს.

7.1 ძირითადი მიგნებები

რესპონდენტები თავიანთი პირადი დაკვირვებით ადასტურებენ ჰიპოთეზის ობიექტურობას, რომლის თანახმადაც ოკუპირებული რეგიონების მედია მტრის ხატს ქმნის საქართველოსგან, რუსეთს კი ცალსახად მხოლოდ პოზიტიურ ჭრილში წარმოაჩენს. რესპონდენტების მხრიდან გამოითქვა მოსაზრება, რომ ოკუპირებული რეგიონების მედიას ჰქონდა და დღესაც აქვს საქართველოს ამბებისთვის ან უმნიშვნელოს სტატუსის მინიჭება ტენდენცია, ან მხოლოდ უარყოფით ჭრილში გაშუქება. რესპონდენტები აგრეთვე, აღნიშნავენ, რომ ოკუპირებული რეგიონების მედიაა არაა თავისუფალი და ის პროპაგანდის ერთ-ერთი იარაღია. ამ ვითარებიდან

გამომდინარე, ოკუპირებული რეგიონების მედია არ/ვერ იცავს ჟურნალისტიკის სტანდარტებს და ვერ ქმნის ობიექტურ მედია პროდუქტს.

8. რეკომენდაცია

სასურველია, ქართულმა მხარემ იზრუნოს აფხაზური და ოსური საზოგადოებებისთვის ობიექტური ინფორმაციის წყაროების შექმნაზე - ისეთ მედიაზე, რომელიც არ იქნება პროგანადის იარაღი და იმუშავებს მხოლოდ ჟურნალისტური სტანდარტების დაცვით.

9. დასკვნა

კვლევის შედეგად დასტურდება ჰიპოთეზა, რომლის თანახმადაც აფხაზეთის და ცხინვალის რეგიონის ადგილობრივ მედიაში, იქმნება მტრის ხატი საქართველოს სახით. ამასთან ერთად რუსეთი წარმოჩენილია, როგორც მეგობარი, მხარდამჭერი სახელმწიფო. რუსეთი გაშუქებულია მხოლოდ პოზიტიურ ჭრილში, მაშინ როდესაც საქართველო გაშუქებულია სრულად ნეგატიურად. სტატიების შინაარსობრივი გაანალიზება გვაჩვენებს, რომ ორივე რეგიონის ამბებზე მომუშავე აღნიშნული ვებგვერდებისთვის პრიორიტეტული იყო აფხაზეთის და ცხინვალის დე-ფაქტო ხელისუფლებების თანამშრომლობა რუსეთთან. აქცენტები კეთდებოდა თანამშრომლობაზე სამხედრო, სოციალურ, კულტურულ და სპორტულ სფეროებზე. იმ 261 ჟურნალისტური ნამუშევრიდან, რომელიც გაავანალიზე, არ გამოვლინდა არც ერთი საქართველოს მიმართ დადებითი ტენდენციის მქონე ნამუშევარი, აგრეთვე არ გამოვლინდა არც ერთი უარყოფითი ტენდენციის მქონე ნამუშევარი რუსეთის მიმართ. ტენდენციების შედარება მთლიანობაში ასეთ სურათს გვაძლევს: 180 ნამუშევარში არის დადებითი ტენდენცია რუსეთის მიმართ; 70 მასალაში უარყოფითი ტენდენცია საქართველოს მიმართ; და მხოლოდ 11 მასალა იყო ნეიტრალური-ჟურნალისტური სტანდარტების დაცვით მომზადებული.

კვლევის შედეგად გამოიკვეთა ერთი ტენდენციაც, რომელსაც არ მოიცავდა ჰიპოთეზა. აღმოჩნდა, რომ ოკუპირებული რეგიონების რუსულენოვანი ინტერნეტმედია ნაკლებად უთმობს ყურადღებას საქართველოში მიმდინარე მნიშვნელოვან მოვლენებს, მაშინ როდესაც აშუქებს რუსეთში მიმდინარე იმ მოვლენებსაც, რომელიც უშუალოდ კავშირში არაა არც აფხაზეთთან და არც ცხინვალის რეგიონთან. ასევე უნდა ითქვას, რომ მედია არ უთმობს თავის ტრიბუნას ადამიანებს, რომლებიც არ არიან მომხრეები აფხაზეთის და ცხინვალის რეგიონის საქართველსგან გამოყოფის. კვლევის პერიოდში არც ერთ ჟურნალისტურ ნამუშევარში არ ჩანდა გალის რაიონის (აფხაზეთის რეგიონის ნაწილი, სადაც უმეტესად ეთნიკურად ქართველი მოსახლეობა ცხოვრობს) და ახალგორის (ცხინვალის რეგიონის ნაწილი, სადაც უმეტესად ეთნიკურად ქართველი მოსახლეობა ცხოვრობს) მოსახლეობის შეხედულებები. მედია არაა დამოუკიდებელი, შესაბამისად მიჰყვება იმ დისკურსს, რომელსაც არსებული პოლიტიკური გარემოს შემქმნელები კარნახობენ.

მედიის ასეთი ძირეული პრობლემები, აფერხებს კრიტიკული, პლურალისტური გარემოს შექმნას. ეს ყველაფერი კი მშვიდობისთვის ხელის შემშლელი ვითარებაა.

კვლევა მნიშვნელოვანია, რადგან აჩვენებს რა ძალა აქვს მედიას და როგორ შეიძლება ამ ძალის საზოგადოებისთვის სასიკეთოდ გამოყენება. აბა ერთი წუთით წარმოვიდგინოთ, როგორი დისკუსიები წარმოიქმნება საზოგადოებაში, თუ ამ რეგიონების მედია დაიწყებს ჟურნალისტური სტანდარტებით მუშაობს?! თუ დღეს აჩვენებს სამხედრო თანამშრომლობის ამსახველ კადრებს რუსეთთან, ხვალ კი საქართველოს აფხაზეთისა და ოსებისთვის შეთავაზებულ სოციალურ პროექტებს გააცნობს აუდიტორიას, თუ ერთ დღეს ტრიბუნას დაუთმობს ადამიანს, რომელიც ამ რეგიონების გამოყოფა სურთ საქართველოსგან, ხოლო მეორე დღეს მოქალაქეს, რომელსაც მსგავსი სურვილი არ აქვს. ამის გაკეთება კი შესაძლებელია მხოლოდ თავისუფალ მედიაში, რომელიც სამწუხაროდ, ამ დროისთვის, აფხაზეთის და ცხინვალის რეგიონში არ არსებობს. შესაბამისად, უნდა გაიზარდოს იმ მედიის ცნობადობა, რომელიც მუშაობს ამ რეგიონის ამბებზე და ამას აკეთებს ჟურნალისტური სტანდარტების დაცვით. საუბარია მედიაზე, რომელიც არაა მხარე და რომელსაც

შეუძლია საზოგადოების ინფორმირება და არსებული ვითარების ობიექტურად წარმოჩენა. მათ უნდა შესთავაზონ ამ საზოგადოებებს, გასაგებ ენაზე ჟურნალისტური სტანდარტების დაცვით მომზადებული მედია ნამუშევრები. კვლევისას გამოითქვა მოსაზრება იმის თაობაზეც, რომ საჭიროა სახელმწიფოს მხრიდან ახალი მედიის შექმნა ამ რეგიონებისთვის, თუმცა იდეას ოპონენტებიც ჰყავს, რომლებიც მიიჩნევენ, რომ ასეთი ტიპის მედია თავადაც გახდება პროპაგანდის მკეთებელი და ვერასდროს მოიპოვებს ნდობას. შესაბამისად საჭიროა არა „ბრძოლის იარაღის“ შექმნა არამედ არსებული, ობიექტური მედია რესურსების მიმართ გზების გახსნა. სასურველია ასეთი ტიპის მედიამ გააქტიუროს თავის საქმიანობა ამ რეგიონების მიმართ, გააშუქოს რეგიონებში არსებული ვითარება და აუდიტორიას შესთავაზოს განსხვავებული ხედვები. თუმცა ამ დროისთვის, საერთაშორისო სამართალს მიღმა რჩევა ვითარება აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონშია და შესაბამისად, არაა ადვილი ადგილზე არსებული ვითარების გაშუქება. ახლა მედიას ანალიტიკური მასალების, დისტანცირებულად მომზადება და მათი ინტერნეტით გავრცელება შეუძლია. რაც ასევე მნიშვნელოვანია. მედიამ უნდა გამოიყენოს ის შესაძლებლობები, რაც მას რჩება, რათა საზოგადოება არ დარჩეს სტერეოტიპების ტყვეობაში.

ის ფრეიმები, რომელიც დღეს აქტიურად იქმნება ამ რეგიონის ინტერნეტმედიაში, კიდევ უფრო დააშორებს ადამიანებს. ჩვენ ამ კვლევით ვხედავთ, რომ პრობლემა სახეზეა და საჭიროა ცვლილებები. ამ შემთხვევაში დრო იმ საზოგადოების წინააღმდეგაა, რომელსაც უნდა ცივილური სამყაროს ნაწილი იყოს. იზრდებიან თაობები, როლებიც სწორხაზოვნად უყურებენ კონფლიქტს აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში, რომელთა დიდი ნაწილისთვისაც ქართველები არიან მტრები, რუსები კი, მფარველები. ამ მოცემულობას მათ ისტორიის სახელმძღვანელოებთან ერთად მედიაც სთავაზობს და ყოველდღიური მიმდინარე ამბების ტენდენციური გაშუქებითაც ამაში არწმუნებენ.

კვლევა აჩვენებს, რომ დიდია საჭიროება ობიექტური ინფორმაციის წყაროების არსებობის. ტენდენციურ მედიას კონფლიქტის ყველა მხარე ისევ ომში შეჰყავს, ამ შემთხვევაში, საინფორმაციო ომში. ეს ომი ყველაფერს აკეთებს იმისთვის, რომ

წარსულში რეალური საბრძოლო მოქმედებებით მიყენებული იარაღები არასდროს შეხორცდეს. ასეთი მედია არ ასახელებს კონფლიქტის მთავარ აქტორს, მას შეცდომაში შეჰყავს თაობები - ზრდის მათ სიძულვილით. მაშინ, როდესაც მიუკერძოებელ მედიას შეუძლია „ხიდების“ მშენებლობა და იმისი ჩვენება, რომ თურმე „მდინარის მეორე მხარეს“ მდგარი ადამიანი, რომლებზეც გითხრეს მტრები არიან-ო, სულაც არ აღმოჩნდნენ მტრები.

10. ბიბლიოგრაფია

ტერმინთა განმარტების წყარო: <http://dictionary.css.ge/content/occupation> - განმარტებითი ლექსიკონი-ცნობარი სოციალურ მეცნიერებებში შეიქმნა სოციალურ მეცნიერებათა ცენტრის მიერ პროექტის "განმარტებითი ლექსიკონი-ცნობარი სოციალურ მეცნიერებებში: ფსიქოლოგია, გენდერი, გამოყენებითი სტატისტიკა, საჯარო პოლიტიკა და მართვა" ფარგლებში. პროექტი განხორციელდა 2014-2016 წლებში შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფინანსებით. პროექტის შედეგად შემუშავდა ონლაინ ლექსიკონი და ლექსიკონის დესკტოპ-აპლიკაცია. ბოლო ნახვის დრო: 2017 წლის 10 თებერვალი.

Entman, R. (1993). Framing: Toward clarification of a fractured paradigm. *Journal of Communication*. ბოლო ნახვის დრო: 2017 წლის 3 თებერვალი.

Tuchman, Gaye 1978. *Making news: A study in the construction of reality*. New York: Free Press. ბოლო ნახვის დრო: 2017 წლის 3 თებერვალი.

Erving Goffman, 1974. *Frame analysis*. Cambridge, MA, US: Harvard University Press. ბოლო ნახვის დრო: 2017 წლის 3 თებერვალი.

Gamson, W.A., & Modigliani, A. (1987). *The changing culture of affirmative action* ბოლო ნახვის დრო: 2017 წლის 3 თებერვალი.

Research in Political Psychology, 3, 137-177. ნახვის დრო: ბოლო ნახვის დრო: 2017 წლის 10 თებერვალი.

Stephen D. Reese, 2007, *The Framing Project: A Bridging Model for Media Research Revisited*. ბოლო ნახვის დრო: 2017 წლის 10 თებერვალი.

Yash Ghai, 2000, *Autonomy and Ethnicity*. Cambridge Studies in Law and Society. 2017 ბოლო ნახვის დრო: 2017 წლის 10 თებერვალი.

Henry E. Hale, 2008, *The Foundations of Ethnic Politics*, Publisher: Cambridge University Press. ბოლო ნახვის დრო: 2017 წლის 10 თებერვალი.

Callaghan, K. & Schnell, F., (2001). *Assessing the democratic debate: how the news media*. ბოლო ნახვის დრო: 2017 წლის 10 თებერვალი.

frame elite policy discourse. *Political Communication*, 18, 183-212. ბოლო ნახვის დრო: 2017 წლის 2 მარტი.

Per Gahrton. 2010. *Georgia: Pawn in the New Great Game*. Published by: Pluto Press. ბოლო ნახვის დრო: 2017 წლის 2 მარტი.

Daniel C. Kurtzer, Scott B. Lasensky, William B Quandt, Steven L. Spiegel, and Shibley Z. Telhami, 2010, წიგნში: *The Peace Puzzle: Appendices and Resources*. ბოლო ნახვის დრო: 2017 წლის 2 მარტი.

David R. Smock and Daniel Serwer, *Facilitating Dialogue*, Publisher: Cambridge University Press. ბოლო ნახვის დრო: 2017 წლის 2 მარტი.

Jennifer McCoy, Francisco Diez, 2001, *International Mediation in Venezuela*. ბოლო ნახვის დრო: 2017 წლის 2 მარტი.

Howard B. Schaffer და Teresita C. Schaffer, 2004 *How Pakistan Negotiates with the United States*. ბოლო ნახვის დრო: 2017 წლის 7 მარტი.

Anuradha Chenoy. 2013. *The Russian-Georgian Confrontation*. Published by: *Economic and Political Weekly*. ბოლო ნახვის დრო: 2017 წლის 7 მარტი.

CEDRIC RYNGAERT and SVEN SOBRIE. 2011. *International Law or Realpolitik? The Practice of Recognition in the Wake of Kosovo, South Ossetia, and Abkhazia*. *Journal of International Law*. ბოლო ნახვის დრო: 2017 წლის 7 მარტი.

Reese. *The Framing Project: A Bridging Model for Media Research Revisited*. 2007. ბოლო ნახვის დრო: 2017 წლის 7 მარტი.

Smith, Scott; Yusuf, Moeed; Cookman, Colin.2013. Getting It Right in Afghanistan. Published by United States Institute of Peace. ბოლონახვისდრო: 2017 წლის 7 მარტი.

Duncan French. Statehood and Self-Determination.2013. Publisher: Cambridge University Press. Subjects: Public International Law , UN and International Organisations.ბოლო ნახვის დრო: 2017 წლის 7 მარტი.

TED HOPF.2005., იდენტობა, ლეგიტიმაცია და სამხედრო ძალის გამოყენება: რუსეთის დიდი სამხედრო ინტერვენცია აფხაზეთში.“ ბოლო ნახვის დრო: 2017 წლის 7 მარტი.

Alex Austin. Martina Fischer. Norbert Ropers (Eds) Transforming Ethnopolitical Conflict. The Berghof Handbook. Москва 2007. ბოლო ნახვის დრო: 2017 წლის 7 მარტი.

Alexander Cooley და Lincoln Mitchell. 2014. Abkhazia on Three Wheels. ბოლო ნახვის დრო: 2017 წლის 7 მარტი.

Per Gahrton.2014. Georgia: Pawn in the New Great Game. ბოლო ნახვის დრო: 2017 წლის 7 მარტი.

Grace Bolton. 2013. International responses to the secession attempts of Kosovo, Abkhazia and South Ossetia. Publisher: Cambridge University Press. ბოლო ნახვის დრო: 2017 წლის 7 მარტი.

Gadi Wolfsfeld (Cambridge University Press, 1997). Media and Political Conflict: News from the Middle East. Cambridge University Press. ბოლო ნახვის დრო: 2017 წლის 7 მარტი.

Daniel C. Kurtzer, Scott B. Lasensky, William B Quandt, Steven L. Spiegel, and Shibley Z. Telhami. 2013. The Peace Puzzle: Appendices and Resources. ბოლო ნახვის დრო: 2017 წლის 7 მარტი.

ანგარიში: „საქართველოში მომხდარ კონფლიქტთან დაკავშირებული ფაქტების დამდგენი დამოუკიდებელი საერთაშორისო მისია. 2009 წელი. ბოლო ნახვის დრო: 2017 წლის 27 იანვარი. 13:00 მისია.“ <http://new.smr.gov.ge/Uploads/eb7e7f.pdf>

„კონფლიქტების გაშუქება თანამედროვე ქართულ ბეჭდურ მედიაში“, ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაგისტრის ნინო მანიაშვილისამაგისტრო ნაშრომი. ბოლო ნახვის დრო: 2017 წლის 27 იანვარი.

„რუსეთ-საქართველოს ომის გაშუქება საერთაშორისო მედიაში“ - ავტორები: ლაშა ბაქრაძე, ნინო დანელია, ზაზა თორია, ანა ქემელაშვილი და თიკო ცომაია. ბოლო ნახვის დრო: 2017 წლის 27 იანვარი.

ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის და ჯორჯ ქენანის რუსეთის კვლევების ინსტიტუტის 2013 წლის ანგარიში, გადმოწერილის ლინკი:
gau.ge/sites/default/.../Bulletin%20№02,%202013.doc ბოლო ნახვის დრო: 2017 წლის 21 იანვარი, 15:30

„მედიის განვითარების ფონდის“ (2012 წელი) კვლევა: „კონფლიქტების გაშუქება ქართულ მედიაში“ ბოლო ნახვის დრო: 2017 წლის 19 იანვარი. 17:00
http://eurocommunicator.ge/mdf/uploads//Konfliktebis_gashukeba_qartul_mediashi.pdf

ტელევიზია „ერთსულოვნება“ გადაცემების ციკლი „მედია ოკუპირებულ ტერიტორიებზე. ბოლო ნახვის დრო 2017 წლის 22 იანვარი. 20:00 საათი.
<http://www.myvideo.ge/v/2434026>

„მედიის განვითარების ფონდის“ მედია მონიტორინგის ანგარიში: ანტიდასავლური პროპაგანდა. (2014-2015წლები) ბოლო ნახვის დრო: 2017 წლის 23 იანვარი. 13:34
<http://mdfgeorgia.ge/uploads/Antidasavluri-GEO-web.pdf>

„სოციალური კვლევისა და ანალიზის ინსტიტუტი“- ის კვლევა: „დემოკრატიზაციის პროცესი, რეგიონული კონტექსტი, ეროვნული უმცირესობები და კონფლიქტების ტრანსფორმაცია.“(2011 წლის ივლისი-სექტემბერი) ბოლო ნახვის დრო: 2017 წლის 22 იანვარი.17:10

http://www.issa-georgia.com/sites/issa/files/uploads/attachments/Report-GEO-001_0.pdf

„Moving media and conflict studies beyond the CNN effect“ .Eytan Gilboa, Maria Gabrielsen Jumbert, Jason Miklian and Piers Robinson. Published: 03 March 2016

„Role of the Media in Conflict“, Yll Bajraktari და Christina Parajon The. June 1, 2007.

<https://www.usip.org/publications/2007/06/role-media-conflict> ბოლო ნახვის დრო: 2017 წლის 22 იანვარი.

Johan Galtung (1998); War Journalism; Peace Journalism; ბოლო ნახვის დრო: 2017 წლის 22 იანვარი.

Gitlin, Todd, 1980, **The Whole World is Watching: Mass Media in the Making and Unmaking of the New Left** (Berkeley: University of California Press). ბოლო ნახვის დრო: 2017 წლის 22 იანვარი.

„Peace Journalism and Reporting on the United States“- მკვლევარი: JOHANGALTUNG
<http://web.b.ebscohost.com/ehost/detail/detail?vid=2&sid=e956590d-c95b-49de-bafb-8b2d0e6a3fb4%40sessionmgr120&hid=129&bdata=JnNpdGU9ZWhvc3QtG12ZQ%3d%3d#db=aph&AN=114516799>

„Peace Journalism and Conflict Reporting: The Case of Pakistani Media“ - Mirza Jan და Muhammad Rashid. South Asian Studies. A Research Journal of South Asian Studies. Vol. 26, No. 2, July – December 2011, 311-324 ბოლო ნახვის დრო: 2017 წლის 22 იანვარი.

<http://web.b.ebscohost.com/ehost/detail/detail?vid=5&sid=e956590d-c95b-49de-bafb-8b2d0e6a3fb4%40sessionmgr120&hid=129&bdata=JnNpdGU9ZWhvc3QtG12ZQ%3d%3d#AN=78132937&db=aph>

„A Review of Reporting Conflict: New Directions in Peace Journalism“- JUDY BULLER. Peace Review: A Journal of Social Justice, 23:252–254. ბოლო ნახვის დრო: 2017 წლის 22 იანვარი.

<http://web.b.ebscohost.com/ehost/detail/detail?vid=14&sid=e956590d-c95b-49de-bafb-8b2d0e6a3fb4%40sessionmgr120&hid=129&bdata=JnNpdGU9ZWhvc3QtG12ZQ%3d%3d#AN=61012053&db=aph>

გაერო 2000-2016 წლების ყოველწლიური რეზოლუციები საქართველოს შესახებ. ბოლო
ნახვის დრო: 2017 წლის 24 იანვარი.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი.

ვახტანგი კამკამიძე

პეკინის ოლიმპიადის პოლიტიკური აქცენტები ქართულ
სპორტულ პრესაში

მედიის და მასობრივი კომუნიკაციების კვლევა

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა მაგისტრის
აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად.

ხელმძღვანელი: თსუ-ის ასოცირებული პროფესორი
მაია ტორაძე.

თბილისი 2017წ.

ანოტაცია

ნაშრომის მიზანია, გამოავლინოს პოლიტიკური აქცენტები ქართულ სპორტულ პრესაში 2008 წლის პეკინის ოლიმპიადის მიხედვით.

კვლევა ჩატარდა 2017 წლის იანვრიდან 2017 წლის ივლისამდე. კვლევაში განხილულია სპორტული გაზეთების : „ლელოსა“ და „სარბიელის“ 2008 წლის აგვისტოში გამოსული 50 ნომერი და 2 000 - მდე სტატია.

თეორიულ ჩარჩოდ შერჩეულია ფრეიმინგის თეორია. აღნიშნული თეორია საკვლევ კონტექსტში საშუალებას იძლევა სპორტულ გაზეთებში გამოყენებული პოლიტიკური აქცენტების თუ ფრეიმების პოვნისა, რაზეც შესაძლებელი იქნება ანალიზის გაკეთება. კვლევა ჩატარდა კონტენტანალიზის მეთოდით. ამ მეთოდით სპორტულ პრესაში ძირითადი პოლიტიკური აქცენტების რაოდენობრივი მონაცემების დათვლა, სისტემატიზაცია და კატეგორიებად დაყოფა გახდა შესაძლებელი.

კვლევამ აჩვენა, რომ ომმა განსაკუთრებული როლი ითამაშა სპორტული საკითხების გაშუქების კუთხით. 2008 წლის 8 აგვისტოს დაწყებულმა საომარმა მოქმედებებმა შეცვალა ქართული სპორტული პრესის პოლიტიკა და გახდა უფრო პოლიტიზირებული. შეიქმნა შტაბეჭდილება, თითქოს სპორტულ პრესაში გამოყენებული სარკაზმი რიგ შემთხვევებში სიძულვილის ენამ ჩაანაცვლა. იყო საშიშროება გარკვეული სტერეოტიოპული დამოკიდებულებების ჩამოყალიბებისა და გამყარების. კვლევაში გამოიკვეთა სპორტულ პრესაში პოლიტის შეღწევის მრავალი ფაქტი და მცდელობა. ამასთანავე თვალსაჩინოდ არის მოთხრობილი სპორტული საკითხების გაშუქების სტანდარტის შესახებ. რაზეც ექსპერტების მოსაზრებების შეჯერებით ვგებულობთ. ექსპერტების ჩაწერისას შერჩეული იყო სიღრმისეული ინტერვიუს სტრუქტურული მოდელი.

The Annotation

The annotation The main purpose of the work is to reveal political accents in the Georgian sports press according to the 2008 Beijing Olympics. The survey was taken place from January 2017 to July 2017. The study examines 50 issues and 200 articles published in sports newspapers: "Lelo" and "Sarbiel" in August 2008. The Priming theory was chosen as the frame of theory. The above mentioned theory in the context of the study allows to find political accents or frames used in sports newspapers, which can be analyzed. The survey was carried out using content analysis method. With this method, In the sports press, it was possible to gather quantitative data of major political emphasis, systematization and categorization.

The study showed that the war played a significant role in the coverage of sports issues. The military actions launched on 8 August 2008 changed the policy of Georgian sports press and made it more politicized.

The impression was made that the sarcasm used in sports press has been replaced by hate language in some cases. There was a danger of forming and strengthening certain stereotypical attitudes. The study revealed many facts and attempts to use sports press for political reasons. In addition, the report standards on the coverage of sports issues is clearly visible. Wich is found to be known by experts' joint opinion. Structural model of in-depth interview was selected when recording experts.

სარჩევი:

შესავალი.....	5
1. ისტორიული კონტექსტი	7
2. თეორიული ჩარჩო	8
3. კვლევის დიზაინი	10
4. ლიტერატურის მიმოხილვა	12
5. თვისებრივი კონტენტ ანალიზი	26
5.1 გაზეთი „სარბიელი“ 2008 წლის აგვისტო.....	26
5.2 გაზეთი „ლელო“ 2008 წლის აგვისტო	41
6. რაოდენობრივი კონტენტ ანალიზი	49
6.1 „ლელო“ - ცხრილი N1.....	49
6.2 „სარბიელი“ - ცხრილი N2	50
7. ექსპერტების მოსაზრებები	51
8. დასკვნა	54
9. ბიბლიოგრაფია	56

შესავალი

ისტორიულად სპორტი ყველა იმ კულტურის განუყოფელი ნაწილი იყო, რომელზეც რაიმე გვსმენია. რედ სმითი, რომელიც „ნიუ-იორკ ტაიმზში“ სიცოცხლის ბოლომდე სპორტული სვეტის ხელმძღვანელი იყო ოლიმპიურ თამაშებზე შემდეგი მოსაზრება გამოთქვა: „შემთხვევითი არ არის, რომ ბერძნულ-რომაული კულტურის უდიდესი შემორჩენილი ძეგლი კოლისეუმი - ანტიკური სამყაროს სტადიონი „იანკი“. ამ მოსაზრებით სმითი სპორტისა და კულტურის ერთობლიობაზე საუბრობს, აგრეთვე მან ხაზი გაუსვა ოლიმპიური თამაშების მნიშვნელობას. „ასოშიეტედ პრესი“ ყველაზე მეტ სპორტულ კომენტატორს სწორედ ოლიმპიურ თამაშებზე გზავნის.

ქართველებს განსაკუთრებული სიახლოვე ოლიმპიურ თამაშებთან ჯერ კიდევ იმ დროიდან ჰქონდათ, როდესაც ქართველმა მოქანდაკე გიორგი შხვაცაბაიამ ბრინჯაოს ქანდაკება „მშვიდობის ჩირაღდანი“ ოლიმპიადის ფუძემდებლებს უსახსოვრა. 1992 წელს ძეგლი „მშვიდობის ჩირაღდანი“ ძველ ოლიმპიაში აღიმართა. (ნოდარ გუგუშვილი - „ოლიმპიური ენციკლოპედია“).

2008 წლის პეკინის ოლიმპიური თამაშები კი ქართველი გულშემატკივრის თვალს ჯერაც არ დავიწყებია. აგვისტოს პერიოდში მიმდინარე საომარი მდგომარეობიდან გამომდინარე, სპორტის მოყვარული ქომაგი ოლიმპიადის მიმდინარეობაზე ინფორმაციას, ძირითადად, გაზეთიდან ეცნობოდა. გთავაზობთ 2008 წლის აგვისტოს გამოშვებების თვისებრივ კონტენტ ანალიზს ქართულ სპორტულ პრესაში. გამომდინარე იქიდან, რომ ყოველდღიური ქართული სპორტული გაზეთები ძირითადად ნიუსური ხასიათისაა, დაკვირვებისთვის ავიღე ორი ვრცელი გამოშვება: „სარბიელი“ და „ლელო“. ორივეს ფასი 50 თეთრი იყო 2008 წელს და ორივე გაზეთი კვირა დღის გარდა იბეჭდებოდა ყოველდღიურად. ვინაიდან გაზეთის ფასი საქართველოში მაცხოვრებელი ადამიანისთვის მისაღები იყო და ორივე გაზეთი გამოირჩეოდა სტატიების ანალიტიკური გარჩევით და ამავდროულად მათი სიუხვით, ჩნდება ლოგიკური ვარაუდის საფუძველი, რომ სპორტის მოყვარული გულშემატკივარი სიღრმისეულ ინფორმაციას სპორტზე სწორედ ამ ორი გაზეთის მეშვეობით

მიიღებდა და არა სხვა სპორტული გაზეთებიდან, რომელთა ფასიც როგორც მინიმუმ არ ჩამოუვარდება ზემოთ ხსენებული გაზეთების ფასს.

1. ისტორიული კონტექსტი

თანამედროვეობის პირველი ოლიმპიური თამაშები 1896 წელს ჩატარდა. თურქეთისგან ახლად გათავისუფლებულ საბერძნეთს კვლავ სურდა ძველი დიდების დაბრუნება. ამაში მას რუმინეთში მცხოვრები ბერძენი მილიონერი ევანგელოს ცაპასი დაეხმარა. ცაპასმა საბერძნეთის ხელისუფლებას 600 000 დრაჰმა გადაუხადა, რათა თანამედროვეობის პირველი ოლიმპიური თამაშები ჩატარებინა. საბერძნეთის ხელისუფლებამ კარგად განსაზღვრა ოლიმპიური თამაშების მნიშვნელობა და კვლავ დაუბრუნა საკუთარ ქვეყანას ძველი დიდება და სახელი მსოფლიოში. („ოლიმპური ენციკლოპედია“ - ავტორ-შემდეგენელი ნოდარ გუგუშვილი)

ოლიმპიური თამაშები რომ დიდი მნიშვნელობის მატარებელია, ამაზე უკვე ვისაუბრეთ. გამოვყოფდი საქართველოსთვის განსაკუთრებული მნიშვნელობის ოლიმპიადას, რომელიც 2008 წლის ზაფხულში ჩინეთის დედაქალაქ პეკინში ჩატარდა. ეს ოლიმპიადა საინტერესოა იმიტომ, რომ მისი დაწყების თარიღი 8 აგვისტო საქართველო-რუსეთის ომის დაწყების თარიღს ემთხვევა. ქართველ ოლიმპიელებს მძიმე სოციალური ფონის მიუხედავად თავის ხელში აყვანა და საკუთარი ქვეყნის ღირსების დაცვა ევალებოდათ.

ოლიმპიადაზე საქართველოს 35-მა სპორტსმენმა სპორტის 11 სახეობაში მიიღო მონაწილეობა და 6 მედალი მოიპოვა. ოლიმპიადაზე 204 მონაწილე ქვეყნიდან საქართველომ 27-ე ადგილი დაიკავა. გამომდინარე იქიდან, რომ აღნიშნული ოლიმპიადის დაწყების თარიღი საქართველო-რუსეთის საომარი სიტუაციების დაწყების თარიღს დაემთხვა (8 აგვისტო), საინტერესოა, ქართულ სპორტულ ბეჭდურ მედიაში შეინიშნებოდა თუ არა პოლიტიკური აქცენტები ოლიმპიადაზე წერისას.

2. თეორიული ჩარჩო

გამომდინარე იქიდან, რომ ჩემი კვლევა პოლიტიკურ აქცენტებთან არის დაკავშირებული, რომელიც მკითხველზე გავლენის მომხდენი შეიძლება აღმოჩნდეს, ამიტომ, კვლევის მთავარ მეთოდად ფრეიმინგის თეორიას ვირჩევ. ხშირად ფრეიმებს დაფარულად გადააქვთ ინფორმაცია, ხშირად კი პირიქითაც ხდება, როდესაც შეგნებულად ხდება ამა თუ მ ფრეიმის შერჩევა და საზოგადოებამდე გამიზნულად მიწოდება.

ფრეიმინგის ეფექტი წინასწარი კონტექსტის გავლენას გულისხმობს აღქმისა და შეცნობის სისწრაფეზე. ფრეიმინგი მედიაზემოქმედების მეცნიერული შესწავლის პოპულარული მიმართულებაა. მას შეუძლია წინასწარ განსაზღვოს ადამიანის ქცევა. მისი ზემოქმედების შედეგად შესაძლებელია, ინდივიდმა გარკვეული ქმედება ჩაიდინოს. მკვლევარები ფრეიმინგის ეფექტზე საუბრობენ, როგორც მასმედიის ზემოქმედების ერთ-ერთ რეალურ ასპექტზე. („ჟურნალისტიკა“- მარინე ვეკუა; ჟილ რუე გვ.119).

ფრეიმინგი მიუთითებს, იმაზე თუ როგორ არის სტრუქტურირებული საკითხები და მოვლენები და რა შინაარსობრივი დატვირთვა ენიჭება მათ. (Reese, 2007). როგორც (Tuchman, 1978) ამტკიცებდა ჟურნალისტები გაუთვითნობიერებლად ქმნიან ფრეიმებს ამბების გადმოცემისა და მათი საზოგადოების მიერ განსახილველ მოვლენად გარდაქმნის დროს. გარკვეულ საკითხს ფრეიმები კონკრეტულ მნიშვნელობას სძენენ ინტერპრეტაციის, ხაზგასმის და გამორიცხვის მეთოდებით. (Carragee&Roefs, 2004). როგორც ენთმანი განმარტავს ფრეიმინგის ორი დონე არსებობს : გონებაში გამჯდარი პრინციპები და ახალი ამბების ტექსტის პარამეტრები. (Entman,1991). ინფორმაციის მომზადებისა და მისი საზოგადოებისთვის მიწოდების პროცესში ფრეიმინგის მეთოდით ჟურნალისტები არჩევენ და განსაკუთრებით ხაზგასმით გამოყოფენ იმ მოვლენებს, რომელზეც სურთ ყურადღება გაამახვილებინონ აუდიტორიას.

ნებისმიერი მოვლენის გაშუქება და ნებისმიერ მოვლენაზე თხრობა შესაძლებელია მასზე ფოკუსირების გზით. ფრეიმის ნიშნავს ადამიანის ინდივიდუალური გამოცდილების ორგანიზებას. (Media Effects- Jennings Bryant and Mary Beth Oliver)

<https://ru.scribd.com/doc/248068767/Jennings-Bryant-Mary-Beth-Oliver-Media-Effects-Advances-in-Theory-and-Research-2009>

3. კვლევის დიზაინი

ჩემი კვლევისთვის მთავარი კითხვები არის :

როგორ აშუქებენ ოლიმპიადას ქართულ სპორტულ პრესაში?

სპორტული საკითხების გაშუქების პროცესში რა გავლენას ახდენს საომარი ვითარება ქვეყანაში ?

ჰიპოთეზა :

გამომდინარე იქიდან, რომ საქართველოს მიმართ არაკეთილგანწყობილი ქვეყნები ხშირად სარკაზმულად მოიხსენიება ქართულ სპორტულ პრესაში, წესით, 2008 წლის 8 აგვისტოს შემდგომ ქართულ სპორტულ პრესაში უნდა ველოდოთ მწვავე პოლიტიკურ აქცენტებს, ვინაიდან 8 აგვისტოს პეკინის ოლიმპიადასთან ერთად საქართველო-რუსეთს შორის ომი დაიწყო.

კვლევის მიზანია ქართულ სპორტულ პერიოდულ პრესაში ანალიზი ჩაატაროს 2008 წლის აგვისტოს პერიოდში მოძიებული მასალების მიხედვით. საინტერესოა, ახერხებდნენ თუ არა ჟურნალისტები მძიმე სოციალური ფონის მიუხედავად პროფესიონალიზმის შენარჩუნებას, თუ იყო პოლიტიკური აქცენტები სპორტზე წერისას. ამის გასარკვევად დაკვირვების ობიექტად ვიღებ ორ ვრცელ სპორტულ გამოშვებას. კვლევის დაკვირვების საგანი იქნება სპორტული გაზეთი „ლელო“ და ამავე ხასიათის მქონე გამოშვება „სარბიელი“. აღნიშნული სპორტული გამოშვებები შეირჩა იმის გათვალისწინებით, რომ მათ აქვთ უპირატესობა სტატიების რაოდენობის მიხედვით სხვა ქართულ სპორტულ გამოშვებთან შედარებით . ამასთანავე აქ სტატიები სიღრმისეულადაა განხილული და თითოეულ სპორტულ ასპექტზე გვხვდება ანალიზი.

გამომდინარე იქიდან, რომ ქართველები ემოციურ ადამიანებად მოიაზრებიან, საინტერესოა, ასეთ პერიოდულ სპორტულ პრესაში მომუშავე

ადამიანები ახერხებდნენ თუ არა 2008 წლის უმძიმეს პერიოდში კონცენტრაციის მთლიანად სპორტზე გადატანას.

კვლევის ამოცანების შესასრულებლად საჭირო გახდა გარკვეული მეთოდოლოგიების გამოყენება. მოძიებულ მასალებზე დაკვირვება შესაძლებელი გახდა ფრეიმინგის თეორიის მიხედვით. თვისებრივი კონტენტ ანალიზის საშუალებით კი კვლევისთვის მნიშვნელოვან დეტალებს გაუკეთდა ანალიზი. რაოდენობრივმა კონტენტ ანალიზმა საშუალება მომცა დათვლადი გამეხადა სტატიების რაოდენობასთან მიმართებით რამდენ პროცენტს შეადგენდა პოლიტიკური ხასიათის სტატიები 2008 წლის აგვისტოს თვეში. ხოლო ჩატარებულმა სტრუქტურულმა სიღრმისეულმა ინტერვიუმ გამოავლინა სპორტული საკითხების გაშუქების ექსპერტთა განსხვავებული მოსაზრებები. ლიტერატურის მიმოხილვით კი აქამდე ჩატარებულ მსგავს თემატიკას გაუკეთდა ანალიზი ისტორიულ კონტექსტში.

კვლევისთვის გამოკითხული ექსპერტები სპორტული საკითხების გაშუქებით წლებია დაკავებულნი არიან. შერჩეული ექსპერტები წარმოადგენენ როგორც სპორტულ პრესას, აგრეთვე ტელევიზიას, რადიოს და ინტერნეტ გამოშვებებს. ვფიქრობ ეს მრავალფეროვნება კვლევით დაინტერესებული საზოგადოებისთვის მნიშვნელოვანია, რადგან ფართო წარმოდგენას შეუქმნის მკითხველს.

4. ლიტერატურის მიმოხილვა

1996 წელს სპორტული პრესის საერთაშორისო ასოციაციის პრეზიდენტი თოგაი ბაიათლი თბილისს ესტუმრა. მან ისაუბრა საერთაშორისო სპორტული მოვლენების სრულყოფილად გაშუქების მნისვნელობაზე. მისი თქმით საქართველო კავკასიის სამ სახელმწიფოს შორის ყველაზე კარგად მუშაობს სპორტული ჟურნალისტიკის სფეროში. სწორედ ამიტომ, იმ დროისათვის სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციის პრეზიდენტს- ელგუჯა ბერიშვილს სპორტული პრესის საერთაშორისო ასოციაციის კოორდინატორობა დაევა კავკასიის და შუა აზიის ქვეყნებზე. (ალეკო ცქიტიშვილი. გაზეთი „რეზონანსი“ 1996წ. 20-21 იანვარი.)

საქართველოს მედიაწრეებში გავრცელებული ინფორმაცია, რომ სპორტული ჟურნალისტიკა ყველაზე მეტადაა თავისუფალი სახელისუფლებო თუ სხვა სახის გავლენებისგან. შესაბამისად, უფრო პროფესიონალური, მძაფრი და სამართლიანია. ქართულ სპორტულ პრესაში იკვეთება ორი ძირითადი პრობლემა : ქსენოფობია და რუსოფობია. მაგალითად, როდესაც ალან მაგოევის შემენით მადრიდის „რეალი“ დაინტერესდა, ქართულმა სპორტულმა მედიამ ღია წერილი მიწერა სამეფო კლუბის ხელმძღვანელობას - ეგ ოსი სეპარატისტი „რეალში“ როგორ უნდა თამაშობდეს, ან რუსს რა უნდა ესპანეთის უპირველეს კლუბშიო. შემდგომ უკვე გასაგები ხდება, რატომ მოიხსენიებენ რუსეთში მოსკოვის „სპარტაკის“ ქართველ ფეხბურთელს ჯანო ანანიძეს მხოლოდ სახელით. იყო დრო, როდესაც ქართულსმა სპორტულმა მედიამ გალის გუნდის გამარჯვების სედეგად წარმოქმნილი ინციდენტი იმდენად გააბუჟა, რომ თბილისში ხალხს რამდენიმე დღე ეგონა, სტადიონზე ქართველები დახოცეს. ეს იყო გადაუმოწმებლად გაშვებული ინფორმაცია და ჟურნალისტების ზერელე მიდგომა პროფესიულ საკითხთან. ერთ-ერთმა ქართველმა ჟურნალისტმა სამუელ ეტოოზე დაწერა - „ამ ფეხბურთელს რომ ვუყურებ, დარვინის თეორია ადამიანის მაიმუნისგან წარმოშობის შესახებ სიმართლე მგონიაო.“ მოყვანილი

მაგალითები ადასტურებს აზრს, ქართული სპორტული მედიის ზედაპირულობასა და ქსენოფობიაზე. (რომან აფაქიძე. ჟურნალი „ათიანი“ 2010წ)

2017 წელს სპორტული მედია გიგანტი „იესპიენი“ დადანაშაულებულ იქნა პოლიტიკურ სიმპათიებში . მას შემდეგ რაც იესპიენმა გამოაცხადა ფართო დათხოვნა სამსახურიდან იმ ადამიანების რომლების დიდი ხნის განმავლობაში მუშაობდნენ , მაყურებლის ნაწილმა მომხდარ ფაქტს კულტურული დაყოფის და მსოფლიოში არსებული ღირებულებების შელახვით რეფლექსია უწოდა

And ESPN has had no shortage of political story lines to explore lately, after quarterback Colin Kaepernick knelt during the national anthem in protest of what he saw as widespread American racism, the United States women’s soccer team and women’s hockey team raised issues of equal pay in labor disputes, and several members of the New England Patriots declined an invitation to the White House.

In some cases, ESPN has been accused of putting a thumb on the scale of social debates that are not settled. A galvanizing incident for critics was Caitlyn Jenner’s winning the Arthur Ashe Courage Award at the ESPYs, ESPN’s annual award show, in 2015, after Ms. Jenner, an Olympic gold medalist in the decathlon, announced she was transgender.

დონალდ ტრამპის გაპრეზიდენტების შემდგომ , ზოგი კონსერვატორი ამერიკის შერთებულ შტატებში სპორტულ მეინსტრიმ მედიას ანტი ტრამპის და ასევე მემარცხენე-ლიბერალური დისკურსის გამტარობაში ადანაშაულებენ . რამდენი სპორტული ჟურნალისტი გინახავთ ტვიტერზე რომელიც ტრამპს იცავს ? მე არცერთი . დარწმუნებული ვარ , არიან რამდენიმე ჟურნალისტი მეინტრიმ მედიის გარეთ , რომლებმაც ხმა მას მისცეს , მაგრამ დიდი წნეხის გამო საჯაროდ არ გამოაქვთ.
<https://theringer.com/how-sportswriting-became-a-liberal-profession-dc7123a5caba>

მაგალითად იესპიენს და მისი ლიბერალურ განხადებებს აკრიტიკებენ. „რატომ გახდა იესპიენი მემარცხენე და გადასცა ჯილდო ქეთლინ ჯენნერს რო გახდა ქალი, ზეიმით

აღნიშნავდა მაიქლ სემის ვაჟკაცობას რომელმაც ქამინგ აუთი გააკეთა რომ ის გეია ,თითქოს ის იყოს თანამედროვე ჯგევი რობინსონი და ამ ყველაფერს აშუქებდა კოლინ კაეპერნიკი თითქოს ის იყო თანამედროვეობის როზა პარქსი ?“ - ფოქს სპორტის კოლუმნისტი კლეი ტრევისი თავის ბლოგზე <https://www.outkickthecoverage.com/espn-moves-left-wing-so-ceo-can-run-for-president-032917/> „იყო დრო როდესაც თუ შენ აქვეყნებდი თავის ლიბერალურ შეხედულებებს რასაზე, კლასზე ,გედერზე და შრომით პოლიტიკაზე ხდებოდა დუბლირებული სოციოლოგი . დღევანდელ დღეს ,მსგავსი შეხედულებები გახდა როგორც სამსახური .“ „ დღეს ერთგვარი სოციალური ხარკი გაქვს გადასახდელი შენი კონსერვატორობისთვის. „- აცხადებს The Ringer ედიტორი ბრაიან კურტისი <https://www.theguardian.com/sport/blog/2017/apr/06/sports-media-left-wing-politics-espn-fox-sports>

„ თუ შენ სპორტს უდგები როგორც თვითმყოფად სამყაროს , რომელსაც დანარჩენი სამყაროსგან გამდგარია შენ აუცილებლად კონსერვატორის იარლიყს გაკერებენ „ კრეიგ კალკატერა NBC - ის ჟურნალისტი <https://theringer.com/how-sportswriting-became-a-liberal-profession-dc7123a5caba>

Alan Tomlinson, Christopher Young 2006 წლის კვლევაში „ეროვნული იდენტურობა და გლობალური სპორტული ღონისძიებები: კულტურა, პოლიტიკა და სპექტაკლი ოლიმპიურ თამაშებსა და ფეხბურთის მსოფლიო თასზე“ საუბრობენ უდიდესი სპორტული ღონისძიებების მნიშვნელობაზე. ავტორებმა შეისწავლეს ოლიმპიური თამაშებისა და ფეხბურთის მსოფლიო ჩემპიონატის პოლიტიკური, იდეოლოგიური, ეკონომიკური და კულტურული გავლენები. ისინი საუბრობენ ამ ორი უდიდესი მნიშვნელობის სპორტულ ღონისძიებაზე, რომელთა როლი დღითიდღე უფრო მზარდი ხდება. ამ ღონისძიებებზე ეროვნული იდენტობათა გრძნობები მეტად ძლიერდება პოლიტიკური იდეოლოგიის გათვალისწინებით. რაც შეეხება ჩემპიონატის გახსნის ცერემონიალს, ის ასახავს მასპინძელი ქვეყნის კულტურას და გახსნას მსოფლიოს ნებისმიერ ქვეყანაში უდიდესი მნიშვნელობა გააჩნია. ავტორების თქმით მედიას

საზოგადოება ქმნის, შესაბამისად მედია ვალდებულია მათ ემსახუროს და დაიცვას თითოეული გულშემატკივრის ინტერესები.

<http://libgen.io/book/index.php?md5=C90EE5EAE4616BADA2F228FFFAECE26F>

Dave zirin-ის წიგნი „სპორტული საზოგადოების ისტორია ამერიკის შეერთებულ შტატებში“ ეხება 250 წლიან პოლიტიკას ბული-ლოდინიდან ბარი ბონდამდე. ავტორის აზრით სპორტი არასდროს არ არის მხოლოდ თამაში, ის აგრეთვე ასახვასაც გულისხმობს და პოლიტიკური კონფლიქტების აკრძალვას მოითხოვს სპორტში . ეს ის პოლიტიკური კონფლიქტებია, რომლებიც საბოლოო ჯამში ამერიკულ საზოგადოებას ქმნის. წიგნში მოყვანილია მაგალითი იმის შესახებ თუ რა მწვავე შედეგის მომტანია პოლიტიკის ჩარევა სპორტში. დეპრესიის მძვინვარების შუაგულში ა.შ.შ-ის ოლიმპიური ნაკრების თითქმის ყველა შავკანიანი სპორტსმენი არ იყო დაშვებული ოლიმპიადაზე. სპორტსმენებმა გამართეს Counter Olympics, სადაც მონაწილეთაგან მესამე იყო აფრიკული წარმოშობის ამერიკელი. ავტორი სპორტის გაშუქებისასაც მოითხოვს პოლიტიკური საკითხების აკრძალვას, ვინაიდან სპორტი სპეციფიკური სფეროა, რომელსაც შესაბამისი სეგმენტი კითხულობს. ავტორი გვპირდება, რომ წიგნის წაკითხვის შემდგომ იმავე თვალთ ვედარასოდეს შევხედავთ სპორტს, რა თვალთაც ამ წიგნის წაკითხვამდე ვუყურებდით.

<http://gen.lib.rus.ec/book/index.php?md5=D0ABA515FE1043B21F75E421FE2B87C5>

პროფესორი Jeffrey Montez de oca თავის 2013 წლის ნაშრომში „დისციპლინა და ინდულგენცია : ცივი ომის დროს კოლეჯის ფეხბურთი, მედია და ამერიკული გზა“ საუბრობს ცივი ომის საწყის 1947-1964 წლების პერიოდზე. ჯეფრი მონტე-დე ოკა ნაშრომში საუბრობს კოლეჯის ფეხბურთის, როგორც იმ დროისათვის განსაკუთრებულად პოპულარული კულტურის შესახებ. ავტორის თქმით ამერიკის

შეერთებულ შტატებში კოლეჯის ფეხბურთი შეიქმნა ეთიკურ სივრცეში, პატრიოტული მოტივით. აქ მამაკაცებს შეეძლოთ წარმოედგინათ თავი, როგორც საკუთარი მოქალაქეების ცივი ომის სახელმწიფო. ცივი ომის მედიაზე დაკვირვებით ინკლუზიური და დისციპლინური შეფასებით ჩნდება სპორტის, უმაღლესი განათლების, მედიისა და მილიტარიზმის პერიოდული ინსტიტუციური კავშირები. რაც თავის მხრივ ბადებს საფუძვლიან ეჭვს და შემდგომ უკვე ადასტურებს კავშირებს დღევანდელ ტერორიზმსა და თანამედროვე სპორტულ მედიას შორის. ავტორმა საბოლოო ჯამში მაინც ამხილა სპორტული მედიის კავშირები პოლიტიკურ მხარესთან და ამით გამოწვეულ შესაძლო საფრთხეებზეც ისაუბრა.

<http://gen.lib.rus.ec/book/index.php?md5=9FA694C35E01DF8F539F8AB88F59F83E>

Tom Evans, Petros Iosifidis და Paul Smith 2013 წელს აქვეყნებენ კვლევას სახელწოდებით: „ტელევიზიის სპორტის უფლებათა პოლიტიკური ეკონომიკა“. ნაშრომში საუბარია არა სპორტისა და პოლიტიკის საკითხების შესახებ ცალ-ცალკე, არამედ ტელევიზიის სპორტულ პოლიტიკაზე. ავტორები ხსნიან სპორტის სოციალურ და პოლიტიკურ ღირებულებებს და მოგვითხრობენ უფასო საჰაერო სპორტული მაუწყებლობის მნიშვნელობაზე. ძირითადი სპორტული ღონისძიებების ხელმისაწვდომობის დებულების განხილვის შემდეგ მკვლევარები ცალკე თავად განიხილავენ სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკას, რაც Chardi-სა და Mhiripiri-ის საერთო ნაშრომშიც ვრცლადაა გადმოცემული.

<http://gen.lib.rus.ec/book/index.php?md5=329EF099A8B78F8E588FB8D14D6E88D3>

Tendai Chardi და Nhamo A. Mhiripiri 2014 წლის კვლევაში : „აფრიკული ფეხბურთი, იდენტობის პოლიტიკა და გლობალური მედიის ნარატივები: 2010 წლის ფიფას მსოფლიო ჩემპიონატი“ საუბრობენ როგორც მსოფლიო ჩემპიონატის, ასევე აფრიკაში ამ ჩემპიონატის ჩატარების მნიშვნელობაზე. ავტორებმა განიხილეს, ის იდენტობის პოლიტიკა, რომლის მიხედვითაც აფრიკელი ერი დასაბამიდან დღემდე შრომასა და მონობაში იყო და 2010 წლის მსოფლიო ჩემპიონატმა მათ მისცა კარგი საფუძველი

მსოფლიოს თვალში წარმოჩენილიყო საკუთარი კულტურითა და იდენტობით. საფეხბურთო ტრიბუნა მათი გამოხატვის თავისუფლების საშუალებად იქცა და ფეხბურთის ქომავს აფრიკის 2010 წლის მსოფლიო ჩემპიონატმა აფრიკული „ვუვუზელა“-თიც დაამახსოვრა თავი, რომლის მსგავსი აქამდე არსად ეხილათ. ნაშრომში განხილულია იმ პერიოდის ევროპული მედიის დამოკიდებულებები და აფრიკული მედიის, კერძოდ ნიგერიისა და სამხრეთ აფრიკის თავისებურებები. სამხრეთ აფრიკაში მედია ორად იყო გახლეჩილი, ხოლო ევროპული გამოშვებები ლმობიერებით გამოირჩეოდნენ მსოფლიო ჩემპიონატის აფრიკაში ჩატარების საკითხით. ეს ის შემთხვევა იყო, როდესაც პოლიტიკის გარკვეული დოზით ჩარევამ სპორტში დადებითი კვალი დაამჩნია როგორც ფეხბურთს, ასევე აფრიკელ ხალხს, რომელსაც დაეხმარა იდენტობის პოლიტიკის გატარებაში.

<http://gen.lib.rus.ec/book/index.php?md5=52F8577082430B4F753303E776D4609E>

Harris და Luke 2015 წლის კვლევას აქვეყნებენ სახელწოდებით „ბრიტანეთი და ოლიმპიური თამაშები, 1908-1920: პერსპექტივები მონაწილეობისა და თვითმყოფადობის შესახებ“. კვლევაში აღწერლია ლონდონის 1908, სტოკჰოლმის 1912, ბერლინის 1916 და ანტვერპენის 1920 წლის ოლიმპიადები და ბრიტანეთის მისწრაფებები ჩამოთვლილ ოლიმპიურ თამაშებზე. განსაკუთრების საინტერესო აღმოჩნდა მიტოვებული ბერლინის 1916 წლის ოლიმპიადის აღწერა. როგორც ჩანს სპორტული ბეჭდური მედია ვერ გაეცა გარკვეული სახის პოლიტიკურ დამოკიდებულებებს. სწორედ ბეჭდური მედიის მიერ გამოკვლეულ წყაროებზე დაყრდნობით ავტორებმა წარმოადგინეს მოსაზრებები, რომლებიც ეხება ინგლისის, შოტლანდის, უელსისა და ირლანდიის სურვილებს, რომლებიც ასახავს ბრიტანეთის როგორც სპორტულ, ასევე პოლიტიკურ შეხედულებას გერმანიაზე. აღნიშნული ეპოქის დროს დიდი სამხედრო დაპირისპირების ფონზე, ერობნული თვითმყოფადობისთვის ბრძოლა აისახა ქვეყნის სპორტულ მისწრაფებებზეც. როგორც გამოჩნდა ომმა უდიდესი როლი ითამაშა ქვეყნის სპორტულ პერსპექტივებზე. მან მხოლოდ სპორტში კი არ შეაღწია, არამედ სპორტულ ბეჭდურ მედიაშიც კი იპოვა ადგილი.

<http://gen.lib.rus.ec/book/index.php?md5=C91E29023F69F4F4EB0C89847C0BBB8D>

Barri Houlihan ავტორია 2005 წლის ნაშრომის „ელიტარული სპორტის განვითარების პოლიტიკის შემუშავება და პოლიტიკური პრიორიტეტები“. სადაც ის განიხილავს ელიტარული სპორტის განვითარების პოლიტიკას და სხვა მნიშვნელოვან სპორტულ პოლიტიკური საკითხებს. ავტორი სპორტულ ელიტარულ მიღწევებთან დაკავშირებულ პრობლემებსა და დაპირისპირებებზე საუბრობს. მას აინტერესებს თუ რატომ უჭირთ მთავრობებს ელიტარულ სპორტში ინვესტიციის ჩადება. საკითხი მნიშვნელოვანია, გამომდინარე იქიდან, რომ პრიორიტეტული დაფინანსებისთვის ხდება ინდივიდუალური სპორტის სახეობის შერჩევა, მაგალითად: სავლე მძლეოსნობა ან ნაოსნობა. პოლიტიკური შეხედულებების მიხედვით, გავლენის ქვეშ ექცევა სპორტი, რომლის გარკვეული ასპექტი ზარალდება, გარკვეული ნაწილი კი სარგებელს იღებს აქტიური პოლიტიკური ჩარევის შედეგად.

<http://gen.lib.rus.ec/book/index.php?md5=7A875693E9D9DD526B727A06D0DB1F3A>

Eididh Macrae 2016 წლის ნაშრომში „ვარჯიში ქალთა სიცოცხლის ციკლში ბრიტანეთის 1930-1970 წლების მიხედვით“ განიხილავს სპორტის როლს ქალთა ცხოვრებაში. კვლევაში ნაჩვენებია გენდერული ბარიერები, რამაც გარკვეული გავლენა მოახდინეს ქალთა სპორტულ ცხოვრებაზე. „სპორტული“ ქალები გამუდმებით ცდილობენ საკუთარი სპორტული იდენტურობის შენარჩუნებას. კვლევამ აჩვენა, რომ ფიზიკურად და სოციალურად ძლიერი ქალები ბევრად უფრო წარმატებულები არიან, მათ სპორტი ეხლმარებათ საზოგადოებაში კომფორტული იმიჯის შესანარჩუნებლად და მთლიანობაში მათი სიცოცხლის ციკლი აყალიბებს ახალ ასპექტს, ქალთა გამოცდილებას.

<http://gen.lib.rus.ec/book/index.php?md5=E78CDA6F605CC9DA5E889744F2374444>

Andrei S. Markovits, Lars Rensmann 2010 წელს აქვეყნებენ ნაშრომს „სათამაშო მსოფლიო: როგორ გარდაიქმნება სპორტი პოლიტიკასა და კულტურაში“. ავტორები წერენ სპორტის გავრცელების გავლენაზე, თუ როგორ იჭრება სპორტი გულშემატკივრის ცხოვრებაში და როგორ ამყარებს თითოეულის ცხოვრებაში კოსმოპოლიტურ სამყაროს. სპორტი 21-ე საუკუნეში საერთო, მამოძრავებელ ძალა გახდა, რომელიც ნებისმიერი ეროვნების ადამიანს შეუძლია გაიგოს. ამის გაგებაში გულშემატკივარს სპორტული ჟურნალისტი ეხმარება, რომლის კერძო ინტერესები უცნობი უნდა დარჩეს ქომაგისთვის.

<http://gen.lib.rus.ec/book/index.php?md5=71F223E9DE5834667B4332FA63325EC8>

„გერმანიის სპორტის, დოპინგისა და პოლიტიკის: შესრულების გაფართოების ისტორია“ - ამ სახელწოდებით 2015 წელს Becker, Christian, Kruger, Michael, Nielson, Stefan აქვეყნებენ საერთო ნაშრომს. კვლევაში განხილულია ცივი ომის ეპოქაში დოპინგის მოხმარების საკითხები. ცივი ომის ეპოქაში, სპორტი არა მხოლოდ ერის სახელმწიფოსა და ძალაუფლების სიმბოლო იყო, არამედ პოლიტიკის ზოგიერთ იდეოლოგიურ სისტემას წარმოადგენდა. აღმოსავლეთმცოდნეობის წარმატებებით, ბევრი აღმოსავლეთ გერმანიის სპორტსმენს მიეცა ანაბოლური სტეროიდები საკუთარი ქვეყნის სპორტის ფედერაციის მიერ. დოპინგის პროცესში გერმანიაში 1990 წლამდე გერმანიის მედიის მიერ გამოვლენილი დოპინგის გამონათქვამები სპორტისა და პოლიტიკის გაერთიანებაზე ხშირი იყო. რაზეც პასუხების შემდეგ პარლამენტმა ვეტო დაადო. რითაც დააცალკევა ერთმანეთისგან სპორტი და პოლიტიკა.

<http://gen.lib.rus.ec/book/index.php?md5=21306EF6E4D50B14221937409F1A3862>

Roger Mosey კვლევაში „ცოცხალი სიმართლე: ახალი ამბები, სპორტი და პოლიტიკა BBC- ზე“ მეტად მნიშვნელოვან ასპექტს შეეხო. Mosey იყო რადიო „4-ის“ რედაქტორი 2012 წლის ლონდონის ოლიმპიური თამაშების ტრანსლაციისა. ავტორი არხის წუნზე საუბრისას მთავარ პრობლემად მიკერძოებულ, სწორხაზოვან გაცხადებებს ასახელებს. რაც აზარალებს სპორტის გულშემატკივრის ინტერესებს.

<http://gen.lib.rus.ec/book/index.php?md5=1B920ADEEDF8E58D96EE05C33ABB6E4C>

Helen Henskyj „ოლიმპიური მრეწველობის შიგნით: ძალა, პოლიტიკა და აქტივობა“ წერს ოლიმპიური მრეწველობის პერიოდსა და მედიის კონკურენციაზე. მკვლევარმა იკვლია ოლიმპიადის ბოლო მასპინძელი ქალაქებისგან ქრთამის საკითხები. მაშინ როდესაც კონკურენცია წმინდა პოლიტიკურ ჭრილში იყო ჩაერთო მედია საქმეში, რამაც უკვე გაზარდა საფრთხეები. დაპირისპირებაში ავტორმა ერთ-ერთი მთავარი როლი სწორედ მასობრივ საშუალებებს მიაკუთვნა.

<http://gen.lib.rus.ec/book/index.php?md5=654A3CBB0424020A6F046F1434304B0F>

„სპორტი და სხეულის პოლიტიკა იაპონიაში“ - ამ სათაურით აქვეყნებს 2013 წელს ნაშრომს Wolfram Manzenreiter. კვლევა ეხება იაპონიაში სოციალური სპორტის შესწავლას, რომელიც მოიცავს სხეულის კულტურას, პოლიტიკურ ეკონომიკას და პატივს ცემს სპორტის მაყურებლის ინტერესებს. მაყურებლის ინტერესების დაკმაყოფილება კი მედიასაშუალებებით მიიღწევა. მკვლევარი საუბრობს სპორტზე, როგორც მრავლის მომცველ ერთეულზე და ამავე დროს ყურადღებას ამახვილებს იმაზე, რომ არ დაზარალდეს გულშემატკივრის ინტერესები სპორტული საკითხების გაშუქებისას.

<http://gen.lib.rus.ec/book/index.php?md5=42DDFDFC7B23EBA161617EBAAB50CC>

Pierre Arnaud კვლევით „სპორტი და საერთაშორისო პოლიტიკა: ფაშიზმისა და კომუნიზმის გავლენა სპორტზე“ მნიშვნელოვან საკითხებს ეხება. ავტორი მოცემული კვლევით ახალ საკითხებს წამოჭრის. ფაშისტური და კომუნისტური ინსტიტუტების მიერ სპორტის ჩამოყალიბება განხილულია, როგორც პროპაგანდისტული და ფსიქოლოგიური ზეწოლის ძირითადი პოლიტიკური იარაღი.

სპორტი, როდესაც თავის საზღვრებს სცდება, შესაძლოა, მსგავსი ბინძური იარაღი გახდეს ნებისმიერ დროს, ნებისმიერ ეტაპზე. მნიშვნელოვანია სპორტისა და პოლიტიკის ერთმანეთისგან გამიჯვნა, რათა არ მოხდეს მსგავსი აღრევა ინტერესებისა. რაც შეეხება სპორტულ მედიას, ის ყოველთვის უნდა ეცადოს დარჩეს „საკუთარ კანში“

და არ გადავიდეს პოლიტიკურ ჭრილში, თორემ დიდია საშიშროება იმისა, რომ თავად მედია გახდეს წამქეზებელი მაყურებლის თვალში.

<http://gen.lib.rus.ec/book/index.php?md5=AE5AB5A8014059A7D13E564D1C0E6F08>

Charles Santo, Gerard Mildner „სპორტი და საჯარო პოლიტიკა: სოციალური, პოლიტიკური და ეკონომიკური პერსპექტივები“ საუბრობენ სპორტული მოვლენების გავლენაზე საზოგადოებაში. მის მრავალფეროვნებასა და მნიშვნელობაზე. ავტორების დაკირვებით სპორტი გავლენას ახდენს პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სოციალურ პერსპექტივებზე როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის ფარგლებს გარეთ. ნასრომში შესულია თავი, რომელიც ეხება საკითხს, თუ როგორ უნდა განიხილოს პროფესიულ სპორტთან და საჯარო პოლიტიკასთან დაკავშირებული საკითხები.

არსებობს უხილავი კავშირი სპორტსა და საზოგადოებას შორის, ხოლო ამ კავშირის დარღვევა პოლიტიკური ჩარევის შედეგადაც ვერ ხორციელდება. მოყვანილია მაგალითი, რომელიც გვიცვენებს ბეისბოლში აფრიკული წარმოშობის ამერიკელების რიცხვის შემცირებას. ესაა პოლიტიკის სპორტში ჩარევის კიდევ ერთი დამადასტურებელი ფაქტი. საზოგადოებას თავად უნდა მიეცეს გააკეთოს თავისუფალი არჩევანი ვინ სურს იხილოს სპორტის დიდ ეკრანზე და ვის უგულშემატკივროს. პირიქით, როდესაც სპორტი ერევა პოლიტიკაში, ის დადებით კვალს ტოვებს მხოლოდ. მაგალითად, ოლიმპიური თამაშების ჩატარება მსოფლიო ეკონომიკას მნიშვნელოვან წინსვლას უქადის და მარკეტინგულ ძალისხმევებს აძლიერებს.

<http://gen.lib.rus.ec/book/index.php?md5=4C6A094388239AC4A575DF17B6973BF8>

Mahfoud Amara 2012 წელს აქვეყნებს ნაშრომს „ სპორტი, პოლიტიკა და საზოგადოება არაბულ სამყაროში“. კვლევა ეხება „პოსტკონფლიქტურ“ აღჭირში ფეხბურთისა და სპორტის საკითხები გამუქებას. ავტორი საუბრობს პოლიტიკურად დამაბულ სიტუაციებში სპორტის გამუქების სირთულესა და გამოწვევებზე. იმ პროვოკაციებზე, რომელსაც წესით სპორტულმა ჟურნალისტმა თავი უნდა აარიდოს. არაბულ სამყაროში სპორტული სამაუწყებლო ბაზარი გაიზარდა, ვინაიდან გაიზარდა მოთხოვნა. მოთხოვნა

კი თავის მხრივ მაყურებელთა რიცხვის მატებამ გამოიწვია. ამის ერთ-ერთ საბაზს კი სპორტული საკითხების დაბალანსებული გაშუქება წარმოადგენს.

<http://gen.lib.rus.ec/book/index.php?md5=6E5D2BB93BEE30EFA275009A797D4C19>

Helen Lovatt “სტატიუსი და ეპიკური თამაშები: სპორტი, პოლიტიკა და პოეტიკა” –ში წერს თითოეული ღონისძიების სტატუსზე თამაშებში. საინტერესოაა გადმოცემული ეროვნული იდენტობის საკითხი თამაშებში ომის დროს. ხოლო უფრო მნიშვნელოვნად ავტორი თხრობის კონტროლს მიიჩნევს. კვლევაში განხილულია უძველესი ეპიკური თამაშების თრადიციების გაშუქების საკითხი. ავტორმა წამოჭრა მძიმე სოციალური მდგომარეობის დროს გაშუქების კონტროლის საკითხი სპორტში.

<http://gen.lib.rus.ec/book/index.php?md5=CD25D97E0CA2327B70C38B5B0EDA723C>

აბსოლუტურად განსხვავებულ აზრზეა Varda Burstyn, რომლის კვლევაშიც „მამაკაცების რიტუალები: სპორტის კულტურა, მანიურობა, პოლიტიკა და კულტურა“ წერია, რომ სპორტი მხოლოდ ელიტის სოციალური წესრიგის შექმნას კი არ გულისხმობს, არამედ ის თანამედროვე პოლიტიკური ცხოვრების პოლიტიკური ძალაუფლებაცაა. ავტორი უშვებს იმ ფაქტს, რომ სპორტმა შესაძლოა შეითავსოს პოლიტიკური დატვირთვები.

თუ ასე მოხდება, მისივე დაშვებით, მედია აღარ იქნება ვალდებული სპორტული საკითხებს გაშუქებისას ერთმანეთისგან გამიჯნოს სპორტი და პოლიტიკა.

<http://gen.lib.rus.ec/book/index.php?md5=8D7A4D9CF87D81D1E6FC5CD741EC0824>

ბრიტანელი პროფესორი Garry Whannel 2016 წლის კვლევაში „ტელევიზია და ტრანსფორმაცია სპორტისა“ საუბრობს სპორტული გადაცემების მნიშვნელობაზე ტელევიზიასთან მიმართებაში. სპორტმა მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ტელევიზიის წარმოქმნასა და ზრდის პროცესში. ისეთმა შემთხვევითმა ძირითადმა მოვლენებმა, როგორცაა ოლიმპიური თამაშები და ფეხბურთის მსოფლიო ჩემპიონატი შეცვალა სატელევიზიო წესები. ამასთან ერთად შეიცვალა ტელევიზიის შემოსავალიც. ავტორის

აზრით სპორტულმა სამაუწყებლო ინოვაციებმა უნდა გაიარონ მუდმივი განახლება თავის მიმართვაში.

მე-20 საუკუნის მეორე ნახევარში ტელევიზიამ მოახდინა გავლენა სპორტზე. გამოიყო ორი ასპექტი : 1. ინსტიტუტები, რიტუალები; 2. გულშემატკივარი, სატელევიზიო აუდიტორია. 1980- იან წლებში მმართველი ორგანოები იძულებულნი ხდებიან მოლაპარაკებები აწარმოონ ახალი მსოფლიო სპორტის აგენტებთან, სპონსორობასა და სატელევიზიო გარიგებების თაობაზე. ეს ფაქტი ნათლად მიუთითებს სპორტის გავლენას მედიაზე. ვინაიდან მედიის მიერ შესწავლილ ბაზარზე საგრძნობლად გაიზარდა სპორტული ღონისძიებებით დაინტერესებული ადამიანების რიცხვი.

https://www.jstor.org/stable/40375916?Search=yes&resultItemClick=true&searchText=Television&searchText=and&searchText=transformation&searchText=of&searchText=sports&searchUri=%2Faction%2FdoBasicSearch%3Fso%3Drel%26amp%3Bprq%3Dgarry%2Bwhannel%2B2016%26amp%3Bfc%3Doff%26amp%3Bhp%3D25%26amp%3BQuery%3DTelevision%2Band%2Btransformation%2Bof%2Bsports%26amp%3Bwc%3Don%26amp%3Bacc%3Doff&refreqid=search%3A1088144efefe4a09d0ff1ecbc37f8e4b&seq=1#page_scan_tab_contents

მკვლევარებმა Karin Bugel და Bram P.Buunk-მა სექსუალურ განსხვავებებზე კვლევისას დაადგინეს, რომ მამაკაცების უმრავლესობა ჟურნალებში კითხვისას ინტერესდებოდა სპორტული და კომპიუტერული საკითხებით, ხოლო ქალების დიდი ნაწილი ამას არასოდეს აკეთებდა. ქალთა ინტერესთა სფეროში ესტრადის ვარსკვლავები, მოდის ჩვენებები და ადამიანური ურთიერთობები ექცეოდა, სპორტი კი მათ ყურადღებას ვერ იპყრობდა.

https://www.jstor.org/stable/329055?Search=yes&resultItemClick=true&searchText=Karin&searchText=Bugel&searchUri=%2Faction%2FdoBasicSearch%3FQuery%3DKarin%2BBugel%2B%26amp%3Bfc%3Doff%26amp%3Bwc%3Doff%26amp%3Bhp%3D25%26amp%3Bprq%3DKarin%2BBugel%2Band%2BBram%2BP.Buunk%26amp%3Bso%3Drel&refreqid=search%3A24b78438f20e05cca0a0e0194a11c540&seq=1#page_scan_tab_contents

ტაილანდელ მამაკაცებზე დაკვირვებით ავტორი Pattana Kitiarsa გამოთქვამს მოსაზრებას, რომ „ნამდვილი სპორტული“ მამაკაცი ბუნდოვანია და პრობლემური. ქვეყნის მონოპოლიზებული საკაბელო ტელევიზიები კვირაში ერთხელ დღისით, ხოლო ღამით მთელი კვირის განმავლობაში უჩვენებ სპორტულ გადაცემებს.

ტაილანდელი მამაკაცების ყურადღებას ტაილანდური კრივი იპყრობს, რაც ჟურნალებშიც დიდი სიხშირით იბეჭდება. ავტორის დაკვირვებით, ასეთი ადამიანები არ იღებენ ინფორმაციას მასშტაბურ საზოგადოებრივ სფეროებზე. სწორედ ამიტომ ახასიათებს მათ როგორც ბუნდოვან და პრობლემურ ადამიანებად.

<https://www.jstor.org/stable/j.ctt16gz5wr?Search=yes&resultItemClick=true&searchText=Pattana&searchText=Kitiarsa&searchUri=%2Faction%2FdoBasicSearch%3Fso%3Drel%26amp%3Bfc%3Doff%26amp%3Bprq%3D%2528sport%2529%2BAND%2Biid%253A%252810.2307%252Fi20072663%2529%26amp%3Bhp%3D25%26amp%3BQuery%3DPattana%2BKitiarsa%2B%26amp%3Bwc%3Doff&refreqid=search%3A10293829d6ad8cb5cf1674c2c195b6f0>

ამის საპირისპირო მნიშვნელობას იძენს Susan K. Morrissey-ის კვლევა. ავტორის დაკვირვებით ჯანმრთელობის ნერვულ დაავადებებზე გაკეთებულ რეკლამებს ხშირად სპორტული იერსახე ეძლევა. სპორტულ ჟურნალებში ხშირად საუბრობენ ფიზიკური და ნერვული ჯანმრთელობის მნიშვნელობაზე. საზოგადოებაში სპორტსმენების იდენტიფიცირება ხდება, როგორც საკულტო სხეულის, სილამაზით და სიცოცხლით სავსე. იმპერიალურ რუსეთში ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, რომ ნერვული დაავადებების რეკლამებში სპორტსმენების აქტიურმა ჩაბმამ დადებითი შედეგები გამოიღო. ვინაიდან სპორტსმენი განასახიერებს ძლიერ ნერვებს, ძლიერი სულისა და სხეულის იდეალს ქმნის.

<https://www.jstor.org/stable/25746276?Search=yes&resultItemClick=true&searchText=Susan&searchText=K.Morrissey&searchUri=%2Faction%2FdoBasicSearch%3Fhp%3D25%26amp%3Bso%3Drel%26amp%3BQuery%3DSusan%2BK.Morrissey%26amp%3Bfc%3Doff%26amp%3Bwc%3Doff%26amp%3Bprq%3DSusan%2BK.%2BMorrissey&refreqid=search%3A6f11b6ef3fdd9679561bf3e376ed8a8d>

სპორტსმენების სიძლიერეს ბავშვებიც გამოარჩევენ და იდეალად აქცევენ მათ, რასაც Donna E, Alvemann, Yang, Colin Green-ის კვლევებიც ადასტურებს. მათი დაკვირვების შედეგად აღმოჩნდა, რომ ბავშვები კვირაში ერთხელ მაინც ეცნობიან სპორტულ სიახლეებს ჟურნალ-გაზეთებში. ყველაზე მარტივად კი სწორედ არასრულწლოვანი ასაკის ადამიანები ითვისებენ ახალი ამბების მიერ მიწოდებულ ფრეიმებს.

5. თვისებრივი კვლევა

5.1 გაზეთი „სარბიელი“ 2008 წლის აგვისტო

გაზეთი სარბიელის 2008 წლის აგვისტოს ნომრები 8 რიცხვამდე დიდად არ გამოირჩეოდა პოლიტიკური განცხადებებითა თუ მსგავსი მიკერძოებული საუბრით, თუნდაც სიმულვილის ენით. თუმცა, მიუხედავად ყველაფრისა იყო რამდენიმე ეპიზოდში ისეთი ფრეიმები გამოყენებული, რომლებიც სპორტის მოყვარულ გულშემატკივარს შეგნებულად, თუ გაუთვითცნობიერებლად გარკვეულ დამოკიდებულებას შეუქმნიდა. 2008 წლის 8 აგვისტოს ომი საქართველოსა და რუსეთს შორის დაიწყო. ამავე დღეს დაიწყო პეკინის რიგით 29-ე ზაფხულის ოლიმპიური თამაშები. საინტერესოა, რას წერს „სარბიელის“ რეპორტიორი 8 აგვისტოს ნომერში, მაშინ როდესაც ჯერ კიდევ არ იყო ცნობილი ომის დაწყების შესახებ, ვინაიდან გაზეთის ნებისმიერი ნომერი წინა დღით მზადდება დასაბეჭდად.

8 აგვისტოს სვეტში „დღეის პეკინი“ ავტორი წერს - „დღეს იწყება პეკინის ოლიმპიადა. ამბობენ, იქ ბუში და პუტინიც შეხვდებიან ერთმანეთსო . მე მახსოვს მოსკოვის ოლიმპიადის წინ როგორ გამოვიდა ტელევიზორში საფრანგეთის კომპარტიის ლიდერი ჟორჟ მარშე და გარემოს უქმნიდა მოსკოვის ოლიმპიადას, სადაც ბევრი ჩამოსული არასახელმწიფო დროშით, არამედ ოლიმპიური კომიტეტების აღმით გამოდიოდა. ამერიკა საერთოდ არ იყო. სხვებიც.

პოლიტიკა ძალიან ეხვევა ოლიმპიადას და საერთოდ ოლიმპიადებს. შეგვჭამა ამ პოლიტიკამ, ზოგადად და კერძოდ. გახსნის შოუ შთამბეჭდავი იქნება, არც ტერაქტები მოეწყობა. ტიბელები არ არიან ტერორის ხალხი. ზოგადად, სამყაროსთვის ოლიმპიადას ერთადერთი დანიშნულება აქვს, რომ მილიონობით ადამიანშიდადებითი ემოცია გამოიწვიოს. მაგრამ ეს ბუში და პუტინი რაღა შუაშია ვერ გავიგე.“

მთლიანობაში რომ ავიღოთ 8 აგვისტოს სვეტი კარგად ასახავს განსხვავებას სპორტსა და პოლიტიკას შორის. ავტორს არ სურს ყურადღება პოლიტიკურ პერსონებზე გადაიტანოს, ვინაიდან მიაჩნია, რომ სპორტის მოყვარული გულშემატკივრისთვის ოლიმპიადას ბევრად უფრო დიდი ინტერესი აქვს, ვიდრე ვთქვათ, პუტინისა და ბუში შეხვედრას. თუ 8 აგვისტოს დაბეჭდილ სვეტს დავეყრდნობით, წესით, გაზეთ „სარბიელის“ შემდგომ ნომრებში არ უნდა ველოდოთ რაიმე პოლიტიკური ნიშნით ან მინისებით დაწერილ სტატიებს.

იმავე დღის ნომერში დაბეჭდილი სტატია „ ჩიტის ბუდე დრაკონის ქვეყანაში“ შეეხება გარკვეულ წილად არასპორტულ თემატიკას. სტატიაში საუბარია ოლიმპიადის მასპინძელი ქვეყნის ლიდერ პარტიაზე - სოციალისტურზე . შემდეგ გრძელდება საუბარი ჩინურ ტელეპონებზე და ავტორი აყენებს მათი ხარისხიანობი საკითხს. ავტორისავე რცევით, ჩინური ტელეფონების შექმნისგან თავის შეკავება გვმართებს, რადგან მათი ხარისხი „ ჩინებული“ არ ყოფილა.

არჩილ გოგელია თავის წიგნში „ ასეთია სპორტული ცხოვრება“ შემდეგ რამეს წერს - „ ფეხბურთი სანახაობაა და იგი წმინდა სპორტულ მხარესთან ერთად უთვალავ სხვა კომპონენტსაც გულისხმობს. ამ კომპონენტებს შესაძლოა ჰქონდეთ ან არც ჰქონდეთ ფეხბურთთან კავშირი, მაგრამ მათი ერთობლიობა ქმნის სწორედ იმ ჯადოსნურ სპექტაკლს, რომლის ნახვასაც უთვალავი ადამიანი ესწრაფვის“. ვფირობ, ამ კომპონენტებში ბევრი რამის გაერთიანება შეიძლება, მაგრამ არ მგონია მასპინძელი ქვეყნის ტელეფონების ხარისხიანობა, ან მათი პოლიტიკური პარტიის იდეოლოგია ქმნიდეს იმ ერთობლიობას, რომლისკენაც უამრავი გულშემატკივრის ყურადღება იქნება მიმართული.

„სარბიელის“ შემდგომი ნომერში პირველ გვერდზე ჯარისკაცის ფოტოა წარწერით - „ომია, სისხლია, რუსია“. როგორც, ჩანს ამ სპორტულმა გაზეთმა შეიტყო ომის დაწყების თაობაზე 8-ში და ერთი გამოშვების შემდგომ დაარღვია თავისი სტილი, რომელიც აქამდე არაპოლიტიკური

იყო. თუ აქამდე „სარბიელისთვის“ გაუგებარი იყო ოლიმპიური თამაშების გაშუქებისას რატომ მახვილდებოდა ყურადღება ბუშისა და პუტინის შეხვედრაზე, ახლა თავად უმახვილებს ყურადღებას მკითხველს რთულ პოლიტიკურ საკითხებზე სათაურებით ; „ომი და ფეხბურთი“, „ვის სცალია კუპერის პრეზენტაციისთვის“ და სხვა მრავალი.

9 აგვისტოს ნომერში შეხვდებით შემდეგ ფრაზებს : საომარმა მოქმედებებმა ქართულ სპორტულ ცხოვრებასაც დაასვა დალი და დავით ყიფიანის სახელობის თასის ყაზბეგის გათამაშების განრიგი შეხვალა. ეს ცვლილებები, როგორც გითხარით, ქვეყანაში კონსტიტუციური წესრიგის აღსადგენად მიმდინარე სამხედრო მოქმედებების გამო მოხდა.“ აქვე წერენ- „ ისე კი, ჩვენს ქვეყანაში ომია და სულაც არ არის გამორიცხული, დღეს-ხვალ თბილისის საერთაშორისო აეროპორტი დროებით დაიხუროს კიდევ. ვნახოთ, ეგებ ასეთ ვითარებაში მწვრთნელის ჩამოსვლაც უდროოა, ახლა კონტრაქტებისთვის და მით უმეტეს პრეზენტაციისთვის არავის სცალია.“ ამ შემთვევაში ჟურნალისტი გაუთვითნობიერებლად აწვდის საზოგადოებას ფრეიმებს.

„საქართველო-რუსეთის კონფლიქტი ყაზანზე არ ვრცელდება“- ამ სათაურის ქვეშ არის ინტერვიუ, თუმცა იმის დადგენა თუ ვისთანაა ეს ინტერვიუ სპორტულ საკითხებში ბოლომდე გათვითცნობიერებულ ადამიანს შეუძლია მხოლოდ. ვინაიდან, არ ჩანს რესპონდენტის არც სახელი, არც გვარი. ტექსტიდან ვხვდებით, რომ ყაზანის „ რუბინის“ ქართველ ფეხბურთელს უსვამს შეკითხვებს ჟურნალისტი. თუმცა რა შეკითხვებს უსვამს ცალკე საკითხია. „შენ დაცვაში რა ადგილას თამაშობ?“ - მსგავსი შეკითხვა სპორტულმა ჟურნალისტმა რესპონდენტს არაფრის დიდებით არ უნდა მისცეს, ვინაიდან და რადგანაც სპორტული ჟურნალისტი პირდაპირი კონპეტენციაა იცოდეს ინტერვიუერის სათამაშო ადგილი კლუბში. აქვე შეხვდებით შეკითხვას- „ ყაზანში ქართველები რამდენად უყვართ?“ - რითაც ჟურნალისტი ცდილობს არასპორტულ კონტექსტში გადაიყვანოს დიალოგი. ის ამ შემთხვევაში ფრეიმს შეგნებულად აწვდის მკითხველს.

ნიუსი, რომელიც მოგვითხრობს კენჭისყრის შედეგად ქართველოს მოკრივეების მოწინააღმდეგეებზე ასეთი სათაურისაა - „პეკინში ანდრადეს და ტატოს ვეჩხუბებით“. სიტყვა „ვეჩხუბებით“ არის ფრეიმი, რომელიც ყურადღებას გვიმახვილებს რაღაც ჩვენსაზე. აქ ავტორი თავად იქცა გულშემატკივრად და არ გაითვალისწინა საქართველოში მცხოვრები სხვა ეროვნებისა თუ შეხედულების მქონე მკითხველთა ინტერესები.

რედ სმიტმა სპორტული ჟურნალისტის ორ მთავარ პრობლემაზე საუბრისას შემდეგი რამ თქვა - „არ შეიძლება, არ უნდა გამოაჩინო ფავორიტიზმი შენს მასალაში, ტუნდაც საკუთარ აზრს გამოთქვამდე. ასევე გუნდზე არ უნდა თქვა „ჩვენ“. წინ უნდა აღუდგე საკუთარ კეთილგანწყობას და მიკერძოებას.“

სპორტთან არავითარი კავშირი არ აქვს „სარბიელის“ 11 აგვისტოს ნომრის გარეკანს. ჯარისკაცის ფოტოზე გამოტანილია წარწერები: „სატანა მაინც ვერ დაამარცხებს საქართველოს!“ „მსოფლიო ეპიდემიები: შავი ჭირი შუა საუკუნეებში და რუსეთი დღეს“. ამ ორმა სათაურმა მოლოდინს გადააჭარბა. სპორტული პრესისთვის კი არა, სხვა სახის გაზეთისთვისაც განსახილველი იქნებოდა მსგავსი ხასიათის ფრეიმები, რომლებიც ამძაფრებენ პატრიოტიზმს და ხატავენ მტრის ხატს მკითხველში. „მშვიდობიან დღეს გისურვებ საქართველო“ - ამ სათაურის ქვეშ განმარტებულია ოლიმპიური საერთაშორისო ხელშეკრულება, რომელიც მშვიდობიანობისკენ მოუწოდებს ქვეყნებს. შემდეგ კი ასეთი რამ წერია: „რუსეთი რომ ოლიმპიზმის პრინციპებს და იდეალებს არაფრად აგდებს უკვე დადასტურებული ფაქტია. მაშინ, როდესაც საზეიმო ცერემონიაზე მილიარდობით მაყურებელს მსოფლიოს ყველა წერტილში ოფიციალური მიმართვით კიდევ ერთხელ მოუწოდებენ მშვიდობისკენ, საქართველოს რუსეთის თვითმფრინავები არხეინად ბომბავენ“. მთლიანად ტექსტი მიემდგვნა ომის თემატიკას, ავტორის პატრიოტული ნოტა შესამჩნევი იყო, ხოლო სპორტულ საკითხებს ის მხოლოდ საკუთარი მოსაზრებების გასამყარებლად იშველიებდა, რომ

მშვიდობის დაცვა ოლიმპიადის მსვლელობისას ნებისმიერ ქვეყანას მართებს.

„პლაჟზე ჩვენები კაც-ქალიანად აგებენ“ - ამ სათაურით ავტორი პირდაპირ აფიქსირებს საკუთარი პოზიციას, რაც ჟურნალისტის კომპეტენცია არ გახლავთ.

ოლიმპიადის რეკორდსმენ ამერიკელ მოცურავე მაიკლ ფელპსზე წერისას ავტორი ჯორჯ ბუშის პეკინურ ცხოვრებასაც შეეხო - „ბუში ოლიმპიადაზე ორ რამეს აკეთებს, ოლიმპიადას უცქერის და მშვიდობიანი ოლიმპიადიდან ტელეფონით ცდილობს საქართველოზე ჩექმით და ტანკით წამოსული მოძალადე რუსეთის შეჩერებას. ღმერთმა ქნას შეაჩეროს და გააბრუნოს.“ აგრეთვე ბუშის ოჯახზე წერია ორიოდ სიტყვა და ბოლოს : „მისტერ ბუში ცვენც გვაგულიანებს რუსებთან ომში, თქვენთან ვარო, თუ ეს შეგულიანება რამეს გვარგებს.“

საინტერესოა ის ფაქტი, რომ ოლიმპიადის დასაწყისში გაზეთ „სარბიელის“ რეპორტიორისთვის გაუგებარი იყო რა შუაში იყვნენ პოლიტიკური სახეები სპორტულ ღონისძიებასთან. მას შემდეგ კი რაც ომში საქართველოს მოუხდა ჩართვა სპორტული გაზეთის მთავარ ინტერესს ჯორჯ ბუშის ცხოვრება წარმოადგენს და ხსნასაც მისგან ელიან.

„პრაპავადე ჯაროენრატანატარაკონი“ - ამ სათაურის ქვეშ ასეთ რამეს ვკითხულობთ - ამ ცხელ გულზე თუ ვინმეს ოლიმპიური ძალოსნობა აინტერესებს, თანაც ქალთა შესრულებით და გაცინების უნარიც შერჩა, შეუძლია გაიცინოს - სათაურში მოყვანილი აბრაკადაბრა გინება არ გეგონოტ, იმ ტაილანდელი ქალბატონის სახელ-გვარია, რომელმაც გუშინ 53 კილოგრამამდე წონით კატეგორიაში ოქროს მედალი მოიპოვა. სტატიის ავტორი ქალთა ოლიმპიურ ძალოსნობას უინტერესოდ მიიჩნევს, რითაც შეურაცხყოფს სპორტის ამ სახეობით დაინტერესებულ ადამიანთა ინტერესებს. ავტორი აგრეთვე შეურაცხყოფს ტაილანდელი ჩემპიონის სახელ-გვარს, რომელსაც გინებას ადარებს და მკითხველს აძლევს მასზე გაცინების საბაბს. ეს დამოკიდებულება სპორტული, გნებავთ სხვა დარგის

ჟურნალისტის მხრიდან მართლაც, რომ სავალალოა. ტექსტში მოყვანილი ფრეიმების რაოდენობა დიდია, ისევე როგორც დიდია იმის ალბათობა, მკითხველმა შეგნებულად მიწოდებული ფრეიმების შემდგომ გარკვეული დამოკიდებულება შეიქმნას კონკრეტულ ობიექტზე.

მიუხედავად იმისა, რომ ბევრი იწერებოდა ომის შესახებ : „მე ახლა ნამდვილად არ მეფეხბურთება, ჩემს ქვეყანაში ომია, იხოცებიან ჩემი თანამემამულეები, მშვიდობიანი მოსახლეობა და ჯარისკაცები...“ „ჩვენც იმედს ვიტოვებთ, რომ ქვეყანაში სიტუაცია მალე დარეგულირდება და საქართველო ისევ ჩვეულ რიტმში განაგრძობს ცხოვრებას.“ აგრეთვე იყო იშვიათი გამონათებები, როდესაც ომის ფაქტს ჟურნალისტი გვერდს ვერ აუვლიდა, თუმცა ზედმეტი პოლიტიკური ფრეიმების გარეშე გაართვა თავი საკითხზე მუშაობას. მაგალითად, საფეხბურთო კლუბ „ვიტ ჯორჯიას“ გასამართი შეხვედრა ომიანობის გამო გადადებას საჭიროებდა, ავტორმა კი ორიოდ სიტყვიტ ისაუბრა მიმდინარე მოვლენებზე ზოგად ჭრილში, ხოლო ტექსტის დიდი ნაწილი სპორტს დაუთმო.

13 აგვისტოს ნომრიდან ვგებულობთ, რომ წინა დღის გამოშვება ომიანობის გამო ჩავარდა, რაც უფრო ამბაფრებს „სარბიელის“ პოლიტიკურ ფრეიმებს - „რუსეთი: ფაშიზმი ფაშიზმამდე და ფაშიზმის შემდეგ“, „ბესლანში ოსი ბავშვების მკვლელები გენოციდში გვადანაშაულებენ“, „გვინდა ქართველებს სახელმწიფო? ვიაზროვნოთ სახელმწიფოებრივად“, „სამხრეთოსელი ძალოსანი შემფოთებულია კონფლიქტით“, „ლეგიონერები და ომი“, „Russia Stop Bombing“... ამ სათაურების წაკითხვის შემდეგ ძნელად თუ გაუჩნდება ვინმეს ილუზია, რომ სპორტულ გაზეთს კითხულობს. სტატიებში ვკითხულობთ : „საქართველოში შექმნილმა ვითარებამ აქ მყოფი უცხოელებიც შეაშფოთა, მათ შორის სპორტსმენები“, „რა ქნას სპორტსმენმა, როდესაც ღამეები არ სძინავს იმი ფიქრში, თუ როგორ არიან მისი ნათესავები, ოჯახის წევრები და ახლობლები რუსული ბომბების ბაგაბუგში, როდესაც უყურებს მისი ხალხის აცრემლებულ თვალებს, იმ საზიზღარ კადრებს, მსოფლიო ტელეკომპანიები რომ გადმოსცემენ...“ „ძნელია

ოლიმპიადაზე კონცენტრირება, როდესაც შინაგანი ძალა შინისკენ გეწევა. ასეთ სიტუაციაშია არსენ კასაბიევი. ის თავს იმით იმშვიდებს, რომ მისი მშობლები უსაფრთხოდ გამოერიდნენ ჰაერიდან დაბომბილ პროვინციის დედაქალაქ ცხინვალს. რუსეთმა შეუშვა ტანკები და ქვეითი ჯარი სამხრეთ ოსეთში და საქართველოს ქალაქებში შაბათს, რითაც მოახდინა კონფლიქტის ესკალაცია, სადაც ასეულობით დაღუპული და დაჭრილია“.

„სარბიელის“ ფურცლებზე დაწერილ ამგვარ პოლიტიკური ხასიათის სტატიებს მრავლად ვხვდებით ომის დაწყებიდან რამდენიმე დღის შემდეგ. მსგავსი გამოხმაურებებით ჟურნალისტები კიდევ უფრო ამძაფრებენ სიტუაცია და ახდენენ მოვლენის დრამატიზირებას, რაც სპორტული რეპორტიორის საქმიანობაში არ შედის. თავად ამავე გაზეთის რეპორტიორი წერს- „ ოლიმპიურ თამაშებზე გამგზავრებამდე, აბა როგორ წარმოვიდგენდი, თუ ჩემი პეკინური რეპორტაჟების უმეტესი ნაწილი არა სპორტული, არამედ პოლიტიკური იქნებოდა. სამწუხაროდ, ისე მოხდა, რომ ჩვენთვის მიმდინარე ოლიმპიადას ის ხიბლი, ლაზათი, ჭრიამული მოაკლდა, რისთვისაც მას მთელი მსოფლიო 4 წელი სულმოუთქმელად ელოდება ხოლმე.“ ამ ტექსტში ჩანს, რომ რეპორტიორი თავადვე აანალიზებს საკუთარ შეცდომას და ამხელს საკუთარ თავს პოლიტიკური რეპორტაჟების მომზადებაში.

გარდა პოლიტიკური ტექსტებისა აგვისტოს ნომრებში იგრძნობოდა ჟურნალისტების მხარდაჭერა ქართველი სპორტსმენებისადმი. მაგალითად, „ქართველმა მოკრივემ ნიკოლოზ იზორიამ ბოცვანელ ტატო ბააჩეკს შავი დღე აყარა. მალევე გამოჩნდა, რომ კლასში სხვაობა ისეთივე დიდი იყო, იზორიას სასარგებლოდ, როგორც საქართველოსა და ბოცვანას შორის მანძილი“-ო, წერს ჟურნალისტი. ამ ტექსტიდან აშკარად ჩანს ჟურნალისტის დამოკიდებულება, როგორც ერთ, ისე მეორე სპორტსმენისადმი. როგორც დეივ კლანი იტყოდა - „ნუ გულშემატკივრობთ, გააშუქეთ!“ საუკეთესო შეფასება იქნებოდა ხსენებული ფაქტისა.

ქვეყანაში შექმნილი მძიმე სოციალური ფონის მიუხედავად, რომლის შესახებაც თითოეულმა ისედაც იცოდა გაზეთის იბეჭდება ფოტოები, რომლებიც არანაკლებ ფრეიმების გადამცემი შესაძლოა აღმოჩნდეს. ფოტოებზე ასახულია ომის უმძიმესი კადრები სათაურით - ეს სამამულო ომია. ერთ-ერთ ფოტოზე, სადაც რუსეთის კალათბურთის ნაკრების წევრი ხატია ასეა დასათაურებული - ლიტველებმა რუსთა ჯილას ანდრეი კირილენკოს მაისურა აჭამეს. ამ განცხადებით ავტორი შეგნებულად იძლევა სიზულვილის ფრეიმს. ამავდროულად, თითქოს ის ბედნიერია, რომ რუსებმა წააგეს, თუნდაც არა ქართველებთან.

„სარბიელის“ ჟურნალისტები მკითხველში პატრიოტული გრძნობებისა და ემოციების გაზრდას ასეთი სათაურებით ცდილობენ: „ოქრო არ არის ტკივილის წამალი, ოქრო სხვა რამის ნიშანია: ჩვენ ვართ და უნდა ვიყოთ“, „ჩვენი ოქროც კი ძაძებშია“, „საქართველო იარსებებს!“ „საქართველომ რუსები პეკინში დასეტყვა“, „ვერ ეღირსებიან“.

ამ სათაურების ქვეშ კი ვკითხულობთ, - „როგორ უნდა იფიქრო ოლიმპიადაზე, როცა საუკუნოვანი მტერი ქვეყანას გიბომბავს და მერე გასაძარცვად აძლევს ნაძირალა გადამთიელს?! ადამიანი ხარ, გული გაქვს და ტკივილი შიგ ქვასავით გიდევს. ოლიმპიელები ამაზე მეტად ვერ გაათობდნენ მგლოვიარე ქვეყანას!“ „სანამ რუსული ჩექმა და ტანკი საქართველოშია, აბა ვის ეფეხბურთება. მთელი საქართველო შემრწუნებულია რუსების ასეთი თავხედობითა და დაუნდობლობით.“ „ აბა როდის იყო, ქართველს რუსის დამარცხება ორმაგად არ გახარებოდა, მაგრამ ახლა, როცა ადამიანი დაზაფრული ზის და ყოველი დღე აცრემლებულ ქალებსა და ბავშვებს უყურებს, ეს გამარჯვება გულზე მალამოსავით გვხვდება.“ „ დიახ, თქვენ ქართველებთან დამარცხდით! საქართველომ ორი ოქროს მედლის მოპოვება უმძიმესი მდგომარეობის მიუხედავად მოახერხა! უნდა გენახათ რუსები მანუჩარის და ირაკლის ტრიუმფებს რა გახევებული სახეებით უყურებდნენ. როგორი გადასატანია მათთვის, მეოთხე საშეჯიბრო დღის მერე ოქროს მედლების რაოდენობით რომ გავუთანაბრდით.“

სპორტული პრესის ჟურნალისტები ამ ფრეიმებით მკითხველს უყალიბებენ გარკვეულ აზრს, რომლის არჩევანის უფლებასაც მას არ უტოვებენ და თავადვე სთავაზობენ მტრის ხატს. საინტერესოა, მხოლოდ რუსების მიმართ იჩენდნენ აგრესიას ქაღატულილ სპორტული ჟურნალისტები, თუ სხვა ქვეყნის წარმომადგენლებზეც ანალოგიურად წერდნენ. გავიხსენოთ ერთ-ერთი ფაქტი, როდესაც მანუჩარ კვიციანი ფინალში ჩინელი სპორტსმენი დაამარცხა ეწერა - „ფინალში ჩინელი ქსიანგ ჩანგის ძლევით...“ ხოლო როცა ირაკლი ცირეკიძემ რუს მოჭიდავეს ნახევარფინალი მოუგო დაწერეს - „ირაკლი ცირეკიძემ რუს ივან პერშინს ნახევარფინალში ლამის კისერი მოტეხა“. ჩინელის შემთხვევაში თუ იყო ძლევა, რუსს - კისერი მოტეხა. ეს სიტყვები სიულვილის მატარებელი ფრეიმია, რაც კონკრეტული ქვეყნისადმი ჟურნალისტის პირად დამოკიდებულებაზე მიუთითებს.

15 აგვისტოს ნომრის პირველ გვერდზე ტანკის ფოტოა წარწერით, - რუსული კულტურა, რომელიც ტანკის ლულაში ეტევა. შემდეგ კი სტატიაში სადაც საქართველოში მცხოვრები ბრაზილიელი პლაჟბურთელების რუსეთთან გამარჯვებაზე წერია ასეა დასათაურებული - „ბრაზილიელებმა რუსებს ქართული პასუხი გასცეს.“ თავისთავად პროვოკაციულია ეს სათაურიც - „რუსეთი ლიტვამაც დასაჯა“. სადაც წერია, რომ ლიტვა რუსეთს ათწლეულების განმავლობაში ჩვენთან ერთად ჰყავდა დაპრობილი. აქ თვალშისაცემია შემდეგი ფრეიმები: რუსებმა ხორვატიასთან „ჭამეს“ მარცხი, ახლა კი ლიტვასთან „შერცხვნენ“. ავტორი იშველიებს ზედმეტად მძაფრი სიძულვილის შემცველ სიტყვებს რუსებზე საუბრისას. ბოლოს კი მოგვიწოდებს - ვუქომაგოთ ხვალ ავსტრალიას. ეს უკვე ფარული ფრეიმი აღარ არის, აქ ავტორი არა მხოლოდ აფიქსირებს საკუთარ პოზიციას, არამედ მოითხოვს მკითხველიც თავისივე პოზიციაზე იყოს. ჟურნალისტი ნიშნის მოგებით საუბრობს იმ საკითხზე, რომ რუსეთს თითებზე ჩამოსათვლელი ოქროს მედლები აქვს და ოლიმპიადის სამ საუკეთესო ქვეყანათა რიცხვში მოხვედრა გაუჭირდება. აგრეთვე საინტერესო იყო ის ფაქტი, რომ მოსკოვის „სპარტაკის“ დირექტორმა ვალერი კარპინმა საკუთარი გუნდის

უკმაყოფილო თამაშს სამარცხვინო უწოდა. ხოლო ეს გახდა ჟურნალისტის საბაზი სათაურად გამოეტანა - „სამარცხვინო მოსკოვი“. ტექსტის შინაარსი რომ არ იცოდეს კაცმა, აშკარად ომს დაუკავშირებდა სათაურს, ვინაიდან იგი წმინდა პოლიტიკური ხასიათის მატარებელია.

საინტერესოა, ის რომ აგვისტოს შუა პერიოდში მხოლოდ მეორედ იყო ის ფაქტი, როდესაც ჟურნალისტი ტექსტის შინაარსიდან გამომდინარე ვერ აუვლიდა ომის საკითხს გვერდს და საერთო ჯამში კარგად გაართვა თავი სტატიაზე მუშაობას და მხოლოდ ორიოდ სიტყვით ახსენა- „ქვეყანაში მიმდინარე ცნობილი მოვლენების გამო“.

საინტერესოა, სტატია - „ჩემი სამშობლო საქართველო! ამას ამბობენ ოსი და რუსი“. ამ სათაურის ქვეშ ვკითხულობთ, - „ნიმანდობლივია, რომ მიუდოისტთა საღამოს სესიაზე მიმავალს რუს ჟურნალისტებთან ერთად მომიწია მგზავრობა, რომლებიც, რატომღაც, ჩვენებურის (ლაშა გუჯეჯიანი) ქებით დაიხარჯნენ და მას ოლიმპიური მედლის მოპოვებაც უწინასწარმეტყველეს და ეს იყო ერთადერთი შემთხვევა, როდესაც არაფერში შევეწინააღმდეგე. 35 სპორტსმენს შორის ჩვენს გუნდში როგორც რუსი, ისე ოსური წარმომობის ათლეტებიც არიან. კითხვაზე კი უცხოურ მედიასთან ერთი პასუხი აქვთ - ჩემი სამშობლო საქართველოა.“ როგორც დავინახეთ ავტორმა სათაურის დაწერის მიზეზად ეს სიტყვები გამოიყენა. სიტყვები, საიდანაც ვგვებულობთ, რომ საქართველოს მოქალაქეები, წარმომობით ოსი და რუსი სპორტსმენები თავს ქართველებად მიიჩნევენ. ავტორმა კი სათაურში მათ რუსი და ოსი უწოდა. თითქოს ჩნდება მცდელობა იმისა, რომ რაც არ უნდა კეთილგანწყობილნი იყვნენ ჩვენს მიმართ ისინი მაინც რუსებად და ოსებად რჩებიან. ესაა პოლიტიკური ნიშნით დაყოფის მცდელობის მაგალითი. სტატიის შინაარსიდან ვგებულობთ, რომ რეპორტიორი ცოტა გაკვირვებულია, როდესაც რუსი ჟურნალისტები ქართველ ლაშა გუჯეჯიანზე რეალისტურად მსჯელობენ. ქართველი ჟურნალისტი თითქოს მხოლოდ ცუდს მოელის რუსი

ჟურნალისტებისგან, რომლებიც ამ შემთხვევაში ბევრად უფრო პროფესიონალურად მიუდგნენ საკითხის გაშუქებას.

ზოგჯერ ჟურნალისტი თავად ცდილობს მომხდარი მოვლენის ახსნას საკუთარი დრამატიზირების ნიჭით. მაგალითად, - „საქართველოში შექმნილი ვითარება ქვეყნის გარეთ მყოფ სპორტსმენებზეც მოქმედებს - აზერბაიჯანული „გაბალას“ ფეხბურთელმა თორნიკე აფციაურმა იქაური ჩემპიონატის პირველ მატჩში თამაში ვერ შეძლო. საქართველოში არსებულმა საომარმა სიტუაციამ აფციაურზე ცუდად იმოქმედა. ის ოჯახის გარდა ვერაფერზე ფიქრობს.“

საქართველოსა და რუსეთს შორის საომარი სიტუაციების დაწყებიდან პირველად 18 აგვისტოს გამოვიდა „სარბიელის“ გარე ყდა არაპოლიტიკური განცხადებითა და ფოტოთი. თუმცა, თავად ნომერში იყო ფოტო წარწერით - Russia Go Home. ფოტოზე რუსეთის კალათბურთელთა ნაკრებია, რომელიც ჯგუფში ჩარჩა. თუმცა მკითხველს პირველადი აღქმით ოკუპაციის შეწყვეტისა და ჯარების გაყვანისკენ მიანიშნებს წარწერა. ეს იყო გონივრულად შერჩეული ფრეიმი. მსგავსი გონივრულად შერჩეული ფრეიმი იყო - „პარენ, ია ნე იზ რასი“-ს სათაურით გამოქვეყნებული სტატია, რომლის ქვეშაც ვკითხულობთ, რომ ტელეფონზე რუსულად მოსაუბრე ადამიანმა, როდესაც გაიგო ქართველი ჟურნალისტის ქვეყნის ვინაობა, სწორედ ასე მიმართა მას. ავტორმა ეს სიტყვები დაიჭირა და მკითხველს ორაზროვნად მიაწოდა.

იყო კიდევ ერთი გამონათება, როდესაც იწერებოდა არველაძეების მიერ დაგეგმილ საქველმოქმედო თამაშზე. ჟურნალისტმა ამ სტატიაში ძედმეტი დრამატიზირებისგან თავი შეიკავა. მაგრამ ასეთი იშვიათი იყო და მრავლად იწერებოდა: „რუსის ჯარი საქართველოდან გასვლას არ ჩქარობს, თავხედი მეზობელი სანამ ჩვენს ქვეყანაშია, ნორმალურად ცხოვრების საშუალება ბუნებრივია, არ არსებობს. ყველანი სულმოუთქმელად ველით როდის დატოვებს რუსული ტანკი და ჩექმა საქართველოს“.

ხშირი იყო გულშემატკივრობის მცდელობები ჟურნალისტების მხრიდან. მაგალითად, - „ჯგუფში ბრაზილიურ და ავსტრალიურ დუეტებთან წაგების შემდეგ, გერ-გიამ ანგოლის უსუსტესი წყვილი მიანგრია.“ წერდნენ საქართველოს პლაჟბურთელთა ნაკრებზე, თუ საქართველომ „წააგო“, მაშინ ჩვეულებრივი სალაპარაკო ენით ითქმის ფაქტის შესახებ, ხოლო თუ მოიგო კი არ მოიგო, არამედ „მიანგრია“. ეს გულშემატკივრობის შემცველი ფრეიმია, რომელსაც გულშემატკივარს აწვდის რეპორტიორი. ასეთივე იყო - „ჩვენებურმა სოფო შაფათავამ რუსი ევგენია დუხაკოვა მიანგრია, მერე ასევე რუსი ნატალია რიზონკოვა მიჩოგნა, გზად ასევე მასპინძელსაც შავი დღე აყარა და სამწუხაროდ, ქსენია პერვაკთან დამარცხდა.“ ეს შესანიშნავი მაგალითია, როგორ ხდება ფრეიმების მიწოდება მკითხველზე გამიზნულად. ქართველი ჩოგბურთელის გამარჯვებებზე აღმატებით ფორმებში წერია, ხოლო მარცხზე რეპორტიორი ამბობს „სამწუხაროდ“.

საინტერესოა, თუ როგორ ხდება მტრის ხატის შექმნა. ამის მაგალითად მოვიყვან ირაკლი ცირეკიძის ოქროს მედალს, რომლის ფინალზე იმდენი არ წერია, რამდენიც ნახევარფინალზე, რადგან ნახევარფინალში მან რუსი დაამარცხა. „ცირეკიძის ჩემპიონობამ ყველანი გაგვახარა, ისიც გავიხსენოთ, რომ ცირეკიძემ ნახევარფინალში რუსი ივან პერშინი შებოჭვით დაამარცხა და კიდევ უფრო გაალამაზა ჩემპიონობა“. ხშირი იყო პროვოკაციული ფოტოები. ერთ-ერთ ფოტოზე არგენტინელი კალათბურთელი მანუ ჯინობილი რუსეთის კალათში აგდებს, წარწერით - „მანუ ჯინობილიმ რუსებს ჩაუტენა. არგენტინის სკოლა და გაკვეთილი რუსებისთვის“. როდესაც კლოდ სორელმა რუსების საქართველოზე თავდასხმა დაგმო, ფოტოს წააწერეს - „ფრანგის სიტყვა, ფრანგულივით ბასრი“. ერთსა და იმავე ნომერში დაბეჭდილი იყო სიხარულის შემცველი ორი ფოტო. ერთზე ეწერა უბრალოდ ლუიშ ფელიპე სკოლარი, ხოლო მეორეზე „პოლონელებმა რუს ფრენბურთელებთან გამარჯვებით გაიხარეს“. მეორე ფოტოზე მიზეზი იყო ახსნილი მწვრთნელის გახარებისა. ეს უფრო რუსულის დამაკნინებლად გამოყენებული არგუმენტი გახლდათ.

საქართველოსა და უელსს შორის გასამართი საფეხბურთო მატჩის წინა სტატიას ავტორი ასე ასათაურებს - „ქართველები საქართველოსთვის!“ სადაც ვკითხულობთ, - კარდიფის იმ არენაზე, რომელსაც თავისუფლების სტადიონი ჰქვია... ჩვენთან დატრიალებული ამბების გამო საქართველოს ნაკრებს პრობლემები თავზესაყრელად ჰქონდა... ქართველები აშკარად ვერ არიან იმტაზე, - ბოლოდროინდელმა მოვლენებმა ეს მატჩი კი არა პეკინის ოლიმპიადაც კი დაგვიჩრდილა... საქართველოს ნაკრების ხორვატი სპეციალისტი პეტერ სეგრტი საომარ სიტუაციებში საქართველოს ინტერესებს იცავდა, რისთვისაც ჟურნალისტის კეთილგანწყობა დაიმსახურა და სათაურში დააწერეს - „ხორვატმა იცის რა არის ომი“.

ვერა და ვერ უვლის გვერდს თავისივე შექმნილ მტრის ხატს „სარბიელი“. ერთ ფოტოზე ვკითხულობთ - რუსეთის არ იყოს, კარელინიც დაუმარცხებელი ეგონათ, გარდნერმა კი ეს შეზლო. რომ არა ლტოლვა აშკარა სიძულვილის ფრეიმისა ჟურნალისტი საერთოდ არ ახსენებდა რუსეთს ისე გადმოგვცემდა ამ ინფორმაციას, ვინაიდან ამის აუცილებლობა არ იყო. ასევე იწერებოდა - „ესეც ასე! ესპანეთმა მოსკოვშივე დასცა ბეჭეზზე რუსეთი და ამით საკუთარი და საქართველოს საქმე გააკეთა“. ტექსტის ავტორი კმაყოფილია რუსული წარუმატებლობით და ეს კმაყოფილება საგრძნობია. თუმცა ოლიმპიურ სოფელში ქართველ სპორტსმენებს ომის ამბებზე შეგნებულად არ ესაუბრებოდნენ გაზეთ „სარბიელის“ რეპორტიორები, რაც მისასალმებელია.

გაზეთ „სარბიელში“ მომუშავე ჟურნალისტები საკუთარ ფალავანს რევაზ მინდორაშვილს მოფერებითი სახელითაც მოიხსენიებენ - „მინდორა“. ისინი ხარობენ წარმოშობით ქართველი კეტოვის დამარცხებას, მხოლოდ იმიტომ, რომ ის რუსეთის სახელით ასპარეზობდა. „ბრაზისაგან და ბოღმისაგან როგორ აუჭარხლდათ სახე რუსებს, როდესაც ფინალში გასასვლელ შეხვედრაში რევაზმა მათი ფალავანი მიაწვინა“. სპორტული ჟურნალისტები დახელოვნდნენ პოლიტიკური ჩარჩოს შექმნაში და წერდნენ- „ჩვენი ქვეყანა ისევე განსაცდელშია. დაუბარებელი სტუმარი დაუნდობლად ანადგურებს

ყველაფერს და ქართველ ხალხს სიცოცხლეს უმწარებს. აბა როგორ უნდა თქვას კაცმა, ომზე საშინელი ის გაურკვეველი მდგომარეობაა, რაც დღეს საქართველოში არისო?! მაგრამ, ვგონებთ, ქართველი კაცისთვის ომზე უარესი სწორედ, რომ ის გაუსაძლისი დღეებია, ახლა ჩვენთან რომ დგას - დამცირება, შეურაცხყოფა, ცინიზმი და ყველაფერი ის, რაც ასე აუტანელია ადამიანისთვის. ქართველი ოლიმპიელები დამძიმებული გულებით, მაგრამ მაინც ჯიგრით რომ ომობენ და მსოფლიოს აჩვენებენ ვისი გორისანი ვართ!“ სპორტული ჟურნალისტი პოლიტიკური შეფუთვის შემდეგ ოსტატურად ახერხებს სპორტზე გადასვლას. მრავლად იყო არაეთიკური ფრაზები : „კაცია პროვო-კაცია? არაკაცური ომისაც და ჭიდაობისაც...“ „ ფიქს თავი სულელი პაიკია“, „ცუდი რუსეთი რუმინეთშიც გაიქნეს“. ამ სათაურების ქვეშ კი ვკითხულობთ ისევ დრამატიზირებულ პოლიტიკური ხასიათის ტექსტებს, რომლებიც რაღაც საოცრებით შემდეგ სპორტს უკავშირდება. „გახსოვდეს, შვილო ეს საქართველოა, რომელიც დაბომბეს“, „ თუ ვინმეს სჯერა, რომ სპორტში პოლიტიკის ადგილი არაა, მწარედ ცდება“, „საომარი მოქმედებები თითქოს შეწყდა, რუსულმა ტანკმა და ჩექმამ საქართველოდან წასვლაც დაიწყა. ამ საშინელ დღეებში კი ფეხბურთზე ფიქრიც შეუძლებელი იყო.“ „ იმ დროს როცა რუსეთი უმცროს ძმას არ ეშვება და ნერვებს აწყვეტს, მთელი მსოფლიოს ყურადღება ამ ერთი მუჭა ქვეყნისკენაა მიმართული. დიახაც, უნდა დაგვენახვებინა რა შეგვიძლია. მაგრამ მატჩს წმინდა სათამაშო კუთხითაც სევეხოთ“... ამ უკანასკნელი სიტყვებიც ჟურნალისტი თავადვე აანალიზებს საკუთარი ტექსტის შინაარსობრივ ხასიათს და მხოლოდ დასასრულს ამბობს სპორტული კუთხითან განვიხილავო. მსგავსი პრობლემა სპორტულ გაზეთში არ უნდა იკვეთებოდეს, ვინაიდან სპორტის ამბებს ჰყავს სპეციფიკური მკითხველი, რომელსაც მხოლოდ სპორტული სიახლეები აინტერესებს ყოვეგვარი მიკერძოებულობისა და ზედმეტი პოლიტიკური ფონის გარეშე. საომარი სიტუაციების შესახებ ისედაც ყველამ ყველაფერი იცოდა და ამბის

დრამატიზირებით ისევ სპორტული გაზეთის მომხმარებელი
ზარალდებოდა.

ძირითადად პოლიტიკური ხასიათის სტატიები გამოიკვეთა 9
აგვისტოდან, ომის დაწყების მეორე დღიდან და ოლიმპიადის ბოლომდე
გასტანა. თუმცა თვის მიწურულს იყო რამდენიმე პოლიტიკური თუ
სიძულვილის ენის მაგალითი. „საქართველო მუდამ რაღაცას ელის.
უპირველესად, მესამე კვირაა რუსების წასვლას.“ „ოლიმპიური დროშა
ლონდონს მიდის, რუსეთისა კი აქ რჩება“. „ყაზახეთის სახელით მოჭიდავე
ნამირალა თეიმურაზ ტაგიევი...“ ეს უკანასკნელი გამოწვეული იყო იქიდან,
რომ ქართველ გიორგი გოგშელიძეს ტრავმიან სახეზე დაუფარავად
ურტყამდა, არასპორტულად. რომ შევაჯამოთ, ომმა სპორტულ გაზეთ
„სარბიელზე“ საკმაო გავლენა მოახდინა, შეცვალა მათი წერის კულტი და
მრწამსი პოლიტიკური გახადა რიგ ეპიზოდებში. ხოლო ომის
დასრულებასთან ერთად ეტაპობრივად მინელდა პოლიტიკური სტატიები
და იკლო მათმა რიცხვმა. „სარბიელი“ კი სპორტულ საქმიანობას დაუბრუნა.

5.2 გაზეთი „ლელო“ 2008 წლის აგვისტო

სპორტული გაზეთი „ლელო“ 2008 წლის აგვისტოში ომის დაწყებამდე დიდად არ გამოირჩეოდა პოლიტიკური აქცენტების სიუხვით. ომის დაწყებიდან საქართველოდან რუსების ჯარების გაყვანამდე პოლიტიკურმა სტატიებმა იმატა, შემდეგ კი ნელ-ნელა ეტაპობრივად შემცირდა. თუმცა 9 აგვისტომდეც იწერებოდა, - „ნესტორის მეტოქე ფერადკანიანი ფრანგია, რუსული გვარ-სახელით,“ „რუსულ მერხთან მისულებმა უმაღლესი რუსულის ცოდნაში მომსახურე გოგონა. მან მხოლოდ „ხოროშო“ თქვა ჩვენთვის გასაგებად“, „აფრიკელ ფეხბურთელთა უმრავლესობამ ზუსტი ასაკი თვითონ არ იცის და ნუ გაგვიკვირდება,“ „გიგა ბოკერია არგენტინული ფეხბურთის ფანია და რა თქმა უნდა, საქართველოს ნაკრების მწვრთნელობის კანდიდატი კუპერი რომ გახდა, მას ამიტომაც დაუჭირეს მხარი“. მსგავსი პოლიტიკური აქცენტები და მცდელობები მსუბუქად პოლიტიკის შეპარებისა სპორტულ სტატიებში იშვიათად, მაგრამ მაინც იგრძნობოდა ომის დაწყებამდე აგვისტოს ნომერებში. აგრეთვე იწერებოდა ცნობილი საფეხბურთო არბიტრის მარკ კლატენბურგის შეცვლის მიზეზებზე, სადაც ჟურნალისტი ამოხატდა, რომ მარკს სოლიდური ვალები დაუგროვდა და შესაძლოა, სულმა წასძლიოს და დიდი თანხის სანაცვლოდ ვინმეს გაურიგდეს. მნიშვნელოვანი იყო სტატია - „ამერიკელთა პოლიტიკური მედროშე“. სადაც ვკითხულობთ ჟურნალისტის პოლიტიკურ აზრს, თუ რატომ შეიძლება გამხდარიყო კონკრეტული პიროვნება ამერიკელთა მედროშე. სტატიაში წერია - „აფრიკული წარმოშობის მძლეოსანი ლოპეს ლიმონგი აშშ-ის მედროშეა. ამერიკელთა ამ გადაწყვეტილებას შეიძლება პოლიტიკური ნაბიჯიც ვუწოდოთ. 23 წლის ლიმონგი წარმოშობით სუდანიადაა. აშშ კი როგორც ცნობილია, აქტიურად მუშაობს სუდანის პროვინცია დარფურშიძალადობის შეწყვეტაზე“.

9 აგვისტოდან „ლელოს“ გამოშვებების სახე საგრძნობლად იცვლება. თუ აქამდე იშვიათად წავაწყდებოდით პოლიტიკურ აქცენტებს სტატიებში, ისიც არა მხოლოდ ერთი ქვეყნის მიმართ, 9 აგვისტოდან ინტენსიურად

იწერება ომის მიმდინარეობისა და რუსული აგრესიის შესახებ. იწყება მტრის ხატის ჩამოყალიბება. მაგალითად 11 აგვისტოს ნომერში „ლელოს“ რეპორტიორი წერს ფრანგ ძიუდოისტ დრაგინის გამარჯვებაზე - „ჩვენი აპლოდისმენტების თანხლებით, რუსეთის წარმომადგენელი რუსლან კიშმახოვი დაამარცხა“. აქ ჟურნალისტი აფიქსირებს საკუთარ პოზიციას, რომელიც საკუთარი ქვეყნის წარმომადგენელი სპორტსმენის მიმართ სიმპათიებს კი არ გულისხმობს, არამედ საკუთარ ქვეყანასთან საომარ სიტუაციაში მყოფი ქვეყნის წარმომადგენლისადმი ანტიპატიითაა გამოწვეული.

საინტერესოა, თუ როგორ შემოყავს ჟურნალისტს ომის თემატიკა სპორტულ სტატიაში - „ ომი ომია და მას თავისი წესები აქვს. რუსეთის ხელისუფლებამ ყველა დაწერილი თუ დაუწერიელი ნორმა დაარღვია და ოლიმპიადის დაწყებამდე რამდენიმე საათით ადრე ომი წამოიწყო . „სამტრედია“ „ვიტ ჯორჯიასთან“ სათამაშოდ თბილისისკენ გორის გავლით მიდიოდა, როცა რუსეთი გვბომბავდა“.

ომის დაწყებიდან პირველსავე ნომერში ლელო აკეთებას განცხადებას - „ ასეთ ვითარებაში, როცა მთელი ჩვენი ყურადღება მიპყრობილია კონფლიქტის ზონისკენ, იქ, სადაც რღეს წყდება საქართველოს ბედი, ძალზე ძნელია, ხალხს მშვიდად ესაუბრო, თუ როგორ ტყორცნა ბადრორომელიდაც სპორტსმენმა ან რომელ დისტანციაზე დაამყარა მავანმა ათლეტმა მსოფლიო რეკორდი... კალამი არ გვემორჩილება, ოლიმპიადის გახსნის მშვენიერი შოუც, როგორღაც, გულს გარეთ განვიცადეთ, მაგრამ პროფესიულ მოვალეობასაც არ ეღალატება... მოკლედ, არ გვეწერება, მაგრამ მაინც ვწერთ!...“

სპორტულ გაზეთში პოლიტიკური ხასიათის ეფექტების გამომჟღავნების და სიტუაციის გამმაფრების მაგალითებად გამოდგება : „მაბათს გვიანი საღამოა. მდუმარედ მიმოდინა ჩვენები ოლიმპიურ სოფელში. სპორტსმენთა დიდი ჯგუფი მოლზე წამოწოლილა, ზაოგან ორ-ორი თუ სამ-სამი ქართველი შეკრებილა და მძიმედ საუბრობენ. ცხადია, რაზეც. უნდა

ვიომოთ, ჩვენ ხომ ისეთ წინაპართა შვილები ვართ, ბოლომდე ბრძოლა რომ სჩვევიათ!“ „ ქართული წარმოშობის ზმერიკელი მშვილდოსანი ხათუნა ქვრივიშვილი, იგივე ხათუნა ლორიგი ოლიმპიური თამაშების გახსნის ცერემონიიდან ოლიმპიურ სოფელში მივიდა და ტელევიზორს მიუჯდა. ახალი ამბები აინტერესებდა. გაიგო და გაოგნდა BBC -იმ გამოშვების უმეტესი ნაწილი დაუთმო ხათუნას მშობლური ქვეყნის, საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის გამოსვლას. „გავშეშდი, გავიყინე“ - აღნისნა ლორიგმა“. ასევე სათაურში გამოჰქონდათ პოლიტიკური ხასიათის ფრეიმები, რომელთაც წესით, მკითხველში გარკვეული ემოცია უნდა გამოეწვია. მაგალითად, „ რატომ მიბომბავთ ქვეყანას?“ რუსეთო ხელები შორს საქართველოსგან!“ „რატომ? რატომ?“ „სიკეთემ ბოროტებას უნდა სძლიოს“, „გაიტანეთ ლელო საქართველოსთვის!“ „ჟამი სიცოცხლისა და ჟამი ფეხბურთისა“. ამ უკანასკნელი სათაურის ქვეშ ვკითხულობთ ერის მარია რემარკის ფრაზას - „სიკვდილს რუსეთში სულ სხვა სუნი აქვს, ვიდრე აფრიკაში. რუსეთში კი სიკვდილი წებოვანი და მყრალია“. ამ მხატვრულად მიწოდებული ფრეიმით სპორტული ჟურნალისტი აყალიბებს მტრის ხატს მკითხველის თვალში. ხდება მოვლენის გამხატვრება და იქმნება სიძულვილის ობიექტი. რაც სხვა სტატიებშიც მრავლად შეინისნებოდა - „ თავიდანვე უნდა აღინიშნოს, რომ იტალიელებმა რუსებს მშვენიერი გაკვეთილი ჩაუტარეს. აძური სათამაშოდ კარგად ორგანიზებული გამოვიდა, რაც ხშირ შემთხვევაში ძალიან ბევრს ნიშნავს კონკრეტულად რუსების გუნდის წინააღმდეგ თამაშისას...“ ასევე იყო შემთხვევები, როდესაც დამაკნინებელ მდგომარეობაში სპორტსმენებზე წერისას, მხოლოდ რუსეთის წარმომადგენლის ეროვნება დასახელდა, რაც დაუშვებელია დაბალანსებული წერის პირობებში, ვინაიდან ან ყველას ეროვნებას ასახელებს ჟურნალისტი, ან არც ერთისას. ამის მაგალითი იყო - „ მათ 15 წამით ჩამორჩებოდნენ რუსი კოლოზნიევი, ჯანჩელარა და დროზე რბოლაში მსოფლიოს სამეზის ჩემპიონი მაიკლ როჯერსი. რუსმა სიჩქარეს უკლო და ბოლოს პელოტონში ჩაიკარგა.“

ავგისტოს ნომრებში გვხვდებოდა სტატიები, რომლის თემატიკიდან გამომდინარე ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებს გვერდს ვერ აუვლიდნენ ჟურნალისტები, თუმცა საქმეს ნორმალურად, ზედმეტი გამხატვრებისა და ომის თემატიკის გამძაფრების გარეშე გაართვეს თავი. ასეთი იყო : „ფრანგული ლეგიონი საომრად მზადაა“, „ზაზა ფაჩულია ანტირუსულ აქციაზე“, „STOP RUSSIA!“. ამ სტატიები მხოლოდ სათაურები იყო ორაზროვანი და შესაძლოა პოლიტიკურიც კი, თუმცა მათ ქვემოთ რაც ეწერა ყოველგვარ პოლიტიკურ ფრეიმებს სცდებოდა და საერთო ჯამში კარგის მაგალითებად გამოდგება.

ასევე გვხვდებოდა აგრესიის ენა კონკრეტული ერის მიმართ და ჟურნალისტის პირადი დამოკიდებულება. მაგალითად, - „ აქ იყო თუ იყო ორმხრივი ჟინი ურთიერთძლევისა, რუსეთ-საქართველოსკონფლიქტური ურთიერთობის ფონზე. ახლა რუს ივან პერშინთან აქვს მოსაგვარებელი საქმე ქართველს... მალე დასრულდა ივანის უილაჯო ფაფხური“, „ ცირეკიძემ პუტინს ძმაკაცი მოუგუდა“.

„ლელოსთვის“ სახასიათო 2008 წლის ავგისტოს ნომრებში სპორტული სტატიების პოლიტიკური დასაწყისი იყო. მაგალითისთვის წარმოგიდგინოთ რამდენიმე : „ ოლიმპიური თამაშები პეკინში თანდათან პოლიტიკურ ელფერს იძენს. ჩვენთვის მაინც სხვა გზა არ არის. საქართველოს ინტერესების დასაცავად ყველა საშუალებაა დღეს გამართლებული“, „ომი მძვინვარებს ქვეყანაში. რუსები ჩვენს მიწა-წყალზე თავის ქვეყანას იცავენ“, „საომარი მოქმედებების შეწყვეტას ჯერ ბოლო არ უჩანს, თუმცა, იმედია, ყველაფერი მალე დამთავრდება და ომი მშვიდობიან მოლაპარაკებებში გადაიზრდება“, „ომია საქართველოში, საშინელი ომი, იღვრება უდანაშაულო ადამიანების სისხლი, იბომბება ქალაქები და სოფლები“, „რუსეთის აგრესიამ ხალხს მხოლოდ ერთი საფიქრალი დაუტოვა, ეს გოლიათი ქართველმა დავითმა როგორ უნდა დაამარცხოს? სანამ ბრძოლას გამარჯვებამდე მივიყვანთ...“ „რუსეთის აგრესიამ ქართული ქალაქებიდან ყველაზე მეტად გორი დააზარალა. რა დღეში ჩააგდეს ბარბაროსებმა ჩვენი

უძველესი ქალაქი“, „ბარბაროსებმა ჰუმანიტარული კატასტროფა გამოიწვიეს“ და სხვა.

ქართველ ფეხბურთელ დავით სირაძესთან ინტერვიუს დროს ჟურნალისტი ესეთ რამეს წერს - „რუსეთის აგრესიის გამო, ბუნებრივია, მხოლოდ საფეხბურთო თემატიკით არ შემოვიფარგლებოდით და ომსაც შევებეთ“. აქედან შესაძლებელი ხდება ჟურნალისტის მიდგომის დანახვა, რომ პოლიტიკაზე საუბარს საკუთარი მოტივით იწყებს და არა რესპონდენტის.

ზოგ შემთხვევაში იკვეთებოდა ქართველებისადმი გულშემატკივრობის ფაქტები ჟურნალისტების მხრიდან. მაგალითად, - „უკ, რა დაშ-ხოშიანი გამოდგა თემურ ქეცბაიას გუნდის გამარჯვება. „ანორთოსისმა“ საბერძნეთის ჩემპიონ „ოლიმპიაკოსს“ კუდიტ ქვა ასროლინა“. აქ უტაქტო სიტყვებით მოიხსენიებს მოწინააღმდეგე კლუბს სტატიის ავტორი და შესამჩნევს ტოვებს საკუთარ პოზიციას მკითხველის თვალში. „ყოჩაღ, კახა კალაძე!“ - ასე პოზიციის დაუფარავად იწყებს ჟურნალისტი სტატიას - „კახა კალაძე რუსებს ბომბავს“. ესეც მორიგი ფრეიმი, რომელიც მკითხველზეა გამიზნული. „რუსის საქმე ცუდად არის“- ამ ორაზროვან სათაურს აქვეყნებს „ლელო“ რუსეთის საკალათბურთო მარცხის თემატიკის თავზე. ამ სათაურის შემხედვარე მკითხველს კი პირველადი შთაბეჭდილება პოლიტიკური უჩნდება და არა სპორტული, ვინაიდან სათაური პოლიტიკური ფრეიმის შემცველია.

ჩინელი შტანგიშტის გამარჯვებაზე საუბარს „ლელოს“ ჟურნალისტი ასე იწყებს - „იმ დროს როცა რუსმა სლივენკომ მხოლოდ 140კილოგრამი დაძლია...“ ვფიქრობ, ჟურნალისტმა არა საჭიროებისამებრ გამოიყენა ამ შემთხვევაში რუსი სპორტსმენის სახელი და ვინაობა. ეს უფრო დამაკნინებელ ფაზაში კონკრეტული ქვეყნისა თუ ინდივიდის წარმოჩენას ჰგავს, ვიდრე შემტხვევით გამოსროლილ ფრეიმს. იკვეთებოდა სიმულვისლის ენა რიგ შემთხვევებში, - „რუსეთში მოთამაშე ქართველ ლეგიონერებს როგორ წაუვათ საქმე ბოროტ, საშინელ ქვეყანაში...“ ამ

სიტყვებით მოიხსენიებს რუსეთს ჟურნალისტი, რითაც ორი აზრი არაა, რომ სიძულვილს გამოხატავს კონკრეტული ქვეყნისა თუ ერის მიმართ.

საინტერესოა, თავად რუსული პოლიტიკის ჩარევა სპორტში. რუსებმა აგვისტოს ომის პერიოდში 5 ქართველი ფეხბურთელი არ გამოუშვეს სათამაშოდ საქართველოს ეროვნულ ნაკრებში და ისინი საერთაშორისო იზოლაციაში მოაქციეს. იყო მოწოდება ჟურნალისტის მხრიდან, - „სპორტსმენებო, მიბაძეთ კახა კალაძეს!“ თუმცა, მიმაჩნია ეს მოწოდება გამართლებული იყო, ვინაიდან კალაძე იმ პერიოდისთვის ომისაგან დაზარალებულებს ეხმარებოდა.

გაზეთ „ლელოში“ ინტერვიუები პოლიტიკურ ხასიათს ატარებდა. კითხვების უმეტესი ნაწილი ქვეყანაში მიმდინარე ომს უფრო უკავშირდებოდა, ვიდრე სპორტულ საკითხებს. მაგალითად, რევაზ არველაძესთან ინტერვიუს ბოლოსკენ ჟურნალისტი ასეთ რამეს წერს, „ერთი წმინდა საფეხბურთო კითხვაც...“ ეს ფრაზა თავისთავად, მიგვანიშნებს წინამდებარე შეკითხვების ხასიათზე. დავით კვიციანიას კითხეს, თუ როგორ იმოქმედა რუსეთ-საქართველოს კონფლიქტმა „რუბინის“ ქართველებზე? გია კვარაცხელიას ეკითხებიან, „რუსეთში ქართველების დევნის მორიგი და ყველაზე სასტიკი ეპოქა დაიწყო. ბელარუსი რუსეთის სატელიტია და ჩვენებურებს როგორ გექცევიან?“ ნანა ალექსანდრიას ჟურნალისტი ეკითხება რა იცის ფოტოში მყოფი თავისი ახლობლების მდგომარეობის შესახებ, რაც სამართლიანი იქნება, თუ ვიტყვით, რომ სპორტული გაზეთის მკითხველის დიდ ინტერესებში არ უნდა შედიოდეს. „ლელოს“ ჟურნალისტებს ჰქონდათ მცდელობები სათაურად გამოეტანათ ის ფრაზა, რასაც საკუთარი შეკითხვით აიძულებდნენ რენსპონდენტს წარმოეთქვა. მაგალითად, სათაური - „დოლონაძეს სამშობლოს ბედი ანადვლებს“ განპირობებულია პასუხით, რომელიც ამ კითხვას მოსდევს, „ალბატ, თავად ხშირად რეკავთ საქართველოში?“ ძალოსანთა ნაკრების მწვრთნელი ვანო გრიქუროვი და სხვა წევრების უმრავლესობა ცხინვალიდან არიან. გრიქუროვთან ინტერვიუს დროს „ლელოს“

რეპორტიორი რენსპონდენტს მიმართავს, -„არ შეგვიძლია, არ შევუხებოთ ძალზე მტკივნეულ საკითხს, ანუ სიტუაციას საქართველოში, რომელმაც ყველაზე მეტად თქვენ დაგაზარალათ...“ რაზეც გრიქუროვმა უთხრა, რომ უმჯობესი იქნებოდა თუ ამ საკითხზე არ ისაუბრებდნენ, რადგან ისედაც ძალიან ბევრს ნერვიულობდნენ ბიჭები. ზუსტად ანალოგიურ საკითხზე „სარბიელის“ რეპორტიორმა აღნიშნა, რომ შეგნებულად, არავინ ვესაუბრებით ქვეყანაში მიმდინარე პროცესებზე ომისგან დაზარალებულ სპორტსმენებსო.

„ლელოს“ 2008 წლის აგვისტოს ნომერში შეინისნებოდა სარკაზმი და პოლიტიკური სიმძაფრე ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკური პროცესების მიმართ. ჟურნალისტები გამუდმებით ეხმიანებოდნენ ამ ფაქტს და ხშირად, ეს ხდებოდა ტექსტის დასაწყისში. მოვიყვან რამდენიმე მაგალითს, თვალსაჩინოებისთვის. „პოლიტიკური ნუგბარი ქართველებს რუსულ ტანკებად უხვად გვაქვს დღეისთვის ამერ-იმერში და თვალეზ-დაკარკლულნი ვაგემოვნებთ.“ „მიხვდებით, ალბათ, რაოდენ დიდი სტრესი გადაიტანა, ცხინვალელმა, ეთნიკურად ოსმა, მანამ, ვიდრე ფიცარნაგზე საქართველოს დროშიანი ემბლემით დამშვენებული გამოვიდოდა.“ „გუშინ ჯაბას ისრაელში რომ შევეხმიანეთ, ჯერ პოლიტიკაზე ჩავუგდეთ სიტყვა, რამეთუ ირანი რუსეთის სტრატეგიულ პარტნიორად მიიჩნევა.“

„ოკუპანტები ვერ ელევან საქართველოს, ვლადიმირ პუტინი ნელ-ნელა ჰიტლერს ემსგავსება.“ „რუსის აგრესორმა მიზნის ნაწილს მიაღწია - დააქცია საქართველოს ინფრასტრუქტურის მნიშვნელოვანი ნაწილი, ხალხი ჩაგვიხოცა, ცხინვალის კი ალბათ იმიტომ დაბომბა, რომ იქაური ნარკოტიკების გადამამუშავებელი ცეხების კვალი წაეშალა.“

დასასრულს გავიხსენებ ერთ მნიშვნელოვან ფაქტს, როდესაც რევაზ მინდორაშვილმა, წარმოსობით ქართველი, თუმცა რუსეთის სახელით მოასპარეზე გიორგი კეტოევი დაამარცხა. ჟურნალისტს ჰქონდა მცდელობა პოლიტიკური დატვირთვა ეჩვენებინა ამ ორთაბრძოლისა, თუმცა რევაზისგან მიიღო პასუხი - „ვფიქრობ, სპორტი პოლიტიკისგან შორს უნდა

იყოს. თან კეტოევი თბილისელი ბიჭია, ჩვენია. სპორტსმენისთვის ასპარეზი მხოლოდ სპორტული არენაა!”

მთლიანობაში 2008 წლის „ლელოს“ ნომრები განსაკუთრებით ომის დაწყებიდან გამოირჩეოდა ომიანობის თემატიკის შეხსენებით. ხოლო შედარებისთვის, მიუხედავად ბევრი საერთო ფაქტისა, „ლელოს“ ჟურნალისტები მეტად ემოციური აღმოჩნდნენ, ვიდრე „სარბიელის“.

6 რაოდენობრივი კონტენტ ანალიზი

6.1 რაოდენობრივი კონტენტ ანალიზი “ლელო”

ცხრილი N1.

თარიღი	სტატიების მთლიანი რაოდენობა "ლელო" 2008 წ.	პოლიტიკური აქცენტების შემცველი სტატიები	პოლიტიკური აქცენტების შემცველი სტატიების მთლიან რაოდენობაში	
1 აგვისტო	34	0	0.0%	
2 აგვისტო	39	1	2.6%	
3 აგვისტო	-	-	-	
4 აგვისტო	33	1	3.0%	
5 აგვისტო	35	0	0.0%	
6 აგვისტო	31	1	3.2%	
7 აგვისტო	38	1	2.6%	
8 აგვისტო	39	10	25.6%	
9 აგვისტო	36	5	13.9%	
10 აგვისტო	-	-	-	
11 აგვისტო	32	17	53.1%	
12 აგვისტო	-	-	-	
13 აგვისტო	41	9	22.0%	
14 აგვისტო	33	11	33.3%	
15 აგვისტო	33	9	27.3%	
16 აგვისტო	35	3	8.6%	
17 აგვისტო	-	-	-	
18 აგვისტო	30	8	26.7%	
19 აგვისტო	38	4	10.5%	
20 აგვისტო	38	7	18.4%	
21 აგვისტო	40	3	7.5%	
22 აგვისტო	30	4	13.3%	
23 აგვისტო	33	2	6.1%	
24 აგვისტო	-	-	-	
25 აგვისტო	33	3	9.1%	
26 აგვისტო	36	2	5.6%	
27 აგვისტო	42	1	2.4%	
28 აგვისტო	37	2	5.4%	
29 აგვისტო	35	1	2.9%	
30 აგვისტო	33	1	3.0%	
31 აგვისტო	-	-	-	
ჯამი	884	106	12.0%	

6.2 რაოდენობრივი კონტენტ ანალიზი “სარბიელი”

ცხრილი N2.

თარიღი	სტატიების მთლიანი რაოდენობა "სარბიელი" 2008 წ.	პოლიტიკური აქცენტების შემცველი სტატიები	პოლიტიკური აქცენტების შემცველი სტატიების წილი სტატიების მთლიან რაოდენობაში
1 აგვისტო	29	2	6.9%
2 აგვისტო	32	1	3.1%
3 აგვისტო	-		
4 აგვისტო	36	0	0.0%
5 აგვისტო	38	2	5.3%
6 აგვისტო	35	1	2.9%
7 აგვისტო	40	1	2.5%
8 აგვისტო	26	2	7.7%
9 აგვისტო	27	4	14.8%
10 აგვისტო	-		
11 აგვისტო	34	9	26.5%
12 აგვისტო	-	13	
13 აგვისტო	24	7	29.2%
14 აგვისტო	27	5	18.5%
15 აგვისტო	40	10	25.0%
16 აგვისტო	31	5	16.1%
17 აგვისტო	-		
18 აგვისტო	33	9	27.3%
19 აგვისტო	50	6	12.0%
20 აგვისტო	35	3	8.6%
21 აგვისტო	35	4	11.4%
22 აგვისტო	30	3	10.0%
23 აგვისტო	30	5	16.7%
24 აგვისტო	-		
25 აგვისტო	29	2	6.9%
26 აგვისტო	31	1	3.2%
27 აგვისტო	27	1	3.7%
28 აგვისტო	35	0	0.0%
29 აგვისტო	33	1	3.0%
30 აგვისტო	31	1	3.2%
31 აგვისტო	-		
ჯამი	818	98	12.0%

7. ექსპერტების მოსაზრებები

კვლევისთვის შერჩეული ექსპერტები სპორტულ ჟურნალისტიკაში მუშაობის მინიმუმ 10 წლიან გამოცდილებას ითვლიან. საინტერესოა მათი მოსაზრებები საკვლევ კითხვებზე, ვინაიდან ეს სპეციალისტები წარმოადგენენ მასმედიის სხვადასხვა ასპექტს : ტელევიზიას, რადიოს, გაზეთს, ვებს და გამყვან პროდიუსერს. სიღრმისეული ინტერვიუს სტრუქტურულ მოდელზე დაყრდნობით შერჩეულ კითხვებს, რომელიც რენსპონდენტებს დავუსვი გთავაზობთ უცვლელად :

1. ზოგადად, ოლიმპიადის საკითხების გაშუქება სპორტული ჟურნალისტიკისგან რა უნარ-ჩვევებს მოითხოვს?
2. როგორ აშუქებენ სპორტულ საკითხებს ქართულ სპორტულ პრესაში?
3. რა ძირითადი პრობლემები იკვეთება სპორტული საკითხების გაშუქებისას?
4. სპორტული საკითხების გაშუქების პროცესში რა გავლენას ახდენს ქვეყანაში საომარი ვითარება?
5. რამდენად თავისუფალია სპორტული პრესა საქართველოში?
6. რა მდგომარეობაშია სპორტული პრესა საქართველოში დღეისთვის?
7. როგორია სპორტული პრესის მსოფლიო სტანდარტი?
8. რა დროიდან მოღვაწეობთ სპორტულ ჟურნალისტიკაში?

ექსპერტთა ჯგუფი თანხმდება იმ საკითხზე, რომ ოლიმპიადის გაშუქებას თანაბრად გათვითცნობიერება სჭირდება სპორტის სხვადასხვა საკითხში. გიორგი ჭინჭარაული ამბობს - „თუ კარიდან არ შეგიშვებს, ფანჯრიდან უნდა გადაძვრე“. მისივე მოსაზრებით, ქართულ სპორტულ პრესაში პროფესიონალიზმი ნაკლებია, რადგან დიდწილად დილექტანტებით არის დაკომპლექტებული, რომლებიც საკითხებს გადაჭარბებულ შეფასებას აძლევენ. ახლო წარსულში გიორგი ჭინჭარაული გაზეთ „სარბიელშიც“ მუშაობდა. მისივე შეფასება ემთხვევა გარვეულწილად კვლევაში მიღებულ შედეგებს. იგივე 2008 წლის აგვისტოს თვეში უამრავი მოვლენა გადაჭარბებული სიმძაფრით გაშუქდა. ამის საწინააღმდეგო მოსაზრებას გამოთქვამს ექსპერტი სანდრო ცნობილაძე, რომელიც ქართულ სპორტულ

პრესაში მომუშავე ადამიანებს მონდომებას არ უწუნებს, ხოლო მთავარ პრობლემად უსახსრობას ასახელებს, რის შედეგადაც ბევრი სპორტული ჟურნალისტი სხვადასხვა მოვლენას ვერ ესწრება და არ გვაქვს ექსკლუზივები. სანდრო ცნობილადის აზრით, ომის დროს ნებისმიერი დარგის ჟურნალისტი ექცევა ზეგავლენის ქვეშ. მან მოიყვანა ფოლკლენდის და მალვინის კუნძულების ამბავი და გაიხსენა, რომ არგენტინაში ყოველი გამოშვება ამ თემატიკის გახსენებით იწყებოდა.

საინტერესო მოსაზრებას გამოთქვამს ექსპერტი ვახო დარასელია, რომელიც ამბობს – „შეუძლებელია, ომმა არ იმოქმედოს სპორტის განვითარებაზე, შესაბამისად სპორტულ მედიაზე“. ვახო დარასელიამ გაიხსენა მეორე მსოფლიო ომის პერიოდი, რის გამოც ფეხბურთის მსოფლიო ჩემპიონატი არ ჩატარდა.

ექსპერტი ოთარ გიორგაძე იხსენებს, რომ 2008 წლის პეკინის ოლიმპიადას ჩინეთიდან აშუქებდა. მისი თქმით პირველივე დღიდან შეიცვალა გაშუქების ინტენსივობა და შინაარსი. თავად უცხოელი ჟურნალისტებიც კი, რომლების სპორტული ღონისძიებების გასაშუქებლად მიავლინა საკუთარმა ქვეყნებმა ჩინეთის დედაქალაქს, ომის თემატიკით იყვნენ დაინტერესებულნი.

გიორგი ჭინჭარაულის თქმით, ომი ხელს უშლის სპორტულ ჟურნალისტს ობიექტური და გაწონასწორებული მასალის გაკეთებაში, თუმცა გულშემატკივარს პატრიოტიზმის გრძნობას უმზაფრებს.

მაგდა კლდიაშვილი სპორტული პრესის თავისუფლებაზე საუბრისას საკუთარ შემთხვევას იშველიებს მაგალითისთვის. ის ამბობს, რომ რადიო „ჯაკოში“ მუშაობისას ხელმძღვანელი უშუალოდ სპორტის მინისტრი დავალებებს ასრულებდა, რის გამოც სამსახური დატოვა. გიორგი ჭინჭარაული სპორტული პრესის თავისუფლებას 20%-მე მეტს არ აძლევს. დანარჩენი ექსპერტების აზრით კი საქართველოში სპორტული პრესის თავისუფლება შეძლადული თითქმის არ არის.

ექსპერტების უმრავლესობა სპორტული ჟურნალისტიკის დღევანდელ მდგომარეობაზე საუბრისას ამბობენ, რომ დაინტერესება ხალხის მხრიდან ნაკლებია, რადგან დაბალია ანაზღაურება, თუმცა ვისაც თავისი საქმე უყვარს მაინც ჩაებმება ამ დარგში. სანდრო ცნობილამის აზრით, საქართველოში სპორტული ჟურნალისტიკა უფრო წინაა, ვიდრე თავად ქვეყანა. მისივე აზრით, საქართველოში ეს მიმართულება ბევრად წინაა, ვიდრე იგივე ალბანეთში ან აზერბაიჯანში. გიორგი ჭინჭარაული გამოთქვამს მოსაძრებას, რომ ბრიტანეთის მოდელი სპორტული საკითხების გაშუქების თვალსაძრისით საუკეთესოა მსოფლიოში. ისინი გადაუმოწმებელ ინფორმაციას უბრალოდ არ აშუქებენ.

8. დასკვნა

კვლევამ უპასუხა საკვლევ კითხვებს და კვლევის შედეგებიდან გამომდინარე დადასტურდა ჰიპოთეზა. ქართველი სპორტული პრესის ჟურნალისტები მოექცნენ ომის ზეგავლენის ქვეშ და როგორც მოსალოდნელი იყო, სწორედ 8-9 აგვისტოდან განსაკუთრებით გაიზარდა პოლიტიკური აქცენტების შემცველი სტატიების რაოდენობა სპორტულ პრესაში. ხშირ შემთხვევაში სარკაზმული გამონათქვამები გადაიქცა სიზულვილის ენად. იყო შემთხვევები, როდესაც სპორტული რეპორტიორებისგან იგრძნობოდა გაღრმავებული პატრიოტული ნოტიო ნაწერი სტატიები. ზოგჯერ, როდესაც რუსეთის წარმომადგენელი სპორტსმენი მარცხდებოდა პეკინი 2008 წლის ოლიმპიადაზე ის ხდებოდა ქართველი სპორტული პრესის რეპორტიორების ქილიკის და დაცინვის მიზეზი. იყო შეგნებულად მიწოდებული ფრეიმები და იყო გაუთვითცნობიერებლად ნახსენები პოლიტიკური აქცენტები, რომლებიც ნელ-ნელა მინელდა ომის სიმწვავის მოკლებასთან ერთად. ამ ყველაფრის ნახვა შეგიძლიათ ცხრილი N1 და ცხრილი N2 - ის საშვალეებით. ამავე ცხრილებზე დაკვირვებით 2008 წლის აგვისტოს ნომრებში „ლელოსა“ და „სარბიელში“ პოლიტიკური აქცენტების მქონე სტატიების პროცენტული რაოდენობა თანაბარია და 12%-ს შეადგენს.

ფრეიმინგის ეფექტი მნიშვნელოვან როლს ასრულებდა დაკვირვებაში, თავისი სპეციფიკიდან გამომდინარე. ფრეიმინგის ეფექტით შესაძლებელი გახდა გარკვეული პოლიტიკური ფრეიმების დანახვა, რომლებიც არა მხოლოდ სტატიებში იყო, არამედ სათაურებში და ფოტოებში. პოლიტიკური აქცენტების რაოდენობას ამ პერიოდისთვის შესაძლებელია, გავლენა მოეხდინა მკითხველთა გარკვეული ჯგუფის ქცევაზე.

ექსპერტების მოსაზრებები განმარტავენ მიზეზებს, თუ რატომ შეიძლება გადაიქცეს პოლიტიკური ხასიათის სტატიად სპორტული ამბავი. ისინი ომის უდუდეს ზეგავლენაზე საუბრობენ და სულაც არ უკვირთ ის შედეგი,

რაც 2008 წლის აგვისტოს ომის პერიოდში პეკინის ოლიმპიადის დროს
გამუქებული სტატიების შინაარსობრივ მხარეს ეხება.

8. ბიბლიოგრაფია

- 1) მაჭარაშვილი- 2015 (საქართველო)
- 2) მასმედიის სელექციურობა და ფრეიმინგი
- 3) ნოდარ გუგუშვილი - ავტორ შემდგენელი „ოლიმპიური ენციკლოპედია“1997. (საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაცია. გამომცემლობა „სამშობლოს“ სტამბა).
- 4) არჩილ გოგელია - „ასეთია სპორტული ცხოვრება“ 1986. გამომცემლობა „განათლება“.
- 5) შ.ნ. ახვლედიანი, ჯ.ი. ბაგრატიონი, ნ.ე. გუგუშვილი - „სპორტი საქართველოში“ 1981. გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“.
- 6) მარინე ვეკუა, ჟილ რუე - იდეის ავტორები „ჟურნალისტიკა“ 2013. გამომცემლობა „მერიდიანი“. (ფრაიმინგი ეფექტი გვ.119).
- 7) ლია წულაძე - „რაოდენობრივი კვლევის მეთოდები სოციალურ მეცნიერებებში“ 2008. გამოცემული „სოციალურ მეცნიერებათა ცენტრის“ მიერ. (სოციალური კვლევის ბუნება გვ.6. მონაცემთა ანალიზი გვ.53).
- 8) გაზეთი „რეზონანსი“ – 1996 წლის 20-21 იანვარი. ალეკო ცქიტიშვილი - „თოგაი ბაიათლი: კავკასიის სამ სახელმწიფოს შორის საქართველო ყველაზე კარგად მუშაობს სპორტული ჟურნალისტიკის სფეროში“.
- 9) ჟურნალი „ათიანი“ 2010. რომან აფაქიძე- „დარვინი ტეორია და ქართული სპორტული ჟურნალისტიკა“. გვ 22-23.
- 10) მელვინ მენჩერი - „ახალი ამბების გაშუქება და წერა“ 2013. გამომცემლობა „დიოგენე“. ავტორთა ჯგუფი - გოსუ. სპორტი - გვ 425-450.
- 11) ენტმანი 1993. გვ52.
- 12) Media Effects- Jennings Bryant and Mary Beth Oliver

<https://ru.scribd.com/doc/248068767/Jennings-Bryant-Mary-Beth-Oliver-Media-Effects-Advances-in-Theory-and-Research-2009>

- 13) Reese 2007.
- 14) Tuchman 1978.
- 15) Carragee & Roefs 2004.
- 16) Entman 1991.
- 17) „იესპიენი“ 2017 - <https://theringer.com/how-sportswriting-became-a-liberal-profession-dc7123a5caba>
- 18) ფოქს სპორტის კოლუმნისტი კლეი ტრევისი თავის ბლოგზე - <https://www.outkickthecoverage.com/espn-moves-left-wing-so-ceo-can-run-for-president-032917/>
- 19) The Ringer ედიტორი ბრაიან კურტისი <https://www.theguardian.com/sport/blog/2017/apr/06/sports-media-left-wing-politics-espn-fox-sports>
- 20) კრეიგ კალკატერა NBC - ის ჟურნალისტი <https://theringer.com/how-sportswriting-became-a-liberal-profession-dc7123a5caba>
- 21) Alan Tomlinson, Christopher Young 2006 - <http://libgen.io/book/index.php?md5=C90EE5EAE4616BADA2F228FFFAECE26F>
- 22) Dave zirin-ის წიგნი „სპორტული საზოგადოების ისტორია ამერიკის შეერთებულ შტატებში“ – <http://gen.lib.rus.ec/book/index.php?md5=D0ABA515FE1043B21F75E421FE2B87C5>
- 23) პროფესორი Jeffrey Montez de oca 2013. „დისციპლინა და ინდულგენცია : ცივი ომის დროს კოლეჯის ფეხბურთი, მედია და ამერიკული გზა“ - <http://gen.lib.rus.ec/book/index.php?md5=9FA694C35E01DF8F539F8AB88F59F83E>
- 24) Tom Evans, Petros Iosifidis და Paul Smith 2013. „ტელევიზიის სპორტის უფლებათა პოლიტიკური ეკონომიკა“. <http://gen.lib.rus.ec/book/index.php?md5=329EF099A8B78F8E588FB8D14D6E88D3>
- 25) Tendai Chardi და Nhamo A. Mhiripiri 2014. „აფრიკული ფეხბურთი, იდენტობის პოლიტიკა და გლობალური მედიის ნარატივები: 2010 წლის ფიფას მსოფლიო ჩემპიონატი“. <http://gen.lib.rus.ec/book/index.php?md5=52F8577082430B4F753303E776D4609E>
- 26) Harris და Luke 2015. „ბრიტანეთი და ოლიმპიური თამაშები, 1908-1920: პერსპექტივები მონაწილეობისა და თვითმყოფადობის შესახებ“. <http://gen.lib.rus.ec/book/index.php?md5=C91E29023F69F4F4EB0C89847C0BBB8D>
- 27) Barri Houlihan ავტორია 2005. „ელიტარული სპორტის განვითარების პოლიტიკის შემუშავება და პოლიტიკური პრიორიტეტები“. <http://gen.lib.rus.ec/book/index.php?md5=7A875693E9D9DD526B727A06D0DB1F3>

[A](#)

- 28) Eididh Macrae 2016. „ვარჯიში ქალთა სიცოცხლის ციკლში ბრიტანეთის 1930-1970 წლების მიხედვით“.
<http://gen.lib.rus.ec/book/index.php?md5=E78CDA6F605CC9DA5E889744F2374444>
- 29) Andrei S. Markovits, Lars Rensmann 2010. „სათამაშო მსოფლიო: როგორ გარდაიქმნება სპორტი პოლიტიკასა და კულტურაში“.
<http://gen.lib.rus.ec/book/index.php?md5=71F223E9DE5834667B4332FA63325EC8>
- 30) Becker, Christian, Kruger, Michael, Nielson, Stefan 2015. „გერმანიის სპორტის, დოპინგისა და პოლიტიკის: შესრულების გაფართოების ისტორია“.
<http://gen.lib.rus.ec/book/index.php?md5=21306EF6E4D50B14221937409F1A3862>
- 31) Roger Mosey „ცოცხალი სიმართლე: ახალი ამბები, სპორტი და პოლიტიკა BBC-ზე“.
<http://gen.lib.rus.ec/book/index.php?md5=1B920ADEEDF8E58D96EE05C33ABB6E4C>
- 32) Helen Henskyj „ოლიმპიური მრეწველობის შიგნით: ძალა, პოლიტიკა და აქტივობა“.
<http://gen.lib.rus.ec/book/index.php?md5=654A3CBB0424020A6F046F1434304B0F>
- 33) Wolfram Manzenreiter 2013. „სპორტი და სხეულის პოლიტიკა იაპონიაში“.
<http://gen.lib.rus.ec/book/index.php?md5=42DDFDFC7B23EBA161617EBAAB50CC>
- 34) Pierre Arnaud „სპორტი და საერთაშორისო პოლიტიკა: ფაშიზმისა და კომუნისმის გავლენა სპორტზე“.
<http://gen.lib.rus.ec/book/index.php?md5=AE5AB5A8014059A7D13E564D1C0E6F08>
- 35) Charles Santo, Gerard Mildner „სპორტი და საჯარო პოლიტიკა: სოციალური, პოლიტიკური და ეკონომიკური პერსპექტივები“.
<http://gen.lib.rus.ec/book/index.php?md5=4C6A094388239AC4A575DF17B6973BF8>
- 36) Mahfoud Amara 2012 „სპორტი, პოლიტიკა და საზოგადოება არაბულ სამყაროში“.
<http://gen.lib.rus.ec/book/index.php?md5=6E5D2BB93BEE30EFA275009A797D4C19>
- 37) Helen Lovatt „სტატუსი და ეპიკური თამაშები: სპორტი, პოლიტიკა და პოეტიკა“.
<http://gen.lib.rus.ec/book/index.php?md5=CD25D97E0CA2327B70C38B5B0EDA723C>
- 38) Varda Burstyn „მამაკაცების რიტუალები: სპორტის კულტურა, მანიურობა, პოლიტიკა და კულტურა“.
<http://gen.lib.rus.ec/book/index.php?md5=8D7A4D9CF87D81D1E6FC5CD741EC0824>
- 39) Garry whannel „ტელევიზია და ტრანსფორმაცია სპორტისა“
<https://www.jstor.org/stable/40375916?Search=yes&resultItemClick=true&searchText>

[t=Television&searchText=and&searchText=transformation&searchText=of&searchText=sports&searchUri=%2Faction%2FdoBasicSearch%3Fso%3Drel%26amp%3Bprq%3Dgarry%2Bwhannel%2B2016%26amp%3Bfc%3Doff%26amp%3Bhp%3D25%26amp%3BQuery%3DTelevision%2Band%2Btransformation%2Bof%2Bsports%26amp%3Bwc%3Don%26amp%3Bacc%3Doff&refreqid=search%3A1088144efefe4a09d0ff1ecbc37f8e4b&seq=1#page_scan_tab_contents](https://www.jstor.org/stable/329055?Search=yes&resultItemClick=true&searchText=Karin&searchText=Bugel&searchUri=%2Faction%2FdoBasicSearch%3Fso%3Drel%26amp%3Bprq%3Dgarry%2Bwhannel%2B2016%26amp%3Bfc%3Doff%26amp%3Bhp%3D25%26amp%3BQuery%3DTelevision%2Band%2Btransformation%2Bof%2Bsports%26amp%3Bwc%3Don%26amp%3Bacc%3Doff&refreqid=search%3A1088144efefe4a09d0ff1ecbc37f8e4b&seq=1#page_scan_tab_contents)

40) Karin Bugel and Bram P. Buunk

https://www.jstor.org/stable/329055?Search=yes&resultItemClick=true&searchText=Karin&searchText=Bugel&searchUri=%2Faction%2FdoBasicSearch%3FQuery%3DKarin%2BBugel%2B%26amp%3Bfc%3Doff%26amp%3Bwc%3Doff%26amp%3Bhp%3D25%26amp%3Bprq%3DKarin%2BBugel%2Band%2BBram%2BP.Buunk%26amp%3Bso%3Drel&refreqid=search%3A24b78438f20e05cca0a0e0194a11c540&seq=1#page_scan_tab_contents

41) Pattana Kitiarsa

<https://www.jstor.org/stable/j.ctt16gz5wr?Search=yes&resultItemClick=true&searchText=Pattana&searchText=Kitiarsa&searchUri=%2Faction%2FdoBasicSearch%3Fso%3Drel%26amp%3Bfc%3Doff%26amp%3Bprq%3D%2528sport%2529%2BAND%2Bid%253A%252810.2307%252Fi20072663%2529%26amp%3Bhp%3D25%26amp%3BQuery%3DPattana%2BKitiarsa%2B%26amp%3Bwc%3Doff&refreqid=search%3A10293829d6ad8cb5cf1674c2c195b6f0>

42) Susan K. Morrissey

<https://www.jstor.org/stable/25746276?Search=yes&resultItemClick=true&searchText=Susan&searchText=K.Morrissey&searchUri=%2Faction%2FdoBasicSearch%3Fhp%3D25%26amp%3Bso%3Drel%26amp%3BQuery%3DSusan%2BK.Morrissey%26amp%3Bfc%3Doff%26amp%3Bwc%3Doff%26amp%3Bprq%3DSusan%2BK.%2BMorrissey&refreqid=search%3A6f11b6ef3fdd9679561bf3e376ed8a8d>

43) Donna E. Alvemann, Yang, Colin Green . <https://www.jstor.org/stable/>

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Social and Political Faculty

Mass Communication and Media Studies

Vakhtangi Kamkamidze

Political Accents of The Beijing Olympics in Georgian Sport-Press

The Thesis Submitted in partial fulfillment of the requirements for the degree of

Master of Mass Communication and Media Study

Supervisor: Maia Toradze

TSU Professor

TBILISI

2017

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

მარიამ დემეტრაშვილი

რუსული პროპაგანდის გამოვლინებები ქართულ ონლაინმედიაში

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

მასობრივი კომუნიკაციისა და მედიის კვლევების სამაგისტრო პროგრამა

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია მედიის კვლევებში მასობრივი
კომუნიკაციის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: მანანა შამილიშვილი

ასოცირებული პროფესორი

თბილისი

2017 წელი

ანოტაცია

წინამდებარე სამაგისტრო ნაშრომი წარმოადგენს მცდელობას, იკვლიოს რუსული პროპაგანდის გამოვლინებები ქართულ ონლაინმედიაში. თანამედროვე რეალობაში პროპაგანდა იდეოლოგიური ზემოქმედების ერთ-ერთი ეფექტური საშუალებაა. რუსეთი პოლიტიკურ არენაზე, განსაკუთრებით სამეზობლოში, საკუთარი ინტერესების გასატარებლად ამ ხერხს აქტიურად მიმართავს. სწორედ ამიტომ, ჩემთვის საინტერესო იყო წარმომედგინა კონკრეტული სურათი იმისა, რაც რუსული პროპაგანდისტული გზავნილებით იქმნება ქართულ ონლაინმედიაში. კვლევისას ნათლად წარმოჩნდა, რა ფორმით ვრცელდება პროპაგანდისტული გზავნილები საზოგადოებრივ ცნობიერებაზე გავლენის მოსაპოვებლად.

აღნიშნული თემა აქტუალურობას არ კარგავს გამომდინარე იქიდან, რომ რუსეთი ვერ ეგუება საკუთარ სამეზობლოში დამოუკიდებელი, დემოკრატიული, ევროპული ქვეყნის არსებობას. ამ ყოველივეს საფრთხედ აღიქვამს და ნებისმიერი გზით - ხისტი და რბილი ძალის გამოყენებით ცდილობს გავლენის სფეროების გაძლიერებას. ეს კიდევ უფრო ნათლად წარმოჩნდა მას შემდეგ, რაც საქართველომ ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაცია მოისურვა და ამ მიზნისაკენ სვლა დაიწყო. სწორედ ამიტომ, საკვლევ პერიოდად შევარჩიე ის დრო, როდესაც საქართველოსთვის ვიზალიბერალიზაციის მინიჭების დასკვნითი ეტაპები სრულდებოდა. ჩემთვის საინტერესო იყო, ამ პროცესზე რუსეთის რეაგირება და მისი პროპაგანდისტული გზავნილები. წინამდებარე კვლევაში გამოყენებულია ფრეიმინგის თეორია, რათა ის ფრეიმები გამომეყო, რითიც ხორციელდება პროპაგანდა. კვლევის მეთოდად კი შერჩეულია კონტენტ-ანალიზი.

2016 წლის ნოემბრიდან 2017 წლის მარტის ჩათვლით მონიტორინგი განხორციელდა ხუთ ონლაინმედიასაშუალებაზე: reportori.ge, saqinform.ge, sputnik-georgia.com, liberali.ge, ghn.ge. მონიტორინგის შედეგებმა ცხადყო, რომ ქართულ ონლაინმედიაში რუსული პროპაგანდისტული გზავნილები ინტენსიურად და რამდენიმე მიმართულებით ვრცელდება. მათგან აღსანიშნავია: 1. გზავნილები, რომლებიც რუსეთთან დიპლომატიური ურთიერთობების აღდგენას უკავშირდება; 2. გზავნილები, რომლებიც ანტიდასავლური განწყობების ფორმირებას ისახავს მიზნად; 3. გზავნილები, რომლებიც საქართველოსთვის ვიზალიბერალიზაციის მინიჭებას უარყოფითად წარმოაჩენს. ხუთთვიანი მონიტორინგის შედეგად, რუსული პროპაგანდისტული გზავნილების 93 შემთხვევა გამოვლინდა. აღსანიშნავია, რომ მსგავსი შინაარსის გზავნილების გავრცელება ზოგიერთი ონლაინმედიის სარედაქციო პოლიტიკად შეგვიძლია მივიჩნიოთ.

კვლევის შედეგად დადასტურდა ჰიპოთეზა იმის შესახებ, რომ რუსული პროპაგანდა ძირითადად ვლინდება ანტიდასავლური და ანტიამერიკული მესიჯბოქსების სახით, ასევე რუსეთთან კეთილმეზობლური ურთიერთობების აღდგენის აუცილებლობაზე აქცენტირებით. დადასტურდა ასევე ჰიპოთეზა, რომ პროპაგანდისტული გზავნილებით საქართველოსთვის ვიზალიბერალიზაციის მინიჭება ნეგატიურ კონტექსტში იქნა წარმოჩენილი.

Resume

The following article is an attempted research of Russian propaganda in Georgian online media. Propaganda is a very useful tool to achieve an ideological influence. Russia uses this tool a lot, especially in neighboring countries, in order to promote its own interests. That is the reason why I wanted to show the actual situation regarding Russian propaganda messages in Georgian online media. During the research process, we found out in what ways are the propaganda used in order to manipulate society.

The issue is really problematic though. Due to the fact that Russia finds it really hard to accept the reality of independent, democratic European countries existing nearby. Russia finds all that as a threat and tries to broaden its influence. This process has increased ever since Georgia showed the will to integrate in Euro-Atlantic alliance. That's why our starting point for research was the time when the process of granting visa-liberation to Georgia was in its final stages. I found it interesting to show what kind of reaction Russia had to all of that. I used the framing method in order to differentiate several frames used for the propaganda. And for the research I chose content-analysis method.

I've been monitoring five online media sources from November 2016 to March 2017: reportiori.ge, saqinform.ge, sputnik-georgia.com, liberali.ge, ghn.ge. Research showed that the Russian propaganda is usually being delivered in several ways, the most notable ones being: 1. messages regarding re-initiating diplomatic relations with Russia; 2. messages that aim to popularize anti-western ideas; 3. messages showing visa-liberation as a negative fact. After five months of research I counted 93 instances of Russian propaganda. It is also notable that in some cases spreading those messages is a result of internal policies of mentioned online media organization.

The research has also proven the hypothesis about Russian propaganda being mostly made up from anti-western and anti-American messages, as well as trying to show a need for re-initiating friendly relations with Russia. We also found out that Russian propaganda frequently mocks visa-liberation and shows it as a negative process.

სარჩევი

I თავი

1.1 შესავალი	5
1.2 ისტორიული კონტექსტი	8
1.3 თეორიული ჩარჩო.....	10
1.4 კვლევის მეთოდოლოგია	12

II თავი - ლიტერატურის მიმოხილვა

2.1 საზღვარგარეთული ლიტერატურის მიმოხილვა	14
2.2 კვლევის ქართული გამოცდილება	26

III თავი - კვლევის შედეგები

3.1 რეპორტიორი.....	33
3.2 საქინფორმი	40
3.3 ლიბერალი	44
3.4 Ghn.ge	46
3.5 Sputnik-georgia	48
3.6 კვლევის შედეგების შეჯამება	51
3.7 დასკვნა	54

ბიბლიოგრაფია	56
--------------------	----

I თავი

შესავალი

რუსეთთან საქართველოს პრობლემური ურთიერთობის ხანგრძლივი ისტორიული გამოცდილება მთელი სიცხადით წარმოჩნდა ჩვენი ქვეყნის მიერ დამოუკიდებლობის მოპოვებისთანავე, თანამედროვე ეტაპზე კი მან განსაკუთრებული სიმწვავე შეიძინა.

პრობლემურს გადაჭრით ვუწოდებ იმიტომ, რომ რუსეთი არასდროს ყოფილა მხოლოდ მეზობელი, იგი იყო და არის საქართველოსთვის ოკუპანტი ქვეყანა. სამწუხაროდ, საქართველოს მოქალაქეების გარკვეულ ნაწილს ჯერ კიდევ შესტკივა გული საბჭოთა კავშირის დაშლასა და რუსეთთან დიპლომატიური ურთიერთობების გაწყვეტაზე. მოსახლეობის გარკვეული ნაწილი ჯერ კიდევ ნოსტალგიით იხსენებს რუსეთ-საქართველოს ახლო ურთიერთობებს და სჯერა, რომ ქვეყნის სუვერენიტეტს საფრთხეს რუსეთზე მეტად დასავლეთი უქმნის. თუმცა, უახლესი ისტორია (2008 წლის აგვისტოს ომი) დასტურია იმისა, რომ რუსეთთან კეთილმეზობლური ურთიერთობების შენარჩუნება და, ამავდროულად, დამოუკიდებელ ერთიან სახელმწიფოდ დარჩენა, ერთმანეთს ეწინააღმდეგება. რუსეთი რეგიონში თავისი გეოპოლიტიკური მიზნების მისაღწევად საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას გამუდმებით საფრთხეს უქმნის. მიზნის მისაღწევად არა მხოლოდ ძალისმიერ, არამედ ინფორმაციულ ომსა და პროპაგანდისტულ მეთოდებსაც მიმართავს.

მოგეხსენებათ, მასობრივი კომუნიკაციის საშუალებები ის მძლავრი „იარაღია“, რომელიც საზოგადოებრივი განწყობების, შეხედულებების, სოციალური ნორმების, ღირებულებების, პოლიტიკური ორიენტაციისა და ა.შ. ჩამოყალიბებაზე ახდენს გავლენას. სწორედ ამიტომ, სრულიად შესაძლებელია, რომ ქართულ საზოგადოებაში პრორუსული განწყობების ფორმირება და ხელშეწყობა მედიის საშუალებით ხდებოდეს.

ფრიდრიხ ებერტის ფონდის კვლევის თანახმად (იხ. ვებმის.: <https://goo.gl/Ucz6uk>), რომელიც 2016 წლის მაის-ივნისში 14-29 წლის ახალგაზრდებში ჩატარდა, რესპონდენტების 30%-ს სჯერა, რომ ევროკავშირის წევრობა საფრთხეს შეუქმნის ქართულ იდენტობას. ახალგაზრდების 74% მხარს უჭერს ევროკავშირთან ინტეგრაციას, მაგრამ თბილისსა და სხვა ქალაქებში მცხოვრები ახალგაზრდების შეხედულებები განსხვავდება სოფელში მცხოვრებთაგან: თბილისში და სხვა ქალაქებში მცხოვრები ახალგაზრდების 80%-ს სურს ევროკავშირის წევრობა, მაშინ, როცა სოფელში ეს მაჩვენებელი არის 66%. კვლევის თანახმად, ახალგაზრდების 52%-ს სჯერა, რომ ევროკავშირთან ინტეგრაციის არასასურველი შედეგი შეიძლება იყოს რუსეთის მხრიდან აგრესიის ზრდა, რაც შეიძლება

კონფლიქტური რეგიონების სრული დაკარგვით დასრულდეს. ახალგაზრდების 45%-ს სჯერა, რომ ევროკავშირთან ინტეგრაცია გამოიწვევს ქვეყნიდან ახალგაზრდების და განსაკუთრებით ინტელექტუალური რესურსების გადინებას.

რაც შეეხება NATO-ს, მასში საქართველოს ინტეგრაციას მხარს 68% უჭერს. ნატოსთან ახლო კავშირი ნაკლებად სასურველია სოფელში მცხოვრები ახალგაზრდებისთვის (60%), მაშინ როცა მათი რიცხვი, ვინც მხარს უჭერს ამ პროცესს, შედარებით მაღალია თბილისსა და სხვა ქალაქებში (73%). ნატოში ინტეგრაციასთან დაკავშირებული ყველაზე დიდი მოსალოდნელი საფრთხე რუსეთის აგრესიის ზრდაა. ახალგაზრდების 92%-ს სჯერა, რომ საქართველოს ნატოში ინტეგრაცია რუსეთთან კონფლიქტს წარმოშობს. ქართველ ახალგაზრდებს სჯერათ, რომ საქართველოს ნატოში ინტეგრაცია პოტენციურად გაზრდის ქართველი ჯარისკაცების დანაკარგს ნატოს სამხედრო ოპერაციებში (85%).

აღნიშნული კვლევის შედეგები ცხადყოფს, რომ საზოგადოებაში შეხედულება, რომ ევროინტეგრაცია საქართველოსთვის საფრთხისშემცველია, ისევ აქტუალურია. მოსაზრება, რომ საქართველომ საგარეო პოლიტიკა იმის მიხედვით უნდა აწარმოოს, რა მოეწონება რუსეთს და რა - არა, ვფიქრობ, იმთავითვე მცდარია და თუკი ეს აზრი ახალგაზრდებში პოპულარულია, ამაში მედია დიდ როლს თამაშობს.

2017 წლის იანვარში ეროვნულ დემოკრატიულმა ინსტიტუტმა (NDI) კვლევის შედეგები გამოაქვეყნა (იხ. ვებმის.: <https://goo.gl/zxAsYJ>). კვლევა NDI-ის დაკვეთით CRRC საქართველომ 2016 წლის 4 ნოემბრიდან 4 დეკემბრამდე პერიოდში ჩაატარა და საქართველოს მასშტაბით (პირისპირ ინტერვიუს ფორმატში) სულ 3 141 ადამიანი გამოკითხა. კვლევის საშუალო ცდომილება +/- 1.8%-ია.

აღნიშნული კვლევის შედეგების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილია ნატოში გაწევრიანების საკითხი. კვლევის მიხედვით, კითხვაზე – მისაღებია თუ არა საქართველოს მთავრობის მიერ გაცხადებული მიზანი, საქართველო გახდეს ნატო-ს წევრი – გამოკითხულთა 61%-მა უპასუხა, რომ მისაღებია, ხოლო 25% ალიანსში გაწევრიანებას მიუღებლად მიიჩნევს. 2016 წლის მარტში კი ეს მაჩვენებელი 68%-ს უდრიდა.

ამის პარალელურად, კვლევის შედეგების მიხედვით, ქვეყანაში გაზრდილია პრორუსული განწყობები. გამოკითხულთა 18% მიიჩნევს, რომ საქართველოს საგარეო პოლიტიკა უნდა იყოს პრორუსული, თუმცა ქვეყანამ კარგი ურთიერთობა უნდა შეინარჩუნოს ევროკავშირთან და ნატოსთან. გამოკითხულთა 9% კი მიიჩნევს, რომ საქართველოს საგარეო პოლიტიკა უნდა იყოს მხოლოდ პრორუსული. ჯამში, ქვეყნის პრორუსული კურსის მომხრეა გამოკითხულთა 27%. 2016 წლის მარტში კი ეს მაჩვენებელი 21% იყო.

კვლევის შედეგების ანალიზი ცხადყოფს, რომ ქვეყნის საგარეო კურსთან მიმართებით საქართველოს მოსახლეობის აზრი იცვლება, კერძოდ კი, იმატებს პრორუსული პოლიტიკის მომხრეთა რაოდენობა. იმის მტკიცება, რომ ამის მიზეზი მხოლოდ და მხოლოდ მედიის საშუალებით წარმოებული რუსული პროპაგანდაა, რა თქმა უნდა, არ შეგვიძლია. თუმცა, ვფიქრობ, რომ მედია დიდ როლს ასრულებს პოლიტიკურ, სოციალურ, ეკონომიკურ და სხვა საკითხებთან დაკავშირებით საზოგადოების აზრისა და დამოკიდებულების ჩამოყალიბების პროცესში.

2016 წლის 23 ნოემბერს ევროპარლამენტის დეპუტატებმა ევროკავშირში რუსეთის პროპაგანდის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ რეზოლუცია მიიღეს (მომხრე - 304 დეპუტატი, წინააღმდეგი - 179, თავი შეიკავა - 208). რეზოლუციაში რიგი რუსული მედიასაშუალებები - სახელმწიფო სატელევიზიო კომპანია RT, საინფორმაციო სააგენტო Sputnik, ასევე ფონდები „Русский мир“ და „Россотрудничество“ - გათანაბრებულია რადიკალური ისლამისტური ჯგუფების, მათ შორის, „ისლამური სახელმწიფოს“ პროპაგანდასთან. რუსეთისა და „ისლამური სახელმწიფოს“ მტრული პროპაგანდის წინააღმდეგ ბრძოლისთვის ევროპარლამენტი მოუწოდებს ნატოს, გააძლიეროს ევროკავშირთან თანამშრომლობა სტრატეგიული კომუნიკაციების სფეროში. რეზოლუციას ასევე მხარი დაუჭირა ნატოს გენერალურმა მდივანმა იენს სტოლტენბერგმა (ნატოში უკვე შექმნილია ცალკეული სტრუქტურა რუსეთის პროპაგანდასთან საბრძოლველად). ევროპარლამენტის რეზოლუციაში ასევე ნათქვამია, რომ „რუსეთი აბანდებს მნიშვნელოვან ფინანსურ რესურსებს, რათა ტრადიციული ღირებულებების დამცველის იმიჯი შეიქმნას“.

ვფიქრობ, რუსულ საინფორმაციო ომთან დაკავშირებული საკითხების კვლევა და შესაბამისი სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება არა მხოლოდ დასავლეთისთვის, არამედ საქართველოსთვისაც არსებითად მნიშვნელოვანია.

თემის აქტუალურობიდან გამომდინარე, ჩემთვის საინტერესოა ქართულ ონლაინმედიაში რუსული პროპაგანდისტული გზავნილების კვლევა. კვლევის შედეგების მიხედვით, შესაძლებელია იმის ჩვენება, როგორი გამოვლინებები აქვს (ფორმა, ზოგადი ტენდენცია, სიხშირე) რუსულ საინფორმაციო ომს ქართულ ონლაინგამოცემებში. ამდენად, წინამდებარე ნაშრომი, ვფიქრობ, საინტერესო იქნება როგორც დაინტერესებული საზოგადოებისთვის, ისე მესამე სექტორისა და ხელისუფლებისთვისაც. კვლევის შედეგები შესაბამის სამთავრობო უწყებებს გამოადგება რუსეთთან მიმართებით სამოქმედო სტრატეგიის დაგეგმვისას, ხოლო მესამე სექტორს - რუსულ პროპაგანდასთან ბრძოლისას. მოქალაქეებისთვის კი იქნება ერთგვარი „გზამკვლევი“, რათა უკეთ ერკვეოდნენ საკითხში და მარტივად არ მოექცნენ პროპაგანდისტული გზავნილების გავლენის ქვეშ.

ისტორიული კონტექსტი

ის ფაქტი, რომ რუსეთი საქართველოსთვის არაკეთილმოსურნე მეზობელ ქვეყანას წარმოადგენს, მის მიერ საქართველოს ტერიტორიის თითქმის 20%-ის ფაქტობრივ ანექსიაში გამოიხატება. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, რუსეთი გამუდმებით ცდილობს საქართველოს საგარეო კურსზე ზემოქმედებას და ქვეყნის შიდა პროცესებში უხეშ ჩარევას. საკუთარი მიზნის მიღწევას კი ხშირად დაუფარავი აგრესიული მეთოდებითაც არ ერიდება.

1991 წლის 26 დეკემბერს საბჭოთა კავშირი დაიშალა და მის ნაცვლად 15 დამოუკიდებელი და 4 თვითგამოცხადებული ან ნაწილობრივ აღიარებული სახელმწიფო ჩამოყალიბდა. ამის შემდეგ რუსეთი საკუთარ სამეზობლოში წარმატებული დემოკრატიული სახელმწიფოს არსებობას მის წინააღმდეგ მიმართულ საფრთხედ აღიქვამს და ყველა შესაძლო ხერხით უპირისპირდება.

დამოუკიდებლობისთვის საქართველოს უსისხლოდ არ მიუღწევია. ბუნებრივია, რუსეთი საბჭოთა იმპერიის დაშლას უმოქმედოდ არ დალოდებია. 1988 წლიდან საბჭოთა კავშირში სულ უფრო გახშირდა ანტისაბჭოთა მიტინგები და დემონსტრაციები. ასეთი მოძრაობები გააქტიურდა საქართველოშიც. კონფლიქტი საბჭოთა მთავრობასა და ქართველ ნაციონალისტებს შორის კიდევ უფრო გამწვავდა 1989 წლის 18 მარტს ე. წ. „ლიხნის ასამბლეის“ ჩატარების შემდეგ, სადაც რამდენიმე ათასმა აფხაზმა საქართველოსგან გამოყოფა და 1921-1931 წლების კავშირის რესპუბლიკის სტატუსის აღდგენა მოითხოვა. ამის საპასუხოდ, ანტისაბჭოთა ჯგუფებმა რესპუბლიკის მასშტაბით არასანქცონირებული მიტიგნების სერია მოაწყვეს. მათი მტკიცებით, საბჭოთა მთავრობა აფხაზურ სეპარატიზმს იყენებდა დამოუკიდებლობის მომხრეთა მოძრაობის საწინააღმდეგოდ.

საპროტესტო აქციებმა პიკს მიაღწია 1989 წლის 4 აპრილს, როდესაც ათობითათასი ქართველი შეიკრიბა მთავრობის სახლის წინ, რუსთაველის გამზირზე, თბილისში. მომიტინგეებმა, რომლებსაც დამოუკიდებლობის კომიტეტი (მერაბ კოსტავა, ზვიად გამსახურდია, გიორგი ჭანტურია, ირაკლი ბათიაშვილი, ირაკლი წერეთელი და სხვები) ხელმძღვანელობდა, მოაწყვეს მშვიდობიანი დემონსტრაცია და შიმშილობა დაიწყეს აფხაზი სეპარატისტების დასჯისა და საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის მოთხოვნით. ადგილობრივმა საბჭოთა ხელისუფლებამ დაკარგა კონტროლი სიტუაციაზე დედაქალაქში და ვეღარ აცხრობდა საპროტესტო აქციებს. მოსკოვში შიმშილდნენ, რომ თბილისში მიმდინარე მოვლენებს გავლენა შეიძლება მოეხდინა სხვა საბჭოთა რესპუბლიკებზე, სადაც ასე ძლიერდებოდა ეროვნული მოძრაობები. შედეგად, მიიღეს გადაწყვეტილება თბილისში მიმდინარე აქციის ძალით აღკვეთის შესახებ.

9 აპრილს, 11 საათზე თბილისში კომენდანტის საათი გამოცხადდა, მაგრამ ცნობა კომენდანტის საათის მოქმედების შესახებ მოსახლეობას ადგილობრივი ტელევიზიით მიეწოდა მხოლოდ 22 საათსა და 15 წუთზე. ქალაქის სამხედრო კომენდანტად დაინიშნა როდიონოვი. აქციის დარბევისას გამოიყენეს მომაკვდინებელი იარაღი: ქიმიური საშუალებები, სასანგრე ბარები, ცეცხლსასროლი იარაღი, ჯავშანტრანსპორტიორები და ტანკები. სისხლიანი დარბევის შედეგად დაიღუპა 20 და დაშავდა ასეულობით ადამიანი.

ხშირად, 1989 წლის 9 აპრილს თბილისში დატრიალებულ ტრაგედიას განიხილავენ, როგორც იზოლირებულ, უნიკალურ მოვლენას ეროვნულ-განმანთავისუფლებელი ბრძოლის ზეგავლენით საბჭოთა იმპერიის დაშლის პროცესში.

არც დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ დასცალდა საქართველოს თავად ემართა ქვეყნის საშინაო თუ საგარეო პროცესები. საქართველოს ისტორიის სისხლიან თარიღებს შეემატა 2008 წლის 8 აგვისტოც, როცა რუსეთმა კიდევ ერთხელ დაარღვია ჩვენი ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობა და სუვერენიტეტი. ომის შედეგად დაიღუპა 170 სამხედრო მოსამსახურე, 14 პოლიციელი, 228 სამოქალაქო პირი და დაიჭრა 1747 ადამიანი.

მას შემდეგ, რაც რუსეთის „ახლო სამეზობლოს“ სამმა მნიშვნელოვანმა ქვეყანამ - საქართველომ, უკრაინამ და მოლდოვამ - ევროატლანტიკური საგარეო კურსი აიღო, რუსეთის საპასუხო ქმედებები სულ უფრო აგრესიული გახდა. ევროკავშირისა და NATO-ს საგარეო პოლიტიკას რუსეთი აღიქვამს როგორც საფრთხეს მისი გეოპოლიტიკური ინტერესებისთვის რეგიონში.

2015 წლის 18 დეკემბერს ევროკომისიამ გამოაქვეყნა ვიზისლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმის მეოთხე, საბოლოო ანგარიში, სადაც აღნიშნულია, რომ ქვეყანამ ყველა ნაკისრი ვალდებულება შეასრულა. ევროკომისიის მიერ ანგარიშის გამოქვეყნებამდე ერთი დღით ადრე კი რუსეთის პრეზიდენტმა ასეთი განცხადება გააკეთა: - “ჩვენ მზად ვართ, გავაუქმოთ სავიზო რეჟიმი საქართველოსთან,” - განაცხადა ვლადიმირ პუტინმა 2015 წლის 17 დეკემბერს, წლის შემაჯამებელ კონფერენციაზე. რუსეთის საგარეო უწყებამაც დაადასტურა, რომ 2015 წლის 23 დეკემბრიდან ძალაში შედის გამარტივებული სავიზო რეჟიმი საქართველოს მოქალაქეებისთვის. საქართველოს მოქალაქეები საქმიან, სამუშაო, სასწავლო და ჰუმანიტარულ მრავალჯერად და ასევე კერძო ვიზებს აიღებენ იმისგან დამოუკიდებლად, არის თუ არა ნათესაური კავშირი მიმწვევსა და მიწვეულს შორის.

რუსეთის ეს გადაწყვეტილება, გაემარტივებინა ვიზები საქართველოს მოქალაქეებისთვის, შეგვიძლია შევაფასოთ, როგორც პასუხი საქართველოსა და ევროკავშირს შორის წარმატებულ მოლაპარაკებაზე უვიზო რეჟიმთან დაკავშირებით. ახლა კი, როცა 2017 წლის 28 მარტიდან შენგენის ქვეყნებში საქართველოსთვის უვიზო რეჟიმი ამოქმედდა,

მოსალოდნელია, რომ რუსეთი გააძლიერებს შეტევას. ამისათვის კი იგი მიმართავს კარგად ნაცად ჰიბრიდულ ომს. ეს იმას ნიშნავს, რომ სამხედრო ძალის გარდა, აქტიურად გამოიყენებს მის ხელთ არსებულ ეკონომიკურ, ფინანსურ, პოლიტიკურ და საინფორმაციო ბერკეტებს იმისთვის, რომ მზარდი ევროატლანტიკური ინტეგრაციის ფონზე, მიმზიდველობა შეინარჩუნოს საქართველოს მოქალაქეებისთვის.

თეორიული ჩარჩო

წინამდებარე კვლევა თავის ფოკუსში აქცევს პრობლემატიკას იმის თაობაზე, თუ როგორ და რა ფორმით ხორციელდება რუსული პროპაგანდა ქართულ ონლაინმედიაში. აქედან გამომდინარე, კვლევის თეორიულ ჩარჩოდ განვსაზღვრავთ ფრეიმინგის თეორიას.

ვიდრე განვიხილავთ, თუ რა სახის ფრეიმები გამოიყენება რუსული პროპაგანდის წარმოებისას ქართულ ინტერნეტულ მედიასივრცეში, მხედველობაში უნდა მივიღოთ ის გარემოება, რომ, ზოგადად, კომუნიკაციის სხვა თეორიებისა და მიდგომების ფონზე, ფრეიმინგის თეორია ყველაზე ხშირადაა გამოყენებული.

ახალი ამბების გაშუქებისას, განსაკუთრებით, თუ ის მგრძობიარე თემატიკას ეხება, დიდი მნიშვნელობა ენიჭება, თუ როგორ არის აღწერილი მოვლენა, რა ტერმინოლოგია, ფრაზებია გამოყენებული და რა ტიპის ინტერპრეტაცია ხდება. ამის საუკეთესო ახსნას კი ფრეიმინგის თეორია გვთავაზობს.

ნებისმიერი მედიასაშუალება ცდილობს, საკუთარ აუდიტორიაზე მოახდინოს გავლენა, ამის მიღწევას კი სელექციისა და ფრეიმინგის საშუალებით ახერხებს. იმ პროცესს - თუ რა ფორმით უნდა მიეწოდოს აუდიტორიას კონკრეტული შინაარსი - ფრეიმინგი ეწოდება. როგორც ენტმანი (1993) ამბობდა, ფრეიმის გამოყენება გულისხმობს რეალობის აღქმის ზოგიერთი ასპექტის შერჩევას და მათ გამოკვეთას ტექსტის კომუნიკაციის პროცესში იმისთვის, რომ მოხდეს კონკრეტული პრობლემის განსაზღვრა, მიზეზ-შედეგობრივი ინტერპრეტაცია, მორალური შეფასება და/ან რეკომენდაციის გაწევა აღწერილი საკითხისადმი მიდგომის შესახებ. სიტყვა „ფრეიმი“ (ჩარჩო) სწორედ ამიტომაც გამოყენებული - ის მოიცავს გადმოცემული შინაარსის რაღაც ნაწილს და ჩარჩოს გარეთ ტოვებს სხვა დეტალებს. ფრეიმინგი განსაკუთრებით ეფექტურად მოქმედებს, როცა აუდიტორია არ იცნობს საკითხს კარგად. ასეთ შემთხვევაში ის ბოლომდე ენდობა მედიას მისი გაცნობისას.

ფრეიმინგი არის მეთოდი, რომლის საშუალებითაც ჟურნალისტები არჩევენ და კონკრეტული (შერჩეული ფორმით, ფრეიმით) ცდილობენ ამბის გადმოცემას ინფორმაციის მომზადების პროცესში. ჟურნალისტები გაცნობიერებულად თუ გაუცნობიერებლად ქმნიან იმ ჩარჩოებს, რომელთა მიხედვითაც ისინი ახალ ამბებს გადმოსცემენ. თითოეული

მათგანი ინდივიდუალურად იღებს გადაწყვეტილებას, მოვლენის გაშუქების რა ჩარჩო/ფორმა აირჩიოს, მოვლენის გარკვეული ასპექტები კი ამ ჩარჩოს გარეთ რჩება. ფრეიმები წარმოადგენს შერჩევის, აქცენტირებისა და აღქმის პრინციპებს ახალი ამბების გადაცემის დროს.

ფრეიმები წარმოადგენს შერჩევის, ყურადღების კონცენტრირებისა და პრეზენტაციის პრინციპებს იმისა, რაც არსებობს, ხდება და, უპირველეს ყოვლისა, რასაც განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს (Gitlin, 1980). გითლინის (Gitlin, 1980) მოსაზრებით, ფრეიმი შეიძლება გამოვტოვოთ და ზოგჯერ წინასწარი განზრახვის გარეშეც კი გამოგვრჩეს. ახალი ამბები მართავენ ცხოვრების სიმბოლურ სფეროს კონკრეტული გზავნილების ჩართვითა და დანარჩენების ამოგდებათ (Gans, 1979).

ფრეიმის ძალა მდგომარეობს იმაში, რომ ის შეძლება საზოგადოებაზე შეუმჩნეველ, მაგრამ მძლავრ ეფექტს ახდენდეს, „თუნდაც იმ თვალსაზრისით, რომ მისი დახმარებით, პრეზიდენტის დამხობაც კი იყოს შესაძლებელი“ (Tankard, 2003).

ფრეიმინგის პროცესი ორი ძირითადი მეთოდით ხორციელდება: 1) ექსპოზიციის - რამდენჯერ და რამდენი ხნით გაშუქდება ინფორმაცია, რა ადგილს დაიკავებს იგი (მაგ: პირველ გვერდს), რა დრო დაეთმობა მის გაშუქებას. 2) აღწერის - რომელი სურათები უნდა გადაიცეს ამბის გაშუქებისას, ვისი ციტირება უნდა მოხდეს, როგორი ენით უნდა იყოს ტექსტის ანალიზი დაწერილი, რა ფაქტები უნდა გადაიცეს და რა უნდა გამოიტოვოს. სიტყვები, რომლებიც ამბავშია (ნიუსში) გამოყენებული, ისევე მნიშვნელოვანია, როგორც სურათები. მაგალითად, რაიმე ძალადობრივი ამბის გაშუქებისას, ჟურნალისტები ხშირად იყენებენ ისეთ სიტყვებს, როგორცაა „ტრაგედია“, „სკანდალი“, „შურისძიება“ „საზარელი“, „შემადრწუნებელი“ და ა.შ. მსგავსი სიტყვები ემოციურად დატვირთულია და შესაბამისად, აუდიტორიის ყურადღებასაც მეტად იპყრობს.

ნებისმიერი ინფორმაციის გადაცემისას დიდ როლს ასრულებს ჟურნალისტი. სწორედ მასზეა დამოკიდებული, რა ფორმით მიიტანს აუდიტორიამდე ამა თუ იმ ამბავს - რომელ დეტალებს წამოწევს წინ და რას დატოვებს „ჩარჩოს“ მიღმა, როგორ სიტყვებს გამოიყენებს თხრობისას და რა პათოსით გადმოსცემს კონკრეტულ შინაარსს. სწორედ ამიტომ, ფრეიმინგი მედიის ძალაუფლების ერთ-ერთი წყაროა. ჯემისონი და ვალდმენი (2003) წერენ: „ფრეიმები გვეუბნებიან, რა არის მნიშვნელოვანი, რაზე უნდა ვისაუბროთ და ვიკამათოთ. ჟურნალისტები ფრეიმების სახით აყალიბებენ ადამიანების შეხედულებებს“.

მკვლევრები გვარწმუნებენ, რომ უდიდესი მნიშვნელობა აქვს იმას, თუ როგორ აწვდის მედია ახალ ამბებს აუდიტორიას, ვინაიდან ეს პირდაპირ განსაზღვრავს მაყურებლის არჩევანს ამა თუ იმ საკითხის შეფასებისას.

რა ფრეიმებით ხდება ქართულ ინტერნეტმედიაში პრორუსული და ანტიდასავლური მესიჯების გადმოცემა, ჩვენი კვლევის ძირითადი სტრატეგიაა.

კვლევის მეთოდოლოგია

შერჩეული თეორიული ჩარჩოს მიხედვით, ქართულ ონლაინმედიაში რუსული პროპაგანდის კვლევა კონტენტ-ანალიზის მეთოდოლოგიით ჩატარდა.

კონტენტ-ანალიზი - ეს არის სოციოლოგიური კვლევის მეთოდი, ტექნიკა, რომელიც იდენტიფიცირებას უკეთებს, კატეგორიების მიხედვით ალაგებს, აღწერს და რაოდენობრივად ითვლის მოკლევადიან და გრძელვადიან ტენდენციებს. როგორც განმარტავს ამ ტექნიკის ერთ-ერთი თეორეტიკოსი კნიპერდორფი (1980), კონტენტ-ანალიზი წარმოადგენს საკვლევ ტექნიკას, რომლის მეშვეობითაც დგინდება მონაცემების მყარი და ვალიდური კორელაცია და მიმართება მათ კონტექსტთან. სხვა თეორეტიკოსი კერლინგერი (1986) მიუთითებს ამ ტექნიკის სისტემურობაზე, რაოდენობრიობასა და ობიექტურობაზე. კონტენტ-ანალიზი რამდენიმე ეტაპად ხორციელდება: პირველ ეტაპზე გამოიყოფა საკვლევ პოპულაცია, მედიასაშუალებების ის სიმრავლე, რომელთა შინაარსშიც იდენტიფიცირებულია მკვლევრისთვის საინტერესო საკითხი; შემდეგ გამოიყოფა კონკრეტული საკვლევ საკითხი ან ჰიპოთეზა და ის ცვლადები, რომელთა კორელაციამაც საკვლევ საკითხი უნდა გააანალიზოს, ან დაადასტუროს ან უარყოს მკვლევრის მიერ წამოყენებული ჰიპოთეზა. მეორე ეტაპზე გამოიყოფა ანალიზის ერთეული, ე.წ. key-word-ები; მესამე ეტაპზე ხდება იმ შინაარსობრივი კატეგორიების იდენტიფიცირება, რომელთა მიხედვითაც ხდება საზრისისეული ერთეულის კატეგორიზაცია. მოთხე ეტაპზე ხდება რაოდენობრივი მაჩვენებლების დათვლა, სანდოობის კოეფიციენტის დადგენა მიღებული სტატისტიკური პროცედურების მეშვეობით. დასკვნითი ეტაპი არის მიღებული მონაცემების გაანალიზება, ტენდენციების გამოკვეთა და დასკვნების გამოტანა.

წინამდებარე კვლევის საწყის ეტაპზე შეირჩა საკვლევ ონლაინ მედიასაშუალებები: reportiori.ge, saqinform.ge, liberali.ge, ghn.ge და sputnik-georgia.com. გამომდინარე იქიდან, რომ ჩემი კვლევის ძირითადი მიზანია, დადგინდეს, რა ფორმით ვლინდება რუსული პროპაგანდა ქართულ ონლაინსივრცეში, reportiori.ge და saqinform.ge შევარჩიე იმიტომ, რომ ჩემი საკვლევით თემის მომიჯნავედ აქამდე ჩატარებული კვლევების მიხედვით, ეს საიტები დასავლეთის მიმართ გახშირებული ნეგატიური განწყობებით გამოირჩევა.

liberali.ge და ghn.ge შევარჩიე იმიტომ, რომ საინტერესოა, გარდა პრორუსული საიტებისა, მეტ-ნაკლებად ნეიტრალურ მედიასაშუალებებში თუ შეინიშნება პროპაგანდისტული გზავნილები და თუ ჰო, რა სიხშირითა და ფორმით ვლინდება.

კვლევის მომდევნო ეტაპზე განხორციელდა ჩამოთვლილი ონლაინ მედიასაშუალებების მონიტორინგი, რომელიც მოიცავს ხუთთვიან პერიოდს - 2016 წლის ნოემბრიდან 2017 წლის მარტის ჩათვლით.

საკვლევ პერიოდს გადავწყვიტე დროის ამ მონაკვეთის შერჩევა იმ მოსაზრებით, რომ ამ დროს საქართველოსთვის ვიზალიბერალიზაციის მინიჭების დასკვნითი ეტაპები სრულდებოდა. ამ ფონზე კი, სავარაუდოდ, რუსული პროპაგანდისტული მანქანა უფრო აქტიურად ამუშავდებოდა.

მონიტორინგის შედეგად გამოვლინდა დასახელებული მედიასაშუალებების მიერ მოწოდებული გზავნილების სიხშირე და ისინი დაიყო კატეგორიებად. მათ შორის გამოიკვეთა: ანტიდასავლური შინაარსის მესიჯები, ერთმორწმუნე რუსეთთან დაკავშირებული ნოსტალგიური შინაარსის სტატიები, მცდარი ინფორმაცია, რომელიც ცალმხრივად, ან თავისუფალი ინტერპრეტაციით, ალტერნატიული მოსაზრებების გარეშე იყო წარმოდგენილი და ა.შ.

რაც შეეხება sputnik-georgia.com-ს, ვინაიდან იმთავითვე რუსული ონლაინპლატფორმაა, თავისთავად გამოიყენება პროპაგანდისტული გზავნილების გასავრცელებლად. ამიტომ, ამ შემთხვევაში, ტრადიციული მონიტორინგის ნაცვლად, წინამდებარე კვლევაში ტელეარხ HTB-ს მუსიკალური პროექტის „Ты - супер!“, როგორც რუსული პროპაგანდის ერთ-ერთი საუკეთესო ნიმუშის, კონტენტ-ანალიზი წარმოვადგინე. შედეგად, კვლევის დასკვნით ეტაპზე გამოიკვეთა რუსული პროპაგანდის ძირითადი გამოვლინებები და მიგნებები.

გამოიკვეთა შემდეგი საკვლევი კითხვები:

RQ1: გვხვდება თუ არა ქართულ ონლაინმედიაში რუსული პროპაგანდისტული გზავნილები?

RQ2: რა სახით ვლინდება რუსული პროპაგანდა ქართულ ონლაინმედიაში?

RQ3: შეეხო თუ არა პროპაგანდისტული გზავნილები ვიზალიბერალიზაციის საკითხს?

შემუშავდა შემდეგი ჰიპოთეზები:

H1 ქართულ ონლაინმედიაში გვხვდება რუსული პროპაგანდისტული გზავნილები.

H2 რუსული პროპაგანდა ძირითადად ვლინდება ანტიდასავლური და ანტიამერიკული მესიჯბოქსების სახით, ასევე რუსეთთან კეთილმეზობლური ურთიერთობების აღდგენის აუცილებლობაზე აქცენტირებით.

H3 პროპაგანდისტული გზავნილები შეეხო ვიზალიბერალიზაციის საკითხს და იგი ნეგატიურ კონტექსტში წარმოჩნდა.

II თავი

საზღვარგარეთული ლიტერატურის მიმოხილვა

რადგანაც პროპაგანდას ფართო მასებზე იდეური ზემოქმედებისთვის იყენებენ, როგორც წესი, მას პოლიტიკური დატვირთვა აქვს. პოლიტიკაში კი საზოგადოებაზე გავლენისა და ნდობის მოპოვებას საკვანძო ადგილი უჭირავს. შესაბამისად, პროპაგანდა პოლიტიკური რეალობის შექმნაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს.

პროპაგანდა - სამოქალაქო ლექსიკონის მიხედვით - არის ინფორმაციის მიწოდების ფორმა, რომელიც გულისხმობს ნებისმიერი საკომუნიკაციო ფორმის გეგმაზომიერ გამოყენებას ადამიანთა გონებაზე, ემოციებსა და ქცევაზე ზემოქმედების მიზნით. პროპაგანდირება, როგორც წესი, მასობრივი კომუნიკაციის საშუალებებით ხდება. ინფორმაციის მიღების მიზნით, ადამიანები არსებულ მრავალფეროვან და კარგად განვითარებულ მასკომუნიკაციის საშუალებებს სულ უფრო აქტიურად იყენებენ, შესაბამისად, პროპაგანდის ზეგავლენასაც სულ უფრო ხშირად განიცდიან.

პოლიტიკის თუ სოციალური მეცნიერებების მკვლევრები პროპაგანდას, მის მიზნებს, მახასიათებლებსა თუ ტექნიკებს სხვადასხვაგვარად აღწერენ, თუმცა ყველა თანხმდება, რომ პროპაგანდა ეს არის მანიპულაციის საშუალება, რომელიც გავლენას ახდენს საზოგადოებრივი აზრის ფორმირებაზე.

როგორც ამერიკელი პოლიტიკის მეცნიერი, ჰაროლდ ლასუელი (Harold D. Lasswell, 1927) განმარტავს, „პროპაგანდა არის კოლექტიური დამოკიდებულებების მართვა მნიშვნელოვანი სიმბოლოების მანიპულირებით.“ სიტყვა „დამოკიდებულება“ კი, თავის მხრივ, ფასეულობების განსაზღვრის მიხედვით, ქცევას ნიშნავს.

კანადელი აკადემიკოსის, დუგლას ვალტონის (Douglas Walton, 1997) აზრით, პროპაგანდა შესაძლოა არსებითად განისაზღვროს როგორც დარწმუნების სახის დიალოგი. იგი წერს, რომ პროპაგანდის მთავარი მიზანია, რესპონდენტმა კურსი აიღოს ამა თუ იმ კონკრეტული

მოქმედებისკენ. „პროპაგანდის განმარტების პოსტულატი ხშირად გულისხმობს, რომ ის მიზნად ისახავს რესპონდენტის რწმენის შეცვლას, ანმისგან ამა თუ იმ დებულების ჭეშმარიტებად აღიარებას, ანდა უარყოფას მოითხოვს.“

ავტორის აზრით, პროპაგანდის არსებითი და უმნიშვნელოვანესი არსია, რესპონდენტს შეასრულებინო რამე ან უარი ათქმევინო რამის გაკეთებაზე. იგი აქვე განმარტავს, რომ ამ პროცესში სულაც არ არის მთავარი, რომ რესპონდენტი დავარწმუნოთ რაიმე დებულების სიმართლეში. პროპაგანდის მთავარი მიზანია, რესპონდენტმა ქცევა განახორციელოს, გეზი აიღოს მოქმედებისკენ ან მონაწილეობა მიიღოს კონკრეტული პოლიტიკის გატარებაში. აქედან გამომდინარე, დუგლას ვალტონის აზრით, მხოლოდ დებულებაზე დათანხმება ან დარწმუნება არ არის საკმარისი ინდიკატორი იმისთვის, რომ პროპაგანდა წარმატებულად ჩაითვალოს.

აქ ნაკლებად მნიშვნელოვანია, სჯერა თუ არა აუდიტორიას ამა თუ იმ შეხედულების სისწორისა ან სიმართლისა. „პროპაგანდის მიზანია, მიყვანოს ისინი პრაქტიკულ მნიშვნელობამდე“ - წერს დუგლას ვალტონი. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მისი მიზანია ჩართოს რესპონდენტი პოლიტიკის ან გარკვეული ქცევის განხორციელებაში.

ტატიანა მელნიკოვა (Татьяна МЕЛЬНИКОВА, 2008) თავის ნაშრომში სამი სახის პროპაგანდას გამოყოფს:

1) ქმედებათა ჯაჭვი, რომელიც მიმართულია ცოდნის, ფასეულობების და სხვა ინფორმაციის გავრცელებისკენ იმ მიზნით, რომ მოხდეს გარკვეული შეხედულებების, წარმოდგენების ჩამოყალიბება, გარკვეული ემოციური მდგომარეობის შექმნა, რათა საბოლოოდ ამ ყველაფერმა გავლენა მოახდინოს ადამიანთა სოციალურ ქცევაზე.

2) მასებში გარკვეული კლასის, პარტიის ან სახელმწიფო იდეოლოგიის და პოლიტიკის გავრცელება .

3) საზოგადოებრივი აზრის (ცნობიერების) მანიპულაციის საშუალება.

ზოგადად კი ტატიანა მელნიკოვა, პროპაგანდის ქვეშ მოიაზრებს „პოლიტიკურად მოტივირებულ ინფორმაციულ-ფსიქოლოგიურ ზემოქმედებას საზოგადოებრივი ცნობიერების ემოციურ ნებელობით სფეროზე.“ მისი საშუალებით ინერგება პოლიტიკური იდეები, შეხედულებები და ფორმირდება პოლიტიკური ქცევები.

ზემოთ მოყვანილი განმარტებებიდან ჩანს, რომ პროპაგანდა შეგვიძლია განვიხილოთ, როგორც მანიპულაციური იარაღი, რომელიც აუდიტორიის შეხედულებებზე, აზრებზე,

ფასეულობებზე გავლენას ისახავს მიზნად და საბოლოოდ მიმართულია გარკვეული ქცევის განხორციელებისკენ (ან შეცვლისკენ), პროპაგანდისტისთვის სასურველი ფორმით.

თუმცა, აქ გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ ნებისმიერ მანიპულაციურ თუ დარწმუნების მეთოდს პროპაგანდას ვერ ვუწოდებთ. იგი შედგება გარკვეული ელემენტებისაგან და აქვს თავისი მახასიათებლები.

პროპაგანდის მახასიათებლები:

ჯონ მარტინი (John Martin, 1971) თავის ნაშრომში „საერთაშორისო პროპაგანდის ეფექტები“ გამოყოფს პროპაგანდის შემადგენელ ელემენტებს:

კომუნიკატორი - მასში მოიაზრება გზავნილის გადამცემი. ავტორის აზრით, სარწმუნო და დამაჯერებელ კომუნიკატორს და ხშირად მოსაწონსაც - არადამაჯერებელ კომუნიკატორებთან შედარებით დიდი უპირატესობა აქვს. მისივე თქმით, გარდა დამაჯერებლობისა, კომუნიკატორის წარმატებაზე მოქმედებენ ისეთი ფაქტორებიც, როგორცაა აზრთა შორის თანხმობა (აუდიტორიასა და მას შორის), მსგავსების ეფექტი, ასაკი, გარეგნობა და ა.შ. პროპაგანდისტისთვის სამწუხაროდ, სანდოობას, მიმზიდველობას და სხვა პოზიტიურ მახასიათებლებს კომუნიკატორს აუდიტორია უფასებს. პროპაგანდისტი ამ მხრივ საზოგადოების განწყობას ვერ აკონტროლებს.

შეტყობინება - პროპაგანდის ეფექტურობა იზრდება, თუკი მისი შეტყობინება ეთანხმება სამიზნე აუდიტორიის მოთხოვნილებებსა და სწრაფვას; არსებულ ღირებულებებს, დამოკიდებულებებს, შეხედულებებსა და რწმენას ეხამება. ცნობილი ფაქტია, რომ საკითხის ცალმხრივად გაშუქება ბევრად უფრო მკვეთრ გავლენას ახდენს საზოგადოებაზე, ვიდრე ორი მხრიდან ჩვენება, მით უმეტეს თუ აუდიტორია გაუთვითცნობიერებელია ამ საკითხში; აქ ავტორი გვეუბნება, რომ საკითხის ორივე მხრიდან გაშუქება მხოლოდ მაშინ არის სასარგებლო, როდესაც აუდიტორია საქმეში ჩახედულია ან ოპოზიციურად არის განწყობილი. „ასეთ დროს, საკითხის ორივე მხრიდან გაშუქება კონტრპროპაგანდის თავიდან აცილების საუკეთესო საშუალება ხდება,“ - წერს იგი.

მედიატორი - აქ კი მოიაზრება მასობრივი ინფორმაციის საშუალებები, რომელთა წყალობითაც, ძირითადად ხდება პროპაგანდის წარმოება.

აუდიტორია - „სანდო კომუნიკაციის ეფექტიანობა ყველაზე მეტად დამოკიდებულია შეტყობინების მიმღების წარსულ ისტორიაზე - ანუ იმ ნიადაგზე, რომელშიც ხვდება თესლი,“ წერს ჯონ მარტინი. აქ მოიაზრება ინდივიდის როგორც კოგნიტური, ასევე დემოგრაფიული მონაცემები-ასაკი, სქესი, განათლება, სიციალურ-ეკონომიკურისტატუსი, გეოგრაფიული რეგიონი და ა.შ. ავტორი გვეუბნება, რომ როდესაც პროპაგანდის მიზანი

გარკვეული შეტყობინების მიზნობრივ აუდიტორიამდე მიტანაა, რაშიც კომუნიკატორი და მედია თავ-თავიანთ როლებს ასრულებენ, მდგომარეობის საერთო ფონი უნდა იყოს გათვალისწინებული - მოწონება საზაგადოების მხრიდან, აგრესიული დამოკიდებულება, ავტორიტარიზმი.

გარდა ზემოჩამოთვლილისა, პროპაგანდის მახასიათებლებში დუგლას ვალტონი (Douglas Walton, 1997) მოიაზრებს შემდეგსაც:

ცალმხრივი არგუმენტაცია - ავტორის აზრით, პროპაგანდა არის ადვოკატის ტიპის დიალოგი, რომელიც იყენებს ტენდენციურ არგუმენტებს, რათა დაიცვას ესა თუ ის საკითხი ცალმხრივად. პროპაგანდა არ ცდილობს მოახდინოს რაციონალურის, ბრძენის ან კეთილგონივრულის დელეგირება, არ იღებს მხედველობაში ალტერნატივებს და არ წონის სამართლიანობას და გონივრულობას.

შედეგებით გამართლებული - რადგანაც პროპაგანდის ცენტრალურ მიზანს მოქმედება წარმოადგენს, პროპაგანდა, როგორც სოციალურად ორგანიზებული აქტივობა გამართლებულია იმ შედეგებით, რომელსაც მან უნდა მიაღწიოს. პროპაგანდა გამართლებულია კონკრეტული შედეგის მომტანი სავარაუდო ღირებულებით, რომლის საბოლოო განზრახვა დადებითია, როგორც მაგალითად საჯარო უსაფრთხოება, ან ადამიანების სიცოცხლის გადარჩენა ომში. დუგლას ვალტონი გვეუბნება, რომ პროპაგანდა გამართლებულია ჯგუფისადმი რაიმე საფრთხის ციტირებით, შემდეგ კი იმის ხაზგასმით, რომ კონკრეტული მოსაზრების მიღებაა საჭირო ამ საფრთხისგან თავის დასაცავად. „ამგვარი გამართლება, აბალანსებს საფრთხისა ან სიცოცხლის დაკარგვის წინააღმდეგ წამოწეული ცალმხრივი ან თუნდაც წამგებიანი კამათის ხარჯებს, რომლებიც შესაძლოა გამომდინარეობდეს საღად მოაზროვნე რაციონალური დისკუსიიდან, რაც შესაძლოა აღმოჩნდეს კარგი არგუმენტი მეორე მხარისთვის. პროპაგანდის გამართლება, ამ შემთხვევაში, მსგავსია ტყუილის გამართლებისა ეთიკაში,“ - წერს იგი.

ერისტიკული ასპექტი - პროპაგანდის ერთერთ მახასიათებლად, დუგლას ვალტონი ერისტიკულ ასპექტს განიხილავს და წერს, რომ პროპაგანდის არგუმენტირების სტრუქტურა კამათს ან ერისტიკული ტიპის დიალოგს წააგავს. იგი აუდიტორიისთვის დიქტომიას მოითხოვს: „ჩვენ კარგი ადამიანები ვართ. თუკი ჩვენს მხარეს არ ხართ, ესე იგი ჩვენ წინააღმდეგ ხართ. ყველა ვინც ჩვენს მოსაზრებას ეწინააღმდეგება, ცუდია.“ ავტორის თქმით, პროპაგანდაში ხშირად გამოიყენება სიტყვები „ბრძოლა“ და „ტანჯვა“ და ამის აზრი იმაში მდგომარეობს, რომ ნებისმიერი ზომა, რომელიც საჭიროა „ბოროტების“ ან „მტრისგან“ წამოსული საფრთხის წინააღმდეგ ბრძოლაში, გამართლებულია.

პროპაგანდის კლასიფიკაცია

სხვადასხვა მკვლევარი და მეცნიერი პროპაგანდის კლასიფიკაციას განსხვავებული ნიშნების მიხედვით ახდენს. როგორც ტატიანა მელნიკოვა (Татьяна МЕЛЬНИКОВА, 2008) თავის ნაშრომში წერს, „პროპაგანდის ფსიქოლოგიურ ზემოქმედებას, პირველ რიგში, ექვემდებარება ემოციები.“ იმის მიხედვით, თუ რა ემოციებს აღძრავს პროპაგანდა, იგი განასხვავებს პოზიტიურ და ნეგატიურ პროპაგანდას. მისი თქმით, პოზიტიური პროპაგანდა ასრულებს აღმზრდელობით, ინფორმაციულ, განმარტებით ფუნქციას, ხელს უწყობს თანხმობას, სოციალურ ჰარმონიას, ხალხის აღზრდას საერთო ღირებულებებისა და ნორმების შესაბამისად.

რაც შეეხება ნეგატიურ პროპაგანდას, მელნიკოვას შეხედულებით, იგი მიმართულია ილუზორული, პარალელური, პროპაგანდისტისათვის ხელსაყრელი რეალობის შექმნისკენ. ამდროს ხდება ხალხის ვიწრო წრის ინტერესებისათვის მასების ფასეულობების, შეხედულებების ამობრუნება. „ნეგატიური პროპაგანდა ხელს უწყობს სოციალური კონფლიქტების, მტრობის, საზოგადოებაში წინააღმდეგობების გაჩენას,“ - წერს იგი.

ჰაროლდ ლასუელის (Harold D. Lasswell, 1927) შეხედულებით, პროპაგანდა რამდენიმე კრიტერიუმის მიხედვით კლასიფიცირდება:

„ზოგს ორგანიზატორები იყენებენ, მაგალითად სიგარეტის საწინააღმდეგო ლიგა, რომელსაც მკაცრად განსაზღვრული მიზანი აქვს. ზოგს ორგანიზაციები მიმართავენ, მაგალითად სამოქალაქო ასოციაციები, რომელთა სიმბოლოებიც უფრო ზოგადი და მიზნის გამომხატველია. სიმბოლოები შესაძლოა იყოს რევოლუციური ან კონტრრევოლუციური, რეფორმისტული ან -კონტრრეფორმისტული, გააჩნია ჩართულია თუ არა მასში ინსტიტუციური ცვლილების გეგმა. პროპაგანდა, შესაძლოა, ორგანიზაციებმა ექსკლუზიურად ან დამხმარე საშუალებად გამოიყენონ, მათ შორის საზოგადოების კონტროლის საშუალებადაც. ზოგი პროპაგანდისტური სვლა დროებითია, მაგალითად საყვარელი შვილის მხარდასაჭერი კლუბის შექმნა, ან შეიძლება ის სამუდამო იყო. ზოგი პროპაგანდა ჯგუფის შიგნით ხორციელდება იმ მიზნით, რომ განმტკიცდეს არსებული დამოკიდებულება

ან

პირიქით.

გარდა ყველა ამ დამაჯერებელი და ღირებული განსხვავებისა, პროპაგანდა შესაძლოა დაიყოს იმ სამიზნე ობიექტის მიხედვით, რომლის მიმართაც ხორციელდება ის. ზოგი პროპაგანდა არსებობს ადამიანის დამოკიდებულების შეცვლის მიზნით, სხვები ქმნიან დამოკიდებულებას პოლიციასა და ინსტიტუტებზე, როგორცაა თავისუფალი ვაჭრობა ან საპარლამენტო ხელისუფლება, ზოგი კი პროპაგანდას იყენებს, რათა „აიძულოს“ ვინმე, იყიდოს ობლიგაციები ან შეუერთდეს საზღვაო სამხედრო სამსახურს.“

ამერიკელი მეცნიერი რალფ უაითი(Ralph K. White, 1971) პროპაგანდის კლასიფიცირებას იმის მიხედვით ახდენს, ეს უკანასკნელი მორალურად გამართლებულია თუ არა. მორალურად გაუმართლებელ და გამართლებულ პროპაგანდას კი ავტორი გამოყენებული ტექნოლოგიების მიხედვით განასხვავებს.

მორალურად გამართლებული პროპაგანდა, რალფ უაითის მიხედვით, იყენებს შემდეგ ტექნოლოგიებს:

ყურადღების მიქცევა და შენარჩუნება - თუ პოტენციური მსმენელი რადიოს არ ჩართავს, ან თუ პოტენციური მკითხველი გაზეთში არ ჩაიხედება, მათთან ვერც ერთი გზავნილი ვერ მიაღწევს. მაგრამ როგორც ფსიქოლოგიური კვლევებიდან ჩანს, სმენისა და კითხვის ხარისხსაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს. ზერელე და პასიური სმენა მსმენელზე ნაკლებ გავლენას ახდენს, ეს კი ნიშნავს, რომ გზავნილი მკაფიოდ რელევანტური და საინტერესო უნდა იყოს ან წარმოადგენდეს სამიზნე აუდიტორიის ინტერესების სფეროს. და აქვე ავტორი აღნიშნავს, რომ „გზავნილი მოსაწყენი არ უნდა გახდეს, როგორც ეს კომუნისტური პროპაგანდის შემთხვევაში იყო.“

ურთიერთგაგების ჩამოყალიბება და შენარჩუნება -ავტორის აზრით, გზავნილი ადამიანზე გავლენას უნდა ახდენდეს, უნდა იყოს სერიოზული, დამაჯერებელი და დასამახსოვრებელი.

ნდობის მოპოვება - ერთ-ერთი აუცილებელი კომპონენტია ნდობა. „სწორედ ნდობაზეა დამოკიდებული ურთიერთგაგება პროპაგანდისტსა და პოტენციურ სამიზნეს შორის. ხალხი ენდობა მას, ვინც მოსწონს და ვისაც ტკივილის მიყენება არავისთვის სურს.“

ემოციები - რალფ უაითის აზრით, ძლიერი ემოცია ხშირად ამახინჯებს აღქმის უნარს, მაგრამ ყოველთვის ასე არ ხდება. მისი თქმით, როცა ადამიანს რაიმეს გაკეთებაში დაარწმუნებ, ეს მის ფსიქოლოგიურ საჭიროებებში შეღწევას ნიშნავს. ამას ავტორი მსმენელის ქვეცნობიერ ინტელექტში შეღწევას უწოდებს.

რაც შეეხება მორალურად გაუმართლებელ პროპაგანდას, რალფ უაითის აზრით, მას შემდეგი ტექნოლოგიები განასხვავებს წინასგან:

ტყუილი - ამ შემთხვევაში ტყუილს ავტორი განსაზღვრავს, როგორც გამიზნულად ნათქვამ სიტყვებს და მოჰყავს ჰიტლერისა და კომუნისტური ლიდერების მაგალითები. „როცა ჰიტლერი პრალაში მარშის გამართვის მოწოდებით გამოდიოდა და მას ევროპაში თავის ბოლო ტერიტორიულ პრეტენზიას უწოდებდა, ის, ტყუოდა. მან სავარაუდოდ იცოდა, რომ კიდევ უფრო მეტი მოთხოვნა ექნებოდა. როცა კომუნისტურმა ლიდერებმა თქვეს 1950

წელს, რომ სამხრეთ კორეა ჩრდილოეთ კორეაზე თავდასხმას განახორციელებდა, ისინიც ცრუობნენ.“

ინსინუაცია- ინსინუაცია (ცილისწამება, გადაკრულად მინიშნება) განისაზღვრება, როგორც ბრალდების წაყენება დამადასტურებელი არგუმენტების გარეშე. პროპაგანდაში ამ სიტყვის მნიშვნელობის უკეთ გადმოსაცემად ავტორს მოჰყავს შემდეგი მაგალითი: „დღეს კაპიტანი ფხიზელი იყო,“- გულისხმობს, რომ მას ლოთობის პრობლემა აქვს.

მოსაზრების ფაქტად წარმოჩენა -ავტორს აქაც წარსულის პოლიტიკური ლიდერების მაგალითები მოჰყავს და ამბობს, რომ, როცა ჰიტლერი ებრაელების მიერ გერმანიის განადგურებაზე საუბრობდა, ის საკუთარ მოსაზრებას ფაქტის სახით გადმოსცემდა. როცა კენედი, მაკნამარა, ბანდი, რასკი, ჯონსონი, ნიქსონი და სხვა ამერიკელი სპიკერები ვიეტნამში, კომუნისტ აგრესორებზე საუბრობდნენ, ისინი საკუთარ მოსაზრებებს წარმოაჩენდნენ, როგორც ფაქტებს. უაითის თქმით, მსგავსი მაგალითები ართულებს ზღვარის გავლებას მოსაზრებასა და ფაქტს შორის. ერთი ადამიანის აზრი მეორე ადამიანისთვის ფაქტი ხდება. „პროპაგანდისტი, რომელიც ორაზროვან სიტუაციაში თავის ინტერპრეტაციას ერთადერთ სავარაუდო ინტერპრეტაციად განიხილავს, ალბათ, მორალურად უდანაშაულოდ ითვლება, იმ გაგებით, რომ მას მართლა სჯერა საკუთარი სიტყვების. მიუხედავად ამისა, ამ ყველაფერში შეგნებული ტყუილის ელემენტიც დევს, რადგან პროპაგანდისტი იგნორირებას უკეთებს სხვა ინტერპრეტაციებს და უარყოფს მათ,“ - წერს უაითი.

განზრახ გამოტოვება-რალფ უაითის შეფასებით, ეს ნაწილობრივ საშიში და კონფლიქტის გამომწვევი ფორმაა. გულისხმობს ჯგუფურ კონფლიქტურ სიტუაციაში სხვა მხარის შეხედულების გაუთვალისწინებლობას. იგი წერს, რომ ამა თუ იმ ფაქტის და სიტუაციის გამიზნულად იგნორირება, საკუთარი მიზნის განხორციელების მიზნით, პროპაგანდისტების მიერ ხშირად გამოიყენება. ავტორის თქმით, ამ ხერხს ხშირად იყენებდნენ კომუნისტები.

ნაგულისხმევი განსაზღვრა - პროპაგანდისტი კონკრეტულ ფაქტს/მოვლენას/საკითხს განსაზღვრავს იმგვარად, როგორც თავად გულისხმობს. აქ ავტორს კომუნისტური პროპაგანდის მაგალითი მოჰყავს და წერს, რომ შესწავლის პროცესში კომუნისტურ პროპაგანდაში შეინიშნებოდა საუბრის ისეთი სტილი, თითქოს პროპაგანდისტთა საკუთარი ვერსია რეალიზმის შესახებ, უკვე დადასტურებულია და დამატებითი სამხილი ან არგუმენტი არ სჭირდება. მაგალითად: ამერიკის მთავრობა არ იყო ამერიკის მთავრობა, ის იყო იმპერიალისტური. აღმოსავლეთ ევროპის დაპყრობილი ქვეყნები სულაც არ იყო დაპყრობილი, ეს სახელმწიფოები სახალხო დემოკრატიას წარმოადგენდნენ.

კომუნისტების მიერ კონტროლირებული ქვეყნები სინამდვილეში, სულაც არ კონტროლდებოდნენ კომუნისტების მიერ. ეს ტერიტორიები მშვიდობისა და დემოკრატიის ბანაკები იყო, მოქცეული ომსა და იმპერიალიზმს შორის.

რალფ უაითისგან(Ralph K. White, 1971) განსხვავებით, ტატიანა მელნიკოვა (Татьяна МЕЛЬНИКОВА, 2008) და დუგლას ვალტონი(Douglas Walton, 1997) პროპაგანდის ტექნოლოგიებს ზოგადად ახასიათებენ და არ ახდენენ მის კლასიფიკაციას, როგორც მორალურად გამართლებულს ან გაუმართლებელს.

დუგლას ვალტონი პროპაგანდის ტექნოლოგიებში გამოყოფს შემდეგ კატეგორიებს:

ემოციური ენა და დამაჯერებელი განმარტებები - ავტორი წერს, რომ ყველა სახის პროპაგანდისთვის მნიშვნელოვანია ემოციურად დატვირთული სიტყვებისა და ფრაზების გამოყენება, რომლებიც მოახდენს სასურველი მოსაზრების მაღალ პოზიტიურ ვიზუალიზაციას, ხოლო საპირისპირო შეხედულებას მისცემს მკვეთრად ნეგატიურშეფერილობას.

ომის დროს გამოყენება - ამ ნაწილში ავტორი ხაზს უსვამს საჭირო დროის შერჩევას პროპაგანდის წარმოებისას. მისი აზრით, პროპაგანდა ყველაზე კარგად ჩანს და ყველაზე უკეთ შეისწავლება ომში მისიგამოყენებისას. ომის დროს, მისი მონაწილეები, სიძულვილისა და სიმწარის ემოციურ ფონში არიან გამომწვევდულები, რაც არ არის ხელშემწყობი იმისთვის, რასაც Thouless (1942) „მშვიდ აზროვნებას“ უწოდებს; ისეთს, რომლის დროსაც ემოციების გარეშე ხდება სამხილების აწონ-დაწონვა საკითხის ორივე მხრიდან. და აქვე დუგლას ვალტონი დასძენს იმასაც, რომ მაშინაც კი, როდესაც პროპაგანდა ომის გარეთ გამოიყენება, იგი ხშირად ხატავს განგაშისა და საფრთხის სურათს, რათა დათესოს შიში და პანიკა.

პროპაგანდის ტექნოლოგიებში დუგლას ვალტონი აერთიანებს ასევე ისეთ ქმედებებს, როგორიცაა სტატისტიკის არასწორი გამოყენება, მანიპულირება საზოგადოებრივ გამოკითხვებზე, ფოტომონტაჟის ტექნიკა, დარწმუნების ფსიქოლოგიური მეთოდები. ასევე ვიზუალური გამოსახულებების, გამეორებების, ხალხმრავლობის, ჯგუფის განმსაზღვრელი სიმბოლიკის და სხვათა გამოყენება.

რაც შეეხება ტატიანა მელნიკოვას (Татьяна Мельникова, 2008), პროპაგანდის ტექნიკების დახასიათებისას ის გამოყოფს შემდეგ ხერხებს:

პირველადი ინფორმაციის არჩევის პრინციპი - ავტორის აზრით, თანამედროვე პროპაგანდაში არსებობს ერთერთი ძირითადი პრინციპი: „ადამიანი, რომელმაც მსოფლიოს უთხრა პირველი სიტყვა, ყოველთვის მართალია“. კვლევები ადასტურებს, რომ

ის კანდიდატი, რომელიც არჩევნების დროს პირველი წარუდგენს საზოგადოებას თავდაჯერებულად საკუთარ თავს, როგორც მომავალი გამარჯვებული, საზოგადოებრივი ცნობიერება მას აღიარებს. ტატიანა მელნიკოვა მიიჩნევს, რომ ის, ვინც პირველმა გადმოსცა მნიშვნელოვანი ინფორმაცია, იღებს უპირატესობას, რადგანაც მისი ინფორმაცია ადრესატამდე აღწევს ადრე და ამით ხელს უწყობს პირველადი ფსიქოლოგიური შეხედულების წარმოქმნას ფაქტის ან მოვლენის მიმართ.

კონტრასტის პრინციპი - ადამიანის ან ჯგუფის მიღება ითვალისწინებს სოციალურ ფონს, რომელშიც ხდება ამ ადამიანის ან ჯგუფის აღქმა. მაგ: ბოროტი და უსამართლო ხალხის ფონზე კეთილი ადამიანი აღიქმება სიმპათიით. არსით მსგავსი პრინციპი გამოიყენება საარჩევნო კამპანიისას და წარმოადგენს შეტევით კონტრპროპაგანდას.

მედიატორების გამოყენება - ეს ტექნიკა დაფუძნებულია ორ პრინციპზე: 1) სოციალური კვლევები ადასტურებს, რომ პროპაგანდისტული კამპანიები უფრო ნაკლებ ეფექტს აღწევენ, ვიდრე ჭორები, მითები და ა.შ. 2) მეორე პრინციპი გამომდინარეობს პირველიდან - მელნიკოვას აზრით, ეფექტური ინფორმაციული ზემოქმედება ადამიანებზე ხორციელდება არა პირდაპირ კომუნიკაციის საშუალებით, არამედ მისთვის მნიშვნელოვანი პირების, ნაცნობების, ავტორიტეტული ადამიანების - ჭორებისა და მითების გამავრცელებლების - საშუალებით.

განმეორება - პროპაგანდის ერთერთი ყველაზე ეფექტური ხერხი, რომლის მნიშვნელობასაც არაერთი მკვლევარი და მეცნიერი უსვამს ხაზს, არის ერთიდაიმავე მტკიცებულებების გამეორება. ადამიანისთვის ყოველთვის დამაჯერებელია ის, რაც მან დაიმახსოვრა. მაშინაც კი, თუ დამახსოვრება მოხდა სუფთად მექანიკური გამეორებით. „ზემოქმედება ხდება ყოფით საკითხებზე, ყოველდღიურ აზრებზე, სურვილებზე და ადამიანის ქცევებზე. მაშასადამე, ეფექტური პროპაგანდა უნდა იყოს უბრალო და მუდმივად განმეორებადი,“ - წერს ტატიანა მელნიკოვა.

ფაქტის კონსტატაცია - ამ დროს მასობრივი კომუნიკაციის საშუალებებით საზოგადოებას მიეწოდება სასურველი ინფორმაცია, როგორც უკვე მომხდარი ან დადასტურებული ფაქტი. ასეთი პროპაგანდა მიეწოდება, როგორც სიახლე ან სოციოლოგიური კვლევის შედეგი. ამით იკლებს აღქმის კრიტიკულობა. ავტორიტეტულობის მისანიჭებლად გამოიყენება „შეხედულების ლიდერები“- პოპულარული ჟურნალისტები, ცნობილი პოლიტოლოგები, სოციოლოგები. (ამავე აზრს ავითარებს რაღფ უაითი, როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ და მას „მოსაზრების ფაქტად წარმოჩენას“ უწოდებს).

მუქარის შექმნა- განეკუთვნება მასობრივი აუდიტორიის ემოციაზე ზემოქმედების ხერხებს. მის მთავარ ამოცანას წარმოადგენს დარწმუნება არსებულ რეალურ საფრთხეში.

ეს აიხსნება იმით, რომ დემორალიზებული და შეშინებული ადამიანები იწონებენ ისეთ ქმედებას, რომელიც რეალურად მათ საერთოდ არ აწყობთ. ტატიანა მელნიკოვას აღწერით, ეს ტექნოლოგია შემდეგნაირად მუშაობს: ილუზორული ან რეალურად არსებული რაიმე საფრთხე (მაგ:ტერორიზმი) რამდენჯერმე ძლიერდება მასობრივი კომუნიკაციის საშუალებებით. „ამით ხდება მასობრივი შიშის გამოწვევა იმ მიზნით, რომ შეიქმნას ხელსაყრელი სიტუაცია საზოგადოებრივი აზრის მანიპულირებისთვის, პირველ რიგში, პოლიტიკური მიზნებისთვის,“ - წერს იგი.

პროპაგანდის კიდევ ერთ ტექნოლოგიას სტივენსონი (1944) გასაზღვრავს შეფასებითი მნიშვნელობის თეორიით. სტივენსონის თეორიის თანახმად, დამაჯერებელი განმარტებების მიზანს წარმოადგენს სასურველი ან არასასურველი დამოკიდებულების ჩამოყალიბება რაიმეს მიმართ, სიტყვის აღწერითი მნიშვნელობის შეცვლით ისე, რომ მისი შეფასებითი განმარტება იგივე დარჩეს. იგი გვთავაზობს მაგალითებს:

შემთხვევა 1: „აბორტი“ ნიშნავს უდანაშაულო ადამიანის შეუბრალებელ მკვლელობას.

„აბორტი“ ნიშნავს უსაფრთხო და დამკვიდრებულ ქირურქიულ პროცედურას, როდესაც ქალს ამორებენ არასასურველ ტვირთს.“

შემთხვევა 2: „ლიბერალი“ ნიშნავს თვალცრემლიან კეთილისმსურველს, რომელიც შეპყრობილია აზრით, რომგასცეს სხვა ადამიანების ფული.“

„ლიბერალი“ ნიშნავს ჭეშმარიტ ჰუმანისტს, რომელიც მიზნად ისახავს ყველა მოქალაქისათვის სათანადო საცხოვრებლის, ჯანდაცვისა და თანასწორი შესაძლებლობების უზრუნველყოფას.

პროპაგანდა და პოლიტიკა

საზოგადოებრივი ცნობიერების მანიპულირების ტექნოლოგიების მკვლევრები პოლიტიკურ პროპაგანდას მიიჩნევენ საზოგადოებრივ ცნობიერებაზე ზემოქმედებისა და გარკვეული ფასეულობების ფორმირების უძლიერეს იარაღად. ჯონ მარტინი (John Martin, 1971) პოლიტიკურ პროპაგანდას განსაზღვრავს, როგორც საკომუნიკაციო აქტს, კავშირის საშუალებას, რომელსაც ხელისუფლება უცხოეთის საზოგადოებისთვის ეწევა. „წინათ ასეთ საქმიანობას დიპლომატია ერქვა. დღეს საერთაშორისო პროპაგანდის სამიზნეს ხშირად ხელისუფლება ირჩევს... დიპლომატიურ აზრთა ცვლა სავსებით კანონიერია, ყოველ შემთხვევაში, დიპლომატიური მაინც, თავისი ფორმით. პროპაგანდა კი ამ ფორმას სცილდება,“ - წერს იგი.

ჰაროლდ ლასუელის (Harold D. Lasswell, 1951) განმარტებით, პროპაგანდა იარაღია ტოტალური პოლიტიკისა, დიპლომატიასთან, ეკონომიკურ მდგომარეობასთან და შეიარაღებულ ძალებთან ერთად. „პოლიტიკური პროპაგანდა წარმოადგენს მასობრივი კომუნიკაციების მენეჯმენტს ძალაუფლების დამყარების მიზნით. საბოლოო მიზანი ძალაუფლების მატერიალური ხარჯის ეკონომიაა. უფრო კონკრეტულად კი მსოფლიო მმართველობის მატერიალური ხარჯის ეკონომია,“ - წერს იგი.

მკვლევარი ტობიას ურშპრუნგი (Tobias Ursprung, 1994) თავის ნაშრომში წერს, რომ „პროპაგანდის გამავრცელებლები დაინტერესებულები არიან, მიაღწიონ გარკვეულ პოლიტიკურ შედეგს.“ ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ, რომ შედეგი, რომლის მიღწევასაც პოლიტიკოსები ცდილობენ, თანამდებობისა და ძალაუფლების მოპოვებაა. შესაბამისად, არჩევნების პერიოდში პროპაგანდა კიდევ უფრო მნიშვნელოვანი „იარაღი“ ხდება.

ამავე მოსაზრებას ავითარებს ტატიანა მელნიკოვა(Татьяна МЕЛЬНИКОВА, 2008) და აღნიშნავს, რომ „პოლიტიკური მოღვაწის პარტიის წარმატება არჩევნებზე მნიშვნელოვანწილად განპირობებულია ფორმირებული იმიჯის ეფექტურობით, აუდიტორიის მიერ მისი აღქმით, იმიჯის მატარებლის პოპულარობით.“ სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ხდება პოლიტიკური სუბიექტების ფორმირებული ხატის ჩანერგვა და განვრცობა საზოგადოების ცნობიერებაში. ამისათვის კი გამოიყენება უამრავი მეთოდი. მელნიკოვას აზრით, ერთერთი ასეთი მეთოდია საზოგადოებრივი ცნობიერების მანიპულირება პროპაგანდის საშუალებით.

ტობიას ურშპრუნგი არჩევნების დროს პოლიტიკურ პროპაგანდასთან დაკავშირებით შენიშნავს: „ამომრჩევლებს არ სურთ, რომ საარჩევნო ყუთთან მათ მიერ გაკეთებული არჩევანი იყოს შემთხვევითი - მათ არ სურთ ხმის მიცემა დაუფიქრებლად. ასეთ შემთხვევაში ისინი უბრალოდ სახლში დარჩებოდნენ. აი, სწორედ აქ მოქმედებს პოლიტიკური პროპაგანდის ეფექტი. პროპაგანდა ამომრჩევლებს აწვდის უფასო ინფორმაციას. ამომრჩევლები კი კმაყოფილები არიან, რადგან ამ ინფორმაციის წყალობით, ისინი ამყარებენ თავიანთი „დასაბუთებული არჩევნის“ საფუძველს.“

და აქვე ავტორი დასძენს, რომ სწორედ ასეთ დროს იყენებენ ძვირადღირებულ პროპაგანდას დაინტერესებული ჯგუფები. ეს დაინტერესებული ჯგუფები, ჩვენს შემთხვევაში პოლიტიკოსები არიან. „მათ აინტერესებთ რას ფიქრობენ ამომრჩევლები გარკვეულ საკითხებთან დაკავშირებით. ისინი მზად არიან იმისთვისაც, რომ ამომრჩევლებს ფული გადაუხადონ ამ ინფორმაციის მისაღებად,“ - წერს ტობიას ურშპრუნგი(Tobias Ursprung, 1994). საზოგადოება კი თავისდაუნებურად ხდება პროპაგანდის მსხვერპლი.

როგორც ამერიკელი მეცნიერი ალვინ ჯონსონი (Alvin Johnson, 1949) წერს, კომპრომისი პოლიტიკის სულია. პროპაგანდის სულს კი შეურიგებლობა წარმოადგენს. "თითოეული ჭეშმარიტი პოლიტიკოსი ცდილობს თავის მხარეს გადმოიბიროს ყველა მეზობელი ძალა და მზად არის გაიღოს მსხვერპლი ამის მისაღწევად. ჭეშმარიტ პროპაგანდისტს კი სძულს მისი პოლიტიკური მეზობლები."

ალვინ ჯონსონი ბოლო დროის ყველაზე დიდ ოსტატებად პოლიტიკური პროპაგანდის საკითხში ლენინს და ჰიტლერს ასახელებს. მისი თქმით, ორივე ხელმძღვანელობდა უკომპრომისო, მტრული დამოკიდებულებით გვერდით მდგომი პარტიის მიმართ. ლენინს სძულდა მენშევიკები, სტალინს კი - ტროცკისტები. ჰიტლერს - ნაციონალ-სოციალისტს - ყველაზე მეტად ეჯავრებოდა სოციალ - დემოკრატები და გერმანელი ნაციონალისტები. ალვინ ჯონსონის შეფასებით, „ჰიტლერის პროპაგანდის პრინციპი ძალიან ეფექტური იყო თავისი დროისთვის. რუსული პროპაგანდის პრინციპის ეფექტურობას კი ვადა ჯერაც არ გასვლია. მან გაანადგურა თავისი ახლო მეზობლები“.

ამავე აზრს ავითარებს ჩვენ მიერ არაერთგზის დამოწმებული ჰაროლდ ლასუელიც (Harold D. Lasswell, 1951) თავის წიგნში: „საბჭოთა პროპაგანდის სტრატეგია“. ისიც, წინა ავტორის მსგავსად, რუსულ პროპაგანდას საკმაოდ აგრესიულს უწოდებს. მისი თქმით, რუსეთის ტოპ მმართველები ფლობენ დოქტრინასა და ტრადიციას, რომლის თანახმადაც პროპაგანდა ტოტალიტარული პოლიტიკის აღსრულებაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს.

„ყველამ იცის, რომ 1917 წელს ძალაუფლების ხელში ჩაგდება იგეგმებოდა მრავალწლიანი აქტივობებით, რომლებშიც მონაწილე რევოლუციური პარტიების წევრები ვალდებული იყვნენ მათი ენერგია პროპაგანდისთვის მიემღვნათ,“ - წერს ლასუელი. მისი აზრით, რუსული ელიტა პროპაგანდის ხაზგასმას, ადამიანის გონების ან ისტორიაში იდეათა როლის პატივსაცემად კი არ ახდენს, არამედ პირიქით - „რუსული მმართველი კლასის ტრადიცია იდეებისა და ადამიანის გონების უგულვებელყოფას წარმოადგენს“.

მსგავს მოსაზრებას გამოთქვამს დევიდ ვედგუდი (David Wedgwood Benn, 1985) თავის ნაშრომში: „საბჭოთა პროპაგანდა: თეორია და პრაქტიკა“. საბჭოთა პროპაგანდის დახასიათებისას იგი წერს, რომ საბჭოთა პროპაგანდა იდეოლოგიის ქვედანაყოფი უფრო იყო, ვიდრე სოციალური მეცნიერებისა და რომ მათ მიერ გამოყენებული იძულებითი დარწმუნება აუდიტორიის სურვილების იგნორირებას ნიშნავდა.

რუსულ პროპაგანდაზე საუბრისას, ჰაროლდ ლასუელი სვამს კითხვას: „ რა მოხდება თუკი რუსეთის სტრატეგიული მიზანი იქნება, ის რომ არ არსებობდეს საზოგადო ომი“?

ავტორი კითხვას თავადვე პასუხობს და სავარაუდო სამომავლო სურათს გვიხატავს: „ეს იქნება კორეის ტიპის ადგილობრივი აგრესია. სხვადასხვა ქვეყანა ერთმანეთის მიყოლებით, თვითკმაყოფილების, დაყოფისა და დაშინების გზით, მოექცევა რუსულ ორბიტაში. შეერთებული შტატები მიღებს ისეთ გადაწყვეტილებებს, რომლებიც დაასუსტებს მის ეკონომიკურ, პოლიტიკურ და სოციალურ სფეროებს. შტატები მშვიდობიანად გადაინაცვლებს მსოფლიოში მეორე ადგილზე“.

საბჭოთა პროპაგანდის დახასიათებისას, ჰაროლდ ლასუელი შეჯამების სახით აღნიშნავს, რომ „რუსული პროპაგანდა სულაც არ არის მშვიდობიანი პროცესი მოცემულ ქვეყანაში მცხოვრები ხალხის უმრავლესობისთვის, არამედ იგი წარმოადგენს ძალაუფლების ხელში ჩაგდების წინაპირობას“. მისი აზრით, ძალაუფლების მოპოვების ეტაპზე, რუსული პროპაგანდის სტრატეგიას დემორალიზაცია წარმოადგენს, რომელიც განიხილება ტერორთან სინქრონიზებულად და არწმუნებს ყველას საბჭოთა კავშირის გარდაუვალ ტრიუმფსა და იმაში, რომ წინააღმდეგობის გაწევა ან თუნდაც თანამშრომლობა სრულიად უიმედო ქმედებას წარმოადგენს.

დასასრულს შეგვიძლია ვთქვათ: ავტორთა უმრავლესობა თანხმდება, რომ პოლიტიკური რეალობის შექმნაში პროპაგანდა განსაკუთრებულ როლს ასრულებს. როგორც წარმოჩნდა, პოლიტიკური პროპაგანდა წარმოადგენს პოლიტიკური მანიპულაციის მძლავრ საშუალებას. იგი განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს საზოგადოებრივი აზრის ფორმირებაში; ხელს უწყობს შეხედულებების, განწყობების, პოლიტიკური აზროვნების სასურველი მიმართულებით წარმართვას და, რაც მთავარია, იწვევს ცვლილებებს მოქალაქეების ქცევაში.

კვლევის ქართული გამოცდილება

რუსული პროპაგანდა და მისი თავისებურებები ქართულ მედიასივრცეში აქტიური კვლევის საგანია ქართველი მკვლევრებისთვის. ნაშრომში მიმოხილულია ამ თემასთან დაკავშირებული იმ კვლევების ნაწილი, რომლებიც 2015-2016 წლების განმავლობაში ჩატარდა.

ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტმა 2016 წლის 22 აგვისტოს გამოაქვეყნა დოკუმენტი „კრემლის საინფორმაციო ომი საქართველოს წინააღმდეგ: პროპაგანდასთან ბრძოლის სახელწმიფო პოლიტიკის აუცილებლობა“. ნაშრომში აღწერილია რუსული პროპაგანდის მახასიათებლები და მიზნები. საუბარია ასევე იმ არხებზე, რომელთა საშუალებითაც კრემლი საქართველოში აწარმოებს საინფორმაციო ომს. წარმოდგენილ დოკუმენტში ავტორები საუბრობენ პროპაგანდის საფრთხის გაცნობიერებისა და მასთან ბრძოლის სახელმწიფო პოლიტიკის აუცილებლობაზე.

დოკუმენტის დასაწყისში ხაზგასმულია საინფორმაციო ომის მნიშვნელობა რუსეთის ფედერაციაში და მოყვანილია შესაბამისი მაგალითებიც. „2013 წლის 27 თებერვალს, გაზეთ „Военно-промышленный курьер“-ში გამოქვეყნდა რუსეთის შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსის, ვალერი გერასიმოვის სტატია, რომელშიც საუბარია კრემლის გეოპოლიტიკური მიზნების მიღწევის საშუალებებზე. „გერასიმოვის დოქტრინად“ წოდებული სტატიის თანახმად, თანამედროვე ომში წამყვანი ადგილი საინფორმაციო და ფსიქოლოგიურ ომს უკავია“ - ვკითხულობთ აღნიშნულ კვლევაში. ავტორთა თქმით, საინფორმაციო ომის ცნებას ცენტრალური ადგილი უჭირავს რუსეთის ფედერაციის სამხედრო დოქტრინაშიც, რომლის მიხედვითაც, კრემლი საინფორმაციო ომის პრინციპებს მიმართავს, როდესაც საკუთარი ინტერესების გატარებას ცდილობს რომელიმე სახელმწიფოს მიმართ.

აღნიშნული დოკუმენტის მიხედვით, საქართველოში კრემლის პროპაგანდის გააქტიურება დაიწყო 2013 წლიდან, როდესაც რამდენიმე ინტერნეტტელევიზიამ, ბეჭდურმა გამოცემამ, ვებ-გვერდმა, არასამთავრობო ორგანიზაციამ და პოლიტიკურმა ჯგუფმა დაიწყო ანტიდასავლური გზავნილებს მასობრივი გავრცელება. ავტორები საქართველოში კრემლის პროპაგანდის ძირითად მიმართულებებს გამოყოფენ:

ევროპულ და ევრო-ატლანტიკურ სტრუქტურებში საქართველოს ინტეგრაციის დისკრედიტაცია.

დასავლური ღირებულებების დაკნინება - მათი წარმოჩენა, როგორც შეუთავსებელი ქართულ კულტურასა და ტრადიციებთან.

შეთქმულების თეორიების გავრცელება - შეთხზულ ჰიპოთეზათა ერთობლიობა, რომელიც რიგ მოვლენებს წარმოაჩენს, როგორც დასავლური სახელმწიფოების ან ინსტიტუტების შეთქმულების დამანგრეველ და საფრთხის შემცველ შედეგს.

დოკუმენტის ავტორთა შეფასებით, თემატური მიმართულებების მიხედვით იქმნება „მითები“, რომლის საშუალებითაც ხდება პროპაგანდის გზავნილების შეფუთვა. ამავე

დოკუმენტის მიხედვით, 2014 წლიდან, ქართულ მედიაში გამოაშკარავებული ანტიდასავლური ხასიათის 98 მითი.

წარმოდგენილი მონაცემების მიხედვით, მითების ყველაზე დიდი ნაწილი (28%) ევროკავშირს ეხება. გამომდინარე იქიდან, რომ საქართველომ ვიზალიბერალიზაცია მიიღო, რუსული პროპაგანდის ეს მიმართულება განსაკუთრებით საფრთხის შემცველი ხდება დღევანდელ რეალობაში.

ავტორები საუბრობენ ასევე იმ მოსალოდნელ შედეგებზე, თუკი ხელისუფლება განაგრძობს უმოქმედობას და არ შეიმუშავებს კრემლის პროპაგანდის წინააღმდეგ სახელმწიფო პოლიტიკას. უმოქმედობის შემთხვევაში, ავტორები პროგნოზირებენ ამგვარ შედეგებს:

შესუსტდება ევროპული და ევრო- ატლანტიკური ინტეგრაციის მიმართ საქართველოს მოსახლეობის მხარდაჭერა და გაიზრდება რუსეთთან დაახლოების მოსურნეთა რიცხვი (რასაც ადასტურებს NDI-ის მიერ გამოქვეყნებული კვლევა. (იხ. ვებმის.: <https://goo.gl/zxAsYJ>) ამით კი საფრთხე შეექმნება ქვეყნის ევროატლანტიკურ კურსს.

გარეშე მტრულ ძალას მიეცემა საშუალება, მოახდინოს გავლენა ქვეყნის პოლიტიკურ დღის წესრიგზე, რითიც საფრთხე ექმნება სახელმწიფოს, როგორც სუვერენულ ერთეულს.

საზოგადოებაში გაძლიერდება ქსენოფობია და გაღვივდება ეთნიკური და რელიგიური შუღლი. ამის გამო კი შესუსტდება სამოქალაქო ერთიანობა.

IDFI-ის მიერ გამოქვეყნებული დოკუმენტის ავტორთა მტკიცებით, საქართველოში კრემლის პროპაგანდის ძირითად საყრდენს მედიასაშუალებები წარმოადგენს.

ამავე აზრს ავითარებს მედიის განვითარების ფონდი (MDF) კვლევაში „ანტიდასავლური პროპაგანდა“. კვლევა ერთწლიან პერიოდს (17 თებერვალი, 2014 – 18 თებერვალი, 2015) მოიცავს და იმ წყაროების მიხედვით არის დაჯგუფებული, რომლებიც ანტიდასავლური განწყობების მხრივ ყველაზე აქტიურია: მედია, პოლიტიკური პარტიები და მათთან აფილირებული საზოგადოებრივი ორგანიზაციები, მოქმედი და ყოფილი თანამდებობის პირები, სასულიერო პირები და საზოგადოების სხვა წარმომადგენლები. მონიტორინგის შედეგად დადგინდა, რომ საქართველოში ანტიდასავლური განწყობების მთავარი წყარო მედიაა. კვლევის ერთწლიანი პერიოდის განმავლობაში გამოვლინდა აღნიშნული შინაარსის გზავნილების 325 შემთხვევა.

კვლევის ავტორთა შეფასებით, მონიტორინგის შედეგებმა გამოკვეთა ქართულ მედიაბაზარზე ისეთი მედიასაშუალებების არსებობა, რომლებშიც, მათი აზრით, მხოლოდ ერთგვაროვანი მოსაზრებებია წარმოდგენილი, ბრალდებები და ფაქტობრივი ინფორმაცია ხშირად ერთი ადამიანის ან მხოლოდ თავად ჟურნალისტის პირად მონათხრობს ეფუძნება, ან რუსული წყაროებით არის გამყარებული. აქედან გამომდინარე, კვლევის შედეგებით დასტურდება, რომ ეს გარემოებები აქცევს ამ კატეგორიის მედიუმებს პროპაგანდის ინსტრუმენტებად.

ამავე წელს (2015) ანტიდასავლურ განწყობათა დემონსტრირების თავისებურებები მედიაში ხატია ლომიძემ სამაგისტრო კურსის ფარგლებში იკვლია და შედეგები თავის ნაშრომში „ანტიდასავლურ განწყობათა შექმნისა და გავრცელების თავისებურებები

თანამედროვე ქართულ სატელევიზიო და ბეჭდურ მედიაში“ წარმოადგინა. კვლევა სამთვიან - 2015 წლის 1 აგვისტოდან ამავე წლის 1 ნოემბრამდე - პერიოდს მოიცავდა. ავტორმა გამოიკვლია ძირითადი სატელევიზიო და ბეჭდური მედია: რუსთავი 2, იმედი, მანეთი, საზოგადოებრივი მაუწყებელი, ჯიდიესი, კავკასია, ობიექტივი დღის მთავრი საინფორმაციო გამოშვებები, კავკასიისა და ობიექტივის შემთხვევაში პრაიმტაიმის თოქ-შოუები და გაზეთები: ასავალ-დასავალი, კვირის პალიტრა, კვირის ქრონიკა, ალია, რეზონანსი, პრაიმტაიმი.

კვლევის შედეგების მიხედვით, სატელევიზიო და ბეჭდურ მედიაში მონიტორინგის პერიოდში დასავლეთის მიმართ ნეგატიური დამოკიდებულების შემცველი ჯამში სულ 180 პოზიცია დაფიქსირდა. სატელევიზიო მედიაში - 65, ბეჭდურში -115. გამოვლენილი პოზიციების შედეგად დასავლეთის მიმართ გამოხატული ნეგატიური დამოკიდებულება ძირითადად მოიცავს: ანტიამერიკულ, ანტიდასავლურ და ნატოს წინააღმდეგ მიმართულ პოზიციებს. კვლევის შედეგებში ავტორი ბეჭდურ და სატელევიზიო მედიაში მონიტორინგის შედეგად მიღებულ შედეგებს ერთმანეთს ადარებს და აღნიშნავს, რომ სატელევიზიო მედია ნაკლებ დროს უთმობს დასავლეთის მიმართ ნეგატიურად განწყობილ რესპონდენტებს, ხოლო თავად ის, განსხვავებით გაზეთებისგან, თითქმის საერთოდ არ ავლენს ანტიდასავლურ განწყობებს. თუმცა აქვე გამონაკლისის სახით ასახელებს მედიაკავშირ „ობიექტივს“, სადაც ანტიდასავლურ განწყობებს, ავტორის თქმით, თავად ჟურნალისტებიც ავლენენ.

ხატია ლომიძე თავის კვლევაში, შეჯამების სახით ძირითად მიგნებებსაც გამოყოფს. მაგალითად:

- “საქართველოში დასავლეთის მიმართ ნეგატიურ განწყობებს ბეჭდური მედია უფრო ხშირად ავრცელებს, ვიდრე სამაუწყებლო მედია.
- დასავლეთის მიმართ ნეგატიური განწყობის შემცველი დამოკიდებულების გავრცელება ცალკეული მედიასაშუალებების სარედაქციო პოლიტიკის ნაწილად შეიძლება ჩაითვალოს.
- ყველაზე ხშირად ანტიდასავლურ განწყობებს ავრცელებენ: ტელეკომპანია ობიექტივი, გაზეთები ასავალ-დასავალი, ალია და კვირის ქრონიკა.
- როგორც ბეჭდური, ისე სამაუწყებლო მედიის შემთხვევაში, დასავლეთის მიმართ ნეგატიური დამოკიდებულების შემცველი თვალსაზრისის გამავრცელებლები უფრო ხშირად რესპონდენტები არიან, ვიდრე მედიის წარმომადგენლები.”

ქართული არასამთავრობო კვლევითი ორგანიზაციის, ევროპული ინიციატივა – ლიბერალური აკადემია თბილისი (EI-LAT), 2016 წლის პოლიტიკის დოკუმენტში -

„რუსეთის ხისტი და რბილი ძალის საფრთხეები საქართველოში“, ვკითხულობთ, რომ რუსეთისთვის „რბილი ძალა“ საჭირო იდეოლოგიური და პოლიტიკური პლატფორმის შესაქმნელად ერთერთი საჭირო იარაღია და მას კრემლი აქტიურად იყენებს. კვლევის ავტორთა თქმით, რუსული პროპაგანდა საქართველოში აქტიურად მუშაობს ონლაინგამოცემების, ინტერნეტ„ტროლებისა“ და „ბლოგების“ მიმართულებითაც, რითაც კრემლი ცდილობს, ინტერნეტსივრცეში არსებულ დისკუსიას მისთვის სასურველი მიმართულება მისცეს.

კვლევის ავტორები აგრეთვე იმ ნიშანზე საუბრობენ, რომელიც საქართველოში რუსეთის საინფორმაციო ომს სხვა პოსტსაბჭოთა ქვეყნებისგან განასხვავებს. მათი თქმით, თუ უკრაინაში, ლატვიაში, მოლდოვასა და სხვა პოსტსაბჭოთა ქვეყნებში რუსული პროპაგანდის დიდი ნაწილი უშუალოდ რუსულ ენაზე მიმდინარეობს, საქართველოში კრემლი საინფორმაციო ომისათვის უმეტესად ქართულ ენას იყენებს. აქედან გამომდინარე, კიდევ უფრო რთულდება კრემლის პროპაგანდის წინააღმდეგ ბრძოლა, რამდენადაც ის, ავტორთა მტკიცებით, ისეთ ფუნდამენტურ ღირებულებებს იყენებს ფარად, როგორც სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლებაა. ამ ღირებულებას კი საქართველოს კონსტიტუცია იცავს.

2014 წლის ოქტომბერში არასამთავრობო ორგანიზაციამ, „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველომ“ გამოაქვეყნა ანგარიში - „ვის ეკუთვნის ქართული მედია“. კვლევაში აღნიშნულია, რომ ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში ქართულ ონლაინსივრცეში გამოიკვეთა ვებგვერდების ჯგუფი, რომელიც ანტიდასავლურ პროპაგანდას ეწევა. ამ ონლაინგამოცემების ჯგუფს კი ერთმანეთთან ფორმალური თუ არაფორმალური თანამშრომლობა აკავშირებთ. მათ შორის არის: Reportiori.ge, Marshallpress.ge, Geworld.ge, Saqinform.ge, TB24.ge და Ttaoba.ge.

კომუნიკაციების ეროვნული კომისიის დაკვეთით, „სოციალური კვლევისა და ანალიზის ინსტიტუტმა“ ჩაატარა კვლევა და შედეგები კომისიას 2015 წლის 25 დეკემბერს წარუდგინა. კვლევა რადიომაუწყებლობის პრიორიტეტების განსაზღვრის მიზნით ჩატარდა, თუმცა მისი ერთი ნაწილი სატელევიზიო მაუწყებლობებსა და უცხოურ ტელევიზიასაც ეხება. ქვეყნის მასშტაბით 2700 პირისპირ ინტერვიუ ჩატარეს. კვლევის შედეგები გვამცნობს, რომ რუსული NTV და რუსეთის პირველი არხი (ORT) საქართველოში ყველაზე პოპულარული უცხოური არხებია. არასამთავრობო ორგანიზაციის „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის“ (IDFI) თავმჯდომარე ლევან ავალიშვილი ნეტგაზეთთან ინტერვიუში (იხ. ვებმის.: <http://netgazeti.ge/life/104681/>) ამ კვლევის შედეგებზე საუბრობს: „ეს მედია არ არის. ეს არის რუსეთის სახელმწიფო აპარატის ერთ-

ერთი განშტოება. ეს არის რუსეთის შესაბამისი სამსახურების მიერ მკაცრად კონტროლირებადი ინსტრუმენტი, რომელსაც კონკრეტული მიზნები აქვს“.

ავალიშვილის აზრით, ეს მიზნებია, ერთი მხრივ, რუსეთის მოსახლეობის კონტროლი და ინფორმაციულ ვაკუუმში ყოფნა, მეორე მხრივ, კულტურული თუ საინფორმაციო პროპაგანდა ქვეყნის გარეთ, თავისი გავლენის გაზრდის მიზნით: “იყენებენ ბევრ მეთოდს, სპეციალურ მესიჯებს, დეზინფორმაციას და ხდება ისეთი რეალობის წარმოჩენა, როცა ადამიანი გაურკვეველობაში ვარდება და უჭირს ინფორმაციული გადაწყვეტილების მიღება. საუბარია გარკვეული მითების დანერგვაზე, იქნება ეს ანტიდასავლური განწყობების კულტივირება, რელიგიურ საკითხებზე დაფუძნებული თემები თუ ადამიანის უფლებათა საკითხები. სამწუხაროდ, ამის რეფლექსია ჩვენს საზოგადოებაშიც ხდება”, განმარტავს ავალიშვილი ჟურნალისტთან საუბრისას.

უნდა აღინიშნოს აგრეთვე ქართულ მედიასივრცეში შექმნილი ონლაინპლატფორმა damoukidebloba.com. ეს არის საზოგადოებრივი პროექტი, რომელიც "ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის" (IDFI) დამფუძნებლებმა, გიორგი კლდიაშვილმა და ლევან ავალიშვილმა შექმნეს. აღნიშნული პლატფორმა საქართველოში რუსული პროპაგანდის და ე.წ. რბილი ძალის სხვა ინსტრუმენტების გავრცელების ანალიზითაა დაკავებული.

2015 წელს საზოგადოებრივი პროექტის damoukidebloba.com-ის ფარგლებში მომზადდა კვლევა „რუსული გავლენა არასამთავრობო ორგანიზაციებსა და მედიაზე“. კვლევის შედეგებიდან დადგინდა, რომ რუსული რიტორიკის პოპულარიზაციას, არასამთავრობო ორგანიზაციებიდან, ყველაზე მეტად ახდენს „ევრაზიის ინსტიტუტი“ და „ევრაზიული არჩევანი“. კვლევის ავტორთა - ნატა ძველიშვილისა და თაზო კუპრეიშვილის - შეფასებით, მიუხედავად იმისა, რომ ჯამში ღიად ანტიდასავლური რიტორიკის მქონე ორგანიზაციების რაოდენობა საქართველოში საკმაოდ დიდია, მათი დამფუძნებლები ძირითადად ერთი და იგივე პირები არიან.

კვლევის შედეგად ასევე გამოირკვა, რომ საქართველოში თანდათან ძლიერდება რუსული მულტიმედია პროექტი „სპუტნიკი“. კვლევის ავტორების თქმით, აღნიშნული საიტი რუსული პროპაგანდის მთავარი ლოკომოტივია მსოფლიოში. მას შემდეგ, რაც მათ რადიოს ეთერში გაშვების უფლება არ მისცა საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ, "სპუტნიკმა" საკუთარი აქტივობა ინტერნეტსივრცეში გადაიტანა, სადაც ტექსტურ მასალებთან ერთად, ათავსებენ როგორც ვიდეო, ისე ფოტო პროდუქტსაც, ასევე ინტერნეტ-რადიო გადაცემებს.

ონლაინ პლატფორმებზე საუბრისას, აუცილებლად უნდა ვახსენოთ ასევე mediachecker.ge. ეს არის მედია კრიტიკის პლატფორმა, რომელზეც ტელე, ონლაინ და ბეჭდურ მედიაში განთავსებული ჟურნალისტური პროდუქტის ანალიზის შედეგებია თავმოყრილი. საიტის საძიებო ველში „რუსული პროპაგანდის“ ჩაწერისას, ათამდე სტატია იძებნება. გამოქვეყნებულ მასალებში ვკითხულობთ, როგორც ცალკეულ ვებ-გვერდზე გამოქვეყნებული ანტიდასავლური რიტორიკის სტატიების ანალიზს, ისე ზოგადად, რუსული პროპაგანდის თავისებურებების შესახებ მსჯელობასაც.

თაზო კუპერიშვილის მიერ 2017 წლის 4 აპრილს გამოქვეყნებულ საავტორო სვეტში „რუსული პროპაგანდის 44 გზავნილი აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში“ (იხ. ვებმის.: <http://mediachecker.ge/mediacritics/detail/248/>) წარმოდგენილია პოსტსაბჭოთა სივრცეში მოქმედი ორგანიზაციების კვლევის შედეგები. კვლევის ძირითად საკითხს წარმოადგენს იმის დადგენა, თუ რა გზავნილებს ავრცელებს რუსული პროპაგანდისტული მანქანა აღმოსავლეთ პარტნიორობის ექვს ქვეყანაში – საქართველოში, უკრაინაში, სომხეთში, აზერბაიჯანში, მოლდოვასა და ბელორუსში. კვლევის მიხედვით, რუსულ პროპაგანდას რამდენიმე ძირითადი მახასიათებელი აქვს: სიძულვილის ენის გამოყენება, დისკრიმინაცია, ქსენოფობია, რასიზმი, ომისა და ტერორიზმის საკრალიზება. კვლევის შედეგებით დადგინდა, რომ პრორუსული პროპაგანდისტული მედია ფაქტებით მანიპულირებს და სადავო, მტკივნეულ საკითხებს წარმოაჩენს ცალმხრივად, სტერეოტიპული ხედვით.

იმავე ავტორის კიდევ ერთ პუბლიკაციაში „როგორ მუშაობს რუსული პროპაგანდა“, (იხ. ვებმის.: <http://mediachecker.ge/mediacritics/detail/197/>) ვკითხულობთ: „რუსეთის ხელისუფლებას ძალიან კარგად ესმის დემოკრატიის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მონაპოვრის –სიტყვის თავისუფლებისა და თავისუფალი მედიის მნიშვნელობა და იცის, როგორ გამოიყენოს ეს ღირებულებები სათავისოდ. მათ კარგად იციან, რომ სიტყვის თავისუფლების ქოლგის ქვეშ შეფარებულ პროპაგანდას დემოკრატიული სახელმწიფოები ვერ და არ აკრძალავენ. ასე რომ, რუსულ პროპაგანდასთან საბრძოლველად ერთადერთ ეფექტურ გზად ფაქტების გადამოწმება და სწორი ინფორმაციის გავრცელება რჩება“.

III თავი

ქართული ონლაინმედიის კვლევის შედეგები

რეპორტიორი

მონიტორინგის შედეგად საინფორმაციო სააგენტო reportiori.ge-ზე პრორუსული პროპაგანდისტული მესიჯების სულ 48 შემთხვევა გამოვლინდა, რომლებიც შემდეგ კატეგორიებად შეგვიძლია დავყოთ:

1) პირველ კატეგორიაში ერთიანდება იმ ტიპის გზავნილები, რომელთა მიხედვითაც, რუსეთი წარმოგვიდგება, როგორც გარდაუვალი რეალობა, მეზობელი ქვეყანა, რომელსაც ვერსად გავექცვით, ამიტომ აჯობებს მასთან პოზიტიური ურთიერთობა შევინარჩუნოთ. აღნიშნულ კატეგორიაში გამოვლინდა მსგავსი შინაარსის 6 შემთხვევა. განვიხილოთ რამდენიმე მათგანი:

2016 წლის 24 ნოემბერს გამოქვეყნებულ ამბავში ვკითხულობთ არასამთავრობო ორგანიზაცია „უფლებადამცველთა გაერთიანების“ თავმჯდომარის, ნიკოლოზ მჭავანაძის, სიტყვებს: „თუ ძალისმიერი მეთოდებით არ შეგიძლია ტერიტორიების დაბრუნება, გაურკვეველია, რატომ არ უნდა გადავდგათ ნაბიჯები რუსეთთან მოლაპარაკების მიმართულებით. პუტინი ყავაზე, ჩაიზე და მუსიკაზე სასაუბროდ რომ არ გვეპატიჟება მოსკოვში, ხომ ვიცით? ჩვენ კი კვლავაც გავიძახით: NATO, ევროკავშირი.“ (იხ. ვებმის.: <https://goo.gl/30XXj0>) მჭავანაძე იქვე დასძენს, რომ ნატოში საქართველოს მაინც არ მიიღებენ, ამიტომ საგარეო პოლიტიკა უნდა შეიცვალოს. იგი შემოფოთებას გამოთქვამს იმის თაობაზე, რომ საგარეო პოლიტიკა ისეთივეა, როგორც სააკაშვილის დროს იყო. მიხეილ სააკაშვილს, კი ხელისუფლებაში ყოფნის დროს, ნათლად გაცხადებული პროდასავლური საგარეო კურსი ჰქონდა აღებული.

ამავე პერიოდში (2016 წლის ნოემბერში) რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა საქართველოსთან უვიზო რეჟიმის შესაძლო ამოქმედებაზე გააკეთა განცხადება. „პრინციპში, არ გამოვრიცხავ საქართველოსთან უვიზო რეჟიმის შესაძლებლობას. რა თქმა უნდა, ამ საკითხისადმი მიდგომისას საჭიროა ევროკავშირისა და საქართველოს შორის შესაბამისი პროცესების გათვალისწინება“ - აცხადებს გრეგორი კარასინი.(იხ. ვებმის.: <https://goo.gl/ax8AkM>) რეპორტიორმა აღნიშნული ამბავი ნოემბრის თვის მანძილზე, განსაკუთრებით პირველ კვირას, რამდენჯერმე გამოაქვეყნა. ვფიქრობ, მთელი თვის განმავლობაში ამ ამბის არაერთხელ გამოქვეყნება პროპაგანდად შეგვიძლია ჩავთვალოთ, ვინაიდან მკითხველს მრავალჯერადად აწვდის მოსაზრებას და უქმნის მოლოდინს, რომ რუსეთთან სავიზო რეჟიმი გაუქმდება, თუკი საქართველო რუსეთისთვის სასურველად მოიქცევა.

2016 წლის 19 მარტს რეპორტიორი აქვეყნებს თამაზ მეჭიაურის ფეისბუქის სტატუსს, რომელშიც იგი რუსეთისადმი ოპტიმისტურ დამოკიდებულებას ავლენს. (იხ. ვებმის.:

<https://goo.gl/Dn7JQ9>) მეჭიაური სვამს კითხვას: „ ვინ არის ოკუპანტი?“ და თავადვე პასუხობს, რომ ოკუპანტია ყველა, ვისაც მითვისებული აქვს ჩვენი მიწის თუნდაც ერთი გოჯი. შემდეგ კი სვამს კითხვას: „ ვინ არის მეგობარი? და მას შემდეგნაირად პასუხობს: „მეგობარი შეიძლება გახდეს ის, ვინც ნებაყოფლობით დაგიბრუნებს წართმეულს, ან მის დაბრუნებაში დაგეხმარება!

ყველა მეზობელს, ჯერ კიდევ, აქვს შანსი, გახდეს ჩვენი მეგობარი...

ყველაზე დიდი კი რუსეთს, მას დაბრუნებაში დახმარების გამოცდილებაც აქვს...”, - წერს მეჭიაური. მოცემული სტატუსის მიხედვით, ყველაზე დიდი შანსი, რომ გახდეს ჩვენი მეგობარი, აქვს რუსეთს, ვინაიდან წართმეულის დაბრუნებაში დახმარების გამოცდილება აქვს. საინტერესოა ის, რომ არ არის დაკონკრეტებული, უფრო ზუსტად როდის და რის დაბრუნებაში დაეხმარა საქართველოს რუსეთი.

2) მეორე კატეგორიაში ერთიანდება გზავნილები, რომლებიც საქართველო-რუსეთს შორის სენტიმენტალურ მოგონებებს უკავშირდება, ხაზს უსვამს იმ ხანგრძლივ და ისტორიულ ურთიერთობებს, რომელიც ამ ქვეყნების ხალხებს ერთმანეთთან აკავშირებს და მიზნად ისახავს, მკითხველზე ემოციური გავლენის მოხდენას - „რუსეთი, როგორც ჩვენი ძველი მეგობარი“.

2016 წლის 6 ნოემბერს რეპორტიორი აქვეყნებს ამბავს სათაურით: „გამარჯობა, ჩემო ბელურა! - სტალინის მიმოწერა შვილთან“. (იხ. ვებმის.: <https://goo.gl/iLS1H8>) მოცემულ წერილში იოსებ სტალინი წარმოდგენილია, როგორც მოსიყვარულე და მზრუნველი მამა, რომელსაც შეუძლებელია რაიმე ცუდი ჩაედინა.

ტექსტის ბოლოს ვკითხულობთ მინაწერს, რომ ინფორმაციის წყარო „რუსეთის ეროვნული არქივა“. მიუხედავად ამისა, მკითხველი ვერ იქნება დარწმუნებული, გამოქვეყნებული ინფორმაციის სისწორესა და სიზუსტეში. ვფიქრობ, საარქივო მასალებზე დაყრდნობით გავრცელებულ ნებისმიერ ინფორმაციას სასურველია ახლდეს თავად იმ საარქივო მასალების ფოტოსურათები, წყარო, რომელიც გადამოწმების საშუალებას მოგვცემს. წინააღმდეგ შემთხვევაში, მკითხველისთვის გაუგებარია, შეესაბამება თუ არა სიმართლეს გამოქვეყნებული ამბავი.

ასევე, 2016 წლის 9 დეკემბერს გამოქვეყნებული მასალა, სათაურით „სტალინის შურისძიება ილიას მკვლელებზე“, (იხ. ვებმის.: <https://goo.gl/fFnKNf>) სტალინის კულტის გამყარებას ემსახურება. სტატიაში ყოველგვარი რეალური ფაქტებისა და წყაროების გარეშე მოთხრობილია, როგორ აგებინა სტალინმა პასუხი ილიას მკვლელებს. მთელი წარმოდგენილი მასალის პათოსი მდგომარეობს იმაში, რომ იოსებ სტალინსა და ილია

ჭავჭავაძეს ერთმანეთთან საკმაოდ ახლო ურთიერთობა ჰქონდათ და ილიას მკვლელობა არა თუ მისი სურვილით არ მომხდარა, არამედ მან თითქოს მწარედ დასაჯა კიდეც ამის ჩამდენი ადამიანები. იმდენად, რამდენადაც ილია ჭავჭავაძე საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობისთვის უდიდესი ღვაწლის მქონე ავტორიტეტია, მისი სახელის სტალინთან ამ ფორმით დაკავშირება, ვფიქრობ, პროპაგანდისტული მესიჯია, რაც სტალინის კულტის გამყარებასა და რუსოფილური განწყობების გაძლიერებას უწყობს ხელს..

2016 წლის ნოემბრის პირველ კვირაში „რეპორტიორი“ აქვეყნებს ეროსი კიწმარიშვილის ჩანაწერებს, (იხ. ვებმის.: <https://goo.gl/dXYKzZ>) რომელიც გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოში“ დაიბეჭდა. მასში ავტორი საუბრობს რუსეთ-საქართველოს ურთიერთობებზე და საკუთარ ისტორიებს იხსენებს. წარმოდგენილ მოგონებებში ეროსი კიწმარიშვილი რუს და ქართველ ხალხს შორის არსებულ ურთიერთპატივისცემასა და სიყვარულს უსვამს ხაზს. მაგალითად, „ევგენი პრიმაკოვს უყვარს თბილისი, თავისი პლენხანოვის პროსპექტი, ჰყავს ქართველი სიძე, პირველი ცოლიც ქართველი ჰყავდა... არაერთხელ დავრწმუნდი, რომ რუსეთის სამღვდელოება ილია მეორეს ძალიან დიდ პატივს სცემს. ჩვენი პატრიარქი და ეკლესია არის ერთ-ერთი სერიოზული ხელმოსაჭიდი, რომელიც დღეს რუსეთთან ურთიერთობის დასარეგულირებლად და შემდგომ რაღაცის მისაღწევად გაგვაჩნია“ - წერს კიწმარიშვილი.

აღნიშნულ კატეგორიაში გამოვლინდა რუსული პროპაგანდის 6 შემთხვევა. მათგან სამი ეროსი კიწმარიშვილის მოგონებებს ეხება, ორი - სტალინის კულტის გამყარებას. დარჩენილი შემთხვევა საქართველოს პატრიარქის, ილია II-ის მოსკოვში ვიზიტს უკავშირდება, რომლის შესახებაც რეპორტიორმა ინფორმაცია რამდენჯერმე (კარასინის განცხადების მსგავსად) გამოაქვეყნა სათაურით „ჩვენ ვჭირდებით ერთმანეთს“. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ რუსული პოლიტიკის მნიშვნელოვანი საყრდენი მართლმადიდებლური ეკლესიაა, ამ ინფორმაციის რამდენჯერმე გამოქვეყნებაც პროპაგანდის ნაწილად შეგვიძლია ჩავთვალოთ.

3) მესამე კატეგორიაში ერთიანდება გზავნილები, რომლებიც ამერიკისა და ევროპის კრიტიკასა და ნეგატიურ კონტექსტში წარმოდგენას უკავშირდება. ამ გზავნილების მიხედვით, ამერიკისა და ევროპის პოლიტიკას საქართველოსთვის ზიანის მოტანა შეუძლია. არაერთი კვლევით დასტურდება, რომ ერთმორწმუნეობის ლოზუნგს ამოფარებული რუსეთი პოსტსაბჭოთა ქვეყნების მართლმადიდებლურ ეკლესიებთან ერთად ანტიდასავლურ პროპაგანდას ეწევა. მონიტორინგის შედეგად, აღნიშნულ კატეგორიაში - ანტიდასავლური პროპაგანდა - ყველაზე ბევრი, 15 შემთხვევა დაფიქსირდა.

2016 წლის 5 ნოემბერს გამოქვეყნებულ მასალაში ვკითხულობთ რობერტ სტურუას ამერიკის ელჩის, იან კელის, მისამართით გაკეთებულ განცხადებას (რომელსაც საიტი მოგვიანებით მეორედ, 12 ნოემბერსაც აქვეყნებს): „რას ერჩით ჩემ პატარა ქვეყანას? რა სიმდიდრე აღმოაჩინეთ ჩვენ მიწაზე - ნავთობი თუ ოქრო“. სტურუა იან კელის აკრიტიკებს იმის გამო, რომ თითქოს იგი ქართველ ხალხს საკუთარი აზრის ქონას უშლის. „რა ბოროტება დაატყდა ჩვენ პატარა ერს, რომ ხალხის სურვილს არ ითვალისწინებთ, და გვიკრძალავთ საკუთარ აზრს და გვკარნახობთ თუ როგორ მოვიქცეთ? “ - წერს რობერტ სტურუა. (იხ. ვებმის.: <https://goo.gl/4gnpJS>)

„რუსთავი 2“ - ის გარშემო მიმდინარე პროცესების გამო, იან კელის აკრიტიკებს ასევე „უფლებადამცველთა გაერთიანების“ თავმჯდომარე ნიკოლოზ მჭავანაძე. მისი თქმით, „რუსთავი 2“ არის ქვეყნის მტერი და მისი არსებობა ამერიკის შეერთებული შტატების ინტერესებში შედის. „ყურადღება მიაქციეთ ამერიკის ელჩის იან კელის განცხადებას- "რუსთავი 2"-ის სარედაქციო პოლიტიკა არ უნდა შეიცვალოს! ანუ ამერიკის ელჩი გვეუბნება - ეს არხი ეკლესიისა და ქვეყნის მტერია და ასეთად უნდა დარჩეს, ჩვენ ასეთი არხი გვაწყობსო!“ - ვკითხულობთ 2017 წლის 6 მარტს გამოქვეყნებულ მჭავანაძის განცხადებაში. (იხ. ვებმის.: <https://goo.gl/jkgoyr>)

2016 წლის 22 დეკემბერს რეპორტიორი აქვეყნებს ჟურნალისტი გიორგი გიგაურის ფეისბუქსტატუსს, სადაც იგი 1991 წლის 22 დეკემბერს თბილისში მომხდარი სამოქალაქო ომის გამო რუსეთის ნაცვლად ამერიკას ადანაშაულებს. „დიახ, ეს იყო ამერიკული გეგმა, რომელშიც დაშლის პირას მყოფმა საბჭოთა კავშირმაც მიიღო მონაწილეობა! უფრო თუ დავაზუსტებთ, ამერიკულ „ცერეუში" დაწერილი ამ მზაკვრული გეგმის განხორციელებაში რუსული მხრიდან მონაწილეობდა უკვე „ამერიკის ხელის ბიჭად" ქცეული რუსეთის პრეზიდენტი - ბორის ელცინი და მისი გარემოცვა!“ - წერს ჟურნალისტი გიორგი გიგაური ყოველგვარი ფაქტებისა და წყაროების გარეშე. (იხ. ვებმის.: <https://goo.gl/4pP9UE>)

მას შემდეგ, რაც ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ „რუსთავი2“ - თან დაკავშირებით საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულება შეაჩერა, საიტზე შეინიშნება დასავლური ღირებულებებისა და სტრასბურგის სასამართლოს დისკრედიტაციისკენ მიმართული პროპაგანდისტული მესიჯების მომრავლება, რომელთა უმეტესობის ავტორები ჟურნალისტები არიან. მაგალითისთვის მოვიყვან რამდენიმე მათგანს:

„ევროსასამართლოვ! ბარემ სააკოვი მოაბრუნეთ პრეზიდენტად და ის რეჟიმი აღადგინეთ, ქუჩაში ხალხს რომ ხოცავდნენ და ციხეებში სასტიკად აწამებდნენ!“ - წერს ჟურნალისტი ზაზა დავითაია, 2017 წლის 7 მარტი. (იხ. ვებმის.: <https://goo.gl/nPRAKq>)

„დასავლეთის შემდეგი ნაბიჯი იქნება „ნაცების“ ხელისუფლებაში დაბრუნება! იმ დასავლეთის მიერ, რომელიც არცერთხელ არ დაინტერესებულა 9 წლიანი რეჟიმის დროს დევნილი და წამებული ადამიანებით და ახლა მერაბიშვილს და ახალაიას პოლიტპატიმრებად მიიჩნევს.” - „უფლებადამცველთა გაერთიანების“ თავმჯდომარე ნიკოლოზ მჟავანაძე, 2017 წლის 7 მარტი (იხ. ვებმის.: <https://goo.gl/JBeYq9>). 8 მარტს კი მისსავე განცხადებაში (იხ. ვებმის.: <https://goo.gl/ujF1bo>) ვკითხულობთ, რომ 1991 წლიდან დასავლეთი არასოდეს მდგარა ქართველი ხალხის გვერდში. მჟავანაძის თქმით, დასავლეთი იდგა მათ გვერდით, ვინც არასოდეს გამოხატავდა ქართველი ხალხის ნებას.

„გაქვთ წართმეული კომპანია და ნამდვილ მფლობელს მისი დაბრუნება სურს? ხართ სახელმწიფოს მტერი, ცრუ ინფორმაციის გამავრცელებელი გინდათ გააგრძელოთ საქმიანობა და გჭირდებათ სასურველი განაჩენი? მიმართეთ პირველ ონლაინ სასამართლოს! ყოველგვარი დოკუმენტების გარეშე შეავსეთ სპეციალური განაცხადი და სულ რაღაც 10 წუთში მიიღებთ სასურველ პასუხს. პირველი განაჩენი, უფასო. სტრასბურგის სასამართლო - თქვენი მეგობარი კომპანია" - წერს ჟურნალისტი გია გაბრიჭიძე, 2017 წლის 8 მარტი. (იხ. ვებმის.: <https://goo.gl/cFf6RO>)

„მოკალი, გააუპატიურე, დაარბიე, სცემე, აწამე, წაართვი, მიითვისე! სტრასბურგი შენია!“ - ჟურნალისტი დარეჯან ლიპარტელიანი, 2017 წლის 8 მარტი. (იხ. ვებმის.: <https://goo.gl/bwcnuZ>)

რაც შეეხება ვიზალიბერალიზაციას, ამ საკითხის უარყოფით კონტექსტში წარმოჩენის მხოლოდ ერთი შემთხვევა დაფიქსირდა. 2017 წლის 30 მარტს გამოქვეყნებულ უფლებადამცველ ნანა კაკაბაძის განცხადებაში (იხ. ვებმის.: <https://goo.gl/93LVJA>) ვკითხულობთ: „ეს იყო ნორმალური პროცესი და არის ძალიან დაგვიანებული, თანაც საკმაოდ ღირსების შემლახავიც, მინდა გითხრათ“. მისი თქმით, ვიზალიბერალიზაცია დიდხნით ადრე უნდა მომხდარიყო და ასეთი დაგვიანება არის შეურაცხმყოფელი. გარდა ამისა, კაკაბაძე უკმაყოფილებას გამოთქვამს იმ პირობების გამო, რომლის გათვალისწინებაც მოქალაქეებს შენგენის ზონაში უვიზოდ მოგზაურობისას მოუწევთ. „როდესაც იქ არის ჩადებული ის პირობები, რა პირობებსაც თხოულობენ საზღვრის გადაკვეთის შემთხვევაში და შენ არა ხარ დაცული, რომ თუ ყველა იმ პირობას არ აკმაყოფილებ, შეიძლება უკან მოგაბრუნონ, ძალიან დამამცირებელია“ - წერს ნანა კაკაბაძე. მისივე თქმით, საქართველოს ხელისუფლება ასეთ პირობებს არ უნდა დათანხმებოდა.

3.1 მესამე კატეგორიის ქვეკატეგორიაში ერთიანდება გზავნილები, რომლებიც ამერიკის საპრეზიდენტო არჩევნებში დონალდ ტრამპის გამარჯვების შემდეგ გამოქვეყნდა

რეპორტიორზე და დასავლურ ლიბერალურ ღირებულებებს უარყოფითად, ირონიულად წარმოაჩენს.

„ამერიკა ვინც ოდნავ იცის, რა ხილია, ის მიხვდება, რომ ეს დალოცვილი ქვეყანა არის აშენებული მარტივ რაღაცეებზე: მეწარმეობის თავისუფლებასა და სიტყვის და აღმსარებლობის თავისუფლებაზე. შე...ს ნაროდს ამ პოლიტკორექტულობით, ამ დამახინჯებული ლექსიკონით, როცა ზანგს ზანგს ვერ უძახი, ლატინოსს - ლატინოსს, ქალს - ქალს და ა.შ.“ - ვკითხულობთ შალვა რამიშვილის 2016 წლის 11 ნოემბრის განცხადებაში (იხ. ვებმის.: <https://goo.gl/2wTY57>). მონიტორინგის შედეგად, გამოიკვეთა ამ შინაარსის 5 გზავნილი.

4) ანტიდასავლური პროპაგანდის გაგრძელებად შეგვიძლია ჩავთვალოთ ჰომოფობიური და უმცირესობათა უფლებების შესახებ გაკეთებული განცხადებები, რადგან ანტიდასავლური რიტორიკა ხშირად სწორედ ქსენოფობიურ და ჰომოფობიურ კონტექსტში გაისმის და დაუსაბუთებელ შიშებს უკავშირდება, რაც მოდერნიზაციის თანმდევი პროცესია. გადავწყვიტე, ეს მიმართულება ცალკე - მეოთხე - კატეგორიად გამომეყო. ვფიქრობ, რომ ისეთი საკითხების წინ წამოწევა, როგორცაა უმცირესობათა უფლებები, ქართველების დიდ ნაწილს ერთმორწმუნე რუსეთის მიმართ დადებითად განაწყობს.

„დაავადებაა თუ სექსუალური ატეხვა, ჩაიკეტონ და აკეთონ, რაც უნდათ“ - გოგი თოფაძე, 2016 წლის 1 ნოემბერი. (იხ. ვებმის.: <https://goo.gl/QlC0jH>)

„...თუ ერთსქესიანთა ქორწინებას ნორმად დავაწესებთ, მაშინ კანიბალიზმი და ინცესტიც უნდა დავაკანონოთ“ - წერს უფლებადამცველი გელა ნიკოლაიშვილი. საინტერესოა ის ფაქტი, რომ სტატიაში უფლებადამცველადაა მოიხსენიებული ის პირი, რომელიც უმცირესობათა მისამართით შეურაცხყოფელ განცხადებებს აკეთებს.

ამავე კატეგორიაში შეგვიძლია განვიხილოთ განცხადებები, რომელიც კონსტიტუციაში ქორწინების დეფინიციასთან დაკავშირებით გაკეთდა.

„რა ამბავია ატეხილი ამ ერთნაირსქესიანთა ქორწინების დაკანონებაზე... სხვა ქვეყნებში აუქმებენ და აქ ეხლა მოუნდათ... ქორწინება არის ქალისა და მამაკაცის თანაცხოვრება! ზოგიერთებს ევროპა გახდა და ერთნაირსქესიანთა ქორწინების დაკანონება ჰგონია.“ - წერს ვინმე ლეკა მენაბდიშვილი (იხ. ვებმის.: <https://goo.gl/OBqCBV>). ამ შემთხვევაში, გაუგებარია, რატომ აქვეყნებს საიტი რიგითი, არაცნობადი მოქალაქის ფეისბუქსტატუსს. იქმნება შთაბეჭდილება, რომ გამოქვეყნების მიზეზი მხოლოდ სტატუსის ჰომოფობიური და ანტიდასავლური შინაარსია.

მონიტორინგის პროცესში გამოვლინდა მსგავსი შინაარსის 8 შემთხვევა.

5) ბოლო, მეხუთე კატეგორიაში ერთიანდება რუსული პროპაგანდის ის ნაწილი, რომლის საშუალებითაც ფაქტების, ფოტოების, ვიდეომასალების გაყალბების გზით იქმნება პარალელური რეალობა. მოცემულ შემთხვევაში, რეპორტიორზე ქვეყნდება აღნიშნული ხერხით შექმნილი ის ვიდეო- და ფოტომასალა, რომელიც საქართველოს ექსპრეზიდენტის, მიხეილ სააკაშვილის, იმიჯის დისკრედიტაციას ახდენს. მონიტორინგის პროცესში გამოვლინდა მსგავსი შინაარსის 8 შემთხვევა. განვიხილოთ რამდენიმე მათგანი:

2016 წლის 13 ნოემბერს რეპორტიორი აქვეყნებს 10 წუთიან რუსულენოვან ვიდეოს, რომლის მიხედვითაც უკრაინელი ექიმის დასკვნით, მიხეილ სააკაშვილს მარტოობის ემინია (იხ. ვებმის.: <https://goo.gl/QGNfst>). „ფსიქიკურად გაუწონასწორებელი, ალკოჰოლზე დამოკიდებული მამაკაცი და არამდგრადი, კაპრიზული ხასიათის ქალი“ - ასე ახასიათებს მიხეილ სააკაშვილსა და სანდრა რულოვსს ოლეგ პოლიკოვი, რომელსაც ჟურნალისტის თქმით, 25 წლიანი გამოცდილება აქვს. როგორც ვიდეოდან ირკვევა, იგი ამ დიაგნოზს მიხეილ სააკაშვილისა და სანდრა რულოვსის ხელების ფოტოსურათებით სვამს, რაც ცალსახად მოკლებულია სად აზრს, რეალურ ფაქტებსა და ლოგიკურ მსჯელობას. ვიდეო მასალაში არ ჩანს არანაირი რეალური მაგალითები ან ქცევითი გამოვლინებები იმ სიმპტომების დასადასტურებლად, რაზეც ვიდეოშია საუბარი. მხოლოდ ხელისგულების ხაზებზე დაყრდნობით, ქირომანტიით, ადამიანის პიროვნული ხატის შექმნა, ბავშვობის დროინდელი ტრამვების გამოვლენა და ფსიქიკური მდგომარეობის შესახებ დიაგნოზის დასმა, ცხადია, არარეალური და არასერიოზულია.

ამავე დღეს გამოქვეყნებულ მეორე აგრეთვე რუსულენოვან ვიდეოში (იხ. ვებმის.: <https://goo.gl/D1smfJ>), ჟურნალისტი საუბრობს, როგორ წააგო სააკაშვილმა და მისმა პარტიამ საქართველოს 2016 წლის საპარლამენტო არჩევნები.საიტზე გამოქვეყნებულ ვიდეოს ახლავს წარწერა, რომ მასალა უკრაინულმა მედიამ მოამზადა, თუმცა ვიდეოში არ ჩანს კონკრეტულად რომელი მედიის მიერაა იგი მომზადებული. შესაბამისად, ჩნდება ეჭვები მისი რუსული წარმომავლობის შესახებ. რუსულ საიტებზე გამოქვეყნებული სტატიებიდან ამოღებული ციტატების ფონზე, ჟურნალისტი ყვება, რომ არჩევნების შემდეგ, მიხეილ სააკაშვილი დეპრესიიდან ვერ გამოდის, რომ მას საქართველოში არათუ მხარს უჭერენ, არამედ სძულთ და დასცინიან. ჟურნალისტი ასევე აცხადებს, რომ მასობრივი ინფორმაციის საშუალებები სავსეა „მშიშარა რეფორმატორის“ დაპირებებით, თუმცა კადრებად ისევ რუსულენოვანი სტატიების ციტატებია,ხოლო ერთადერთი საიტის მისამართი, რომელიც ვიდეოში ჩნდება, არის <https://strana.ua/>. მისი რედაქტორი გახლავთ Игорь Гужва, იგი ხელმძღვანელობდა კიევში რადიოსადგურ „Вести ФМ“ -სა და გაზეთს „Вести“, რომლებსაც კრემლი აფინანსებდა.

საქინფორმი

მონიტორინგის შედეგად საინფორმაციო სააგენტო saqinform.ge-ზე გამოვლინდა რუსული პროპაგანდისტული გზავნილების 34 შემთხვევა, რომელთა დაყოფაც შემდეგ კატეგორიებად შეგვიძლია:

1. რეპორტიორის მსგავსად, ამ შემთხვევაშიც პირველ კატეგორიაში გავაერთიანე გზავნილები, რომელთა მიხედვითაც საქართველოსთვის რუსეთთან ურთიერთობა უფრო მომგებიანია, ვიდრე დასავლეთთან. ამიტომ, ჯობს ჩვენს დიდ, ერთმორწმუნე მეზობელთან დიპლომატიური ურთიერთობები და ახლო კავშირები აღვადგინოთ.

2016 წლის 17 ნოემბერს გამოქვეყნებულ ამბავში ვკითხულობთ პარტია „ნეიტრალური ევრაზიული საქართველოს“ ლიდერის, არჩილ ჭყვიციანიის განცხადებას: „საქართველოსა და რუსეთის მთავრობებს შორის უნდა დაიწყოს პირდაპირი დიალოგი და უნდა აღდგეს დიპლომატიური ურთიერთობა ორ ქვეყანას შორის“ (იხ. ვებმის.: <https://goo.gl/AyZwP8>).

რუსეთსა და საქართველოს შორის საუკუნეების განმავლობაში ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებულ ურთიერთობებზე საუბრობს გივი სომხიშვილი ექსკლუზიურად საქინფორმისთვის მომზადებულ წერილში: „ნაციონალების მიერ ქართველი ხალხის დასაკნინებლად და საუბედუროდ წამოწყებულ ცხინვალის ავანტიურას ვერაფრით გაასაღებენ საქართველოს რუსეთთან ომად. ქართველ და რუს ხალხს ისეთი მძლავრი, საერთო მტრების წინააღმდეგ ბრძოლებში ერთად დაღვრილი სისხლით ნაკურთხი ძმობა აკავშირებს, რომ მას კოლო-ქინქილათა ვერავითარი შხამი ვერ გაახუნებს“ (იხ. ვებმის.: <https://goo.gl/3yKig9>).

მონიტორინგის შედეგად გამოვლინდა მსგავსი შინაარსის 3 გზავნილი.

2. მეორე კატეგორიაში წარმოდგენილია გზავნილები, რომლებიც დასავლეთის, მისი პოლიტიკის, კულტურის, ღირებულებების დემონიზაციასა და კრიტიკას ემსახურება. აღნიშნული მესიჯებიდან გამომდინარე, კეთდება დასკვნა, რომ საქართველოსთვის დასავლეთთან დაახლოება, ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაცია და დასავლური ღირებულებების დანერგვა საფრთხის შემცველია, ვინაიდან ყოველივე ზემოთქმული ერს გახრწნის, გადააგვარებს, ქართველობას დააკარგინებს, რაც სამომავლოდ ქართველების, როგორც თვითმყოფადი ერის, გაქრობას გამოიწვევს. ამგვარი რეალობის ფონზე, უალტერნატივო ხდება ერთმორწმუნე რუსეთის, როგორც მხსნელის იდეა. ამგვარად, შეგვიძლია ვთქვათ, რომ რუსული პროპაგანდის ეს მიმართულება ორ მიზანს ემსახურება: 1. დასავლეთის დემონიზაცია, დასავლური გზის შეფერხება; 2. ევროპული ტიპის ქართული ნაციონალიზმის, როგორც მკვეთრად ანტირუსული ფაქტორისთვის, ალტერნატიული ნარატივის ჩამოყალიბება, რომელშიც ქართველები

პატრიოტულ ვნებებს რუსეთის კი არა, დასავლეთის წინააღმდეგ დაიკმაყოფილებენ. აღსანიშნავია, რომ მონიტორინგის შედეგად, სწორედ ამ კატეგორიაში გამოვლინდა პროპაგანდის ყველაზე მეტი, 18 შემთხვევა. განვიხილოთ რამდენიმე მათგანი.

2016 წლის 27 დეკემბერს საქინფორმი აქვეყნებს ინფორმაციას ამერიკის შეერთებულ შტატების შესახებ (იხ. ვებმის.: <https://goo.gl/uRdkQU>), რომელშიც ავტორი ბარაკ ობამას, „კოჭლ იხვად“ მოიხსენიებს: „კოჭლმა იხვმა, ბარაკ ობამამ წინა კვირას ასევე ხელი მოაწერა კანონს აშშ-ის ასიგნაციის შესახებ 2017 საფინანსო წელს სამხედრო საჭიროებებისთვის, რომელიც ითვალისწინებს რუსეთის ფედერაციის განმომავალ „საფრთხეს“, სამხედრო დახმარებას უკრაინისა და საქართველოსთვის და „რუსულ პროპაგანდასთან“ ბრძოლის ცენტრის შექმნას, რომელიც ფინანსურ დახმარებას აღმოუჩენს რუსოფობიულ ენ-ჯე-ო-ებს და მედიასაშუალებებს.“ ავტორის გაღიზიანება რუსული პროპაგანდის წინააღმდეგ განხორციელებული აქტივობებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების გამო აშკარაა.

საიტზე საკმაოდ ხშირად ვხვდებით მესამე სექტორის (არასამთავრობო ორგანიზაციების) მიმართ გამოთქმულ კრიტიკასა და ირონიას, მათი საქმიანობის გამო. მაგალითად, 2017 წლის 18 იანვარს გამოქვეყნებულ ამბავში (იხ. ვებმის.: <https://goo.gl/6y2qSK>) არასამთავრობო ორგანიზაციები მოხსენიებული არიან, როგორც „გამყიდველი, დასავლური გრანტებით მოსყიდული ე. წ. ქართული სამოქალაქო სექტორი“.

ისევე, როგორც „რეპორტიორზე“, აქაც ვხვდებით ამერიკის შეერთებული შტატების ელჩის, იან კელის, მიმართ შეურაცხყოფელ განცხადებებსა და მიმართვებს. „ამდენი ცრუ განცხადება და ასეთი დაუფარავი ჩარევა საქართველოს საშინაო საქმეებში, ზეწოლა მისი ხელისუფლების ყველა შტოზე, როგორც ამას იან კელი ახორციელებს, არავის მოუ მოქმედებია!...დღეს საქართველოში ერთადერთი ქვეყანაა კავკასიაში, რომლის მართვასაც ბედავენ აშშ-ის ელჩი და არასამთავრობო ორგანიზაციები – სოროსის ფონდის ფილიალები..“ - ვკითხულობთ 2017 წლის 10 მარტს საიტის სახელით გავრცელებულ მიმართვაში (იხ. ვებმის.: <https://goo.gl/RkRIYO>).

რაც შეეხება ნატო-საქართველოს პარტნიორობას, ის მოხსენიებულია, როგორც საფრთხე რუსეთთან ურთიერთობის დარეგულირებისთვის და შესაბამისად, ეს ფაქტი წარმოდგენილია, როგორც საქართველოსთვის საზიანო. „ნატოში არ მალავენ, რომ ამჟამინდელი სამხედრო პარტნიორობა თბილისთან განიხილება, როგორც რუსეთის „შემაკავებელი“ პოლიტიკის ნაწილი. როლი, რომელსაც საქართველო კისრულობს მოცემულ კონტექსტში, ართულებს რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის გაჯანსაღების პოზიტიურ პროცესს“ - ვკითხულობთ 2016 წლის 17 ნოემბერს გამოქვეყნებულ ინფორმაციაში (იხ. ვებმის.: <https://goo.gl/Ic8Uzu>).

დასავლეთის გარყვნილებასთან და ყოველგვარ უკეთურობასთან დაკავშირების მცდელობად შეგვიძლია განვიხილოთ 2017 წლის 6 დეკემბერს გამოქვეყნებული ამბავი (იხ. ვებმის.: <https://goo.gl/oSfo9Y>), სადაც საუბარია გერმანიის კანცლერის, ანგელა მერკელის

მიერ გერმანიაში ფარანჯისა და ნიქაბის (მუსლიმური ტანსაცმლის) აკრძალვის თაობაზე. ჟურნალისტი ღიად აკრიტიკებს მერკელის გადაწყვეტილებას და მას შემდეგი სიტყვებით მიმართავს: „განა ერთნაირ სქესიანთა ქორწინება, ლგბტ კანონი (ანტიდისკრიმინაციული კანონი), ინცესტი და ევთანაზია - ჩვენია, ქართულია?! მაშ, რა უფლებით გვახვევთ თავს ჩვენთვის უცხო ფასეულობებს?!“

საიტის სარედაქციო გუნდის მხრიდან გამოხმაურების გარეშე არ ჩაუვლია ვიზალიბერალიზაციის საკითხსაც. 2017 წლის 28 მარტს გამოქვეყნებულ ინფორმაციაში ვკითხულობთ, რომ ქვეყანა ამ დღეს ვიზალიბერალიზაციის მიღებას ზეიმობდა. გამოქვეყნებულ ამბავს მოჰყვება შეფასებითი ნაწილი და ფოტო - ცისარტყელას ფერებში გადაწყვეტილი „ძალა ევროპაშია“ - საქინფორმის რედაქციის მხრიდან: „სად არის რო ძალა, რომელიც ერთობაშია?! საქართველოს უდიდეს ნაწილს, რომელიც "ქართულ ოცნებას" უჭერს მხარს, და დანარჩენს - ვინც "ნაციონალური მოძრაობის" მხარესაა, ერთმანეთი სძულთ; ქართველები არ არიან აფხაზებთან და ოსებთან ერთად, აზერბაიჯანელებთან და სომხებთან ერთობა კი საკმაოდ მერყევია... მაგრამ ყველაზე მეტად ქართველები ქართველებს უპირისპირდებიან: ჰომოსექსუალები - ჰეტეროსექსუალებს, სხვა რჯულისანი - მართლმადიდებლებს, მდიდრები - ღარიბებს! ჰოდა, სადაც ერთობა არ არის, იქ არც ძალაა...“ძალა”, რომელიც ევროპაშია, მხოლოდ „მეოცნებეებისა“ და „ნაციონალების“ ერთმანეთის “ლობირებისთვის” კმარა, ოღონდ ფარულად, უკნიდან...“ - ვკითხულობთ მათ განცხადებაში.(იხ. ვებმის.: <https://goo.gl/CCUht2>)

2017 წლის 21 თებერვალს საქინფორმი აქვეყნებს ვრცელ ინტერვიუს პოლიტოლოგ ალექსანდრე ჭაჭიასთან, რომლის თქმითაც, ევროკავშირთან უვიზო რეჟიმი გამოიწვევს ეკონომიკის უკუსვლას, ახალგაზრდა თაობის გადინებას და ქვეყნის საბოლოოდ ჩიხში შესვლას.

„ის, ვინც ლაპარაკობს ევროკავშირში საქართველოს შესვლის შესაძლებლობაზე, ან სულელია, ან მოსყიდული პროპაგანდისტი. რაც შეეხება უვიზო რეჟიმს, იმ შემთხვევაშიც კი, თუ შემოიღებენ, ეს მხოლოდ ემიგრაციის ტალღას გამოიწვევს. ჩვენი უმუშევარი ახალგაზრდობა ევროპის ქვეყნებს მიაწყდება, ოფიციალურად მუშაობის უფლების არქონის გამო გადავა არალეგალურ მდგომარეობაში და შავი სამუშაოების შესრულებით შეეცდება ფულის შოვნას. საფრანგეთში, ესპანეთში, ავსტრიაში საქართველოს უკვე თვლიან ქურდებისა და ბანდიტების ქვეყნად, საბერძნეთისთვის ქართველები მოსამსახურეები, მოხუცების მომვლელეები არიან, თურქეთისთვის კი საქართველო იაფფასიანი მეძავეების მიმწოდებელია. ჩვენს ხელისუფლებას, რომელსაც თავისი ეკონომიკის აშენება არ შეუძლია, უმუშევარი მოსახლეობის გადინება, რა თქმა უნდა, ხელს აძლევს. მაგრამ აძლევს კი ეს ხელს ქართველი ერისა და ქვეყნის მომავალს? სხვათა შორის, ამერიკელი სპეციალისტები

თვლიან, რომ სახელმწიფოებს, სადაც მოსახლეობა 10 მილიონზე ნაკლებია, მომავალი არ აქვთ“; - აცხადებს ალექსანდრე ჭაჭია (იხ. ვებმის.: <https://goo.gl/7NligH>).

3. მესამე კატეგორიაში წარმოდგენილია რუსული პროპაგანდის ის ნაწილი, რომლის საშუალებითაც ფაქტების, ფოტოების, ვიდეომასალების გაყალბების გზით იქმნება პარალელური რეალობა. საქინფორმის შემთხვევაში, გამოვლინდა მსგავსი შინაარშის 4 შემთხვევა. შეგვიძლია განვიხილოთ 2017 წლის 6 თებერვალს გამოქვეყნებული ინფორმაცია (იხ. ვებმის.: <https://goo.gl/H2C91i>), სათაურით: „მიხეილ სააკაშვილი მოსამართლეებს აშანტაჟებს“, სადაც მიხეილ სააკაშვილისა და გენერალური პროკურორის ყოფილი მოადგილის, დავით საყვარელიძის, დიალოგია წარმოდგენილი. გამოქვეყნებულ მასალას თან ახლავს ვაიბერის (იხ. ვებმის.: <https://goo.gl/wPW0Mq>) ფოტო, სადაც თითქოს ექსპრეზიდენტისა და დავით საყვარელიძის მიმოწერაა აღბეჭდილი. წარმოდგენილი ფოტოს წყაროდ მიჩნევა არ შეგვიძლია, რადგან მისი შექმნა ფოტოშოფის მინიმალურ ცოდნას მოითხოვს და შესაძლებელია მოსაუბრეთა და დიალოგის შინაარსის შემქმნელის სურვილისამებრ შეიცვალოს. სხვა წყარო კი გავრცელებულ ინფორმაციას არ ახლავს.

4. მეოთხე, ცალკე კატეგორიად გადავწყვიტე გამომეყო საქინფორმის მთავარი რედაქტორის, არნო ხიდირბეგიშვილის, გზავნილები. როგორც მონიტორინგის პროცესში გამოირკვა, საიტის მთავარი რედაქტორი პერიოდულად აქვეყნებს ვრცელ წერილებს, სადაც ის, ძირითად შემთხვევებში, რუსეთთან დიპლომატიური ურთიერთობების დარეგულირებაზე, ერთმორწმუნე რუსეთზე, როგორც მომგებიან პარტნიორზე, დასავლეთთან პარტნიორობით საქართველოს დალუპვასა და ლიბერალური ღირებულებების ამორალურობაზე საუბრობს. მონიტორინგის ხუთთვიანი პერიოდის განმავლობაში მთავარმა რედაქტორმა, ახრნო ხიდირბეგიშვილმა, გამოაქვეყნა მსგავსი შინაარსის 9 წერილი. ქვემოთ წარმოდგენილია რამდენიმე ამონარიდი მისი განცხადებებიდან:

„რატომ გააგრძელა საქართველოს ახალმა ხელისუფლებამ სააკაშვილის ტრადიციები და 2012 წლიდან დღემდე არ ჩაუტარებია არცერთი ღონისძიება, რომელიც მიემდგნებოდა რუსული და ქართული კულტურების განუწყვეტელ კავშირს, რუსეთ-საქართველოს მრავალსაუკუნოვან მეგობრობას და საბრძოლო ძმობას, კავკასიის ომი იქნებოდა თუ დიდი სამამულო?!“ – 2017 წლის 10 იანვარი (იხ. ვებმის.: <https://goo.gl/JkmVa3>).

„ევროპაში ჩვენ იძულებული ვიქნებით, დაბალკვალიფიციურ სამუშაოზე დავსაქმდეთ, მაგალითად - მომვლელებად, დამლაგებლებად. ჭურჭლის მრეცხავებად, რადგან შენგენზონაში ლეგალურად მუშაობის უფლებას ვიზალიბერალიზაცია არ აძლევს.“ – 2017 წლის 3 თებერვალი (იხ. ვებმის.: <https://goo.gl/VfK4PX>).

რედაქტორის ანტისახელმწიფოებრივი აზროვნება ნათლად ვლინდება რუსეთის მიერ ოკუპირებულ საქართველოს ტერიტორიებზე- აფხაზეთსა და ე.წ. სამხრეთ ოსეთზე საუბრისას. მისი აზრით, რუსეთს ბრალი არ მიუძღვის ქართველების აფხაზეთსა და ოსებთან კონფლიქტების გაღვივებაში, არც საქართველოს ტერიტორიები აქვს ოკუპირებული. ამიტომ, მისი თქმით, რუსეთს კი არ უნდა ვუწოდოთ ოკუპანტი, არამედ ამ ორ რეგიონში მცხოვრებ მოსახლეობასთან უნდა დავალაგოთ ურთიერთობები. რის შემდეგაც, რუსეთი თავისივე ნებით დატოვებს აღნიშნულ ტერიტორიებს.

„არ სჯობია, ვისარგებლოთ იმით, რომ აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში ჯერ კიდევ იმყოფება რუსეთი, რომელსაც არბიტრის როლის შესრულება შეუძლია ქართულ-აფხაზურ-ოსურ დიალოგში, რისკენაც მოსკოვი უკვე დიდხანია, საქართველოს მოუწოდებს?! თუ რუსი სამხედროები დღეს აფხაზეთიდან და სამხრეთ ოსეთიდან წავლენ, იქ აუცილებლად დაიწყება სისხლიანი შინამტრობა და ისევ გაჩაღდება ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსური შეიარაღებული კონფლიქტები! აი, თუ ქართველები აფხაზეთთან და ოსებთან მოილაპარაკებენ და ერთად სთხოვენ რუსეთს, წავიდეს, მაშინ და მხოლოდ მაშინ ის სიხარულით წავა, რაც უდიდესი სიკეთე იქნება რუსეთის სახელმწიფო ბიუჯეტისათვის.“ – 2017 წლის 6 მარტი (იხ. ვებმის.: <https://goo.gl/TYYpNr>).

„როცა ქართველები რუსებს ოკუპანტებს ვეძახით, ჩვენ მათ კი არა - აფხაზეთსა და ოსებს ვაყენებთ უხეშ შეურაცხყოფას, რადგანაც ოკუპაციის ქვეშ ნებაყოფლობით ან უთავმოყვარე ო მონები ცხოვრობენ“ – 2016 წლის 7 ნოემბერი (იხ. ვებმის.: <https://goo.gl/k4obcg>).

აქვე მინდა აღვნიშნო მონიტორინგის პროცესში გამოვლენილი ტენდენციის შესახებ. ინფორმაციებს, რომლებიც ოკუპირებულ რეგიონებს - აფხაზეთსა და ე.წ. სამხრეთ ოსეთს - ეხება, საიტი აქვეყნებს ისე, თითქოს ეს ორი რეგიონი დამოუკიდებელ სახელმწიფოებს წარმოადგენდეს (იხ. ვებმის.: <https://goo.gl/Utf2cw><https://goo.gl/A7p5Bs>). უფრო კონკრეტულად: სამაჩაბლოზე გამოქვეყნებულ არცერთ ამბავში დასახელებას „სამხრეთ ოსეთი“ წინ არ ახლავს განსაზღვრება -„ეგრედ წოდებული“, რისი მითითებაც ერთმნიშვნელოვნად აუცილებელია, ვინაიდან არანაირი სამხრეთ ოსეთი, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო, არ არსებობს. რაც შეეხება აფხაზეთს, რეგიონში მოქმედი დე-ფაქტო ხელისუფლება მოხსენიებულია, როგორც ლეგიტიმური და არა როგორც უკანონო. მაგალითად: პრეზიდენტი რაულ ხაჯიმბა, ვიცე-პრეზიდენტი ვიტალი გაბნია და ა.შ.

ლიბერალი

მონიტორინგის პროცესში ონლაინ პლატფორმა liberali.ge-ზე რუსული პროპაგანდისტული შინაარსის სულ 3 შემთხვევა გამოვლინდა. სამივე მათგანში პრორუსული და ანტიდასავლური ხასიათის გზავნილების ავტორები თავად რესპონდენტები იყვნენ.

ჟურნალისტთა და ზოგადად, სარედაქციო გუნდის მხრიდან მსგავს მესიჯბოქსებს ადგილი არ ჰქონია, რასაც ვერ ვიტყვით reportiori.ge - სა და saqinform.ge-ს შემთხვევებში.

2016 წლის 11 ნოემბერს გამოქვეყნებულ სტატიაში ვკითხულობთ საქართველოს პატრიარქის, ილია II-ის მიმართვას რუსეთის პატრიარქის კირილ II-ისადმი (იხ. ვებმის.: <https://goo.gl/TaahQ9>). მიმართვაში ილია II საუბრობს საქართველო-რუსეთს შორის ურთიერთობის დარეგულირების აუცილებლობაზე და აღნიშნავს, რომ ჩვენ ერთმანეთს ვჭირდებით. მართალია, პატრიარქის განცხადება მეზობელი ქვეყნის მოსახლეობასთან კავშირურთიერთობების აღდგენისა და კეთილმეზობლური ძალისხმევისკენაა მიმართული, ამ გზავნილების უკან მაინც იკითხება რუსეთის, როგორც ერთმორწმუნისადმი ქედმოხრა... არადა, მისგან ოკუპირებული ტერიტორიები და მუდმივი საფრთხის შეგრძნება საწინააღმდეგო განცდას იწვევს... სანამ რუსეთი აგრესორის როლშია, მსგავსი განცხადებები, თუნდაც უმაღლესი სასულიერო პირის მხრიდან, ვფიქრობ, ჩვენი ინტერესების მიღმა რჩება.

2016 წლის 21 დეკემბერს „ლიბერალი“ აქვეყნებს ლევან ვასაძის წერილს (იხ. ვებმის.: <https://goo.gl/NSEyBH>). მასში ვასაძე ხელისუფლებას მიმართავს: „სასწრაფოდ მიიღოს საკანონმდებლო ცვლილებები და შეიქმნას საზოგადოებრივი კომისია. რომელიც უმკაცრესად გააკონტროლებს მედიასა და უცხოეთიდან დაფინანსებულ არასამთავრობო ორგანიზაციებს, რომელიც მკაცრად დასჯის და საქმიანობას აუკრძალავს თითოეულ მათგანს ქვეყნის ტრადიციული ღირებულების შეურაცხყოფის შემთხვევაში“. მისი თქმით, ქვეყანაში გაზრდილია ძალადობა და აგრესია, რის მიზეზადაც დემოკრატია და ლიბერალიზმს ასახელებს. „ვხედავთ ამ აგრესიის მკვეთრ ლოკალურ გამოვლინებებს, როგორც ყოველთვის, აგრესიის მთავარი სამიზნე არის ჩვენი ეკლესია, ოჯახი და ჩვენი ეროვნული ღირებულებები“ - წერს ვასაძე.

მსგავსი ანტიდასავლური გზავნილები ხელს უწყობს ისეთი შეხედულებების ჩამოყალიბებას, რომელთა მიხედვითაც დასავლეთი თითქოსდა ხელყოფს ჩვენს ეროვნულ ღირებულებებს, ტრადიციებსა და კულტურას. ამ განწყობის ფონზე რუსეთი ტრადიციებისა და საწრმუნოების დამცველად წარმოჩნდება.

დასასრულს, 2017 წლის 2 თებერვალს გამოქვეყნებული ამბავი ვიზალიბერალიზაციას შეეხება (იხ. ვებმის.: <https://goo.gl/zUYe69>) და მასში პარლამენტარ ემზარ კვიციანის განცხადებას ვეცნობით: „კარგი იქნება, თუკი ახლა რუსეთიც ადგება და ევროპის ჯინაზე ისიც გააუქმებს ვიზებს. ეს ძალიან მაგარი იქნება“. მაშინ, როცა საქართველო კიდევ ერთი ნაბიჯით მიუახლოვდა ევროკავშირს, ისევ რუსეთის ხსენება და მითუმეტეს, მასთან

უვიზო რეჟიმზე საუბარი ისე, თითქოს საქართველოსთვის ეს დიდ საჭიროებას წარმოადგენდეს, ვფიქრობ, პრორუსული გზავნილია.

Ghn.ge

მონიტორინგის პროცესში საინფორმაციო სააგენტო ghn.ge-ზე გამოვლინდა 8 პრორუსული პროპაგანდისტული გზავნილი, რომელთა დაყოფაც შემდეგ კატეგორიებადაა შესაძლებელი:

1. ისევე, როგორც წინა საიტების შემთხვევაში (reportiori.ge, saqinform.ge), აქაც შეგვხვდა გზავნილები, რომლებიც რუსეთს წარმოგვიდგენს, როგორც სტრატეგიულ მეზობელსა და მომგებიან პარტნიორს. უფრო კონკრეტულად კი, რუსული მხარის მიერ გავრცელებულ განცხადებას საქართველოსთან სავიზო რეჟიმის შესაძლო გაუქმების შესახებ, საიტზე ვხვდებით რამდენჯერმე (იხ. ვებმის.: <http://ghn.ge/com/news/view/163265>). საგულისხმოა ის ფაქტი, რომ რუსეთმა ამაზე საუბარი მას შემდეგ დაიწყო, რაც საქართველო სულ უფრო მეტად მიუახლოვდა ვიზალიბერალიზაციას. ამასთან დაკავშირებით, მაგალითად, 2016 წლის 4 ნოემბერს გამოქვეყნებულ ამბავში ვკითხულობთ რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილის, გრეგორი კარასინის განცხადებას (იხ. ვებმის.: <http://ghn.ge/com/news/view/163496>). „რუსეთი საქართველოსთან უვიზო რეჟიმის დაწესებას არ გამოირიხავს, თუმცა მოსკოვი საქართველოსა და ევროკავშირს შორის ვიზალიბერალიზაციის პროცესს გაითვალისწინებს“ - აცხადებს კარასინი. ამ განხადებიდან აშკარაა, რომ რუსეთსა და საქართველოს შორის ურთიერთობების დარეგულირება იმაზეა დამოკიდებული, შეიცვლის თუ არა საქართველო დასავლურ კურსს. ვინაიდან, ჩვენს ქვეყანას იმთავითვე გაცხადებული აქვს ევროინტეგრაციისკენ სწრაფვა და რუსეთს ისევ ოკუპირებული აქვს ჩვენი ქვეყნის ტერიტორიების 20%, რუსული მხარის მსგავსი განცხადებები, ვფიქრობ, პროპაგანდისტული გზავნილებია (იხ. ვებმის.: <http://ghn.ge/com/news/view/169586>).

ამავე კატეგორიაში ერთიანდება რუსეთისა და საქართველოს პატრიარქების (რამდენჯერმე გამოქვეყნებული) განცხადებები. ორივე შემთხვევაში საუბარია ურთიერთობების აღდგენასა და დათბობაზე. „უდიდეს მნიშვნელობას ვანიჭებ თქვენს ვიზიტს, რუსეთისა და საქართველოს ეკლესიების როლს ჩვენს ხალხებს შორის კეთილი ურთიერთობების შენარჩუნებაში“ - აცხადებს რუსეთის პატრიარქი (იხ. ვებმის.: <http://www.ghn.ge/com/news/view/164373>). „რუსეთსა და საქართველოს შორის ურთიერთობის დარეგულირება ორივე ქვეყნისთვის ძალიან მნიშვნელოვანია“ - ვკითხულობთ საქართველოს პატრიარქის განცხადებაში (იხ. ვებმის.: <http://ghn.ge/com/news/view/164465>). თუმცა, ურთიერთობების დასარეგულირებლად საჭიროა, ან საქართველომ თქვას უარი სახელმწიფოებრივ ინტერესებზე ან რუსეთმა

შეწყვიტოს ოკუპაცია. პოზიციის ცვლილებას არცერთი მხარე არ აპირებს - რუსეთი აგრძელებს ანექსიას, საქართველო კი კუთვნილი ტერიტორიების დაბრუნებას ითხოვს, ამიტომ რას ეფუძნება ამგვარი განცხადებები, გაურკვეველია.

კიდევ ერთ პროპაგანდისტულ გზავნილს, რომელიც მოცემულ საიტზე მონიტორინგის პროცესში გამოვლინდა, 2016 წლის 14 ნოემბერს გამოქვეყნებულ ამბავში ვხვდებით. მასში საუბარია საქმიანი ვიზიტით საქართველოში მყოფ რუს ბიზნესმენებზე. ერთ-ერთი მათგანი აცხადებს: „ჩვენ დიდი იმედი გვაქვს, რომ დიპლომატიური ურთიერთობები აღდგება, რადგან წლების სიყვარული და რუსეთ-საქართველოს შორის დიდიხნის ურთიერთობები ყოველთვის არსებობდა, ბიზნესის სრულფასოვანი კეთებისთვის ოფიციალური ურთიერთობები არ გვყოფნის. იმედი გვაქვს, რომ ურთიერთობები გაღრმავდება და გაგრძელდება“ (იხ. ვებმის.: <http://ghn.ge/com/news/view/163973>). ის თბილი ურთიერთობები, რომელზეც რესპონდენტი საუბრობს, საქართველოს სახელმწიფოზე „თბილად“ არ ასახულა, არც რუსეთი ყოფილა ოდესმე ჩვენი ქვეყნისთვის უანგარო კეთილისმსურველი და ამას ძველი და ახალი ისტორია ერთნაირად მოწმობს.

2. მომდევნო კატეგორია დასავლეთის კრიტიკის შემცველი გზავნილებია და მონიტორინგის პროცესში მსგავსი შინაარსის მხოლოდ ერთი შემთხვევა გამოვლინდა. „ლიბერალის“ მსგავსად, აქაც ეს შემთხვევა ლევან ვასაძის წერილია. იგი დასავლეთიდან მოსალოდნელ საფრთხეებზე საუბრობს და ხელისუფლებას არასამთავრობოებისა და მედიის გაკონტროლებისაკენ მოუწოდებს (იხ. ვებმის.: <http://ghn.ge/com/news/view/166197>).

3. მესამე კატეგორია საქართველოს ვიზალიბერალიზაციასთან დაკავშირებულ განცხადებებს უკავშირდება. მონიტორინგის პროცესში გამოვლინდა ერთი პროპაგანდისტული შემთხვევა. რუსეთის ფედერაციის საბჭოს სენატორი ალექსეი პუშკოვი აცხადებს, რომ ვიზალიბერალიზაციის სანაცვლოდ შესაძლოა, ლტოლვილები ევროკავშირიდან საქართველოში გააგზავნონ. პუშკოვი საუბრობს მოსალოდნელ საფრთხეებზე და აცხადებს, რომ საქართველოსთან ურთიერთობის ხანგრძლივი ისტორიიდან გამომდინარე, შეუძლებელია ვითარება არ აღელვებდეთ. გარდა ამისა, აღნიშნულია, რომ ეს ყელაფერი რუსეთსაც შეუქმნის საფრთხეს, რადგან იგი საქართველოს მეზობელია (იხ. ვებმის.: <http://ghn.ge/com/news/view/170594>). ეს განცხადება ავსტრიის საგარეო საქმეთა მინისტრის, სებასტიან კურცის განცხადებას უკავშირდება, რომელმაც ერთ-ერთ ინტერვიუში აღნიშნა, რომ ევროკავშირის ლტოლვილთა მიღების ცენტრები ევროკავშირის ფარგლებს მიღმაც უნდა გაიხსნას. ეს ქვეყნები შეიძლება იყოს საქართველო, ეგვიპტე და დასავლეთ ბალკანეთის ქვეყნები. თუმცა, ამაზე საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ საპასუხო განცხადება გაავრცელა, რომ ევროკავშირის ტერიტორიაზე მყოფი მიგრანტების გადანაწილების საკითხი ქართულ მხარესთან

არასდროს, არცერთ დონეზე ოფიციალურად არ დამდგარა. შესაბამისად, ვფიქრობ, რომ რუსული მხარის განცხადებასთან ერთად, რომელშიც არარსებულ, ცრუ საფრთხეებზეა საუბარი, საიტს აღნიშნულთან დაკავშირებით უნდა მოეხმო საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს პასუხიც. ამის გარეშე კი, მკითხველისთვის სიმართლე გაურკვეველი რჩება.

Sputnik-georgia

საკვლევად შერჩეული მეხუთე ონლაინმედია გახლავთ sputnik-georgia. რადგან ეს უკანასკნელი იმთავითვე რუსული ონლაინპლატფორმაა, გადავწყვიტე, ტრადიციული მონიტორინგის ნაცვლად, ერთ-ერთი რუსული მუსიკალური შოუ-ს „Ты супер“ კონტენტ ანალიზი გამეკეთებინა. გადაცემის მედიაპარტნიორი საერთაშორისო საინფორმაციო სააგენტო sputnik-ია.

ბოლო ათწლეულებია, ტალანტების სხვადასხვაგვარი შოუ მაყურებელში საკმაოდ დიდი პოპულარობით სარგებლობს. მრავალრიცხოვანი მუსიკალური პროექტები მთელი მსოფლიოდან უზარმაზარ აუდიტორიას იკრებს გარშემო. „Voice“, „X – factor“, „ნიჭიერი“ და სხვა მსგავს შოუებს სატელევიზიო ეთერსა და ინტერნეტსივრცეში ყოველთვის მაღალი რეიტინგი აქვს.

ბავშვები გაჭირვებული ოჯახებიდან, სოციალურად დაუცველები, ობლები... ასეთ ადამიანებს ყოველთვის თანაუგრძნობს საზოგადოება, განსაკუთრებით მაშინ, თუ ისინი არასრულწლოვნები არიან. ბავშვები, რომლებსაც მშობლები არ ჰყავთ და რთულ პირობებში ცხოვრობენ, ყოველთვის იწვევენ ემოციებს საზოგადოებაში, მიუხედავად მათი ეთნიკური წარმომავლობისა, აღმსარებლობისა და სქესისა.

რუსულმა ტელეარხმა HTB საერთაშორისო საინფორმაციო სააგენტო „სპუტნიკთან“ ერთად, შექმნა პროექტი „Ты супер“, რომლის საფუძველშიც ვოკალური ტალანტების კონკურსის ფორმატი ჩაიდო. თუმცა, სხვა კონკურსებისგან განსხვავებით, მასში მხოლოდ მზრუნველობამოკლებული ბავშვები იღებენ მონაწილეობას.

საინფორმაციო სააგენტოს ქსელის მეშვეობით, პროექტში ბავშვები ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებიდან მოიწვიეს. მონაწილეები შეირჩა რუსეთიდან, უკრაინიდან, ყაზახეთიდან, ყირგიზეთიდან, აზერბაიჯანიდან, ესტონეთიდან, საქართველოდან, აფხაზეთიდან და „სამხრეთ ოსეთიდან“ (როგორც ეს პროექტის წამყვანმა ხაზგასმით არაერთხელ აღნიშნა).

საბჭოთა კავშირის ხშირად ხსენება, მინიშნებები საქართველოს დანაწევრებაზე, მონაწილის შერჩევა ყირიმიდან, როგორც რუსეთის ნაწილიდან - ეს ყველაფერი

მიუთითებს იმაზე, რომ ერთი შეხედვით უწყინარი მუსიკალური პროექტი სინამდვილეში გლობალური პროპაგანდის ინსტრუმენტად იქცა. რუსეთის „რბილი ძალა“ წერტილოვანი პროექტებიდან, პროექტის ოფიციალური პარტნიორის - სპუტნიკის - დახმარებით, რეგიონულ პროექტებზე გადავიდა და გაცილებით ფართო აუდიტორია შემოიკრიბა. სწორედ სპუტნიკის საშუალებით ჩატარდა ქასტინგი, რომელშიც არალიარებული სახელმწიფოებიდან შერჩეულ მონაწილეებს აქტიურ მხარდაჭერას უცხადებდნენ.

პროექტის „Ты супер“ კონცეფცია მდგომარეობს იმაში, რომ აუდიტორია გააერთიანოს ერთი მთავარი იდეის - სსრკ-ს, როგორც დიდი მეგობრული ოჯახის - გარშემო. ამ მიზნის მისაღწევად კი გამოიყენეს ბავშვები, რომელთაც მძიმე ისტორიები აქვთ, ხოლო მათ არავინ დაადანაშაულებდა პროპაგანდის გავრცელებაში. საერთაშორისო სააგენტო სპუტნიკმა და ტელეარხმა HTB-მ, მოახერხეს პროექტი ისე განეხროციელებინათ, რომ საზოგადოების მხრიდან მისი ნეგატიურად აღქმის შანსები მინიმუმამდე დაეყვანათ. მაგალითად, ეფექტის გასაძლიერებლად, „მეგობრული“ ატმოსფეროს შესაქმნელად და ოკუპირებულ ტერიტორიებთან დაკავშირებით რუსული პოზიციის ხაზგასასმელად, კრემლში გამართულ ფინალურ კონცერტზე ერთ სცენაზე წარსდგნენ ბავშვები საქართველოდან, აფხაზეთიდან და ე.წ. სამხრეთ ოსეთიდან, როგორც სამი დამოუკიდებელი სახელმწიფოდან. ცნობილმა მომღერალმა, თამარ გვერდწითელმა, კონკურსზე საქართველოს წარმომადგენელთან, ნანა ვარძელაშვილთან ერთად, ფინალურ კონცერტზე კარგად ცნობილი „თბილისო“ იმღერა და ამით პრაქტიკულად დაეთანხმა კიდევ რუსულ პოლიტიკას, რომელიც საქართველოს ტერიტორიების დამოუკიდებელ სახელმწიფოებად აღიარებას გულისხმობს (იხ. ვებმის.: <https://youtu.be/391zIAT3B9o>).

შემთხვევითი არ არის ასევე ისიც, რომ აღნიშნულ პროექტში განსაკუთრებული ყურადღება დასაწყისშივე აქცენტირებული იყო აფხაზეთის წარმომადგენელზე და მას ჟიურისთან ერთად, აქტიურად უჭერდა მხარს სპუტნიკიც. 27 მაისს, კრემლის საკონცერტო დარბაზში გამართულ ფინალურ კონცერტზე, სწორედ აფხაზეთის წარმომადგენელი გახდა კონკურსის გამარჯვებული. ფინალის მიმდინარეობისას წაიკითხეს რუსეთის პრეზიდენტის, ვლადიმერ პუტინის მიმართვა მონაწილეებისადმი.

აღსანიშნავია ისიც, რომ ქართველი მონაწილის, ისევე როგორც სხვა კონკურსანტების გამოსვლისას, წამყვანი გამუდმებით ხაზს უსვამდა, რომ მას მხარს უჭერს რუსეთი, საქართველო და კიდევ ბევრი ქვეყანა „ჩვენი დიდი და მეგობრული ყოფილი სსრკ-დან“ (იხ. ვებმის.: <https://youtu.be/sxfBVDYvcT4>). ქართველ მონაწილეს რუსეთის კიდევ ერთი პროპაგანდისტული მედიასაშუალების, Russia Today-ს მთავარმა რედაქტორმა, მარგარიტა სიმონიანმა გადასცა რუსეთის ერთ-ერთი საბავშვო ბანაკის საგზური და სტიპენდია რუსული ენის შესასწავლად.

მეგობრული საბჭოთა კავშირის კონცეფცია ლაიტმოტივად გასდევს მთელ პროექტს და მიზნად ისახავს იმ აგრესიის მინიმიზაციას, რასაც რეგიონში რუსეთის დამპყობლური საგარეო პოლიტიკა იწვევს. შესაბამისად, ამ „ჰუმანურ“ პროექტში, რომელიც ერთი შეხედვით მზრუნველობამოკლებულ ბავშვებს თავიანთი ტალანტის დემონსტრირებაში ეხმარება, რუსეთი წარმოდგენილია, როგორც ყოფილი სსრკ-ის ქვეყნების დიდი და გამაერთიანებელი მეგობარი.

პროექტი „Ты супер“ რუსეთის „რბილი ძალის“ აბსოლუტურად ახალ ფორმატს წარმოადგენს და ვითომდა „ზოგადსაკაცობრიო ღირებულებები“ უდევს საფუძვლად: მზრუნველობითა და სითბოთი გაჯერებული ატმოსფერო და მძიმე ისტორიები იმ ბავშვებისა, რომლებიც „კეთილმა“ რუსეთმა შეიფარა. ის ემოციები, რომლებიც მონაწილეების პირადმა ისტორიებმა გამოიწვია აუდიტორიაში, მათი ვოკალური მონაცემები დაბოლოს, წამყვანისა და ჟიურის კარგად დაგეგმილი მუშაობა, შესანიშნავი საფარველი გამოდგა საჭირო მესიჯბოქსების გასავრცელებლად; იმ გზავნილებისა, რომელთა გავრცელებაც „გაზპრომის“ საკუთრებაში არსებულ რუსეთის ნაციონალურ ტელეარხ HTB-სა და სპუტნიკს სურდათ.

დიდიხანი არ არის, რაც რუსულმა პროპაგანდისტულმა მანქანამ მოქმედების ტაქტიკა შეცვალა. უფრო კონკრეტულად კი, რუსეთის ხელისუფლების მიერ დაფუძნებულმა და დაფინანსებულმა მედიასაშუალებამ (სპუტნიკმა), რომელიც 34 ქვეყანაში 30 ენაზე მუშაობს, განსხვავებული მეთოდი შეიმუშავა - უარი ხისტ, ანტიდასავლურ პროპაგანდაზე და უფრო მეტი აქცენტი საქართველო-რუსეთს შორის კულტურულ მეგობრობაზე. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, სპუტნიკმა „რბილი ძალის“ მეთოდის გამოყენება არჩია.

სამხედრო-ეკონომიკური, ანუ “მყარი ძალისგან” განსხვავებით, “რბილი ძალა” ძალაუფლების ისეთი სახეა, რომელიც საკუთარი მიზნების ძალდატანების გარეშე მიღწევას გულისხმობს. „რბილი ძალის“ ცნება ჰარვარდის უნივერსიტეტის პროფესორმა, ჯოზეფ ნაიმ (Joseph Nye, 2004) დაამკვიდრა. როგორც ჯოზეფ ნაი აღნიშნავს, რბილი ძალა არის „უნარი, მიაღწიო შედეგს არა ძალდატანების ან გადახდის, არამედ დარწმუნებისა და მიმზიდველობის მეშვეობით“.

რუსეთისთვის, და ამ კონკრეტულ შემთხვევაში, სპუტნიკისთვის კი, ეს მეთოდი საკმაოდ მიმზიდველი აღმოჩნდა. ერთი შეხედვით, სპუტნიკ-საქართველო თითქოს დანარჩენი მედიასაშუალებების დინებას მიჰყვება და საზოგადოებრივ-პოლიტიკურ სიახლეებს აქტიურად აშუქებს. აქ ვერ შეხვდებით აშკარა ანტიდასავლურ მესიჯბოქსებს, სამაგიეროდ, ნახავთ სიახლეებს ისეთ თემებზე, რომლებიც საქართველო-რუსეთს შორის კულტურისა და ტურიზმის სფეროში ხანგრძლივ მეგობრობას უკავშირდება. ამ დროს კი საიტზე

(სპუტნიკ-საქართველო) არსად ჩანს სიახლეები საქართველოს ტერიტორიების ოკუპაციასა და ოკუპანტის მიერ ჩვენი მოქალაქეების პერიოდული გატაცებების შესახებ.

კვლევის შედეგების შეჯამება

კვლევის შედეგების მიხედვით, ზემოჩამოთვლილ საიტებზე, 2016 წლის ნოემბრიდან 2017 წლის მარტის ჩათვლით, სულ გამოვლინდა რუსული პროპაგანდისტული გზავნილების 93 შემთხვევა. მათი განაწილება გამოკვლეული ონლაინმედია-საშუალებების მიხედვით შემდეგია: 1) Reportori.ge -48 გზავნილი; 2) Saqinform.ge – 34 გზავნილი; 3) Liberali.ge – 3 გზავნილი; 4) Ghn.ge – 8 გზავნილი.

როგორც შედეგებმა აჩვენა, პროპაგანდისტული გზავნილების ავტორები რესპონდენტები უფრო ხშირად არიან, ვიდრე ჟურნალისტები. გამოვლენილი 93 შემთხვევიდან, 53 რესპონდენტთა მხრიდან გავრცელდა, 23 - ჟურნალისტების, ხოლო დარჩენილი 17 შემთხვევა განაწილდა კატეგორიაში „სხვა“. მასში გავაერთიანე ისეთი შემთხვევები, რომლებიც არარეალურ ფაქტებსა და წყაროებზე დაყრდნობით არასწორი ინფორმაციის გავრცელებასა და პარალელური რეალობის შექმნას ემსახურება. მაგალითად: ვიდეოები და ფოტოები, რომლებიც მიხეილ სააკაშვილის კრიმინალურ საქმიანობაზე ან მის ფსიქიკურ აშლილობაზე მოგვითხრობს, თუმცა ამის დამადასტურებელი რეალური წყაროები წარმოდგენილი არ არის. კატეგორიაში „სხვა“ გაერთიანდა ასევე ის გზავნილები, რომელთა მიზანიც საზოგადოებაზე ემოციური ზეგავლენის მოხდენას ისახავს მიზნად. მაგალითად: სტალინის შესახებ წერილები.

უნდა აღინიშნოს, რომ liberali.ge-სა და ghn.ge-ზე გამოქვეყნებული პროპაგანდისტული გზავნილების ავტორები ყველა შემთხვევაში რესპონდენტები იყვნენ. მიუხედავად იმისა, რომ reportori.ge-ს შემთხვევაშიც პროპაგანდისტული გზავნილების ავტორები თითქმის სულ რესპონდენტები იყვნენ (48 შემთხვევიდან 13 მათგანი გამოვლინდა კატეგორიაში „სხვა“, ხოლო 35 - რესპონდენტებში), განსხვავებით liberali.ge-სა და ghn.ge-სგან, ეს მის სარედაქციო პოლიტიკად შეგვიძლია ჩავთვალოთ. მონიტორინგის პროცესში საიტზე აშკარად ფიქსირდებოდა ტენდენცია, რომ ჟურნალისტები განგებ აქვეყნებდნენ ისეთი რესპონდენტების განცხადებებს, რომლებიც აშკარა რუსოფილური და ანტიდასავლური განწყობებით გამოირჩევიან. მიუხედავად იმისა, რომ reportori.ge-ს მიერ შერჩეული რესპონდენტების დიდი უმრავლესობა (არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები, ექსპერტები, ხელოვანები, ჟურნალისტები) ცნობად სახეს არ წარმოადგენს, საიტი მაინც აქტიურად აქვეყნებდა ქვეყანაში მომხდარი ამა თუ იმ მოვლენის შესახებ მათ შეფასებებსა და განცხადებებს. ასე რომ, ეს ის შემთხვევაა, როცა ტენდენცია შერჩევაში აშკარად ვლინდება. მონიტორინგის შედეგები გვამლევს საფუძველს

ვიფიქროთ, რომ ამ საიტზე განცხადებების გამოქვეყნების ერთ-ერთი ძირითადი კრიტერიუმი მათი ანტიდასავლური თუ პრორუსული შინაარსია.

Saqinform.ge-ის შედეგები სხვათაგან იმით განსხვავდება, რომ აქ ხშირად თავად ჟურნალისტები არიან ანტიდასავლური გზავნილების ავტორები. საიტზე გამოვლენილი 34 შემთხვევა განაწილდა ასე: 1) რესპონდენტები -7; 2) ჟურნალისტები - 23; 3) სხვა - 4. საიტის სარედაქციო გუნდს, მთავარი რედაქტორის ჩათვლით, შეფასების გარეშე არ დაუტოვებია ამ პერიოდში მომხდარი არცერთი მნიშვნელოვანი მოვლენა, მათ შორის სტრასბურგის სასამართლოს გადაწყვეტილება „რუსთავი2-ის“ საქმესთან დაკავშირებით, საქართველოსთვის ვიზალიბერალიზაციის მინიჭება და დონალდ ტრამპის გამარჯვება აშშ-ს საპრეზიდენტო არჩევნებში. გარდა ამისა, განსხვავებით დანარჩენი საიტებისაგან, მხოლოდ saqinform.ge აქვეყნებდა აფხაზეთისა და სამაჩაბლოს შესახებ ახალ ამბებს იმგვარად, თითქოს ეს ორი რეგიონი დამოუკიდებელი სახელმწიფოებია.

როგორც დასაწყისშიც აღვნიშნე, საიტები reportori.ge და saqinform.ge იმიტომ შევარჩიე, რომ ამ თემის მომიჯნავედ, აქამდე ჩატარებული კვლევების მიხედვით, ისინი განსაკუთრებით გამოირჩევიან ანტიდასავლური გზავნილებით. რადგანაც ჩემი კვლევის ძირითადი ფოკუსი იმის დადგენას ემსახურება, თუ რა ფორმითა და სიხშირით ვრცელდება პროპაგანდისტული გზავნილები, ამ საიტების კვლევამ საინტერესო შედეგები გამოავლინა. გამოიკვეთა ის ძირითადი ფორმები და ტენდენციები, რითიც რუსეთი ცდილობს, ამა თუ იმ საკითხზე საზოგადოების შეხედულებებს სასურველი მიმართულება მისცეს. უმთავრესად, ეს საკითხები საქართველოს საგარეო პოლიტიკას, უფრო კონკრეტულად კი ჩვენი ქვეყნის ევროატლანტიკურ კურსს უკავშირდება.

რაც შეეხება საინფორმაციო სააგენტო sputnik-georgia-ს, იგი რუსეთის რბილი ძალის პოლიტიკის ერთ-ერთი ნიმუშია, ვინაიდან აქ არ გვხვდება ხისტი ანტიდასავლური მესიჯები. კონტენტი, რომელსაც აღნიშნული სააგენტო აქვეყნებს, ძირითადად მოიცავს ისეთ სფეროებს, როგორცაა: საქართველოს ტურისტული პოტენციალი და მისით რუსეთის მოქალაქეების დაინტერესება, კულტურა, ტრადიციები, რუსეთ-საქართველოს ურთიერთობები ადამიანურ და არა პოლიტიკურ დონეზე, ქართული ანსამბლების მიერ რუსეთში გამართული კონცერტები, ფესტივალები და ა.შ საბოლოო ჯამში, ეს ყველაფერი ემსახურება იმის ხაზგასმას, რომ ჩვენს (რუსეთ-საქართველოს) ხალხებს შორის დღემდე ახლო ურთიერთობებია, მიუხედავად პოლიტიკურ დონეზე არსებული დაძაბულობისა. საკვლევად შერჩეული მუსიკალური პროექტი „Ты супер“, რომლის ოფიციალური პარტნიორიც sputnik იყო და რომელიც 2017 წლის მაისში მიმდინარეობდა, სწორედ ამგვარი პოლიტიკის გატარების შესანიშნავი ინსტრუმენტი აღმოჩნდა. მთელი პროექტის

განმავლობაში ჟიურის წევრები და წამყვანები გამუდმებით უსვამდნენ ხაზს ყოფილი სსრკ-ის ქვეყნების „დიდი, მეგობრული კავშირის“ მნიშვნელობას.

კვლევის შედეგად გამოიკვეთა ძირითადი მიგნებები:

- პრორუსული პროპაგანდისტული გზავნილების ავტორები უფრო ხშირად რესპონდენტები არიან, ვიდრე ჟურნალისტები;
- დასავლეთის მიმართ ნეგატიური, ხოლო რუსეთის მიმართ პოზიტიური განწყობების ჩამოყალიბება ცალკეული ონლაინმედიასაშუალებების სარედაქციო პოლიტიკის ნაწილია;
- ყველაზე მეტი პროპაგანდისტული გზავნილი დაფიქსირდა reportori.ge-ზე;
- Saqinform.ge - ის ჟურნალისტები ყველაზე ხშირად აკრიტიკებდნენ დასავლეთს და არ ერიდებოდნენ შეურაცხმყოფელ შეფასებებს;
- ყველაზე ნაკლებად პროპაგანდისტულ გზავნილებს ავრცელებს liberali.ge, რომლის ავტორებიც ყოველთვის რესპონდენტები არიან, მედიასაშუალება კი მხოლოდ გამტარის როლში გვევლინება;
- ხისტი ანტიდასავლური მესიჯები sputnik-georgia-ზე არ გვხვდება. პერიოდულად, იგი მსუბუქად ცდილობს რუსეთის მიმართ პოზიტიური განწყობების ჩამოყალიბებას (მაგალითად, მუსიკალური პროექტი „Тысяпер“) და ნეგატიური განწყობების განეიტრალებას (მაგალითად, თავად “სპუტნიკის” დაკვეთით ჩატარებული კვლევის მიხედვით, იტალიელების და გერმანელების 50%-ს ბალტიისპირეთის მიმართ „რუსული საფრთხის“ არ სჯერა და ა.შ.).

ქართული ონლაინმედია ყველაზე ხშირად შემდეგი შინაარსის გზავნილებს ავრცელებს:

- Nato- სა და ევროკავშირში საქართველოს მაინც არ მიიღებენ, ამიტომ სჯობს ისევ რუსეთთან მოვაგვაროთ ურთიერთობები;
- რუსეთი არის სტრატეგიული პარტნიორი და საქართველომ მასთან დიპლომატიური ურთიერთობები უნდა აღადგინოს;
- დასავლეთთან სიახლოვე ართულებს რუსეთთან დიალოგს, ხოლო თუკი საქართველოს ევროატლანტიკურ სტრუქტურებში გაწევრიანება მოხდება, ამას რუსეთი არ გვაპატიებს, რაც საშიშია;
- ჩვენი ქვეყნის მთავრობას მართავს დასავლეთი და/ან ამერიკა და მას დამოუკიდებლად გადაწყვეტილებების მიღება არ შეუძლია;
- აშშ-ს ელჩი საქართველოში, იან კელი, გავლენას ახდენს ქვეყნის საშინაო საქმეებზე და ქართველ ხალხს ხელს უშლის, საკუთარი აზრი იქონიოს;

- რუს და ქართველ ხალხს შორის დღემდე დიდი ურთიერთპატივისცემა და სიყვარულია, რასაც კიდევ უფრო ამტკიცებს საერთო ისტორია;
- ჩვენი კულტურა, სარწმუნოება და ტრადიციები შეუთავსებელია დასავლეთის ყოფასთან, ამიტომ მათთან დაახლოება, საბოლოო ჯამში, ერის თვითმყოფადობის, იდენტობის, ეროვნულობის დაკარგვას გამოიწვევს.
- დასავლეთი არასოდეს მდგარა ქართველი ხალხის გვერდით, მისი ინტერესების დასაცავად;
- საქართველოსთვის ვიზალიბერალიზაციის მინიჭება გამოიწვევს ქვეყნიდან ინტელექტუალური რესურსის გადინებას;
- ვიზალიბერალიზაციის მოცემული პირობები საქართველოსთვის იყო ღირსებისშემლახავი და არ უნდა დავთანხმებოდით;
- დასავლეთი/ამერიკა მფარველობს ერთიან ნაციონალურ მოძრაობას;
- სტრასბურგის სასამართლოს ნდობა არ შეიძლება;
- მიუხედავად პოლიტიკურ დონეზე დამაბულომბისა, საქართველოსა და რუსეთს შორის კულტურული ურთიერთობები ღრმავდება;
- რუსეთს არ წაუერთმევია ჩვენი ქვეყნის ტერიტორიები. ჩვენ თავად გვაქვს უთანხმოება და დაპირისპირება აფხაზებთან და ოსებთან.

დასკვნა

ხუთთვიანი მონიტორინგის შედეგები ცხადყოფს, რომ ჰიპოთეზა ქართულ ონლაინმედიაში რუსული პროპაგანდისტული გზავნილების გავრცელებასთან დაკავშირებით, დადასტურდა. საკვლევად შერჩეული ხუთივე საიტიდან (reportori.ge, saqinform.ge, liberali.ge, ghn.ge, sputnik-georgia.com) ერთმანეთისგან განსხვავებული შედეგები მივიღეთ. მაგალითად, ონლაინმედიის საშუალებებში, რომლებიც ნეიტრალურობით გამოირჩევიან (მაგალითად, „ლიბერალი“), ანტიდასავლური თუ რუსოფილური მესიჯების გავრცელება მხოლოდ რესპონდენტების მხრიდან ფიქსირდება და ამ შემთხვევაში, მედია გამტარის როლში გვევლინება. ხოლო ონლაინმედიის იმ წარმომადგენელთა მონიტორინგმა, რომელთა სარედაქციო პოლიტიკაც ანტიდასავლური ხასიათისაა, საშუალება მომცა, მკაფიოდ განმესაზღვრა ის ძირითადი ფრეიმები, რითაც საქართველოში რუსული პროპაგანდის გავრცელება ხდება.

მიღებული შედეგების მიხედვით, შეგვიძლია პასუხი გავცეთ დასაწყისში დასმულ საკვლევ კითხვებს:

RQ1: გვხვდება თუ არა ქართულ ონლაინმედიაში რუსული პროპაგანდისტული გზავნილები?

ქართულ ონლაინმედიაში გზვდება რუსული პროპაგანდისტული გზავნილები.

RQ2: რა ფრეიმებით ვლინდება რუსული პროპაგანდა ქართულ ონლაინმედიაში?

რუსული პროპაგანდისტული გზავნილები ვრცელდება რამდენიმე ძირითადი ფორმით:

- გზავნილები, რომლებიც მიზნად ისახავს რუსეთის სტრატეგიულ პარტნიორად/მეზობლად წარმოჩენას. დაფიქსირდა ასეთი 15 შემთხვევა.
- გზავნილები, რომლებიც მიზნად ისახავს ემოციური ზეგავლენის მოხდენასა და და სენტიმენტალური დამოკიდებულების გაჩენას საქართველო-რუსეთის ახლო ურთიერთობაზე. დაფიქსირდა ასეთი 8 შემთხვევა.
- ანტიდასავლური და ანტიამერიკული გზავნილები, რომლებიც მიზნად ისახავს საფრთხისშემცველად წარმოგვიდგინოს საქართველოს ურთიერთობები ევროპასა და ამერიკასთან. დაფიქსირდა ასეთი 35 შემთხვევა.
- გზავნილები, რომლებიც დონალდ ტრამპის შეერთებული შტატების საპრეზიდენტო არჩვნებში გამარჯვებით ლიბერალური ღირებულებების დაკნინებას ისახავს მიზნად. დაფიქსირდა ასეთი 5 შემთხვევა
- ჰომოფობიური და ერთსქესიანთა ქორწინებასთან დაკავშირებული განცხადებები. დაფიქსირდა ასეთი 8 შემთხვევა.
- ფაქტებისა და წყაროების გაყალბებით ან საერთოდ, წყაროების გარეშე არასწორი ინფორმაციის გავრცელება, პარალელური რეალობის შექმნის მცდელობა. დაფიქსირდა ასეთი 13 შემთხვევა.
- Saqinform-ის მთავარი რედაქტორის წერილები. მონიტორინგის პროცესში გამოქვეყნდა მისი 9 წერილი.

RQ3: შეეხო თუ არა პროპაგანდისტული გზავნილები ვიზალიბერალიზაციის საკითხს?

პროპაგანდისტული გზავნილები შეეხო ვიზალიბერალიზაციის საკითხს და იგი ნეგატიურ კონტექსტში წარმოაჩინა.

დასკვნის სახით შეგვიძლია ვთქვათ, რომ რუსეთის მიერ წარმოებული პროპაგანდა აზიანებს და აფერხებს NATO-სა და ევროკავშირთან საქართველოს ინტეგრაციის პროცესს; საზოგადოებაში აყალიბებს დასავლური ღირებულებების მიმართ ნეგატიურ განწყობებს; ავრცელებს სტერეოტიპებს, აღვივებს ჰომოფობიასა და ქსენოფობიას, ამ ყველაფრის ფონზე კი იგი ერთმორწმუნეობას ამოფარებულ, ტრადიციების დამცველ „მეგობარ“ სახელმწიფოდ გვევლინება.

რეკომენდაციები

საქართველოში რუსული „რბილი ძალისა“ და სახელმწიფო პროპაგანდის გააქტიურებაზე უკვე წლებია მიმდინარეობს აქტიური დისკუსია, თუმცა ჩვენს სახელმწიფოს კვლავ არ გააჩნია რუსულ პროპაგანდასთან ბრძოლის პოლიტიკა. იმის გამო, რომ ევროატლანტიკური კურსის მქონე საქართველოს რუსეთი თავის ორბიტაზე ასე მარტივად ვეღარ აბრუნებს, ნაცვლად ძალის აშკარა გამოყენებისა, აგრესიული განწყობის გასანეიტრალებლად იგი საინფორმაციო ომის მეთოდს მიმართავს. რუსეთის რბილი ძალის გააქტიურების ფონზე, დასავლური ქვეყნების მსგავსად, დროა, საქართველომაც დაიწყო რეალური საფრთხის გაცნობიერება და რუსულ პროპაგანდასთან ბრძოლის სახელმწიფო პოლიტიკა შეიმუშავოს. მსგავსი ტიპის კვლევები, სადაც რუსული პროპაგანდის გამოვლინებებია ასახული, ქვეყნის თავდაცვის სტრუქტურებს შეუძლიათ სამოქმედო სტრატეგიის დაგეგმვისას გამოიყენონ.

სამომავლოდ, საინტერესო იქნება კვლევა, რამდენად შეიცვალა რუსული პროპაგანდის ტენდენციები, მისი გზავნილების შინაარსი, სიხშირე და სხვ., საქართველოსთვის ვიზალიბერალიზაციის მინიჭების შემდეგ.

ბიბლიოგრაფია

1. Alvin Johnson (Jul., 1949). "Politics and propaganda"; The American Journal of Economics and Sociology, Vol. 8, No. 4, pp.423-424.
2. Tobias Ursprung (1994). "The Use and Effect of Political Propaganda in Democracies"; Source: Public Choice, Vol. 78, No. 3/4, pp. 259-282.
3. Harold D. Lasswell (Jan., 1951). "The strategy of Soviet Propaganda"; Source: Proceedings of the Academy of Political Science, Vol. 24, No. 2, The Defense of the Free World, pp. 66-78.
4. Harold D. Lasswell (Aug., 1927). "The Theory of Political Propaganda"; Source: The American Political Science Review, Vol. 21, No. 3, pp. 627-631
5. Ralph K. White (Nov., 1971). "Propaganda: Morally Questionable and Morally Unquestionable Techniques"; Source: The Annals of the American Academy of Political and Social Science, Vol. 398, Propaganda in International Affairs, pp. 26-35
6. L. John Martin (Nov., 1971). "Effectiveness of International Propaganda"; Source: The Annals of the American Academy of Political and Social Science, Vol. 398, Propaganda in International Affairs, pp. 61-70

7. David Wedgwood Benn (Jun., 1985). "Soviet Propaganda: The Theory and the Practice"; Source: The World Today, Vol. 41, No. 6, pp. 112-115
8. Douglas Walton (Oct., 1997). "What Is Propaganda, and What Exactly Is Wrong with It"; Source: Public Affairs Quarterly, Vol. 11, No. 4, pp. 383-413
9. Мельникова Т.С. Пропаганда как технология политического манипулирования // Власть. 2010, № 8
10. Sarah Oates (Dec., 2007). The Neo-Soviet Model of the Media"; Source: Europe-Asia Studies, Vol. 59, No. 8, pp. 1279-1297
11. „Media Effects: advances in theory and research“; 3rd edition; edited by Jennings Bryant and Mary Beth oliver.
12. Joseph Nye (2004). "Soft Power: The Means to Success in World Politics".
13. IDFI - ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (2016). „კრემლის საინფორმაციო ომი საქართველოს წინააღმდეგ: პროპაგანდასთან ბრძოლის სახელწმიფო პოლიტიკის აუცილებლობა“.
14. MDF - მედიის განვითარების ფონდი (2014-2015). „ანტიდასავლური პროპაგანდა“.
15. ხატია ლომიძე (2015). „ანტიდასავლურ განწყობათა შექმნისა და გავრცელების თავისებურებები თანამედროვე ქართულ სატელევიზიო და ბეჭდურ მედიაში“.
16. ევროპული ინიციატივა - ლიბერალური აკადემია (2016). „რუსეთის ხისტი და რბილი ძალის საფრთხეები საქართველოში“.
17. საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო (2014). „ვის ეკუთვნის ქართული მედია?“.
18. სოციალური კვლევისა და ანალიზის ინსტიტუტი (2015). „რადიო მაუწყებლობის მიმართ საზოგადოების დამოკიდებულებებისა და ინტერესების განსაზღვრა“.
19. ნატა ძველიშვილი, თაზო კუპრეიშვილი (2015). „რუსული გავლენა არასამთავრობო ორგანიზაციებსა და მედიაზე“.
20. ფრიდრიხ ებერტის ფონდი (2016). „თაობა გარდამავალ პერიოდში“.
21. (NDI) ეროვნულ დემოკრატიული ინსტიტუტი (2016, ნოემბერი). „საზოგადოების განწყობა საქართველოში“.
22. ნანა მაჭარაშვილი, ეკატერინე ბასილაია, ნოდარ ტანგიაშვილი (2015). „პოლიტიკის ადვოკატორების წარმატება საქართველოში: არასამთავრობო ორგანიზაციების საჯარო პოლიტიკაზე ზეგავლენის შესაძლებლობები“.

დანართი

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Mariam Demetrashvili

Revealing the Russian propaganda in Georgian online media

Faculty of Social and Political Sciences

Program: Mass Communication and Media studies

Submitted in fulfillment of the requirements for the master's degree in Mass
Communication and Media studies

Supervisor: Manana Shamilishvili

Associate professor

Tbilisi

2017 year

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის

სახელმწიფო უნივერსიტეტი

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

მედიისა და მასობრივი კომუნიკაციების კვლევების სამაგისტრო

პროგრამა

ქრისტინე საჯაია

ბულინგი სოციალურ მედიაში

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია მედიისა და მასობრივი კომუნიკაციების კვლევების

მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი : დალი ოსეფაშვილი

თსუ-ის პროფესორი

თბილისი

2017

ანოტაცია

ინტერნეტის განვითარება და მისი საყოველთაო ხელმისაწვდომობა, დადებით შედეგთან ერთად, უარყოფითი გავლენის საფრთხეს ქმნის. სწორედ ამ რევოლუციურ ეპოქაში, როდესაც ვერ ხერხდება სხვისი აზრების, ქმედების კონტროლი, ხშირია ფსიქოლოგიური თუ ფიზიკური ზეწოლის შემთხვევები.

სოციალურ ქსელებზე ზედაპირული დაკვირვებითაც კი კარგად ჩანს, თუ როგორ იმატა სიძულვილის ენამ, შუღლის გაღვივებამ, კიბერდანაშაულებმა და ამ საფუძველზე მყისიერმა საფრთხემაც. ერთერთი საფრთხე, რაც ინტერნეტის განვითარებას ახლავს, არის ინტერნეტ ბულინგი.

„ბულინგი სოციალურ მედიაში“ - სამაგისტრო ნაშრომის თემა ერთერთი ყველაზე აქტუალური პრობლემაა თანამედროვე მსოფლიოსთვის. საკითხი, რომელზეც ღიად თუ დახურულ სივრცეში მსჯელობენ. თუმცა, პრობლემის მოგვარების გზები ჯერ არ არის ნაპოვნი.

ინტერნეტ ჩაგვრის მხრივ საქართველოც არ არის გამონაკლისი. მიუხედავად იმისა, რომ ტერმინი კიბერბულინგი ახალდამკვიდრებულია, ეს გამოწვევა ქართულ სივრცეში დიდი ხანია არსებობს.

ნაშრომში ვეცადეთ გადმოგვეცა, საკითხის აქტუალურობა, თუ რა არის ინტერნეტ ჩაგვრა და როგორ უნდა განვასხვავოთ ის გამოხატვის თავისუფლებისგან. ვინ არის ყველაზე ხშირად ბულინგის მსხვერპლი და რა საფრთხეები ახლავს თან, უკონტროლო პლატფორმებს. ნაშრომში ასახულია ამ თემაზე საზოგადოების დამოკიდებულებისა და მედიის სოციალური პასუხისმგებლობის საკითხი.

Annotation

“Bullying in Social Media”

Author: Sadjaja Kristine

“Cyberbullying in Social Media” Master’s work theme is one of the most actual matter. Term, on which all universes are discussing. On the contrary, danger Cyberbullying is most of acute in this epoch.

Despite of the fact that people are working a lot on this problem, until now they could not work out a mechanism. Cyberbullying problem solving complication is a factor that is communicated with free speech, which represents groundwork principle of democracy.

This term is new for us, in a spite of this, in Georgian media is often used. Masters work investigation’s goal is to establish, who and how spreads Cyberbullying in Georgia and if it is possible to regulate it by law. In the world with approved method analysis, we compared Cyberbullying with free speech. Besides that, we tried to explain the dependence of society and media answer about this issue. The Goal of this work is to collaborate with our recommendation when Cyberbullying is used.

შინაარსი

შესავალი	5
თავი 1. ლიტერატურის მიმოხილვა.....	10
1.1.რა არის ბულინგი/კიბერბულინგი?	10
1.2.მედია და კიბერბულინგი.....	18
1.3. „ფეისბუქი“ და საქართველო.....	23
თავი 2. კიბერბულინგი და კანონმდებლობა.....	30
თავი 3. კიბერბულინგი და გამოხატვის თავისუფლება.....	33
თავი 4. თეორიული ჩარჩო.....	37
თავი 5. კვლევის მეთოდოლოგია	40
5.1. კვლევის ძირითადი მიგნებები	42
დასკვნა	52
რეკომენდაციები.....	53
ბიბლიოგრაფია:	54
დანართები.....	56

შესავალი

ინტერნეტის, სოციალური ქსელების ეპოქა, რომელიც თავის მხრივ ინფორმაციულ ვაკუუმს ავსებს, მომხმარებელს აძლევს შესაძლებლობას მოვლენების ცენტრში იყოს, სახლიდან გაუსვლელად. მიიღოს, გაავრცელოს, თავად შექმნას, სასურველი ინფორმაცია. გაარღვიოს ტერიტორიული საზღვრები და ჩაერთოს გლობალურ საკომუნიკაციო ქსელში.


სოციალური ქსელები სულ უფრო მეტად ერთვება ყოველდღიურ ცხოვრებაში, სხვადასხვა ონლაინ პროგრამებსა თუ პლატფორმებს, აქტიურად იყენებს მედია, სამთავრობო და არასამთავრობო სექტორი.

Facebookers¹-ის მონაცემებით : მსოფლიოში Facebook-ის მომხმარებელთა რაოდენობა 2 მილიარდს აღწევს (2017 წლის 5 ივლისის მონაცემები). სოციალური ქსელის

მომხმარებელთა შორის პირველ ადგილზე აშშ-ია - 154 მლნ. 923 ათას 900 მომხმარებელი.

Facebook remains the most popular social media platform

% of online adults who use ...




იმას, რომ სოციალური ქსელები სულ უფრო მრავალრიცხოვანი ხდება, ადასტურებს გლობალური საკომუნიკაციო ქსელების მიერ გამოქვეყნებული, 2017 წლის სტატისტიკა. სტატისტიკის თანახმად, ყოველდღიურად იზრდება სოციალური ქსელების მომხმარებელთა რიცხვი.

ინფოგრაფიკაში ასახულია

¹ <https://www.socialbakers.com/>

„ფეისბუქის“, „პინტერესტის“, „ინსტაგრამისა“ „ტვიტერის“ და „ლინკედინის“ მომხმარებელთა რაოდენობის ზრდა 2012 წლიდან 2016 წლამდე.



ამავე სტატისტიკის თანახმად, სოციალური ქსელებიდან, ყველაზე მეტი მომხმარებელი „ფეისბუქს“ ჰყავს. რეიტინგით მას მოსდევს ; WhatsApp, Instagram, Messenger, Skype და სხვ.

სოციალური ქსელების მომხმარებელთა რაოდენობა საქართველოშიც ყოველდღიურად იზრდება. „კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრის“ კვლევის საფუძველზე დადგინდა, რომ Facebook-ის მომხმარებელთა რეიტინგში საქართველო 88-ე ადგილზეა, სოციალურ ქსელს ქვეყანაში 720 ათას 899 მომხმარებელი ჰყავს.

რაც შეეხება ინტერნეტის მომხმარებელთა რაოდენობას საქართველოში, საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველოს ინფორმაციით, ინტერნეტის მომხმარებელთა რიცხვი გაზრდილია.

² <http://www.smartinsights.com/social-media-marketing/social-media-strategy/new-global-social-media-research/>

TI³-ის ინფორმაციით, 2016 წელს მოსახლეობის 40% ყოველდღიურად იყენებს ინტერნეტს. აღნიშნული მონაცემი გასული წლის მაჩვენებელს 5%-ით უსწრებს. აღსანიშნავია ასევე, რომ იმ ადამიანების რიცხვი, რომლებიც 2015 წელს ინტერნეტს საერთოდ არ იყენებდა (46%) 3%-ით არის შემცირებული. რაც შეეხება იმ ადამიანთა რიცხვს, რომლებმაც საერთოდ არ იციან, რა არის ინტერნეტი, მათი პროცენტული მაჩვენებელი საერთო რაოდენობაში 1-ია.



ეს ყველაფერი ნამდვილად შთამბეჭდავი და მისასალმებელია, მაგრამ არ უნდა გამოგვრჩეს , ერთი შეხედვით, მრავალმხრივ დადებითი მოვლენის უკუჩვენებაც, მათ შორის: სიძულვილის ენა, დეზინფორმაცია, ჰომოფობია, შუღლის გაღვივება, კიბერდანაშაულები, ინტერნეტ ბულინგი და ა.შ.

ნაშრომში, ჩვენ კონკრეტულად ერთ თემას ვეხებით, რომელიც არ გამორიცხავს თანაკვეთას, სხვა, ზემოთჩამოთვლილ საკითხებთან. ეს არის ინტერნეტ ბულინგი, იგივე კიბერბულინგი, რომელიც არა თუ საქართველოს, არამედ მსოფლიო გამოწვევაც არის.

³ <https://idfi.ge/ge/statistics-of-internet-users-in-georgia>

ინტერნეტ ბულინგის მსხვერპლი, ძირითადად ბავშვები და მოზარდები არიან, ამაში მარტივად დავრწმუნდებით, კონკრეტული მაგალითების საფუძველზე. ამას ადასტურებს კიბერბულინგის კვლევითი ცენტრის მიერ, რომელიც აშშ-ში მდებარეობს, ჩატარებული არაერთი კვლევაც.⁴ თუმცა, აღსანიშნავია, რომ ამ სახის ბულინგის მსხვერპლი შეიძლება აღმოჩნდეს ნებისმიერი ჩვენგანი. რადგან ძალადობას, არც სქესი გააჩნია, არც ასაკი, არც პროფესია და თანამდებობა.

კიბერბულინგი მსოფლიოში, ერთერთ ყველაზე პრობლემურ საკითხად აღიქმება, რადგან მისი შედეგები სავალალოა. ის, რომ ინტერნეტჩაგრულთა რაოდენობა დღითი დღე იზრდება და ის რომ მსხვერპლთა უმეტესობა სიცოცხლეს სუიციდით ასრულებს (კვლევების თანახმად) ადასტურებს ამ თემის აქტუალობას.

ამას ისიც ემატება, რომ კიბერბულინგი ძალიან მჭიდრო კავშირშია გამოხატვის თავისუფლებასთან, რაც დემოკრატიული სახელმწიფოს ფუნდამენტია. ერთერთი მიზეზი, რის გამოც დღემდე ვერ ხერხდება ბულინგის შეჩერება, შეიძლება სწორედ მისი ეს კავშირი იყოს, თუმცა ჩაგვრა არ არის გამოხატვის თავისუფლება. ამას სიტყვის თავისუფლების რადიკალი დამცველებიც აღნიშნავენ.

ჩვენ მიერ ჩატარებულმა კვლევამაც დაგვანახა ამ კავშირის სიმჭიდროვე, რესპონდენტები არ უარყოფენ კიბერბულინგის საფრთხეს, თუმცა მასთან ბრძოლას სანქციებით, გამორიცხავენ, რათა არ მოხდეს სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლებისგან ბულინგის უხეში გამიჯვნა. და ადამიანის ერთი უფლების დაცვას არ მოჰყვება მეორე უფლების შეზღუდვა.

კვლევის ფარგლებში ჩვენ შევეცადეთ გაგვეჩვენა სიტყვის და გამოხატვის თავისუფლებისგან ჩაგვრა. ნაშრომში ავსახეთ ზღვარი, ადამიანის უზენაეს ღირებულებასა და უდიდეს პრობლემას შორის.

⁴ <http://cyberbullying.org/new-national-bullying-cyberbullying-data>

ნაშრომი შედგება 6 ძირითადი ნაწილისგან: ლიტერატურის მიმოხილვა, რადენობრივი (კონტენტ-ანალიზი) და თვისებრივი (სიღრმისეული ინტერვიუ, ფოკუს-ჯგუფი) კვლევის შედეგები, ძირითადი მიგნებები, კვლევის დიზაინი, თეორიული ჩარჩო, დასკვნა და კვლევის შედეგად შემუშავებული რეკომენდაციები.

ნაშრომის მიზანია გავანალიზოთ კიბერბულინგი და მასთან დაკავშირებული საკითხები. პირველ ნაწილში საუბარია ტერმინზე, მისი რაობა და აქტუალობა. რა საფრთხეს შეიცავს და რამდენად მწვავედ დგას საქართველოში ინტერნეტ ჩაგვრის პრობლემა? ვინ და როგორ ახდენს ბულინგის ტირაჟირებას? ვინ არიან, ყველაზე ხშირად, კიბერჩაგვრის მსხვერპლები და აგრესორები? როგორია სოციალური ქსელის მომხმარებლის დამოკიდებულება ამ საკითხზე? არის თუ არა, ქართული საზოგადოება ჩაგვრის მიმართ „კეთილგანწყობილი“ ?

რა როლი აკისრია მედიას კიბერბულინგთან დაკავშირებით? არის, თუ არა ის ჩაგვრის ხელშემწყობი და როგორია მედიის პასუხისმგებლობის საკითხი. ამ კითხვებს მედიის ეთიკურობამდე მივყავართ. ნაშრომში შევეცადეთ, პასუხების ასახვა.

ნაშრომს თან ახლავს კიბერბულინგის მაგალითები (დანართის სახით) და ბიბლიოგრაფია.

თავი 1. ლიტერატურის მიმოხილვა

„ადამიანების პატივმოყვარე მისწრაფებებს ბოლო არ აქვს: თავიდან ადამიანები იქით მიილტვიან, რომ თვით ისინი არავინ დაჩაგროს, შემდეგ კი – თავად იწყებენ სხვათა ჩაგვრას.“⁵

რობინ შარმა

1.1. რა არის ბულინგი/კიბერბულინგი?

ტერმინი “ბულინგი”⁶ ფიზიკურ ან ფსიქოლოგიურ ტერორს ნიშნავს, რომელიც ბავშვის მიმართ თანაკლასელთა ან სხვა ბავშვების ჯგუფის მიერ ხორციელდება. ის, ვინც ბულინგს მიმართავს, მიზნად მსხვერპლის დაშინებასა და დამორჩილებას ისახავს. სკოლებში ბავშვები არცთუ იშვიათად განიცდიან ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ ტერორს სხვა ბავშვების მხრიდან. ეს მოვლენა გვხვდება როგორც გოგონებში, ასევე ვაჟებში. უფრო ხშირად ბულინგის მსხვერპლი უმცროსკლასელები არიან.

1993 წელს ნორვეგიელმა ფსიქოლოგმა დ. ოლვეუსმა ტერმინი ბულინგი, განმარტა როგორც: „წინასწარგანზრახული სისტემური აგრესიული ქცევა, რომელიც შეიცავს უთანასწორობას და ძალების ბოროტად გამოყენებას“⁷.

ბულინგი ძირითადად სკოლებში, მოსწავლეებში გვხვდება. სასწავლო დაწესებულებებში ამ პრობლემის მოგვარება მასწავლებელსა და დირექტორს ევალებათ, თუ როგორ ახერხებენ ამას, ეს სხვა საკითხია. ახლა კი, რაც შეეხება კიბერბულინგს.

რა არის კიბერბულინგი?

კიბერბულინგი⁸ ყველაზე გავრცელებული ფენომენია. ეს არის ქმედება, როცა ვინმე იყენებს ინტერნეტს, მეილს, ტექსტურ შეტყობინებას, ჩათს, სოციალურ ქსელს,

⁵ <http://www.robinsharma.com/personal-coaching>

⁶ http://www.newpress.ge/staties_id/1991

⁷ <http://www.pseudology.org/kon/Zametki/ChtoTakoeBulling.htm>

ონლაინფორუმს და სხვა ციფრულ ტექნოლოგიებს იმ მიზნით, რომ შეურაცხყოფა მიაყენოს, დაემუქროს ან დაამციროს სხვა ადამიანი. კიბერბულინგის ტერმინებია ასევე, **ონლაინბულინგი, ინტერნეტბულინგი, ინტერნეტჩაგვრა, ონლაინჩაგვრა, კიბერჩაგვრა** და ა.შ.

კიბერაგრესორი- ადამიანი, რომელიც ახორციელებს კიბერბულინგს.

კიბერმსხვერპლი- ადამიანი, რომელიც ერთხელ მაინც გამხდარა ინტერნეტჩაგვრის მსხვერპლი.

ტრადიციული ბულინგისგან განსხვავებით, კიბერბულინგს არ სჭირდება ფიზიკური ძალა ან პირისპირ შეხვედრა. ხშირად ის ძალიან ბევრი მოწმის წინაშე ხდება. კიბერჩაგვრა ყველა ფორმით და სახით არსებობს ფოტო-ვიდეო-აუდიო-მემე-ქუბი-გიფი- და ა.შ. ნებისმიერს, ვისაც ინტერნეტი ან მობილური ტელეფონი აქვს, შეუძლია წამოიწყოს კიბერბულინგი ვიღაცის მიმართ, ხშირად ანონიმურად და ყოველგვარი იდენტიფიცირების გარეშე. კიბერაგრესორს, შეუძლია მსხვერპლის დამცირება ნებისმიერ დროს, 24 საათის განმავლობაში. იქნება ეს პირადი მიმოწერით დაწყებული და დამთავრებული სოციალური ქსელის შესაძლებლობით, საყოველთაო გავრცელებით.

ინტერნეტბულინგია ასევე პერსონალური ინფორმაციის გასაჯაროებაც. ნებისმიერი ამბავი, ეს შეიძლება იყოს რეალურიც და არარეალურიც. მაგალითად; ჭორების გავრცელება, ფოტომონტაჟი, დეზინფორმაცია და სხვა. ამან შეიძლება დამანგრეველი გავლენა იქონიოს კიბერბულინგის მსხვერპლზე. მის სამუშაო თუ სასწავლო გარემოზე, ზოგადად ცხოვრებაზე. მსოფლიო პრაქტიკაში მრავლად არის მაგალითები, კიბერბულინგის მსხვერპლების დანგრეული ცხოვრების შესახებ.

სწორედ ამ დამანგრეველ შედეგებზე, აქვს მომზადებული კვლევა, კიბერბულინგის კვლევით ცენტრს; კვლევა, სკოლებში ჩატარდა და მასში მონაწილეობა 12-17 წლის

⁸ <http://www.cyberhouse.ge>


მოსწავლეებმა მიიღეს. მასში ასახულია, თუ რა სიხშირით და ფორმით ხდებიან მოსწავლეები ბულინგის მსხვერპლები.

Sameer Hinduja and Justin W. Patchin (2016)

Cyberbullying Victimization

N=5,707

Nationally-representative sample of 12-17 year old middle and high school students in the U.S.



კიდევ უფრო საგანგაშო სტატისტიკას აქვეყნებს, კიბერბულინგის დახმარების ცენტრი⁹, სტატისტიკაში აღნიშნულია, რომ ინტერნეტ ჩაგვრის 42% სუიცდით სრულდება.

ტერმინი კიბერბულინგი საქართველოში ახალი დამკვიდრებულია, შესაბამისად ქართულ მედიასივრცეში, ლიტერატურა ამ საკითხზე თითქმის არ არსებობს. მსოფლიო პრაქტიკისგან განსხვავებით, საქართველოში დღემდე არ ჩატარებულა ამ საკითხთან დაკავშირებით კვლევა.

ქართული მედია იშვიათად, თუმცა მაინც განიხილავს ბულინგს სკოლაში, მოზარდების პრობლემებს. რამდენიმე ონლაინ გამოცემა კიბერ ჩაგვრის თემასაც ეხება. თუმცა მხოლოდ

⁹ <https://nobullying.com/#>

ვიწრო ჭრილში. ყოველ შემთხვევაში, 2015 წლიდან იმატა ამ საკითხზე მსჯელობამ, საზოგადოების ნაწილი განიხილავს თანამედროვეობის გამოწვევას, დაისვა კითხვები. ამის მიუხედავად, პრობლემის გადაჭრის გზები ჯერ კიდევ არ არის ნაპოვნი. რამდენიმე ონლაინ გაზეთი, კიბერბულინგთან გამკლავების გზებს გვთავაზობს, თუმცა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, კიბერ ბულინგი განხილულია, როგორც მხოლოდ ბავშვების და მოზარდების პრობლემა. ონლაინ პლატფორმებზე გვხვდება : „ბულინგი სკოლაში“, „ბულინგის მსხვერპლი ბავშვები“, „სკოლა და ბულინგი“. „ბავშვები და ინტერნეტ უსაფრთხოება“ და ა.შ.

ბავშვთა მიმართ ბულინგი, რომ აქტუალური პრობლემაა, ამას „იუნისეფის კვლევაც ადასტურებს. 2012 წელს „იუნისეფის“¹⁰ კვლევებმა სკოლებში არსებული ძალადობის შემთხვევები შეისწავლა და აღმოაჩინა, რომ საქართველოში გამოკითხული ბავშვების 80%-მა ერთხელ მაინც განიცადა ფიზიკური თუ ფსიქოლოგიური ძალადობა.

ბავშვთა ბულინგზე მოამზადა კვლევა „იდენტობამ“ სახელწოდებით „ჰომოფობიური ბულინგი საქართველოს საჯარო სკოლებში“. კვლევა თვისებრივი მეთოდებით განხორციელდა და გამოავლინა, რომ საჯარო სკოლების მოსწავლეების გარკვეული ნაწილი განიცდის ჰომოფობიურ ბულინგს, რაც მათ სწავლის ხარისხზე, სწავლის მოტივაციაზე და ფსიქიკურ ჯანმრთელობაზე უარყოფითად აისახება.

კვლევამ ასევე გამოავლინა, რომ სკოლა და განათლების სისტემა არ არის ქმედითი და ეფექტიანი ამ პრობლემის წინააღმდეგ, რაც ერთი მხრივ სახელმწიფო დონეზე არსებული სისტემური ხარვეზებით არის განპირობებული, მეორე მხრივ კი მასწავლებლებისა და სკოლის თანამშრომლების ჰომოფობიური განწყობებით.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ქართული წყაროებში ხშირად ვხვდებით ნაშრომებს, კვლევებს თუ სტატიებს, ბავშვთა მიმართ ბულინგზე, მაგრამ კიბერბულინგზე მასალა ძალიან მწირია. ინტერნეტბულინგით დაინტერესებულებს შეუძლიათ გაეცნონ მასალებს

¹⁰ http://unicef.ge/uploads/Unicef_VAC_GEO_Final3_02_09.pdf

უცხოურ მედიასაშუალებებში, რომლებიც აქტიურად წერენ და განიხილავენ თანამედროვეობის უდიდეს გამოწვევას.

ამერიკის, ადამიანის უფლებებთა დაცვის კომიტეტმა, კიბერბულინგის საწინააღმდეგოდ სპეციალური ვებგვერდი შექმნა www.stopbullying.gov, სადაც მომხმარებელს ამომწურავ ინფორმაციას აწვდის ტერმინთან დაკავშირებით და ცდილობს შეიმუშავოს თავდაცვითი მექანიზმები.

ამავე საიტზე შეგვიძლია გავეცნოთ სოციალური ქსელების დადებით და უარყოფით მხარეებს. ასევე, ვინ წარმოადგენს რისკ ჯგუფებს და კიბერბულინგის აღმოჩენის შემთხვევაში თუ ვის უნდა მიმართოს ადამიანმა.

კიბერბულინგზე უფრო დაწვრილებით, ამ საკითხების კვლევაზე მომუშავე ორგანიზაციის წარმომადგენლობა წერს. „კიბერბულინგის კვლევითი ცენტრი“¹¹, რომელიც კვლევებზე დაყრდნობით ინტერნეტბულინგის ქვეკატეგორიებს გვთავაზობს:

- ელექტრონული ბულინგი, რომელიც ხორციელდება ელექტრონული ფოსტის, ჩატისა და სხვა, პირად სივრცეში შემოჭრის გზებით.
- Sms ბულინგი, რომელიც ტელეფონის საშუალებით ხორციელდება და მსხვერპლი მობილურზე იღებს ბულინგის შემცველ ტექსტებს.
- ონლაინ ბულინგი, მასშტაბურობა, რომელიც ჩაგვრის მასალას ხდის ბევრისთვის ხელმისაწვდომს.

ცენტრი ბულინგის არიდების შესაძლო გზების ძიებაშია.

კიდევ ერთი საინტერესო რესურსი, Sameer Hinduja და Justin W. PATCHIN -ის მიერ შექმნილი სახელმძღვანელოა, სადაც ავტორები კვლევებზე დაყრდნობით სამი თემის თანაკვეთაზე წერენ. „თინეიჯერები, ტექნოლოგია და უბედურება“, ამ კომპონენტების გაერთიანების

¹¹ <http://cyberbullying.org/>

საფრთხეზე, თინეიჯერების, როგორც ყველაზე მოწყვლადი ჯგუფის აღწერილობას და პრევენციის გზების ძიებას ვხვდებით ნაშრომში.

მიუხედავად იმისა, რომ კიბერბულინგის მსხვერპლები ძირითადად ბავშვები და მოზარდები არიან, Pew Research Center- მა ჩაატარა კვლევა და დაასკვნა, რომ ზრდასრული ამერიკელების 40% ყოველდღიურად ხდება ჩაგვრის მსვერპლი, ამავე კვლევაშია ნათქვამი, რომ მოწყვლად ჯგუფს (ზრდასრულებში) ძირითადად 18-29 წელი წარმოადგენს.

რუსი ბლოგერი ოლეგ შესტიაკოვი, თავის ბლოგში „სოციალური ქსელები და კიბერბულინგი“¹² მოზარდებს კონკრეტულ რეკომენდაციებს სთავაზობს:

1. ყოველთვის დაიცავით თქვენი პაროლები, არ გაანდოთ ის სხვას.
2. არ გამოაქვეყნოთ მობილური ტელეფონის ნომერი სოციალურ ქსელებში.
3. სოციალურ ქსელებში დაიმატეთ მხოლოდ ნაცნობი ადამიანები, დანარჩენი დაბლოკეთ.
4. თუ გახდით ძალადობის მსხვერპლი, შეინახეთ მასალა, აჩვენეთ მშობლებს ან პოლიციას.

თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ეს არ არის თავდაცვის სრულყოფილი მექანიზმი, რადგან თანამედროვე ტექნოლოგიებისთვის წინაღობას არ წარმოადგენს ზემოთჩამოთვლილი ხერხები.

ნაშრომზე მუშაობისას, ჩვენ რამდენიმე უცხოურ კვლევას დავეყრდენით; <http://www.endcyberbullying.org> არის კიდევ ერთი საიტი, რომელიც რამდენიმე მიმართულებით მუშაობს და ყოველთვის ანახლებს სტატისტიკას, კიბერბულინგზე.


ორგანიზაცია გვთავაზობს სტატისტიკას შემდეგი მიმართულებებით;

1. ინტერნეტის გამოყენების სიხშირე მოზარდებში.
2. მოზარდების შეხედულება თანატოლებზე

¹² igromirnew.ru


3. უსაფრთხოება და კონფიდენციალურობა - აქ იმ რჩევებს გვთავაზობს, რომელმაც შესაძლოა შეამციროს კიბერბულინგის შემთხვევები.

4. ერთერთი მთავარი მიმართულება, ორგანიზაცია გვთავაზობს მსოფლიო ფენომენს, მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნების მოწყვლადობას კიბერბულინგის მიმართ. (იხ, გრაფიკი).



კვლევის შედეგად დადგინა, რომ მსოფლიო მასშტაბით, აშშ-ში ყველაზე მწვავედ დგას კიბერბულინგის პრობლემა (23%), მას მოსდევს ჩინეთი, გერმანია, იტალია, პოლონეთი და ა.შ.

მსოფლიო პრაქტიკას, არც გენდერის მხრივ გამორჩენია ამ საკითხის კვლევა, კიბერბულინგის კვლევით ცენტრი ინტერნეტჩაგვრას გენდერულ ჭრილშიც განიხილავს და სტატისტიკასაც აქვეყნებს.



კვლევის თანახმად კიბერბულინგის მსხვერპლთა 60% არის ქალი. ხოლო, გამოვლენილ კიბერაგრესორთა უმრავლესობას მამაკაცები წარმოადგენენ (52%). კვლევამ ასევე ჩაგვრის სიმძაფრეც გამოავლინა, აღმოჩნდა, რომ მამაკაცები ბევრად უფრო აგრესიულ ჩაგვრას ახორციელებენ, ვიდრე ქალები.

როგორც კვლევების მიმოხილვამ აჩვენა, კიბერბულინგი ნამდვილად დიდი გამოწვევაა თანამედროვე მსოფლიოსთვის. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში კვლევა ჯერ არ ჩატარებულა, პრობლემის არსებობა მაინც თვალშისაცემია.

1.2. მედია და კიბერბულინგი



ის, რომ კიბერბულინგი თანამედროვეობის დიდი გამოწვევაა, ამაზე ყველა თანხმდება, ისიც არ არის სადავო, რომ ბულინგის გამომწვევი მიზეზების ძიებას ფსიქოლოგიურ ჭრილთან მივყავართ. თუმცა, აღნიშნულ ნაშრომში, ჩვენ მხოლოდ ნაწილობრივ შევხებით თემის ფსიქოლოგიურ / ფსიქიკურ ასპექტებს, რადგან ჩვენი მიზანია კიბერბულინგისა და სოციალური მედიის კავშირის გამოვლენა.

ახდენს თუ არა მედია კიბერბულინგის გავრცელებას და თუ ახდენს, როგორ. სოციალურ მედიაზე დაკვირვებამ, ამ საკითხზე ღიად საუბრის საშუალება მოგვცა. თუმცა სანამ ქართული მედიის როლზე, კიბერბულინგთან მიმართებაში, ვისაუბრებთ, საინტერესოა უცხოური პრაქტიკის მიმოხილვაც.

2014 წელს, კიბერბულინგის¹³ პრევენციის საერთაშორისო ცენტრმა, ჩაატარა კვლევა, რომლის მიზანიც მედიაში ინტერნეტბულინგთან დაკავშირებული მასალების თემატიკის დადგენა იყო. კვლევის ფარგლებში დამუშავდა 73 სტატია. 73 სტატიიდან 42 ეხებოდა, კიბერბულინგის იმ შემთხვევებს, რომელიც სუიციდით დასრულდა (როგორც ზემოთ აღნიშნეთ, კიბერბულინგი/ ბულინგი, იმდენად მწვავე პრობლემაა, ხშირად სრულდება მსხვერპლის სუიციდით).

დანარჩენი სტატია კი იმ თემებს, სადაც საუბარი იყო პროცენტულ მონაცემებზე, თუ ვინ წარმოადგენს მოწყვლად ჯგუფს და კვლევების მიმოხილვა იყო. კვლევის მონაცემები, კიბერბულინგის პრევენციის ცენტრმა გრაფიკულად, ასე წარმოგვიდგინა.

¹³ <http://cyberbullying.org/facts> Cyberbullying Prevention and Response: Expert Perspectives



როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ქართული მედიის კვლევა ინტერნეტულინგთან დაკავშირებით, დღემდე არ ჩატარებულა. ქართული მედიასივრცე რამდენიმე სტატიით შემოიფარგლება, როცა საქმე ამ საკითხს ეხება. თუმცა, ისიც უნდა ითქვას მედიის წარმომადგენლები, აღნიშნავენ, რომ კიბერბულინგი დიდი გამოწვევაა დღეს, ქართულ და არამხოლოდ ქართულ საზოგადოებაში.

ისინი ხშირად გმობენ ძალადობას და სოციალური ქსელებით, ეხმიანებიან იმ მედიასაშუალებებს, რომლებიც „კეთილგანწყობილნი“ არიან ბულინგის მიმართ და ასეთ „პროდუქტს“ მომგებიანად „ყიდიან“. სწორედ ამ თემას ეხმიანება, „მედიაჩეკერი“ ბლოგით; „მედია, როგორც კიბერბულინგის წყარო“¹⁴ სტატიაში, მედიის პასუხისმგებლობის საკითხს ესმევა ხაზი. მედია, როგორც ბულინგის ტირაჟირების ხელშემწყობი პლატფორმა.

როცა მედიისა და კიბერბულინგის კავშირზე ვსაუბრობთ, არ შეიძლება არ აღინიშნოს ერთი ტენდენცია, სოციალურ ქსელებში ვრცელდება ვიდეო-ფოტო თუ ტექსტური მასალა, რომლებიც საყოველთაო დაცინვის ობიექტად აქცევენ ამა თუ იმ პირს. ხოლო ამ მასალების პირველწყარო სწორედ ტრადიციული მედია ხდება. ვინაიდან, მედიაში გასული სიუჟეტი სოციალური ქსელში ვრცელდება და ბულინგი ინტერნეტსივრცეში გრძელდება. სწორედ ეს ტენდენცია განსაზღვრავს იმას, რომ მედია ხდება „ბულინგის სათბური“. საინტერესოა ის ფაქტიც, რომ ხშირ შემთხვევაში მსგავსი მასალის გავრცელებას მედია ხსნის, როგორც „საზოგადოების მაღალი ინტერესებიდან“ გამომდინარე ამბავს და უკუკავშირის განხილვის შემდეგაც, ვერ ახერხებს რესპონდენტების დაცვას კიბერაგრესორებისგან.

პირიქით, დღეს, ქართულ სოციალურ მედიასივრცეში რამდენიმე „ფავორიტი“ „საბულინგოდ გამზადებული“ რესპონდენტი გვხვდება, რომელთა გადაცემაში მოწვევა და უხერხული კითხვების დასმა, პირდაპირპროპორციულია რეიტინგის ამაღლების, რეიტინგის, რომელიც ჩაგვრის შედეგად მიიღწევა. ის, რომ რამდენიმე მედიასაშუალება

¹⁴ <http://mediachecker.ge/mediacritics/detail/246/1>

ხელს უწყობს ადამიანთა ბულინგს, ამას ჩვენი რესპონდენტებიც აღნიშნავენ, თუმცა აზრთა სხვადასხვაობა იკვეთება მაშინ, როცა საქმე განზრახვას ეხება.

რესპონდენტების ნაწილი ამბობს, რომ მედიასაშუალება გამიზნულად აქვეყნებს ისეთ ინფორმაციას, რომელიც აუცილებლად გამოიწვევს ჩაგვრას, რადგან დღეს ჩაგვრა უდრის მოწონებებს და გაზიარებებს, და მეტ პოპულარულობას. ასეთი მედია, სულ მცირე ემიჯნება ეთიკურობას და არღვევს ყველანაირ ჟურნალისტურ სტანდარტს.

ნაწილი კი მიიჩნევს, რომ მედიასაშუალებებმა წინასწარ არ იციან, რომელი მასალა რა რეაქციას გამოიწვევს, შესაბამისად გარკვეულწილად მათ მოხსნილი აქვთ უკუკავშირის პასუხისმგებლობა. ამ საკითხზე მსჯელობა დაწვრილებით, კვლევის ნაწილში ავსახეთ.

მედიასა და ბულინგს შორის კავშირზე, აქტიურად წერენ საქართველოს საზღვრებს გარეთ. Nobullying.com ეს არის ონლაინ ფორუმი, რომელიც სხვადასხვა მიმართულებით ბულინგის შეჩერებას ცდილობს, სწორედ ამ ფორუმზე ვხვდებით, სოციალური მედიის უკუეფექტებს და მის მიერ ბულინგის ტირაჟირების მაგალითებს. მათი კვლევის საფუძველზე დადგინდა თუ რომელი სოციალური ქსელები და მედია ახდენს, ყველაზე ხშირად, ჩაგვრის გავრცელებას. მათ შორის ლიდერების პოზიციას არ თმობს Facebookი.


ქართულ რეალობაში, ყველაზე ხშირად ბულინგის ტირაჟირებას და „მასალას“ ჩაგვრისთვის, გასართობი შოუები ახდენენ, მუსიკალური თუ ტელანტმოუები, სადაც ღიად და აშკარად ხდება ადამიანების ჩაგვრა, როგორც ჟიურის, ასევე მაყურებლების მხრიდან. სწორედ ტრადიციული მედიისგან „შობილი“ ბულინგის მხვერპლები ინაცვლებენ სოციალურ მედიაში და ვითარდება კიბერბულინგი.

საქართველოში, ბულინგის მსხვერპლთა უმრავლესობა სწორედ ამ შოუებით „იბადება“, რადგან ჩაგვრის, მასობრივი კიბერშეტევის ქვეშ ექცევა ყველა, ვინც მუსიკალურ შოუში კარგად ვერ იმღერა, ცეკვის შესაძლებლობები ვერ გამოავლინა სათანადოდ, ან თუნდაც რომელიმე ჟიურის წევრს მისი ჩაცმულობა არ მოეწონა. ცალკე თემად არის განსახილველი „ქუჩის გამოკითხვები“, რომელიც წინასწარგამზადებულ საბულინგო მასალას ავრცელებს

მედიაში, და არაერთხელ გამხდარა ჩაგვრის წამქეზებელი. სამწუხაროა ის ფაქტიც, რომ სწორედ ამ გამოკითხვებით განსაზღვრავენ, ხშირს შემთხვევაში, საზოგადოების, ინტელექტუალურ შესაძლებლობებს. და კიდევ, რაც მეტ ადამიანს ჩააგდებ უხერხულ მდგომარეობაში, მით მეტი გაზიარება და მოწონება ექნება შენს მასალას.

1.3. „ფეისბუქი“ და საქართველო

„ქვეყანა“ , რომელიც „მოსახლეობის“ რაოდენობით ჩინეთს უსწრებს. 2017 წლის ივლისის მონაცემებით მას 2 მილიარდი მოსახლე ჰყავს. ეს „ფეისბუქია“ სოციალური ქსელი, რომელიც ჰარვარდის უნივერსიტეტის სტუდენტების მიერ სასწავლო კურსის ფარგლებში შეიქმნა და მალევე იქცა მთელი ამერიკის, შემდგომ კი მსოფლიოს მოსახლეობის თავშესაყარად. ყველაზე მასშტაბურ სოციალურ ქსელს 2 მილიარდი მომხმარებელი ჰყავს და მათი რაოდენობა დღითი დღე იზრდება.



15

ინფორმაციაში ასახულია რეიტინგი, (2016 წლის) სოციალური ქსელები ქვეყნები რომ იყვნენ, რა სურათს მივიღებდით.


„ფეისბუქი“ საქართველოშიც დიდი პოპულარობით სარგებლობს. მას აქტიურად იყენებს სამთავრობო/არასამთავრობო სექტორი. მედია, ბიზნესფერო თუ სხვა. ბოლო დროს

¹⁵ <https://on.ge/story/362-ti-2016->

ინტერნეტთან წვდომის თვალსაზრისით საქართველოში მდგომარეობა გაუმჯობესდა. შესაბამისად იმატა სოციალური ქსელების მომხმარებელთა რაოდენობამაც.

“საერთაშორისო გამჭვირველობა – საქართველოს” (TI Georgia) ინფორმაციით, ყველაზე ხშირად ინტერნეტს სოციალური ქსელების მოხმარების მიზნით იყენებენ. მაღალია ინტერნეტის, როგორც ახალი ამბების მოძიების წყაროს გამოყენების მაჩვენებელიც. საქართველოში ყველაზე პოპულარული სოციალური ქსელი Facebook-ია. Twitter-ის მომხმარებელთა რიცხვი კი საქართველოში უმნიშვნელოა.

რას აკეთებთ ხოლმე ყველაზე ხშირად, როდესაც ინტერნეტით სარგებლობთ? (q10) - 49%-დან, ვინც იყენებს ინტერნეტს თვეში ერთხელ მაინც



„სოციალურმა ქსელებმა, კერძოდ კი ფეისბუქმა, განსაკუთრებული პოპულარობა მოიპოვა ბოლო წლებში და „დაჩრდილა“ ახალი ამბებისა და სხვა ტიპის ვებ გვერდები. „ფეისბუქი საქართველოში ყველაზე პოპულარული ვებ გვერდია... ის დისკუსიებისა და ინფორმაციის გაცვლის მნიშვნელოვანი პლატფორმის როლს ასრულებს საქართველოს საზოგადოების ლიბერალურ სეგმენტში,¹⁶“ ნათქვამია Freedom House-ს ანგარიშში.

¹⁶ <http://www.tabula.ge/ge/story/54392-freedom-house-feisbuqi-saqartveloshi-kvelaze-popularuli-veb-gverdia>

ერთი შეხედვით პირადი სივრცე, რომელზეც უწყინარი (თქვენი აზრით) ხუმრობა გააზიარეთ, ერთ მშვენიერ დღეს შეიძლება სამსახურის დაკარგვის მიზეზი გახდეს.

მსოფლიო პრაქტიკას, ამის არაერთი შემთხვევა ახსოვს, ამ მხრივაც არ არის საქართველო გამონაკლისი. საჯაროდ გამოხატული ჰომოფობიური განცხადების გამო "იმედის" დილის წამყვანები დათო ქაცარავა და სალომე გოგიაშვილი ტელევიზიიდან გაათავისუფლეს. ეთერში გავიდა სიუჟეტი ბრიტანელ ვარსკვლავ ელტონ ჯონზე, სიუჟეტში ნათქვამი იყო, რომ მას სუროგატი დედისგან მეორე ბავშვი გაუჩნდა. დათომ და სალომემ ამ სიუჟეტის შესახებ პირდაპირ ეთერში თავიანთი აზრი გამოთქვეს. "მე გულწრფელად მეცოდება ელტონ ჯონის ორივე სუროგატი შვილი", – თქვა დათომ. სალომემ კი დაამატა: "მეც ნამდვილად არ მშურს ამ ბავშვების, ვინაიდან, როცა გაიზრდებიან, მათ ორი მამა ეყოლება".

„ოპერა ავსტრალიამ“ თამარ ივერს კონტრაქტი შეუწყვიტა. ამის მიზეზი LGBT ადამიანების მისამართით გაკეთებული განცხადება აღმოჩნდა, სადაც ოპერის მომღერალმა LGBT საზოგადოება ფეკალურ მასებს შეადარა. „ოპერა ავსტრალიის“ წარმომადგენლებმა ივერის განცხადებას „ძალიან არაკორექტული“ უწოდეს.

ეს და კიდევ სხვა მაგალითები, იმაზე მიუთითებს, რომ საჯაროდ გამოხატულ დისკრიმინაციას, უმეტეს შემთხვევაში, მოსდევს სანქციები. შესაბამისად, მზად უნდა ვიყოთ, თუ ერთ დღესაც „ფეისბუქის“ სტატუსის გამო ვინმეს სიძულვილის ობიექტი გავხდებით. მაშ, რა არის გამოსავალი? გამოსავალი არის ის რომ ასჯერ დავფიქრდეთ, სანამ რამეს დავპოსტავთ, აშშ-ს ყოფილი პრეზიდენტი, ბარაკ ობამა ჯერ კიდევ 2009 წელს აფრთხილებდა მოსახლეობას; „ფრთხილად იყავით, სანამ რამეს დაპოსტავთ, გაითვალისწინეთ, რომ თქვენი წარსულის პოსტები შეიძლება აისახოს მომავალზე, და დაიმატეთ მხოლოდ ის ადამიანები ვისაც იცნობთ“.¹⁷

¹⁷<https://barackobama.com/> „Be careful about what you post online as your past may ruin your future. And only add people you only know.. .“

რატომ არის სოციალური მედია ბულინგისთვის ხელსაყრელი?

PEW კვლევითი ცენტრის მიერ ჩატარებული კვლევის შედეგად დადგინდა, რომ ამერიკელი ახალგაზრდების 92% ყოველდღიურად იყენებს ინტერნეტს, ხოლო სოციალური ქსელები ერთერთი ყველაზე პოპულარული პლატფორმაა. ამავე კვლევის საფუძველზე დადგინდა, რომ ამ პლატფორმებს უფრო მიმზიდველს ხდის კონფიდენციალურობის და ანონიმურობის შესაძლებლობა. რადგან ძირითადად, აგრესორები სწორედ ე.წ. „ფეიქ“¹⁸ ანგარიშებიდან ახდენენ ჩაგვრას.

ზემოთ, არაერთხელ აღვნიშნეთ, რომ სოციალურ ქსელებს და მედიას, ყოველდღე ემატება მომხმარებელი, რაც თავისთავად, უკონტროლო პლატფორმას კიდევ უფრო მრავალფეროვანს და მრავალკუთხურს ქმნის. და სწორედ აქ ხდება იმდენი მოსაზრების გაჟღერება, რამდენი ადამიანიც არის. ამიტომ არის სოციალური მედია, ყველაზე ხელსაყრელი პლატფორმა ბულინგისთვის. დაუსჯელობის და ანონიმურობის ეფექტი, მეტად „მიმზიდველს“ ხდის, ჩაგვრას. დღეისთვის, სოციალური მედია, არის ის პლატფორმა, სადაც მარტივი კომპიუტერული უნარ-ჩვევებით, შეგიძლია მრავალფეროვანი ინფორმაციის მიღება-გაცემა. ფოტოების, ვიდეოების, „ქუბების“, „მემეების“ თუ გიფების კასკადი, რომელიც ტრიალებს ამ სივრცეში, არჩევანის მრავალფეროვნებას იძლევა.

როცა კიბერბულინგს ვეხებით, ერთი დაშვებაზე უნდა ვისაუბროთ. კერძოდ, ეს არის უნებლიე კიბერაგრესია, შეიძლება ადამიანმა, რომელიც თავის სოციალურ ქსელში, სასაცილო (მისთვის სასაცილო და კეთილი განზრახვით) ვიდეოს ან ფოტოს აზიარებს, უნებლიედ ამ მასალის გმირის ბულინგი გამოიწვიოს, უნდა გვახსოვდეს, რომ ყველაფერს რასაც ვაზიარებთ, ნახულობს ჩვენი სოციალური წრე, რომელთა წევრებიც განსხვავდებიან

¹⁸ fake - ინგლ.ყალბი

ერთმანეთისგან და სხვადასხვა რეაქციები აქვთ. ამ დაშვებას კიდევ ერთ პრობლემადღე მივყავართ, არცოდნასთან.

სოციალური ქსელების მომხმარებელთა ნაწილმა არ იცის რა არის კიბერბულინგი, არ იცის რა საფრთხე ახლავს „ხუმრობას“, რომელსაც აზიარებს. და მისდა უნებურად, ერთვება მასობრივ ჩაგვრაში. ეს ფაქტი, ჩვენ მიერ ჩატარებული კვლევითაც დადგინდა. რაც თავისთავად, კიდევ უფრო ამძაფრებს და ართულებს კიბერბულინგის შემცირებასა და შეჩერებას.

კიდევ ერთი მიმართება, როცა ინტერნეტ ჩაგვრას განვიხილავთ, არის მოწყვლადობა ჩაგვრის მიმართ, რაც ზემოთაღნიშნულ პრობლემას უკავშირდება ნაწილობრივ, ინფორმაციის ნაკლებობას კიბერბულინგთან დაკავშირებით. როგორც, ჩვენი რესპონდენტი ფსიქოლოგები აღნიშნავენ, ადამიანთა გარკვეული ნაწილი, თავად იქმნის იმიჯს, რომელიც იწვევს კიბერაგრესორს, ჩაგვრისკენ. ეს გამოიხატება იმაში, რომ „პოპულარობის“ მიღწევას ყველა სხვადასხვა გზით ცდილობს, ერთერთი ასეთი გზა კი, ფოტო-ვიდეო მასალის გადაღება და მისი სოციალური ქსელებით გავრცელებაა. ამ შემთხვევაში, მსხვერპლებს მოსწონთ მათ მიმართ გამოთქმული რეაქციები (მათ შორის ნეგატიური გამოხატვაც). ამ ფაქტს ფსიქოლოგები, ნარცისიზმს¹⁹ უკავშირებენ.

ნარცისიზმი - კლასიკურ ფსიქოანალიზში ამ ტერმინით აღინიშნება ლიბიდოს მიჯაჭვულობა საკუთარ „მე“-ზე, როგორც ობიექტზე. და მეორადი, როცა ლიბიდოს ნაწილი მოწყდება გარე ობიექტებს და კვლავ მიიმართება საკუთარ „მე“-ზე. ზოგჯერ ნარცისულ შეფერილობას იძენს პიროვნების რაიმე ასპექტი ფიზიკური უნარები, მახვილგონიერება, ღირსება ზოგჯერ ისეთ თვისებას ეხება, რომლითაც ადამიანი არ ამაცობს, მაგალითად, მშობრობა და ა.შ.

უნდა აღინიშნოს, სოციალური მედიის როლი ანტიბულინგურ კამპანიაშიც, მიუხედავად იმისა, რომ ასეთი ფაქტი ძალიან ცოტაა, ეს ადასტურებს იმას, რომ შესაძლებელია

¹⁹ <http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=6&t=5409>

სოციალური მედიის შესაძლებლობები დადებითი კუთხითაც იქნეს გამოყენებული. ერთერთი ფაქტი, იმ მცირედი შემთხვევებიდან, არის შონის ამბავი.

რამდენიმე წლის წინ ინტერნეტ ფორუმ 4chan-ზე, რომელიც ცნობილია მისი მომხმარებლების სისასტიკით, ერთერთმა წევრმა ჭარბწონიანი მამაკაცის ფოტო დადო, რომელსაც მიაწერა: "ეს ტიპი ვნახეთ, ცეკვას ცდილობდა, რომ დაგვინახა, დავცინოდით, გაჩერდა."²⁰ აღნიშნულმა პოსტმა ბევრი ადამიანის განრისხება გამოიწვია, რომლებმაც ონლაინ ბულინგი სასტიკად დაგმეს.

შედეგად, დაიწყო კამპანია ფოტოზე გამოსახული ადამიანის მოსაძებნად და გასამხნეველად. #finddancingman ონლაინ კამპანია ლოსანჯელესში მცხოვრებმა გოგონამ, სახელად კასანდრა, წამოიწყო.



²⁰ <http://goodnews.on.ge/news/94-internet-bulingis-msxverpli-mamakaci-1700-ma-kalbatonma>

მამაკაცმა იმავე დღეს შექმნა „ტვიტერის“ ანგარიში და კასანდრას და სხვა მხარდამჭერებს გამოეხმაურა, რის შემდეგაც ის სპეციალურად მისთვის მოწყობილ წვეულებაზე დაპატიჟეს, სადაც მასთან ერთად 1727 ქალბატონმა იცეკვა.

როგორც აღვნიშნეთ, ასეთი შემთხვევები ძალიან იშვიათია, თუ გავითვალისწინებთ კიბერჩაგრულთა რაოდენობას. თუმცა, ეს ფაქტი იმის დასტურია, რომ თითოეული ინდივიდის დონეზე განიხილება ბულინგიც კი, თუ გსურს ჩაგვრა, გამონახავ ყველანაირ გზასა და შესაძლებლობას დაჩაგრო. თუ გსურს დაიცვა ჩაგრული, გამონახავ ხერხს. მთავარია რისი გაკეთება გსურს. სოციალური მედია, ქსელები იძლევა არჩევანის უფლებას და ქმედით თავისუფლებას.

ჩვენმა რესპონდენტებმა არაერთხელ აღნიშნეს, რომ სოციალური მედია, ბევრად მეტ დადებით შესაძლებლობას იძლევა, მთავარია ადამიანებმა იცოდნენ მისი სათანადო გამოყენება და არ ისარგებლონ ბოროტად შეუზღუდავი თავისუფლებით.

თავი 2. კიბერბულინგი და კანონმდებლობა

კიბერბულინგი ის ქმედებაა, რომელიც კანონის დონეზე სხვადასხვანაირად ისჯება. აშშ-ის თითოეულ შტატს თავისი დამოკიდებულება აქვს ინტერნეტ ჩაგვრის მიმართ. თუმცა, ფაქტი, ფედერალურ დონეზე რომ განიხილონ, საჭიროა ის რამდენიმე კრიტერიუმს აკმაყოფილებდეს.

კიბერბულინგი კანონის დონეზე ისჯება :

- ❖ როდესაც კიბერბულინგს თან ახლავს ე.წ. ადევნება. აგრესორი მსხვერპლს რეალურადაც უთვალთვალებს და თვალთვალს დაშინებაც ახლავს თან. ამ დანაშაულისთვის სასჯელი 10 წლით განისაზღვრება.
- ❖ როდესაც კიბერბულინგი, შეიცავს დეზინფორმაციას, რომელიმე მაღალ-ჩინოსნის მიმართ და ეს იწვევს მისი რეპუტაციის შელახვას. ეს დანაშაული 5 წლით თავისუფლების აღკვეთით ისჯება.
- ❖ და მესამე შემთხვევა, როდესაც კიბერბულინგი შეიცავს მასალას, სადაც გამოსახულია შიშველი ადამიანი-ადამიანები, სქესობრივი კავშირი და ა.შ.

ეს ის ჩამონათვალია, რომელიც თან უნდა ახლდეს, კიბერბულინგს, ის რომ აღქმული იქნას კანონით დასჯად დონეზე. თუმცა უნდა აღინიშნოს, არანაკლებ მსუბუქი დანაშაულია, როდესაც კიბერაგრესორები შეტევას ამ სამი „დანამატის“ გარეშე ახორციელებენ. რაც შეეხება სხვა ქვეყნების პრაქტიკას...

2015 წელს ახალმა ზელანდიამ მიიღო გადაწყვეტილება, რომელმაც დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია ქვეყანასა და მის ფარგლებს გარეთ. სწორედ ახალი ზელანდია გახდა პირველი ქვეყანა, რომელმაც დასჯადი გახადა კიბერბულინგი. ეს გადაწყვეტილება ინტერნეტ ჩაგვრის ერთერთ ფაქტს მოჰყვა, როდესაც ინტერნეტში გავრცელდა ვიდეო, სადაც ასახული იყო ახალგაზრდების სქესობრივი კავშირი არასრულწოვანებთან. ამავე ვიდეოში იყო ასახული ახალი ზელანდიის პარლამენტის წევრების მიმართ ნეგატიური დამოკიდებულებები, ბულინგი. პარლამენტმა კანონი პირველივე მოსმენით დაამტკიცა,

თუმცა დღემდე აქტიურად განიხილავენ ამ გადაწყვეტილებას, როგორც ახალ ზელანდიაში, ასევე სხვა ქვეყნებშიც.

სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვასთან დაკავშირებული ეს კანონი, დღემდე განხილვის საგანს წარმოადგენს.

კიდევ ერთი სიახლე რაც უნდა აღინიშნოს, კანომდებლობასთან დაკავშირებით, ფედერალურ ნოტარიუსთა პალატას მიეცა უფლება „სქრინშოთები“ გამოიყენოს, როგორც სამხილები. ამ შემთხვევაში, მსხვერპლს შეუძლია მოითხოვოს მორალური ზიანის კომპენსაცია. მთავარია, განხორციელებული აგრესიის ამსახველი მასალა შეინახოს დაზარალებულმა.

რაც შეეხება საქართველოს, კიბერბულინგი არ არის სისხლის სამართლის დანაშაული, თუმცა საქართველოს კანონი, დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ, იცავს საქართველოს მოქალაქეებს. ასევე, პირები, რომლებიც შუღლის გაღვივების მიზნით, ძალადობრივი ქმედებისკენ მოუწოდებენ რასობრივი, რელიგიური, ეროვნული, სოციალური და სხვა ნიშნის ჯგუფებს, დაისჯებიან. სასჯელი თავდაპირველად 5 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს. იმ შემთხვევაში, თუ შედეგი მძიმე იქნება, დამნაშავეს 15 წლამდე პატიმრობა ემუქრება. ყოველ შემთხვევაში, შეგვიძლია კიბერბულინგის მიმართ კანონის დონეზე ბრძოლა, რომელიც გარკვეულ სირთულესთან არის დაკავშირებული, თუმცა მაინც შესაძლებელია.

ისევ მედიასა და კიბერბულინგის კავშირს რომ დავუბრუნდეთ. მედიას თავისი პასუხისმგებლობა და მარეგულირებელი მექანიზმები აქვს. ეს არის;

კანონი „გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ მედიას დისკრიმინაციული ტერმინების გამოყენებას უკრძალავს. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ კანონი მხოლოდ ლიცენზიის მფლობელ მედიასაშუალებებზე ხორციელდება. კანონი „გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ კანონის თანახმად, „სახელმწიფო ცნობს და იცავს სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლებას, როგორც წარუვალ და უზენაეს ადამიანურ ფასეულობებს.

ხელისუფლების განხორციელებისას ხალხი და სახელმწიფო შეზღუდულნი არიან ამ უფლებებითა და თავისუფლებებით, როგორც უშუალოდ მოქმედი სამართლით.“

აღსანიშნავია, რომ კანონმდებლობასთან ერთად მედიას თვითრეგულირების მექანიზმებიც აქვს „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 56-ე მუხლი აწესებს პროგრამულ შეზღუდვებს, კერძოდ 56-ე მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით „იკრძალება ისეთი პროგრამების გადაცემა, რომლებიც რაიმე ფორმით რასობრივი, ეთნიკური, რელიგიური ან სხვაგვარი შუღლის გაღვივების, რომელიმე ჯგუფის დისკრიმინაციის ან ძალადობისკენ წაქეზების აშკარა და პირდაპირ საფრთხეს ქმნის.

„მაუწყებელთა ქცევის კოდექსთან“ ერთად ჟურნალისტური ეთიკის ქარტია. მიუხედავად ამ ბერკეტებისა, ინტერნეტის რევოლუციურ ეპოქაში, როცა ინფორმაციის ბრუნვა წარმოუდგენელი ტემპით მიმდინარეობს, აუცილებელი გახდა დამატებითი მარეგულირებელი მექანიზმების შემუშავება.

რაც შეეხება მედიის მარეგულირებელ კიდეც ერთ მექანიზმს, ეს არის Mediacheck- ვებპორტალი, რომელზეც ტელე, ონლაინ და ბეჭდურ მედიაში განთავსებული ჟურნალისტური პროდუქტის ანალიზის შედეგებია თავმოყრილი. მონიტორთა ჯგუფი ყოველდღიურად აკვირდება მედიასაშუალებებს და დაფიქსირებული დარღვევებისა და ხარვეზების შესახებ სტატიებს, მოკლე სიახლეებსა და საავტორო სვეტებს ამზადებს. სწორედ ამ პორტალზე ვხვდებით ყველაზე ხშირად, კიბერბულინგთან დაკავშირებულ მასალებს.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ჩამოთვლილი მექანიზმები ვრცელდება მხოლოდ ლიცენზიის მფლობელ მედიასაშუალებებზე. თუმცა, რამდენად ემორჩილება სოციალური მედია ამ მექანიზმებს? ან ემორჩილება კი? ამ კითხვებს მივყავართ იმ პრობლემამდე, რამაც განსაზღვრა ნაშრომი. „ბულინგი სოციალურ მედიაში“. რაშია გამოსავალი? სწორედ ამის გარკვევა წარმოადგენს ჩვენი კვლევის ძირითად მიზანს. ფოკუს-ჯგუფებითა და სიღრმისეული ინტერვიუებით შევეცადეთ პასუხის ძიება.

თავი 3. კიბერბულინგი და გამოხატვის თავისუფლება

საქართველოს კონსტიტუციის მე-19 მუხლში აღნიშნულია, რომ: „ყოველ ადამიანს აქვს სიტყვის, აზრის, სინდისის, აღმსარებლობისა და რწმენის თავისუფლება.“ გამოხატვის თავისუფლებას განსაკუთრებული ადგილი უკავია ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა სისტემაში, რადგან სწორედ ის განაპირობებს სხვა უფლებებითა და თავისუფლებებით სარგებლობის შესაძლებლობას. სწორედ ამიტომაც, გამოხატვის თავისუფლება განსაკუთრებული დაცვით სარგებლობს.

ჯორჯ ორუელი თავისუფლებას განმარტავდა ასე; „ თუ კი, თავისუფლება საერთოდ ნიშნავს რამეს, უპირველესად, ნიშნავს რომ ხალხს უთხრა ის, რისი მოსმენაც მათ არ სურთ“

21

და მაინც, რა არის გამოხატვის თავისუფლება?

- ეს არის, ძირითადი უნივერსალური ღირებულებაა, რომელიც საფუძვლად უდევს ადამიანის უფლებებს და განსაზღვრავს პიროვნების ღირსებას. მისი მნიშვნელობა აღიარებული იქნა გაეროს გენერალური ასამბლეის მიერ, როდესაც მიიჩნიეს, რომ გამოხატვის თავისუფლება „ქვაკუთხედია ყველა იმ უფლებისა, რომელთა დაცვაც გაეროს პრიორიტეტს წარმოადგენს“ (UNGA, 1948).
- იმ საზოგადოებებში, სადაც გამოხატვის თავისუფლება დათრგუნულია, როგორც წესი ადგილი აქვს ადამიანის უფლებათა ხშირი დარღვევის ფაქტებს და პირიქით, იქ სადაც დაცულია გამოხატვის თავისუფლება, მეტია შესაძლებლობა ადამიანის უფლებათა დარღვევის ფაქტების გამოვლენის და შემცირებისა. გამოხატვის თავისუფლება აღიარებულია გაეროს ყველა ძირითადი დოკუმენტით, მათ შორის სამი ძირითადი რეგიონალური ხელშეკრულებითაც.

ადამიანის უფლებათა უნივერსალური დეკლარაციის მე-19 მუხლი შემდეგნაირად განსაზღვრავს გამოხატვის თავისუფლებას:

²¹ „if liberty means anything at all, it means the right to tell people, what they do not want to hear“ -.wikiquote.org

- „ყოველ ადამიანს აქვს აზრის და მისი თავისუფლად გამოხატვის თავისუფლება. ეს თავისუფლება მოიცავს ადამიანის უფლებას იქონიოს საკუთარი აზრი და დაუბრკოლებლად მოიძიოს, მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია და იდეები ყოველგვარი საშუალებებით, სახელმწიფო საზღვრების მიუხედავად.“²²

მაგრამ, ხშირ შემთხვევაში სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლება აღქმულია, როგორც თავისუფლება საზღვრებს გარეშე, რაც თავისთავად უკონტროლოს ხდის სივრცეს. განსაკუთრებით სოციალურ ქსელების სივრცეს, სადაც ყოველგვარი იდენტიფიცირების გარეშე, შესაძლებელია აგრესიის განხორციელება, ნებისმიერი სახის აზრის/ ქმედების დაფიქსირება ნებისმიერი ადამიანის მიმართ, და ამ ყველაფერს აზრის გამოთქმის უფლება უწოდო.

საქართველოს კონსტიტუცია, სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვების შესაძლებლობასაც გულისხმობს. კონსტიტუციის 24-ე მუხლის შესაბამისად:

- სიტყვის თავისუფლება შეიძლება შეიზღუდოს სახელმწიფო უშიშროების, ტერიტორიული მთლიანობის ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, დანაშაულის თავიდან ასაცილებლად, სხვათა უფლებებისა და ღირსების დასაცავად, კონფიდენციალურად აღიარებული ინფორმაციის გამჟღავნების თავიდან ასაცილებლად ან სასამართლოს დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის უზრუნველსაყოფად.

ხოლო კონსტიტუციის 19-ე მუხლის შესაბამისად;

- სიტყვის თავისუფლება შეიძლება შეიზღუდოს სხვათა უფლებების დაცვის უზრუნველსაყოფად.

²² მენდელი ტობი. გამოხატვის თავისუფლების საერთაშორისო სტანდარტები,-თავისუფლების ინს-ტი, თბ. 2004,

ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციაში²³, რომელიც საქართველოში ძალაშია საქართველოს უზენაესი საბჭოს 1991 წლის 15 სექტემბრის დადგენილებით, 29-ე მუხლის მეორე ქვეთავში აღნიშნულია;

- თავის უფლებათა და თავისუფლებათა განხორციელებისას ყოველი ადამიანი უნდა განიცდიდეს მხოლოდ ისეთ შეზღუდვებს, როგორც კანონითაა დადგენილი მარტოდენ იმ მიზნით, რათა უზრუნველყოფილ იქნას სხვების უფლებათა და თავისუფლებათა ჯეროვანი აღიარება და პატივისცემა და დაკმაყოფილდეს ზნეობის, საზოგადოებრივი წესრიგისა და საერთო კეთილდღეობის სამართლიანი მოთხოვნები დემოკრატიულ საზოგადოებაში.

დაწერილი კანონებით, ადამიანის თავისუფლება მთავრდება იქ, სადაც იწყება სხვისი თავისუფლების შეზღუდვა. თუმცა, არსებობს შემთხვევები, თან ბოლო დროს მრავლად, როდესაც მხოლოდ დაწერილი კანონები, ვერ უზრუნველყოფს საყოველთაო თავისუფლების შენარჩუნებას.

ნაშრომში არაერთხელ აღვნიშნეთ, გამოხატვის თავისუფლებისა და კიბერბულინგს შორის არსებული მჭიდრო კავშირი. რაც კიდევ უფრო რთულს ხდის ჩაგვრის მიმართ რაიმე სანქციების დაწესებასა და აკრძალვებს, რათა არ მოხდეს დემოკრატიული სახელმწიფოს ფუნდამენტური ნიშნის შევიწროვება. განსაკუთრებით საფრთხილო საკითხია, ეს საქართველოსთვის და პოსტსაბჭოური ქვეყნებისთვის, სადაც სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლება ისედაც (სხვადასხვა მიზეზებით) ექცევა ზეწოლის ქვეშ.

ამ საკითხს აქტიურად განიხილავს მსოფლიო, მსჯელობენ კიბერბულინგსა და გამოხატვის თავისუფლებას შორის ზღვარზე, თუმცა, დღემდე ვერ მოხერხდა ამ საზღვრების გავლება. ერთადერთი ქვეყანა, რომელმაც შეძლო გარკვეული ღონისძიება გაეტარებინა თავისი

23

<http://ujg.ge/ka/content/%E1%83%90%E1%83%93%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%98%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%A3%E1%83%A4%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%91%E1%83%90%E1%83%97%E1%83%98>

მოქალაქეების ინტერნეტ ჩაგვრისგან დასაცავად, არის ახალი ზეღანდია. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ამ ფაქტმა დიდი კამათი და აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია.

კითხვა, სად გადის ზღვარი გამოხატვის თავისუფლებასა და ინტერნეტჩაგვრას შორის?

ამ კითხვით, ჩვენი კვლევის ფარგლებში, რესპონდენტებს მივმართეთ. ამ ორი ცნების გამიჯვნა, საკმაოდ რთული აღმოჩნდა. კიბერბულინგის პრობლემის სიმწვავეს არცერთი მათგანი არ უარყოფს, თუმცა გამოხატვის თავისუფლებისგან მის გამიჯვნას საფრთხილოდ მიიჩნევენ.

მედიის წარმომადგენლები და იურისტები ამბობენ, რომ დროა ამ საკითხზე მომუშავე სპეციალური კომისია შედგეს, არასამთავრობო თუ სამთავრობო სექტორმა აქტიურად უნდა დაიწყოს კიბერბულინგის კვლევა, საზოგადოების ინფორმირება ამ საკითხზე და მხოლოდ ამის შემდგომ განხროციელდეს რაიმე სახის, სადამსჯელო ქმედება. რათა თავიდან იქნას არიდებული, დემოკრატიის ფუნდამენტური ღირებულების რისკის ქვეშ აღმოჩენა.

ვინაიდან, ყველა სახელმწიფო ვალდებულია დაიცვას მოქალაქეები ყოველგვარი საფრთხისგან, მათ შორის ინტერნეტ-ჩაგვრისგანაც, აუცილებელია ამ საკითხის დღის წესრიგში დაყენება.

თავი 4. თეორიული ჩარჩო

ფრეიმინგის თეორია და ინტერნეტის ეფექტი

შეგიძლია იგრძნოს ის, რასაც მე ვგრძნობ?

ინტერნეტბულინგი ის თემაა, რომელიც ფრეიმინგის თეორიის ჭრილში არის განსახილველი, თუმცა თეორიას თუ ინტერნეტის ეფექტებსაც დავუმატებთ, ეს შესაძლებლობას მოგვცემს საკითხი ერთიანად და ახლებურად აღვიქვათ. სწორედ ეს ორი თეორია გასაზღვრავს პრობლემის არსსა და მიზანმიმართულებას. ვიდრე განვიხილავთ, თუ რა სახის ფრეიმები გამოიყენება ბულინგის შემცველი საკითხების გაშუქებისას ქართულ მედიაში. საინტერესოა ფრეიმინგის თეორიის გასაზღვრებებიც:

ფრეიმინგის თეორიას ²⁴ენტმანი (1993) ხსნიდა:

“ფრეიმის ორი დონე არსებობს. პირველია გონებაში გამჯდარი პრინციპები და მეორე - ახალი ამბების ტექსტის პარამეტრები. ფრეიმინგის პროცესი მოიცავს რეალობის რომელიმე ასპექტის არჩევას და მისი ტექსტური გზით გადაცემას ისე, რომ ჩანდეს პრობლემა, კაუზალური ინტერპრეტაცია, მორალური შეფასება და რეკომენდაცია”.

რისი (2007) კი ასე ამ თეორიას ასე განმარტავს:

„ფრეიმინგი არის მეთოდი, რომლის საშუალებითაც ჟურნალისტები არჩევენ და განსაკუთრებული ხაზგასმით გამოყოფენ კონკრეტულ მოვლენებს ინფორმაციის მომზადებისა და მისი საზოგადოებისათვის მიწოდების პროცესში. ფრეიმინგი მიუთითებს იმაზე, თუ როგორ არის სტრუქტურირებული საკითხები და მოვლენები და რა შინაარსობრივი დატვირთვა ენიჭება მათ.“

რაც შეეხება აღწერითი ფრეიმინგის ტექნიკების, რომელიც გამოყენებული იქნა ჩვენს კვლევაში, გულისხმობს იმას, თუ როგორაა ესა თუ ის ისტორია გაშუქებული.

²⁴ ენტმანი (1993 წ.გამოშვება)

აღწერითი ფრეიმინგის ტექნიკები გულისხმობს ისეთი საკითხების გადაჭრას, როგორცაა: რომელი სურათები უნდა გადაიცეს ამბის გაშუქებისას? ვისი ციტირება უნდა მოხდეს? როგორი ენით უნდა იყოს ტექსტის ანალიზი დაწერილი? სურათები და გამოყენებული ენა შეიძლება უმნიშვნელოვანესი იყოს იმისთვის, რომ აუდიტორიამ მესიჯი სწორად გაშიფროს.

ფრეიმინგის თეორია, ზუსტად იმ კითხვებს სვამს, რომელსაც კვლევის ფარგლებში გავეცით პასუხი, როდესაც მედიასა და კიბერბულინგს შორის კავშირზე ვისაუბრეთ.

„ფრეიმის ძალა მდგომარეობს იმაში, რომ ის შეძლება საზოგადოებაზე შეუმჩნეველ, მაგრამ მძლავრ ეფექტს ახდენდეს. თუნდაც იმ თვალსაზრისით, რომ მისი დახმარებით პრეზიდენტის დამხობაც კი იყოს შესაძლებელი.“²⁵ ეს განმარტება ასახავს, მის ძალას და ეფექტს საზოგადოებაზე და შესაბამისად, მედიის პასუხისმგებლობის საკითხს უკავშირდება.

კერძოდ, სწორედ მედიის წარმომადგენლები წყვეტენ, რა მასალა, რომელი რესპონდენტი, რა ფრეიმით გააშუქონ. „სწორად“ კომერციაზე ორიენტირებული ფრეიმი, არის ის რასაც სამწუხაროდ, ტრადიციული მედიაც იყენებს და სოციალურიც.

ფრეიმინგის თეორიის მიხედვით, მედია, გარკვეული „ფრეიმების“ გამოყენებით, აუდიტორიას არამხოლოდ აწვდის ინფორმაციას ფაქტის შესახებ, არამედ აძლევს გარკვეულ ორიენტირს, თუ როგორ იფიქროს ამ მოვლენების შესახებ.²⁶

“აუდიტორია შეიძლება იყოს აქტიური მედიის გამოყენებისას, მაგრამ ეს აქტიურობა არ არის ძალაუფლების საწინდარი”.²⁷

ფრეიმინგი, რედაქციის, მედიის წარმომადგენლის ხელშია, ის ირჩევს მომხმარებელს მასალა რა ფრეიმით მიაწოდოს. სწორედ ამიტომ არის მნიშვნელოვანი მასალის

²⁵ (Tankard, 2003, გვ. 97).

²⁶ (Brown, 2002)

²⁷(ანგი 1990)

ეთიკურობა, ხარისხი, ჩარჩო. რადგან მაყურებელი, მკითხველი თუ მსმენელი, ენდობა მედიასაშუალებას, ავრცელებს გამოქვეყნებულ ამბავს, და ამრავლებს იმ ჩარჩოს, რომლითაც მას სთავაზობენ ინფორმაციას.

რაც შეეხება ინტერნეტის ეფექტს...

21-ე საუკუნე ინტერნეტის ეპოქაა, სურვილის მიუხედავად ყველა გზა ინტერნეტამდე მიდის და გვინდა თუ არა თანამედროვე ცხოვრების განუყოფელ ნაწილად იქცა. ინტერნეტის გავლენის გაზომვა ძალიან მარტივად არის შესაძლებელი, ამისთვის საკმარისია მხოლოდ და მხოლოდ, საკუთარ თავს დავაკვირდეთ, დღეში თუ რა დროს ვუთმობთ მას. გაგიკვირდებათ და , ძალიან ხშირად, დღის დაგეგმვაც ინტერნეტით ხდება.

ინტერმედია ინტერნეტის გავლენაზე წერს: „ჩვენს ქვეყანაში სოციალური ქსელების ძირითადი მომხმარებლები არიან 12-40 წლის ადამიანები, ფსიქოლოგების ყურადღება მაინც მიქცეულია მოზარდთა ჯგუფზე. საქმე ისაა, რომ ასეთ ასაკში ფსიქიკა საკმაოდ არამდგრადია და ხშირად ვითარდება "ინტერნეტ დამოკიდებულება". ამ დაავადებას დიდი გავლენა აქვს მოსწავლეების აკადემიურ მოსწრებაზე, მსოფლმხედველობაზე, სოციალიზაციაზე და არც ისე იშვიათია სექსუალური აღზუნების შემთხვევებიც.“²⁸

„ინტერნეტში ჩართულობის განუხრელი რიცხვის ზრდის შედეგად საინფორმაციო საშუალებებმა თითოეული ადამიანის ყოველდღიურ ცხოვრებაში დიდი როლი შეასრულოს. ეს კი იმაზე მიუთითებს, რომ დღეს საზოგადოება უფრო მეტადაა მიჯაჭვული მედიაზე, ინტერნეტზე, ვიდრე აქამდე იყო.“²⁹

შესაბამისად, ინტერნეტის ეფექტი პირდაპირ კავშირშია ინტერნეტბულინგთან. ამ საკითხის კვლევისთვის კი ოპტიმალურია სწორედ ამ ორი თეორიული ჩარჩოს გამოყენება.

²⁸ ²⁸ Intermedia.ge/internet

²⁹ ჰეივუდი (2007) .

თავი 5. კვლევის მეთოდოლოგია

„ბულინგი სოციალურ ქსელებში“ სამაგისტრო ნაშრომის საკვლევად ავირჩიეთ, სოციალური კვლევის მეთოდებიდან, სიღრმისეული ინტერვიუ და ფოკუს-ჯგუფები. აღნიშნულმა მეთოდებმა შესაძლებლობა მოგვცა, კვლევის ჰიპოთეზა დაგვედასტურებინა და ზემოთ აღნიშნულ კითხვებზე პასუხი გაგვეცა.

სიღრმისეული ინტერვიუ³⁰ ეს არის ინტერვიუს სახეობა, რომელიც ფართოდ გამოიყენება თვისებრივ მეთოდებში. ესაა ნაწილობრივ სტრუქტურირებული ინტერვიუ, რომელიც სადისკუსიო გეგმის საფუძველზე წარიმართება და მიზნად ისახავს, შეიტყოს რესპონდენტის არა მხოლოდ დამოკიდებულება და პოზიცია, არამედ მოტივაციები.

რობერტ ვაისი განიხილავს სიღრმისეულ ინტერვიუს როგორც;

„ინტერვიუერსა და რესპონდენტს შორის თანამშრომლობის პროცესს, რომელიც დროსაც ორივე მონაწილეს ერთი მიზანი ამოძრავებს - ესაა ახალი ინფორმაციის წარმოება კვლევის თემასთან დაკავშირებით. მეტიც, მისი თქმით, ამ თანამშრომლობაში ინტერვიუერი „ის ინსტრუმენტია, რომლის საშუალებითაც რესპონდენტი მოგვითხრობს თავის ამბავს“.³¹

ინტერვიუები ჩავწერეთ ჟურნალისტებთან, ფსიქოლოგებთან, სოციალური მედიის მენეჯერებთან, იურისტებთან, არასამთავრობო/ სამთავრობო სექტორის წარმომადგენლებთან. ადამიანებთან, რომელთაც ყოვედლიური შეხება აქვთ სოციალურ მედიასა და სოციალურ ქსელებთან. სულ 16 ინტერვიუ. ინტერვიუების პერიოდი 20.01.2017-02.06.2017.

რაც შეეხება კვლევის მეორე მეთოდს;

³⁰ <http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=5&t=11010>

³¹ <http://www.nplg.gov.ge/gsd/cgi-bin/library.exe?e=d-00000-00---off-0civil2--00-1----0-10-0---0---0prompt-10---4-----0-11--10-ka-50---20-about---00-3-1-00-0-0-01-1-OutfZz-8-00&cl=CL2.10&d=HASH0129b5727ecf269b3f2c1338.3&x=1>

ფოკუს-ჯგუფი³² არის დაგეგმილი დისკუსია ინტერესის მქონე პირთა მცირე ჯგუფში (4-12 მონაწილე), რომელსაც მოდერატორი უძღვება. ის ისეა შექმნილი, რომ ტოლერანტულ და მშვიდობიან გარემოში ინტერაქტიული ჯგუფის სტრუქტურირებულ დისკუსიაზე დაკვირვებით მიღებულ იქნეს ინფორმაცია ადამიანების განწყობასა და იმ ღირებულებებზე, რომლებიც განსაზღვრულ თემას ეხება და იმაზე, თუ რატომ არსებობს ისინი. აქედან გამომდინარე, ფოკუს-ჯგუფი შეიძლება განხილულ იქნეს ფოკუსირებული ინტერვიუს და სადისკუსიო ჯგუფის კომბინაციად. ფოკუს-ჯგუფების ჩატარება შესაძლებელია ინტერნეტითაც.

ეს არის ³³ ჯგუფური ინტერვიუს სახეობაა, რომლის მსვლელობაც გარკვეულ წესებს ემორჩილება და რომელსაც სპეციფიკური მიზნები ახასიათებს. სიღრმისეულ ინტერვიუსთან შედარებით, ფოკუს-ჯგუფს ის უპირატესობა აქვს, რომ რამდენიმე ადამიანისაგან შემდგარ ჯგუფში ყოველთვის აღმოჩნდება ხოლმე ადამიანი, რომელიც სხვებთან შედარებით უფრო გულახდილია, და მისი გულახდილობა, როგორც წესი, ჯგუფის სხვა წევრების გულახდილობასაც იწვევს.

როგორც მკვლევართა დიდი ნაწილი მიიჩნევს, ფოკუს-ჯგუფები საშუალებას გვაძლევს, არა მხოლოდ ძალიან ღრმად შევისწავლოთ ესა თუ ის რთული საკითხი, არამედ, შევიქმნათ ნათელი წარმოდგენა ამ საკითხის ირგვლივ საზოგადოებაში არსებული აზრთა მრავალფეროვნების შესახებ.

კვლევის ფარგლებში, ჩავატარეთ ორი ფოკუს-ჯგუფი. სულ 22 მონაწილე. ფოკუს-ჯგუფების ჩატარების პერიოდი 22.02.2017-02.06.2017. ფოკუს-ჯგუფებში მონაწილე ადამიანებს აერთიანებდათ, სოციალურ ქსელებში ჩართულობა.

³² <http://www.nplg.gov.ge/gsd/cgi-bin/library.exe?e=d-00000-00---off-0civil2--00-1----0-10-0---0---0prompt-10---4-----0-11--10-ka-50---20-about---00-3-1-00-0-0-01-1-OutfZz-8-00&a=d&cl=CL2.20&d=HASH0117699d58fba80bd37504f3.3.6>

³³ <http://www.nplg.gov.ge/gsd/cgi-bin/library.exe?e=d-00000-00---off-0civil2--00-1----0-10-0---0---0prompt-10---4-----0-11--10-ka-50---20-about---00-3-1-00-0-0-01-1-OutfZz-8-00&a=d&cl=CL2.10&d=HASH0129b5727ecf269b3f2c1338.4>

5.1. კვლევის ძირითადი მიგნებები

„ბულინგი სოციალურ მედიაში“

1997 წელს³⁴, მსოფლიო ინტერნეტსივრცე სკანდალურმა ამბავმა მოიცვა, ამერიკის ისტორიის ერთერთი ყველაზე ხმამაღალი სექსსკანდალის მონაწილე მონიკა ლევინსკი იყო, რომელმაც საზოგადოებას თავის და ბილ კლინტონის სასიყვარულო თავგადასავალზე უამბო. ამ ისტორიის გამო 1999 წელს ბილ კლინტონის იმპიჩმენტის საკითხიც დადგა. საბოლოოდ სენატმა გაამართლა კლინტონი და მან შეინარჩუნა თანამდებობა. რაც შეეხება, მონიკა ლევინსკის ის საყოველთაო დაცინვის ობიექტად იქცა. მის მიერ გადადგმული თითოეული ნაბიჯი, მედიისა და საზოგადოების მხრიდან გარიყული იქნა და საბოლოოდ, ლევინსკის ყველა „რადარიდან“ გაუჩინარება მოჰყვა.

სწორედ, მონიკა ლევინსკი გახდა, კიბერბულინგის ერთერთი პირველი მსხვერპლი, ამ შემთხვევაშიც, ინტერნეტჩაგვრამ დამანგრეველი გავლენა იქონია მსხვერპლზე.

ონლაინჩაგვრა სულ უფრო აქტუალური პრობლემა ხდება, კიდევ უფრო მრავლდება ამ მიზეზით, თვითმკვლევლობის შემთხვევები.

2015 წლის სექტემბერში, სუიციდით დაასრულა სიცოცხლე, 31 წლის იტალიელმა ქალბატონმა, რომელმაც ვერ გაუძლო ინტერნეტ ზეწოლას, ინტიმური ვიდეორგოლის სოციალურ ქსელებში გავრცელების გამო.

სუიციდით დამთავრდა კიდევ ერთი იტალიელი ქალის სიცოცხლეც, რომელსაც ნამდვილი კომმარი მოუწყვეს ინტერნეტტროლებმა. ტიციანა კანტონეს³⁵, პირადი ცხოვრების ამსახველი კადრები, რომელსაც ის მეგობარს უგზავნიდა, გარკვეული გზებით სოციალურ ქსელებში გავრცელდა. პიროვნების იდენტიფიცირება მარტივად მოხდა და შესაბამისად, ინტერნეტჩაგვრამ დიდი მასშტაბები მოიცვა. კანტონეს, სამსახურისა და

³⁴ <https://www.biography.com/people/monica-lewinsky-21292085>

³⁵ <https://pravo.ru/review/view/120114/>

ქვეყნის დატოვება მოუწია, თუმცა ამან მაინც ვერ შეაჩერა მასზე ბულინგი, საბოლოოდ მან სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა.

კიდევ ერთი შემთხვევა, რომელმაც ასევე, დამანგრეველი შედეგი გამოიწვია. 15 წლის ამანდა ტოდის³⁶ ისტორიაა, რომელსაც 2012 წელს გაშიშვლება აიძულეს, ვიდუო გადაუღეს და შემდეგ რგოლის სოციალურ ქსელში გააზიარეს. ბულინგი მყისიერ საფრთხეში გადაიზარდა და მას 15 ადამიანი დაესხა თავს, საბოლოოდ ტოდიმაც თვითმკვლელობით დაასრულა ცხოვრება.

მსგავსი შემთხვევები მთელი მსოფლიოს მასშტაბით, ძალიან ბევრია (ეს კვლევებითაც დასტურდება), რაც კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს პრობლემის გლობალურობას. ზემოთაღნიშნული შემთხვევებს კავშირი არ აქვს გამოხატვის თავისუფლებასთან, მის აკრძალვასა და შეზღუდვასთან.

2015 წლის 1 ივლისს IDFI³⁷-იმ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროდან მიიღო ინფორმაცია 2011-2015 წლებში საქართველოში დაფიქსირებული სუიციდის ფაქტების შესახებ. როგორც ირკვევა, აღნიშნულ პერიოდში ყველაზე მეტი - 382 შემთხვევა 2014 წელს ფიქსირდება. 2013 წელს საქართველოში დაფიქსირებულია თვითმკვლელობის 312 შემთხვევა, 2012 წელს - 315 შემთხვევა, ხოლო 2011 წელს - 293 შემთხვევა. აღსანიშნავია ის ფაქტი რომ 2015 წლის პირველი კვარტლის განმავლობაში სუიციდის უკვე 123 ფაქტი ფიქსირდება.

სუიციდის მომატებულ შემთხვევებსა და კიბერბულინგს შორის კავშირს არ გამორიცხავს ჩვენი რესპონდენტი ფსიქოლოგი, რადგან ნაწილი შემთხვევებისა სკოლის მოსწავლეები არიან, არ არის გამორიცხული რომ ერთერთი შესაძლო მიზეზი მსხვერპლზე განხორციელებული აგრესია ყოფილიყო.

საკითხი აქტუალურია და შესაბამისად, უნდა დაიწყოს ამ თემაზე საუბარი, კვლევა და საზოგადოების ინფორმირებულობა.

³⁶ <https://www.youtube.com/watch?v=ej7afkypUsc>

³⁷ <http://www.opendata.ge/ka/content/47772>

სწორედ ამან განაპირობა, ჩვენ კვლევის ერთერთ მეთოდად, ფოკუს-ჯგუფი არჩევა, რადგან შესაძლებლობა მოგვცა სოციალური ქსელის მომხმარებლების ნაწილის დამოკიდებულება გაგვეგო, კიბერბულინგთან დაკავშირებით.

კვლევის შედეგად, ერთერთი მთავარი საკითხი გამოიკვეთა, ტერმინის არცოდნა. ადამიანებს, რომლებიც იმ პრინციპით გაერთიანდნენ ფოკუს-ჯგუფში, რომ სოციალური ქსელების მომხმარებლები არიან, ნაწილს, არ გაუგია ტერმინი კიბერბულინგი. ნაწილს გაუგია, თუმცა სრულყოფილად არ ფლობს ინფორმაციას, თუ რა კრიტერიუმებს უნდა აკმაყოფილებდეს ინტერნეტ ინციდენტი ის ბულინგად რომ ჩაითვალოს.

მსჯელობისას, მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ უნებურად თავადაც გამხდარან, კიბერაგრესორები, მხოლოდ იმიტომ, რომ ესა თუ ისე ვიდეო-ფოტო მასალა, უბრალოდ სახუმაროდ გაუზიარებიათ სოციალურ ქსელში. თუმცა სახუმაროდ გაზიარებულს ხშირად ნეგატიური უკუკავშირიც გამოუწვევია.

ხუმრობიდან ბულინგამდე ერთი ნაბიჯია, სწორედ ეს გამოიკვეთა კვლევის შედეგად. რამაც კიდევ ერთხელ გააერთიანა მოსაზრება, გამოხატვის თავისუფლებასა და ინტერნეტ ჩაგვრას შორის არსებული მჭიდრო კავშირი. დამოკიდებულებამ, „ჩემს პირად გვერდზე, გავაზიარებ იმას, რაც მსურს, იმას რაზეც მეცინება, იმას რაც მომწონს, ეს არის ჩემი უფლება, ჩემი არჩევანის თავისუფლება“, ხშირად გაიჟღერა, არგუმენტად კი სოციალური ქსელის პირად სივრცედ აღქმა დაასახელეს, თუმცა ნაწილმა გამოთქვა მოსაზრება, რომ თანამედროვეობაში, პირადი სივრცე ძალიან შევიწროვებულია და სოციალური ქსელები აღარ არის პირადი კედელი.

კვლევის მონაწილეები, აღნიშნავენ, რომ ხშირად ხვდებით სოციალურ ქსელებში, ცნობილი თუ უცნობი ადამიანების ვიდეო-ფოტო შარჟი, განსაკუთრებით მწვავედ კი ტრადიციული მედიის მხრიდან გაზიარებულ ვიდეობს აღიქვამენ. მსჯელობისას გამოიკვეთა, რომ სოციალური ქსელების მომხმარებლებს სწორედ ტრადიციული მედიის მხრიდან უკვირთ მსგავსი სახის მასალა, და ამბობენ, რომ მედია არ უნდა აჰყვეს ტენდენციას, რომელიც „გაყიდვებზეა“ ორიენტირებული.

ჟურნალისტებმა თავი უნდა შეიკავონ, გადაცემებში- პროგრამებში- შოუებში არაკომპეტენტური რესპონდენტების მოწვევისგან (ძირითადად რაც, შემდგომ იწვევს ბულინგს) და მეტად დაიცვან სტუმრების უფლებები.

კითხვა, რომელმაც ფოკუს-ჯგუფის წევრებს შორის, აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია, ეხებოდა კიბერბულინგის კონტროლის მექანიზმებს, ნაწილის აზრით, არ შეიძლება კონტროლირდებოდეს სივრცე, რომელიც დასაბამიდან შეიქმნა თავისუფალი აზრის გაზიარებისთვის, მონაწილეთა ნაწილი კი ამბობს, რომ კონტროლის მექანიზმებიდან, ყველაზე ეფექტური კიბერბულინგთან ბრძოლაში თვითკონტროლის გაძლიერებაა. მათი თქმით, წარმოუდგენელია აკონტროლო სივრცე რაიმე ბერკეტით, გარდა ჰუმანური თვითშეგნებისა.

თითოეულმა ადამიანმა, თავად უნდა გაუწიოს თავს კონტროლი, განასხვავოს რა არის ბულინგი? რა არის ხუმრობა? რისი თქმა უნდა ამა თუ იმ შარჟის გავრცელებით? ზიანი უფრო დიდია ამ მასალის გაზიარების თუ სარგებელი? კითხვები, რომელიც სოციალური ქსელის თითოეულმა მოქალაქემ უნდა დაუსვას საკუთარ თავს. ჩვენი კვლევის მონაწილეები, ამბობენ, რომ ამ კითხვების დასმა, დაგვეხმარება, რათა შემცირებულ მაინც იქნას კიბერჩაგვრა ადამიანების მიმართ, ჩაგვრა, რომელსაც მთელი ცხოვრების მანძილზე აქვს ეფექტი.

ჩვენი კვლევის მონაწილეები კიბერბულინგს თანამედროვეობის უდიდეს გამოწვევად მიიჩნევენ და ამბობენ, რომ სახელმწიფოს მხრიდან უნდა იყოს გადადგმული ქმედითი ნაბიჯები. ოღონდ არა უხეში მეთოდების გამოყენებით. არა კანონის და აკრძალვების მეთოდით, არამედ კვლევებით. თემაზე ღიად საუბრით. მონაწილეების აღნიშვნით, საკითხით აქტიურად უნდა დაინტერესდეს არასამთავრობო სექტორიც, რადგან ადამიანების უფლებათა დაცვას ეხება თემა, სახალხო დამცველისგანაც ელიან ღონისძიების გატარებას.

მონაწილეებს ვთხოვეთ განემარტათ, რა შესაძლო გზებით შეიძლება დავიცვათ თავი ინტერნეტ ჩაგვრისგან, მათ აღნიშნეს, რომ ეს შეუჩერებელი პროცესია და რამე ტექნიკური

თავდაცვით შეუძლებელია თავი ავარიდოთ ამ მავნე ქმედებას. იმ დროს, როცა შეიძლება პირადი მონაცემები უბრალო საძიებო სისტემის მეშვეობით გახდეს ცნობილი სხვა ადამიანისთვის, პოტენციური კიბერაგრესორისთვის, ხელმისაწვდომია მსხვერპლის საკონტაქტო და პერსონალური ინფორმაცია.

მონაწილეების ნაწილი მიიჩნევს, რომ ერთერთ შესაძლო თავდაცვითი გზა, სოციალური ქსელებში ზედმეტი აქტიურობისგან თავის შეკავებაა, თუმცა იმასაც აღნიშნავენ, რომ დღეს, სოციალური ქსელები დიდ როლს ასრულებს ადამიანის განვითარებაში, და მასზე სრულიად უარის თქმა ინფორმაციულ ვაკუუმის შექმნის.

ჩვენ მიერ ჩატარებული ფოკუს-ჯგუფების ძირითადი მიგნებები;

- სოციალური ქსელის მომხმარებელთა ნაწილმა არ იცის ტერმინის თაობაზე.
- ინფორმაციის ნაკლებობის გამო, ზოგიერთი მათგანი უნებურად გამხდარა კიბერაგრესორი.
- პერსონალური მონაცემების დაუცველობა საჯარო სექტორის მხრიდან (პერსონალური მონაცემების ხელმისაწვდომი, ზრდის კიბერაგრესიის შესაძლებლობას).
- სოციალურ ქსელებში, ტრადიციული მედიის მხრიდან ვრცელდება არაეთიკური ჟარჟები, რომელიც ინტერნეტ ბულინგ იწვევს.
- მომხმარებელი, თავად ირჩევს, რას და როგორი კონტექსტით აზიარებს ქსელში. (სოციალური ქსელის მომხმარებლის პასუხისმგებლობა, აირიდებს ჩაგვრის ტირაჟრებას).

კიბერბულინგის კვლევის ფარგლებში, სიღრმისეული ინტერვიუები ჩავწერთ, ფსიქოლოგებთან, ჟურნალისტებთან, ბლოგერებთან, სოციალური მედიის მენეჯერებთან, იურისტებთან, არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლებთან და სოციალურ მუშაკებთან.

შევეცადეთ, საკითხის ყველა ასპექტი მოგვეცვა და სიღრმისეულად გვეკვლია ინტერნეტ ჩაგვრა. თუმცა ნაშრომის სათაურიდან გამომდინარე, ძირითადი აქცენტი მედიასა და კიბერბულინგს შორის კავშირზე გვაქვს.

რა არის კიბერბულინგი? რა კრიტერიუმებს უნდა აკმაყოფილებდეს ინტერნეტინციდენტი ისე ინტერნეტ ჩაგვრად რომ ჩაითვალოს? რამდენად მწვავედ დგას ეს პრობლემა ქართულ რეალობაში? ახდენს თუ არა მედია ჩაგვრის ტირაჟრებას? თუ ახდენს, რა ფორმით? როგორია მედიის პასუხისმგებლობის საკითხი და რაში მდგომარეობს გამოსავალი?

ამ და სხვა კითხვებით, ჩვენს რესპონდენტებს მივმართეთ.

კიბერბულინგი, ერთერთი ყველაზე აქტუალური პრობლემაა მთელი მსოფლიოსთვის, მათ შორის საქართველოსთვისაც, რადგან, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, დღითი დღე მატულობს სოციალურ ქსელების მომხმარებელთა რაოდენობა.

იმატა სოციალური ხუმრობების რაოდენობაც, ინტერნეტბულინგმა და ჩაგრულთა რაოდენობაც. მიუხედავად იმისა, რომ კვლევა კიბერბულინგზე, საქართველოში არ ჩატარებულა, ზედაპირული დაკვირვებითა და რამდენიმე ქართული მაგალითის გაცნობით, ჩანს, თუ რა დამანგრეველი გავლენია შეიძლება იქონიოს მსხვერპლზე განხორციელებულმა ბულინგმა.

სოციალური მედია ძალიან ძლიერია ინფორმაციის გავრცელებაში, წამის მეათასედში ვრცელდება ამბავი ქსელიდან ქსელში, ქვეყნიდან ქვეყანაში და ა.შ. სწორედ მისი ეს თვისება ხდის კიბერბულინგს, სულ უფრო მასშტაბურს.

ფსიქოლოგები კიბერბულინგის შემთხვევების მომრავლებას, სოციალური ქსელების შესაძლებლობებს უკავშირებენ, კერძოდ პლატფორმას სადაც ანონიმურობის გარანტიაა. (კვლევებმაც დაადასტურა, რომ ინტერნეჩაგვრის ძირითადი ნაწილი, სწორედ ანონიმური მომხმარებლის მხრიდან ხორციელდება.) სწორედ ეს დაცულობის შეგრძნება აძლევს მათ შესაძლებლობას, განახორციელონ ჩაგვრა. ფსიქოლოგების ნაწილი არ გამოორიცხავს, რომ ადამიანები, რომლებიც ახლა ახორციელებენ ბულინგს, წარსულში თავად იყვნენ ჩაგვრის მსხვერპლები. მათი თქმით, ძალადობა იწვევს ძალადობას და თითქმის შეუჩერებელი პროცესია.

მათი აღნიშვნით, აგრესიის მიმართ კეთილგანწყობა იმდენად დიდი პრობლემაა, პროფესიონალის დახმარების საჭიროებს. პროფესიონალის დახმარებას საჭიროებს ასევე მსვერპლიც, რათა თავიდან იქნას აცილებული ლეტალური შედეგი. მნიშვნელოვანია, რომ ადამიანმა, რომელზეც განხორციელდა ჩაგვრა, მიმართოს დახმარებისთვის ფსიქოლოგს. განსაკუთრებით მაშინ, თუ მსხვერპლი მოზარდია, რადგან ეს თაობა, ბევრად სენსიტიურია გარკვეული საკითხების მიმართ, განსაკუთრებით თუ ეს მასობრივ ჩაგვრას ეხება.

კვლევისას, რამდენიმე საკითხმა აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია რესპონდენტებში, კერძოდ კიბერბულინგისგან თავის დასაცავად გასატარებელმა ღონისძიებებმა, რესპონდენტების ნაწილი მიიჩნევს, რომ გამოსავალი მხოლოდ ინდივიდუალურ დონეზე განიხილება და მისი განზოგადება არ შეიძლება. პრობლემის მოგვარება გარეშე ფაქტორების ჩარევით მიუღებლად მიაჩნიათ.

ნაწილი კი, ამბობს, რომ თუ სახელმწიფოს სურს, თავისი მოქალაქეების დაცვა, მან უნდა შეიმუშავოს გარკვეული რეკომენდაციები. არცერთი მათგანი არ ეთანხმება აკრძალვების დაწესებას, თუმცა სახელმწიფო სტრუქტურების მხრიდან ჩართულობას მიესალმებიან.

მედიის პასუხისმგებლობის, ეთიკურობის საკითხი კიბერბულინგის ტირაჟირებაში და მედია, როგორც ჩაგვრისთვის ხელშემწყობი. საკითხი, რომლითაც მივმართეთ ჟურნალისტებს, ბლოგერებსა და სოციალური მედიის მენეჯერებს. ტრადიციული და

სოციალური მედია, დღეს დღეისობით განუყოფელი ცნებებია, რადგან სოციალურ ქსელებს აქტიურად იყენებს ტრადიციული მედიაც, და სულ უფრო ვითარდება ამ კუთხით.

იმას, რომ გარკვეული მედიასაშუალებები ხშირად ახდენენ ჩაგვრის ტირაჟირებას, არ უარყოფს არცერთი მათგანი, თუმცა გამიზნულობამ გამოიწვია ახრთა სხვადასხვაობა, ნაწილი ჟურნალისტებისა მიიჩნევს, რომ მედია გამიზნულად ახდენს ჩაგვრის მიმართ „კეთილგანწყობილი“ რესპონდენტების მოწვევას, ჩაწერას. არაკომპეტენტური პირების მიმართ სპეციფიკური კითხვების დასმას, რაც შემდგომ იწვევს ისეთ რეაქციას მაყურებელში, რაც იწვევს ბულინგს, რომელიც ეთერიდან სოციალურ ქსელში ინაცვლებს და იქ გრძელდება ჩაგვრა. სწორედ კომერციულობაზე ორიენტირებული მედია ქმნის „ბულინგის სათბურს“, რაც ყველანაირ ეთიკის ნორმებს ცდება.

ნაწილი კი ამბობს, რომ მედია ვერ განსაზღვრავს წინასწარ, თუ ვინ შეიძლება საზოგადოების მხრიდან დაიჩაგროს, ხოლო კონკრეტულ საკითხში არაკომპეტენტური პირების კომენტარის გაჟღერებას, საზოგადოებაში რესპონდენტის რეპუტაციას ასახელებენ.

თუმცა, ზედიზედ ერთი და იმავე სტუმრის მოწვევა, როცა გაქვს შესაძლებლობა, უკუკავშირით გაზომო, რა მასალამ, განცხადებამ რა რეაქცია გამოიწვია მაყურებელში, არის გამიზნული ქმედება, ეს არის კეთილგანწყობა ბულინგის მიმართ კომერციული მიზნებით.

თუმცა, თუ სოციალურ მედიას დავაკვირდებით, შევნიშნავთ, რომ სწორედ მსგავსი თემატიკის მასალები სარგებლობენ ბევრი ნახვითა და გაზიარებით. ჟურნალისტთა ნაწილი არ ემიჯნება ამ მოსაზრებას და ამბობენ, რომ მედია, რომელიც „ლაიქებისა და შეარებისთვის“ იწვევს საზოგადოებაში რესპონდენტთა კიბერბულინგს, სულ ცოტა არღვევს მედიის ყველა პრინციპს.

რაში მდგომარეობს გამოსავალი?

მსოფლიო აქტიურად განიხილავს ამ საკითხს, როგორ უნდა ვებრძოლოთ თანამედროვე სამყაროს ერთერთ მთავარ გამოწვევას? ვებრძოლოთ მას კანონის დონეზე, რომელიც აკრძალვებს, სანქციებს და ჯარიმებს გულისხმობს, თუ ადამიანურ ფაქტორს მივანდოთ პრობლემის აღმოფხვრა?! მსოფლიოს, ორივე მეთოდის გამოცდილება აქვს, მაგრამ არცერთი მათგანი არ არის ქმედითი. დღემდე არ შეჩერებულა ბულინგი, არ შემცირებულა ჩაგრულთა რაოდენობა. ხოლო შემთხვევას, როცა ინტერნეტ ჩაგვრის კრიმინალიზება მოხდა, გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვასთან აკავშირებენ.

ჩვენი კვლევის ფარგლებში, შევეცადეთ, ქართული რეალობისთვის მოგვეძებნა, ოპტიმალური გამოსავალი. საქართველოსთვის სანქციებით და აკრძალვებით საუბარი დიდ რისკთან არის დაკავშირებული, განსაკუთრებით მაშინ, როცა მოსახლეობის ნაწილმა არც იცის რა არის კიბერბულინგი და რა ზიანის მომტანი შეიძლება იყოს მისთვის და სხვისთვის.

რაში მდგომარეობს გამოსავალი? პირველი, უნდა დაიწყოს ინფორმაციის მიწოდება მოსახლეობისთვის, სოციალური მედიის თითოეულმა მომხმარებელმა უნდა იცოდეს რა არის ინტერნეტჩაგვრა და რა დამანგრეველ გავლენას ახდენს ის მსხვერპლზე.

მეორე, სოციალური მედია, თავის მხრივ, იძლევა ტექნიკურ შესაძლებლობებს, თავიდან იქნას აცილებული, ჩაგვრის ტირაჟირება, ნებისმიერ სოციალურ ქსელს, აქვს დარეპორტების ფუნქცია, თუ მომხმარებელი თვლის, რომ გავრცელებული ინფორმაცია, ახდენს ადამიანის, ადამიანთა ჯგუფის ჩაგვრას, დისკრიმინაციას, ლახავს მის უფლებებს, აუცილებელია მასალა დაარეპორტოს და მოუწოდეს მის მეგობრებს, იქივე ქმედებისკენ.

კიდევ ერთი გზა, თუ რაში შეიძლება იყოს გამოსავალი, არის ის რომ სოციალური ქსელის მომხმარებელმა შეძლოს ხუმრობის და კიბერბულინგის გარჩევა და შესაბამისად არ აზიაროს მასალა, რომელიც ბულინგის რისკს შეიცავს. თუმცა, უნდა აღინიშნოს, ამის გარჩევა მხოლოდ ტერმინზე და მის რაობაზე მიღებულ ინფორმაციას უკავშირდება,

ამიტომ არის აუცილებელი დაიწყოს საზოგადოების ცნობიერების დონის ამაღლება ონლაინ ჩაგვრაზე.

უნდა შედგეს სპეციალური კომისია, რომელიც დაიწყებს მუშაობას ამ საკითხზე, სოციალური მედიის შესაძლებლობებს აამოქმედებს ბუღინგის წინააღმდეგ, დაიწყება ანტიბუღინგური კამპანია და ა.შ. „საინფორმაციო ომის“ გაჩაღება ბუღინგის წინააღმდეგ, ყველაზე არამტკივნეული გზა, ჩაგვრის შეჩერებისკენ. უნდა შეიქმნას სოციალური რეკლამები რომელიც მასობრივი კომუნიკაციების საშუალებებით გავრცელდება.

კვლევის შედეგად აღმოჩნდა, რომ დღეისთვის, საქართველო და ქართული საზოგადოება არ არის მზად, კანონის დონეზე ებრძოლოს ინტერნეტჩაგვრას. ერთადერთ გზად, ამ თემაზე ღიად საუბარი, კვლევა და საზოგადოების ცნობიერების ამაღლება რჩება.

აუცილებელია, სკოლიდან დაიწყოს მოსწავლეების ინფორმირება კიბერბუღინგზე თუ სხვა დისრეკიმიაციულ პრობლემებზე.

დასკვნა

„ბულინგი სოციალურ მედიაში“ სამაგისტრო ნაშრომის თემა, თანამედროვეობის ერთერთი ყველაზე აქტუალური პრობლემაა. მათ შორის, საქართველოც არ არის გამონაკლისი. კიბერბულინგის სიმძაფრე ქართულ სოციალურ მედიაშიც შეიმჩნევა.

კიბერბულინგის კვლევამ გვიჩვენა, რომ საზოგადოების ნაწილი არ ფლობს ინფორმაციას ტერმინთან დაკავშირებით, რაც კიდევ უფრო ართულებს საკითხის მოგვარების შესაძლებლობას.

ონლაინჩაგვრის და გამოხატვის თავისუფლების მჭიდრო კავშირი კი, ერთერთი მთავარი მიზეზია იმისა, თუ რატომ ვერ ხდება, ამ დრომდე, თანამედროვეობის დიდი გამოწვევის შეჩერება/ შემცირება.

სოციალურ მედიაზე დაკვირვების და რამდენიმე მიმართულებით კვლევის შედეგად, ჩვენი ჰიპოთეზა გამართლდა. საქართველოში, სოციალურ მედიაში მწვავედ დგას ბულინგის საკითხი. მედია გარკვეულ შემთხვევაში თავად ახდენს ჩაგვრის ტირაჟირებას, ის ვერ უზრუნველყოფს რესპონდენტების დაცვას ბულინგისგან. პირიქით, როგორც კვლევით გამოიკვეთა, ზოგიერთ მედიასაშაულებას „საბულინგოდ გამზადებული“ რამდენიმე რესპონდენტიც კი ჰყავს.

ნაშრომში გამოყენებულმა ფრეიმინგის თეორიამ და ინტერნტის ეფექტმა, კიდევ ერთხელ გამოკვეთა თემის აქტუალობა და პრობლემა მედიის სოციალურ პასუხისმგებლობის საკითხთან დაკავშირდა.

რეკომენდაციები

კიბერბუღინგზე ჩატარებული კვლევის შედეგად, შევიმუშავეთ გარკვეული რეკომენდაციები:

- ადამიანების ინფორმირება ტერმინზე, მნიშვნელობაზე, პრობლემურობაზე.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ერთერთი ძირითადი მიგნება, ტერმინის არცოდნა აღმოჩნდა. შესაბამისად, ჩვენი რეკომენდაცია, სწორედ საზოგადოების ცნობიერების დონის ამაღლებას ეხება. უნდა დაიწყოს აქტიური საუბარი საზოგადოების როლზე კიბერჩაგვრის მიმართ ბრძოლაში.

- სოციალური მედიის, ქსელებისა და არხების მონიტორინგი .

ვინაიდან სწორედ ეს უკანასკნელნი ახდენენ, ყველაზე მეტად, ბუღინგის შემცველი მასალების ტირაჟირებას.

- ჟურნალისტების და მედია წარმომადგენლების ტრენინგი.

დაიგეგმოს ტრენინგების ციკლი, ონლაინჩაგვრის მიმართულებით და მოხდეს მათში ჟურნალისტების, სოციალური მედიის წარმომადგენლების, სტუდენტებისა და ზოგადად დაინტერესებული პირების აქტიური ჩართვა.

- მეტი ჩართულობა, სამთავრობო და არასამთავრობო სექტორისგან.

რაც შეიძლება გამოიხატოს, სოციალური ვიდეოების გადაღებით, საზოგადოების ცნობიერების ამაღლებით, გამოვლენილ შემთხვევებზე და პრევენციაზე საუბრით.

- სახალხო დამცველის მხრიდან ამ საკითხით დაინტერესება.

რათა არ მოხდეს ადამიანების უფლების იმ დონეზე ჩაგვრა, რაზეც მთელ ნაშრომშია საუბარი.

ბიბლიოგრაფია:

- ❖ „იდენტობის„ კვლევა სახელწოდებით „ჰომოფობიური ბულინგი საქართველოს საჯარო სკოლებში“.
- ❖ Sameer Hinduja და Justin W. PATCHIN -სახელმძღვანელო, << ტინეიჯერები, ტექნოლოგია და უბედურება>> . 2011წ.
- ❖ „თვისებრივი მეთოდები სოციალურ კვლევაში“ ავტორი: თინათინ ზურა-ბიშვილი გამოცემის წელი: 2006 წ.
- ❖ მედიაჩეკერის სტატია „ხუმრობიდან კიბერბულინგამდე“ ნანახია 20 მაისს. 2017 წ .

- ❖ „სოციალური მედიის განვითარების ტენდენციები საქართველოში:რეალური ვირტუალურის ძალაუფლება?“ -ლია წულაძე, ამირან ბერძენიშვილი, ფლორა ესებუა ,ირაკლი კახიძე, ნანა მაჭარაძე, ანა კვინტრაძე, დავით კლდიაშვილი. 2013 წელი.

- ❖ „Cyber Security: Build a Secure, Resilient Company“ Conor&Antony Sherman 2015.
- ❖ Hinduja, S. & Patchin, J. W. (2007). Offline consequences of online victimization: School violence and delinquency. *Journal of School Violence*, 6(3), 89-112.
- ❖ Hinduja, S. & Patchin, J. W. (2008). Cyberbullying: An exploratory analysis of factors related to offending and victimization. *Deviant Behavior*, 29(2), 129-156.
- ❖ Kowalski, R. M. & Limber, S. P. (2013). Psychological, Physical, and Academic Correlates of Cyberbullying and Traditional Bullying. *Journal of Adolescent Health*, 53(1), S13-S20.
- ❖ Wang, J., Nansel, T. R., & Iannotti, R. J. (2011). Cyber Bullying and Traditional Bullying: Differential Association with Depression. *Journal of Adolescent Health*, 48(4): 415–417.

ინტერნტენ წყაროები

- ❖ http://www.newpress.ge/staties_id/1991 (17.01.2017)
- ❖ <http://www.cyberhouse.ge> (23.12.2016)
- ❖ igromirnew.ru (26.02.2017)
- ❖ www.dosomething.org
- ❖ <https://nobullying.com/>
- ❖ www.understood.org
- ❖ <http://www.civicsnet.ge>
- ❖ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო - <http://police.ge/>
- ❖ www.nplg.gov.ge

დანართები


დანართი A. კიბერბულინგის მაგალითები. მსოფლიო და ქართული პრაქტიკა.




15 წლის ამანდა ტოდის³⁹ ისტორია, რომელსაც 2012 წელს , გამოშვლება აიძულეს, ვიდეო გადაუღეს და შემდეგ რგოლის სოციალურ ქსელში გააზიარეს. ბულინგის მყისიერ საფრთხეშიც გადაიზარდა და მას 15 ადამიანი დაესხა თავს, საბოლოოდ ტოდიმ თვითმკვლელობით დაასრულა ცხოვრება.

³⁸ <https://nobullying.com/six-unforgettable-cyber-bullying-cases/>

³⁹ <https://www.youtube.com/watch?v=ej7afkypUsc>



სოციალურ ქსელ „იუტუბზე“ შექმნილია სპეციალური არხები, სადაც აზიარებენ ვიდეოს ადამიანების უხერხულ მდგომარეობაში მყოფების. რაც შემდგომ იწვევს დაცინვას, ბულინგის და ნეგატიურ კონტექსტში მოხსენიებას ადამიანების.



კიბერბულინგის ერთერთი პირველი მსხვერპლი, ინტერნეტ ჩაგვრის სიმძაფრის გამო, ჯესის⁴⁰ საცხოვრებლისა და სახელი-გვარის შეცვლა მოუწია. მასზე და მის ოჯახზე ჩაგვრა დიდხანს გაგძელდა.

⁴⁰<http://knowyourmeme.com/memes/events/jessi-slaughter>



დნნ..დშნ...დნნ...დშნ...ფელიჩიტაა



იქს ფაქტორი- პავლოვიჩი

დანართი B. სატიტულო ფურცელი ინგლისური ვერსია.

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Faculty of Social and Political Sciences

Mass Communication and Media Studies

Kristine Sadjaia

Bullying in Social Media

The Thesis Submitted in partial fulfillment of the requirements for the degree of
Master of Mass Communication and Media Study

Supervisor: Dali Osepashvili

Full Professor

Tbilisi

2017